მაია მახარაშვილი

უცნაური რეტრომანის კოსმოსური ექსპერიმენტი

თბილისი
2016

მაია მახარაშვილი

უცნაური რეტროماანის კოსმოსური ექსპერიმენტი

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი – 2016

პოეტურ კრებულში „საქართველო მოიშუშებს იარებს“ მაია მახარაშვილის, როგორც მწერალ-შემოქმედისა და მათემატიკოსის, მსოფლმხედველობა და სამყაროს სუბიექტური აღქმა, შემდეგი ფრაზითაა გადმოცემული: „კაცობრიობის ამ ქვეყნად სიცოცხლე, ფილოსოფიურ ასპექტში, ნიშნავს ადამიანების ურთიერთსიყვარულისა და სულიერი შემოქმედების და მატერიალური შრომის ურთიერთკავშირსა და ერთობლიობას, ანუ მათემატიკურად, სიყვარულისა და შემოქმედების ნამრავლის ჯამს“. საკუთარი პოეტურ-ფილოსოფიური თვალსაზრისის მათემატიკური მოდელი ავტორმა შემდეგნაირად გამოსახა:

კაცობრიობის სიცოცხლე = $\sum$ (სიყვარული × შემოქმედება)

და ჩამოაყალიბა შესაბამისი მათემატიკური ფორმულა: $S=\sum_{i=1}^{\infty}(S_i' \times S_i'')$, სადაც სიმბოლოები აღნიშნავენ: S - კაცობრიობის სიცოცხლეს, S'_i- სიყვარულს, S''_i- შემოქმედებას, i - თითოეული ადამიანის რიგით ნომერს, რომლითაც გამოიხატება ადამიანების რაოდენობა, ხოლო ∞ - უსასრულობის ნიშნით, ავტორი კაცობრიობის უკვდავებას გამოსახვს.

რომანი „უცნაური რეტრომანის კოსმოსური ექსპერიმენტი“ მ. მახარაშვილის პირველი პროზაული ნაწარმოებია, სადაც იგი კვლავ ეხმაურება მისთვის მნიშვნელოვან ფილოსოფიურ-ზნეობრივ თემატიკას: ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული ფასეულობებისა და პიროვნული ცნობიერების ფსიქოლოგიურ ურთიერთკავშირსა და ურთიერთზემოქმედებას.

ნაწარმოები სათავგადასავლო ჟანრისაა და განკუთვნილია ყველა ასაკის მკითხველისთვის, მასში დეტექტივისა და ფანტასტიკის ელემენტების გამოყენებით აღწერილია კრიმინალების მიერ გატაცებული და კოსმოსურ ხომალდზე ხანგრძლივი დროის განმავლობაში დატყვევებული პოლიციის ოფიცერის ია იაშვილის უჩვეულო თავგადასავალი. ტყვეობაში ყოფნისას ქალისათვის ცნობილი გახდება გასაიდუმლოებული ინფორმაცია, იგი სამშობლოში დაბრუნებას მოახერხებს და დამნაშავეების მხილებას შეეცდება. ამ მიზნით იგი მიმართავს დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტს, დაიწყება გამოძიება, რომელიც დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის დავით დავითინიძის ხელმძღვანელობით წარიმართება...

© მაია მახარაშვილი

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2016

ISBN 978-9941-25-168-9

წინასიტყვაობა

ძვირფასო მკითველო, ალბათ თქვენი ბიბლიოთეკის თაროებს ამშვენებს მწერალ ფანტასტთა და დეტექტიური რომანების წიგნთა კრებული. ვინ იცის, სიამოვნების რამდენი საათი გაგიტარებიათ მათი კითხვისას. სულის შემძვრელი დეტექტიური რომანების, თუ ნოველების კითხვასაც მოუგვრია თქვენთვის სულის სიშფოთე და წიგნის კითხვაშიც დაგთენებიათ უძილო ღამე. სიამედ რჩება ჟიულ ვერნის ნაწარმოებები გონებას, ედგარ პოს ნაწარმოებები კლასიკური ფანტასტიკის ციურ განზომილებებს გაზიარებენ, კარელ ჩაპეკი, კლიფორდ საიმაკი, აიზეკ აზიმოვი, როს მაკდონალდი, აგატა კრისტი და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენ ავტორს მოუგვრია თქვენთვის მათი ნაწარმობების კითხვისგან სიამოვნება. ლევ შეინინის და ორდე დგებუაძის „გამომძიებლის ჩანაწერები“ ხომ უხილავი ფრონტის ჯარისკაცების ვაჟკაცობის და მხედრული კეთილშობილების მაგალითების მთელი კრებულია. დიახ, ასეა, და რამდენად შესანიშნავია, როდესაც სამეცნიერო ფანტასტიკა და დეტექტიური ჟანრი უბრალო ადამიანური სულისკვეთებითაა განმსჭვალული და ერთ ნაწარმოებში იყრის თავს.

ის თქვენს წინაშეა!

რაოდენ სასიამოვნოა, როცა წიგნის თითოეული ფურცლის წაკითხვა სიამოვნების გარდა, ინტერესს გიღვიძებს და ნაწარმოების კიდევ ერთ გმირად აღიქვამ საკუთარ თავს.

აქ ვერ იხილავ უსულგულო მანქანათა ბრძოლას და ვერც ზღაპრულ არსებებთან მებრძოლ რაინდებს. პირადი ღირსების გრძნობა, სიკეთისა და ბოროტების ბრძოლის მუდმივი დილემა, ვალდებულება მოყვასისა და საზოგადოების წინაშე, წრფელი, ადამიანური სიყვარულის უკვდავება – ეს არის ამ ნაწარმოების გმირთა ცხოვრების არსი. უხილავი ფრონტის ჯარისკაცთა პროფესიონალიზმი, კრიმინალურ სამყაროსთან მებრძოლ პროფესიონალთა პიროვნული და მუნდირის ღირსება – ამ ნაწარმოების გმირთა კრედოა. უძილო შრომა საზოგადოების გაჯანსაღებისთვის – ეს არის მათი ცხოვრების მიზანი. ამ ადამიანების ურთიერთობა არ სცილდება ზნეობის ნორმებს და კეთილგონიერების ჩარჩოებშია მოქცეული.

ეს ნაწარმოები ერთდროულად სამეცნიერო ფანტასტიკაცაა და კრიმინალური დრამაც, ადამიანური დიდსულოვნებისა და ზნედაცემულობის მუდმივი ბრძოლის ასპარეზიც, ის რომანიცაა – სიყვარულის, ერთგულების და მონატრების ერთგვარი რექვიემი.

ეს წიგნი არ არის განკუთვნილი მათთვის, ვისთვისაც მუდმივი ფასეულობები: თავდადება და თავგანწირვა, პასუხისმგებლობის გრძნობა

ქვეყნის, საზოგადოების და მოყვასის წინაშე არ წარმოადგენს ხელთუქმნელ ღირებულებას.

ნაწარმოებში უხვად არის ფაქიზი იუმორი, პერსონაჟები უბრალო და უბოროტო ადამიანური სისუსტეებით. ეს წიგნი იმსახურებს თქვენს ყურადღებას და დროს.

ეს წიგნი შენთვისაა, მეგობარო, თავად დარწმუნდი ჩემი სიტყვების სიმართლეში, ნაწარმოების კითხვისგან მიღებული სიამოვნების განცდა დიდხანს გაგყვება.

მწერალი, პუბლიცისტი და ლიტერატურის კრიტიკოსი
გიორგი აღნიაშვილი.

15 სექტემბერი, 2015 წელი.

* * *

მკითხველისადმი წარმოდგენილი რომანი „უცნაური რეტრომანის კოსმოსური ექსპერიმენტი“ ქ-ნ მაია მახარაშვილის ავტორობით, ფასეული და შთამბეჭდავია მწერლის ორიგინალური ხედვით და წარმოადგენს ჟანრობრივ სიახლეს ქართულ ლიტერატურაში, რადგან სათავგადასავლო ჟანრის ნაწარმოებში ჰარმონიულადაა შერწყმული დეტექტივის და ფანტასტიკის ელემენტები, რაც მეტად საინტერესოს ხდის რომანის შინაარსობრივ მხარეს.

წიგნში აღწერილი მოვლენები ვითარდება აწმყოსა და მომავალში, დედამიწაზე და კოსმოსში. ჩახლართული სიუჟეტი და, ერთი შეხედვით, ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებელი ეპიზოდების სიმრავლე მკითხველს არაერთ მოულოდნელ სიურპრიზს სთავაზობს. ცალკეული ეპიზოდები ორგანულად ერწყმიან ტექსტის ქარგას, ანვითარებენ მთავარ სიუჟეტს და წარმოადგენენ რა მის შემადგენელ ნაწილებს, რომანის ბოლოს ერთ მთლიანობად გვევლინებიან.

აღსანიშნავია, რომ რომანში აღწერილი გამოძიების პროცესი მწერლის მიერ გადმოცემულია ცხოვრებისეული რეალობის გათვალისწინებით. ფანტასტიკის ელემენტების გამოყენება რომანს შემეცნებით დატვირთვას სძენს. წიგნში მარტივადაა აღწერილი და განმარტებული ზოგიერთი თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემა, თუმცა მიუხედავად მათი სერიოზულობისა, საკითხის არსი გადმოცემულია მკითხველისათვის მისაღები წერის სტილითა და გასაგები ენით.

ნაწარმოებში ასევე ასახულია ავტორის მოქალაქეობრივი პოზიცია და პატრიოტული სულისკვეთება, ფილოსოფიურ ასპექტშია განხილული პლანეტაზე მოსახლე ერების და, საზოგადოდ, მთელი კაცობრიობის ადგილი სამყაროში. მთავარი გმირის მეშვეობით ავტორი ადამიანებს მშვიდობის, ურთიერთსიყვარულის და თანადგომისკენ მოუწოდებს.

რომანი ზომიერადაა გაჯერებული მოკლე ჩანართების სახით მოცემული ფსიქოლოგიურ-ლირიკული შეგონებებით, პოეზიით და სახალისო იუმორით, რაც სასიამოვნოს ხდის კითხვის პროცესს.

ნაწარმოები გამოირჩევა თემატიკის მრავალფეროვნებით, მათი შემეცნების და გადმოცემისადმი უჩვეულო, ავტორისეული მიდგომით და მრავალმხრივ გააზრებული, ღრმა შინაარსით.

წიგნი იკითხება შეუნელებელი ინტერესით და განკუთვნილია ყველა ასაკის მკითხველისთვის.

ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პოლიციის პოლკოვნიკი
თამაზ ზაქარაშვილი.

24 აგვისტო, 2015 წელი.

ავტორისაგან

ძვირფასო მკითხველო, თქვენს სამსჯავროზე წარმოდგენილი პროზაული ნაწარმოები გახლავთ ჩემი პირველი მოკრძალებული მცდელობა ამ ჟანრში. მინდა აქედანვე მოგახსენოთ, რომ განათლებით მათემატიკოსი და იურისტი ვარ და არანაირი პრეტენზია მწერლობაზე არასოდეს გამაჩნდა. წიგნი არ დაიწერებოდა, რომ არა ჩემი კოლეგები და მეგობრები ნეა ჯიქია და ქეთი მწარიაშვილი. სწორედ ამ მშვენიერი და გამჭრიახი ქალბატონების შეგონებამ, ჩემი შემოქმედებითი უნარისადმი რწმენამ და მორალურმა თანადგომამ გამაბედვინა პროზაში ჩემი ძალების მოსინჯვაზე სერიოზული ფიქრი და კალმის ხელში აღება, რისთვისაც ადამიანურად ყოველთვის მათი მადლობელი ვიქნები.

მახსოვს, 2011 წლის მზიანი და თბილი სექტემბერი იდგა. სამსახურში ჩემს სამუშაო მაგიდასთან ვიჯექი და ხელმძღვანელობის დავალებას ვასრულებდი. ოთახში მე და ქეთი ვიმყოფებოდით, ნეაც მალე შემოგვიერთდა. „ლექსები ხომ დაწერილი გაქვს და იქნებ პროზითაც დაკავებულიყავი, მაინც სულ რაღაცას წერ“, – მითხრა მან. ქეთიმაც მხარი აუბა: „მართლა კარგი იქნებოდა! მიდი, რამე დაწერე, პირველი მკითხველები ჩვენ ვიქნებით“. ჩვენი ნეა მოსწრებული ხუმრობების ოსტატია, ამიტომ გოგონების ნათქვამი მორიგ ხუმრობად მივიჩნიე და სიტყვა ბანზე ავუგდე: „ბალეტის ცეკვას, ან შტანგის აწევასაც ხომ არ მიბრძანებდით, გოგოებო?!“. „სულაც არ ვხუმრობ, – იწყინა ნეამ, – სერიოზულად გეუბნები“. „შენ ეს შეგიძლია და გამოგივა კიდეც“, – დაამატა ქეთიმ. „კარგით რა! რომელი მწერალი მე მნახეთ? – გამიკვირდა, – ლექსებს რომ ვწერ, არ ნიშნავს, რომ პროზაულ ნაწარმოებებსაც უნდა შევეჭიდო! სკოლა რუსულად დავამთავრე და ქართული გრამატიკაც კი არასოდეს მისწავლია! პროზაულ ნაწარმოებს როგორ შევქმნი?!“ „აბა, სცადე, – გაიღიმა ნეამ, – თუ არ გამოგივა, გპირდები, ამ ამბავს ჩვენს გარდა, ვერავინ გაიგებს“. ნეას ბოლო ფრაზაზე სიცილი ამიტყდა: „აბა, საქვეყნოდ რომ არ შევრცხვე!“. „იქნებ მუშაობა დღესვე დაგეწყო, საინტერესო თხზულებას უკვე მოუთმენლად ველით,“ – წამქეზებლურად გამომიცხადა ქეთიმ.

სიმართლე გითხრათ, გოგონების მოთხოვნამ საგონებელში ჩამაგდო, ბევრი ფიქრისა და ყოყმანის შემდეგ დეტექტივის დაწერა გადავწყვიტე, რადგან ეს ჟანრი გამორჩეულად მიყვარს. ყოველთვის მომწონდა დეტექტივები, სადაც წინა პლანზე წამოწეულია თვით გამოძიების პროცესი, დაპირისპირებულ ინტელექტთა ჭიდილი, ლოგიკური ლაბირინთები და არა ე.წ. „ექშენი“, ამიტომაცაა, რომ ჩემს რომანში (რომელიც არ წარმოადგენს კლასიკურ დეტექტივს), სახელწოდებით „უცნაური რეტრომანის კოსმოსური ექსპერიმენტი“, აღწერილია პოლიციელი ქალის

უჩვეულო თავგადასავლის გამოძიების პერიპეტიები.

ორიგინალურობისათვის ნაწარმოების ტექსტის ქარგას ფილოსოფიური ლექსი და ლირიკულ-ფსიქოლოგიური წიაღსვლები ჩავაქსოვე, წიგნის ყდა კი მთავარი გმირის პოეტურ წარმოსახვაში აღმოცენებული, იკლიკანტურად მოხაზული გეომეტრიული ფიგურების ფერადოვნებით შევამკე; კითხვადობისათვის მონათხრობი საგანგებოდ შეთხზული ანეგდოტით გავახალისე და მსუბუქი იუმორით გავაჯერე; ხოლო მოქმედების დინამიურობისათვის კოსმოსთან დაკავშირებული მცირეოდენი ინფორმაცია პოპულალური ენით გადმოვეცი და ფანტასტიკის ელემენტები გამოვიყენე; თუმცა, აქვე შევნიშნავ, რომ ეს არ არის სამეცნიერო ფანტასტიკა კლასიკური გაგებით. ჩემის აზრით, წიგნი გასართობი, თუმცა ამავე დროს, დამაფიქრებელი და შემეცნებითი ხასიათისაა.

წიგნზე თითქმის წელიწად-ნახევრის განმავლობაში ვშრომობდი, მუშაობის პროცესი ძალიან გამიჭიანურდა, ჩემი კოლეგები კი ნაწარმოების დასრულებას დიდი ინტერესითა და მოთმინებით ელოდნენ... რა უნდა მექნა, თავისუფალი დრო თითქმის არ მქონდა და ტექსტის პირდაპირ ჩემი საყვარელი „პრობუქის“ ეკრანზე „წერას“ საშუალოდ ათ დღეში ერთხელ თუ ვახერხებდი ხოლმე.

არ ვიცი, რამდენად ლოგიკურად დამაჯერებელი და საინტერესოდ წასაკითხი რომანი გამომივიდა, რადგან მასში აღწერილი ყველა პერსონაჟი და მოვლენა, ავტორის ფანტაზიისა და ცხოვრებისეული დაკვირვების ნაყოფია და რეალურ ფაქტებს არ ეყრდნობა. დანამდვილებით შემიძლია მოგახსენოთ მხოლოდ ის, რომ შემოქმედებითი წვის სიხარულსა და კმაყოფილების გრძნობას ვერაფერი შეედრება! თავდაუზოგავი შრომის შედეგის განსჯა და ობიექტური შეფასება კი თქვენთვის მომინდვია. იმედია, დრო ფუჭად არ დაგეკარგებათ...

წიგნს ვუძღვნი ჩემთვის მეტად ძვირფასი და ახლობელი ადამიანის, კეთილშობილი, ბრძენი და სპეტაკი ქალბატონის, მრავალი თაობის აღმზრდელის, ჩემი უსაყვარელესი დეიდის, პირმშვენიერი ნელი კურდღელაძის ნათელ ხსოვნას, რომელსაც ჩემს სულმნათ მშობლებთან ერთად, დიდი წვლილი მიუძღვის ჩემს აღზრდასა და პიროვნებად ჩამოყალიბებაში. ქალბატონი ნელი შემკული გახლდათ ჭეშმარიტი ქართველი მანდილოსნის ღირსებებითა და საუკეთესო თვისებებით, იგი უანგაროდ თესდა სიკეთეს და ნებაყოფლობით შესწირა თავი ოჯახის კეთილდღეობას. დღეს მისი დაბადების დღეა...

ღრმა პატივისცემითა და საუკეთესო სურვილებით,
თქვენი **მაია მახარაშვილი.**

22 ივნისი, 2013 წელი,
ქ. თბილისი.

P.S. გულწრფელ მადლობას ვუხდი ჩემს პატივცემულ კოლეგებს – პოლიციის მაღალჩინოსან ოფიცრებს-ინფორმაციისათვის მსოფლიოში ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის საკითხთან დაკავშირებით, და რომანის პირველ მკითხველებს, გონიერ და გულისხმიერ ქალბატონებს, ჩემს მეგობრებს ნელი ამბოკაძე-დიასამიძისას და ინგა კობაიძეს, ჩემს კოლეგებსა და მეგობრებს: მარინა მიქელაძეს, რუსუდან მაისურაძეს, მარიამ გედენიძეს და ანა ბასილაშვილს. მინდა გითხრათ, რომ სწორედ მეგობრებისა და კოლეგების გამამხნევებელმა და წამახალისებელმა მორალურმა მხარდაჭერამ, საკუთარი ძალების რწმენასთან ერთად, მხნეობა და გამბედაობა შემმატა და ნაწარმოების ფართო საზოგადოებისათვის წარდგენა გადამაწყვეტინა.

20 მარტი, 2014 წელი,
ქ. თბილისი.

P.P.S. განსაკუთრებულ მადლობას მოვახსენებ წიგნის წინასიტყვაობის ავტორებს, განსწავლულ და კომპეტენტურ პიროვნებებს – შესანიშნავ მწერალს, პუბლიცისტსა და ლიტერატურულ კრიტიკოსს, პატივცემულ **გიორგი აღნიაშვილს** და ნაწარმოების პირველ მკითხველს, შემფასებელსა და კრიტიკოსს, ჩემს უფროს კოლეგას, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორსა და პოლიციის პოლკოვნიკს, პატივცემულ **თამაზ ზაქარაშვილს,** რომელთა მაღალი შეფასებებიც დიდ პასუხისმგებლობას მაკისრებს და ახალი ნაწარმოებების შექმნისადმი განმაწყობს.

15 სექტემბერი, 2015 წელი,
ქ.თბილისი.

ვუძღვნი კეთილშობილი, ერთგული და თავდადებული ადამიანის, სპეტაკი პიროვნებისა და ღირსეული მოქალაქის, მრავალი თაობის აღმზრდელის, ჩემი უსაყვარლესი დეიდის, პირმშვენიერი ***ნელი კურდღელაძის*** ნათელ ხსოვნას ...

უცნაური რეტრომანის კოსმოსური ექსპერიმენტი

რომანი

(მონათხრობი ამბავი და ყველა პერსონაჟი შეთხზულია, რეალურ მოვლენებთან და პიროვნებებთან დამთხვევა შემთხვევითია)

ნაწილი I. მოსიარულე გამოცანა

თავი I. „უცნაური რეტრომანი“

დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, პოლკოვნიკი დავით დავითინიძე, 2051 წლის 25 აპრილის მზიან დილით, საკუთარი კაბინეტის ფანჯრებიდან დეპარტამენტის ეზოს იისფრად და თეთრად გადაპენტილი იასამნის ბუჩქებში გარინდულ, ჩიტებზე მონადირე ფაფუკბეწვიან, ჭრელ, სპარსული ჯიშის კატას ღიმილით უმზერდა და განცვიფრებული ფიქრობდა: „ეს საიდანღა მოეხეტა?! სრული ბედნიერებისათვის კატებიღა მაკლდა! ვახოს ვეტყვი საკომენდანტოში დარეკოს, გაარკვიოს ვისია. დროზე მოაშორონ აქედან – ერთ საათში „ფარი“ ჩაირთვება!“

მოულოდნელად კარი გაიღო და პოლკოვნიკის თანაშემწე, მაიორი ვახტანგ ჭეიშვილი შეშფოთებული სახით დაუკაკუნებლად შემოვიდა.

– ბატონო დავით, სამორიგეოდან დამირეკეს, ვიღაცაა მოსული, დირექტორთან აუდიენციას კატეგორიულად ითხოვს – სიკვდილ-სიცოცხლის საკითხიაო, სახელმწიფოს უსაფრთხოებისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ვფლობო. დაცვის ბიჭებს უთქვამთ, უცნაურად კი აცვია, მაგრამ გიჟს არ ჰგავსო. როგორ მოვიქცეთ?

– პირადად შეხვდი, შემოწმების სრული პროცედურა გაიაროს. თუ რაიმე საეჭვოს აღმოუჩენთ, დააკავეთ და მომახსენეთ. თუ „სუფთა“ იქნება, ამოიყვანეთ, გავესაუბრები. მოქალაქეები მსგავსი თხოვნით ყოველდღე არ მოგვმართავენ. მართლა, გაარკვიე ერთი, ეზოში კატა როგორ მოხვდა.

– კატა?! – გაუკვირდა ჭეიშვილს, – რას ბრძანებთ!

– დიახ, ფისუნია! იასამნებთან ნადირობს. პატრონს ცხოველის აქ მოყვანა როგორ მოაფიქრდა?! უთხარით, დროზე წაიყვანოს, თორემ დისციპლინარული გადაცდომის გამო, გვერდებდაბრაწულ და იმ კატასავით ფუმფულა საყვედურს წუთში გამოვაცხობინებ. ზოგიერთს ხომ არ ავიწყდება, რომ უსერიოზულეს სახელმწიფო დაწესებულებაში მსახურობს?!!

– ყველაფერი გასაგებია, ბატონო დავით, – მაიორი კაბინეტიდან გამოვარდა, სიცილს ძლივს იკავებდა. ჭეიშვილი კარგად იცნობდა დავითინიძეს და იცოდა, რომ სიმკაცრის საფარველს მიღმა კაცთმოყვარე და კეთილი პიროვნება იმალებოდა.

პოლკოვნიკს ტიპიური ქართველის გარეგნობა ჰქონდა: თეთრ სახეს

მაღალი შუბლი, თაფლისფერი თვალები, ოდნავ კეხიანი ცხვირი, ოთხკუთხედი ფორმის ფოსოიანი ნიკაპი და მუქი წაბლისფერი წვერ-ულვაში უმშვენებდა; ხშირი და ტალღოვანი თმის პატრონს სქელი, ზეაზიდული წარბები და თვალთა გამჭოლი მზერა შეუვალ გამომეტყველებას სძენდა. პოლკოვნიკი ჩაცმას დიდ ყურადღებას აქცევდა და ყოველთვის რიგიანად გამოიყურებოდა, კლასიკური სტილით ეცვა, მაგრამ მოდის ტენდენციებსაც ითვალისწინებდა.

პოლკოვნიკმა დავით დავითინიძემ საქართველოს დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტში მუშაობა თვრამეტი წლის წინ 2033 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, ოცდასამი წლის ასაკში, რიგით ოპერატიულ თანამშრომლად დაიწყო. ახოვანი ახალგაზრდა სტუდენტობისას თსუ-ს რაგბის ნაკრების წევრი იყო და დღემდე უპირატესობას ცხოვრების ჯანსაღ წესს ანიჭებდა. დავითინიძის წარმატებული თანამდებობრივი წინსვლა განპირობებული იყო დაკისრებული მოვალეობებისადმი მისი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებითა და საქმისადმი თავდადებული ერთგულებით. პოლკოვნიკის უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით ქართული სახელმწიფოს უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული არაერთი დანაშაული დროულად იქნა აღკვეთილი. დავითინიძე ერთდროულად იყო გულანთებული მეომარი და ერუდირებული ინტელექტუალი, უშიშარი მზვერავი და ცინცხალი იუმორის დიდი მოყვარული, სამშობლოს მტრებისადმი დაუნდობელი ჯარისკაცი და მრავალრიცხოვანი ოჯახის გულჩვილი და მოსიყვარულე მამა.

პოლკოვნიკი კადრებს დიდი სიფრთხილით არჩევდა: თანამშრომლების შერჩევისას დაწვრილებით სწავლობდა მათ ბიოგრაფიულ მონაცემებს, ყოველთვის ითვალისწინებდა კანდიდატის პიროვნულ თვისებებსა და საქმიან უნარ-ჩვევებს. დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტში უღირსი და შემთხვევითი პირი ვერ მოხვდებოდა, რადგან შესაბამისი სამსახურები, როგორც პოლკოვნიკს უყვარდა თქმა, დეპარტამენტში მუშაობის მსურველთ „საცერში ატარებდნენ“ და „უცხვირ-პირო ქარიყლაპიებსა და უვიც ჩიტირეკიებს დაახვევინებდნენ ხოლმე“. ზედმიწევნითი შერჩევის შედეგად დეპარტამენტში სამუშაოდ აყვანილ თანამშრომლებს პოლკოვნიკი მამასავით უფრთხილდებოდა და სამართლიანად ეპყრობოდა. ცხადია, გზააბნეული კატის გამო, პოლკოვნიკი დავითინიძე არავის დასჯიდა, მაგრამ როგორც ხელმძღვანელი, ვალდებული იყო წესრიგის დაცვაზე ეზრუნა.

მაიორი ვახტანგ ჭეიშვილი, ოცდათორმეტი წლის საშუალო სიმაღლის, სპორტული აღნაგობისა და სანდომიანი გარეგნობის, საქმიანი და

ენერგიული ახალგაზრდა კაცი, პოლკოვნიკ დავით დავითინიძის თანაშემწედ უკვე 2 წელია მსახურობდა. მამაცი და შეუპოვარი, მაღალი პასუხისმგებლობით გამოირჩეოდა და ხელმძღვანელობის დავალებებს მუდამ დროულად და ხარისხიანად ასრულებდა, განათლებით ფსიქოლოგი იყო და პროფესიული ჩვევები ადამიანებთან ურთიერთობას უადვილებდა. ჭეიშვილი კარატეს შავ ქამარს ფლობდა, ამასთან უყვარდა პოეზია და განსაკუთრებით გალაკტიონის ლირიკის მოტრფიალე გახლდათ. დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტში სამსახურის დასაწყებად, 10 წლის წინ, ყმაწვილ ჭეიშვილს კარატეს ფედერაციამ გაუწია რეკომენდაცია.

***

„ისე, მართლა საკვირველია, როგორ მოახერხა ცხოველმა დაცულ პერიმეტრზე შეუმჩნევლად შემოსვლა?! მართალია, „ფარზე“ პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს და ველი გათიშულია, მაგრამ ვიდეოკამერები, ხმის ჩამწერი მოწყობილობები და სენსორული რადარები ირგვლივ ხომ ყველაფერს ქრონოლოგიურად აფიქსირებენ; შენობის კომენდატურა, უსაფრთხოების სამსახური და ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურები გამოცდილი კადრებითაა დაკომპლექტებული, – წესით არაფერი უნდა გამოჰპარვოდათ. დარწმუნებული ვარ, არც ერთ თანამშრომელს თავში აზრადაც არ მოუვიდოდა საყვარელი ფისუნიას „იმენნა“ დეპარტამენტის ეზოს მწვანე ბალახზე გასეირნება!.. ვერ ვხვდები, რა ხდება... აბა, ვნახოთ, გარე დაცვის ბიჭები რას იტყვიან?...“ – შეფიქრიანებული ჭეიშვილი დეპარტამენტის რკინის გისოსებიანი ეზოს ჭიშკრისაკენ სწრაფი ნაბიჯით გაემართა და მოულოდნელად ამაღელვებელ სცენას შეესწრო.

ეზოს შემოსასვლელთან ძველმოდურ სამოსში გამოწყობილი ახალგაზრდა ქალი შინაგანი ჯარის კბილებამდე შეიარაღებულ სამხედრო ფარაჯიან სამ ჯარისკაცს, ზემდეგსა და ორ სერჟანტს, რომლებსაც შენობის მიმდებარე ტერიტორიის უსაფრთხოების უზრუნველყოფა ევალებოდათ, თვალებში ჯიქურ შეჰყურებდა და უშიშრად მიმართავდა:

– ბატონებო, კიდევ ერთხელ უმორჩილესად და დაბეჯითებით გთხოვთ, გადასცეთ თქვენს ხელმძღვანელობას, დეპარტამენტის დირექტორთან თუ არა, მის რომელიმე მოადგილესთან მაინც დამალაპარაკონ!

– ქალბატონო, უკვე გასაგებად აგიხსენით, რომ ეს სამხედრო პოსტის ტერიტორიაა! მერამდენედ გიმეორებთ, რომ აქ დგომა და სამხედრო პირებთან საუბარი მოქალაქეთათვის აკრძალულია. ჩვენი ხელმძღვანელობაც იგივეს გეტყვით.

– მესმის, რომ თქვენს მოვალეობას ასრულებთ. მერწმუნეთ, ნამდვილად არ მინდა ჩემ გამო შენიშვნა დაიმსახუროთ! მაგრამ მეც ხომ უნდა მოვიხადო ჩემი მოქალაქეობრივი ვალი ჩვენი საერთო სამშობლოს წინაშე! გემუდარებით, დამეხმარეთ, ეს ძალზე მნიშვნელოვანია!

– გთხოვთ, დაუყოვნებლივ დატოვოთ პოსტის მიმდებარე ზონა! ნუ გვაიძულებთ, მივიღოთ კანონითა და სამხედრო წესდებით გათვალისწინებული ზომები!

ქალს სახეზე ჩრდილმა გადაურბინა, დამფრთხალ ბეღურასავით მოიბუზა, ღრმად ამოიოხრა და ყრუდ წაიჩურჩულა:

– თქვენი მოვალეობაა ხალხისა და სახელმწიფოს უსაფრთხოების დაცვა! ამ ქვეყანაში კი მხოლოდ მე, შეიგნეთ, მხოლოდ მე ვფლობ იმ რიგის ფასეულ და საიდუმლო ინფორმაციას, რომელიც აუცილებლად უნდა იცოდეს მთავრობამ! თქვენი უაზრო სიჯიუტე შესაძლოა ქვეყნისათვის საბედისწერო აღმოჩნდეს! მე მომკლავენ და ამბის მთქმელიც აღარავინ დარჩება! თქვენც იცით, რომ დაზვერვის დეპარტამენტში რიგითი მოქალაქეები და გიჟები არ მოდიან ხოლმე, აქ გასართობად ხომ არ ამოვიდოდი?! ვერ გამიგია, რა დაშავდება, თქვენი ხელმძღვანელობა თუ გამესაუბრება?! ბოლოს და ბოლოს, თქვენ ვალდებულნი ხართ დაუყონებლივ მოახსენოთ უფლებამოსილ ზემდგომ იერარქებს ჩემი აქ ყოფნისა და აუდიენციის მოთხოვნის შესახებ! შესანიშნავად მესმის სამხედრო დისციპლინისა და სუბორდინაციის საკითხები!

სამხედროებმა შენიშნეს ეზოში, ცაცხვის ხეს ამოფარებული ვახტანგ ჭეიშვილი, რომელიც უცნობ მოქალაქესთან მათ საუბარს ყურადღებით უსმენდა, ამიტომ ქალს აღარაფერი უთხრეს და ხელმძღვანელობის შედგომ მითითებებს მდუმარედ დაელოდნენ. ქალიც დადუმდა და მავედრებელი სახით დეპარტამენტის შენობას მიაჩერდა. დროდადრო ქუჩას გახედავდა ხოლმე.

ქალის ძველმოდურმა, დარბაისელმა იერმა, გულის სიღრმიდან აღმომხდარმა სიტყვებმა და საუბრის დახვეწილმა, აკადემიურმა მანერამ ვახტანგ ჭეიშვილი შეაცბუნა და განაცვიფრა:

„სამორიგეოდან ამ ქალის თაობაზე დარეკავდნენ. უცნაური ვინმეა... ასაკით ოცდაათიოდე წლისა თუ იქნება და ორმოცი წლის წინანდელ ვარცხნილობას და სამოსს ატარებს, – ალბათ, რეტრომანია. ეტყობა, სიძველეები „მაგრა ევასება“. უაზროდ, თუმცა სუფთად აცვია, კოსმეტიკის ნასახიც არ ეტყობა – „ვიდზე“ ვერ არის, თორემ საკმაოდ ლამაზი ქალი უნდა იყოს... აგრესიულიც არ არის, პირიქით, მშვიდია... დალაგებულად მსჯელობს, თავშეკავებულად და ზრდილობიანად იქცევა... კარგად აღზრდილი, განათლებული და გაბედული ადამიანის

შთაბეჭდილებას ტოვებს... გიჟს ნამდვილად არ ჰგავს... არა, გიჟი კი არ არის, უცნაური რეტრომანია... ჰმ, ძალიან კი ნერვიულობს – გამუდმებით თვალებს აქეთ-იქით აცეცებს და ირგვლივ ყველაფერს დაკვირვებით ათვალიერებს, ალბათ სიტუაციას ზვერავს. თანაც ამას გამოცდილი „ოპერივით“, შეუმჩნევლად და მოხერხებულად აკეთებს... „ტიპშა“ ნახე, ტო! საიდან ეგეთი „ზამაშკები“?! ეტყობა რაღაცის ან ვიღაცის ეშინია, იქნებ ვინმეს ელოდება?..“

მაიორი ჭეიშვილი ადამიანების შეფასებაში თითქმის არასოდეს სცდებოდა. დეპარტამენტში ლეგენდები დადიოდა მისი შინაგანი ინტუიციისა და უტყუარი პროფესიული ალღოს შესახებ. ამჯერადაც, იგი უცნობ ქალს ფარულად აკვირდებოდა და პირველადი შეფასებითი დასკვნებიც მალევე გამოიტანა:

„საოცარია, მაგრამ არის ამ ქალში რაღაც იდუმალი მუხტი – უცნობი ადამიანების ნდობის მოპოვება და მათი თანაგრძნობის გამოწვევა ადვილად შეუძლია. ამას, ალბათ, გულწრფელი და მეტყველი გამოხედვით, მიმართვის უშუალობითა და კეთილმოსურნე საუბრით ახერხებს... კი მაგრამ, ისეთი რა ინფორმაციის მატარებელია, დეპარტამენტში რომ არ ვიცით? თანაც, ტყუილი რაში უნდა სჭირდებოდეს? იქნებ, უცხოეთის სპეცსამსახურების მიერაა შემოგზავნილი, ან მართლა ფსიქიკური პრობლემები აქვს და თავგადასავლებს ეძებს? „შეფის“ ბრძანების თანახმად, ოპერატიული შესწავლის სამსახურს მონაცემთა ყველა სპეციალურ ბაზაში დეტალურად შევამოწმებინებ და ჩემს კაბინეტში დაველაპარაკები. საინტერესოა, რას მოგვახსენებს!“

ჭეიშვილი ცაცხვის ხეს მოსცილდა, ეზოს შემოსასვლელთან დინჯად მივიდა და „უცნაურ რეტრომანს“ ხაზგასმული თავაზიანობით მიმართა:

– გთხოვთ, დამშვიდდეთ, ქალბატონო! სულ მალე სავალდებულო ფორმალურ პროცედურას გაივლით და დეპარტამენტის ხელმძღვანელობასთან შეგახვედრებთ. ჩემს თანამშრომლებს დაელოდეთ, რამდენიმე წუთში მოგაკითხავენ.

– დიდი მადლობა, ჩემო ბატონო, – ქალს ცრემლები წამოსცვივდა, ხმა აუკანკალდა და გაჩუმდა.

„ეს ქალი ან უდიდესი სამსახიობო ნიჭით დაჯილდოებული, უმაღლესი კლასის მეტად საშიში „შპიონია“, ან შიზოიდურად სენტიმენტალური ფსიქოპატი, ან ... ნამდვილად სიმართლეს ამბობს, მართლა რაღაცა იცის... ამასაც მალე გავარკვევთ...“ – თითქოს მრავალუცნობიან განტოლებათა სისტემის ამოსახსნელად ემზადებაო, მაიორმა წარბები შეიჭმუხნა და ჩაფიქრდა.

* * *

გაზაფხულის მზით გამთბარი და ახლადგაღვიძებული სიცოცხლით აღსავსე, ხალისიანი დილა იდგა... აკაციისა და ჭადრის ხეების ჯერ კიდევ ნორჩი სიმწვანე მოკრძალებულად იღიმებოდა. ახლად ამოსულ, სათუთ ბალახში გამოხვეული ბელტები წვრილ გოროხებად იშლებოდნენ და მინდვრის ფაქიზ ყვავილებს მეგობრულად ესალმებოდნენ. გამჭვირვალე ჰაერი ნუშისა და ატმის აყვავებული კვირტების მოტკბო სურნელით გაჯერებულიყო და სამშობლოში ახლადჩამოფრენილ მერცხლებს მშობლიური არომატით ატყვევებდა. მზე მიწასა და ზეცას ეალერსებოდა და სამივენი ერთად ადამიანებს თავზე რწმენასა და იმედს გულუხვად აფრქვევდნენ. გაზაფხულის უნაზესი სინატიფისაგან აღფრთოვანებული ადამიანები, ანცი ქარისაგან ნაჩუქარ, მცენარეების სურნელებისა და მიწის ოხშივარის მაჭარივით მათრობელა ნაზავს ეწაფებოდნენ და მზის მონარნარე სხივებში უდარდელად ნებივრობდნენ...

საქართველოს დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის ხუთსართულიანი შენობა მთაწმინდაზე, სატელეკომუნიკაციო ანძასთან ახლოს მდებარე ბორცვზე იყო განთავსებული და ქალაქს ცად აფრენილი არწივის თვალთახედვის სიმაღლიდან, მხნედ და ერთგულად მოდარაჯე სფინქსის მედიდურობით, ფხიზლად და საქმიანად გადმოჰყურებდა. შენობის გადმოსახედიდან გაზაფხულის თბილისის ულამაზესი პანორამა გაფურჩქნილი ვარდის მომხიბვლელობით, თვალწარმტაცად იშლებოდა...

ვახტანგ ჭეიშვილს ბუნება უყვარდა და დეპარტამენტის სხვადასხვა ფერის აყვავებული იასამნებით, ტიტებითა და ნარცისებით დამშვენებულ, მწვანე მოლიან ეზოში ყოფნა სიამოვნებდა...

მაიორმა ჭეიშვილმა დაზვერვის დეპარტამენტის ერთ-ერთ ძველ და გამოცდილ მუშაკს, ოპერატიული შესწავლის სამსახურის უფროსს, ვიცე-პოლკოვნიკ ავთანდილ კაიშაურს მობილური ტელეფონით დაურეკა და დეპარტამენტის შენობის მთავარ შესასვლელთან რომელიმე ხელქვეითთან ერთად მისვლა სთხოვა.

ავთანდილ კაიშაური ინგლისურ, რუსულ და თურქულ ენებს კარგად ფლობდა, ამიტომ მეგობრები მას მეტსახელად „პოლიგლოტას“ ეძახდნენ.

– რა ხდება, ვახტანგ? – დაიბნა კაიშაური.

– არაფერი, „პოლიგლოტ“, – გაეცინა ჭეიშვილს, – აქ ერთ ძალიან საინტერესო ადამიანს უნდა გავესაუბროთ.

– მეხუმრები?! გაზაფხულდა და სუფთა ჰაერზე ყოფნა მოგენატრა!

– რა დროს ხუმრობაა, თვით დავით დავითინიძის ბრძანებაა!

ზუსტად სამ წუთში ავთანდილ კაიშაური თავის ოპერატიულ თანამშრომელთან, დეპარტამენტში სხარტი გონებითა და სიმკვირცხლით ცნობილ კაპიტან ოთარ ლაბაძესთან ერთად შენობის მთავარ შესასვლელთან იდგა. ისინი უცნობ ქალს ყურადღებით აკვირდებოდნენ და ჭეიშვილის ვრცელ მონათხრობსა და სახელმძღვანელო მითითებებს გულისყურით ისმენდნენ.

– მოკლედ, როგორც მიხვდით, ამ ქალმა თავისი „სპიჩით“ გარე დაცვის ბიჭები „გზაზე მიყარ-მოყარა“. მაგარი „დაქოქილი“ ვინმე ჩანს. ჩვენი ამოცანაა უმოკლეს დროში ყოველმხრივ შევისწავლოთ და შედეგები ბატონ დავითს ოპერატიულად მოვახსენოთ. გასაგებია? – იკითხა ჭეიშვილმა.

– „შესწავლაში“ რა იგულისხმება, იქნებ დაგვიკონკრეტო? – ჩაეკითხა კაიშაური.

– ხელმძღვანელობის დავალების თანახმად, პერიმეტრს გარეთ მდგომი ქალბატონი პიროვნების იდენტიფიცირების მეთოდიკის მოთხოვნების მკაცრი დაცვით უნდა შემოწმდეს და შემოწმების სრული პროცედურა დეტალურად უნდა გაიაროს. იმედია, კარგად იცით „შემოწმების სრული პროცედურის“ ალგორითმი და გესმით რას ნიშნავს „მოთხოვნების მკაცრი დაცვა“. შეგახსენოთ?!

– არა, შეხსენება არ გვჭირდება, პროცედურა ვიცით. კარგი რა, ვახო, განა ვინ არის ასეთი და რა დანაშაული ჩაიდინა ამ საცოდავმა, გაქუცულმა ქალმა, ასეთ წნეხში რომ გავატაროთ?! სახელმწიფო დამნაშავე ხომ არ არის! – პროტესტი განაცხადა კაიშაურმა.

– შენ რა, არ მისმენდი?! „საცოდავი“ დაუძახე, იქნებ მტრის აგენტია, ხომ გითხარი, რაც თქვა – ქვეყანას საფრთხე ემუქრებაო, რაღაც საიდუმლო ინფორმაციას ამ ქვეყანაში მხოლოდ მე ვფლობო, მომკლავენო და მისთანები... – გაბრაზდა ჭეიშვილი.

– და, იქნებ, გიჟია? – იკითხა ლაბაძემ.

– ჰოო და, გავარკვიოთ, ვინ ბრძანდება! ქალბატონის შესახებ საერთოდ არაფერი ვიცით, ამდენად, ინფორმაცია უნდა მოვიპოვოთ და შევაგროვოთ, „სრული პროცედურაც“ ამიტომაა საჭირო. აბა, დროებით, იმოქმედეთ. ხო, ავთო, შენს ბიჭებს უთხარი ქალს პატივისცემითა და თავაზიანად მოექცნენ, ლაპარაკში არ აყვნენ და ყოველნაირი კომენტარისაგან თავი შეიკავონ. ბატონ დავითთან შესვლამდე, ჩემთან შევიკრიბოთ. ოთხ საათში გელოდებით. – ჭეიშვილმა საუბარი დამთავრებულად მიიჩნია, კაიშაურსა და ლაბაძეს ხელი ჩამოართვა და ის იყო, კომენდატურაში უნდა წასულიყო, როდესაც თვალი მოჰკრა ეზოში ხტუნვა-ხტუნვით მონავარდე ჭრელ კატას, რომელსაც დეპარტამენტის შენობის კომენდატურის ორი თანამშრომელი კისრისტეხით მოსდევდა.

დაცული ტერიტორიიდან ცხოველის დროული გაყვანა აუცილებელი იყო, რადგან შენობის მიმდებარე პერიმეტრის დამცავი ელექტრო-მაგნიტური სისტემა, ე.წ. „ფარი“ პროფილაქტიკური სამუშაოების დამთავრებისთანავე, ნახევარ საათში უნდა ამუშავებულიყო და დეპარტამენტის ეზოს რკინის გისოსებზე მოქმედი მძლავრი ელექტრო-მაგნიტური ველი ძრომიალის მოყვარულ, მოუსვენარ და ცნობისმოყვარე კატას შეიწირავდა.

მანამდე მდუმარედ მდგომი უცნობი ქალი, კატის დანახვაზე გისოსებთან მივარდა და განწირული ხმით აკივლდა:

– არაფერი დაუშავოთ, ძალიან გთხოვთ, ჩემი კატაა! ხელიდან დამისხლტა და თქვენს ეზოში გადმოხტა!

გაოგნებულ ვახტანგ ჭეიშვილს თვალები გაუფართოვდა: ყველაფერს იფიქრებდა, მაგრამ ეს ვიღაც შერეკილი ქალი დაზვერვის დეპარტამენტის ხელმძღვანელობასთან შესახვედრად კატით თუ გამოცხადდებოდა, ნამდვილად ვერ წარმოიდგენდა.

– აკი გიჟი არ არისო? – ჩაეცინა ოთარ ლაბაძეს.

– მე რა ვიცი... ადექვატური საქციელი და საუბარი ჰქონდა! – თავი იმართლა უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილმა ვახტანგ ჭეიშვილმა.

– ქალებს რას გაუგებ, ძმაო, მაგათი აზროვნების მიმართულება ამოუცნობი ლაბირინთია, ლოგიკა კი – კაპრიზების სინთეზის ნაყოფი! – დაამშვიდა „ქალების ალოგიკურობაში“ მტკიცედ დარწმუნებულმა ოთარ ლაბაძემ.

– მაინც გინდა ხელმძღვანელობას შეახვედრო?! ისე, ამ „ისტერიჩკას“ გამო უფროსობასთან თავის შერცხვენა არ ღირს, – კეთილი ღიმილით ურჩია ავთანდილ კაიშაურმა.

– მისი ეს გამოხდომა ბევრს არაფერს ცვლის – უნდა შევისწავლოთ! ამ ქალის შესახებ ჩვენს მიერ მოპოვებული ინფორმაციის მიხედვით, შემდგომ სამოქმედო სქემას ხელმძღვანელობა თვითონ განსაზღვრავს. ასე რომ, თქვენი დავალება ძალაში რჩება. ამასთან, აუცილებლად გაარკვიეთ, ცხოველი აქ რა ჯანდაბად მოათრია?!.. კატა საფუძვლიანად შეამოწმებინეთ: რადიაციის წყარო არ იყოს, კანში ჩადგმული ჩიპი ან ქიმიური ნივთიერებებით დამუშავებული ბეწვი არ ჰქონდეს. კარგი, შევხვდეთ, როგორც შევთანხმდით. – მაიორმა ვახტანგ ჭეიშვილმა კოლეგებს თავი დაუკრა და საპატაკოდ პოლკოვნიკ დავით დავითინიძის კაბინეტისაკენ გაემართა.

***

კაიშაურმა და ლაბაძემ ერთმანეთს გადახედეს: ორივემ მშვენივრად

იცოდა, თუ რას ნიშნავდა „შემოწმების სრული პროცედურის გავლა“ და რა შრომატევადი სამუშაოს შესრულება მოუწევდათ მოკლე დროში.

საქართველოს დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტისათვის ოპერატიული თვალსაზრისით საინტერესო პირების (ანუ შპიონაჟში, ტერორიზმში, ან სახელმწიფო უსაფრთხოებისათვის სხვა საშიშ დანაშაულში ეჭვმიტანილი პირების) იდენტიფიცირება (პიროვნების დადგენა) და მათი ყოველმხრივი შესწავლა ხდებოდა მსოფლიოს დემოკრატიული ქვეყნების სამართალდამცავი ორგანოების პრაქტიკულ საქმიანობაში დანერგილი ზოგადი მეთოდიკის მიხედვით, რომელიც ჰუმანიზმის პრინციპებს ეყრდნობოდა და პიროვნების სამედიცინო, ფსიქოლოგიური, ინტელექტუალური და ოპერატიულ-ინფორმაციული მიმართულებებით შემოწმების ერთიან პროცესს მოიცავდა.

ავთანდილ კაიშაურმა პოსტზე მდგომ ზემდეგს მიმართა:

– მოახსენეთ თქვენს უფროსს, რომ ქალის დეპარტამენტის შენობაში დაშვების ნებართვას ვითხოვთ, – დავით დავითინიძის ბრძანების თანახმად, უნდა გამოიკითხოს.

– გასაგებია, ბატონო ვიცე-პოლკოვნიკო, ახლავე მოვახსენებ, – უპასუხა ზემდეგმა.

– ოთარ, ქალს მოსაცდელში დახვდი და პირველადი შემოწმების პროცესს დაესწარი. სანამ უსაფრთხოების სამსახურის ბიჭები თითების ანაბეჭდებს აუღებენ და დემოგრაფიულ მონაცემებს დააზუსტებენ, პირადობის დამადასტურებელი ბარათი გამოართვი და ექსპერტიზაზე გაუშვი, – ნამდვილობა გადამოწმდეს. პარალელურად, ანალიტიკური სამსახურის საინფორმაციო-საძიებო ბაზებში ობიექტის აგენტურასთან და კრიმინალთან კავშირებიც გადაამოწმებინე, ძებნის განყოფილების ბიჭებს კი სთხოვე, იქნებ ობიექტის პირადი ცხოვრებისა და წარსული საქმიანობის შესახებ ოპერატიული ინფორმაციის მოპოვება შესძლონ. სანამ ამ ყველაფერს შეისწავლიან, ქალი სამედიცინო ლაბორატორიაში შეიყვანე და მედპერსონალს უთხარი, რომ პროცედურით გათვალისწინებული ანალიზები აუღონ და ყველა გამოკვლევა ჩაუტარონ. ფსიქოლოგიურ და ინტელექტუალურ ტესტირებას პირადად დავესწრები და მივხედავ. შემოწმების მასალებს თავი მოუყარე და ორი საათისათვის ჩემთან მოდი, შედეგებს ცნობის სახით შევაჯამებთ. დროის ფაქტორი გაითვალისწინე! ოთხ საათში ჭეიშვილთან ვიკრიბებით! ყველაფერი გასაგებია?

– დიახ, ბატონო ავთო, – დაუდასტურა ლაბაძემ, – ვფიქრობ, დროში ჩავეტევით.

– ბატონო ვიცე-პოლკოვნიკო, ნებართვა მიღებულია, – მოახსენა კაიშაურს ზემდეგმა.

– მე უნდა დაგტოვოთ, – მიმართა ზემდეგს კაიშაურმა, – მოქალაქესთან კაპიტანი ლაბაძე იმუშავებს.

პოსტს საკმაო მანძილით რომ დაშორდნენ, კაიშაურმა დამრიგებლურად მიმართა ხელქვეითს:

– ოთარ, აბა, შენ იცი, უფროსობასთან არ შევრცხვეთ! ქალი შემოაყვანინე და პროცედურა დაიწყეთ. გაითვალისწინეთ, რომ მასთან ურთიერთობის პირველივე წამიდან დაწყებული, ნებისმიერი მანიპულაცია, პროცესი და პროცედურა ერთდროულად რამოდენიმე ვიდეო-კამერით, მათ შორის ფარულითაც, უნდა გადაიღოთ და უსაფრთხოდ შეინახოთ. ფოტოსურათების სხვადასხვა რაკურსში გადაღებაც არ დაგავიწყდეთ. მეტად მნიშვნელოვანია დაკითხვისას მისი სახის გამომეტყველებისა და ჟესტიკულაციის დაფიქსირება.

– ყველაფერი გასაგებია, ბატონო ვიცე-პოლკოვნიკო!

– აქაურობის ვიდეოჩაწერას უსაფრთხოების სამსახური კი აკეთებს, მაგრამ ფარულ კამერას მაინც გამოგიგზავნი, ახლავე დაიმაგრე. წავედი, მეთოდური ცენტრის უფროსს შევხვდები და შესაბამის ტესტებს მოვამზადებინებ, – კაიშაურმა ლაბაძეს გამამხნევებლად გაუღიმა და დეპარტამენტის შენობისაკენ გაეშურა.

ათიოდ წუთში ფარული კამერით აღჭურვილი ოთარ ლაბაძე დეპარტამენტის ეზოს შემოსასვლელთან მივიდა და უცნობ ქალს მიმართა:

– შეგიძლიათ შემოხვიდეთ, ქალბატონო. იმედია, პირადობის დამადასტურებელი ბარათი თან გაქვთ.

– დიახ, რა თქმა უნდა, ახლავე! – ქალმა ხელჩანთა გახსნა და აკანკალებული თითებით ბარათს ძებნა დაუწყო.

– აი, ინებეთ, გეთაყვა, – „უცნაურმა რეტრომანმა“ ბარათი ზემდეგს გაუწოდა. ზემდეგმა ჩამოართვა, სურათს დახედა და ლაბაძეს გადასცა.

– იქნებ, მობილური ტელეფონიც გადმოგვცეთ, – მოსთხოვა ლაბაძემ.

– მობილური ტელეფონი არ მაქვს, ჩემო ბატონო, – საწყლად უპასუხა ქალმა.

– რა, სახლში დაგრჩათ?

– არა, რაც დავბრუნდი, არ შემიძენია, მეშინია...

– კარგი, ამაზე მოგვიანებით ვისაუბროთ.

„მოკლედ, ეს დიაცი მოსიარულე პარადოქსია, რა!“ – ხელი ჩაიქნია ქალის პასუხით განცვიფრებულმა ლაბაძემ.

ამ დროს, ეზოში მოკუნტრუშე კატა, რომელსაც კომენდატურის თანამშრომლები მოსდევდნენ, გისოსებს შორის გაძვრა და უცნობ ქალთან კუდაპრეხილი მიცუნცულდა.

– სად დაშლიგინებ, შე საძაგელო კატა?! იცოდე, აღარ გაიქცე, თორემ ძალიან გავბრაზდები! – მოულოდნელად ქალი დაიხარა და ცხოველის ხელში აყვანას შეეცადა.

უეცრად ლაბაძეს ყურთან რაღაცამ დიდი სისწრაფით ჩაუქროლა და მოეჩვენა, რომ წუილმა ყურთასმენა დაუხშო.

– გვესვრიან!! დაწექით!!! – რაც შეეძლო ხმამაღლა იყვირა მან და რადგან უიარაღო იყო, იქვე ბალახებში ჩაწვა.

რამოდენიმე წამში სროლა კვლავ განმეორდა, ოღონდ ახლა საპირისპირო მხრიდან ისროდნენ. ლაბაძის ნავარჯიშევმა ყურმა ისიც დააფიქსირა, რომ მეორე გასროლა მოხდა არა მხოლოდ სხვა მხრიდან, არამედ სხვა იარაღიდანაც. შენობის დაცვის ჯარისკაცებმა სროლას სროლითვე უპასუხეს, უსაფრთხოების სამსახურის მითითებებს ზუსტად ასრულებდნენ და მიზანმიმართულად ისროდნენ.

„სნაიპერები ისვრიან, თანაც შორი მანძილიდან! „ფარი“ გამორთულია და ამ „ნაბიჭვრებმა“ იმიტომაც შესძლეს შეუმჩნევლად მოპარვა. ნეტავ, ის იდიოტი ქალი თუ ცოცხალია? ხომ თქვა მომკლავენო... ეტყობა საქმე სერიოზულადაა, რაკიღა მკვლელებმა აქ მოსვლა გაბედეს... როგორც ჩანს, ეს ქალი მართლაც ღირებულ ინფორმაციას ფლობს, თუკი მავანთათვის მისი ლიკვიდაცია ასე მნიშვნელოვანია,“ – ფიქრობდა გაოგნებული ლაბაძე.

სროლა წუთნახევარს გაგრძელდა და შეწყდა, ირგვლივ ავისმომასწავებელმა სიჩუმემ დაისადგურა.

– ცოცხალი ხარ, ოთარ?!! მანდ რა ჯანდაბა ხდება?!! – მობილური ტელეფონიდან გაჰკიოდა შეშფოთებული კაიშაური.

– „პერესტრელკაში“ მოვყევით!!! მოგვიანებით შეგეხმიანებით!

ლაბაძე წამოდგა და ეზოს გისოსებთან მწოლიარე ქალთან სირბილით მიიჭრა.

– არაფერია, ცოცხალი ვარ, – „უცნაური რეტრომანი“ ნაძალადევად იღიმებოდა, – თავდასხმას ველოდი, მგონი დაჭრილი არ უნდა ვიყო. ვიცი, დამცინებთ, მაგრამ თქვენც ნახეთ, სიკვდილს ამ ანცმა და თავნება ფისუნიამ გადამარჩინა.

– ფეხზე ადგომა თუ შეგიძლიათ? – ჰკითხა ქალს ჯერ კიდევ შოკურ მდგომარეობაში მყოფმა ლაბაძემ.

– დიახ, – მშვიდად უპასუხა მან და ზემდეგის დახმარებით წამოდგა.

– წამობრძანდით, ახლავე შენობაში შევიდეთ, იქ უსაფრთხოდ იქნებით.

ლაბაძემ ქალს მკლავში ხელი უცერემონიოდ მოჰკიდა და შენობისაკენ სირბილით გააქანა.

– სასწრაფოდ გაარკვიეთ, ხომ არავინ დაშავებულა, ვინ და საიდან ისროდა და ხელმძღვანელობას მოახსენეთ! – მიაძახა ზემდეგს ლაბაძემ.

– ყველაფერს გავარკვევთ, ბატონო კაპიტანო, – მხედრულად გაიჯგიმა ზემდეგი.

* * *

ავთანდილ კაიშაურმა და ოთარ ლაბაძემ დავალება პირნათლად შეასრულეს – უცნობი ქალის პიროვნების ირგვლივ მოპოვებულ მასალებს თავი მოუყარეს და დავით დავითინიძისათვის წარსადგენი ერთიანი ცნობის მოსამზადებლად ვახტანგ ჭეიშვილთან დათქმულ დროს გამოცხადდნენ.

– როგორც ყოველთვის, ოპერატიულად მუშაობთ, – შეაქო კოლეგები ჭეიშვილმა.

– სხვა რა გზა გვქონდა, ამ გადარეული ქალის გამო კინაღამ დაგვხოცეს, – წაიბუზღუნა ლაბაძემ.

მთავარია, გადარჩით... რას მეტყვით ახალს, ჭკვიანურსა და საინტერესოს?! – გაეღიმა მაიორს.

– სანამ უშუალოდ ამ ქალის პერსონიფიცირებაზე გადავალთ, იქნებ აგვიხსნა ამ დილით ვინ და რატომ ისროდა ეზოს შემოსასვლელთან? – იკითხა კაიშაურმა.

– როგორც უსაფრთხოების სამსახურმა გაარკვია, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ორი სნაიპერი ისროდა: ერთი – მთაწმინდის პარკის მხრიდან, ხოლო მეორე – სატელეკომუნიკაციო ანძის მიმდებარე კლდის მხრიდან. წარმოიდგინეთ, ამ ვითომ უწყინარ და როგორც შენ სთქვი, „საცოდავ“ ქალს პირდაპირი დამიზნებით ესროდნენ!

– ესე იგი, არ ტყუოდა, როცა ამბობდა მომკლავენო, – აღნიშნა ლაბაძემ.

– მოკლავდნენ, აბა რა იქნებოდა, რაც მაგან ჩაიდინა, – ჩაილაპარაკა კაიშაურმა.

– რაო, ჩაიდინაო?! ხომ დარწმუნდით, „სრული პროცედურა“ საჭირო ყოფილა. აბა, დროზე ამოშაქრეთ, რა ჩაიდინა? – ჭეიშვილს ერთი სული ჰქონდა, რაიმე მაინც შეეტყო „უცნაური რეტრომანის“ ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ.

– ჯერ გვითხარი, ვინც ისროდნენ, დააკავეს? – მოიღუშა კაიშაური.

– ერთი დააკავეს, თურქეთის მოქალაქე, ვინმე ქერიმ ტოპლუ აღმოჩნდა, ამჟამად დაკითხვაზე ჰყავთ. სხვათა შორის, მან აღიარა, რომ პირადად ჩვენს რეტრომანს ესროდა და იცით, რა განაცხადა?! „ეს თუ დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის შენობა იყო, არ ვიცოდი, თო-

რემ აქ სროლას როგორ დავიწყებდი. მე საქართველოს პატივს ვცემ!“-ო. რა თქმა უნდა, ტყუის, ყველაფერი მშვენივრად ეცოდინებოდა. ახლა არ მკითხოთ, თუ რატომ ესროლა ჩვენს „ფუფალას“, – ნამდვილად არ ვიცი, ჯვარედინი დაკითხვის დროს გაირკვევა. რაც შეეხება მეორე სნაიპერს (ანძის მხრიდან რომელიც ისროდა), ჩვენმა ბიჭებმა მიუვალ ადგილას, კლდის ძირას, მკვდარი იპოვეს, თუმცა ამტკიცებენ, ორჯერ ვესროლეთო. გვამს კი 4 ნატყვიარი აღმოაჩნდა, მათ შორის ერთი „საკონტროლოა“ – თავში. მოკლულის ვინაობა ყოველგვარი მცდელობის მიუხედავად, ვერ დადგინდა, რადგან ადგილზე სამხილები არ აღმოჩნდა. მოკლულს თან არანაირი საბუთი არ ჰქონდა, ამასთან არც დნმ-ის ანალიზმა, არც თითების ანაბეჭდებმა, არც თვალის ფსკერის ელექტროსკანირებამ შედეგი არ მოგვცა – ჩვენი მონაცემთა ბაზებიდან ვერანაირი ინფორმაციის მიღება ვერ შევძელით და ამჟამად ინტერპოლის ბაზებში ეძებენ. სამოქალაქო რეესტრის მონაცემებით, იგი საქართველოს მოქალაქე არ უნდა იყოს, არც საზღვარზეა დაფიქსირებული, ამდენად ქვეყანაში როგორ მოხვდა, გაურკვეველია. ვინ მოკლა – ისიც ბურუსითაა მოცული.

– რა იარაღიდანაა მოკლული? – დაინტერესდა ლაბაძე.

ჭეიშვილს სახე დაემანჭა, ჩაახველა და კბილებში გამოსცრა:

– მართალია, პროფესიონალი ქილერები იარაღს ადგილზე ტოვებენ ხოლმე, მაგრამ ამჯერად იარაღი ვერ იპოვეს. ალბათ, რაღაც მიზეზის გამო, მკვლელმა თან წაიღო.

– გვამიდან ამოღებულ ტყვიებს ექსპერტიზა ჩაუტარდათ? – ჩაეძია კაიშაური.

– რას შემომიჩნდით?! საქმეს მე კი არა, გამოძიების ეროვნულ ბიურო იძიებს! – ვედრებით შეხედა კოლეგებს ჭეიშვილმა. – როგორც ვიცი, პათანატომს დასკვნა ჯერ არ დაუდია, ხოლო ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნას არ ახმაურებენ. დასკვნები აქ კი არა, ბიუროში მივა. ხელმძღვანელობა თუ საჭიროდ ჩათვლის, გამოძიების შედეგებს ჩვენც შეგვატყობინებენ... ჯერჯერობით, სხვას ვერაფერს გეტყვით.

– ჰმ... უნდა შეგვატყობინონ, – ჰალსტუხი შეისწორა ავთანდილ კაიშაურმა. – საქმე ჩვენს „მზეთუნახავს“ ეხება.

– მოდით, თემას დავუბრუნდეთ. აბა, ქალის შესახებ რას მეტყვით? – მოსასმენად მოემზადა ვახტანგ ჭეიშვილი.

თავი II. იდენტიფიკაცია

ოთარ ლაბაძემ და ავთანდილ კაიშაურმა მოძიებული მასალები ვახტანგ ჭეიშვილს დაწვრილებით გააცნეს. პირუთვნელი მსჯელობისა და უტყუარი ფაქტების შეჯერების შედეგად მიღებული დასკვნები სამივემ ერთად წერილობით, ცნობის სახით ჩამოაყალიბეს. ამგვარად, დავით დავითინიძისათვის შემოწმების შედეგების მოსახსენებლად და მასთან ერთად საქმის ვითარების განსახილველად „სამეული“ დათქმული დროისათვის საფუძვლიანად იყო მომზადებული.

– დროა. პოლკოვნიკს დავურეკავ, თუ ეცლება, მიგვიღებს, – სავარძლიდან წამოდგა ჭეიშვილი.

კი, ბატონო, ჩვენ მზად ვართ, – კაიშაურმა მაგიდაზე განფენილ დოკუმენტებს ხელი წამოავლო და ტყავგადაკრულ საქაღალდეში მოათავსა.

– ბატონო დავით, აუდიენციის მოთხოვნით ამ დილით დეპარტამენტში მოსულ მოქალაქესთან დაკავშირებით, თქვენი დავალება შესრულებულია, მზად ვართ წარმოგიდგინოთ მოძიებული მასალები, – უპატაკა ჭეიშვილმა დავითინიძეს.

პოლკოვნიკს უკვე აცნობეს „უცნაური რეტრომანის“ შემოწმების წინასწარი შედეგები და ხელქვეითების მოხსენებას მოუთმენლად ელოდა.

– მობრძანდით, – ლაკონურად უპასუხა ჭეიშვილს.

– ბიჭებო, წავედით, „შეფი“ თავისთან გველოდება, – დააჩქარა კოლეგები მაიორმა.

– შემოდით, შემოდით! ხომ არაფერი გჭირდება, ოთარ? იცოდე, არ მოგერიდოს! – პოლკოვნიკი ახალმოსულებს მისაღებში მიეგება, ლაბაძეს გამომცდელად ახედ-დახედა, სამივეს ხელი მაგრად ჩამოართვა და გულითადი ჟესტით სათათბირო ოვალურ მაგიდასთან მიიწვია.

პოლკოვნიკ დავით დავითინიძის სამუშაო კაბინეტი უახლესი საოფისე ტექნიკით იყო აღჭურვილი და სისადავითა და სიმყუდროვით გამოირჩეოდა. სიმყუდროვეს ერთმანეთთან გემოვნებით შეხამებული: სალათისფერი კედლები, ამავე ფერის აბრეშუმის ფარდები, ხელოვნური ტყავის მწვანე გადასაკრავიანი, ყავისფერ-ბორდოსფერი ხის ავეჯი და საშუალო ზომის, გაუშლელი კოკრის ფორმის, ოქროსფერ-ნარინჯისფერი შვიდპლაფონიანი ჭაღი ჰქმნიდა. პოლკოვნიკს ღია, ხასხასა ფერები მოსწონდა, განსაკუთრებით კი მწვანე ფერს ანიჭებდა უპირატესობას. „დააკვირდით, – ნაფიქრალს უზიარებდა კოლეგებს, – მწვანე თვით დედაბუნების ფერია. სიმწვანე ნებისმიერ მცენარეს სიცოცხლეს ჩუქნის...“

დავითინიძის სიამაყეს მუხის ხის ვეებერთელა წიგნების კარადაში მოთავსებული მრავალჟანროვანი პირადი ბიბლიოთეკა წარმოადგენდა, რადგან მიაჩნდა, რომ ტექნიკურ საშუალებებზე დაფუძნებული თანამედროვე ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სწავლების მეთოდოლოგია წიგნს ვერ შეცვლიდა. „იცოდეთ, ვერ ჩამოყალიბდებით სათანადოდ განათლებულ, თანამედროვე ადამიანებად და, მით უმეტეს, პროფესიონალ ოფიცრებად, თუკი წიგნი არ გეყვარებათ. ბევრი უნდა იკითხოთ... წიგნი გონებას გვივარჯიშებს, წარმოსახვის უნარს გვინვითარებს, ლიტერატურული ენის დაუფლებაში გვეხმარება და დამოუკიდებელ აზროვნებას გვასწავლის. ფუნდამენტური ერუდიციის წყარო მხოლოდ და მხოლოდ წიგნია... კომპიუტერი და სხვა ტექნიკა გონებას აზარმაცებს, ამდენად ისინი ინფორმაციის მიღების მართალია მძლავრ, მაგრამ მაინც დამხმარე საშუალებად თუ გამოდგება. ძველად სიტყვები „წიგნიერი“, „ნაკითხი“ და „განათლებული“ სინონიმებად ითვლებოდა“, – ამ ფრაზას ახალგაზრდებს ხშირად სიამოვნებით უმეორებდა ხოლმე.

– გმადლობთ, ბატონო პოლკოვნიკო, არაფერი მიჭირს. ამჯერად გადავრჩი, რადგან არც ერთ სნაიპერს მე არ ვაინტერესებდი, ალბათ უკვე მოგახსენეს, რომ ისინი ქალს უმიზნებდნენ.

დავითინიძემ თანხმობის ნიშნად თავი დაიქნია და სათათბირო მაგიდისაკენ დინჯად გაეშურა. „სტუმრებიც“ თან გაჰყვნენ და თავაზიანი ურთიერთშეპატიჟების, ზრდილობიანი სიტყვების კორიანტელის დაყენებისა და მცირეოდენი ჯახირის შემდეგ, როგორც იქნა, მაგიდას ოთხივე მშვიდობიანად შემოუსხდა.

– ოპერატიული სამსახურის ყოველთვის მოუცლელი „ლომები“ შეწუხებულხართ და „კომპრომატებით“ გაძეძგილი საქაღალდეც თან მოგიტანიათ... ჩემთვის უკვე ნათელია: ეს ქალი უცოდველი არ არის! – გადახედა ხელქვეითებს დავითინიძემ, – წინააღმდეგ შემთხვევაში, ვახო ამოიყვანდა და მხოლოდ ჩვენ ორნი გავესაუბრებოდით.

– დიახ, ასეა, ბატონო დავით. ამ საქაღალდეშია ჩვენს მიერ მოპოვებული მასალები და მათ საფუძველზე მომზადებული ცნობა, – კაიშაურმა დავითინიძეს სარქველებიანი რუხი საქაღალდე საქმიანად გაუწოდა.

– სულ რამდენიმე წუთი მადროვეთ, მასალებს გადავხედავ, ცნობას წავიკითხავ და შემდეგ ერთად ვიმსჯელოთ, – პოლკოვნიკმა კაიშაურს საქაღალდე ჩამოართვა. – მანამდე კი შოკოლადი და ყავა მიირთვით, ენერგია აღიდგინეთ, ლიზის პირადად თქვენთვის მოვადუღებინე, – მომცრო მაგიდაზე მდგარ ჭიქებსა და ქაფქაფა ყავადანზე მიუთითა დავითინიძემ.

* * *

– ძალიან სერიოზული და, არ დაგიმალავთ, წარმოუდგენლად უცნაური მასალაა. თუ აქ მითითებული ინფორმაცია სანდოა და ბრალეულობა სათანადო მტკიცებულებებით დადასტურდება, ამ თქვენს ქალბატონს ციხე არ ასცდება, – მასალების გაცნობის შემდეგ დარწმუნებით განაცხადა დავითინიძემ, – მაგრამ ბევრი რამ გაუგებარი და ალოგიკურია... ერთი ამიხსენით, როგორ გავიგო და რა ვიფიქრო: თქვენი „ცნობიდან“ ირკვევა, რომ პოლიციის ყოფილი თანამშრომელი დანაშაულის ჩადენიდან ორმოცი წლის შემდეგ საკუთარი ფეხით გვეახლა, თავი უცოდველი კრავივით უჭირავს და რაღაც ზღაპრებს გვიყვება. არც ერთ სხვა სახელმწიფო უწყებაში არ მივიდა, – მაინცდამაინც ჩვენთან გამოიქცა! ამასთან, თქვენი მონაცემებით, იგი რეალურად 75 წლისაა, მაგრამ 30 წლის გოგოს გარეგნობა და სამედიცინო ფიზიკური მაჩვენებლები მთლიანად შენარჩუნებული აქვს, ყალბი ბარათით უპრობლემოდ დასეირნობს და ამ ბარათზე დაფიქსირებული მონაცემების მიხედვით, იგი 35 წლისაა!.. გამოდის, რომ თეორიულად 75 წლის მოხუცი ქალბატონი ფაქტობრივად 35 წლის ახალგაზრდა ქალია!!! მსგავსი ფანტასმაგორია ცხოვრებაში არ გამიგონია! ავთო, იდენტიფიკაცია სწორად ჩატარდა??! შეცდომა გამორიცხულია?

– სავსებით, ბატონო დავით! თავიდან ამ შეუსაბამობებზე ჩვენც თქვენნაირი რეაქცია გვქონდა და სამივემ ცალ-ცალკე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, ყველაფერი გადავამოწმეთ. სამედიცინო შემოწმებამ – დნმ-ისა და ბიომასალის ანალიზებმა, თავის ტვინის ენცეფალოგრამამ და უჯრედოვანმა მაგნიტურ-რეზონანსულმა ტომოგრაფიამ აჩვენა, რომ შესამოწმებელი ობიექტის ყველა სასიცოცხლო ფუნქცია 30-35 წლის ადამიანის შესაბამისი ბიოლოგიური მონაცემების იდენტურია. გარდა ამისა, მისი თითის ანაბეჭდები და გარეგნული მონაცემები ზუსტად ემთხვევა პოლიციის ყოფილი მაიორის ია იაშვილის ანაბეჭდებსა და გარეგნობას!

– ესე იგი, თქვენ გვიდასტურებთ, რომ ეს ქალი სწორედ ის იაშვილია, კიდნეპინგის[1] ბრალდებით შინაგან საქმეთა სამინისტრო უკვე 40 წელი უშედეგოდ რომ ეძებს?! რამდენადაც მახსოვს, საქართველოს პროკურატურის წარდგინებით, იგი ინტერპოლის „წითელი ცირკულარით“[2] დღემდე იძებნება! – დავითინიძემ კაიშაურს გამჭოლი მზერა მიაპყრო და ოფიციალურ ტონზე გადავიდა, – კი მაგრამ, დარწმუნებული ბრძანდებით, ბატონო ვიცე-პოლკოვნიკო?

– დიახ... თუმცა, მესმის, რომ ყოველივე ეს დაუჯერებლად გამოიყურება და ჟღერს, მაგრამ, როგორც რუსები იტყვიან: „факт – вещь

упрямая!“[3]. ცნობისთვის, მუშაობისას ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ დადასტურებული ფაქტებით ვხელმძღვანელობდით!

– მტკიცებულებების წარმოდგენა შეგიძლიათ? – უნდობლად იკითხა დავითინიძემ.

– ბატონო პოლკოვნიკო, თქვენთვის ალბათ ცნობილია, რომ იაშვილმა 40 წლის წინ, 35 წლის ასაკში, ყველასათვის მოულოდნელად და ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, მიატოვა ოჯახი, საქმრო (რომელსაც გაგიჟებით უყვარდა), სამსახური და საეჭვო ვითარებაში, მისთვის მანამდე უცნობ ორ მცირეწლოვან ბავშვთან ერთად, ფაქტობრივად „გაქრა“ თვალსაწიერიდან. აღსანიშნავია ისიც, რომ გატაცებამდე რამდენიმე წუთით ადრე, ბავშვების დედას ავტომობილი დაეჯახა და მოკლა, უგზო-უკვლოდ დაიკარგა ბავშვების მამაც.

მთელი ამ დროის განმავლობაში იაშვილისა და მის მიერ გატაცებული ბავშვების შესახებ არანაირი ინფორმაცია არ მოიპოვებოდა. რაც შეეხება ბრალდებას, მოგახსენებთ, რომ კიდნეპინგის ფაქტი დასტურდება ქუჩის ვიდეოკამერის ჩანაწერითა და 8 მოწმის ჩვენებით. ვიდეოკამერამ იაშვილი ავტოავარიის ადგილზეც დააფიქსირა, თუმცა გატაცებული ბავშვების მშობლების მიმართ იაშვილის დანაშაულებრივი ქმედების მტკიცებულება არ არსებობს, ან შესაძლოა, ჩვენ ვერ მოვიძიეთ... შეგიძლიათ დეტალურად გადაამოწმოთ სამედიცინო დასკვნებიცა და მონაცემთა საინფორმაციო-საძიებო კომპიუტერული ბაზებიდან ამოღებული ინფორმაციაც. ყველა ეს დოკუმენტი „ცნობაზეა“ დართული.

– ვიდეომასალა მაჩვენეთ, – მოითხოვა დავითინიძემ.

– ახლავე, ბატონო დავით, – ლაბაძემ მონიტორის ჩამრთველ ღილაკს თითი ფრთხილად დააჭირა. კაპიტანს კომპიუტერული ტექნიკა განსაკუთრებით უყვარდა და ფაქიზად ელოლიავებოდა.

– ეს ვიდეო დაკითხვის დროს იაშვილმაც უნდა ნახოს. მაშინდელმა გამოძიებამ სწორედ რომ ავარიის ეპიზოდიდან „ჩაავლო“! განგვიმარტოს, შემთხვევის ადგილას რატომ და როგორ აღმოჩნდა და იქ რას აკეთებდა! – მიუთითა კოლეგებს პოლკოვნიკმა, – ისიც აუცილებლად ჰკითხეთ, ეს კატა აქ საიდან და რატომ მოათრია?!

– როგორც გვიბრძანეთ, კატა შევამოწმებინეთ. სრულიად „სუფთაა“! – მოახსენა კაიშაურმა. – ქალთან საკითხის გარკვევამდე, დროებით, კომენდატურაში დავტოვეთ.

ვიდეომასალის ნახვის შემდეგ ყველა დადუმდა და ჩაფიქრდა.

– მოდით, საკითხი განვიხილოთ, – მცირე პაუზის შემდეგ საწერკალამი მოიმარჯვა დავითინიძემ. – აბა, ბიჭებო, თქვენი აზრი მაინტერესებს, რას ფიქრობთ ამ ე.წ. „ფენომენზე“?

– ყველაფერი ნათელია: რეალური საფრთხე ემუქრებოდა, მოსაკ-

ლავად დასდევდნენ, მაგრამ პოლიციას არ და ვერ მიმართავდა, – იქ ხომ იციან მის მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ. ჩვენთან მოსვლის გარდა სხვა რა გზა ჰქონდა? – განაცხადა ჭეიშვილმა.

– საქმე არც ასე მარტივადაა, ვახო... თუ მართლა ასეთი კრიმინალია, მფარველსაც და „კრიშასაც“ დამნაშავეთა წრეში მოძებნიდა... თანაც 40 წელი იმალებოდა, საქართველოში არ დაფიქსირებულა და რაღა მაინცდამაინც ახლა ჩამოქანდა? რა, პოლიციის ყოფილი მაიორი იმდენს ვერ ხვდება, რომ მის მიერ ჩადენილი ქმედება დასჯადია, ან რომ აქ დაუძინებელი მტრები ჰყავს? გარდა ამისა, ისიც მშვენივრად იცის, რომ მის პიროვნებას აუცილებლად შევამოწმებდით და ჩადენილი დანაშაულიც „ამოუტივტივდებოდა“! ამ ქალის ყველა ქმედება ალოგიკურია, მიუხედავად იმისა, რომ სულელი ნამდვილად არ არის! სამედიცინო შემოწმებამ და ფსიქო-ინტელექტუალურმა ტესტირებამაც დამაჯერებლად დაადასტურეს მისი ფსიქიური სიჯანსაღე, ფსიქოლოგიური გაწონასწორებულობა და ინტელექტის ძალიან მაღალი დონე, – ხმამაღლა ფიქრობდა სიტუაციის გაურკვევლობით განცვიფრებული და გაღიზიანებული კაიშაური. – ან როგორ მოხდა, რომ 75 წლის მოხუცმა ყოველგვარი პლასტიკური ოპერაციებისა და ქიმიური ნივთიერებების გარეშე 30 წლის გოგოს ჯანმრთელობა და გარეგნობა შეინარჩუნა?!! ამაზე გიფიქრიათ? ყველაზე მეტად ეს მაოცებს!

– იქნებ მისმა დაკითხვამ მოგვცეს რამე? – ხმა ამოიღო ლაბაძემ.

– არა, მას მხოლოდ ჩვენ ოთხნი ვერ დავკითხავთ. დილანდელი სროლის გამო საქმე გართულდა. როდის ერთხელ გაუბედავთ კრიმინალებს დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის ეზოსა და მიმდებარე ტერიტორიაზე ტირის მოწყობა?! დროს ვერ დავკარგავთ, ტემპში უნდა ვიმოქმედოთ. დირექტორს ყველაფერს ოპერატიულად მოვახსენებ. ალბათ, ჩვენი დეპარტამენტისა და გამოძიების ეროვნული ბიუროს მონაწილეობით უწყებათაშორისი საგამოძიებო ჯგუფი დღესვე შეიქმნება და ქალსაც ის მიხედავს. წინ ხანგრძლივი დაკითხვა გველის... ვეცდები ავთო და ოთარი ჯგუფში ჩავასმევინო, ამდენი გიშრომიათ! – დაჰპირდა ბიჭებს დავითინიძე.

– გმადლობთ, ბატონო დავით. გამოგიტყდებით და ასეთ არაორდინარულ მასალაზე არასდროს მიმუშავია, – გულწრფელად აღიარა ავთანდილ კაიშაურმა.

– საგამოძიებო ჯგუფში მუშაობისათვის აქედანვე მოემზადეთ, რადგან სახეზე გვაქვს შემთხვევა, როდესაც ძალზე მნიშვნელოვანია ამოვიცნოთ ობიექტის შესაძლო ზრახვები და ქცევის მოტივაცია. არ არის გამორიცხული, ეს ქალი უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების მიერ

გადაბირებული და შემოგზავნილი მზვერავი აღმოჩნდეს... ყურადღებით მომისმინეთ! თქვენ კარგად იცით, რომ XXI საუკუნეში მეცნიერებისა და ხელოვნების ნებისმიერ სფეროში მათემატიკური მოდელირების მეთოდები აქტიურად გამოიყენება. ეს ხელს უწყობს კაცობრიობის ცივილიზაციის სწრაფ განვითარებასა და ზოგადსაკაცობრიო აღმშენებლობის თვისობრივად უფრო მაღალი დონის მიღწევას. ხომ მეთანხმებით?

– დიახ, ბატონო დავით, – სამივემ ერთხმად უპასუხა.

– ჩემის აზრით, მათემატიკური მოდელირების მეთოდები ჩვენც რომ გამოგვეყენებინა, ძალიან კარგი იქნებოდა... ავთო და ოთარ, აი, თქვენი ახალი და უმნიშვნელოვანესი დავალება: ორ დღეში მათემატიკოსებთან, ფსიქოლოგებთან, კრიმინოლოგებთან და სხვა სპეციალისტებთან ერთად ოპერატიული ინფორმაციის, სპეციალური შემოწმებების, სამედიცინო დასკვნებისა და სხვა უკვე თქვენს ხელთ არსებული მასალების საფუძველზე, შეადგინეთ შესასწავლი ობიექტის სრული ფსიქოლოგიურ-ინტელექტუალური პორტრეტი და შეეცადეთ შექმნათ ობიექტის შესაძლო ზრახვებისა და სამომავლო ქცევის მათემატიკური მოდელი. გასაგებია? თუ რაიმე გაუგებარია, მკითხეთ!

– გასაგებია, შევასრულებთ, – თავდაჯერებით წარმოსთქვა კაიშაურმა.

– იმუშავეთ... თუ დახმარება დაგჭირდათ, ვახოს მეშვეობით შემეხმიანეთ. წარმატებებს გისურვებთ! – პოლკოვნიკი წამოდგა და ხელქვეითები კარებამდე მიაცილა.

თავი III. საშიში დამნაშავე

საღამოს 5 საათისათვის ხელი მოეწერა საქართველოს დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტისა და გამოძიების ეროვნული ბიუროს ერთობლივ სრულიად საიდუმლო ბრძანებას უწყებათაშორისი ხუთკაციანი საგამოძიებო ჯგუფის შექმნის შესახებ. ბრძანების თანახმად, ჯგუფის შემადგენლობაში შევიდნენ: ვიცე-პოლკოვნიკი ავთანდილ კაიშაური, კაპიტანი ოთარ ლაბაძე და გამოძიების ეროვნული ბიუროს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლები ვიცე-პოლკოვნიკი ირაკლი გაბუნია და მაიორი არჩილ ყიფიანი, რომელთაც არაერთი ჩახლართული და გაუხსნელად მიჩნეული სისხლის სამართლის საქმე წარმატებით გამოიძიეს. ჯგუფის საქმიანობა გასაიდუმლოვდა და მისი ხელმძღვანელობა პოლკოვნიკ დავით დავითინიძეს დაევალა.

ბრძანების ხელმოწერიდან ერთ საათში საგამოძიებო ჯგუფის წევრე-

ბი სრული შემადგენლობით დავით დავითინიძის სამუშაო კაბინეტში შეიკრიბნენ. თათბირს დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის დირექტორი, გენერალი გიორგი ჯაში და გამოძიების ეროვნული ბიუროს უფროსი, გენერალი ლევან აბულაძეც ესწრებოდნენ.

შეკრებილთ საქმის ვითარება დავით დავითინიძემ დაწვრილებით გააცნო და აზრის გამოთქმა სთხოვა:

– მოდით, შევაჯეროთ ჩვენი მოსაზრებები, ვიმსჯელოთ და ჩამოვაყალიბოთ ამოცანის ერთიანი ხედვა. ჩემის აზრით, მუშაობა გაგვიადვილდება, თუკი ერთობლივი საქმიანობის წესებზე აქედანვე შევთანხმდებით.

– ბატონ ავთანდილს ვთხოვოთ, მოგვაწოდოს სრული ინფორმაცია ქალის პიროვნების შესახებ, – მოითხოვა გიორგი ჯაშმა. – ვიცეპოლკოვნიკო, რა ზოგადი ინფორმაციის მოპოვება შესძელით და აქედან რომელი დადასტურდა? მაინტერესებს, რა სახის უტყუარ მონაცემებს ვფლობთ!

– ყველა მონაცემი დასაბუთებულია და ამდენად, ინფორმაცია უტყუარია, ბატონო გენერალო! – მტკიცედ განაცხადა კაიშაურმა. – რაც შეეხება ქალს, – მოგახსენებთ:

ია ილიას ასული იაშვილი, დაიბადა 1976 წლის 14 აგვისტოს ქ.თბილისში ელიტარულ ოჯახში, საქართველოს მოქალაქე, ეროვნებით ქართველი, აღმსარებლობით მართლმადიდებელი ქრისტიანი, პროფესიით იურისტი, პოლიციის მაიორი, უპარტიო, გაუთხოვარი, გაუჩინარდა 40 წლის წინ, 2011 წლის 25 ოქტომბერს, იძებნება ინტერპოლის მიერ 2012 წლის იანვრიდან ტრეფიკინგის ბრალდებით.

მშობლები: მამა, გენერალი ილია ივანეს ძე იაშვილი, მრავალგზის ორდენოსანი, სამთავრობო წრეებში კარგად ცნობილი და დაფასებული სამხედრო მფრინავი იყო, ხოლო დედა, მარიამ მიხეილის ასული ბერიძე – სკოლის დირექტორი. ჰყავდა ორი უფროსი ძმა – ივანე ილიას ძე იაშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის პროფესორი და რევაზ ილიას ძე იაშვილი, ცნობილი მხატვარი. სამწუხაროდ, არც მშობლები და აღარც ძმები ცოცხლები არ არიან. იაშვილის დარდმა მთელი ოჯახი შეინირა. დღესდღეობით, უახლოესი ნათესავებიდან ცოცხლები არიან მხოლოდ ძმისშვილები მიხეილ ივანეს ძე იაშვილი და ილია ივანეს ძე იაშვილი-უმცროსი. რევაზ იაშვილს შვილები არ ჰყოლია.

ია იაშვილს ჰყავდა დანიშნული, კარდიოლოგი ირაკლი რამიშვილი, რომელიც საბედნიეროდ, ცოცხალია და მიუხედავად ასაკისა, – იგი 78 წლისაა, – საკმაოდ მხნედ გამოიყურება და თბილისის სამედიცინო

უნივერსიტეტის მეცნიერ-კონსულტანტად დღემდე მუშაობს. წყვილს ქალის გაუჩინარებიდან რამდენიმე დღეში უნდა ექორწინა. ირაკლი რამიშვილმა ვერაფრით ახსნა და დღემდე არ იცის იაშვილის გაუჩინარების მიზეზი. რამიშვილი ქალს აღმერთებდა და მისი უდანაშაულობის ბრმად სჯეროდა. იაშვილის გაუჩინარების გამო რამიშვილი სერიოზულ დეპრესიაში ჩავარდა, რადგან თვლიდა, რომ იაშვილი განსაცდელშია და თვითონ ვერაფრით ეხმარება. რამიშვილი კარგა ხანს ავადმყოფობდა და ქალის დაბრუნებას მოუთმენლად ელოდა. მოგვიანებით, შვიდი წლის უშედეგო ლოდინის შემდეგ, ნათესავებისა და მეგობრების დაჟინებული მოთხოვნით იგი დაქორწინდა თავისსავე კოლეგაზე, ვინმე მირანდა (იგივე მიმი) ჯაფარიძეზე, რომელსაც იაშვილთან გამიჯნურებამდე იცნობდა, თუმცა მანამდე ახლო ურთიერთობა არ ჰქონიათ. ჯაფარიძეს რამიშვილი ძალიან უყვარდა, ამიტომ იაშვილს ფარულად მტრობდა და ექიმის სანათესაოსა და სამეგობროს კეთილგანწყობის მოპოვებას ყველანაირად ცდილობდა...

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ია იაშვილმა შრომითი საქმიანობა შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში 1998 წელს, 22 წლის ასაკში რიგით იურისტად დაიწყო. მშრომელი და საზრიანი გოგონა დავალებებს დროულად და ხარისხიანად ასრულებდა, მშვიდსა და გაწონასწორებულს, კოლეგებთან ურთიერთობა არ გასჭირვებია, თანამშრომლებს უყვარდათ, ხელმძღვანელობა ენდობოდა. მისმა პიროვნულმა და საქმიანმა თვისებებმა და, ალბათ, გავლენიანი ოჯახის ავტორიტეტმაც, განაპირობეს კარიერული კიბის საფეხურებზე მისი წარმატებული აღმასვლა – გაუჩინარებამდე პოლიციის მაიორის წოდებით იგი ერთ-ერთი დეპარტამენტის იურიდიული სამსახურის უფროსად მსახურობდა.

უკვე აღვნიშნე, რომ რომ იაშვილმა 40 წლის წინ, 35 წლის ასაკში, ყველაფერი მიატოვა და საეჭვო ვითარებაში, მისთვის მანამდე უცნობ ორ მცირეწლოვან ბავშვთან ერთად, გაუჩინარდა. მთელი ამ დროის განმავლობაში იგი არავის დაკონტაქტებია და გამოსასყიდი თანხაც არ მოუთხოვია. დღემდე იაშვილისა და მის მიერ გატაცებული ბავშვების შესახებ არანაირი ინფორმაცია არ მოიპოვებოდა... უნდა მოგახსენოთ, რომ კიდნეპინგის ფაქტი დასტურდება ქუჩის ვიდეოკამერის ჩანაწერითა და 8 მოწმის ჩვენებით, თუმცა გატაცებული ბავშვების მშობლების მიმართ იაშვილის დანაშაულებრივი ქმედების მტკიცებულება ჩვენ ვერ მოვიძიეთ.

მე და კაპიტანმა ლაბაძემ არქივიდან გამოვითხოვეთ და ყურადღებით შევისწავლეთ 40 წლის წინ შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტში აღძრული სისხლის სამართლის

საქმე N5678/2011 ია იაშვილის მიმართ. მის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება დაკვალიფიცირდა საქართველოს სისხლის სამართლის იმ დროს მოქმედი კოდექსის 143^2-ე მუხლის („არასრულწლოვანით ვაჭრობა-ტრეფიკინგი“) მე-4 ნაწილის ბ) ქვეპუნქტით. შედეგების სიმძიმის გათვალისწინებით, თბილისის საქალაქო სასამართლომ იაშვილს სასჯელად უვადო თავისუფლების აღკვეთა დაუსწრებლად განუსაზღვრა. დანაშაულის ჩადენიდან 40 წელიწადია გასული, მაგრამ იმედია, იაშვილს დანაშაულის ხანდაზმულობა არ შეეხება.

ჩემის აზრით, სავსებით შესაძლებელია, რომ ეს საარქივო საქმეცა და დილანდელი სროლის ფაქტზე აღძრული სისხლის სამართლის საქმეც ერთ მრავალეპიზოდიან საქმედ გაერთიანდეს და გამოძიება ჩვენს ჯგუფს დაევალოს.

საარქივო მასალებში აგრეთვე დაცულია გამოძიებასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი, მათ შორის ოპერატიულ-აგენტურული მონაცემები, ინტერპოლის მიერ დამნაშავის საერთაშორისო ძებნაში გამოცხადებისათვის აუცილებელი დოკუმენტაციის ასლები, ძებნილის სიტყვიერი პორტრეტი და სხვა. ვფიქრობ, თქვენთვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ია იაშვილის 40 წლის წინანდელი სიტყვიერი პორტრეტი. იგი აღწერილია, როგორც საშუალოზე მაღალი, პროპორციული აღნაგობის, ტანთხელი, ხორბლისფერი კანისა და ღია წაბლისფერი, სწორი თმის პატრონი. ჰქონია სახის არამკვეთრი და დახვეწილი ნაკვთები, ატმისფერი ლოყა-ყვრიმალები, ნიკაპის მომრგვალებული ოვალი, მორკალული წარბები, გრძელწამწამებიანი მწვანე თვალები, საშუალო ზომის ოდნავ კეხიანი ცხვირი, ე.წ. „გაბანტული“ ბუნებრივად წითელი ტუჩები და საღი, თეთრად ჩაწიკწიკებული ე.წ. „ჰოლივუდის კბილები“.

– რა არის, ავთო, ქალის პორტრეტს წარმოგვიდგენ, თუ დოღის ცხენისას? – გაეცინა გიორგი ჯაშს. – ისე, მაგ სიტყვიერი პორტრეტით თუ ვიმსჯელებთ, ლამაზი ქალი ყოფილა. ტყუილად არ გიჟდებოდა რამიშვილი.

– დიახ, ლამაზია, – მხრები აიჩეჩა კაიშაურმა, – თანაც ძალიან ჭკვიანი და ასევე ძალიან სახიფათო.

– გარწმუნებთ, დღესაც 75 წლის ასაკში, ზუსტად იგივე გარეგნობა აქვს, ოდნავადაც არაა შეცვლილი! – წამოიძახა ლაბაძემ.

– ეს როგორ? რა, გარეგნულად მართლა არ შეცვლილა?! – დაეჭვდა ლევან აბულაძე.

– არ შეცვლილა, ბატონო გენერალო, – დაადასტურა კაიშაურმა. – უფრო მეტიც, სამედიცინო და ფსიქოლოგიურ-ინტელექტუალურმა შემოწმებამ დანამდვილებით აჩვენა, რომ იაშვილი ჯანმრთელობის მდ-

გომარეობითაც და გონებრივი შესაძლებლობებითაც ახალგაზრდა ქალია.

– გასაოცარია!!! ეს როგორ დავიჯერო?! – ემოციებს ვერ მალავდა აბულაძე, – რა, მათემატიკა სკოლაში არ გისწავლიათ?! პირველად გესმით, რომ უმნიშვნელო შეცდომაც კი ხშირად მნიშვნელოვანი ცდომილებებისა და მცდარი დასკვნების მიზეზი ხდება ხოლმე?!

– ბატონო ლევან, იაშვილმა შემოწმების სრული პროცედურა დეტალურად გაიარა, ამდენად სახეზეა უტყუარი ფაქტები, – წაეშველა ხელქვეითებს დავით დავითინიძე.

– მერედა, რა ვერსიები მოიფიქრეთ? – ჩაეკითხა აბულაძე. – არ მითხრათ ახლა, მისტიკასთან გვაქვს საქმეო! მსგავსი რაღაცეების ნაკლებად მჯერა. ოცი წლის საგამოძიებო პრაქტიკამ დამარწმუნა და მინდა გითხრათ, რომ ყოველ ფაქტს შესაბამისი კანონზომიერი ახსნა ყოველთვის მოეძებნება. იქნებ ეს არსება იაშვილის კლონია?

– ვერსიები ჯერ არ გვაქვს, მაგრამ სპეციალისტებთან ვმუშაობთ და ობიექტის შესაძლო ზრახვებისა და საქციელის მათემატიკური მოდელი ორ დღეში დაიდება. ვერსიებს ქალის ოფიციალური დაკითხვის შემდეგ ჩამოვაყალიბებთ, – თავი დახარა კაიშაურმა.

– გიორგი, საკვირველი არ არის – ძებნაში მყოფი პირი ისე შემოვიდა ქვეყანაში, რომ საზღვარზე არ დაუკავებიათ?! წესით და კანონით, ჩვენ დაუყონებლივ უნდა წავუყენოთ ბრალი და დავაპატიმროთ! გაბუნია და ყიფიანი ამას პროფესიონალურად გააკეთებენ, – შესთავაზა გიორგი ჯაშს კაიშაურის პასუხით აღშფოთებულმა ლევან აბულაძემ.

– ლევან, შეგახსენებ, რომ იაშვილი თავისი ფეხით, ნებაყოფლობით გამოგვეცხადა და დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელობასთან შეხვედრა ითხოვა. ამბობს, საიდუმლო ინფორმაციას ვფლობო. არ მოგვერიდნენ და აქვე, დეპარტამენტის ეზოს გალავანთან, ერთდროულად ორმა ქილერმა სროლა ატეხა, ქალს უმიზნებდნენ, მაგრამ იგი სასწაულებრივად გადარჩა. ეს მაეჭვებს, შესაძლოა, იაშვილი მართლაც ფლობდეს ჩვენთვის საინტერესო ინფორმაციას. ნუ ავჩქარდებით, მის დაპატიმრებას ყოველთვის მოვასწრებთ. იაშვილი ჩვენს ხელთაა, ამჟამად „სტუმრების ოთახში“ იმყოფება და დამღლელი პროცედურების შემდეგ სადილობს. უნდა აღინიშნოს, რომ არანაირ შემოწმებაზე უარი არ განუცხადებია და წინააღმდეგობა არ გაუწევია, თანაც ყველაფერს სრული სიმშვიდით შეხვდა და პროტესტიც არ გამოუხატავს. ყოველივე ამის გათვალისწინებით, იქნებ ჯობდეს, ჯერ ქალისათვის მოგვესმინა, რისთვის მოვიდა და რა უნდა? – მუნდირის ღირსება დაიცვა გენერალმა გიორგი ჯაშმა.

გენერალმა ლევან აბულაძემ კოლეგის არგუმენტები დამაჯერებლად მიიჩნია, ხმა აღარ ამოუღია, თანხმობის ნიშნად თავი ჩამოიქნია და გულხელი დაიკრიბა.

– მოდი, პატარა სპექტაკლი მოვაწყოთ, – წამოდგა ჯაში.

– რა სპექტაკლი? – გაიკვირვა აბულაძემ.

– სპექტაკლი-სატყუარა... ასეთი სახეებით ნუ მიყურებთ, ახლავე აგიხსნით, – ჩაიღიმილა ჯაშმა. – მინდა გითხრათ, რომ პოლკოვნიკ დავით დავითინიძის მისაღებშიც და კაბინეტშიც ვიდეოთვალი სპეციალურად ამ შემთხვევისათვის დავაყენებინეთ... ოთარ, წადი და ქალს უთხარი, რომ მას თვით დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, პოლკოვნიკი დავით დავითინიძე საკუთარ კაბინეტში მიიღებს და მისაღებში მოიყვანე. ხუთიოდე წუთს მოაცდევინე, აქედან მის სახესა და საქციელს დავაკვირდებით, შემდეგ შემოიყვანე და კაბინეტიდან გადი. ამ დროს ჩვენ ყველანი გვერდით, ე.წ. „მოსასვენებელ“ ოთახში ვიქნებით და ქალის მონათხრობს იქიდან მოვისმენთ. შენ, ოთარ, დერეფნიდან შემომავალი კარით შემოგვიერთდი. პირველ დაკითხვას საუბრის ფორმა მივცეთ, იაშვილი ვერ უნდა მიხვდეს, რომ დაკითხვაზეა. დაე, ეგონოს, რომ დავითს საკუთარი მოთხოვნისამებრ ხვდება და თავის სათქმელს უყვება! გააჩნია, რას იტყვის, – შესაბამის მომენტში ბრალსაც წავუყენებთ და ოფიციალურადაც დავკითხავთ, ოღონდ აქ კი აღარ – უკვე „დაკითხვების ოთახში“. გამოძიების მოცემულ ეტაპზე მოქმედების ეს გეგმა ყველასათვის მისაღებია? შევთანხმდით?

– კეთილი, – მოიწონა აბულაძემ, დანარჩენებიც დაეთანხმნენ.

– იმედია, ჩვენი უწყებების ერთობლივ შეუფერხებელ საქმიანობას ხელს ვერაფერი შეუშლის, ბიჭებო! – საგამოძიებო ჯგუფის თითოეულ წევრს თვალებში ჩახედა ჯაშმა. – ხომ იცით, მე და ბატონი ლევანი თქვენთან ერთად ყოველთვის ვერ ვიქნებით. ცხადია, დაგეხმარებით, მაგრამ გამოძიება დამოუკიდებლად უნდა აწარმოოთ.

თავი IV. „მეგობრული“ საუბარი

ოთარ ლაბაძე შენობის მეორე სართულზე განთავსებულ, ე.წ. „სტუმრების ოთახში“ იაშვილის ამოსაყვანად ჩავიდა. ქალი დაფიქრებული სახით სკამზე მშვიდად ჩამომჯდარიყო და მოპირდაპირე კედელზე გამოფენილ, თანამედროვე ქართველი მხატვრების ცნობილი ტილოების რეპროდუქციებს ყურადღებით ათვალიერებდა.

– წამობრძანდით, ქალბატონო ია, დეპარტამენტის დირექტორის

მოადგილე, პოლკოვნიკი დავით დავითინიძე რამდენიმე წუთში მიგიღებთ, – შეეხმიანა ლაბაძე.

– დიდი მადლობა, ახლავე მოვდივარ, – დაფაცურდა ქალი. – ნახატები ძალიან მომეწონა, შესანიშნავი მხატვრები გვყოლია ქართველებს, – აღნიშნა ღიმილით.

„აუ, ეს ვინ არი! თავს იდებილებს, თითქოს სურათებს ცხოვრებაში პირველად ხედავდეს! ისეთ სისულელეს „დააბრეხვებს“ ხოლმე, ნებისმიერს მოუშლის ნერვებს!...“– გაიფიქრა იმ დღის გადარბენებისაგან გვარიანად დაღლილმა ლაბაძემ. ქალს შეგნებულად არ გამოეპასუხა, მშვენივრად ახსოვდა ხელმძღვანელობის მითითება იაშვილთან საუბრისაგან თავის შეკავების შესახებ.

ლაბაძე ქალს დავითინიძის კაბინეტისაკენ წარუძღვა, მეოთხე სართულამდე ორივე დუმდა. მისაღებში ლაბაძემ იაშვილი შეაჩერა:

– ერთი წუთით... დაბრძანდით! მალე შევალთ.

– კი, ბატონო, – სავარძელში გრაციოზულად ჩაეშვა ქალი და მისაღების მალულად შეთვალიერებას შეუმჩნევლად, პროფესიული გულმოდგინებით შეეცადა.

იაშვილის ამ არცთუ მოქნილად შესრულებულმა მანევრმა ლაბაძეს ირონიული ღიმილი მოჰგვარა, თუმცა კოსტიუმის ჯიბეში წინდახედულად ჩაჩურთული გაზეთის სახეზე აფარება დროულად მოასწრო. რამდენიმე წუთში ლაბაძე მისაღებიდან დერეფანში გამოვიდა და მობილური ტელეფონით კაიშაურს დაურეკა:

– „შეფ“, ადგილზე ვართ!

– ვიცი, დაგინახეთ. შემოიყვანე! – იყო პასუხი.

ლაბაძემ დავით დავითინიძის კაბინეტის კარი დაკაკუნებისთანავე შეაღო:

– ბატონო პოლკოვნიკო, მოქალაქე ია იაშვილია თქვენთან, – მოახსენა დავითინიძეს.

– შემოვიდეს!

– შებრძანდით! – მიუბრუნდა ქალს ლაბაძე.

ია იაშვილი სავარძლიდან მკვირცხლად წამოდგა და დავით დავითინიძის კაბინეტის კარის ზღურბლთან წამიერად შეჩერდა:

– შეიძლება შემოვიდე, ბატონო დავით? – იკითხა დახვეწილი ინტელიგენტის თავაზიანობით.

– მობრძანდით, ქალბატონო! – არანაკლები თავაზიანობით შეიპატიჟა დავითინიძემ.

– ბედნიერი ვარ, თქვენთან შეხვედრას რომ ვეღირსე! – გაბადრული სახით წარმოსთქვა ქალმა.

– რატომ, ქალბატონო ია, რომელი „ჰოლივუდ“-„ბოლივუდ“-ის მოკაშკაშე კინოვარსკვლავი, ან ცნობილი „ტელეფეისი“ მე ვარ?! – გულიანად გაეცინა დავითინიძეს.

– გულწრფელი ვარ, ბატონო დავით, ყოველგვარი ხუმრობის გარეშე! ჩემს თავგადასავალს მოგიყვებით და დარწმუნდებით, რომ სიმართლეს ვამბობ! ვიცი, რომ ძალიან დაკავებული ბრძანდებით, მაგრამ ბევრ დროს არ წაგართმევთ. თუ ოც წუთს დამითმობთ, ვეცდები დეტალებითა და მეორეხარისხოვანი საკითხებით არ გადაგღალოთ და მხოლოდ მნიშვნელოვანი ფაქტებით შემოვიფარგლო.

– ყურადღებით გისმენთ... დაბრძანდით! – დავითინიძემ ქალს სამუშაო მაგიდის ე.წ. „მისადგმელთან“ მდგარ მაღალ საზურგიან სკამზე მიუთითა.

– გმადლობთ, – სკამზე მოხერხებულად მოთავსდა ქალი.

„კეთილი სახე და თვინიერი გამოხედვა აქვს... პატიოსანი ადამიანივით პირდაპირ თვალებში გიყურებს, ნერვიულობას არ იმჩნევს, სითამამეც არ აკლია... კერკეტი კაკალი ჩანს, ადვილად არ აჭიკჭიკდება“, – დასაკითხ ობიექტს ზვერავდა პოლკოვნიკი დავითინიძე.

„თუ შუბლმაგარი „სალდაფონია“, ვერაფერს შევასმენ და „მაგრა მომეხაზება“! იმედია, პროფესიონალია, მაშინ ობიექტურიც იქნება და „აზრზე მოსულიც“... თუმცა, ასეთ სპეციფიკურ თანამდებობაზე არაპროფესიონალს არ დანიშნავდნენ. არაპროფესიონალი ვერ „გაქაჩავდა“ და საქმეს „ჩააფლავებდა“, – თანამოსაუბრეს აფასებდა იაშვილი.

– ალბათ იცით, ვინც ვარ, მაგრამ მაინც პირადად მოგახსენებთ, – დუმილი დაარღვია ქალმა. – მაქვს პატივი წარმოგიდგეთ: ია ილიას ასული იაშვილი, პოლიციის ყოფილი მაიორი. ჩემი თქვენთან მოსვლის მიზანია, შეგატყობინოთ კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც ეხება საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებას და რომელიც კოსმოსურ ხომალდზე ყოფნისას შემთხვევით გახდა ჩემთვის ცნობილი.

დაზვერვის სისტემაში წლების განმავლობაში მუშაობისას უამრავი არაორდინალური პიროვნების მხილველ დავითინიძეს იაშვილი, ცხადია, ვერაფრით გააკვირვებდა. თუმცა, „კოსმოსური ხომალდით სეირნობის“ ვერსია პოლკოვნიკისათვისაც კი „სიახლე“ აღმოჩნდა.

– სად?! – ჩაეკითხა განცვიფრებული დავითინიძე, – კოსმოსურ ხომალდზე?!!

– დიახ, იმ გასაიდუმლოებულ კოსმოსურ ხომალდზე, სადაც სხვა პიროვნების მაგივრად, შეცდომით მოვხვდი.

– კი, მაგრამ, იქ რა ვითარებაში აღმოჩნდით?!

– ეს ძალიან გრძელი ამბავია, მოყოლას დიდი დრო დასჭირდება.

– რა, სადმე გეჩქარებათ?

– არა, სად უნდა მეჩქარებოდეს?! თურმე გარეთ ქილერი დამსდევს! თავს ყველაზე უფრო დაცულად თქვენთან ვგრძნობ და აქედან წასვლა არც მინდა.

– თუ ასეა, ყველაფერი დაწვრილებით მოყევით, ნუ აჩქარდებით, დრო საკმარისად გვაქვს! – შეაგულიანა დავითინიძემ.

პოლკოვნიკი ნაცადი მეთოდით ხელმძღვანელობდა: „მარტივი ლოგიკაა – ინფორმაციის მოპოვება ქალის ლაპარაკის სურვილის წახალისების გზით. ილაქლაქოს, რაიმე წამოსცდება და „ჩავავლებთ“, შემდეგ კი დამატებითი კითხვებით „ამოვქაჩავთ,“ – ვარაუდობდა დავითინიძე.

„მაღალი თანამდებობის პირებს დრო ყოველთვის შეზღუდული აქვთ... ჩემთან ხანგრძლივი „მეგობრული მასლაათით“ ინფორმაციის მიღებას ცდილობს... რაც არ უნდა იყოს, 40 წელი დაკარგული ვიყავი და ეს ფაქტი მათ უეჭველია, ეცოდინებათ! ვინ იცის, რას ფიქრობენ ჩემზე... სავარაუდოდ, კარგს არაფერს...“ – ჩანაფიქრს მიუხვდა, მაგრამ თამაშში აჰყვა დავითინიძეს იაშვილი. – „ფაქტობრივად ეს დაკითხვაა... რაც უფრო მეტის მოყოლის შესაძლებლობა მომეცემა, მით მეტად დავარწმუნებ!“

– მადლობელი ვარ, ბატონო დავით, ამდენ დროს რომ მითმობთ! – გულწრფელი მადლიერებით გაიღიმა იაშვილმა. – სანამ ძირითად სათქმელს (რისთვისაც აქ მოვედი), მოგახსენებდეთ, უმჯობესი ხომ არ იქნება, თავს გადახდენილი ამბავი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მოგაწოდოთ?

– მონათხრობის სტილსა და ფორმას ჩემთვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. მოყევით, როგორც გსურთ! – უფლება მისცა დავითინიძემ.

იაშვილმა პოლკოვნიკს თვალი გაუსწორა და საზეიმო ტონით წარმოსთქვა:

– ბატონო დავით, მე კოსმოსში მართლა ვიმოგზაურე! მაგრამ ამ ფაქტის დამადასტურებელ არანაირ მატერიალურ მტკიცებულებას, გარდა საკუთარი პერსონისა, სამწუხაროდ, არ ვფლობ. მე თვითონ გახლავართ მტკიცებულება! წარმოიდგინეთ, ასაკით 75 წლისა ვარ, თუმცა ახალგაზრდა ადამიანის ჯანმრთელობა და გარეგნობა მაქვს! ეჭვი არ მეპარება, ჩემს შესახებ ბევრი რამ გეცოდინებათ, თქვენი ხელქვეითები მოგახსენებდნენ, ტყუილად ხომ არ გავიარე საფუძვლიანი შემოწმება?! იმედია, გითხრეს, რომ გიჟი არა ვარ!

იაშვილი უეცრად გაჩუმდა და დავითინიძის სახის გამომეტყველებას ყურადღებით დააკვირდა, თუმცა ამ „თეატრალური პაუზით“ დავითინიძის რეაქციის ამოცნობის მცდელობას შედეგი არ მოჰყოლია.

პოლკოვნიკის სახეზე რომ ვერაფერი ამოიკითხა, მოკრძალებული უბრალოებით განაგრძო:

– ბატონო პოლკოვნიკო, სულ 3 თვეა, რაც კოსმოსიდან დედამიწაზე დავბრუნდი. 20 დღეა, რაც სამშობლოში ვიმყოფები... ჩამოსვლის პირველივე დღიდან ქართულ სპეცსამსახურებთან კონტაქტზე გამოსვლას ვცდილობ... თუ როგორ მოვახერხე თქვენამდე მოღწევა, მოგვიანებით მოგახსენებთ. ჯერ თქვენს კითხვას ვუპასუხებ და კოსმოსურ ხომალდზე ჩემი უჩვეულო მოხვედრის ამბავს გიამბობთ.

„აი, ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელისაგან თავის დაძვრენის მცდელობის არც თუ ჭკვიანური სტრატეგია“, – ფიქრობდა დავითინიძე, – „ქოსა-ტყუილას ზღაპრების“ თანამედროვე ინტერპრეტაციის „გულისამაჩუყებლად“ მოყოლა! არა, ამ ქალს რაღაცა აქვს ჩაფიქრებული! ვნახოთ, ტაქტიკურ სვლად რას შემოგვთავაზებს... საინტერესოა, საკმარისად თუ მოსდგამს ფანტაზიის უნარი და ორატორული ნიჭი... ან ამ თავის მონაჩმახს „ლოგიკური ჯაჭვით“ როგორ შეკრავს?! მონათხრობი დამაჯერებლად ხომ უნდა ჟღერდეს!“

– დამაინტრიგეთ, ქალბატონო ია! ისეთი სენსაციური „ექსკლუზივ“-განცხადებები გააკეთეთ, რომ გაიგონ, თვით ე.წ. „ყვითელი პრესის“ ჟურნალისტებიც კი ბოროტი შურის თვალით ღვარძლიანად შემომხედავენ! – იხუმრა დავითინიძემ.

– ჯერ მოვყვები, გთხოვთ, ნუ შემაწყვეტინებთ, შეკითხვები მერე იყოს, კარგი?

– შევთანხმდით... მოყევით! – სმენად იქცა პოლკოვნიკი.

თავი V. გატაცება

– ახლაც მშვენივრად მახსოვს 2011 წლის ულამაზესი თბილისური შემოდგომა, ხავერდოვანი და მზის სხივებით უხვად გაჯერებული ოქტომბრის ერთი ჩვეულებრივი კვირა დღე, – საკუთარი თავგადასავლის თხრობას დინჯად შეუდგა იაშვილი, – ჭრელი კაბებით შემოსილი და ნაირფერი მოსასხამებით დამშვენებული ხეები ნიავზე ნარნარად ირხეოდნენ და ერთმანეთს ტოტებს უწვდიდნენ. გეგონებოდა, წითელ-ყვითელ ფოთლების ურთიერთგაცვლას ცდილობენო... წითელი აგურით ნაშენი ეკლესიის გუმბათს მზის სხივები შარავანდედად დაჰფენოდა. ეკლესია წმინდა ნინოს სახელზე XX საუკუნის მიწურულს აიგო და მოიხატა.

მიყვარდა აქ მოსვლა – ირგვლივ სისუფთავე და იდუმალი სიმყუ-

დროვე სუფევდა. საათობით შემეძლო ეკლესიის ეზოში აშოლტილი კვიპაროსის ხის ძირას მოცქრიალე წყაროსთან მდუმარედ ჯდომა, – ფიქრში ხელს არავინ მიშლიდა. სასოებით აღმავსებდა ხატებისა და ფრესკების სისპეტაკე, მამშვიდებდა ჩამოღვენთილი სანთლის იკლიკანტური მოხატულობის ხილვა. განსაკუთრებით ქვაში და ხეში ნაკვეთი ძირძველი ქართული ჩუქურთმების თვალიერება მხიბლავდა, უძველესი საგალობლების ჟღერადობის ჰარმონია ჟრუანტელს მგვრიდა და თვალთ აღფრთოვანების ცრემლი მადგებოდა. ეკლესიის კედლებზე ასომთავრულით შესრულებული წარწერების ხილვისას კი თავს, რატომღაც მეფე ფარნავაზის დროინდელ, წინაქრისტიანულ ქართლში წარმოვიდგენდი ხოლმე. ასეთ წუთებში არსებით ვგრძნობდი, რომ უძველესი ერის შვილი ვიყავი და მოწიწების, მადლიერებისა და სიამაყის გრძნობები ერთდროულად მეუფლებოდა.

საკვირაო წირვიდან გამოსული მრევლი ეკლესიის მიმდებარე სკვერში გამოფენილიყო, შემოდგომის მზის მაცოცხლებელ სითბოს ეფიცხებოდა და თავს შინაურული მასლაათით ირთობდა. ბავშვები ხეებიდან ახლადჩამოცვენილ ფერად ფოთლებში დაკუნტრუშებდნენ და სახელდახელოდ ნაყიდ მზესუმზირას მონდომებით აკნატუნებდნენ. ლოყაფუმფულა ჩვილები კი ჰაერში მონავარდე ჭრელი ფოთლებისაკენ ბუთქუნა თითებს იშვერდნენ და განცვიფრებულები ჭყლოპინებდნენ. პატარა ბავშვების ეკლესიაში ხილვა მახარებდა, მათ ონავრობას ღიმილით ვუმზერდი, ჟრიამული კი ჩიტების ჟღურტულივით ტკბილად ჩამესმოდა...

სკვერში შეკრებილ ხალხს შეუმჩნევლად ვათვალიერებდი – მსიამოვნებდა მომლოცველი მორწმუნეების სადა, კეთილი და მშვიდი სახეების ჭვრეტა, მათი კეთილმოსურნე ურთიერთდამოკიდებულების გაზიარება... ჩემი ყურადღება მიიპყრო რუხწიწვებიან კედართან განცალკევებით მდგარმა ახალგაზრდა ოჯახმა: მაღალმა, გამხდარმა ყმაწვილმა, საშუალო სიმაღლის ცისფერთვალება სანდომიანმა გოგონამ ჩვილი ბავშვით ხელში და ორმა ხუჭუჭთმიანმა მცირეწლოვანმა ბავშვმა, გოგონამ და ბიჭუნამ, რომლებსაც მამისათვის ხელი ჩაეჭიდათ და შეშინებული თვალებით ხალხს ყურადღებით აკვირდებოდნენ. გამახსენდა, რომ ეს ოჯახი წირვის დროსაც განცალკევებით იდგა და გულმხურვალედ ლოცულობდა. მოვიხიბლე მათი სულიერებითა და მშვენიერი გარეგნობით, გავიფიქრე კიდეც: „რა ლამაზი ოჯახია“.

ეკლესიაში ყოფნითა და შემოდგომის სიჭრელით გახალისებულმა, მეგობრებთან წასვლა გადავწყვიტე და სამარშრუტო ტაქსის გასაჩერებლად გავწიე. გზად ვერცხლისფერ კედართან უნდა გამევლო. გარკვევით გავიგონე გოგონას ნაღვლიანი შეკითხვა: „აქ აღარასოდეს დავ-

ბრუნდებით, მამიკო?“

მოულოდნელად ქარი გაძლიერდა და ჰაერში მქროლავი თვალწარმტაცი ფერადოვნება ეკლესიის გუმბათისაკენ გაფრინდა. „მკვდარი ფოთლებიც კი ეკლესიისაკენ მიისწრაფიან“, მოწიწებით გავიფიქრე. დღემდე მესიზმრება ხოლმე წითელი აგურით ნაშენი ეკლესიის ირგვლივ მოფარფატე ნაირფერი ფოთლების სევდანარევი ფერხული...

***

ის საბედისწერო დღე – 2011 წლის 25 ოქტომბერი – ჩვეულებრივი სამუშაო დღე იყო. დილით სამსახურში, ჩემს კაბინეტში ვიჯექი და უკრაინაში გასაგზავნი სასწრაფო საიდუმლო წერილის ტექსტზე ვმუშაობდი, როდესაც დეპარტამენტის უფროსის თანაშემწემ, გრძელფეხება ლამაზმანმა, ზრდილმა და გონიერმა გოგონამ ნეა ჯობავამ შიდაუწყებრივი ტელეფონით დამირეკა და თბილი მოკითხვის შემდეგ შემატყობინა:

– დღეს 2 საათზე სამინისტროს ახალი შენობის სხდომათა დარბაზში მინისტრი პირად შემადგენლობას ხვდება, აუცილებლად უნდა დაესწროთ. ხვალ დილით 10 საათზე კი თათბირია დანიშნული, დეპარტამენტის მიერ გაწეული მუშაობის 9 თვის შედეგებს განიხილავენ.

– გასაგებია, დავესწრები. გაწეული მუშაობის წერილობითი ანგარიში მზად მაქვს. გმადლობთ, რომ შემატყობინე, ნეა. ბედნიერად იყავი! – მოკლედ ვუპასუხე, რადგან უნდა ავჩქარებულიყავი და რევერანსებისა და ზრდილობიანი მჭერმეტყველების დრო არ მქონდა.

მშვენივრად მახსოვდა დეპარტამენტის უფროსის (რომელსაც თანამშრომლები დიდ პატივს ვცემდით მისი პროფესიონალიზმისა და პიროვნული ღირსებების გამო) საყვარელი ფრაზა: „საკითხი საფუძვლიანად შეისწავლეთ, კოლეგებთან ერთად განიხილეთ, შეათანხმეთ და შედეგები მომახსენეთ“. არ მინდოდა შენიშვნა დამემსახურებინა, ამიტომ გაწეული მუშაობის წერილობითი ანგარიში გადავიკითხე და თათბირისათვის თეზისების სახით მოკლედ ჩამოვაყალიბე: შევაჯამე 9 თვის განმავლობაში შესრულებული სამუშაო, შევაჯერე ციფრობრივი მონაცემები, წარმოვაჩინე საქმიანობის დადებითი მხარეები, მოვნიშნე ნაკლოვანებები, დავსახე სამომავლო ამოცანები და მათი გადაწყვეტის გზები, გავთვალე მოსალოდნელი შედეგები. „ქვას გახეთქავს, good job!“[4] გავიფიქრე და სავარძლის საზურგეს შვებით მივეყუდე.

საწერ მაგიდას მზის სხივი დაეცა და მეტალით მოვარაყებული ხის ორგანაიზერი ოქროსფრად ააბრდღვიალა, – შუადღე გადასულიყო. საათს შევხედე, – პირველს 10 წუთი აკლდა. მომზადებული მასალები

სეიფში ჩავკეტე და დეპარტამენტის უფროსის მისაღებისაკენ გავეშურე. ხელმძღვანელი ადგილზე არ დამხვდა, ამიტომ უკრაინაში გასაგზავნი წერილი კანცელარიის უფროსს ლანა ლანდიას დავუტოვე. იგი შუა ხნის, სერიოზული, საქმის მცოდნე და ურთიერთობაში მეტად მკაცრი, მაგრამ სამართლიანი ქალბატონი გახლდათ და დოკუმენტებთან მუშაობისას დაშვებულ უმნიშვნელო შეცდომასაც კი არავის პატიობდა. ამის გამო, მას უწყინარი მეგობრული ხუმრობით, ზურგს უკან „მოლანდებაძეს“ ეძახდნენ.

– ქალბატონო ლანა, „შეფი“ კაბინეტში არ იმყოფება, მეც 2-3 საათით შენობიდან გავდივარ, ხელმძღვანელობა საქმის კურსშია. იქნებ ეს წერილი ხელმოსაწერად „შეფის“ პირად ფოსტაში ჩაგედოთ... სასწრაფოა, შესაძლოა დაშიფრული დეპეშის გაგზავნაც გახდეს საჭირო. დღის ბოლოს შემოგივლით. გმადლობთ, – სხაპასხუპით მივაყარე.

ლანამ გოროზად შემომხედა, მაგრამ წერილი დაიტოვა, – უარის სათქმელი არგუმენტი არ ჰქონდა. ქალბატონი ლანას ბუზღუნისაგან გადარჩენით ფრიად კმაყოფილი ეზოში გამოვედი. დრო მქონდა, ორ საათამდე წახემსებასაც მოვასწრებდი, ამიტომ იქვე ახლოს მდებარე სახაჭაპურესაკენ ქუჩას ფეხით გავუყევი...

***

საპატრულო პოლიციისა და სასწრაფო დახმარების მანქანების სირენების გულის გამგმირავმა ხმაშეწყობილმა წივილმა მოულოდნელად ადგილზე გამაქვავა. უკან მოვიხედე:

ჩემგან 50 მეტრში, პარფიუმერული მაღაზია „ლუტეციას“ წინ ტროტუარზე მწოლიარე საშინლად დასახიჩრებული ახალგაზრდა გოგონა სისხლში ცურავდა, თავს სასწრაფო დახმარების ექიმები დასტრიალებდნენ. პოლიციას შემთხვევის ადგილი ყვითელი ლენტებით შემოეფარგლა და მიმდებარე ტერიტორიას ყურადღებით სწავლობდა. ახლოს მივედი, მაინტერესებდა რა მოხდა.

ორმოციოდე წლის პოლიციის მაიორი ირგვლივ შემოჯარულ გამვლელებს დაშლისაკენ ხმაჩახლეჩილი მოუწოდებდა და აბეზარი ჟურნალისტების შეკითხვებს შაბლონური ფრაზებით იგერიებდა:

– კარგად ხედავთ, ავტოსაგზაო შემთხვევაა. მოგვეცით მუშაობის საშუალება. მოგვიანებით ყველა შეკითხვაზე გიპასუხებთ, ამჟამად თქვენთვის საინტერესო ინფორმაციას არ ვფლობთ. ძალიან გთხოვთ, ხელს ნუ შეგვიშლით!

ჟურნალისტები პოლიციელის თხოვნას არად აგდებდნენ და ექსკლუზიური ინფორმაციის მოპოვებას „ფარული ნადირობის“ ხე-

რხების გამოყენებით ცდილობდნენ: ჩართული მიკროფონებითა და მომართული ფარული ვიდეო-კამერებით შემთხვევის ადგილის პერიმეტრის გასწვრივ შეუჩერებლივ მოძრაობდნენ. პროფესიული ტექნიკა ირგვლივ ყველაფერს აფიქსირებდა, ხოლო გამობრძმედილი ჟურნალისტური თვალი უამრავ წვრილმანს ამჩნევდა.

– საკმარისია, კიდევ გიმეორებთ, გთხოვთ დატოვოთ შემთხვევის ადგილი, ეს ყველას ეხება, მათ შორის ჟურნალისტებსაც! – შეუვალი ტონით განაცხადა პოლიციის მაიორმა.

სტაჟიანი „პიჟონივით“ კუბოკრული ყელსახვევით მკერდდამშვენებული, ერთ-ერთი რეიტინგული ტელევიზიის ჟურნალისტი, პოლიციასთან საერთო ენის გამონახვას თავგამოდებით ცდილობდა:

– ოპერმუშაკები და რეპორტიორები ხშირად შინაარსით ერთმანეთის მსგავს, ამასთან მეტად რთულ და საპასუხისმგებლო საქმიანობას ვეწევით, ამიტომ ძმები თუ არა, ბიძაშვილები მაინც ხომ ვართ, – ცალყბად გაუღიმა პოლიციის მაიორს.

მაიორი ჟურნალისტის ხუმრობა-ქათინაურს ოლიმპიური სიმშვიდით შეხვდა და საკუთარი აზრის საჯაროდ გამოთქმისაგან თავი შეიკავა.

– ტყუილად „ვეჩალიჩებით“, არაფერს იტყვის. „დავატორმუზოთ“, ტო, სანამ „ცხრასართულიანებზე“ არ გადასულა! – ყინჩად მიმართა შეკრებილთ „კუბოკრულმა“. ვერ მივხვდი, პოლიციელის გამოსაჯავრებლად, თუ თანამოკალმეების დასაშოშმინებლად მოქმედებდა, მაგრამ ცხადი იყო, რომ „პუბლიკაზე მუშაობდა“.

ხალხს სიცილი აუტყდა, მაგრამ მალევე შეწყვიტეს, ალბათ გარდაცვლილის სულის შერცხვათ. „ვერ გამიგია, ეს ცხოვრება სევდიანი მხიარულებაა თუ მხიარული სევდა“, – მომხდარით შეწუხებულმა დანანებით გავიფიქრე და გზა განვაგრძე, – მაინც ვერავის ვერაფერს ვუშველიდი...

* * *

ფეხს ავუჩქარე, რადგან მინისტრთან შეხვედრაზე დაგვიანება ნამდვილად არ მსურდა. სანამ სახაჭაპურეს მივაღწევდი, საბავშვო ბაღის რკინის გისოსებით შემორაგული ეზოსათვის უნდა ჩამევლო. ეზოში ბავშვები ერთმანეთს კისკისითა და ხტუნვა-ხტუნვით დასდევდნენ, მათი წკრიალა ხმები არემარეს ახალისებდა.

– ბავშვებო, ნუ დარბიხართ, არაფერი იტკინოთ! შორს ნუ წახვალთ, მალე ვისადილებთ. ლუკა, კატო! წესიერად მოიქეცით, დედა მალე მოვა და სახლში წაგიყვანთ! – ფანჯარაში გადმომდგარ თეთრწინსაფრიან სრულ ქალბატონს ცალ ხელში ქვაბი ეჭირა, მეორეში საწვნე. შეწუხე-

ბული და დაღლილი სახით ეზოს კუთხისაკენ იმზირებოდა.

ეზოს გალავნის გისოსებთან ორი ბავშვი მდუმარედ იდგა და ავტომანქანებით გადავსებულ ქუჩას გაფაციცებით გაჰყურებდა. გამაკვირვა მათმა არაბავშვურად სერიოზულმა გამომეტყველებამ და თანატოლებისაგან განცალკევებამ.

სვლა შევანელე და ბავშვებს ყურადღებით დავაკვირდი. ასაკით ხუთიოდე წლისანი იქნებოდნენ. თეთრ-ყირმიზა და ვარდისფერლოყებიან სახეებზე ნაბლისფერი ხუჭუჭა თმა ჩამოშლოდათ, გოგონას კამკამა ლურჯი თვალები და გრძელი აპრეხილი წამწამები ამშვენებდა, ბიჭის მორუხო-მომწვანო თვალებში კი ჭინკები გარინდულიყვნენ. ორივე ტანთხელი და ჰაეროვანი აღნაგობის იყვნენ და ძალიან შვენოდათ თეთრი ტანსაცმელი.

„და-ძმას ჰგვანან“, – გავიფიქრე და იმ წამსვე ვიცანი: „ეს პატარები ეკლესიაში არ ვნახე?! მაშინ მშობლებთან ერთად იყვნენ“.

– გამარჯობა, ბავშვებო! დედიკოს ელოდებით? – შევეხმიანე.

– დიახ, მაგრამ დედიკო არ მოდის!

– მოვა, საღამომდე ჯერ ხომ ადრეა. მიდით, ბავშვებთან ითამაშეთ, დროც მალე გავა. აბა, კარგად იყავით. უფალმა დაგლოცოთ!

როგორც იქნა, სახაჭაპურემდე მივაღწიე. დარბაზში შესვლისთანავე შევნიშნე დეპარტამენტის პრიმა-ჭორიკანა, ენაკვიმატი და გესლიანი ლულუ მინდაძე სამიოდე დაქალის ამალითურთ. კულუარებში ავი ენები ერთმანეთს ლულუს პიროვნული „კეთილშობილებისა“ და მისი „პატრონის“ გავლენიანი კავშირების შესახებ დროდადრო ეჩურჩულებდნენ ხოლმე. თანამშრომლები კარგად ვიცნობდით მინდაძეს და ცხადია, ვითვალისწინებდით მის „შესაძლებლობებს“, ამიტომ მასთან ურთიერთობის გამწვავებას ყოველთვის ვერიდებოდით. სიმართლე გითხრათ, სახაჭაპურეში ლულუს „ძლევამოსილი სადაქალოს“ „თვალსაჩინო“ და „პეროგარჭობილ ფეისებთან“ შეხვედრამ დიდად არ აღმაფრთოვანა, რადგან ცბიერებით ცნობილ ქალბატონ მინდაძეს რატომღაც გულზე არ ვეხატებოდი და ჩემთვის კიჭ-ეშვუნების ენერგიულად გაკრაჭუნებისა და კვასკვასა წითელი ლაქით დაფარული ფრჩხილ-კლანჭების ნარნარად გაკვრის შესაძლებლობებს ხელიდან არასდროს უშვებდა. თუმცა, დარწმუნებული ვარ, არც ისინი გადარეულან სიხარულისაგან ჩემი „ძვირფასი პერსონის“ „ნატურაში“ ხილვით. მეჩქარებოდა და მათთან „სვეცკი ლაი-ლაის“ დრო არ მქონდა, ამიტომ „ლულუისტებს“ „ნე ვიჟუ“ „მოვუჭიმე“, ზურგი „ნაგლად“ შევაქციე და აჭარული ხაჭაპური და ფორთოხლის წვენი შევუკვეთე. კუთხის მაგიდასთან მყუდროდ მოვკალათდი და შეკვეთის მოტანამდე თავს ქუჩაში გამვლელების ზერელე თვალიერე-

ბით ვიქცევდი.

მოულოდნელად შევნიშნე ტროტუარზე ტაატით მობაჯბაჯე ორი პატარა თეთრი ქულა. „ბავშვები!“ – შეშფოთებული სკამიდან წამოვხტი და კარებისაკენ გავქანდი.

– თქვენი ხაჭაპური! – მომაძახა ოფიციანტმა გოგონამ.

– შეკვეთა გააუქმეთ! – მივაკივლე და ქუჩაში გამოვვარდი. ბავშვებს მალევე დავეწიე.

– სად მიდიხართ, ბავშვებო?! საბავშვო ბაღიდან რატომ გამოიპარეთ?!

– დედიკოს ვეძებთ, – მიპასუხა კატომ.

– მე მიცანით? კვირას ეკლესიაში მეც თქვენთან ერთად ვლოცულობდი.

თანხმობის ნიშნად ორივემ თავი დამიქნია. გულს მომეშვა, რადგან ვიმედოვნებდი, რომ საბავშვო ბაღში მათი დაბრუნება არ გამიჭირდებოდა.

– თქვენ ხომ ჭკვიანი და კარგი ბავშვები ხართ. მოდით, ერთად დავბრუნდეთ. იქნებ დედიკო უკვე საბავშვო ბაღშია და თქვენ გეძებთ. დავბრუნდეთ, კარგი?

– კარგი, – დამეთანხმა ლუკა.

ბავშვებს შორის ჩავდექი და მბრძანებლური ტონით საქმიანად მივმართე:

– აბა, ორივემ ხელში ხელი ჩამჭიდეთ და წავედით!

მათ მორჩილად და ნდობით გამომიწოდეს თავიანთი პაწაწა, უმწეო და ფუნჩულა ხელები და ტროტუარს საბავშვო ბაღის მიმართულებით ერთად გავუყევით. ჭიშკართან რომ მივაღწიეთ, ბავშვები შევაჩერე:

– დედიკოს აქ დაველოდოთ, დაგვინახავს და მოვა. მართლა, თქვენს დედიკოს რა ჰქვია?

– ირმა. იცით, ჩვენი დედიკო ყველაზე ლამაზია, – ჩაიტიტინა კატომ.

– შენც ძალიან ლამაზი გოგონა ხარ, პატარა კუდრაჭა, – გამეღიმა.

ბაღის ეზოსა და ქუჩას სამივე გაფაციცებით ვათვალიერებდით, – სამივე მოუთმენლად ველოდით კატოსა და ლუკას დედის გამოჩენას. ქუჩის საათს გავხედე, ორს ოცი წუთი აკლდა. მინისტრთან შეხვედრაზე ვაგვიანებდი და ბავშვების ისევ საბავშვო ბაღში მიბრუნება გადავწყვიტე, თუმცა ბაღის აღმზრდელების უყურადღებობა სერიოზულად მაღიზიანებდა: „როგორ უნდა შესძლოს პატარა ბავშვმა ეზოდან შეუმჩნევლად გამოსვლა?!“ – აღშფოთებული ვფიქრობდი.

აი, შემდეგ კი მოვლენები ისე მოულოდნელად და მყისიერად განვითარდა, რომ გაოგნებისაგან გონს მოსვლა კარგა ხანს ვერ შევძელი...

* * *

მსუბუქი ავტომანქანის მუხრუჭების ღრჭიალის ხმამ მოულოდნელად შემაკრთო, – ჭიშკრის სიახლოვეს უახლესი მოდელის ვერცხლისფერი „მერსედეს-ბენცი“ გაჩერდა. მანქანიდან გადმოსული შავსათვალიანი მძღოლი ჩვენკენ უყოყმანოდ გამოეშურა. ბავშვებმა ერთმანეთს ხელი ჩასჭიდეს და ზურგს უკან ამომეფარნენ. არსებით ვგრძნობდი, შიშისაგან როგორ კანკალებდნენ.

– ნუ შეგეშინდებათ, საყვარლებო, მე არსად მივდივარ, თქვენთან ვრჩები, – გავამხნევე ბავშვები.

ჩემდა უნებურად მამაკაცს ყურადღებით დავაკვირდი: 30-35 წლისა იქნებოდა, საშუალოზე მაღალს, მხარბეჭიანსა და ძვალმსხვილს, მართკუთხედის ფორმის აღნაგობა ჰქონდა. შუბლზე ჩამოვარცხნილი, სწორი, მუქი წაბლისფერი თმა და ხშირი წარბები ზღაპრულ დევს ამსგავსებდა. ტანთ შავი ქურთუკი, თეთრი პერანგი და გახეხილი ჯინსები ემოსა, ფეხზე კი თეთრ წინდებზე შავი „სალამანდრები“ შემოეცვა. მარცხენა ხელში მომცრო ზომის შავი ჩანთა, ე.წ. „კეისი“ ეჭირა, მარჯვენა ხელით მობილური ტელეფონი ჩაებღუჯა. მტკიცე, თავისუფალი ნაბიჯით სწრაფად მოდიოდა. ტელეფონმა დარეკა, – უცნობმა უპასუხა და ორიოდ წამში სათვალე მოიხსნა. სვლა არ შეუნელებია და მკაცრი შავი თვალების გამჭოლ მზერას არ გვაშორებდა.

„ეს „შკაფ-გარდერობი“ დიდად სასიამოვნო სუბიექტი არ ჩანს, ნამდვილად ყოფილი სპორტსმენი კია – რაგბისტი ან შტანგისტი, – მოძრაობაზეც ეტყობა. ისე გვიყურებს, უეჭველია, ჩვენთან მოდის. ჩემი კოლეგა ალბათ არ არის, რადგან მანქანა საუწყებო არ უნდა იყოს – ძალიან ძვირადღირებულია, ასეთი მანქანა ქალაქში ორიოდე თუა. ბავშვების მამაც არ არის – ეკლესიაში ხომ პირადად ვნახე. ნეტავ, ვინ არის და რა შეიძლება უნდოდეს?“ – საგონებელში ჩავვარდი.

– გამარჯობა, ქალბატონო ირმა. შეთანხმებისამებრ, ორის ნახევარზე სახლში მოგაკითხეთ. ადგილზე რომ არ დამხვდით, თქვენმა მეუღლემ სავარაუდოდ აქ მოსვლა მირჩია.

სიტყვამ „სავარაუდოდ“ საფუძვლიანად დამაეჭვა: ცხადი იყო, უცნობს ბავშვების დედა ვეგონე, მაგრამ ბავშვების მამას თავისუფლად შეეძლო მეუღლესათვის მობილური ტელეფონით დაერეკა და მისი ზუსტი ადგილსამყოფელი დაედგინა.

– გამარჯობა, ჩემო ბატონო, უკაცრავად, იცით... – არ ვიცოდი რა მეპასუხა. დაბნეულობის დასაფარავად და პაუზის შესანარჩუნებლად უაზროდ ვიღიმებოდი, – შექმნილი ვითარება დროულად უნდა შემეფასებინა.

გამახსენდა ბაღის აღმზრდელის მიერ ბავშვებისათვის ნათქვამი ფრაზა: „დედა მალე მოვა და სახლში წაგიყვანთ“-ო. ამასთან, ლუკა და კატო ხომ დედას ელოდებოდნენ და რომ არ მოვიდა, – მის საძებნელად გამოიპარნენ.

„გამოდის, რომ ბავშვების დედა, ქალბატონი ირმა, ბაღში აუცილებლად უნდა მოსულიყო და ბავშვები სახლში წაეყვანა, მაგრამ გაურკვეველ მიზეზთა გამო, არ მოვიდა. ყოველივე ეს ახლადმოვლენილმა უცნობმა მამაკაცმა არ იცის და, როგორც ჩანს, იგი ბავშვების დედას სახეზეც არ იცნობს. კი მაგრამ, უცნობ ადამიანთან ირმა რის თაობაზე და როგორ უნდა „შეთანხმებულიყო“? არა, აქ რაღაც ხდება, უნდა გავარკვიო... მინისტრთან შეხვედრაზე დაგვიანების გამო, ალბათ კაი მაგარ საყვედურს „მომარჭობენ“, მაგრამ რა ვქნა, ბავშვებს ალალ ბედზე ხომ ვერ მივატოვებ?!“ – ვფიქრობდი და სიმშვიდის შენარჩუნებას ვცდილობდი.

– აი, იმ მანქანის უკანა სავარძელში ბავშვებთან ერთად დაბრძანდით, ძალიან გვაგვიანდება, გველოდებიან. ალბათ, ბატონი ალეკოც მოუთმენლად გელოდებათ, – უცნობმა მამაკაცმა საყვედურშეპარული მბრძანებლური ტონით მომმართა და გალაპლაპებული „მერსედეს-ბენცი“-საკენ მიმითითა.

„ალეკო კატოსა და ლუკას მამა იქნება. ეტყობა, ეს ტიპი ბავშვების მშობლებს საერთოდ არ იცნობს, – „ალბათ გელოდებათ“-ო... წეღანაც მოიტყუა, – „მოსვლა მირჩია“-ო... აბა, ამ მამაცხონებულს, ბავშვები ვისთან და სად მიჰყავს? ეს გატაცების მცდელობაა, თუ რა ჯანდაბა ხდება?“ – საკუთარ თავს კითხვებზე ვერ ვპასუხობდი.

– დიდი მადლობა, ჩემო ბატონო. უკაცრავად, როგორ მოგმართოთ? – ვკითხე ბატონ „შკაფ-გარდერობს“. ნამდვილ სახელსა და გვარს რომ არ ჩამიკენჭავდა, მშვენივრად ვიცოდი, მაგრამ მის შესახებ რაღაც ხომ უნდა მცოდნოდა!

– „მისტერ იქსი“, თქვენი მონა-მორჩილი, – დამცინავი ღიმილით მიპასუხა უცნობმა. გავბრაზდი, თავხედობას ნამდვილად არ ველოდი.

– ეგ რომელი, ოპერეტის იდუმალებით მოსილი გმირის ორეული, თუ სხვა ღირშესანიშნავი პერსონა – გალანტურობისა და ელეგანტურობის ნიმუში? – არ შევარჩინე, ბოლო სამი სიტყვა განსაკუთრებული ხაზგასმით წარმოვთქვი. „მისტერ იქსს“ გაეცინა, მაგრამ არაფერი უთქვამს. წინ წარგვიძღვა, მანქანასთან მივიდა, უკანა კარი გამოაღო და თავაზიანი ჟესტით ჩასასხდომად მიგვიწვია.

მანქანას რამდენიმე მეტრი გვაშორებდა, მაგრამ მის სანომრე ნიშ-

ნებს ვერ ვხედავდი. „ეს კაცი პროფესიონალია, მანქანა ოსტატურად, გვერდულად დაუყენებია. სპეციალურად ხომ არა – სანომრე ნიშნები რომ არ დამენახა?“ – უკვე ყველაფერი მაეჭვებდა. ცხადია, ნომრები აუცილებლად უნდა დამემახსოვრებინა, მაგრამ „მისტერ იქსისაგან“ შეუმჩნევლად მანქანას ვერ შემოუვლიდი, მიზეზს აუცილებლად მიხვდებოდა.

მეშინოდა, ლუკასა და კატოს უცნობთან არ წამოსცდენოდათ, რომ მათი დედა არ ვიყავი. ბავშვები ხომ საოცრად უშუალონი და გულწრფელნი არიან, შინაგანად გრძნობენ სიყალბეს და შესანიშნავად აცნობიერებენ უფროსი ადამინების მათდამი განწყობას. ვიმედოვნებდი, ბავშვები ჩემში დამცველსა და მფარველს შეიცნობდნენ და მომენდობოდნენ.

ბავშვები კვლავ ხელჩაჭიდებულები იდგნენ და ადგილიდან არ იძვროდნენ. „მისტერ იქსს“ სახე მოეღრუბლა და გაღიზიანებულმა კბილებში გამოსცრა:

– ძალიან, ძალიან ვაგვიანებთ!

– ლუკა, კატო, აბა სწრაფად, მანქანაში ერთად ჩავსხდეთ, ხომ გაიგონეთ, მამიკოსთან მივდივართ! – რაც შემეძლო თბილად და დაყვავებით მივმართე ბავშვებს.

გულში ვფიქრობდი: „თუ მართლა კრიმინალებთან მაქვს საქმე, შევძლებ კი ბავშვების უსაფრთხოების დაცვას?“. ცხოვრებაში პირველად ვინანე, რომ იარაღი თან არ მქონდა.

კატო და ლუკა უსიტყვოდ დამმორჩილდნენ და მანქანისაკენ უხალისოდ წაჩანჩალდნენ, – საბრალო პატარებს სხვა არჩევანი არც ჰქონდათ. „მისტერ იქსი“ ჭიშკრიდან დაახლოებით 10 მეტრში, ავტომანქანის უკანა კარებთან იდგა და ჩვენს ჩასხდომას ელოდა. მოულოდნელად გონება გამინათდა და ლუკას ჩურჩულით ვუთხარი: „გაიქეცი, მანქანას წინიდან შემოურბინე და ისე მიდი ბიძიასთან!“ ლუკა გაიქცა. კატო ვერ მიხვდა რა ხდებოდა და თვითონაც ლუკას სირბილით გაჰყვა.

– ფრთხილად, ბავშვებო! – ხმამაღლა შევძახე და მეც ორივეს უკან დავედევნე.

ქალაქის ქუჩებში ლაღად და თავისუფლად მოსეირნე ვერცხლისფერი, უახლესი მოდელის, გამომწვევად პრიალ-კრიალა „მერსედეს-ბენცის“ სანომრე ნიშნების დადგენის მიზნით, ბავშვებთან ერთად მანქანას თავქუდმოგლეჯილმა წივილ-კივილით მეც შემოვურბინე. „დაზვერვამ“ წარმატებით ჩაიარა – ნომერს შევხედე და მგონი, სამუდამოდ დავიმახსოვრე: GCE -121!!!

* * *

სამივე ავტომანქანის უკანა სავარძელზე მოვთავსდით. ბავშვები გვერდიგვერდ დავსხი, ერთმანეთი რომ გაემხნევებინათ, მე კი „მისტერ იქსის“ უკან შეგნებულად დავჯექი, ჩემი ხელები რომ არ დაენახა და მოძრაობაში შეზღუდული არ ვყოფილიყავი.

„მისტერ იქსმა“ კარები მოგვიხურა, საჭესთან დაჯდა, ავტომობილი ადგილიდან უსწრაფესად მოსწყვიტა და დიდი სიჩქარით გაურკვეველი მიმართულებით გააქანა.

ბავშვები დაძაბული სახეებით წყნარად ისხდნენ, მხოლოდ დროდადრო შიშნარევი თვალებით შემომხედავდნენ ხოლმე. ვცდილობდი ორიენტაცია არ დამეკარგა, ამიტომ საქარე მინას თვალს არ ვაშორებდი.

მაშინ ვერ გავიაზრე, თუ რა მიზეზით, – მანქანების უსასრულო ნაკადისაგან თავის დასაღწევად, თუ მავანთათვის გზა-კვალის აბნევის მიზნით, – „მისტერ იქსი“ მეტად უცნაური წრიული მარშრუტით მოძრაობდა: ერთი და იგივე ქუჩებს გარს რამდენიმეჯერ სხვადასხვა მხრიდან უვლიდა.

ამ გიჟური სრბოლის დასასრულს მდუმარე მოთმინებით ველოდი და თან ვფიქრობდი, „იქსისაგან“ შეუმჩნევლად, ჩემი კოლეგებისათვის ხმა როგორ მიმეწვდინა.

ჩემდა საბედნიეროდ, კოსტიუმის ჯიბეში ორი მობილური ტელეფონი მედო: პირადი ურთიერთობებისათვის განკუთვნილი ე.წ. „გასაშლელი სამსუნგი“, რომლითაც მხოლოდ ოჯახის წევრებსა და ჩემთვის ძვირფას სხვა ადამიანებთან ვსაუბრობდი და იმ დროისათვის უახლესი მოდელის მრავალფუნქციონალური კორპორატიული „აიფონი“, რომელსაც მხოლოდ სამსახურებრივი საჭიროებისათვის ვიყენებდი ხოლმე.

გამომგზავრებიდან 7 წუთში, ზუსტად 13 საათსა და 55 წუთზე „აიფონის“ ზარმა მელოდიურად გაიჟღერა.

– ქალბატონო ირმა, ხომ გაგაფრთხილეს, რომ მობილური ტელეფონი თან არ წამოგეღოთ! – მკაცრი ტონით მომმართა „მისტერ იქსმა“.

– ბოდიში, ამ სიჩქარეში არც კი მახსოვს კოსტიუმის ჯიბეში რანაირად აღმოჩნდა! ხელჩანთიდან კი ამოვიღე და ... – რაც შემეძლო მშვიდად ვუპასუხე.

– ზარს არ უპასუხოთ, ტელეფონი გამორთეთ და ფანჯრიდან გადააგდეთ, – მიბრძანა „მისტერ იქსმა“, – სწრაფად!

– ამ შუაგულ ქალაქში და ასეთი მოძრაობის პირობებში?! – შევეწინააღმდეგე, – ვინმე რომ დააზიანოს?!

– არავინ დაზიანდება! გააკეთეთ, რასაც გეუბნებით! მობილური

არაფერში გჭირდებათ! ადგილზე რომ მივალთ, მაინც ჩამოგართმევენ!

კინაღამ თავი გავეცი და ვკითხე: „მობილური რატომ უნდა ჩამომართვან, ან ვინ უნდა ჩამომართვას?“- მეთქი, თუმცა შეცდომას დროულად მივხვდი და ენას კბილი დავაჭირე.

– კარგი, გადავაგდებ, ოღონდ თქვენ არ ინერვიულოთ! – ბრაზი მახრჩობდა.

ორივე ტელეფონი ჯიბიდან ამოვიღე. რეკავდა დეპარტამენტის უფროსის თანაშემწე ნეა ჯობავა. ალბათ, მინისტრთან შეხვედრაზე რომ ვაგვიანებდი, – ხელმძღვანელობა მეძებდა. „აიფონი“ გავთიშე და ისევ ჯიბეში ჩავიდე, ხოლო ჩართული „სამსუნგი“ ფანჯრიდან მოვისროლე. ვიმედოვნებდი ანძაზე მისი ზუსტი ადგილმდებარეობა განადგურებამდე, მოცემული მომენტისათვის დაფიქსირდებოდა: ბულაჩაურის ქუჩაზე ვიმყოფებოდით, მე კი იმ დროს იმ ადგილას, წესით, არ უნდა ვყოფილიყავი.

„იმედია, ქუჩის ვიდეოთვალი მობილურის „ირაოს“ მკაფიოდ დააფიქსირებს! ნეტა პატრული მაინც მალე შეგვხვდეს და ამ შლეგის პარპაშს წერტილი დაესვას!“ – ვფიქრობდი გამწარებული.

– ასე არ ჯობია? ზედმეტად აღარავინ შეგაწუხებთ! – შემრიგებლურად მითხრა „მისტერ იქსმა“.

რა უნდა მეპასუხა?! – გავჩუმდი... გულში ეჭვმა გამკენწლა: „იქნებ რომელიმე ძალოვანი უწყების მიერ დაგეგმილი სპეცოპერაცია ტარდება, მათი კუთვნილი ოპერატიული მანქანაა და ასეთი სისწრაფით იმიტომ გადაადგილდება“-მეთქი, მაგრამ ეს გულუბრყვილო აზრი მაშინვე უკუვაგდე – მსგავსი ოპერაციების დროს შეცდომა გამორიცხულია. მე კი ამ „გაუგებრობაში“ სრულიად შეთხვევით „გავეხვიე“, ე.ი. საქმე კრიმინალთან მქონდა...

მალე სასტუმრო „აჭარასთან“ გამოვედით და „მისტერ იქსმაც“ სიჩქარეს უკლო, ალბათ პატრულის გამო, ქალაქის ცენტრალურ მაგისტრალებზე დიდი სიჩქარით ვეღარ იმოძრავებდა. ცირკის მიმართულებით დავეშვით, „ლაგუნა ვერესაც“ ჩავუქროლეთ და რამდენიმე წამში სანაპიროზე აღმოვჩნდით. ვერ ვხვდებოდი, საით მივდიოდით. გარემოს გაფაციცებით ვაკვირდებოდი, რათა ყოველთვის მცოდნოდა, სად ვიმყოფებოდით. ოციოდ წუთში კახეთის გზატკეცილზე გამოვედით და მაშინდელი ე.წ. „ლილოს ბაზრობის“ მიმართულებით მივქროდით. უკვე აღარ ვიცოდი, რა უნდა მომემოქმედა, მაგრამ ბედად პატარები დამეხმარნენ:

– ტუალეტში მინდა! – განაცხადა ლუკამ.

– მე კიდევ მშია! – წამოიძახა კატომ.

– დამშვიდდით, ბავშვებო, „ლილოს ბაზრობასთან“ ბიძია მანქანას გაგვიჩერებს და ყველაფერს მოვაგვარებთ, – დავუყვავე ბავშვებს.

– მანქანის გაჩერება ჩვენს გეგმებში არ შედის! ისედაც დააგვიანეთ! – სიტყვა მოგვიგდო „მისტერ იქსმა“.

– როგორ, ბავშვს ტუალეტში შესვლას აუკრძალავთ?! – აღვშფოთდი. – კი, ბატონო! ბავშვია, თავს ვერ შეიკავებს და... მერე რა გავაკეთოთ?!

– ლილოს ბაზრობასთან არა! თუ გინდათ, ახლავე გავაჩერებ და გზაზე მოისაქმოს!

– გოგონას რომ შია! ბავშვს ხომ ვერ ვაშიმშილებ!

– საჭმელი რატომ არ წამოიღეთ?! ხომ იცოდით, ბავშვებს ჭამა რომ მოუნდებოდათ!

– თქვენ ამაჩქარეთ და აღარ დამაცადეთ რაიმე მეყიდა! – თავი ვიმართლე მრავალგზის აპრობირებული პრინციპით: „ყველაზე ეფექტური თავდაცვა – თავდასხმაა“.

უკმაყოფილების ნიშნად „მისტერ იქსმა“ თავი გაიქნია, წამიერად ჩაფიქრდა და ბოლოს „მოწყალება მოიღო“ :

– კარგი, ბაზრობასთან გავჩერდეთ. მხოლოდ ათ წუთს გაძლევთ. მეც თან გამოგყვებით.

– გმადლობთ, ნუ შეწუხდებით. ორივე ბავშვს ქალების ტუალეტში შევიყვან. – მიამიტი გოგოს სახე წარმატებით „შევკერე“. – დროის მოსაგებად ხაჭაპური, ფუნთუშები, „კინდერ-შოკოლადები“, წყალი და ლიმონათი თქვენ შეიძინეთ. ფულს ახლავე მოგცემთ! – მოთვალთვალე „კუდის“ თავიდან მოშორება ჰაერივით მჭირდებოდა.

– არ არის საჭირო, მე თვითონ ვიყიდი. – ფული არ გამომართვა „მისტერ იქსმა“.

– დიდი მადლობა გულისხმიერებისათვის, – ვუთხარი ღიმილით... ვცდილობდი მასთან ნორმალური ურთიერთობა აუცილებლად შემენარჩუნებინა.

„მისტერ იქსმა“ ბაზრობასთან ავტომობილი მართლაც გააჩერა და მკაცრად გაგვიმეორა:

– ზუსტად ათი წუთი!

– გასაგებია, – მანქანიდან გადმოვედი და ბავშვებიც გადმოვიყვანე. სამივე ბაზრობის მთავარ შესასვლელთან განთავსებული საზოგადოებრივი ტუალეტების შენობისაკენ გავიქეცით...

შენობაში რომ შევედით, ბავშვები მაშინვე ქალთა დარბაზში გავიყვანე. ირგვლივ მიმოვიხედე – უსაფრთხო ადგილს ვეძებდი. დავაფიქსირე, რომ დარბაზში ჩვენს გარდა, არავინ იყო. ვითარებით უნდა მესარგებლა და სამსახურებრივი პირადობის მოწმობა და აიფონი გადამე-

მალა. შესაძლოა, სხვა მომენტი აღარც მომცემოდა, რადგან წარმოდგენა არ მქონდა, სად მივდიოდით და რა სიტუაციაში აღმოვჩნდებოდით. რომ „გავშიფრულიყავი“, ბოროტმოქმედები ორივეს ჩამომართმევდნენ და ვინ იცის, როგორ და რაში გამოიყენებდნენ.

– დაგეხმარებით, ბავშვებო! – პირველივე კაბინასთან შევჩერდი.

– არა, ჩვენ თვითონ, – მიპასუხა ლუკამ, – უკვე დიდები ვართ!

მახსოვს, გამიკვირდა კიდეც: „რა დამოუკიდებელი ბავშვები ყოფილან“ – მეთქი.

– მართლა?! კარგი... ჯერ შენ შედი, ლუკა, რომ გამოხვალ, კატოც შევა.

კაბინის კარები ოდნავ მივხურე და ჯიბიდან „აიფონი“ ამოვიღე.

– რა გვარი ხარ, კატო? – კულულები ავუჩეჩე ბავშვს.

– კვინტრაძე.

– ლუკა შენი ძმაა და ისიც კვინტრაძეა, ხომ?

– დიახ, დეიდა.

– მე ია მქვია. შენ რამდენი წლისა ხარ?

– ამდენის, – ოთხი თითი მაჩვენა კატომ.

– ოოო... დიდი გოგო ყოფილხარ, უკვე ოთხი წლისა! დაიმახსოვრე, რომ ოთხი წლის ხარ, კარგი?

– კარგი, დავიმახსოვრებ!

– ლუკა რამდენი წლისაა?

– ისიც ამდენისაა, – ისევ ოთხი თითი მაჩვენა კატომ, – ოთხის...

– ყოჩაღ, დაგიმახსოვრებია... ორივე ოთხი წლის როგორ ხართ, რა ტოლები ხართ?

– დიახ, დეიდა ია, დაბადების დღე ერთად გვაქვს ხოლმე! – გაზაფხულის მზით აღსავსე დღის ცასავით ლურჯი თვალები შემომანათა პატარა გოგონამ. მივხვდი, რომ ბავშვები ტყუპები იყვნენ.

– არავის უთხრა, ტელეფონი რომ მაქვს, კარგი? – ყურში ჩავჩურჩულე კატოს.

– არ ვეტყვი, – ჩურჩულითვე მიპასუხა ბავშვმა.

„აიფონი“ ჩავრთე და ე.წ. „მესიჯის“ ჯერ კიდევ მანქანაში მოფიქრებული ტექსტი ალბათ, წუთნახევარში „ავკრიფე“. ტექსტი დღესაც კი ნათლად მახსოვს, რადგან ვცდილობდი იგი კომპაქტური და ამავდროულად, ამომწურავი ინფორმაციის შემცველი ყოფილიყო. „მესიჯი“ შემდეგი შინაარსის იყო:

„მე და ოთხი წლის ტყუპები, კატო და ლუკა კვინტრაძეები, უცნობ მაღალ, გამხდარ, 35 წლის კაცს, ვერცხლისფერი „მერსედეს-ბენცით“ ნომრით GCE – 121, გაურკვეველი მიმართულებით, დიდი სისწრაფით

მივყავართ. უსაბუთო, უიარაღო და უტელეფონო ვარ: „SAMSUNG“-ი ბულაჩაურის ქუჩაზე გადავაგდე, ეს „აიფონი“ და პირადობის მოწმობა ლილოს ბაზრობის შესასვლელთან განთავსებული ტუალეტის სანიავოში დავტოვე. SOS!“

შეტყობინებები ჩემს ყოფილ კოლეგას, შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს გამოცდილ გამომძიებელს, პოლიციის მაიორ გოგა გიორგაძეს, ჩემს უახლოეს ბავშვობის მეგობარს, ანალიტიკური სამსახურის თანამშრომელს, პოლიციის კაპიტან ქეთი იმნაძეს და ზემოხსენებულ ნეა ჯობავას გავუგზავნე. ვიმედოვნებდი, რომ ისინი თავიანთ ხელმძღვანელობას ჩემი „მესიჯის“ შინაარსს დროულად და ოფიციალურად მოახსენებდნენ.

პროფესიონალიზმისა და საქმისადმი თავდადების გამო, ჩემს კოლეგებს – პოლიციის თანამშრომლებს – ყოველთვის დიდ პატივს ვცემდი, მათ კოლეგიალურ და მეგობრულ თანადგომაში დარწმუნებული ვიყავი და ეჭვი არ მეპარებოდა, რომ აუცილებლად მიპოვნიდნენ და დამეხმარებოდნენ.

როგორც კი მივიღე შეტყობინება „მესიჯების“ ადრესატებამდე მიღწევის დადასტურების შესახებ, რასაც წამები დასჭირდა, ტელეფონი სასწრაფოდ გამოვრთე და ისევ ჯიბეში ჩავიდე, რაგან არ მინდოდა „მისტერ იქსს“, როგორც პოლიციურ „სლენგზე“ იტყვიან, „ცოცხალ ფაქტზე გამოვეჭირე“, – აშკარა იყო, იგი ვიღაცის დავალებას ასრულებდა, და არ გამიკვირდებოდა, ქალების ტუალეტშიც რომ შემოსულიყო!

სამსახურებრივი პირადობის მოწმობისა და „აიფონის“ „დროებით შესანახად“ დასატოვებელ უსაფრთხო ადგილად, უკაცრავად და, უნიტაზის თავზე ე.წ. „დაკიდებულ“ ჭერში ჩადგმული ჰაერის გამწოვი სანიავო ჩავთვალე. ბავშვები ხელის დასაბანად გავგზავნე და სასწრაფოდ სამალავის მომზადებას შევუდექი: კაბინის კარი მოვიხურე, უნიტაზზე შევდექი, გამწოვს დამცავი ბადე მოვხსენი, „აიფონი“ ისევ ჩავრთე, რადგან პირადობის მოწმობა უჩიპო იყო, შემდეგ ორივე ერთად სანიავოში მოვათავსე და ბადე ისევ თავის ადგილას მივამაგრე.

ჩანაფიქრის განხორციელებით კმაყოფილი, ბავშვებთან გავედი. ვჩქარობდი, რადგან ათი წუთი უკვე გასულიყო და „მისტერ იქსი“ დაგვიანებისათვის გაგვიბრაზდებოდა. მისი შენიშვნების მოსმენა და ზედმეტი პრობლემები ნამდვილად არ მჭირდებოდა!

– დავუჩქაროთ, ბავშვებო! ჯერჯერობით არავის უთხრათ, თქვენი დედიკო რომ არა ვარ. ჩემთან ნურაფრის შეგეშინდებათ, მე ყოველთვის დაგიცავთ და მოგივლით! ყველაფერი დამიჯერეთ ხოლმე, კარგი? და რაც ყველაზე მთავარია, სანამ თქვენს მამიკოსთან არ მიგიყვანთ, უცხო

ადამიანებს არ დაელაპარაკოთ, გასაგებია?! გპირდებით, რომ თქვენს საყვარელ მამიკოსთან აუცილებლად, აუცილებლად მიგიყვანთ!

თანხმობის ნიშნად ორივემ თავი რამდენჯერმე, თითქმის სინქრონულად და დიდი გულმოდგინებით დამიქნია. მეტყველი, ბრიალა თვალებით მშვიდად შემომცქეროდნენ და გაცისკროვნებული სახეებით თბილად მიღიმოდნენ. გამოგიტყდებით, მათმა ასეთმა საქციელმა გული ამიჩუყა. ძალიან საყვარელი, ჭკვიანი და კარგი ზნის ბავშვები იყვნენ. მიუხედავად პატარა ასაკისა, ოჯახიშვილობა და აღზრდა ნათლად ეტყობოდათ, ბავშვი ხომ ოჯახის სარკეა! მათ მთელი ეს წლები ვიხსენებდი...

– არ შეგეშინდეთ, ყველაფერი შესანიშნავად იქნება, – ორივეს თავზე მოვეფერე, შუბლზე ვაკოცე და ხელი ჩავჭიდე, – აბა, დავიძარით!

ბავშვებიც მორჩილად გამომყვნენ...

გარეთ რომ გამოვედით, „მისტერ იქსი“ მაშინვე შევნიშნე. იგი სასუსნავით სავსე მომცრო ზომის ლურჯი ჩანთით ხელში ტუალეტის შენობის შესასვლელის წინ უკმაყოფილო გამომეტყველებით იდგა და ტელეფონზე ვიღაცას გაცხოველებით ესაუბრებოდა. როდესაც მივუახლოვდით, საუბარი შეწყვიტა და გვიბრძანა:

– ჩქარა მანქანაში! – და ათიოდ მეტრში გაჩერებულ დაბურულფანჯრებიან შავ ჯიპ „ტოიოტა პრადო“-ზე მიგვითითა. გავიხედ-გამოვიხედე, წეღანდელი „მერსედეს-ბენცი“ სადღაც უკვალოდ „აორთქლებულიყო“...

იცით, ბატონო დავით, ვერ გეტყვით რატომ, შესაძლოა, ქვეცნობიერად „მისტერ იქსის“ მიერ კონსპირაციის წესების ცოდნასა და დაცვას არ გამოვრიცხავდი, მაგრამ იმ მომენტში ავტომანქანის შეცვლა არ გამკვირვებია და ამდენად, პროტესტიც არ გამომითქვამს. და ალბათ, საბედისწერო შეცდომაც სწორედ მაშინ დავუშვი, თამაში უნდა შემეწყვიტა... დღევანდელი გადმოსახედიდან ასე ვფიქრობ, მაგრამ მაშინ რატომ დამებინდა გონება, მე თვითონაც არ ვიცი. ხომალდზე ყოფნისას ამ ყველაფერზე ხშირად მიფიქრია, მინდოდა საკუთარი საქციელის ახსნა მომეძებნა. მთავარი მიზეზი ალბათ ის იყო, რომ პოლიციის გამოჩენას წუთი წუთზე ველოდი, რადგან ჩემი კოლეგების დახმარების დიდი იმედი მქონდა. მეგონა, პოლიცია მალე მოგვაგნებდა და განსაცდელისაგან დაგვიხსნიდა. თანაც არ დაგიმალავთ და გულწრფელად მოგახსენებთ, რომ ჩემთვის მანამდე განუცდელ და ამოუცნობ აზარტში ვიყავი შესული და უკან დახევა აღარც მსურდა...

მანქანაში სამივე მორჩილად ჩავსხედით. ამჯერად ბავშვებს შუაში ჩავუჯექი, რათა ყურადღება ორივესათვის თანაბრად გადამენაწილებინა. თანაც ხელების დამალვას აზრი უკვე აღარც ჰქონდა: მობილურ

ტელეფონებს ველარ გამოვიყენებდი და სამსახურებრივ პირადობის მოწმობასაც ველარავინ წამართმევდა!

– თქვენც მიირთვით! – სურსათიანი ჩანთა გამომიწოდა „მისტერ იქსმა“.

– გმადლობთ! ამდენი საჭმელი საჭირო არ იყო, – ჩამოვართვი.

– წინ ხომ ხანგრძლივი მგზავრობა გელით, გამოგადგებათ. – მისმა შერბილებულმა ტონმა გულწრფელად გამაკვირვა.

გზა არანორმალური სისწრაფით განვაგრძეთ... ძალიან მალე თბილისის საზღვრებიდან გამოვედით და რამდენიმე წუთში გომბორის გზის გადასახვევამდეც მივაღწიეთ. პოლიციის პოსტთან „მისტერ იქსმა“ სიჩქარეს უკლო, საჭე მარცხნივ მკვეთრად მოატრიალა და გომბორის მიმართულებას ჯერ ნელი სვლით გაუყვა, ხოლო პოსტს რომ გამოვცდით, – „გაფრინდა“.

– ამ გზაზე უამრავი სახიფათო მოსახვევია, იმედია დიდი სიჩქარით არ ვივლით, – შევემუდარე, – ბავშვებს შეეშინდებათ, შესაძლოა, თავბრუ დაეხვიოთ და ცუდად გახდნენ!

– ნუ ღელავთ, მალე სამივე სხვა ტრანსპორტში გადაჯდებით, – ღიმილით „შემატყობინა“ „მისტერ იქსმა“.

კომენტარს აზრი არ ჰქონდა, „პრინციპში“, უკვე გვიანიც იყო...

„იქნებ გამოუსწორებელი შეცდომა დავუშვი? ხომ არ აჯობებდა თავიდანვე მეთქვა, რომ პოლიციის თანამშრომელი ვარ და ბავშვები საბავშვო ბაღში მიმებრუნებინა? რა „შერლოკ ჰოლმსობანა“ ამიტყდა?!“ – ვბრაზობდი საკუთარ თავზე, – „ბავშვებს რამე რომ დაემართოს, საკუთარ თავს ხომ მთელი ცხოვრება ვერ ვაპატიებ!“

ადგილმდებარეობის განსაზღვრას უშედეგოდ ვცდილობდი, რადგან საქარე მინიდან შემოდგომის ულამაზესი სიჭრელით დაფერილ მთებში გაკვალული გზის რუხი კლაკნილის გარდა, ვერაფერს ვხედავდი...

– მაპატიეთ, ბატონო პოლკოვნიკო, სიტყვა გამიგრძელდა... მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი მაქვს მოსაყოლი!

– დღეისათვის საკმარისია... უკვე ღამის 12 საათია, ხვალ გავაგრძელოთ. დღეს მძიმე დღე გქონდათ, უმჯობესია, დაისვენოთ და ძალები მოიკრიბოთ. ჩემი თანამშრომლები დაგაბინავებენ. შეგიძლიათ მშვიდად დაიძინოთ, ქილერები აქ ვერ მოგწვდებიან.

– დიდი მადლობა, ბატონო დავით!

– ლიზი, – თანაშემწეს ტელეფონით მიმართა დავითინიძემ, – ქალბატონი ია სტუმრებისათვის განკუთვნილ მოსასვენებელ ოთახში გააცილე. მორიგეს უთხარი, მიხედონ.

– ღამე მშვიდობისა, ბატონო დავით. კიდევ ერთხელ უღრმეს მად-

ლობას მოგახსენებთ, ამდენ ხანს ასე მოთმინებით რომ მისმენდით, – კარებისაკენ გაემართა იაშვილი.

– ნახვამდის, ქალბატონო ია! – დაღლილი ხმით უპასუხა დავითინიძემ.

თავი VI. დაკითხვა

– გენერლები წავიდნენ? – იაშვილის წასვლის შემდეგ გვერდით ოთახიდან კაბინეტში გამოსულ კოლეგებს ჰკითხა პოლკოვნიკმა.

– დიახ, მოუწიათ. ორივეს ტელეფონზე დაურეკეს და... – უპასუხა კაიშაურმა.

– თქვენი მოსაზრებები?!

– ამ ქალის თითოეული სიტყვა უნდა გადამოწმდეს! ძაან კი „ჩაარაკრაკა“, აი! – ირონიით თქვა კაიშაურმა.

– როგორ გადავამოწმებთ? ყველანაირი ინფორმაცია, რისი მოპოვებაც ამ ქალის შესახებ შესაძლებელი იყო, – სახეზეა. ახალს საიდან მოვიტანთ? – იკითხა ლაბაძემ.

– რატომაც ვერა?! საუბარში ჩაერთო გაბუნია.

– გამოძიების ეროვნული ბიუროს აზრი ყოველთვის საინტერესოა, – გაეღიმა დავითინიძეს, – გთხოვთ, ირაკლი.

– ჩემის აზრით, ინფორმაციის მოსაპოვებლად ორი გზა არსებობს: ერთი – დავაცადოთ იაშვილს ბოლომდე გვითხრას თავისი სათქმელი. ხანგრძლივი ლაპარაკისას აუცილებლად „გამოუშვებს“ ჩვენთვის საინტერესო ინფორმაციას; მეორე – რაც ისედაც აუცილებლად გასაკეთებელია – მოვთხოვოთ ახსნა-განმარტება ვიდეო მასალაზე დაფიქსირებული ფაქტებისა და მოწმეების ჩვენებების შესახებ. ამ შემთხვევაშიც, რაიმე ჩვენთვის საინტერესოს იტყვის... ინფორმაციას დავამუშავებთ და გამოვიყენებთ.

– რას იტყვი, ავთო? – მარჯვენა წარბი ზევით აზიდა დავითინიძემ.

– ირაკლის კი ვეთანხმები, მაგრამ... – ყოყმანობდა კაიშაური.

– მაგრამ რა, ავთო? – ჩაეძია დავითინიძე.

– ერთის მხრივ, რა თქმა უნდა, გამოძიებისათვის უფრო ხელსაყრელია, იაშვილის დაკითხვა და მისგან კონკრეტული პასუხების მიღება, ვიდრე მისი ზღაპრების მოსმენა. მეორეს მხრივ, იაშვილი სახელმწიფოს უსაფრთხოებაზე საუბრობს და მას ჩვენს თვალწინ ორმა ქილერმა ესროლა. ეს არ არის წვრილმანი პირადი მტრობა, თორემ მის „გასაღებას“ ასე არ დააჩქარებდნენ, ნებისმიერ სხვა ადგილას მოკლავდნენ, – და

არა აქ. ეს ნიშნავს, რომ იგი მართლაც არის რაღაც მნიშვნელოვანი ინფორმაციის მატარებელი და ვიღაცას არ სურს ამ ინფორმაციამ ჩვენამდე, ე.ი. სახელმწიფომდე, მოაღწიოს. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია, რომ თუ იაშვილი ჯერ თავის „ისტორიას“ მოყვება, ყველა თავის საქციელს ლოგიკურ და დამაჯერებელ ახსნას მოუძებნის და მერე ვეღარ აალაპარაკებ. მიაქციეთ ყურადღება, რა ოსტატურად აარიდა თავი ძირითად სათქმელს და რა გულის ამაჩუყებლად მოგვიყვა ბავშვების ავტომანქანაში ჩასმისა და გატაცების ამბავი?! თურმე, ნუ იტყვით და ბავშვებზე ზრუნავდა! არ ვიცი რატომ, მაგრამ დროის გაწელვას ცდილობს. – საკუთარი აზრი გამოთქვა კაიშაურმა.

– ინფორმაციის კიდევ ერთი წყაროა, თურქი ქილერის დაკითხვის შედეგი და ინფორმაცია მეორე მოკლული ამოუცნობი ქილერის შესახებ, თუკი მოიძიეს რამე, – შეახსენა კოლეგებს არჩილ ყიფიანმა.

სიჩუმე ჩამოვარდა, – ზოგადი საუბრისაგან ყველა თავს იკავებდა, კონკრეტული სასაუბრო კი არაფერი ჰქონდათ.

– ბიჭებო, მოდით, ამ ეტაპზე შემდეგი მიმართულებებით „ვიმოძრაოთ“, – თათბირის შედეგები შეაჯამა დავითინიძემ, – პირველი. ქალის უსაფრთხოების დაცვა, თუნდაც ამ შენობაში... ლაბაძე, პირადად გავალებ, ამ წუთიდან ქალი თვალთახედვის არედან არ უნდა გაუშვა, ყოველთვის კონტროლზე გყავდეს, ოღონდ, გაფრთხილდი, არ შეგნიშნოს. მეორე: არჩილ, დილით 9 საათზე მიდი გამოძიების ეროვნულ ბიუროში და გაეცანი ქილერების საქმის გამოძიებასთან დაკავშირებულ ჩვენთვის საინტერესო ინფორმაციას. ალბათ, იმ თურქის „ქალბატონთან“ დაპირისპირება მოგვიწევს. ბიუროში თუ „გააჯაზეს“, აუხსენი, რომ მინისტრის ბრძანებით დანიშნული საგამოძიებო ჯგუფის წევრი ხარ და იაშვილთან დაკავშირებულ ყველა ინფორმაციაზე ხელი, ყოველგვარი ბიუროკრატიის გარეშე, მიგიწვდება. საჭიროების შემთხვევაში, ოფიციალურადაც მივმართავთ. მესამე: ავთო, დღეს თუ ეს ტექნიკურად შესაძლებელია, გაარკვიე „ტოიოტა-პრადოს“ ასავალ-დასავალი და დაადგინე ვის მფლობელობაში იყო ავტომანქანა „მერსედეს-ბენცი“ სანომრე ნიშნებით GCE-121. მეოთხე და უმთავრესი. იაშვილის დაკითხვა ასე ვთქვათ, „კომბინირებულად” მოვახდინოთ, ანუ მივცეთ საშუალება მოგვიყვეს თავისი ამბის რაღაც ნაწილი, გარკვეულ ადგილებზე შევაწყვეტინოთ და დავკითხოთ. შემდეგ თხრობა გავაგრძელებინოთ, ისევ დავკითხოთ და ა.შ. ... სათქმელი თუ არაფერი გაქვთ, დღეს ამით დავამთავროთ.

– არა, ყველაფერი გასაგებია! – დამსწრეთა აზრი გამოხატა კაიშაურმა.

– ხვალ დილის 11 საათისათვის შევიკრიბოთ. „შევაგებოთ“ ქალბატონ იაშვილს ვიდეო მასალა და მოწმეთა ჩვენებები! – წამოდგა დავითინიძე.

– ალბათ ძალიან „გაუხარდება“, როდესაც გაიგებს, რომ ჩვენთვის ყველაფერი ცნობილია! – ნიშნის მოგებით თქვა ლაბაძემ. – საინტერესოა, მონათხრობის დამადასტურებელ მტკიცებულებებს როგორღა წარმოადგენს და ჩვენებას რა „გონივრული“ არგუმენტებით გაამყარებს?!

***

პოლკოვნიკ დავით დავითინიძის მისაღებში მეორე დილით შეკრებილი საგამოძიებო ჯგუფის წევრები თათბირის დაწყებამდე ხმადაბლა საუბრობდნენ.

– ქილერებზე ინფორმაცია მოგცეს? – ჰკითხა ყიფიანს კაიშაურმა.

– კი, რაღაც-რაღაცეები გავიგე, – დინჯად უპასუხა ყიფიანმა.

– გატყობ, კმაყოფილი ჩანხარ... ჩვენთვის საინტერესო მასალაა, – მიუხვდა კაიშაური.

– დიახ... თათბირზე დაწვრილებით მოგახსენებთ! – გაეცინა ყიფიანს.

– შებრძანდით! – კარებზე მიუთითა ლიზიმ, – ბატონი პოლკოვნიკი გელოდებათ.

– „ლომებს“ გაუმარჯოს! – დავითინიძემ პორტატული კომპიუტერი გვერდზე გადადო, შემოსულებს მიეგება და ყველას ხელი სათითაოდ ჩამოართვა. – დასხედით და დავიწყოთ!

– დილა მშვიდობისა, ბატონო პოლკოვნიკო! – სალამი დაუბრუნეს „ლომებმა“.

– რა გაიგე ქილერების შესახებ, არჩილ? – იკითხა დავითინიძემ.

– ეს ქერიმ ტოპლუ „მდიდარი“ კრიმინალური წარსულის მქონე რეციდივისტი ყოფილა. მისი დაკითხვის ოქმი წავიკითხე... თურქეთის მოქალაქეა, ციხეში მკვლელობისა და სხვა ბრალდებებით საერთო ჯამში 35 წელი მჯდარა. ახალგაზრდობაში გერმანიაშიც უცხოვრია. ამბობს, 40 წლის წინ იაშვილმა ჩემი ბოსის ფული – 50 ათასი ევრო – მიითვისა და გაიქცაო, მისი ბრალია, ჩემი აწ გარდაცვლილი ბოსი რომ განმირისხდა და 30 წელი ციხეში გამატარებინაო. ამ ალქაჯის გამო, ახლა აღარც სახლ-კარი მაქვს და ახლობლებიც დავკარგეო. ტოპლუს თუ დავუჯერებთ, იგი რამდენიმე დღის წინ იაშვილს შემთხვევით მთაწმინდის პარკში შეხვედრია და მაშინვე მისი მოკვლა განუზრახავს. სავარაუდოდ, იაშვილმა მკვლელი ვერ იცნო. იმ დღის შემდეგ ტოპლუ შესაფერის მომენტს ეძებდა. თქვა: „დავბერდი, უკვე 70 წლისა ვარ, თვალი ისე აღარ

მიჭრის, თორემ ნამდვილად არ ვაცოცხლებდი“-ო.

– ვინ იყო და რას საქმიანობდა მაგის „ბოსი“? – დაინტერესდა კაიშაური.

– ტოპლუს არ უთქვამს და ჯერჯერობით გაურკვეველია.

– ეს ინფორმაცია აუცილებლად გამოგვადგება და რაც შეიძლება მალე უნდა გადამოწმდეს! იაშვილი და ტოპლუ ერთმანეთთან დღესვე უნდა დავაპირისპიროთ. ოთარ, ტოპლუ ნახევარ საათში „დაკითხვების ოთახში“ ამოაყვანინე, გეტყვით ჩემთან როდის შემოიყვანოთ, – ბრძანება გასცა დავითინიძემ.

– გასაგებია, ბატონო პოლკოვნიკო, – ჩაილაპარაკა არჩილ ყიფიანმა.

– იმ მეორე მოკლულ ქილერთან დაკავშირებით რაიმე თუ გაირკვა?

– ჩვენთვის ხელმოსაჭიდი არაფერია. გამოძიება ძალიან მძიმედ მიდის, რადგან სამხილები პრაქტიკულად არ არსებობს.

– ქილერების საქმის გამოძიების მსვლელობას თვალყური ადევნე, არჩილ, შესაძლოა ჩვენთვის საინტერესო ინფორმაციამაც გაიჟღეროს.

– დიახ, ბატონო დავით, – მოხსენება დაასრულა არჩილ ყიფიანმა.

– ახლა კი, მგონი, დროა იაშვილი დავკითხოთ. ოთარ, შენ და ლიზიმ ამოიყვანეთ!

– აქ შემოვიყვანოთ, თუ „დაკითხვების ოთახში“?

– ამჯერად აქ მოიყვანეთ. ბრალს რომ წავუყენებთ, იქ შემდეგ მივაბრძანებთ!

***

– შეიძლება შემოვიდე? – დავით დავითინიძის კაბინეტის ზღურბლიდანვე იკითხა ია იაშვილმა.

– მობრძანდით, – გამოეპასუხა დავითინიძე.

– გამარჯობა, – თვალებით სკამს დაუწყო ძებნა იაშვილმა, დავითინიძის კაბინეტში „დამსწრე საზოგადოების“ ხილვა არ ესიამოვნა და მღელვარება სახეზე აღებეჭდა.

– აი, იქ დაბრძანდით, – მზის სხივებით კარგად განათებულ ადგილას მდგარ სავარძელზე მიუთითა ავთანდილ კაუშაურმა. იაშვილი სავარძელში ჩაჯდა და ოთახში მყოფთ თვალი მოავლო.

– დღეს ჩემს კოლეგებთან ერთად ვისაუბრებთ! – შეუვალი ტონით გამოაცხადა დავითინიძემ.

– მე ფრიად კონფიდენციალური ინფორმაციის მოწოდება მხოლოდ პირადად თქვენთვის მინდოდა, ბატონო დავით! – სულმოუთქმელად ამოსთქვა იაშვილმა.

– ამჯერად ჩვენს შეკითხვებს უპასუხებთ, ინფორმაციას კი მოგვი-

ანებით მოგვაწვდით! – მოიღუშა დავითინიძე.

– შეკითხვებს?... კი ბატონო, გიპასუხებთ! – სავარძელში გასწორდა შეცბუნებული იაშვილი.

დავითინიძემ კაიშაურს დაკითხვის დაწყება მარჯვენა ხელის მოძრაობით მიანიშნა.

– გუშინ თქვენ თქვით, რომ ორიდან ერთ-ერთი მობილური ტელეფონი გზაზე გადააგდეთ, ხოლო მეორე, სამსახურებრივ პირადობის მოწმობასთან ერთად, სამალავში დატოვეთ და ყოველივე ამის შესახებ აცნობეთ შინაგან საქმეთა სამინისტროს სამ თანამშრომელს. – გამომცდელად ჰკითხა იაშვილს კაიშაურმა. – ახლაც ადასტურებთ თქვენს გუშინდელ ნათქვამს?

– დიახ, რა თქმა უნდა, ვადასტურებ! – წარბი არ შეუხრია იაშვილს.

– მინდა გითხრათ, რომ ინფორმაციას თქვენი პირადობის მოწმობისა და მობილური ტელეფონების პოვნის შესახებ კომპიუტერულ მონაცემთა ბაზებში და არქივში ვერ მივაგენით, ხოლო ლილოს ბაზრობის მთავარ შესასვლელთან განთავსებული, თქვენს მიერ ნახსენები საზოგადოებრივი ტუალეტი დიდი ხანია დაანგრიეს.

– ეს 40 წლის წინანდელი ამბავია, შესაძლოა ხანდაზმულობის გამო, მასალა განადგურდა, – აუღელვებლად უპასუხა იაშვილმა.

– არა, ქალბატონო ია, მასალა ვერ განადგურდებოდა, რადგან თქვენი გაუჩინარების ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე იყო აღძრული, – თვალები მოჭუტა კაიშაურმა. – საქმე არქივშია დაცული და ჩვენ იგი საფუძვლიანად შევისწავლეთ, – დაუმატა მცირე პაუზის შემდეგ. – მომხდარის ხანდაზმულობის გამო, გგონიათ არ ვიცით, რომ სამსახურებრივი „აიფონი“ თქვენს მიერ მითითებულ ე.წ. სამალავში არ აღმოჩნდა, ხოლო სამოქალაქო „სამსუნგი“ საერთოდაც არ გქონიათ?!

– არ ვიცი, რა გიპასუხოთ, – თქვა დაბნეულმა იაშვილმა, – ერთადერთი, რისი თქმაც შემიძლია, ეს მათი ნომრებია. თუ არ ვცდები, „აიფონის“ სამსახურებრივი ნომერი იყო 8-00-25-15-10, ხოლო „სამსუნგის“ – 8-93-14-08-76, ანუ ჩემი დაბადების თარიღი.

– გარდა ამისა, – იაშვილის მიერ დასახელებული ტელეფონის ნომრები ჩაიწერა და „შეტევაზე გადავიდა“ ოთარ ლაბაძე, – თქვენ ორი მცირეწლოვანი ბავშვის გატაცებაში გედებათ ბრალი!

– შეუძლებელია!!! – ამოიკნავლა ია იაშვილმა, – ბავშვები იმავე დღეს პირადად გადავეცი მათ მამას ალეკო კვინტრაძეს!

– სად ნახეთ ალეკო კვინტრაძე? – გაიოცა ირაკლი გაბუნიამ.

– გომბორის უღელტეხილთან!

– ცრუობთ! არც მამა და არც ბავშვები 40 წელია არავის უნახავს

და მათზე არავის არაფერი სმენია, – დაუფარავი ზიზღით წარმოსთქვა გაბუნიამ. – ვფიქრობ, თქვენ ისინი მოკალით!

– ამას როგორ მეუბნებით! მე არაფერ შუაში ვარ, 40 წელიწადი კოსმოსურ ხომალდზე გავატარე! ბრალი არაფერში მიმიძღვის! – შეტევას იგერიებდა იაშვილი.

– რა „კოსმოსური ხომალდი“?!! – გაბრაზდა და ხმას აუწია გაბუნიამ, – დაგვცინით, თუ რაშია საქმე?!

– არსებობს რვა მოწმის ჩვენება, რომლებიც ადასტურებენ, რომ თქვენ ბავშვებთან ერთად ვერცხლისფერი „მერსედეს-ბენცით“ გაურკვეველი მიმართულებით გაემგზავრეთ, ეს ფაქტი ქუჩის ვიდეოკამერებმაც დააფიქსირა. ჩვენ ისიც მშვენივრად ვიცით, რომ „მერსედეს-ბენცი“ გაუჩინარდა და მისი მფლობელისა და მძღოლის ვინაობა გამოძიების მიერ ვერ დადგინდა. სავარაუდოდ, ავტომობილი ყალბი ნომრებით მოძრაობდა, – მონოტონურად განაგრძობდა კაიშაური.

– რაა?! რვა მოწმის ჩვენება?!! წარმოუდგენელია!!! – გაცხარდა იაშვილი, – რომელ მოწმეებზე მელაპარაკებით?!!

– ბრალდებულო იაშვილო! გაცნობებთ, რომ ამ წამიდან ვიწყებთ თქვენს ოფიციალურ დაკითხვას და თითოეული თქვენი სიტყვა შესაძლოა სასამართლოში თქვენს წინააღმდეგ იქნას გამოყენებული! – გონს მოსვლას არ აცდიდა კაიშაური. – გაქვთ დუმილისა და ადვოკატის აყვანის უფლება! იურისტი ხართ და იმედია, გესმით სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესუალური საკითხები.

– ადვოკატი არ მჭირდება! თქვენ ჩემი არ გჯერათ, მაგრამ მე უდანაშაულო ვარ! – ტირილისაგან თავს ძლივს იკავებდა იაშვილი, – ყველა შეკითხვაზე გიპასუხებთ, რადგან დასამალი არაფერი მაქვს!

– ესე იგი, თანახმა ხართ ითანამშრომლოთ გამოძიებასთან! – იაშვილის უკანასკნელი ფრაზა დააზუსტა ლაბაძემ.

– მე დამნაშავე არა ვარ! – სიმწრით გაეცინა იაშვილს, – ამდენად, ტერმინი „თანამშრომლობა“ ჩემთან მიმართებაში არასწორადაა გამოყენებული. მე მზად ვარ თქვენს შეკითხვებზე ამომწურავი პასუხები გავცე და ამით გამოძიების თანამონაწილე გავხდე.

– აჰა, ესე იგი თანამონაწილე! – ირონიული ღიმილით გამოაჯავრა გაბუნიამ. იაშვილს გაბუნიას გამოჯავრებისათვის ყურადღება არ მიუქცევია.

– თქვენის ნებართვით, ბატონო დავით, – სთხოვა დავითინიძეს იაშვილმა, – მე შემიძლია განგიმარტოთ, თუ რატომ გავყევი ბავშვებს!

– აი, თურმე რა ყოფილა! ბავშვები კი არ გაგიტაციათ, არამედ უბრალოდ „თან გაჰყოლილხართ“?!. ნწ, ნწ, ნწ, ჩვენ კი გვეგონა... – არ

დაუჯერა იაშვილს დავითინიძემ, თუმცა მაინც დაინდო და თავდაცვის საშუალება მისცა, – კი ბატონო, სცადეთ! განგვიმარტეთ!

– ბავშვებთან ერთად მანქანაში ჩასხდომამდე საკუთარი საქციელის სისწორეში მთლად დარწმუნებული მართლაც არ ვიყავი. ვფიქრობდი: „იქნებ ჯობდა გამემხილა ჩემი ვინაობა, მომეხმო საბავშვო ბაღის აღმზრდელები და ბავშვები მათთვის გადამეცა“? ასეც მოვიქცეოდი, მაგრამ რამოდენიმე მოსაზრებისა და გარემოების გამო ბოლო წუთს გადავიფიქრე. ჩემი შთაბეჭდილებით, „მისტერ იქსი“ საეჭვო სუბიექტი ბრძანდებოდა, შესაძლოა კეისში იარაღიც ჰქონოდა. ამდენად, მისგან შეიარაღებული თავდასხმა და ბავშვების გატაცება სავსებით მოსალოდნელი იყო. საშველად საბავშვო ბაღის აღმზრდელებსაც კი ვერ მივმართავდი, რადგან არც ერთი მათგანი იმ მომენტში ეზოში არ იმყოფებოდა. უნდა მოგახსენოთ, რომ „მისტერ იქსისათვის“ ბავშვების წაყვანაზე უარის თქმის ფორმალური საფუძველიც არ მქონდა! თანაც უიარაღო ვიყავი და წინააღმდეგობას ვერ გავუწევდი. ამასთან, მოვლენები ძალიან სწრაფად ვითარდებოდა, უცნობის გამოჩენიდან ავტომანქანაში ჩასხდომის მომენტამდე სულ რაღაც 5-7 წუთი თუ იქნებოდა გასული, ამიტომ მოქმედების დროც არ მქონდა. რაც მთავარია, თუ კრიმინალებს ე.წ. „კიდნეპინგი“ (ანუ ბავშვთა გატაცება) ჰქონდათ ჩაფიქრებული, დანაშაულის პრევენცია, ანუ დამნაშავეთა მხილება და ბავშვების უსაფრთხოების დაცვა, მე, როგორც პოლიციის ოფიცერს, ჩემს სამსახურებრივ მოვალეობად მიმაჩნდა. – ლოგიკურად დასაბუთებული არგუმენტები „უხვად დაახვავა“ იაშვილმა.

– კარგი. აგვიხსენით, რატომ გესროლათ თურქეთის მოქალაქემ, მკვლელმა და რეციდივისტმა ქერიმ ტოპლუმ? – იაშვილისათვის მოულოდნელად თემა შეცვალა დავითინიძემ.

– არავითარ ქერიმ ტოპლუს არ ვიცნობ! – იუარა იაშვილმა.

– ფაქტია, გესროლათ! – გაუმეორა დავითინიძემ.

– მე რა ვიცი, რატომ მესროლა?! თვითონ მას ჰკითხეთ! – გაღიზიანდა იაშვილი.

– არ ინერვიულოთ, უკვე ვკითხეთ... – „დაამშვიდა“ კაიშაურმა. – და იცით, რა გვიპასუხა? 50 ათასი ევრო მოიპარა და გაუჩინარდაო!

– ეს ცილისწამებაა! – მუდარით შეჰღაღადა ქალმა, – არ ვიცი რა მიზნით, მაგრამ ის კაცი ტყუის!

– ჩემი ყურით გავიგონე, როგორ ეუბნებოდით ჯარისკაცებს, მომკლავენო. მაშ, რატომ უთხარით? – დაინტერესდა ლაბაძე.

– ამას მხოლოდ პირადად ბატონ დავითს ვეტყვი! – გაჯიუტდა იაშვილი.

– არა, ბრალდებულო იაშვილო! თუ რაიმე სათქმელი გაქვთ, საგამოძიებო ჯგუფის წევრებს, ანუ ჩვენ ყველას ერთად ახლავე უნდა მოგვახსენოთ! – ცივი წყალი გადაასხა დავითინიძემ.

– მეგონა მომკლავდნენ, იმიტომ რომ კოსმოსში ვიმოგზაურე და გარკვეულ საიდუმლო ინფორმაციას ვფლობ! რა თქმა უნდა, ეს ვიღაც ტოპლუ კოსმოსზე სიტყვას არ იტყოდა, იმიტომ რომ ჩემს მოსაკლავად სწორედ რომ ექსპერიმენტის მოთავეები გამოგზავნიდნენ! – ლაპარაკი უჭირდა იაშვილს.

– გაფრთხილებთ, ზღაპრებს ნუ გვიყვებით და ამით ისედაც მძიმე მდგომარეობას კიდევ უფრო ნუ დაიმძიმებთ! – მოთმინებიდან გამოვიდა ირაკლი გაბუნია. – თავის დასაძვრენად სხვა უფრო ჭკვიანური ვერაფერი მოიფიქრეთ?!

– მე მხოლოდ სიმართლეს მოგახსენებთ! როგორც თქვენ ამბობთ, თავის დაძვრენა რომ მინდოდეს, პოლიციაში მსახურობის 12 წლიანი სტაჟის მქონე, მერწმუნეთ, უფრო ჭკვიანურად მოფიქრებულ ლეგენდას შემოგაჩეჩებდით! – შეეკამათა იაშვილი.

– რაო?! – სკამიდან წამოხტა გაბუნია, – სიტყვები შეარჩიეთ! ხომ არ გავიწყდებათ, სად და რა სტატუსით იმყოფებით და ვის ელაპარაკებით?!

იაშვილი გაწითლდა და თავი ჩაღუნა.

– „ლეგენდას შემოგვაჩეჩებდით“, არა?! ოჰოო, ჯაშუშური ტერმინოლოგიაც ზედმიწევნით აგითვისებიათ! კარგია, კარგი... ესე იგი, ფრიად განსწავლული მანდილოსანი ბრძანდებით! – დამცინავად შენიშნა დავითინიძემ, – უცხოეთის რომელ სპეცსამსახურში შეგასწავლეს?

– უცხოეთში არა, ჩემო ბატონო! მსგავს ტერმინოლოგიას მსოფლიოს ყველა ქვეყნის სპეცსამსახურები იყენებენ... მე კი მრავალი წლის წინ, მშობლიური პოლიციის დერეფნებში მოვკარი ყური! – ტონში უპასუხა იაშვილმა.

– ეჭვი არ შეგეპაროთ, საფუძვლიანად შეგამოწმებთ! – გააფრთხილა დავითინიძემ.

– ნება თქვენია! ჯაშუში და სამშობლოს მოღალატე არასოდეს ვყოფილვარ... მამოწმეთ, რამდენიც გენებოთ! – დაძაბულობისაგან თვალები აენთო იაშვილს.

„სრულ საბრძოლო მზადყოფნაშია,“ – გულში ჩაეცინა პოლკოვნიკს, – „დროა ტოპლუს შევახვედროთ“.

დავითინიძე იაშვილის ნათქვამს არ გამოხმაურებია, კალამი მოიმარჯვა და საკუთარ საწერ მაგიდაზე რაღაცას თვალებით დაუწყო ძებნა.

– ოთარ, მგონი ბლოკნოტი მისაღებში დამრჩა. ლიზის უთხარი, შე-

მომიტანოს! – ნიშანი მისცა დავითინიძემ.

– ახლავე, ბატონო დავით! – მიუხვდა და ტოპლუს შემოსაყვანად გავიდა ლაბაძე.

– მეორე ქილერმა რატომღა გესროლათ? – ქილერების თემის ბოლომდე ამოწურვა სურდა დავითინიძეს.

– რა, იქ მეორე ქილერიც იყო?! – გაოგნდა იაშვილი, – არ ვიცოდი!

– როგორ არ იცოდით?! – თავი გაიქნია ლაბაძემ. – ორი საპირისპირო მხრიდან რომ ისროდნენ, ვერ გაიგონეთ?! სამედიცინო შემოწმებამ აჩვენა, რომ შესანიშნავი ყურთასმენა გაქვთ!

– იცით, ყველაფერი წამებში მოხდა, – გახსენებას ცდილობდა იაშვილი, – უეცრად დიდი ბათქა-ბუთქი ატყდა... რატომღაც მომეჩვენა, რომ ყველა მხრიდან ისროდნენ, ალბათ, შოკში ვიყავი და იმიტომ... ჩავთვალე, რომ ქილერს შენობის დაცვის ჯარისკაცები ესროდნენ.

– ყველაფერს ხელაღებით უარყოფთ! ეს არის თქვენი „ამომწურავი პასუხების გაცემა“? – უსაყვედურა დავითინიძემ.

– ვამბობ იმას, რაც სიმართლეა და დანამდვილებით ვიცი! რაზეც წარმოდგენა არა მაქვს, როგორ უნდა გიპასუხოთ?! – კითხვაზე კითხვითვე უპასუხა „კუთხეში მიმწყვდეულმა“ იაშვილმა.

ლაბაძემ ხელებზე ბორკილდადებული, უშველებელი, ორ ფეხზე მდგარი მურა დათვის მსგავსი ადამიანი, დავითინიძის კაბინეტში დაკაკუნების გარეშე, მოულოდნელად შემოიყვანა. ტოპლუ სახასიათო გარეგნობით გამოირჩეოდა – ბანჯგვლიანსა და ღიპიანს, ვიწრო, დაბალი შუბლი და ჯირკვივით კისერი ჰქონდა, თმაში ჭაღარა ოდნავ შეპარვოდა და, მიუხედევად ასაკისა და განვლილი შფოთიანი ცხოვრებისა, საკმაოდ მხნედ და თავდაჯერებულად გამოიყურებოდა.

საგამოძიებო ჯგუფის წევრებს აინტერესებდათ, იცნობდა თუ არა იაშვილი ტოპლუს და გასცემდა თუ არა იგი თავს, ამიტომ ტოპლუს გამოჩენაზე იაშვილის რეაქციას დიდი ყურადღებით აკვირდებოდნენ.

იაშვილმა შემოსულებს გულგრილად გახედა, თუმცა ტოპლუს გოლიათურმა აღნაგობამ მისი ყურადღება მიიპყრო და ორიოდ წამს აუღელვებლად და განცვიფრებით უყურებდა, შემდეგ უხერხულობისაგან თავი ჩაღუნა და საკუთარი ფრჩხილების თვალიერებას მოჰყვა. თავის მხრივ, ტოპლუ ქალს თვალს არ აშორებდა. იაშვილმა ტოპლუს დაჟინებული მზერა შენიშნა, მისი მძულვარე გამოხედვა არ მოეწონა, შუბლი შეიკრა და სახეზე ზიზღი აღებეჭდა. „რას მომშტერებია ეს გაურანდავი ხეპრე?!.. თავხედი და უზრდელი!“ – ფიქრობდა აღშფოთებული იაშვილი. გამოცდილ ოპერატიულ მუშაკებს იაშვილის სიმშვიდე და სახის გამომეტყველების მნიშვნელობა არ გამოჰპარვიათ.

– ბრალდებულო იაშვილო, იცნობთ თუ არა თქვენს წინაშე მდგომ მამაკაცს? – იაშვილსა და ტოპლუს შორის სავარაუდო ურთიერთდამოკიდებულების ვიზუალურად გარკვევის შემდეგ ჰკითხა იაშვილს დავითინიძემ.

– არა, – იაშვილი ტოპლუს დააკვირდა, – პირველად ვხედავ.

– ის კი შესანიშნავად გიცნობთ!

– მართლა, საიდან?!

– თურქული ენა თუ იცით?

– არა, – სახეზე ალმური აუვიდა იაშვილს. მიხვდა, რომ მის წინაშე სწორედ ის ქილერი იდგა, რომლის ტყვიასაც სასწაულებრივად გადაურჩა.

– მაშინ ვთხოვოთ ვიცე-პოლკოვნიკ ავთანდილ კაიშაურს, თარჯიმნის მოვალეობა შეასრულოს.

– იცნობთ თუ არა ამ ქალს? – თურქულად ჰკითხა ტოპლუს კაიშაურმა.

– დიახ, ვიცნობ. ეს ქალი ია იაშვილია, მან ჩემი ფული, 50 ათასი ევრო გაიტაცა და გაიქცა! – გაბოროტებული სახით უპასუხა ტოპლუმ.

– როდის?

– ორმოცი წლის წინ, 2011 წელს, – კბილები დააღრჭიალა ტოპლუმ.

– გვიპასუხეთ, იაშვილო! – უბრძანა ქალს დავითინიძემ.

– ეს კაცი ცრუობს! მე მას არასდროს შევხვედრივარ და საერთოდაც, სხვის ფულთან არანაირი შეხება ცხოვრებაში არ მქონია! – ირწმუნებოდა იაშვილი.

– უთხარი ერთი, აგვიხსნას, – მიმართა კაიშაურს დავითინიძემ, – რის საფუძველზე ამტკიცებს, რომ იაშვილმა ფული წაართვა?! ამოდენა გოლიათს ამ სუსტმა ქალმა ფული ხელიდან პირადად გამოგლიჯა, თუ რა? მოგვიყვეს, როგორ და რა ვითარებაში გაიტაცა იაშვილმა მისი ფული? როგორც მახსოვს, ტოპლუმ პირველ დაკითხვაზე განაცხადა, რომ თანხა მისი აწ გარდაცვლილი „ბოსის“ იყო და არა მისი საკუთარი! არც ის უთქვამს, თუ ვინ ბრძანდებოდა მისი „ბოსი“, იქნება და გვატყუებს?

ავთანდილ კაიშაურმა დავითინიძის შეკითხვა ტოპლუს სიტყვა-სიტყვით გადაუთარგმნა და თავის მხრივ, დაუმატა:

– თქვენს ინტერესებშია, სიმართლე თქვათ! რასაც გეკითხებიან, უპასუხეთ!

– მე თურქეთის მოქალაქე ვარ! ჩემი ქვეყნის საელჩოს წარმომადგენელთან შეხვედრას მეორე დღეა ვითხოვ! მანამდე თქვენს შეკითხვებს აღარ ვუპასუხებ! – დაბეჯითებით გამოაცხადა ტოპლუმ.

– გაიყვანეთ! – ბრძანა პოლკოვნიკმა.

ლაბაძემ ტოპლუ მისაღებში გაიყვანა, ბადრაგს გადასცა და უკან, კაბინეტში შემობრუნდა. დავითინიძემ საათს დახედა, დაკითხვის დაწყებიდან ერთი საათი გასულიყო.

– დროის მოგების მიზნით, რვავე მოწმის ჩვენებებს ახლავე გაეცანით. ეცადეთ, ყველაფერი კარგად გაიხსენოთ და მათ ბრალდებებს მაინც ჯეროვნად უპასუხოთ, – ნაპერწკლები დააკვესა მონადირის ჟინით თვალებანთებულმა დავითინიძემ, – ზოგიერთ მოწმეს თქვენ ძალიანაც კარგად იცნობდით, რადგან ერთ-ერთი მათგანი თქვენი კოლეგა იყო, სამნი კი – მისი ე.წ. „განუყრელი დაქალები“!

დავით დავითინიძემ სიძველისაგან ოდნავ სიყვითლეშეპარულ ფურცლებიანი სისხლის სამართლის საქმე სეიფიდან ფრთხილად გამოიღო და ოთარ ლაბაძეს გაუწოდა:

– მაიორო ლაბაძე, გააცანით ბრალდებულ იაშვილს მის წინააღმდეგ ჯერ კიდევ 2011 წელს აღძრული სისხლის სამართლის საქმის მასალები.

– არის, ბატონო პოლკოვნიკო! – დავითინიძეს საქმის სქელი ტომი ჩამოართვა ლაბაძემ.

– ცნობისათვის, ბრალდებულო იაშვილო, – გვერდულად გადახედა იაშვილს ლაბაძემ, – თქვენი ბრალდების საქმეზე მოწმეებად გამოვიდნენ: ტელეკომპანია „TV-ბრენდი“-ს ჟურნალისტები ომარ ორჯონიკიძე და ილონა კაკაბაძე, კაფე-სახაჭაპურე „გურმანი“-ს მიმტანი ნარგიზა ილურიძე, ქ.თბილისის N534-ე საბავშვო ბაღის აღმზრდელი მადონა გაზდელიანი და ბოლოს თქვენი კოლეგა, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი ლალი (იგივე ლულუ) მინდაძე, აგრეთვე მოქალაქეები ეკატერინე (იგივე კიტი) კანტიძე, მანანა (იგივე მანჩო) მორჩილაძე და ნანა (იგივე ნანკა) ნებიერიძე.

– ბატონებო, მე არ ვიცი, რის საფუძველზე დამადანაშაულეს ამ „ღრმად პატივცემულმა“ მოწმეებმა, მაგრამ გარწმუნებთ, ისინი შეცდნენ. – ლაპარაკისას ფანჯარაში იყურებოდა სახეაწითლებული იაშვილი. – უნდა მოგახსენოთ, რომ მაღალზნეობრივ, ტრადიციულ ქართულ ოჯახში დავიბადე და პატრიოტული სულისკვეთებით აღვიზარდე. ჩემი წარმომავლობა გეცოდინებათ. ჩემი წინაპრები ერთგულად ემსახურებოდნენ ქვეყანასა და ხალხს. მართლა გგონიათ, რომ მამაჩემის შვილი და პოლიციის მაიორი მცირეწლოვანი ბავშვების გატაცებას, მკვლელობასა და ბინძური ფულის გათეთრებას ვიკადრებდი???!!! – სასოწარკვეთილი კითხულობდა იგი. – მე არ განვეკუთვნები მათ კატეგორიას, ვინც ფულის გულისათვის ყველაფერზე მიდის და ჩემს მორალურ პრინციპებს არასდროს ვღალატობ!

– ოოოჰ! ამ უადგილო პათოსს აზრი არა აქვს! – იაშვილის მაღალფარდოვანმა საუბარმა დავითინიძე სერიოზულად გააღიზიანა. – გიმეორებთ თქვენს „დაწკეპილ“ ენაზე: საჭირო არ არის პათეტიკური რიტორიკა და სნობიზმი! თქვენზე უფრო მაღალჩინოსნებსაც კი ბევრი უღირსი რამ უკადრიათ! სასაცილოა, რომ ზნეობაზე და მაღალ მატერიებზე თქვენ მელაპარაკებით! რაც გინდათ, ის თქვით, ფაქტები თავისთავად მეტყველებენ!

– რა შუაშია „სნობიზმი“! არა, სნობი ნამდვილად არა ვარ! – აღშფოთდა იაშვილი, – ბატონო დავით, კოსმოსში მრავალწლიანი არსებობის პირობებში, როდესაც სიკვდილისათვის თვალებში ჩახედვა ჩვეულებრივი ყოველდღიურობაა, პათეტიკურ, სენტიმენტალურ და ყველაფრის მომთმენ და ამტან ადამიანად ბუნებრივად გარდაიქმნები.

– სამშობლოს საკეთილდღეოდ სიკვდილისათვის თვალებში ყველა აქ დამსწრეს არაერთგზის ჩაუხედავს, ამიტომაც მშვენივრად გვაქვს გაცნობიერებული ამქვეყნად სიცოცხლის ფასი. თქვენც სწორედ ამიტომ გაძლევთ თავის მართლების შანსს, მაგრამ თქვენ ყველაფერს უარყოფთ და გამოძიებას არ ეხმარებით. შეიგნეთ, „კოსმოსური ზღაპრების“ თემის „ტრიალი“ არაფრისმომცემია და ისევ თქვენთვისაა უარესი. ჩვენ მტკიცებულებებითა და მოწმეთა ჩვენებებით გამაგრებული სასამართლოს განაჩენი გვაქვს, ხოლო თქვენ არც ალიბი გაქვთ და საკუთარი უდანაშაულობის დასამტკიცებლად, სიტყვიერადაც კი ვერ იძლევით ლოგიკურად დასაბუთებულ პასუხს! სამუდამო პატიმრობა გაქვთ მოსჯილი და დანაშაულის ხანდაზმულობა თქვენზე არ ვრცელდება! საკმაოდ ჭკვიანი ქალი ხართ და ძალიან მიკვირს, ასე უდიერად რატომ ექცევით საკუთარ მომავალსა და სიცოცხლეს?! – თითქმის ყვიროდა ქალის სიჯიუტის გამო განრისხებული დავითინიძე.

სიჩუმე ჩამოვარდა. იაშვილმა თვალები დახუჭა. არაქათგამოცლილი გაუჩინარების იმ საბედისწერო დღის გახსენებას გულწრფელად ცდილობდა.

– წყალს ხომ არ დალევდით? – ფინჯანი მიაწოდა კაიშაურმა.

– გმადლობთ, – ოდნავ მოსვა ქალმა.

– მოდით, მოწმეთა ჩვენებებს მივუბრუნდეთ... ლაბაძე მოკლედ გაგვაცნობს მათ შინაარსს, ამავდროულად გაჩვენებთ ვიდეოს, სადაც დაფიქსირებულია, როგორ ჯდებით მანქანაში ბავშვებთან ერთად. ყველაფერი მოყევით! – უბრძანა იაშვილს დავითინიძემ.

– რაც მახსოვდა, უკვე ვთქვი! გთხოვთ დამიჯეროთ, სიმართლეს ვამბობ! კოსმოსში მოგზაურობაც ჩემი ცხოვრების განუყოფელი და სავსებით რეალური ფაქტია, თუმცა დღემდე ვერ გავრკვეულვარ – ბედნიერი

თუ უბედური?! რაც მოსახდენია, – მოხდეს, არ დავეძებ! მთავარია, მოვასწრო და გითხრათ ის ძირითადი სათქმელი, რამაც თქვენამდე მომიყვანა. ამდენი ტყუილად ხომ არ მიწვალია! არ მინდა ძვირფასი დრო უშედეგო „ლაპარაკებში“ გაიფლანგოს!

– ჯერ მოწმეთა ჩვენებები „გავიაროთ“, – ხელქვეითებს გადახედა დავითინიძემ, – მერე ცოტა ხნით შევისვენოთ. შემდეგ კი შეგიძლიათ თხრობა განაგრძოთ!

პოლკოვნიკის სიტყვიერი მითითების თანახმად, ოთარ ლაბაძემ ვიდეოფირი ჩართო და დაუყოვნებლივ შეუდგა სისხლის სამართლის საქმეში მოთავსებული მოწმეთა ჩვენებების შინაარსის დამსწრეთათვის გაცნობას.

– მოწმეებმა ორჯონიკიძემ და კაკაბაძემ დაადასტურეს, რომ 2011 წლის 25 ოქტომბერს თქვენ იმყოფებოდით გაუჩინარებული ბავშვების დედის, ირმა იანტბელიძის გარდაცვალების ადგილზე, – მიმართა იაშვილს ლაბაძემ. – გარდა ამისა, იმავე დღეს მოწმე გაზდელიანმა შეგნიშნათ, როდესაც საბავშვო ბაღის ეზოში მყოფ ბავშვებს გისოსებს მიღმა ტროტუარიდან ელაპარაკებოდით, ხოლო მოწმე ილურიძის ჩვენებაში დაფიქსირებულია, რომ თქვენ გააუქმეთ ხაჭაპურის შეკვეთა და ორ მცირეწლოვან ბავშვს სირბილით გაეკიდეთ. თქვენმა კოლეგამ, მოწმე მინდაძემ და მისმა თანმხლებმა პირებმა, მოწმეებმა კანტიძემ, მორჩილაძემ და ნებიერიძემ კი დაადასტურეს, რომ ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, საკუთარი ნებით, თქვენ, უცნობ მამაკაცთან და ბავშვებთან ერთად, ჩასხედით ვერცხლისფერ „მერსედეს-ბენც“-ში და გაურკვეველი მიმართულებით გაემგზავრეთ... ეს ყველაფერი დაფიქსირებულია ქუჩის ვიდეოკამერის მიერ! თვითონაც ხედავთ, ტანსაცმელიც კი იგივე გეცვათ, რაც ახლა! ასე რომ ვერ უარყობთ.

– ამ ტანსაცმელს ჩემთვის მნიშვნელოვან დღეებში ვიცვამ ხოლმე, აქ რომ მოვდიოდი იმიტომ ჩავიცვი, – მუდარით აღსავსე გამომეტყველებით თქვა იაშვილმა, – დანაშაული რომ ჩამედინა, თქვენთან იგივე, 40 წლის წინანდელი ტანსაცმლით მოვიდოდი?!

საგამოძიებო ჯგუფის წევრებმა ტანსაცმელთან დაკავშირებული განმარტება იაშვილის მორიგ ხრიკად და ქალურ ახირებად ჩათვალეს, ამიტომ ყურადღება არ გაუმახვილებიათ.

– რით ახსნით ამ ფაქტების დროსა და ადგილმდებარეობაში ასე საეჭვოდ დამთხვევას? – გულწრფელად დაინტერესდა კაიშაური.

– რითა და შემთხვევითობით. გუშინ ბატონ დავითს უკვე მოვახსენე რა და როგორ მოხდა, თქვენი ვიდეოცა და მოწმეთა ჩვენებებიც მხოლოდ ჩემს მონათხრობს ადასტურებს, სხვას ვერაფერს დავამატებ.

შეკითხვები დამისვით და გიპასუხებთ. – თავდაცვა არც უცდია დანაღვლიანებულ იაშვილს.

– სხვა შეკითხვებზე ხომ ამომწურავად გვიპასუხეთ! – ხელი ჩაიქნია კაიშაურმა.

– თქვენს გუშინდელ მონათხრობს თუ დავუჯერებთ, 2011 წლის 25 ოქტომბრამდე თქვენ არც ბავშვებს იცნობდით, არც მათ მშობლებს და არც ავტომანქანის მძღოლ უცნობ მამაკაცს, ასეა? – ჩაეკითხა იაშვილს დავითინიძე.

– დიახ, ასეა. – დაადასტურა იაშვილმა.

– მტრები თუ გყავდათ, ან ამჟამად თუ გყავთ? – დაკითხვას განაგრძობდა დავითინიძე.

– მტრები? – ჩაფიქრდა იაშვილი. – რა გითხრათ? ნამდვილად არ ვიცი... ცხოვრებაში არავისთვის არაფერი დამიშავებია... წესით, არ უნდა მყავდეს!

– გუშინ თქვით, რომ გქონდათ 2 მობილური ტელეფონი: პირადი „სამსუნგი“, რომელიც გადააგდეთ და სამსახურებრივი „აიფონი“, რომელიც სამალავში დატოვეთ. მინდა გითხრათ, რომ ის თქვენი „აიფონი“ ვერ მოიძებნა.

– დიახ, მქონდა და დავტოვე. ვწუხვარ, რომ ვერ მოიძებნა. შესაძლოა, „აიფონი“ ჩემი უდანაშაულობის მტკიცებულებად გამომდგომოდა.

– კოლეგა-მეგობრები რატომ არ დაგეხმარნენ? „მესიჯი“ სამი ადამიანისათვის გაგიგზავნიათ!

– არ ვიცი... ალბათ, შეტყობინება ვერ მიიღეს, ან დახმარება ვერ შესძლეს.

– არ განაწყენდით?

– ვისზე და რის გამო უნდა გავნაწყენებულიყავი?

– როგორ თუ, რის გამო? გასაჭირში არავინ დაგხმარებიათ!

– ისეთ ვითარებაში აღმოვჩნდი, მე ვერავინ დამეხმარებოდა.

– რას გულისხმობთ?

– კოსმოსურ ხომალდზე ყოფნას.

– „სამსუნგი“ რატომ არ გქონდათ თქვენს სახელზე გაფორმებული?

– იცით, „სამსუნგი“ მაჩუქეს. რატომღაც ჩავთვალე, რომ ჩემზე იქნებოდა გაფორმებული.

– ვინ გაჩუქათ?

– ჩემმა... საქმრომ... ირაკლი რამიშვილმა, – ენის ბორძიკით წარმოსთქვა იაშვილმა.

– რამიშვილმა თუ იცოდა თქვენი განზრახვის შესახებ?

– არანაირი წინასწარი განზრახვა არ მქონია! ისე მოულოდნელად მოხდა ყველაფერი, არა თუ ირაკლიმ, მეც არ ვიცოდი, რა მომელოდა! რამიშვილი საერთოდ არაფერ შუაშია, იგი უდანაშაულოა! მერწმუნეთ, იგი უწესიერესი, ღირსეული და კეთილშობილი ადამიანია! ჩვენ 40 წელია ერთმანეთს არ შევხვედრივართ! გემუდარებით, ნურაფერში გახვევთ!

– კარგი, ნუ ღელავთ. რამიშვილი არ გვაინტერესებს... თუმცა, ვიცით, რომ იგი ნაწყენი იყო თქვენზე.

– ნაწყენი?!... რატომ?

– რა უცნაური ქალი ხართ... როგორ თუ რატომ? – თავი გაიქნა-გამოიქნია ქალის უადგილო შეკითხვით შემცბარმა დავითინიძემ, – თქვენ მოგეწონებოდათ, ქორწილამდე 3 დღით ადრე, მოულოდნელად რომ მიეტოვებინეთ და სამუდამოდ გაუჩინარებულიყო?! კაცი დარდით ავად გახდა, ყველგან დაგეძებდათ.

– ის არასდროს მიმატოვებდა, – თვალები აუწყლიანდა იაშვილს, – დამიჯერეთ, მისი მიტოვება არც მიფიქრია... ყველაფერი ჩემდა უნებურად, ჩემი ნების გარეშე მოხდა!

– რამიშვილის შემდეგ მეუღლე გყავდათ?

– არა.

– მეგობარი მამაკაცი?

– არა.

– აბა, ქალები მოგწონთ?

– შეურაცხყოფას ნუ მაყენებთ!.. – იწყინა იაშვილმა, – პირადულზე საჯაროდ არ საუბრობენ, მაგრამ იძულებულს მხდით ხმამაღლა განვაცხადო... – თავს ძალა დაატანა და აკანკალებული ხმით ამოღერღა, – ირაკლი რამიშვილს ძალიან ვუყვარდი, პატარა ბავშვივით მანებივრებდა და ყველაფერში მეხმარებოდა... ეს იყო წმინდა და უანგარო სიყვარული... ირაკლი ჩემს ღალატს არ იმსახურებდა! თანაც მასზე უკეთესი მამაკაცი ცხოვრებაში არ შემხვედრია!

– როგორ, 40 წელი რამიშვილს უერთგულეთ?!

– დიახ, ჩვენ დაწინდულები ვიყავით... მე იგი დღემდე მიყვარს... – ლოყაზე ცრემლი ჩამოუგორდა იაშვილს.

„რა ადვილად შეუძლია ამ ქალს თანაგრძნობის გამოწვევა და ადამიანებით მანიპულირება!“ – ფიქრობდა გაკვირვებული დავითინიძე.

ყველა გაჩუმდა. იაშვილმა თვალები თეთრი ბატისტის მაქმანებიანი ცხვირსახოცით მოიწმინდა და წყნარად თქვა:

– მგონია, რომ ჩემთვის ნაჩუქარ „სამსუნგს“ ირაკლი თავის სახელზე გაიფორმებდა.

– კარგი. გადავამოწმებთ... დამატებით რამის თქმა ხომ არ გსურთ?

– არა, გმადლობთ.

– მაშინ ლიზისთან მისაღებში ცოტა ხნით შეისვენეთ და შემდეგ თხრობა განაგრძეთ... დაგიძახებთ! – დაკითხვა მოულოდნელად შეწყვიტა დავითინიძემ.

იაშვილი ოთახიდან პირუჩუმრად გავიდა და კარები უხმაუროდ მოიხურა.

***

– შთაბეჭდილებები! – საგამოძიებო ჯგუფის წევრებს მიმართა დავითინიძემ.

– ძლიერი პიროვნებაა, ვერაფერს იტყვი! – შეაფასა იაშვილი კაიშაურმა, – გამბედავია და ურჩი და დამოუკიდებელი ხასიათი აქვს.

– ზოგჯერ მგონია, რომ არ ტყუის, – გამოტყდა ლაბაძე.

– ასე რატომ ფიქრობ? – ჩაეკითხა დავითინიძე.

– რა ვიცი... ტოპლუზე რეაქცია არ ჰქონდა, ადვოკატზეც უარი განაცხადა!

– ხო, დამნაშავის შთაბეჭდილებას ნამდვილად არ ტოვებს, – აღიარა გაბუნიამაც.

– ვფიქრობ, ტოპლუს მართლა არ იცნობს, – დარწმუნებით თქვა კაიშაურმა.

– ყველაზე მეტად ის მაკვირვებს, რომ საკმაოდ ჭკვიანია და „დაუვარცხნელ“ პასუხებს კი იძლევა. კოსმოსში ვიმოგზაურეო, აუჩემებია... მაგრა ვიძაბები, რა! – ქალისადმი დამოკიდებულება ყველას მაგივრად გააჟღერა გაბუნიამ.

– რა ვიფიქრე იცით, კოსმოსში ვიმოგზაურეო, რომ ამბობს, იქნებ სიმართლეა? ორმოცი წლის წინანდელი კოსმოსური ტექნიკის პიროებებში, ეს სავსებით შესაძლებელი იქნებოდა, – ივარაუდა კაიშაურმა. – მეორე საკითხია, იქ რანაირად აღმოჩნდა და მერე უკან როგორ დაბრუნდა!

– ხომ თქვა, შემთხვევით აღმოვჩნდიო, – შეახსენა ლაბაძემ.

– ავთანდილ, შენ რა, მართლა შესაძლებლად მიგაჩნია ამ ქალის ე.წ. „კოსმიური ვოიაჟი“? – ჩაფიქრდა დავითინიძე.

– დიახ, ბატონო დავით. რატომაც არა?! თეორიულად ეს სავსებით დასაშვებია, – უკან არ დაიხია კაიშაურმა, – თუმცა, კოსმოსურ ხომალდზე „შემთხვევით“ აღმოჩენა რამდენად შესაძლებელია, არ ვიცი!

– მაშინ კეთილი ინებოს და აგვიხსნას, რანაირად მოხვდა იმ რაკეტაში, ხომალდზე თუ თანამგზავრზე! – მოითხოვა გაბუნიამ.

– თხრობა ჯერ არ დაუმთავრებია, – თქვა ლაბაძემ, – ალბათ, ამ ეგრეთ წოდებული „კოსმოსური ხომალდის“ შესახებაც მოყვება რამეს.

პოლკოვნიკ დავითინიძეს გამოცდილი იურისტის შინაგანი ალღო ია იაშვილს უდანაშაულობაში არწმუნებდა, თუმცა ვერაფრით აეხსნა, ქალის გაუაზრებელი და ალოგიკური „თავდაცვითი სტრატეგია“. კაიშაურის მოსაზრებამ იაშვილის კოსმოსში ყოფნის იდეის დაშვებულობის შესახებ, დავითინიძე საკუთარი შინაგანი რწმენის უტყუარობაში განამტკიცა და გამოძიების მიმართულება თვისობრივად შეაცვლევინა.

„ეს ქალი მკვლელი და გამტაცებელი რომ არ არის, ისედაც ნათელია... რაღაც იდუმალ ინფორმაციას მართლაც ფლობს, რადგან მეორე ქილერის ვინაობა და თავდასხმის მოტივი დღემდე ვერ დადგინდა... შესაძლოა ქილერის ასავალ-დასავალს იმიტომაც ვერ მიაკვლიეს, რომ კოსმოსს უკავშირდება და გასაიდუმლოებულია...“ – ვითარებას აანალიზებდა დავითინიძე.

„რა გამოდის, – იაშვილმა 40 წელი ნამდვილად კოსმოსში გაატარა?!. მაშინ კლასიკური ჯაშუშობის ვერსიაც ნაკლებ სავარაუდოა, თუმცა გამორიცხული არაფერია... ამასთან, მისი უდანაშაულობის, ან კოსმოსში ყოფნის არანაირი პირდაპირი ან ირიბი მტკიცებულება, დღესდღეობით რეალურად არ არსებობს... რამდენადაც სკოლის ფიზიკის სახელმძღვანელოდან მახსოვს, დრო ფარდობითია, კოსმოსში და დედამიწაზე სხვადასხვაგვარად მიედინება... კოსმოსში ყოფნის ირიბ მტკიცებულებად ქალის მიერ ახალგაზრდობის შენარჩუნების ფენომენი რომ ჩაითვალოს, მაშინ ბავშვების საქმესთან მიმართებაში მისი უდანაშაულობის მტკიცებულებად „აიფონიც“ გამოდგება, თუ ვიპოვეთ...“

პოლკოვნიკმა დავით დავითინიძემ, რა თქმა უნდა, შესანიშნავად იცოდა, რომ შეცდომის უფლება არ ჰქონდა, ამიტომ გამოძიების წარმართვის შემდგომი მიმართულების შესახებ, ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღებას, კოლეგებთან მოთათბირება და მათი წინადადებების გათვალისწინება არჩია.

– ბიჭებო, მინდა გითხრათ, რომ მეტად საჩოთირო სიტუაციაში ვართ, – მიმართა კოლეგებს დავითინიძემ, – გამოძიების ამ ეტაპზე, ვერსიები ვერ „გავშალეთ“ და მეორე დღეა ერთ ადგილს ვტკეპნით. გამოძიება რომ გავაგრძელოთ, უნდა მივიღოთ მეტად პრინციპული და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები... ვერსიების შესამუშავებლად გვაქვს ორი ე.წ. „ამოსავალი წერტილი“: პირველი, იაშვილი დამნაშავეა და ტყუის; და მეორე, იაშვილი უდანაშაულოა და სიმართლეს ამბობს.

აქამდე მიგვაჩნდა, რომ იაშვილი ტყუის და ვნახეთ, რომ ვერსიები არ გამოიკვეთა. „სამსუნგის“ შესახებ სიმართლეს იტყოდა, რადგან მისი

ნათქვამის გადამოწმება პრობლემას არ წარმოადგენს. ტოპლუსთან დაპირისპირებაც უშედეგო აღმოჩნდა. ტოპლუ რომ გულწრფელი იყოს, მისთვის ხელსაყრელ მომენტს გამოიყენებდა და იაშვილის წინააღმდეგ ჩამოყალიბებულ ჩვენებას დღესვე მოგვცემდა, მან კი გაჩუმება ამჯობინა. თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ტოპლუ ან გამიზნულად ტყუის, ან ვიღაცა თვითონ მას ატყუებს და საკუთარი მიზნებისათვის მოხერხებულად იყენებს. მეორე ქილერის თაობაზე კი საერთოდ არაფერი ვიცით. გარდა ამისა, ჩვენი მონაცემებით, ეს იაშვილი კალენდარულად 75 წლის მოხუცია, მაგრამ ფაქტი სახეზეა, რომ ბიოლოგიურად და გარეგნობითაც იგი 35 წლის ახალგაზრდა ქალია. ვახოს დავავალებ აინშტაინის ფარდობითობის თეორიაში ფიზიკოსებთან ერთად „წაივარჯიშოს“ და ჩვენც გაგვაგებინოს, თეორიულად რამდენადაა და პრაქტიკულად როგორაა ეს შესაძლებელი.

თუ მივიჩნევთ, რომ იაშვილი სიმართლეს ამბობს (კოსმოსში მოგზაურობასაც ვგულისხმობ), მაშინ სიტუაცია „ლოგიკურად ლაგდება“ და იკვეთება მეტად საინტერესო ვერსიის ჯერ კიდევ ბუნდოვანი კონტურები: დავუშვათ, იაშვილი მართლაც შემთხვევით შეხვდა უმეთვალყურეოდ დარჩენილ მცირეწლოვან ბავშვებს, რომელთა დედაც ავტოსაგზაო შემთხვევამ შეიწირა (რაც შესაძლოა, იაშვილს არც კი სცოდნოდა), მათი დახმარება გადაწყვიტა და საეჭვო უცნობ მამაკაცს, რომელმაც იაშვილი ბავშვების დედად მიიჩნია, პატარები არ გაატანა და მათი უსაფრთხოების დაცვის მიზნით, თავადაც გაჰყვა. როგორც თვითონ ამბობს, ბავშვები გადასცა მათ მამას, ასევე უგზო-უკვლოდ დაკარგულ, ვინმე ალეკო კვინტრაძეს. გადაცემის ამბავს ალბათ, დღესვე მოგვიყვება... – დავითინიძე შეჩერდა და ხელქვეითებს დაფიქრების საშუალება მისცა.

– ოთარ, თათბირის დამთავრებისთანავე მოიძიე დამატებითი ინფორმაცია ამ კვინტრაძის შესახებ, – მცირეოდენი დუმილის შემდეგ დაავალა ლაბაძეს დავითინიძემ, – რა პიროვნება იყო, რას საქმიანობდა და ა.შ.

– გასაგებია, ბატონო პოლკოვნიკო, დღის ბოლოსათვის მოგახსენებთ, – დავალება სამუშაო ბლოკნოტში ჩაინიშნა ოთარ ლაბაძემ.

– გაითვალისწინეთ ისიც, რომ იაშვილი რაღაც „სათქმელის“ თაობაზე გამუდმებით ლაპარაკობს, – მსჯელობა განაგრძო დავითინიძემ, – მაგრამ პირდაპირ, ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე კი არ გვეუბნება, არამედ შორიდან უვლის, თავის თავგადასავალს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გვიყვება. რატომ? იმიტომ, რომ ძალიან სურს მისმა ე.წ. „ძირითადმა სათქმელმა“ დამაჯერებლად გაიჟღეროს, რათა ჩვენ

მის ჭეშმარიტებაში დაგვარწმუნოს. არ გეჩვენებათ, რომ ქილერების გამოჩენის თემა იაშვილის „სათქმელის“ მნიშვნელოვნებაზე მიუთითებს? ვიმეორებ, თუ დავუშვებთ, რომ იაშვილი სიმართლეს ამბობს და თუ იგი დამაჯერებლად განგვიმარტავს, ბავშვებთან დაკავშირებული ისტორიის მერე როგორ მოხვდა კოსმოსურ ხომალდზე, მთელი 40 წელიწადი იქ რას აკეთებდა, უკან როგორ დაბრუნდა და რატომ ესროლეს, მაშინ ვერსიის დასასაბუთებლად აუცილებელი მტკიცებულებების შეგროვება გახდება საჭირო, რაც საკმაოდ რთული იქნება, თუ გავითვალისწინებთ საქმის ხანდაზმულობასა და მომხდარის ირგვლივ არსებული ინფორმაციის სიმწირეს.

პოლკოვნიკის მოსაზრებებმა საგამოძიებო ჯგუფის წევრები ღრმად ჩააფიქრა, რადგან მეტად რთული არჩევანის წინაშე დადგნენ: ერთის მხრივ, ხელთ ეპყრათ მოწმეების ჩვენებებით გამყარებული და უტყუარი მტკიცებულებებით დასაბუთებული სისხლის სამართლის საქმის მასალები, მათ საფუძველზე გამოტანილი თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი იაშვილის უვადო პატიმრობის შესახებ და დადგენილება იაშვილის საერთაშორისო ძებნაში გამოცხადების თობაზე; მეორეს მხრივ, ქალის მიერ ახალგაზრდობის შენარჩუნების ფენომენი, ქილერების „ასპარეზზე“ მოულოდნელი გამოჩენა და გამოცდილი ოპერმუშაკისა და გამომძიებლის შინაგანი ალღო, იაშვილის უდანაშაულობის სასარგებლოდ მეტყველებდა.

– ახლად გამოვლენილი გარემოებების თანახმად, სისხლის სამართლის საქმის გადახედვა და გამოძიებაში ხელახალი დაბრუნების შუამდგომლობის დასაბუთება მოგვიწევს, – რამდენიმეწუთიანი ფიქრის შემდეგ დუმილი დააღვია კაიშაურმა.

– მხარდაჭერისათვის გმადლობთ, ავთანდილ, – გაიღიმა დავითინიძემ, – თქვენ როგორ ფიქრობთ, ბიჭებო? საკითხი მეტად სერიოზული და არაორდინარულია, ამიტომ უადგილო და უაზრო „სუბორდინაციული“ თანხმობა კი არა, თქვენი პირუთვნელი აზრი მჭირდება. თუ არ მეთანხმებით, ვალდებულები ხართ ხმამაღლა განაცხადოთ! პრინციპული გადაწყვეტილება ერთხმად უნდა იქნას მიღებული!

– გამოძიების მიმართულების 180^0-ით შეცვლა მოგვიწევს! – კეფა მოიქექა გაბუნიამ.

– იაშვილის უდანაშაულობის მტკიცებულებად დაკარგული „აიფონი“ სავსებით გამოდგებოდა, – დაასკვნა ყიფიანმა, – მისი ასავალ-დასავალი უნდა გავარკვიოთ.

– ჩემის აზრით, კარგი იქნება, თუ გამოძიების წარმართვის ერთიან სქემას შევიმუშავებთ და მეთოდურად, ნაბიჯ-ნაბიჯ გავყვებით, – წინა-

დადება შემოიტანა ლაბაძემ.

– „ლომებს“ ტყუილად კი არ გეძახით, – ხელები მოიფშვნიტა კმაყოფილმა დავითინიძემ, – გამოძიების წარმართვის ძირითადი მომენტები მოფიქრებული მაქვს. მაშ ასე, გამოძიების მიმდინარე ეტაპზე „ვმოძრაობთ“ შემდეგი მიმართულებებით:

პირველი, ვეძებთ „აიფონს“ და ვამოწმებთ „სამსუნგს“. გახსოვთ ალბათ, იაშვილმა დაასახელა თავისი სამი კოლეგა, რომელთაც SOS-შეტყობინება, ე.წ. „მესიჯი“ გაუგზავნა. სისხლის სამართლის საქმის მასალებში არც ერთი მათგანი არ ფიგურირებს. ავთანდილ, ამას შენ გავალებ. დაადგინე ვინ იყო ეს ხალხი, შინაგან საქმეთა სამინისტროში რა „მოხელე-ნაჩალნიკები“ იყვნენ და ახლა სად არიან. არ არის გამორიცხული, „აიფონი“ რომელიმე მათგანს ჰქონდეს. თუ გამოვლინდა, რომელიმეს მიერ ტელეფონის გამოძიებისათვის დამალვის ფაქტი, მაშინ სერიოზულ შეკითხვებზე მოუწევთ პასუხის გაცემა. გარდა ამისა, თუ ეს ტექნიკურად შესაძლებელია, მოიძიე ინფორმაცია ორივე ტელეფონის სანომრე ბარათების შესახებ, განსაკუთრებით სამსახურებრივი „აიფონის“ კორპორატიული ნომრის „ბედია“ საინტერესო. ამასთან გადაამოწმე, 2011 წელს იყო თუ არა გაფორმებული რამიშვილის სახელზე „სამსუნგის“ ფირმის ე.წ. გასაშლელი ტიპის მობილური ტელეფონი. თუ ვერ გაარკვევ, რამიშვილის ხელახალი დაკითხვა მოგვიწევს. ცოტა დელიკატური მომენტი კია – მან ხომ არ იცის, რომ იაშვილი დაბრუნდა. შესაძლოა, ერთმანეთთან შეხვედრა არც ერთ მათგანს არ სურდეს;

მეორე, ვსწავლობთ კვინტრაძეების ოჯახს. ვიცით, რომ სამწუხაროდ, ახალგაზრდა ოჯახი პრაქტიკულად მთლიანად დაიშალა. დედა ავარიას შეეწირა, მამა და 3 პატარა ბავშვი კი უგზო-უკვლოდ დაიკარგა... მაგრამ ამ ოჯახს ხომ ეყოლებოდა ბებია-პაპები, სხვა ნათესავები და ახლობელ-მეგობრები! ოთარ, შენ უკვე დაგავალე... კიდევ ერთხელ გადახედე სისხლის სამართლის საქმეს, „ამოწიე“ ვინ უჭირისუფლა ბავშვების გარდაცვლილ დედას, ვინ განაცხადა მამა-შვილი კვინტრაძეების გაუჩინარების თაობაზე, ვინ იყვნენ იმ მაღაზიის თანამშრომლები, რომელთა წინაშეც მოხდა ის საბედისწერო ავარია და ეს ხალხი ხელახლა დაკითხე. იქნებ გავარკვიოთ, ბავშვების წამოსაყვანად მიმავალი განსვენებული, რატომ შევიდა მაღაზიაში და ჩვენთვის საინტერესო ხომ არაფერი უთქვამს პერსონალისათვის. კარგი იქნება, კვინტრაძეების სხვა ნათესავების შესახებაც თუ მოიძიებ რამეს;

მესამე, ვარკვევთ ვინ იყო ტოპლუს იდუმალი „ბოსი“. მის შესახებაც ჯერჯერობით ფაქტობრივად არაფერი ვიცით... გასაგებია, რომ ისიც ტოპლუსავით კრიმინალი იქნებოდა. უნდა დადგინდეს, რა მიზეზით ემ-

ტერებიან ეს თურქები იაშვილს და რატომ ესროლა ქალს ტოპლუმ. ეს საკითხი დიპლომატიურ ურთიერთობებს უკავშირდება და ცოტა საჯახიროა. ამიტომ ამ საკითხის გარკვევას შენ დაგავალებ, ირაკლი, რაც არ უნდა იყოს, საერთაშორისო სამართლის საკითხებში საფუძვლიანად გათვითცნობიერებული, გამოძიების ეროვნული ბიუროს გამობრძმედილი, ძველი და ნაცადი კადრი ხარ.

– ვეცდები, ბატონო პოლკოვნიკო, – თავმდაბლობისაგან უხერხულად შეიშმუშნა გაბუნია, თუმცა სახეზე შეეტყო, რომ შექება ესიამოვნა.

– მეოთხე, – განაგრძო დავითინიძემ, – თვალყურს ვადევნებთ ჩვენი კოლეგების გამოძიებას ამოუცნობ ქილერთან დაკავშირებით. ეს შენი დავალებაა, არჩილ. ყურადღებით გაეცანი პათანატომისა და ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნებს. თუ სხვა ახალ ინფორმაციასაც შეიტყობ, დაუყოვნებლივ მომახსენე;

მეხუთე, ვადგენთ იაშვილის მიერ დასახელებული ავტომანქანების ასავალ-დასავალს. ეს შენ გევალება, ავთო. მფლობელების შესახებ შეძლებისდაგვარად დაწვრილებითი ინფორმაცია შეაგროვე;

მეექვსე, ავთო და ოთარ, როგორც მახსოვს, იაშვილის სამომავლო ქცევის მათემატიკური მოდელის შედგენა გთხოვეთ. გიმეორებთ, რომ ხვალ საღამოსთვის მაგიდაზე უნდა მედოს. იმ დროისათვის ვახოსაც ეცოდინება ფარდობითობის თეორიის ძირითადი პოსტულატები დროისა და სივრცის შესახებ და იმედია, ნათელს მოჰფენს იაშვილის მიერ ახალგაზრდობის შენარჩუნების საიდუმლოს;

მეშვიდე და ბოლო, ვისმენთ და ვაანალიზებთ იაშვილის მონათხრობს. წესით, დღესვე უნდა მოგვახსენოს, თუ როგორ და რა ვითარებაში გადასცა მამას ბავშვები და რა იცის მათი შემდგომი ბედის შესახებ. გარდა ამისა, „ქალბატონი“ ხომალდზე მოხვედრისა და იქ გატარებული წლების შესახებაც მოგვიყვება და თავის ყბადაღებულ „სათქმელსაც“, როცა იქნება, გვეტყვის... მე დავამთავრე. იმედია, ყველაფერი გასაგები და შესრულებადია.

– ვეცდებით, ბატონო პოლკოვნიკო! არა, ბიჭებო?! – ყველას მაგივრად დაეთანხმა ავთანდილ კაიშაური.

– რა თქმა უნდა, – დაუდასტურეს კოლეგებმა.

– მაშინ დავიშალოთ. დღეს და ხვალ ბევრი სამუშაო გექნებათ, ამიტომ იაშვილს დღეს მხლოდ მე მოვუსმენ, თქვენ კი თქვენ საქმეებს მიხედეთ. მონათხრობის ჩანაწერს შეგიძლიათ თქვენთვის მოსახერხებელ ნებისმიერ დროს გაეცნოთ. ხვალ თათბირი ჩემთან, სავარაუდოდ, საღამოს 8 საათისათვის დავგეგმოთ. იმედია, კონკრეტული მასალა გვექნება, რადგან თათბირს ჩვენი ორივე უწყების ხელმძღვანელი გენერლები გიორგი ჯაში და ლევან აბულაძე დაესწრებიან და გამოძიების

წინასწარი შედეგები უნდა წარვუდგინოთ.

გამოძიების შემდგომი მიმართულებების განსაზღვრისა და საგამოძიებო ჯგუფის წევრებისათვის დავალებების შესასრულებლად გადანაწილების შემდეგ, სამუშაო კაბინეტში მარტოდ დარჩენილი პოლკოვნიკი დავითინიძე ერთ ხანს ჩაფიქრებული იჯდა და ია იაშვილის წინა დღის მონაყოლის მეხსიერებაში აღდგენასა და მის მიუკერძოებელ განსჯას ცდილობდა.

„გამოძიებისათვის დიდი მნიშვნელობა ექნება ბიჭების მიერ მოპოვებულ ინფორმაციასა და შეგროვებულ მტკიცებულებებს. თუ „ბავშვების ეპიზოდში“ იაშვილის უდანაშაულობა დამტკიცდა და მისი კოსმოსური ოდისეაც სიმართლეა, მაშინ ამ იდუმალებით მოსილი ქალის ხომალდზე ყოფნის დამადასტურებელი მტკიცებულებების მოპოვებისათვის, გამოძიების წარმართვა სხვა მეთოდებით მოგვიწევს... მოკლული ქილერიც კოსმოსის ამბებთან უნდა იყოს დაკავშირებული“, – ფიქრობდა შეშფოთებული დავითინიძე, – „ეს უკვე საერთაშორისო მასშტაბებია და მხოლოდ ჩვენი და ქვეყნის სხვა ძალოვანი სტრუქტურების კომპეტენცია საკმარისი არც იქნება“.

პოლკოვნიკი წამოდგა, ჰალსტუხი შეისწორა, შარვლის ჯიბეებში ხელები ჩაიწყო, ნელი ნაბიჯით ჩაკეტილ ფანჯარასთან მივიდა, ბალახისფერი ფარდა გადასწია და სარკმელი გამოაღო. ოთახში მზის ცელქი სხივები უნებართვოდ შემოიჭრნენ და თან გაზაფხულის თავბრუდამხვევი სურნელი შემოიტანეს.

დავითინიძე რაფას დაეყრდნო, სუფთა ჰაერს ღრმად ისუნთქავდა, კეკლუცი ყვავილების თვალიერებით ტკბებოდა და ფიქრს განაგრძობდა: „იმედია, ეს ქალი დღესვე იტყვის, რისი თქმაც თვითონ უნდა. დანარჩენი კი ხვალ საღამოს ხელმძღვანელობასთან თათბირზე გადაწყდება. ვნახოთ, ბიჭები ხვალისათვის რა მასალებს მომაწვდიან, – გამოძიების მიმდინარეობის თაობაზე მოხსენებით ბარათსაც მოვამზადებ“.

პოლკოვნიკმა ფანჯარა მიხურა და მისაღებში გამავალი კარები გამოაღო:

– ლიზი! ქალბატონი ია ასადილე და 20 წუთში ჩემთან შემოიყვანე.

– გასაგებია, ბატონო დავით! – მობილურ ტელეფონს ხელი წამოავლო ლიზიმ.

– გულისხმიერებისათვის მადლობელი ვარ, ბატონო დავით! – წამოხტა იაშვილიც.

ნაწილი II. გომბორიდან კოსმოსისაკენ

თავი I. გაუჩინარება

– დაბრძანდით! – ზუსტად 20 წუთის შემდეგ იაშვილს სკამზე მიუთითა დავითინიძემ. – იმედია, თქვენს სათქმელს დღესვე მეტყვით.

– დიახ, დიახ, რა თქმა უნდა, ბატონო დავით! ყველაფერს, ყველაფერს დაწვრილებით ახლავე მოგახსენებთ! – ენერგიული ენთუზიაზმით წამოიძახა იაშვილმა.

– ახლა, თავს ძალიანაც კი ნუ მოიკლავთ... ნამეტანი დაწვრილებითაც არ არის საჭირო, ქალბატონო ია. სიმართლე გითხრათ, დიდად არ მაინტერესებს 40 წლის წინანდელი გომბორის გზის მიმყოლი მცენარეული საფარის შემოდგომის ფერები. მერწმუნეთ, გამოძიებისათვის არსებითი მნიშვნელობა ნამდვილად არა აქვს ხეებისა და ბუჩქების შეფერილობაში რომელი ფერი სჭარბობდა: წითელი, ყვითელი, თუ მწვანე! – იაშვილისათვის დაძაბულობის მოხსნისა და დაკითხვის მშვიდ ვითარებაში ჩატარების მიზნით, იხუმრა დავითინიძემ.

– მინიშნება გასაგებია, ბატონო პოლკოვნიკო! – გაეცინა იაშვილს. – ეტყობა ძალიან ვრცლად ვყვები... შეძლებისდაგვარად ვეცდები ლაკონური ვიყო, – თავი მორჩილად დახარა და მალული ღიმილით წყნარად დაუმატა, – ისე, მეც მშვენივრად მესმის, რომ გამოძიებისთვის პრინციპული მნიშვნელობა ასევე არა აქვს, თუ როგორი იყო მაშინ გომბორის გზის ასფალტის რუხი ფერის ტონალობა: „შეშინებული თაგვისა“, თუ საავდროდ მოქუფრული ცის ფერი! მინდა გითხრათ, რომ „შეშინებული თაგვის“ ფერი არასდროს მხიბლავდა...

„ამას უყურე! რქები არ ჩაგრიხა! როგორი ჯინიანია ეს ქალი, ერთ სიტყვასაც არავის შეარჩენს... რამდენს ბედავს! ღია ტექსტით პირდაპირ მეუბნება, შენი არ მეშინიაო.“ – თავისდა გასაკვირად, იაშვილის თავხედობაშეპარულმა გამბედაობამ დავითინიძე გაბრაზების ნაცვლად გაახალისა, – „ეს დიაცი მართლა მაგარი ეგზემპლარია!“ – გულში კეთილად იცინოდა პოლკოვნიკი.

– სწორად ვერ გამიგეთ, – შემრიგებლურად უთხრა იაშვილს დავითინიძემ, რადგან მის უდანაშაულობაში თითქმის დარწმუნებული იყო და განსაცდელში მყოფი მიუსაფარი ქალი ადამიანურად ეცოდებოდა. – თქვით, რასაც საჭიროდ მიიჩნევთ, სათქმელი ყოველთვის ბოლომდე უნდა ითქვას. ჩათვალეთ, რომ მომთმენი და ყურადღებიანი მსმენელის სრულყოფილი განსახიერება ვარ! თანაც თქვენი კოსმოსში განავარ-

დებისა და ფრენა-ფარფატის ამბავიც ძალიან მაინტერესებს.

– როგორ თქვით? „კოსმოსში განავარდებისა და ფრენა-ფარფატის ამბავი“?!... – დავითინიძის მორიგი ხუმრობა სიცილით გაიმეორა იაშვილმა, – კარგი ნათქვამია.

პოლკოვნიკის ხუმრობებმა იაშვილი მიახვედრა, რომ ბედმა გაუღიმა და მისი უდანაშაულობა ირწმუნეს.

– ბატონო დავით, ვგონებ გჯერათ, რომ მართლა არაფერ შუაში ვარ და ამ ჩახლართული მოვლენების ეპიცენტრში შემთხვევით აღმოვჩნდი! – ნიადაგი მოსინჯა იაშვილმა.

– არაა... საიდან მოიტანეთ?! – ყასიდად იუარა დავითინიძემ. – მალე გამოძიება ყველაფერს ნათელს მოჰფენს, შედეგებს დაველოდოთ! ჩვენ კი დროს ფუჭად ნუღარ ვკარგავთ... გისმენთ!

– გომბორის გზაზე ძალიან დიდი სისწრაფით მივსრიალებდით, – თხრობა განაგრძო იაშვილმა. – დროდადრო საქარე მინას თვალს ვაშორებდი და შიშისაგან ჩაჩუმებულ ლუკასა და კატოს გადავხედავდი ხოლმე. ბავშვებმა ჩემი მზერა იგრძნეს და მომეხუტნენ. მათ გამხნევებას შევეცადე: „სულ მალე მამიკოსთან მივალთ!“ – ვუთხარი მშვიდი ღიმილით. საპასუხოდ თვითონაც შემომღიმეს.

საათში ას ოცდაათ კილომეტრამდე სიჩქარით „მივფრინავდით“ და გზად შემხვედრ სოფლებს თხუთმეტიოდე წუთში ჩავუქროლეთ. გომბორის უღელტეხილს რომ მივუახლოვდით, „ჩვენმა“ მანქანამ სიჩქარეს უკლო, მთავარი გზიდან მარცხნივ გადაუხვია და მთის დამრეც ფერდობზე აღმასვლა დაიწყო. ოციოდე წუთი უღელტეხილის მიმართულებით ნაირფერი ფოთლებით გამშვენიერებულ უღრან ტყეში ვიარეთ და უკაცრიელ ადგილზე შევჩერდით.

„მანქანა მთავარი გზიდან საერთოდ აღარ ჩანს, ამ ტიპმა რომც დაგვხოცოს, ვერავინ გაიგებს!“ – შევფიქრიანდი... თუმცა ეს არცთუ ოპტიმისტური აზრი მაშინვე უკუვაგდე, რადგან „მისტერ იქსს“ ჩემი „გასაღება“ რომ სდომოდა, ამას მანამდეც გააკეთებდა.

პოლიცია არ ჩანდა, არ ვიცი რა მოხდა... დარწმუნებული ვარ, მოგვძებნიდნენ, მაგრამ ალბათ, „მისტერ იქსის“ მიერ ავტომანქანის შეცვლისა და სხვა ჩემთვის უცნობ მიზეზთა გამო, სამწუხაროდ, ვერ მოგვაგნეს.

– ადგილზე დარჩით, – მკაცრად გვითხრა „მისტერ იქსმა“ და მანქანიდან გადავიდა.

არ დაგიმალავთ, ამ სუბიექტის მართლა მეშინოდა, მაგრამ ვცდილობდი არ შემმჩნეოდა, – ისედაც დამფრთხალი ბავშვების კიდევ უფრო მეტად დაშინება არ მინდოდა.

როგორც იტყვიან, თვალებად ვიქეცი, მაგრამ საქარე მინაში გამოკვეთილი შემოდგომის პეიზაჟის გარდა, ვერაფერს ვხედავდი.

„ასე უაზროდ ვიჯდე და ვიღაცის „პრიკაზებზე“ ვიარო?!“ – უმოქმედობა მაღიზიანებდა, – „რაც მოსახდენია, მოხდეს... მანქანიდან გადავალ... ვიზუალურად მაინც ხომ უნდა ვიცოდე, სად ვიმყოფებით?! ამ ტიპს რაც უფრო მეტად დავუხრი თავს, მით უფრო „დამაჩმორებს“... ამის უფლება არ უნდა მივცე!“

კატოსა და ლუკას გადავხედე, შიშისა და დაღლილობისაგან მისავათებულები ისხდნენ და თვალები ელულებოდათ.

– ბავშვებო, გამოფხიზლდით! – მუხლებზე ხელი დავუტყაპუნე ბავშვებს. ორივე წამოიწია და დაძაბული სახეებით შემომხედეს.

– კატო, ცოტათი იქით მიიწიე, შვილი! – მარჯვენა კარების მხარეს მივუთითე გოგონას. ბავშვი მაშინვე გვერდზე გადაიწია.

– ლუკა, აქეთ გადმოდი და კატოს გვერდით მიუჯექი! – ლუკას ხელი მოვკიდე და ჩემსა და კატოს შორის მოთავსებაში დავეხმარე.

– ახლა კარებს ჩუმად გავაღებ და ნელა გადავძვრები. რომ გადავალ, კარები კი არ დაკეტო, უბრალოდ უხმაუროდ მოხურე, – დავავალე ლუკას, – ხომ მიხვდი, შვილი, რაც გითხარი? – თვალებში ჩავხედე ბავშვს.

– დიახ! კარები ვითომ დაკეტილია, ხო? – ჩურჩულით მკითხა ლუკამ.

– ხო, შვილი! – ჩურჩულითვე ვუპასუხე ბიჭს.

მანქანის კარს ნელ-ნელა ვაღებდი და ვცდილობდი გარეთ რაიმე მაინც დამენახა, როდესაც ვერავინ დავლანდე, გადასვლა დავაპირე. მიწას მყარად ჯერ მარცხენა ფეხი დავადგი, შემდეგ წელში მოხრილი გადმოვძვერი და ჩავიცუცქე. პატარა ლუკამ ჩემი დავალება უშეცდომოდ შეასრულა და მანქანის კარი უხმაუროდ მოხურა.

ჩემი ჭკუით, მანქანას ამოფარებული ასე თუ ისე დავიმალებოდი და გარემოსაც შევათვალიერებდი. „მისტერ იქსს“ რომც შევემჩნიე და შენიშვნა მოეცა, იმდენად აჟიტირებული ვიყავი, არაესთეტიურობისაც კი არ მომერიდებოდა და მივახლიდი: „გული მერეოდა და იმიტომ გადმოვედი“ – მეთქი.

სიჩუმე იდგა. აფერადებულ ხეებს შორის, ფოთლებისაგან აჭრელებულ მიწაზე განფენილი მზის ოქროსფერი სხივების გარდა, ირგვლივ არაფერი მოჩანდა. მანქანის იქითა მხარეს რა ხდებოდა, არ ვიცოდი, ამიტომ მიწაზე პირქვე გავწექი და ბორბლებს შორის გავიჭვრიტე.

„ტოიოტა პრადოსაგან“ საკმაოდ მოშორებით თვალი მოვკარი ადამიანის ორ წყვილ ფეხსა და მგონი, რაღაც უშველებელ რკინებს. განცვიფრებული ფეხზე ფრთხილად წამოვდექი და მანქანის კორპუსის ზემოდან ადამიანების მიმართულებით გადავიხედე. წინ დაახლოებით 200 კვ.

მეტრის ფართობის ხელოვნურად, ტყის გამოკაფვის გზით შექმნილი მდელო მოჩანდა. ჩემგან ას მეტრში უძრავად მდგარ, თეთრ-წითლად შეღებილ ვერტმფრენთან ორი მამაკაცი საუბრობდა, ერთ-ერთი მათგანი „მისტერ იქსი“ იყო, რომელიც ჯიპს თვალს ერთი წუთითაც არ აშორებდა.

ვერტმფრენის ხილვამ იმდენად გამაკვირვა, რომ როგორც ეტყობა, სიფხიზლეც მომიდუნდა და სიფრთხილეც გადამავიწყდა. დავდექი და ვერტმფრენს უნახავივით მივაჩერდი, თან თავში ათასი აზრი მიტრიალებდა...

ჩემი დაუდევრობის შედეგი მალევე მოვიმკე. „იქსმა“ შემნიშნა და თანამოსაუბრეს რაღაც გადაულაპარაკა, მეორე მამაკაცმა ჩემკენ გამოიხედა და „იქსისათვის“ მოულოდნელად აყვირდა, მათი ჟესტიკულაციით მივხვდი, რომ კამათობდნენ. ხელების ქნევითა და ყვირილით ორივე ჩემკენ გამოიქცა.

გონს მოვეგე და სასწრაფოდ მანქანას წინიდან შემოვუარე, ნომრების დამახსოვრება მინდოდა. იმ „ტოიოტას“ უცნაური სანომრე ნიშნებიც კარგად მახსოვს: CFC 20-11-12 IE. მათ წარმომავლობას დღემდე ვერ მივხვდი...

ასევე, დღემდე ვერ ამიხსნია, მსგავსი ნომრების მქონე მანქანამ გომბორის გზის გადასახვევთან განთავსებული პოლიციის პოსტის გადმოლახვა როგორ შესძლო!.. ჰმ... ალბათ ბიჭებმა სიამაყით გაიფიქრეს: „დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე VIP პერსონა საკუთარი ფეხით წინანდლის ბაღში ხაშლამისა და დედას პურების მისართმევად, ახლადგავლებული ჩურჩხელით ყელის ჩასაკოკლოზინებლად და კახური ღვინის ქვევრის პირას დასაჭაშნიკებლად მიბრძანდება“-ო... და საერთაშორისო დიპლომატიურ სკანდალს მოერიდნენ: „ემანდ, უცხვირპირობა და არასტუმართმოყვარეობა არ დაგვწამონ“-ო, არა? ქართველები ხომ უცხოელების აზრს ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ და ყოველთვის ვითვალისწინებთ, ხშირად ჩვენდა საზიანოდაც კი!

ცხადია, იმ ტიპმა „მერსედეს-ბენცი“ „ტოიოტა პრადოთი“ არა მხოლოდ გაუვალ გზებზე შეუფერხებლად მოძრაობისათვის, არამედ კონსპირაციის მიზნითაც შეცვალა. მინდა გითხრათ, „მისტერ იქსს“ არა მხოლოდ კვალიფიციური მსრბოლელის, არამედ პროფესიონალი მზვერავისა და ოპერ-მუშაკის უნარ-ჩვევებიც ჰქონდა და მდევარისათვის გზა-კვალის აბნევა თავისუფლად შეეძლო, რაც წარმატებით დაამტკიცა კიდეც...

„მისტერ იქსი“ და უცნობი ახალგაზრდა მამაკაცი წამებში „ტოიოტასთან“ გაჩნდნენ. დღემდე მახსოვს მათი დაბნეული და გაოგნებული

სახეები. ახალგაზრდა კაცს დავაკვირდი და მასში ბავშვების მამა, ალეკო კვინტრაძე ამოვიცანი.

– ტყუილი როგორ გაბედეთ?!! – მომვარდა გააფთრებული „მისტერ იქსი“. – თქვენ ამ ბავშვების დედა არა ხართ! ვინ ხართ?!

– თუ ბავშვებს, ან ირმას რამე დაუშავეთ, ჩემივე ხელით დაგახრჩობთ! – ღრიალებდა გამწარებული კვინტრაძე.

– დამშვიდდით, პატივცემულებო! – შეტევას მომზადებული დავხვდი. – ბავშვებს არაფერი დაშავებიათ, აქვე მანქანაში არიან, – რაც შემეძლო მშვიდად და დაყვავებით მივმართე კვინტრაძეს და მანქანის კარი გამოვაღე. – მობრძანდით და ნახეთ!

გადაღლილ ბავშვებს ჩასძინებოდათ, მაგრამ ხმაურზე გამოეღვიძათ. მამის დანახვაზე „ჩვენი მამიკო!“-ს ძახილით მანქანიდან მკვირცხლად გადმოხტნენ და კვინტრაძეს კისერზე ჩამოეკიდნენ. გახარებულმა კვინტრაძემ ორივე ბავშვი ერთდროულად აიტაცა, ჩაკოცნა და ყურადღებით ათვალიერებდა. საოცარი შვება ვიგრძენი... ჩემი მისია შევასრულე და ახლა დასვენების გარდა აღარაფერი მინდოდა.

– კარგად ხართ, ბავშვებო? – მზრუნველად ეკითხებოდა შვილებს კვინტრაძე.

– კი! – თავი დაიქნია მამის მკლავზე მოხერხებულად მოკალათებულმა ლუკამ.

– დედა სად არის?

– დედა არ მოვიდა და ია დეიდამ შენთან წამოგვიყვანა, – ჩაიტიკტიკა კატომ.

– სად არის ჩემი ცოლი?! – თვალები გადმოკარკლა კვინტრაძემ, – მიპასუხეთ!

– არ ვიცი... თქვენს მეუღლეს არ შევხვედრივარ! მე საბავშვო ბაღის გვერდზე მდებარე სახაჭაპურეში ჩემთვის ვიჯექი და შეკვეთას ველოდი, თან ვიტრინიდან ქუჩაში მოსიარულე ხალხს ვათვალიერებდი. შემთხვევით თვალი მოვკარი თქვენს შვილებს, რომლებიც ტროტუარზე მარტოდმარტო, მეთვალყურის გარეშე მოდიოდნენ. თავისუფალი დრო მქონდა და ბავშვების საბავშვო ბაღამდე გაცილება გადავწყვიტე. ბაღის წინ ვიდექით და თქვენს მეუღლეს ველოდით. იგი, რატომღაც, არ მოვიდა. ამ დროს ბატონი „მისტერ იქსიც“ გამოჩნდა და გვითხრა, რომ თქვენთან წამოგვიყვანდა. პატარა ბავშვების უყურადღებოდ დატოვება არ მინდოდა და თან გამოვყევი, რათა თქვენთვის ხელიდან ხელში გადმომეცა. გადმოგეცით კიდეც!... სულ ეს არის. – მოკლედ და კონკრეტულად განვუმარტე.

– ვერც კი წარმოგიდგენიათ, რა შარში გაეხვიეთ! – ჩაისისინა „მის-

ტერ იქსმა“.

– კი, მაგრამ, რა დავაშავე?! ბავშვები მამასთან მოვიყვანე! – წყნარად ვუპასუხე, კამათსა და დავიდარაბას ავერიდე.

– თქვენ თავი ბავშვების დედად გაასაღეთ! ეს მძიმე დანაშაულია! თანაც არ ამბობთ, ვინ ხართ! – მიყვირა „მისტერ იქსმა“.

– რა მოხდა მერე? თქვენც არ გითქვამთ, ვინ ხართ! ფსევდონიმი „მისტერ იქსი“ სახელი და გვარი არ არის! ასე რომ, მე და თქვენ „ბარი ბარში“ ვართ! ან როდის ერთხელ მოგახსენეთ: „ბავშვების პატივცემული დედიკო გახლავართ და ირმა მქვია“ – მეთქი?! მე ეს არ მითქვამს! თანაც უპატრონოდ მიგდებული მცირეწლოვანი ბავშვების მშობლისათვის დაბრუნება თუ დანაშაული იყო, არ ვიცოდი! იქნება შემახსენოთ, როდის აქეთ შეიცვალა სისხლის სამართლის კოდექსი?

ჩემი ვინაობის გამხელას თავს ვარიდებდი, ვინანე: ბავშვებს ჩემი ნამდვილი სახელი რატომ ვუთხარი-მეთქი.

– რა „უპატრონოდ მიგდებული“! – დაიბუბუნა კვინტრაძემ, – თუ ტყუილს მეუბნებით, იცოდეთ, მიწიდან ამოგიღებთ! – შემომიბღვირა, – ყველაფერი გაირკვევა, ჩემი მეუღლე მეტყვის, რაც მოხდა... და თუ მას რამე დაუშავეთ, არ დაგინდობთ და მერე თქვენს თავს დააბრალეთ! – ღიად დამემუქრა.

– მამიკო, ია დეიდას ნუ ეჩხუბები! ის კარგი დეიდაა! – ტუჩები სასაცილოდ აიბზუა კატომ.

– ის ბიძია კი ცუდია! – „მისტერ იქსისაკენ“ თითი გაიშვირა ლუკამ.

ბავშვების ასეთ რეაქციას არ ველოდი და სიცილი ამიტყდა. ალეკო კვინტრაძემ და „მისტერ იქსმა“ ერთმანეთს გაკვირვებით გადახედეს.

– გმადლობთ, ბავშვებო! ძალიან მიყვარხართ! – გულწრფელი სიყვარულითა და მადლიერებით მივმართე ბავშვებს.

– ჩვენც ძალიან გვიყვარხარ, ია დეიდა! – თავი გვერდზე საყვარლად გადახარა და ჩაიკისკისა კატომ, – ხო, ლუკა? – მიუბრუნდა ძმას.

– ხო, – დინჯი ღიმილით დაუდასტურა ბიჭუნამ, – გვიყვარს!

– მადლობა უფალს! ხომ ხედავთ, არავისთვის არაფერი დამიშავებია! – ვთქვი ინციდენტის მშვიდობიანად დასრულებით კმაყოფილმა. – მოსაღამოვდა, ჩემი წასვლის დროა!

– ვერსადაც ვერ წახვალ! – წინ გადამიდგა „მისტერ იქსი“. – სხვის საქმეში ცხვირი არ უნდა ჩაგეყო! რას წაეჩხირე, სადაც არ გეკითხებოდნენ?! – გაშლილი ხელისგულები ნერვიული ჟესტით ჯერ შუბლზე იტკიცა და შემდეგ თმაზე გადაისვა.

– ბავშვების „პატრონობასაც“ არავინ გეხვეწებოდა, – მხარი აუბა მოღუშულმა კვინტრაძემ.

– ორივემ ძალიანაც კარგად იცით, რომ არაფერი დამიშავებია! პირიქით, როგორც შევძელი, დაგეხმარეთ! ამიტომ, კეთილი ინებეთ, ტონს დაუწიეთ და თქვენობით მელაპარაკეთ! მე პატივისცემით მოგმართავთ და საპასუხოდ იგივეს ვითხოვ! – თავი შეურაცხყოფილად ვიგრძენი, თან მათმა უმადურობამაც სერიოზულად განმანაწყენა.

კვინტრაძემ და „იქსმა“ უკმეხად შემომხედეს და გაჩუმდნენ. „იქსმა“ ნიკაპი მოისრისა და ჩაფიქრდა. კვინტრაძემ კი პატარები ძირს ჩამოსვა. მოულოდნელად „მისტერ იქსი“ მკვეთრად მიტრიალდა და ვერტმფრენისაკენ გაეშურა.

– არსად წახვიდეთ, მალე გავფრინდებით! – გააფრთხილა ბავშვები კვინტრაძემ.

– გავფრინდებით?! რა კარგია! – ტაში შემოჰკრეს და ხტუნვა დაიწყეს ბავშვებმა.

– ბატონო ალეკო, მეგონა სიკეთეს ვაკეთებდი! – „მისტერ იქსის“ წასვლის შემდეგ კვინტრაძის დარწმუნებას შევეცადე. – მე თქვენს ოჯახს შორიდან ვიცნობ, წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიაში წირვაზე გხედავდით ხოლმე... ბავშვები საბავშვო ბაღიდან დედის საძებნელად გამოიპარნენ... თქვენი შვილები ვიცანი და დახმარებაც ამიტომ გადავწყვიტე. უმწეო პატარებს ბედის ანაბრად ხომ ვერ მივატოვებდი? სხვა განზრახვა არ მქონია და ცუდი არაფერი ჩამიდენია, დამიჯერეთ! შეგიძლიათ ჩემი ნათქვამი გადაამოწმოთ – ჰკითხეთ ქალბატონ ირმას, სახაჭაპურეს თანამშრომლებს და რა ვიცი, ვისაც გენებოთ! თუნდაც თქვენს ტყუპებს ჰკითხეთ! სხვათა შორის, კატომ და ლუკამ მიცნეს და ამიტომაც მომენდნენ... – რბილად და დაყვავებით მივმართავდი.

– მე ეს არ მაინტერესებს! თქვენ ამ საქმეში საერთოდ არ უნდა გარეულიყავით! ჩემი მეუღლე, ადრე თუ გვიან, აუცილებლად მოვიდოდა, რადგან ის ახლა აქ უნდა იყოს!.. მაგრამ მანქანა უკვე ადგილზეა და ირმა ქალაქიდან რითი და როგორ უნდა წამოვიდეს?! რა ეშველება ირმას?! ახლა მის ჩამოყვანაზეც უნდა ვიმტვრიო თავი!.. ჩვენ კი ძალიან გვაგვიანდება! თქვენი წყალობით, უკვე მთელი საათი დაგვაგვიანდა! თქვენს გამო ზედმეტი პრობლემები შეგვექმნა!.. ჩემი შვილები!.. რა ეშველება ირმას?!.. – აღელვებული ალეკო კვინტრაძე არ მისმენდა და ერთი და იგივე ფრაზებს ჯიუტად იმეორებდა.

ჯერ გავბრაზდი: „ეს კვინტრაძე რას „ჩაიციკლა“ – მეთქი და უნდა შევპასუხებოდი, მაგრამ რომ შევხედე, მართლაც შეწუხებული სახე ჰქონდა და თავი დავანებე. უეცრად მეხსიერებაში ეკლესიის ეზოში კატოს მიერ შიშით ნათქვამი სიტყვები ამომიტივტივდა: „აქ აღარასოდეს დავბრუნდებით, მამიკო?!“. ისიც გამახსენდა, რომ ამ ბავშვებს კიდევ

ერთი, ჩვილი დედმამიშვილიც ჰყავდათ... გულში რაღაცამ გამკენწლა, თითქოს რაღაც ბუნდოვანი გრძნობა დამეუფლა, მაგრამ არაფერი... აზრი ვერ გამოვიტანე და გაიარა...

მალე „იქსიც“ მოვიდა, „დაკითხვა“ მომიწყო. ახალი და ყოვლად უსაფუძვლო ბრალდებები წამომიყენა.

– თქვენი სახელი და გვარი არ გითქვამთ!

– მეგონა, გაიგონეთ, ბავშვებმა რომ მომმართეს.

– მე რა გავიგონე, თქვენი საქმე არ არის! კითხვას უპასუხეთ!

– ეს რა, დაკითხვაა? ნაფიც მსაჯულებს ხომ არ უნდა გადამცეთ?!

– გეყოფათ, ია! ნორმალურად მიპასუხეთ, თქვენთან ჩხუბი არ მინდა.

– გაგიკვირდებათ და, არც მე! ამიტომ თქვენს შეკითხვას ვუპასუხებ: მე დაწყებითი კლასების პედაგოგი ია ლომიძე ვარ და სახლში წასვლა დიდი ხანია მინდა.

– ჯერ ვერ გაგიშვებთ! გაგიშვებენ თუ არა, გადაწყდება და გეტყვით!

– და ვინ უნდა გადაწყვიტოს?

– ჩემმა ხელმძღვანელობამ!

– რატომ ვერ გამიშვებთ, ბატონო „იქს“? ვერ გავიგე! – მიზეზი მაინტერესებდა.

– იმიტომ, რომ შეცდომაში შეგვიყვანეთ!

– მართალია! – კვერი დაუკრა კვინტრაძემ.

– დალოცვილო! – უკვე „რევერანსების“ გარეშე მივმართე კვინტრაძეს, – როცა ირმა და ბავშვები დათქმულ დროს სახლთან არ დახვდნენ, „იქსს“ პირდაპირ საბავშვო ბაღთან მისვლა რატომ ურჩიეთ? თუკი დროში ასე „იწვებოდით“, ცოლს ველარ დაურეკეთ და ვერ ჰკითხეთ, სად იმყოფებოდა და რატომ აგვიანებდა?! ესეც ჩემი ბრალია?! ამ აყალმაყალს ხომ ყველანი ავცდებოდით! ერთმანეთს საერთოდაც არ შევხვდებოდით და ნერვებსაც არ მოვუშლიდით!

კვინტრაძე სიბრაზისაგან „აჭარხლდა“, მაგრამ პასუხი ვერ გამცა და ნირწამხდარი მუშტებს გაუთვითცნობიერებლად კრავდა და შლიდა.

– თქვენ კი, „იქს“, – ახლა მისი გამოლანძღვის ჯერი დადგა, – „ხელმძღვანელობის“ დავალებას ასრულებთ, ადამიანის წამოსაყვანად მიდიხართ და მას სახეზე ვერ სცნობთ! ვინ მოგყავდათ, არ უნდა გცოდნოდათ?! მე ამ ოჯახს შორიდან ვიცნობ... უკვე გითხარით, რომ პედაგოგი ვარ და ბავშვებზე ზრუნვა ჩემი მოვალეობაა... თქვენ ჰაბიტუსით არ მომეწონეთ. შესაძლოა, შევცდი, მაგრამ არასანდო პირად მიგიჩნიეთ და მარტოდ დარჩენილ პაწაწინა ბავშვებსაც ამიტომ გამოვესარჩლე. გასაგებად აგიხსენით?!.. პროფესიონალი მძღოლი ასეთ მიუტევებელ

შეცდომებს არ უნდა უშვებდეს! ვგონებ, თქვენი ღრმად პატივცემული „ხელმძღვანელობისაგან“ დატუქსვა არ აგცდებათ, თუ მხოლოდ ამით გადარჩით!

„მისტერ იქსი“ „აიქოჩრა“, მაგრამ საპასუხო მართლა არაფერი ჰქონდა და ჩემს „ბრწკენას“ დიდსულოვნად წაუყრუა. ალბათ „ხელმძღვანელობამ“ პატარა „შეაჯანჯღარა“, „წაუკითხა“ და ჩემი „პერსონალური საკითხის“ გარკვევამდე „დაშოშმინება“ უბრძანა.

– თქვენი აზრები თქვენთვის შეინახეთ, მე არ მაინტერესებს! – ზურგი შემაქცია „იქსმა“.

– თქვენ იცრუეთ და ჩემი ცოლი და ოჯახი განსაცდელში ჩააგდეთ! ეს ფაქტია! – არ ცხრებოდა კვინტრაძე.

ჩემთვის გავიფიქრე: ამ საცოდავს საკუთარ ცოლთან ურთიერთობა ვერ დაულაგებია და მე მაბრალებს-მეთქი. კინაღამ მივახალე: „თქვენს ცოლს არც კი ვიცნობ, მე რა შუაში ვარ, თქვენი პირადული ერთმანეთში გაარკვიეთ“ – მეთქი, მაგრამ უტაქტო გამონათქვამისაგან თავი შევიკავე, ანუ დროზე „დავატორმუზე“ და გავჩუმდი.

ბატონო დავით, არ ვიცი რა დამემართა, ალბათ უსამართლობამ თუ გამამწარა... ამ სუბიექტებს ხმამაღლა ხომ ვერ ვეტყოდი: „კრეტინები და დეგენერატები ხართ, ავისა და კარგის გარჩევა არ შეგიძლიათ“, – მეთქი! მაგრამ რომ იტყვიან, „ლაპარაკის იშტაზე“ მოვედი და ამ ორი დაუნახავი ბრიყვისათვის ჭკუის სწავლება გადავწყვიტე. მეც მიკვირს, მაგრამ იმ მომენტში შიშის შეგრძნება საერთოდ არ მქონია!

„ჯიპის“ კარი გამოვაღე და „ყმაწვილებს“ წინასწარ მოფიქრებული ირონიული ფრაზა „ვესროლე“:

– ბატონებო, უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენი მსჯელობა შეუცდომელ, უაპელაციო და ღრმა ფილოსოფიური აზროვნების ჭეშმარიტ და მყარად არგუმენტირებულ ნიმუშს სამწუხაროდ, არ წარმოადგენს.

– ჰა?! – ვერაფერი გაიგო „მისტერ იქსმა“.

– რას გულისხმობთ? – ვერ მიხვდა კვინტრაძეც.

– რას და აქ უსამართლობას აქვს ადგილი...

– თავიდან ნუ იწყებთ და მანქანას შეეშვით! – საპასუხო სიტყვა მომიგდო და სიგარეტს მოუკიდა „მისტერ იქსმა“.

ჩემს პირველ ფრაზაზე „მისტერ იქსის“ რეაქციის მიხედვით, მისი განათლების დონე ასე თუ ისე, შევაფასე, უცხოენოვანი ლექსიკა სპეციალურად მოვიშველიე და ტერმინებით „დახუნძლული“ წინადადება გამოთქმით „ჩამოვარაკრაკე“:

– კატეგორიულად არ გეთანხმებით და ამიტომ ვამბობ, რომ თქვენ უაპელაციოდ ახდენთ არგუმენტირებული ფილოსოფიურ-მორალური

სენტენციის კომპლიკაციას და აპროქსიმაციას, რეალობის შემდგომი მოდიფიკაციის მიზნით.

– დაგვცინით? – ნათქვამის შინაარსს ჩასწვდა კვინტრაძე.

– უი, არა�ა... რას ბრძანებთ! – „ვითომ“ შევიცხადე, – მხოლოდ თავს ვიცავ!

– რააოო?! რას ამბობს ეს თავგასული დიაცი? ერთი ძმურად გამაგებინე, რა-ა! – სთხოვა კვინტრაძეს „იქსმა“.

– რაო და, ეს რო გაიგო, ბევრი ძაან „უმნი“ წიგნი უნდა წაიკითხო, ძმაო-ჯაან, ძაან ბეევრი! მააშ! – გაოგნებულ „იქსს“ ტონში ვუპასუხე. – „ვთარგმნი“: თქვენ შეგნებულად ხლართავთ სავსებით დასაბუთებულ ფილოსოფიურ-ზნეობრივ შეგონებას და მას მიახლოებით გამოხატავთ, სინამდვილის შემდგომი სახეცვლილების მიზნით, – დავუმატე „ზრდილობიანად“.

– ქალი „კუხნიდან“ არ უნდა გამოუშვა და განათლებაც არ უნდა მისცე, თორე თავზე წამოგაჯდება! გაიგონე რაებს „უბერამს“, ეს „სწერვა“ ტოოო?! რა ამბავია „იმპორტნი“ სიტყვების ამოდენა რახარუხი? – მიუბრუნდა კვინტრაძეს აღშფოთებული „იქსი“.

– შეგნებულად ცრუობთ... ტყუილებს მაბრალებთო, გვეუბნება! – სიცილით „გაუიასნა“ „იქსს“ კვინტრაძემ.

ისე, ეს კვინტრაძე განათლებული და როგორც შემდგომში გაირკვა, კეთილი და გულჩვილი ადამიანი ყოფილა, ბატონო დავით. ნამდვილად არ მეგონა, თავიდან ველურივით იქცეოდა...

– „იმენნა“ ამას ვამბობ და სახლში მივდივარ! – ავტომანქანის საჭეს მივუჯექი.

– აბა, ახლავე მანქანიდან გადმოდი, დროზე! – მიბრძანა „მისტერ იქსმა“.

– რა იყო, მანქანას კი არ გართმევ?! პატივი მეცი, ლილოს ბაზრობამდე მივალ, „ტაჩკას“ „სტაიანკაზე“ დავტოვებ. პრობლემა არ არი, ერთი „სუტკის“ დგომის ფულსაც გადავიხდი. იქიდან ქალაქში „მარშრუტკები“ ყოველ წუთს გადიან და წავალ. მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

– ტყუილად ნუ გაირჯები, გასაღები მე მაქვს! – სიმართლე თქვა. მახსოვდა, მანქანიდან გადასვლისას გასაღები თან რომ წაიღო.

შექმნილი ვითარება ჩემში ეჭვს იწვევდა, ამიტომ იყო აუცილებელი როგორმე იქაურობას დროზე გავცლოდი და რაც ვნახე, კოლეგებისათვის ოპერატიულად მეცნობებინა. წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო... მანქანაში ყოველი შემთხვევისათვის ჩავჯექი, იქნება და გავეშვით!

სხვა რა გზა მქონდა, „ტოიოტადან“ უხალისოდ გადმოვედი და უფროსების კამათისაგან შეშინებულ, შორიახლოს წყნარად მდგარ კა-

ტოსა და ლუკასთან მივედი. ბავშვებმა ხელში ხელი ჩამჭიდეს და „ნუ გეშინია, ჩვენი მამიკო კარგია“-ო ჩუმად მითხრეს. ძალიან თბილი და მოსიყვარულე ბავშვები იყვნენ, მათთან ურთიერთობა მახალისებდა...

„მისტერ იქსი“ თავისი „ხელმძღვანელობის“ მითითებებს მოუთმენლად ელოდა და როგორც კი მობილურზე დაურეკეს, მაშინვე ვერტმფრენისაკენ გასწია. თვალი გავაყოლე, მაინტერესებდა რას მიპირებდნენ: მომკლავდნენ, გამიშვებდნენ, თუ თან წამიყვანდნენ. გაქცევას არანაირი აზრი არ ჰქონდა, რადგან ირგვლივ ნადირით სავსე დაბურული ტყე იყო, მე კი არც იარაღი და არც მობილური ტელეფონი თან არ მქონდა, თანაც „მისტერ იქსისაგან“ დასხლტომას ფიზიკურადაც ვერ შევძლებდი... შიში რომ დამეძლია, გულში ვლოცულობდი.

„იქსი“ ვერტმფრენის „ცხვირთან“ მივიდა და ეკიპაჟის კაბინის მინებს ახედა. ალბათ იქიდან ანიშნეს, რადგან „იქსი“ ფუზელაჟზე მიდგმული ტრაპით ვერტმფრენის სალონში შევიდა, ათ წუთში უკან დაბრუნდა და საქმიანი ტონით გამოგვიცხადა:

– ყველანი ვერტმფრენში ვსხდებით! დაუჩქარეთ!

ხმის ამოღება არ დამაცადა და ჩემი მისამართით მკაცრად დაუმატა:

– ყოველგვარი კომენტარების გარეშე! მაინც არ მოგისმენთ!

ეტყობა, უფროსობამ „იქსს“ ჩემი ბორტზე აყვანა უბრძანა... მივხვდი, რომ „ამ გაუგებრობიდან“ თავს ველარ დავაღწევდი, ამიტომ „ჩათრევას ჩაყოლა“ ვამჯობინე და დავდუმდი. ჩემმა სიჩუმემ „იქსი“ განაცვიფრა.

– ხომ გაიგეთ, რაც ვთქვი? – შუბლშეკრულმა გვერდულად გამომხედა.

– ყურთასმენას არ ვუჩივი! – ჩავილაპარაკე.

– მერე?

– რა მერე?! კომენტარებს არ ვუსმენო, არ გვითხარით?! მეც კომენტარების გარეშე მშვიდად მოგყვებით. რა, იქნებ სხვა უკეთესი არჩევანი მაქვს და ვერ ვხვდები?

– სხვა არჩევანი ნამდვილად არა გაქვთ, – მიპასუხა ირონიულად.

– ჰოდა, მეტი რა გავაკეთო?! ხო მოვდივარ, არა?! რაღას უყურებთ? წავიდეთ! – ისტერიკამდე ცოტაღა მაკლდა.

„მისტერ იქსმა“ გამარჯვებული სახით იქედნურად ჩაიცინა, ჯიპი ჩაკეტა და გეზი ვერტმფრენისაკენ აიღო.

– მომყევით! – ოთხივეს მოგვმართა, – სწრაფად!

ჩვენც ცხვრებივით დავემორჩილეთ და ვერტმფრენისაკენ წავჩანჩალდით. უფრო სწორად, კვინტრაძე და მე მივჩანჩალებდით, ბავშვები სიხარულით მიცუნცულებდნენ. ჩემი წაჩანჩალების მიზეზი გასაგებია, ალეკო კვინტრაძე კი ალბათ, მეუღლეზე დარდობდა.

ვერტმფრენს სულ მალე მივუახლოვდით. მისი ამოსაცნობი ნიშნების შეთვალიერებასა და დამახსოვრებას შორიდანვე ვცდილობდი, თუმცა განსაკუთრებული ვერაფერი შევნიშნე. UH-1H ტიპის ჩვეულებრივი სატრანსპორტო „ირიკეზი“ იყო. საქარე მინის მიღმა ორი პილოტის სილუეტი დავლანდე, ზემოდან გადმოგვყურებდნენ და საუბრობდნენ. ალბათ, „ხელმძღვანელობასაც“ ისინი უკავშირდებოდნენ ხოლმე.

ვერტმფრენში ჯერ კვინტრაძე ავიდა და „იქსის“ დახმარებით ბავშვებიც აიყვანა.

– თქვენი ჯერია, მიბრძანდით! – ტრაპზე მიმითითა „მისტერ იქსმა“.

უსიტყვოდ ავედი. „იქსიც“ ამოვიდა და ტრაპი ამოიტანა.

– დასხედით, უნდა ავფრინდეთ. ღვედები შეიკარით და ყურები დაიცავით! – გაგვაფრთხილა.

კვინტრაძე შვილებთან ერთად ილუმინატორთან მოთავსდა. მე საშინლად დაღლილი ვიყავი, ლაპარაკის სურვილიც არ მქონდა და ჩემთვის განცალკევებით დავჯექი. იქაურობა შევათვალიერე: სალონი 14 კაცზე გათვლილი, ვერტმფრენისათვის საკმაოდ ტევადი იყო.

თავი სიზმარში მეგონა... დაქანცულს ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს თავის ქალის ტრეპანაცია გამიკეთეს და ტვინის მაგივრად ეკლის აბურდული გორგალი ჩამიდგესო.

„სიტუაციიდან გამომდინარე ვიმოქმედებ, უფალი არ გამწირავს!“ – აფორიაქებულ გულს ვითომ ვიმშვიდებდი და თან საკუთარ თავს ვამუნათებდი, – „ასეთი სისულელე რამ ჩამადენინა?! შიშველი ხელებით და თანაც მარტოდმარტო კრიმინალური ბანდის მხილებას რომ ვერ შევძლებდი, არ უნდა მცოდნოდა?!. იქნებ ეს „კრიმინალური ბანდა“ ბუნებაში არც არსებობს და მე რაღაც იდიოტური ეჭვებისა და მოლანდებების საფუძველზე უაზროდ „ჩავპანიკდი“?!. ოღონდ ახლა მშვიდობიანად გამოვძვრებოდე, ჭკუას ვისწავლი და საკუთარ თავზე ზედმეტებს აღარასოდეს ავიღებ“.

დასვენება და ძალების მოკრება გადავწყვიტე, თვალები დავხუჭე, დროდარო ვთვლემდი... თითქმის ერთ საათიანი ფრენის შემდეგ, როგორც იქნა, მიწაზე დავეშვით.

– თქვენ აქ იყავით და ჩემს შემდგომ მითითებებს დაელოდეთ! – გვიბრძანა „მისტერ იქსმა“ და ტრაპის მოშველიებით ვერტმფრენიდან ჩავიდა. დავაფიქსირე, რომ ეკიპაჟი ადგილზევე დარჩა.

– ქალბატონო ია, – მოულოდნელად დამიძახა ალეკო კვინტრაძემ.

– დიახ, – შევეხმიანე და მისკენ გავიხედე. შევნიშნე, ხელში რაღაც ჟურნალი ეჭირა. ალბათ, დროის გასაყვანად, ფრენისას კითხულობდა.

– ეეე.. იცით... – ენის ბორძიკით დაიწყო კვინტრაძემ, – ბოდიში

მინდა მოგიხადოთ, გაწყენინეთ... – გადაშლილი ჟურნალი დახურა და იქვე სავარძელზე დადო, – მერწმუნეთ, თქვენთვის პრობლემის შექმნა არ მინდოდა... ვწუხვარ, ასე რომ გამოვიდა...

– არაფერია, ხდება ხოლმე, – გავიღიმე, – იმედია, მალე ყველაფერი გაირკვევა და თბილისში დავბრუნდები.

– საქმე ის არის, რომ თქვენი ჩარევა საჭირო არ იყო... ჩვენი საერთო ნაცნობი ბავშვებზე ყველა შემთხვევაში იზრუნებდა და ჩემამდე მოიყვანდა, – თავს იმართლებდა კვინტრაძე.

– დარწმუნებული ხართ? – მისმა მიმნდობლობამ გამაკვირვა, – რომ არ მოეყვანა?

კვინტრაძემ შეკითხვაზე არ მიპასუხა, სავარძლებზე მიძინებულ უმწეო პატარებს გადახედა, თვალს მომდგარი ცრემლი დამალა და ათრთოლებული ხმით მითხრა:

– დიდი მადლობა, რომ ჩემი შვილები არ მიატოვეთ!

– სამადლობელი არაფერია, მე ჩემს მოვალეობას ვასრულებდი, – კინაღამ წამომცდა, პოლიციის თანამშრომელი რომ ვიყავი.

– რა მოვალეობას? – ჩამეკითხა კვინტრაძე.

– ადამიანურს! დღეს მე ვიზრუნე თქვენს შვილებზე, ხვალ სხვა იზრუნებს ჩემებზე...

– შვილები გყავთ?

– არა, მაგრამ ოდესმე ხომ მეყოლება?!

– დარწმუნებული ვარ, საუკეთესო დედა იქნებით, – ქათინაური არ დაიშურა ოჯახობის გამოცდილმა მამამ.

– გმადლობთ, ვეცდები, – თავმდაბლობას არ შევუწუხებივარ და ქება შევიფერე.

ამასობაში „მისტერ იქსიც“ დაბრუნდა.

– ბატონო ალეკო, ქალბატონს გავაცილებ და ხუთ წუთში აქ გავჩნდები, არ მოიწყინოთ! – მიმართა კვინტრაძეს.

„მისტერ იქსის“ თავაზიანობამ გამაკვირვა: „იქსის“ ასეთი მეტამორფოზა რას უნდა მიეწეროს? ნეტავ, რას მიპირებენ?“ – გულგახეთქილი ვფიქრობდი, თან სავსებით დარწმუნებული ვიყავი, რომ ასე ადვილად არავინ გამიშვებდა.

– ჩემი წასვლის დროც დადგა! – სავარძლიდან წამოვდექი.

– კიდევ ერთხელ გმადლობთ! – მითხრა კვინტრაძემ, – კარგად ბრძანდებოდეთ!

– ოჯახს დაგილოცავთ! – კვინტრაძეს ხელი გამოსამშვიდობებლად სპეციალურად გავუწოდე, რათა მის გვერდით დაგდებული ჟურნალისათვის მალულად დამეხედა. ეს იყო ინგლისურენოვანი სამეცნიერო

ჟურნალი ასტროფიზიკის დარგში, მისი სახელწოდებაც მახსოვს „The Astrophysical Journal". – ლუკა და კატო შესანიშნავი ბავშვები არიან! რომ გაიღვიძებენ, ჩემი გულითადი მოკითხვა გადაეცით.

– აუცილებლად! – ხელი მოწიწებით ჩამომართვა კვინტრაძემ. „მეგობრულად" გავუღიმე და გასასვლელს მივაშურე...

***

– შემდეგ რა მოხდა? თუ არ დაიღალეთ, განაგრძეთ! – ია იაშვილის მონათხრობს გულისყურით ისმენდა დავით დავითინიძე.

– სიამოვნებით, ბატონო დავით! – თხრობა განაგრძო დავითინიძის ყურადღებით გახარებულმა და შეგულიანებულმა „უცნაურმა რეტრომანმა". – დავდგი თუ არა ფეხი მიწაზე, ზღვის ჰაერისათვის დამახასიათებელი ტენი და სპეციფიური სუნი ვიგრძენი, თუმცა ტალღების გუგუნი არ მესმოდა. ირგვლივ მიმოვიხედე და უკაცრიელი მთები დავლანდე. „ჩვენი" ვერტმფრენი მთის წვერზე საგანგებოდ მომზადებულ დასაფრენ ადგილზე დამჯდარიყო... ბინდდებოდა და ზომიერი ქარი ამოვარდა.

– ვიცი, რომ თქვენ მე ხელს არ გამომიწვდით, – ხმადაბლა მითხრა „იქსმა" და შემდგომშიც ცდილობდა ჩუმად ელაპარაკა, ამიტომ მეც ტონში ვპასუხობდი. – ჩვენ ალბათ, აღარასოდეს შევხვდებით და არ მინდა მტრებივით დავშორდეთ, – დაუმატა ღიმილით.

– მართლა?! ვერც კი წარმოვიდგენდი, მეგობრად თუ ჩამთვლიდით, – გულწრფელად გავიკვირვე.

– თქვენს სიმამაცეს ვაფასებ, – ხელი გამომიწოდა „მისტერ იქსმა" – და თუ არ მიწყენთ, ერთ მეგობრულ რჩევასაც მოგცემდით.

– მეგობრულ და ჭკვიანურ რჩევებს ყოველთვის ვითვალისწინებ ხოლმე, – ხელი ჩამოვართვი და დავძინე – რაღა თქმა უნდა, თუ რჩევა ასეთად მივიჩნიე!

„იქსს" გულიანად გაეცინა. ცხადია, მე დამცინოდა, მაგრამ მიზეზს ვერ მივუხვდი.

– რატომ დამცინით, სასაცილო რა ვთქვი? – ვიწყინე.

– არა, არა... – ხელები გაასავსავა „იქსმა", – უბრალოდ თქვენს სიტყვებში თქვენივე ხასიათის ანარეკლი დავინახე...

„იქსის" პასუხი არ მომეწონა და „აქტიურ თავდაცვაზე" დიდი მონდომებით გადავედი:

– ჰმ... „ჩემი ხასიათის ანარეკლი"... ნუ, რა დახვეწილი შედარებაა! მსგავსი მახვილგონიერება ცხოვრებაში არ მსმენია! ისღა დამრჩენია ვაღიარო, რომ „მფრინავი" მეტაფორების განუმეორებელი ოსტატი

ხართ, აღფრთოვანებისაგან ლამისაა დავმუნჯდე!

„მისტერ იქსი“ ჩემს „ხურდად დაბრუნებულ“ საპასუხო დაცინვას მდუმარე მოთმინებით შეხვდა, რამაც კიდევ უფრო გამახელა.

– მესმის, რომ თქვენ, პოეტურ ნატურას, ჩემი ურჩი ხასიათი გაღიზიანებთ! – დავძინე გაგულისებულმა.

ეტყობა „იქსი“ „პოეტური ნატურის“ იმიჯის პერსპექტივით სათანადოდ ვერ მოიხიბლა, ამიტომაც ქედმაღლური და შეუვალი ტონით გამომიცხადა:

– მამაკაცივით თვითდაჯერებული ხართ... გახსოვდეთ, ეს კარგს არაფერს მოგიტანთ!..

– რააა?! სრულიადაც არა! – მაშინ კი გავწიწმატდი, მაგრამ მერე ვფიქრობდი: „იქნებ საკუთარ შეცდომებს ვერ ვგრძნობ და იმ „გაფრცქვნილ-გაცვეთილმა“ „იქსმა“ სიმართლე მითხრა, ზედმეტად თვითდაჯერებული ნამდვილად ხომ არა ვარ“ – მეთქი.

– ნურასოდეს დაივიწყებთ, რომ ქალი ხართ და მამაკაცებთან გატოლებას ნუ მოინდომებთ, რადგან მიუხედავად თქვენი ჭკუისა და განათლებისა, მაინც არაფერი გამოგივათ! – ნახევრად თავაზიანი, ნახევრად ირონიული ღიმილით მომახსენა „იქსმა“ და დამიმარცვლა – თავს ზე-მოთ ვერ ახ-ტე-ბით!

– ბრძნული რჩევისათვის დიდად გმადლობთ, სამომავლოდ გავითვალისწინებ, – სახეზე მიამიტი ღიმილი „გადავიფინე“. – ისე, რჩევების დარიგება მეც მიყვარს და მეხერხება კიდეც. შეიძლება თქვენც გირჩიოთ რამე, ცხადია მეგობრულად?

– მირჩიეთ, – ლამის ახარხარდა „იქსი“.

– კარგია, რომ გამხიარულდით, – იხტიბარი არ გავიტეხე, – რადგან არ შემიძლია არ გითხრათ, რომ „მისტერ იქსი“ ბანალური ფსევდონიმია! ანუ, თქვენთვის გასაგებად რომ ვთქვა, – „წავკბინე“, – არ გეწყინოთ და ძალიან მოძველებულ, გამოცვლილ სახელს ატარებთ! ურიგო არ იქნებოდა, რა-მე სხვა, უფ-რო თა-ნა-მე-დრო-ვე მო-გე-ფიქ-რე-ბი-ნათ!

„იქსმა“ ჩემი „მზრუნველი დარიგება“ აუღელვებლად „გაატარა“, „სმენაზე“ გაიჭიმა და საფეთქელთან ხელი მხედრული ჟესტით მიიტანა:

– გასაგებია უფროსო, ფსევდონიმს განვიახლებ!

– გარდა ამისა, – „იქსის“ ხუმრობა „დავაიგნორე“ და უწყინარი გამომეტყველებით განვაგრძე, – გთხოვთ, ნურასოდეს დაივიწყებთ სამართლიანობას და ეჭვი არასოდეს შეგეპაროთ, რომ ჭკვიანი და განათლებული ქალი თავის დაცვასა და სათანადო სიმაღლეზე ყოფნას როგორმე ყოველთვის მოახერხებს, მიუხედავად იმისა, რომ კაცები ჭკვიან ქალებს რატომღაც არ სწყალობთ!

„მისტერ იქსმა“ „ცალყბა“ ღიმილითა და მხრების ენერგიული აჩეჩვით აშკარად მიმანიშნა, რომ ქალის ინტელექტუალური შესაძლებლობების საკითხის მიმართ მამაკაცების დამოკიდებულების თაობაზე, ჩემგან რადიკალურად განსხვავებულ მოსაზრებებს იზიარებდა, თუმცა ჭეშმარიტი ჯენტლმენივით მოიქცა და აღარ შემკამათებია.

„მისტერ იქსის“ კეთილგანწყობამ გამამხნევა: „იქნება და ყველაფერი მშვიდობით დამთავრდეს?!“ – ვორჭოფობდი დაიმედებული.

– პარლამენტში ხომ არა ვართ, რომ ვიდებატოთ, – განაცხადა „იქსმა“.

– ეჭვგარეშეა, რომ პოლემიკისა და დიპლომატიური ნოტების ურთიერთგაცვლის დრო და ვითარება ნამდვილად არ არის, – დავეთანხმე.

– ხედავთ? ამ ერთ რამეში მაინც ხომ შევთანხმდით, – „დაზავება“ სცადა „იქსმა“.

– შეთანხმება მხოლოდ ურთიერთდათმობით თუ მიიღწევა... ეს კი მთელი ხელოვნებაა, – ფილოსოფიაში „გადავვარდი“.

– იმედია, ჩემზე განაწყენებული აღარ ხართ? – უხერხულად შეიშმუშნა.

– არა... არც თქვენზე და არც ბატონ ალეკოზე.

მაშინ ორივეზე სერიოზულად ნაწყენი ვიყავი, ამ უცნაურ „ისტორიაში“ რომ გამხვიეს, მაგრამ სამუდამო დამშვიდობებისას პრეტენზიების წაყენება არ ღირდა...

– მიხარია, თუ ასეა, – ყურებამდე გამიღიმა „იქსმა“.

რა ვიცი, ბატონო დავით... იქნებ, ნაწყენი პირველ რიგში, საკუთარ თავზე უნდა ვყოფილიყავი, მაგრამ მაშინ გამწარებული ვიყავი და... დროთა განმავლობაში წყენამ გადამიარა... ნებისმიერი უსიამოვნების, მათ შორის წყენის, გადალახვა და მიტევება აუცილებლად უნდა შესძლო, რადგან მიმტევებელი თუ არა ხარ, ადამიანებთან ურთიერთობა ყოველთვის გაგიჭირდება.

ჩემის აზრით, შეუძლებელია დაბოღმილმა ადამიანმა ამქვეყნად ბედნიერად იცხოვროს. თვითკრიტიკის, თვითირონიისა და ყველანაირი სახის ბოღმისაგან თვითგანწმენდის უნარი თვითგადარჩენის ინსტინქტის შემადგენელ ნაწილად მიმაჩნია. მინდა გითხრათ, რომ სულიერი და ფიზიკური განადგურებისაგან სწორედ ამ უნარმა მიხსნა... მაპატიეთ, თემას გადავუხვიე... რა ვქნა, „ფილოსოფოსობა“ ძალიან მიყვარს!..

– არა უშავს... პატარ-პატარა, თუ დიდ-დიდი, გააჩნია როგორ შევხედავთ, რბილად რომ ვთქვათ, ე.წ. „სისუსტეები“ ყველა ადამიანს გვახასიათებს, – დინჯად აღნიშნა დავითინიძემ, – ხალხი ჭრელია... ერთნი ცხოვრებისადმი „ფილოსოფიური მიდგომით“ ვირთობთ თავს და

ყველაფერში სიღრმისეულ ჩაწვდომას უშედეგოდ ვლამობთ. მეორენი ცხოვრების „უკომპლექსო“ წესით არიან აღფრთოვანებულები და მიაჩნიათ, რომ XXI საუკუნეში ისეთი ზნეობრივი კატეგორიები, როგორიცაა ტრადიცია, პრინციპები და მორალი, მოძველებული ცნებებია და აღარაფრად სჭირდებათ. მავანთ ინტრიგების ხლართვა სიამოვნებთ, მხოლოდ „ჯუნგლების კანონით“ ხელმძღვანელობენ და დემაგოგიისა და შანტაჟის ხერხებით პატიოსან, მშრომელ და გამოუცდელ ადამიანებს თავის სასარგებლოდ იყენებენ. ზოგიერთს ცხოვრების „ვარდისფერ შუშებიანი სათვალით“ ჭვრეტა ახალისებს და უსაფუძვლოდ ჰგონია, რომ მის ირგვლივ ყველა ისეთივე მაძღარი, ბედნიერი და კმაყოფილია, როგორიც თვითონაა. ბევრი თვლის, რომ მეგობრობა მეორე ადამიანისათვის საკუთარი აზრისა და სურვილების თავს მოხვევას ნიშნავს. ზოგი კიდევ „ფარშევანგის პეროებით მარიაჟობს“, საკუთარ პერსონაზე უსაშველოდ დიდი წარმოდგენა აქვს, ყველას ზემოდან უყურებს და რატომღაც ფიქრობს, რომ ის სხვაზე უკეთესია და მისთვის ნებისმიერი საქციელი ნებადართულია. როგორც წესი, „პეროგარჭობილი“ ვერ ხვდება, რომ ზურგს უკან თვითკმაყოფილ ინდაურს ადარებენ და დასცინიან. არიან ისეთებიც, რომელთაც „სირაქლემის დგომა“ მოსწონთ და რეალობის დანახვა და გაგება არ სურთ! კიდევ ბევრი სხვა მაგალითის მოყვანა შეიძლება... ყველაზე შემაშფოთებელი ის არის, რომ ადამიანების უმეტესობა არაფერს ერიდება, რათა უშრომლად მოიპოვოს მატერიალური კეთილდღეობა და დაუმსახურებლად მიაღწიოს ცხოვრებისეული კიბის უმაღლეს საფეხურებამდე, ანუ ცხოვრობს ლოზუნგით „გაძვერი, გადათელე და აძვერი“! ყველაზე სამწუხარო კი ის არის, რომ ამ ზღვარგადასულ და დაუნდობელ ორომტრიალში, ნიღაბაფარებულ ადამიანებს საკუთარი სინდისის ხმა აღარ გვესმის, სულიერებას ვკარგავთ და შედეგად უზნეობისა და განუკითხაობის ჭაობში ყელამდე ვეფლობით, საიდანაც თავის დაღწევა შეუძლებელია და ხსნა არ არსებობს!

– ბრავო! – ტაში შემოჰკრა იაშვილმა. – შესანიშნავად ჩამოაყალიბეთ და თქვენს მოსაზრებებსაც სავსებით ვიზიარებ! ამ ცხოვრების მარილისა და ლექის ცნებათა საყოველთაოდ ცნობილი მაგალითებით ასე გამოკვეთილად წარმოჩენას ნამდვილად ვერ შევძლებდი!

– პროფესია მავალდებულებს, ჩემო კარგო! – ჩაიღიმილა პოლკოვნიკმა.

– გასაგებია, – ხელისგულები შეატყუპა და ინდური მისალმების მსგავსი მოძრაობით ნიკაპთან მიიტანა იაშვილმა, – თქვენის ნებართვით, გავაგრძელებ.

– კარგი იქნებოდა, თორემ მთავარი აზრი „გაგვექცა“ და მალე „დროში დავიწვებით“!

– რა თქმა უნდა, – შეწუხდა იაშვილი, – „მისტერ იქსთან“ ჩემი ბოლო შეხვედრისა და მასთან საუბრის თემაზე შევჩერდით.

– ჰოო და თემას მივყვეთ, – მარცხენა მკლავის იდაყვი საწერ მაგიდას დააბრჯინა და გაშლილ ხელის გულს შუბლით დაეყრდნო დავითინიძე.

იაშვილმა ჩაახველა და თხრობა განაგრძო:

– ახლა კი მთავარზე გადავიდეთ, – დასერიოზულდა „მისტერ იქსი“, – თქვენ იმ ორ მამაკაცთან ერთად უნდა წახვიდეთ, – შორიახლოს მდგარ, აღმოსავლური იერის მქონე ორ უცნობზე მიმითითა, – მათი ნუ შეგეშინდებათ, ისინი დანიშნულების ადგილამდე მიგაცილებენ.

ჯერ კიდევ ტრაპიდან ჩამომავალმა შევნიშნე, რომ ვერტმფრენიდან ოციოდ მეტრში სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული ორი მამაკაცი მდუმარედ იდგა და ჩვენ, მე და „იქსს“ გვიყურებდნენ, ბინდ-ბუნდში სახეებს კარგად ვერ ვხედავდი, თუმცა მათი აღმოსავლური გარეგნობა მენიშნა.

– არც მეშინია, – ავიმრიზე, – და არც ამალა მჭირდება, საკუთარ თავს როგორმე თვითონვე მივხედავ, – იმედგაცრუება ვერ დავფარე. – არ მეტყვით, სად უნდა წამიყვანონ?

– აბა, მე რა ვიცი... სამწუხაროდ, არავინ არაფერს მითანხმებს, – თავი მოისაწყლა „იქსმა“.

– ის მაინც თუ შეგიძლიათ მითხრათ, ამჟამად სად ვიმყოფებით? – ჩავეძიე, თუმცა წინასწარ ვიცოდი, რომ არ მიპასუხებდა.

– სამწუხაროდ, ვერაფერს გეტყვით, – დაიბნა „იქსი“, – უფლება არა მაქვს.

– მესმის... მაგრამ თქმით რა შეიცვლება, გაქცევით ხომ ვერსად გავიქცევი?

– ხო, მაგრამ... – ყოყმანობდა „იქსი“.

– ძალიან გთხოვთ, მითხარით! ჩვენს საუბარს არავინ ისმენს... გეფიცებით ყველაფერს, რაც ჩემთვის წმინდაა, თქვენს პარტნიორებთან არ გაგთქვამთ, – შევეხვეწე.

„მისტერ იქსმა“ თვალებში შემომხედა, არ ვიცი იმ სიბნელეში მათში რა ამოიკითხა და ჩურჩულით მითხრა:

– წესით, არ უნდა გეუბნებოდეთ, მაგრამ რაც არის-არის, გეტყვით, – ირგვლივ იდუმალი მზერა მოავლო და დასძინა – სარფთან ძალიან ახლოს ვართ, მთაში. ერთ კაცს ველოდებით, მალე მოვა. თქვენ მასთან ერთად ბილიკებით თურქეთში გადახვალთ, მეგზურობას კი ის ორი

იქაური ლაზი გაგიწევთ.

– ესე იგი, არალეგალურად უნდა გადამიყვანონ!!! – აღვშფოთდი, – ტრეფიკინგში გარევას არ გირჩევთ, „იქს“, მე ჩემიანები მომძებნიან და თქვენს ამფსონებს დიდი პრობლემები შეექმნებათ აქაც და თურქეთშიც, – გავაფრთხილე.

– რას ამბობთ, ია?! ტრეფიკინგი რა შუაშია! ჩვენ წესიერი ხალხი ვართ, – გააპროტესტა „იქსმა“.

– აბა, თურქეთში რა მინდა და ეს ალპინიზმიც რა საჭიროა?

– გარანტიას გაძლევთ, არავინ არაფერს დაგიშავებთ, – მამშვიდებდა „იქსი“.

– თქვენი არ მჯერა, – სასოწარკვეთილება მომეძალა.

– უნდა დამიჯეროთ! – მარწმუნებდა „იქსი“, – მისმინეთ, სალაპარაკოდ ბევრი დრო არა გვაქვს... ეს ალეკო კვინტრაძე მსოფლიოში ცნობილი მეცნიერი ყოფილა. დღეს თავის ცოლ-შვილთან ერთად თურქეთში უნდა გამგზავრებულიყო, მაგრამ მისი მეუღლე ვერსად ნახეს და არავინ იცის სად არის... დელიკატური საკითხია, კვინტრაძის ავტორიტეტს უფრთხილდებიან და გახმაურებას ამიტომაც ერიდებიან. თურქულმა მხარემ თქვენთან გასაუბრება მოინდომა, იქნებ ქალის მოძებნა გაუადვილოთ. კეთილ საქმეს გააკეთებთ... ცოტა ხანს მთისა და ზღვის ნაზავ უნიკალურ ჰაერზე გაისეირნებთ, თურქეთის ტერიტორიაზე გადახვალთ, იქვე დაგელაპარაკებიან და მალევე უკან დაგაბრუნებენ. ნუ ინერვიულებთ, ვერტმფრენის ეკიპაჟი აქ დაგელოდებათ... დილით ადრე კვლავ თბილისში იქნებით, სახლამდეც მიგაცილებენ.

– მე რაც ვიცოდი, თქვენცა და კვინტრაძესაც უკვე გითხარით, ვერ გამიგია, თურქებთან შეხვედრას რა აზრი აქვს?

– მათ პირადად თქვენთან უნდათ დალაპარაკება. იქნებ რამე გამოგრჩათ და მერე გაგახსენდეთ! სერიოზული ხალხია, შეწუხებისათვის დაგასაჩუქრებენ.

– მე მათხოვარი არა ვარ და არავისი სამოწყალო არ მჭირდება, – ვთქვი შეურაცხყოფილმა, – რომ შემეძლოს, კვინტრაძეს უანგაროდაც დავეხმარებოდი!

– დარწმუნებული ვარ, დაეხმარებოდით, მაგრამ თურქებმა ეს ხომ არ იციან, ამიტომ... – გაიღიმა „იქსმა“.

– ამიტომ რა, მათი დანაშაულის თანამონაწილე გავხდე?! – „ავფეთქდი“.

– რა დანაშაულის?!! – „იტკიცა“ „იქსმა“.

– რა და... აიძულო უცხო ქვეყნის მოქალაქე, მისი ნების საწინააღმდეგოდ, არალეგალურად გადაკვეთოს სახელმწიფო საზღვარი! ეს

ქმედება დანაშაული არ არის, როგორ გგონიათ?!

– გამოცდილი პროკურორივით ლაპარაკობთ, – ეჭვიანად გადმომხედა „იქსმა“.

– ნუ იტყვით, – გონს მოვეგე და ნაძალადევად გავიცინე, – უარესებს რომ არ ვამბობ, არ გიკვირთ?

„იქსმა“ არ მიპასუხა, მისგან სხვა საინტერესოს ველარაფერს შევიტყობდი და საუბრის თემა შევცვალე.

– დიდი მადლობა რჩევებისათვის, ბატონო „რემბო“, გპირდებით, აუცილებლად გავითვალისწინებ!

– გაცვეთილ სახელს თქვენც ვერ ასცდით! – ნიშნისმოგებით აღნიშნა „იქსმა“.

– რას ვიზამთ... ადამიანის ცხოვრება გარკვეულწილად, ბანალურ ამაოებათა ერთობლიობას წარმოადგენს!... – „გული გავუკეთე“ „მისტერ იქსს“.

ასე „სვეცკი“ ინტელექტუალებივით „დახვეწილად“ ვსაუბრობდით, როდესაც სიბნელიდან თეთრებში ჩაცმული მაღალი და სრული მამაკაცი უხმაუროდ მოგვიახლოვდა. „იქსს“ ხელი ჩამოართვა, მე კი თურქულ აქცენტიანი ქართულით თავაზიანად მომმართა:

– გთხოვთ წამობრძანდეთ, ქალბატონო!

– მშვიდობით, „დედა ტერეზა“, იღბლიან მომავალსა და ყოველივე საუკეთესოს გულწრფელად გისურვებთ, პატივცემულო! – თბილად მითხრა „იქსმა“.

– მშვიდობით, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, – ხელი თეატრალური ჟესტით დავუქნიე „იქსს“, – სულიერ სიმშვიდესა და წარმატებებს გისურვებთ! – მეგობრულად გამოვემშვიდობე მეც.

მის რეაქციას აღარ დაველოდე, გამოვტრიალდი და სწრაფი ნაბიჯით ზემოხსენებული ორი უცნობი „აღმოსავლელისაკენ“ გავეშურე...

ბატონო დავით, რაც მოგახსენეთ, სრული სიმართლეა... კვინტრაძეების შესახებ რაც ვიცოდი, დაწვრილებით მოგიყევით, სამწუხაროდ, მეტს ვერაფერს დავამატებ, რადგან მას შემდეგ ალეკო კვინტრაძის ოჯახს აღარასოდეს შევხვედრივარ და არც არაფერი მსმენია.

ბოდიში, ბევრი დრო წაგართვით. ამ ამბის ასე დეტალურად მოყოლას ნამდვილად არ ვაპირებდი, მაგრამ ვინაიდან მკვლელობისა და ტრეფიკინგის ბრალდება წამომიყენეთ, თავი ხომ უნდა მემართლებინა, – გულზე ხელი დაიდო იაშვილმა. – ახლა კი, თუ წინააღმდეგი არ იქნებით, ჩემი „კოსმოსური ოდისეის“ ამბავსაც გიამბობთ.

– კვინტრაძეების თემას მოგვიანებით კვლავ დავუბრუნდებით, – დაფიქრებით თქვა დავითინიძემ, – რაც შეეხება თქვენს „ისტორიას“, –

ულვაშებში ჩაეღიმა, – მინდა გითხრათ, რომ დაკვირვებული თვალი და შესანიშნავი მეხსიერება გაქვთ, წვრილმანებიც კი გახსოვთ, საკმაოდ ხატოვნად ყვებით და მოსმენა არ მიჭირს, შეგიძლიათ განაგრძოთ.

თავი II. ულტიმატუმი შპიონაჟის მოთხოვნით

– თითქმის დაბნელდა და აგრილდა... – თხრობა განაგრძო პოლკოვნიკის შექებით კმაყოფილმა იაშვილმა. – ვარსკვლავებით მოოჭვილი გამჭვირვალე ციდან კრიალა მთვარე ნაზ სხივებს გვაფრქვევდა და ირგვლივ ყველაფერს მკრთალად ანათებდა. მართალია, თანმხლებთა სახეებს კარგად ვერ ვხედავდი, მაგრამ სავალი ბილიკის გარჩევა სავსებით შესაძლებელი იყო.

მთელი დღე ქუსლიანი ფეხსაცმელებით გავატარე, სად აღარ ვიარე, ფეხები მტკიოდა და მთაში სიარულს ვერც შევძლებდი, ჩემს ახალ თანამგზავრებს ე.წ. „კეტასების“ მსგავსი სპორტული ფეხსაცმელი და თბილი ქურთუკი რომ არ შემოეთავაზებინათ. ცხადია, გამოვართვი და ჩავიცვი.

– ქალბატონო, – მომმართა თეთრებში ჩაცმულმა უცნობმა, რომელმაც შემდგომში თანმხლების, მძღოლისა და უცხოელებთან ჩემი თარჯიმნის მოვალეობებიც შეითავსა, – ჩვენ დაახლოებით საათნახევარი მთაში უნდა ვიაროთ, უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვა აუცილებელია. ამიტომ შემდეგნაირად გადავნაწილდებით: თავსა და ბოლოში მეგზურები ჩაგვიდგებიან, თქვენ მეორე წახვალთ, მე – თქვენს შემდეგ.

– გასაგებია, – ვუპასუხე და ჩემს წინ მიმავალ ერთ-ერთ ლაზს მივყევი...

გზაში ფიქრის უნარი არ მქონდა, რადგან ფიზიკურად ძალიან დაძაბული ვიყავი – ბილიკიდან გადავარდნის მეშინოდა და მიწას გაფაციცებით დავცქეროდი.

მთა უხიფათოდ გადავიარეთ და თურქეთის ტერიტორიაზე აღმოვჩნდით. ზღვის ტალღების გუგუნი ძალიან ახლოდან შემომესმა... მთის ძირას ჩემთვის უცნობი „ვიზუალის“ მქონე მსუბუქი მანქანა დაგვხვდა, ალბათ თურქული წარმოებისა თუ იქნებოდა, ბნელოდა და კარგად ვერ შევათვალიერე.

„თეთრმა“ კარი გამოაღო და ავტომანქანის უკანა სავარძელზე მიმითითა, თვითონ მძღოლის ადგილას დაჯდა. მის სახეს ვერ ვხედავდი, მხოლოდ ის შევნიშნე, რომ მელოტი კეფა ჰქონდა, თმა მხოლოდ კისერთან, შავ ზოლად შემორჩენოდა... ლაზი მეგზურები ჩვენთან ერთად არ

წამოსულან... მგზავრობისას „თეთრს“ ხმა არ ამოუღია, მეც ვდუმდი და ფიქრებში წავედი – სიტუაციას ვაანალიზებდი...

მომხდარის გააზრებას ჩემთვის ცნობილ მოვლენებზე დაყრდნობით შევეცადე: „საინტერესოა, კვინტრაძეების ოჯახის დედა სად გაქრა? ან სად არის მათი ნაბოლარა – პაწია ჩვილი? ირმა ეკლესიაში რამდენჯერმე ვნახე, ღირსეული ქალის შთაბეჭდილება დატოვა და კეთილად განვეწყვე. არა მგონია, ასეთ ქალს სამი უსუსური, მცირეწლოვანი ბავშვი უპატრონოდ მიეტოვებინა და ქმარს გაქცეოდა. მაშ, რა უნდა მომხდარიყო?“ – ვფიქრობდი გაკვირვებული. – „ეს „მისტერ იქსიც“ თავგამოდებით მიმტკიცებდა, „ალეკო კვინტრაძე ცნობილი მეცნიერია“-ო. იქნებ „იქსმა“ მომატყუა და კვინტრაძე ისეთივე მეცნიერია, როგორც მე – მიკრობიოლოგი?! „პრინციპში“, „იქსს“ თავისუფლად შეეძლო ეთქვა: „კვინტრაძე ბიზნესმენია“-ო. მისი ნათქვამის გადამოწმებას შევძლებდი, თუ რა?! თანაც კვინტრაძის ბიზნესმენობა ჩემთვის ბევრად უფრო დამაჯერებლად გაიჟღერებდა, ვიდრე მისი მეცნიერობა... „იქსმა“ სიმართლე მითხრა, კვინტრაძე ნამდვილად მეცნიერია... აბა, კლასიკურ სამეცნიერო ჟურნალს ვერტმფრენით მგზავრობისას, მეცნიერის გარდა, ვინმე წაიკითხავს?... ესე იგი, კვინტრაძე ასტროფიზიკოსია?! მაგრამ დღეს საქართველოში ასტროფიზიკა რომ არავის სჭირდება! იქნებ სულ სხვა პროფესია აქვს?“ – დავიბენი, თითქოს ფიქრის ძაფი გამიწყდა, მაგრამ სხვა ფაქტებიც მოვიშველიე და მსჯელობა განვაგრძე.

„კვინტრაძე ცოლ-შვილს გომბორის უღელტეხილთან ელოდა და ძალიან ღელავდა. უცნაურია, ცნობილ მეცნიერს ოჯახის თურქეთში წასაყვანად გომბორის მთაზე ასვლა და იქიდან ვერტმფრენით გამგზავრება რატომ უნდა დასჭირვებოდა?... ან ამ ირმას რატომ ვერ პოულობენ, ამხელა ქალი მართლა ხომ არ გაქრებოდა?.. ეს ვიღაცეები ყველაფერს იმდენად ასაიდუმლოებენ, რომ მეც კი საზღვარზე არალეგალურად გადმომიყვანეს“... – ნერვიულობისაგან შემაჟრჟოლა.

მანქანა ზღვის ნაპირის გასწვრივ გამავალ გზაზე საკმაო სისწრაფით მიჰქროდა... ღამე იყო, გადაღლილი ვიყავი, მეძინებოდა და საკუთარ თავს ვებრძოდი – სიტუაციაზე კონტროლის დაკარგვის მეშინოდა... ვიგრძენი, რომ ვეღარ ვაზროვნებდი, გავირინდე და რაღაც მომენტში რამდენიმე წუთით ჩამთვლიმა... ნელ-ნელა აზროვნების უნარი დამიბრუნდა და ისევ ფიქრებში წავედი... გამახსენდა, კატო მამამისს ეკლესიის ეზოში დანაღვლიანებული სახით რომ ეკითხებოდა „აქ აღარასოდეს დავბრუნდებით?“ – ო. ალბათ, ბავშვმა მშობლების საუბარს ყური მოჰკრა.

„როგორც ჩანს, კვინტრაძე საქართველოს ოჯახთან ერთად სამუდამოდ ტოვებს და ქვეყნიდან გასვლას მალულად აპირებს, არ უნდა

ამის შესახებ ვინმემ შეიტყოს, ნაცნობებმაც კი," – უეცრად მივხვდი.

ბატონო დავით, პროფესიონალებმა ხომ ვიცით, რომ ძიებისას მიზეზ-შედეგობრივი კავშირის მოძებნა და ფაქტებზე დაყრდნობით ახსნა თითქმის ყოველთვის შესაძლებელია, ამიტომ კვინტრაძის საიდუმლოს „გახსნა" არცთუ ისე რთულ ამოცანად ჩავთვალე:

„რა შემთხვევაში შეიძლება წარმატებულმა ახალგაზრდა მეცნიერმა ოჯახთან ერთად სამშობლო დატოვოს? ალბათ მაშინ, თუ საზღვარგარეთ შემოქმედებითად უფრო მნიშვნელოვან და მაღალანაზღაურებად სამუშაოს შესთავაზებენ. მაგრამ სამშობლოდან მალულად და სამუდამოდ რატომ უნდა წახვიდე? რა გაიძულებს გაპარვას და რა გიშლის ხელს უკან დაბრუნებაში? ეს შეიძლება მოხდეს ერთადერთ შემთხვევაში – თუ მშობლიურ ქვეყანაში ვიღაცის, ან რაღაცის გეშინია!.. გამოდის, რომ კვინტრაძე შეშინებული, ან დაშინებულია. შიშის მიზეზი კი, ვინ იცის, რა შეიძლება იყოს!.. დარწმუნებული ვარ, ირმას გაუჩინარებაც ამ ყველაფერთან იქნება დაკავშირებული. დაინტერესებულმა ტიპებმა კვინტრაძის გადაწყვეტილება „იყნოსეს" და გამგზავრებაში ხელი შეუშალეს". – ეს არცთუ სასიამოვნო მოსაზრება ლოგიკურად მეჩვენა.

„კვინტრაძე კრიმინალს არ ჰგავს, პირიქით, „რაფინირებული" ინტელიგენტის თვისებების „ნაკრებია". ნაკლებ სავარაუდოა, კანონი დაერღვია, არც ისეთს არავის არაფერს დაუშავებდა, შურისძიების რომ ეშინოდეს. შესაძლოა, იგი შანტაჟის მსხვერპლია და ქვეყნიდან ამიტომაც გარბის... ნამდვილად ასეა", – საბოლოოდ დავასკვენი.

მართალია, კვინტრაძის „დამშანტაჟებლების" ვინაობა არ ვიცოდი და ინფორმაციის არქონის გამო, „დაშანტაჟების" მოტივიცა და მეთოდიც ვერ „გამოვთვალე", მაგრამ ამ კაცის საქციელი ჩემთვის გასაგები გახდა... ისიც მშვენივრად მესმოდა, რომ მე მთელი ამ ამბის შემთხვევითი და არასასურველი მოწმე ვიყავი... მხოლოდ ერთ რამეს ვერაფრით მივხვდი: ამ თურქებსა თუ სხვა ჩემთვის უცნობ სუბიექტებს ჩემგან რა ჯანდაბა უნდოდათ?! მოკვლით, – აქამდეც მომკლავდნენ, გაშვებით, – აქამდეც გამიშვებდნენ, კვინტრაძის ოჯახის ისტორიაზე წარმოდგენა არ მქონდა და ამდენად, დახმარებითაც ვერაფერში დავეხმარებოდი! საკუთარ თავს ვეკითხებოდი: „იქნებ უკვე „გამშიფრეს" და იციან, პოლიციის თანამშრომელი რომ ვარ?! ჩემთვის ეს კარგი იქნება, თუ ცუდი?"-მეთქი და პასუხს ვერ ვპოულობდი...

ზღვის ნაპირის გასწვრივ დაახლოებით ერთი საათი ვიარეთ და ქალაქის ტიპის დასახლებაში შევედით. შეიძლება ვცდები, მაგრამ ჩემის აზრით, ეს იყო ქალაქი რიზე.

ქალაქში შესვლიდან რამდენიმე წუთში, ზღვის ნაპირიდან ასიოდ

მეტრში განთავსებულ ფეშენებელურ ვილას მივადექით. „თეთრი“ ავტომანქანიდან გადავიდა და მობილური ტელეფონით ვიღაცას თურქულად დაელაპარაკა. ალაყაფის კარი ავტომატურად გაიღო. „თეთრი“ ისევ მანქანაში ჩაჯდა და პალმების ხეივნის ბოლოს მდებარე სახლისაკენ მიმავალ, მოკირწყლულ გზას ნელი სვლით შევუყევით...

მანქანა გზის ბოლოს, სახლის შესასვლელთან გაჩერდა. ირგვლივ ყველაფერი ლამპიონებით იყო გაჩახჩახებული.

– მოვედით! – თქვა „თეთრმა“, ავტომანქანიდან გადავიდა, კარი გამომიღო და თავაზიანად მომმართა:

– გთხოვთ, გადმობრძანდეთ!

გადმოვედი და ირგვლივ ყურადღებით მიმოვიხედე. შევნიშნე, ლამპიონებზე ვიდეოკამერები იყო დამაგრებული. ეზოში კაციშვილის ჭაჭანება არ იგრძნობოდა, მაგრამ უეჭველია, რომ იმ მომენტში ასი თვალისა და ყურის დაკვირვების ობიექტი ვიყავი.

რუხკედლებიან სახლს მწვანე სახურავიანი მანსარდა და მუქი რუხი ჟალუზები უხდებოდა. ეს იყო ევროპული სტილით ნაგები, სამსართულიანი შენობა. ეზოს რომბისა და წრეწირის ფორმის, აღმოსავლური ორნამენტებით მოხატული, ფირუზისფერი თიხის დიდ ქოთნებში მობიბინე გვიმრის ბუჩქები და მომცრო ზომის ნაირფერი ყვავილები ამშვენებდა.

შენობა სახელმწიფო დაწესებულებას არაფრით ჰგავდა, იგი ვინმე მდიდრის კერძო საკუთრება უნდა ყოფილიყო. თუმცა, ნებისმიერი ქვეყნის სპეცსამსახურების მიერ, სახლის კონფიდენციალური შეხვედრებისათვის დაქირავების შესაძლებლობასაც არ გამოვრიცხავდი.

ჩემს „ძმაკაც“ თურქსაც შევხედე. ასე, 30-35 წლისა იქნებოდა. არაფრისმეტყველი სახე და კუპრივით შავი თვალები ჰქონდა, ასეთი გარეგნობის ადამიანის შეფასებაში ადვილად შეცდები: იგი შეიძლება იყოს ბანდიტიც და თანამდებობის პირიც.

– წამობრძანდით, – მითხრა „თეთრმა“ და წინ წარმიძღვა.

ვილაში მთავარი შესასვლელიდან შევედით, მარჯვნივ და მარცხნივ ფიგურული პარკეტით მოპირკეთებული ფართო დერეფნები დავლანდე. ჩემი „მასპინძელი“ მარცხენა დერეფანს გაუყვა და პირველსავე ოთახთან შეჩერდა. მეც უკან მივყვებოდი. კარი ოდნავ იყო შეღებული და დერეფნის იატაკს ოთახიდან გამომავალი სინათლის ზოლი ეცემოდა.

– ქალბატონო, უკვე გვიანია, ნამგზავრი ხართ და დაღლილი იქნებით, შეგიძლიათ ამ ოთახში მოისვენოთ, – კარებზე მიმითითა „თეთრმა“, – იქ ყველა საჭირო ნივთი და საკვები დაგხვდებათ. დილით ათი საათისათვის შემოგივლით... ძილი ნებისა, ქალბატონო!

რაღა თქმა უნდა, ერთი სული მქონდა, გამეგო, აქ რისთვის მომიყვანეს, მაგრამ „თეთრის“, როგორც ეტყობა, წინასწარ მომზადებულმა, მოკლე და მიზანმიმართულმა ფრაზებმა მიმახვედრა, რომ იგი ჩემთვის საინტერესოს არაფერს იტყოდა. როგორ მიმემართა, ისიც კი არ უთქვამს!

ამ სიტუაციაში, მოვლენების შემდგომი განვითარების მოთმინებით დალოდების გარდა, სხვა რა გზა მქონდა?!

– გმადლობთ, ნახვამდის! – მეც მოკლედ და მშრალად ვუპასუხე, ოთახში შევედი, კარები შიგნიდან ჩავკეტე და გასაღები ბუდეში ჩავტოვე.

„ჩემი აპარტამენტები“ წარმოადგენდა დაახლოებით 20 კვ. მეტრის ფართობის, მართკუთხედის ფორმის მაღალჭერიან ოთახს, რომლის კედლებიც ღია ყავისფრად იყო შეფერილი, ხოლო ჭერს კაკაოსფერი ფერადი მინით გაწყობილი, ბროლის საკიდებიანი ჭაღი ამშვენებდა. კედლებზე პიკასოს და დალის სურათების რეპროდუქციები და ე.წ. „ბრტყელ ეკრანიანი“ ტელევიზორის მსგავსი დიდი მონიტორი ეკიდა. იატაკზე მუქი ყავისფერი ხალიჩა დაეფინათ, ფანჯარაზე კი ბაცი კაკაოსფერი, ხავერდის ღამის და მუქი ყვითელი ტიულის, ნაქარგებიანი დღის ფარდები ჩამოეფარებინათ. ოთახში იდგა ფარდებთან შეხამებული, ყვითელი ტილოს შალითებით შემოსილი, XX საუკუნის 60-იანი წლების სტილში გადაწყვეტილი, კომფორტული ავეჯი: ე.წ. „საოფისე“ ტახტი, ორ-ორი სავარძელი, მაგიდა და სკამი. ერთ-ერთ მაგიდაზე ქალთა ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის მოდის ჟურნალები, ძვირფასი სამკაულების კატალოგი და ინგლისურენოვანი ე.წ. „კომიქსები“ ეწყო, ხოლო მეორეზე – ქათმის მოხარშული ხორცი, პური, ჰალვა და ჩაი.

მშიოდა, მაგრამ ჭამას მოვერიდე. მეშინოდა: „არაფერი ჩამიყარონ!“-მეთქი.

სავარძლებზე დაყრილი იყო ყავისფერი, კაკაოსფერი, ყვითელი და რუხი ატლასის ბალიშები. ტახტზე კაკაოსფერი თეთრეულით გამოკრული ლოგინი იყო გაშლილი და ბალიშზეც იმავე ფერის ბამბაზიის პიჟამო და ხალათი იდო. ტახტთან იატაკზე ყვითლად მოპრიალე, ცხვირაპრეხილი ქოშებიც დაეწყოთ.

„ვერ გავიგე, ამ სახლში მცხოვრები ხალხი ყავისფერის ტონებზე ჭკუას კარგავს, თუ ეს გამიზნულად, პირადად ჩემზე მომართული ფსიქოლოგიური ზემოქმედებაა? იქნებ იციან, რომ ყავისფერს ვერ ვიტან?!“ – გავღიზიანდი, ყველაფერი მაეჭვებდა. – „ვიდეოკამერა ჭაღში, ან მონიტორში ექნებათ ჩამონტაჟებული... იმედია, ნორმალური ზნეობის ხალხია და სააბაზანოში ვიდეოკამერები არ არის! – ვფიქრობდი

შეშფოთებული, – ისე, ამათ სააბაზანოში პირსახოციც, აბაზანაც, უნიტაზიც და მეტლახ-კაფელიც კაკაოსფერი იქნება!“

სააბაზანოში გავედი... წავიტრაბახებ და გეტყვით, რომ სააბაზანოს ფერთა პალიტრის განსაზღვრაში თითქმის არ შევმცდარვარ – მხოლოდ საპონი იყო ვარდისფერი, შესაბამისი, ანუ ვარდის სურნელით... რა არ მოგწონთ, ბატონო დავით? – დავითინიძის სახის გამომეტყველებამ იაშვილს თხრობა შეაწყვეტინა.

– თურქების ფეშენებელური ვილის ოთახ-სააბაზანოების ფერთა სპექტრის შესახებ სქელტანიანი ტრაქტატის მოკლე რეფერატს ვიხილავთ, თუ თქვენს კოსმოსურ ვოიაჟზე ვსაუბრობთ? – ჰკითხა იაშვილს უმნიშვნელო წვრილმანების მოსმენით გადაღლილმა დავითინიძემ, – ფერს ზედმეტად დიდ მნიშვნელობას ანიჭებთ. თხრობისას მთავარ თემას ნუ გადაუხვევთ ხოლმე! ბოლოს და ბოლოს, თქვენს მიერ სახელდებულ, ე.ნ. „ძირითად სათქმელს“ როდისღა მეტყვით?

– უკაცრავად, სიტყვა „გამექცა“! – მოიბოდიშა იაშვილმა, – ფერებზე მართლაც რომ „გართულება“ მჭირს, ეს კოსმოსში, წყვდიადში ფრენისას დამჩემდა...

– მხოლოდ არსებით მომენტებზე ისაუბრეთ! – ურჩია დავითინიძემ, – თუ კითხვა დამებადა, შეგეკითხებით!

– გასაგებია... შევთანხმდით! – შენიშვნა მიიღო იაშვილმა, ორიოდ წუთს შეისვენა და ოდნავ დარცხვენილმა თხრობა განაგრძო:

– ონკანის გამდინარე წყალი დავლიე, შხაპი მივიღე და დასაძინებლად დავწექი. ძალიან გადაღლილი ვიყავი და მყისვე ჩამეძინა. დილით 8 საათზე გამეღვიძა, მოვწესრიგდი, ლოგინი ავალაგე და ვილოცე, უფალს შეწევნასა და შეწყალებას ვევედრებოდი...

„თეთრის“ მოსვლამდე ბევრი დრო მქონდა და მაგიდაზე მოთავსებული ჟურნალების გადათვალიერება გადავწყვიტე, ისინი უმდიდრესი ადამიანებისათვის იყო განკუთვნილი... რატომღაც გამახსენდა მამაჩემის, ბრძენი, მშრომელი და პატიოსანი კაცის, შეგონება: „იმ ქვეყნად საკუთარი სულისა და ცოდვა-მადლის გარდა, ვერავინ ვერაფერს წავიღებთ, შვილო!“

იუმორს ადამიანის გამხნევება შეუძლია, ინგლისურს კარგად ვფლობ და „კომიქსების“ კითხვას შევუდექი. წიგნში ანეკდოტებიც იყო. ვერ ვიტყვი, რომ ყველა მათგანის სიუჟეტი ხალასი იუმორით გამოირჩეოდა, თუმცა ზოგიერთს არა უშავდა რა.

– რა ანეკდოტები?! – არ დაიჯერა პოლკოვნიკმა და იაშვილის „ტყუილში გამოჭერა“ გადაწყვიტა, – შეგიძლიათ, ერთი მაინც მოყვეთ?

– კი, როგორ არა, ბატონო დავით! ერთი ანეკდოტი მომეწონა და

დამამახსოვრდა, ნიშანდობლივად მომეჩვენა და იმიტომ.

„ეს უცნაური ქალი ყოველ წუთს ახალ-ახალ გამოცანებს გვთავაზობს!“ – ფიქრობდა დაეჭვებული დავითინიძე.

- აბა, გისმენთ, მოყევით!

– ესეც ანეკდოტი, – მომღიმარი სახით დაიწყო იაშვილმა:

„ორი შიმპანზე მათ სანახავად ზოოპარკში მოსულ ადამიანებს გალიიდან ყურადღებით აკვირდება. ერთი ეუბნება მეორეს:

– იცი, რომ ჩვენ და ადამიანებს გენების 98% ერთნაირი გვაქვს?

– შეუძლებელია, – პასუხობს მეორე.

– რატომ? – ვერ მიუხვდა პირველი.

– იმიტომ, რომ მათ უაზრო კომპლექსები აწუხებთ და ჩვენსავით ლაღები და თავისუფლები არ არიან!“

დავითინიძეს გაეცინა, შეეტყო, რომ ანეკდოტი მასაც მოეწონა.

– ხომ კარგია? – ეკითხებოდა პოლკოვნიკის რეაქციით გახარებული იაშვილი, – ფილოსოფიური ელფერი დაჰკრავს!

– გეთანხმებით, სახალისო ანეკდოტია, მაგრამ... ვერ მიხვდით, ეს „კომიქსებისა“ და ანეკდოტების წიგნი რატომ დაგახვედრეს? რა დროს ანეკდოტები იყო! იქნებ მათ „საინტერესო“ ქვეტექსტები ჰქონდათ?

– არა მგონია... ჩვეულებრივი ბროშურა იყო, უაზრო და „უკბილო“ ხუმრობებით ეჭვიანი ქმრების, ანჩხლი ცოლებისა და არამკითხე სიდედრების შესახებ. შესაძლოა, მფლობელს წაღება დაეზარა და დატოვა. არც იმას გამოვრიცხავ, რომ „თეთრის“ უფროსობას ჩემი დამშვიდება უნდოდა. ეგონათ, ყურადღებას მოვადუნებდი... ერთი რამ შემიძლია დანამდვილებით ვთქვა, რომ მოდების ჟურნალები და ძვირფასი სამკაულების კატალოგი ცდუნების მიზნით, შეგნებულად დამახვედრეს, რათა კარგად დამეთვალიერებინა და „ნერწყვი მომდგომოდა“!

– მერე და ზუსტად გათვალეს?! – ყურადღება დაძაბა დავითინიძემ.

– თქვენ წარმოიდგინეთ, არ „წამოვეგე“. საბედნიეროდ, ფუფუნება არასდროს მხიბლავდა და ამდენად, ვერ „წამომიკიდეს“. თუმცა, გამოგიტყდებით, რომ მოდური ჩაცმა და ორიგინალური სამკაულები მიყვარს, კომფორტსა და საცხოვრისი გარემოს ესთეტურ სილამაზესაც დიდად ვაფასებ, მაგრამ... რასაკვირველია, ფუფუნებისა და ღირსეული საცხოვრებელი პირობების ცნებებს შორის ძალიან დიდი განსხვავებაა.

– კარგი, საყოფაცხოვრებო თემებზე სხვა დროს ვისაუბროთ, დღეს ბევრი სამუშაო გვაქვს... თქვენი ამბის მოყოლა გააგრძელეთ!

***

– მეორე დილას, 10 საათი შესრულდა თუ არა, კარზე დააკაკუნეს, –

თხრობა მორჩილად განაგრძო იაშვილმა.

– შემობრძანდით, – დავიძახე.

კარი გაიღო და „თეთრმა“ შემოიხედა.

– იმედია, კარგად მოისვენეთ, – თქვა ღიმილით.

– გმადლობთ, – ნაძალადევად გავიღიმე მეც.

ოთახს თვალი მოავლო, მაგიდაზე ხელუხლებლად დატოვილ საკვებზე მიმითითა და მკითხა:

– რატომ არ ივახშმეთ?

– რატომ გიკვირთ? – იქით ვკითხე.

– ნუ გეშინიათ, მოწამლული არ არის, – ჰალვის ნაჭერი და ჩაი დაა-გემოვნა.

– შეწუხებად არ ღირს, ცივი ჩაის დალევით „მსხვერპლს“ ტყუილუ-ბრალოდ ნუ გაიღებთ, – განვუცხადე გულგრილად.

– მე არაფერ შუაში ვარ, უსაფუძვლოდ მიბრაზდებით!

– თქვენ არ გიბრაზდებით... მაგრამ ხომ იცით, ტყვეობა არავის სია-მოვნებს, მათ შორის, არც მე! – ვთქვი გაღიზიანებულმა.

– რას ამბობთ, თქვენ არავის დაუტყვევებიხართ!

– აბა, ჩემს მდგომარეობას რა ჰქვია? იქნებ ამიხსნათ!

„თეთრმა“ ვერაფერი მიპასუხა და გაჩუმდა. ერთ ხანს ფარდების ნაქარგებს ათვალიერებდა, შემდეგ სკამზე ჩამოჯდა და მითხრა:

– გთხოვთ დამშვიდდეთ, მალე ხელმძღვანელობა დაგელაპარაკებათ და ყველაფერი მოგვარდება.

– როდის მალე?

– ვერ გეტყვით... მე მხოლოდ თარჯიმანი ვარ.

– რატომ მხოლოდ თარჯიმანი? ამავე დროს თქვენ ხართ შესანიშ-ნავი მძღოლი და მეკლდეური!

„და ალბათ, ჩემზე მოჩენილი მეთვალყურეც,“ – გულში გავიფიქრე.

– ვინ?

– მეკლდეური, ანუ კლდეებზე მცოცავი, ანუ ალპინისტი!

– ააა! გასაგებია... მეკლდეური...

– კიდევ რა პროფესიებს ფლობთ?

– სხვა რა პროფესიებს უნდა ვფლობდე?

– რა ვიცი... ცოტაა ამქვეყნად „ძაან მაგარი“ და „შემოსავლიანი“ პროფესია?! მაგალითად, ადამიანებით მოვაჭრის, ნარკომოვაჭრის, დაქ-ირავებული მკვლელის, – ბრაზსა და გულისწყრომას ვერ ვიკავებდი.

– როგორ გეკადრებათ! – სახე აუწითლდა „თეთრს“.

მივხვდი, რომ ზედმეტი მომივიდა და დავდუმდი. უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა...

– საუზმეს ახლავე შემოგიტანენ, – სკამიდან წამოდგა „თეთრი“, – გემრიელად მიირთვით! – მითხრა გულითადი მასპინძელივით და ოთახიდან გავიდა.

ორიოდ წუთში ოთახში ჩადრმოსილი ქალი შემოვიდა, ლანგრით ორი ცალი მოხარშული კვერცხი, ყველისა და გახუხული პურის ნაჭრები, ქიშმიშიანი ფუნთუშა და ფინჯანი ყავა შემოიტანა და მაგიდაზე დააწყო. გუშინდელი ვახშამი იმავე ლანგარზე მოათავსა და ლანგრიანად ოთახიდან გავიდა.

ჩადროსანი ქალის დანახვამ გამაკვირვა, რადგან ვიცოდი, რომ თურქი ქალები ჩადრს არ ატარებდნენ. „ალბათ, არ უნდათ, რომ „ზედმეტი ხალხის“ სახე დავინახო“, – დავაფიქსირე.

ძალიან მშიოდა, თავს სუსტად ვგრძნობდი და საუზმე მივირთვი... დაახლოებით თერთმეტის ნახევრისათვის „თეთრი“ ისევ დაბრუნდა, ხელში ე.წ. „კეისი“ ეჭირა.

– მე საიდი მქვია, – თქვა მშვიდად.

– ჩემი სახელი გეცოდინებათ, საიდ-ბეი, – თურქულ ყაიდაზე, მის სახელს ზრდილობიანი მიმართვა „ბეი“ დავამატე.

– დიახ, ქალბატონო ია, ვიცი, – სახის გამომეტყველება არ შეცვლია „თეთრს“.

ჩადრიანი ქალი ისევ შემოვიდა და საუზმის ნარჩენები გაიტანა.

– ხელმძღვანელობას თქვენთან საუბარი სურს, – საიდმა „კეისი“ მაგიდაზე დადო, კედელთან მივიდა და მონიტორის ჩამრთველ ღილაკს თითი მიაჭირა.

ეკრანზე მამაკაცის ტორსის სილუეტი გამოჩნდა. გამოსახულება საკმაოდ ბუნდოვანი იყო, ეკრანს ყურადღებით ვაკვირდებოდი, მაგრამ ვერაფერი გავარჩიე.

– Good morning, miss Iashvili! Welcome! You are our guest! – მოულოდნელად მკაფიო და სუფთად მჟღერი ბარიტონით ალაპარაკდა „ბიუსტი“.

მშვენივრად გავიგე, რაც ითქვა. ესე იგი, ჩემი გვარი და აქედან გამომდინარე, ვინაობაც უკვე სცოდნიათ! თუმცა „გატყდომას“ არ ვაპირებდი და ბოლომდე ბრძოლა გადავწყვიტე. საიდს შევხედე, მან თავი დამიქნია და მითარგმნა:

– დილა მშვიდობისა, მის იაშვილი! კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! თქვენ ჩვენი სტუმარი ხართ!

– საიდ-ბეი, ჰკითხეთ ამ ბატონებს, – მხოლოდ ერთ „ბატონს“ ვხედავდი, მაგრამ მეც მრავლობით რიცხვში მოვიხსენიე, – ვინ ბრძანდებიან და რა მიზეზით დამატყვევეს?! მე ცუდი არაფერი ჩამიდენია და თურქეთ-საქართველოს საზღვარიც საკუთარი ნებით არ გადმომილახ-

ავს! – აღშფოთებულმა განვაცხადე.

ჩემი სიტყვები საიდმა პატიოსნად გადათარგმნა. თავი მოვიკატუნე, ვითომ ინგლისური ენა არ მესმოდა, რათა მოზომილი პასუხების მოსაფიქრებლად საკმარისი დრო მქონოდა. საბედნიეროდ, საიდს ეჭვი არაფერში შეჰპარვია და მთელს ჩვენს შემდგომ საუბარს დიდი გულმოდგინებით თარგმნიდა.

– ჩვენ ეს ვიცით, ამიტომ თქვენი კეთილმოსურნეები ვართ! თქვენთან გასაუბრება, ზოგიერთი საკითხის გარკვევა და თანამშრომლობა გვინდა. – იყო პასუხი.

– რადგან ჩემი სახელი და გვარი იცით, ისიც გეცოდინებათ, ამ „შარში“ როგორ „გავეხვიე“. თქვენი ხალხი დაგიდასტურებთ, რომ ბავშვები მამას უვნებლად გადავეცი, ხოლო მათი დედის გაუჩინარების შესახებ ახალს ვერაფერს გეტყვით, ნამდვილად არაფერი ვიცი და იმიტომ... თქვენთან არანაირ თანამშრომლობას არ ვაპირებ, რადგან გამიტაცეთ და დამატყვევეთ!

– არავითარი ტყვეობა, მის იაშვილი! ჩათვალეთ, რომ მეგობრებთან ხართ სტუმრად!

– სულელის შთაბეჭდილებას ვტოვებ?! – „გავაჯაზე“.

– შურაცხყოფა არავის მოუყენებია! ვიცით, რომ ქართველი პოლიციის მაიორი ხართ!

– დიახ, ვარ, – დავადასტურე, უარყოფას აზრი არ ჰქონდა. – და თუ თქვენ არ გსურთ აღიაროთ, მაშინ მე გეტყვით... თქვენს საქციელს იურიდიულ ენაზე ადამიანისათვის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა ჰქვია და ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში დასჯად ქმედებად ითვლება... და თუ გავითვალისწინებთ, რომ მე უდანაშაულო უცხოელი ვარ, – ეს უკვე საერთაშორისო სკანდალია!

– ჩვენ დღესვე დაგაბრუნებთ თბილისში, თუკი ჩვენს პირობებზე დათანხმდებით.

– თუ არ დავთანხმდი, რა, მომკლავთ?! – გავიცინე, არ მინდოდა შიში შემტყობოდა.

– დაგვთანხმდებით! თანაც ცოცხალი უფრო გვჭირდებით.

– ქართველები მშიშარა და ადვილად დასამორჩილებელი ხალხი რომ არა ვართ, კარგად გეცოდინებათ, – წინაპართა ისტორიულ ურთიერთობებზე მივანიშნე, – მეც ჩემი ერის გენეტიკის მატარებელი ვარ და მუქარით ვერ დამაშინებთ!

– არავინ გემუქრებათ და არც არავინ გაშინებთ, – ხმას აუწია „ბიუსტმა“, – საქმეზე გელაპარაკებით. თქვენ არალეგალურად გადმოკვეთეთ საქართველო-თურქეთის საზღვარი, ამიტომ აქ რომ ხართ,

თქვენებს არც დაესიზმრებათ. თქვენი ძვირფასი კვინტრაძე და „მისტერ იქსი“ საკუთარ ტყავს გაუფრთხილდებიან და თევზებივით დამუნჯდებიან, ხოლო ვერტმფრენის ეკიპაჟის წევრებს თქვენს თავს ევროების „შარი-შური“ ურჩევნიათ!

– დავიწყოთ იმით, რომ თქვენს ტერიტორიაზე საკუთარი ნებით არ გადმოვსულვარ და არანაირი კანონსაწინააღმდეგო ქმედება თურქეთის სახელმწიფოს, ან მისი მოქალაქეების წინააღმდეგ არ ჩამიდენია და განზრახვაც არ მქონია. მეორე, კვინტრაძის ოჯახთან შეხებაში სრულიად შემთხვევით აღმოვჩნდი და მათთვის არაფერი დამიშავებია, პირიქით დავეხმარე! ანუ, არც „შპიონი“ ვარ და არც კრიმინალი... ამიტომაც ვერ გავიგე, რას მერჩით?!

– არავინ არაფერს გერჩით! ხომ გითხარით, რომ თქვენთან თანამშრომლობა გვინდა.

– „თანამშრომლობაში“ რას გულისხმობთ?

– ეს იქნება ორმხრივი შეთანხმება თქვენსა და ჩვენს შორის, რომელიც...

– მერე და, თქვენ ვინ ხართ?! – შევაწყვეტინე.

– ბევრის ცოდნა გავნებთ!.. ჩვენ უზრუნველგყოფთ იმ უმშვენიერესი და უძვირფასესი ტანსაცმლით, ფეხსაცმლითა და სამკაულებით, რომლებსაც ამოირჩევთ ამ დილით დათვალიერებული ჟურნალებიდან. გარდა ამისა, გაჩუქებთ უახლესი სანავიგაციო სისტემებით აღჭურვილ, ნებისმიერი მარკის ავტომობილს, შეგიძენთ და კეთილმოგიწყობთ ბინას ანტალიაში, ან თურქეთის ნებისმიერ სხვა ქალაქში და შვეიცარიის ბანკში თქვენს სახელზე გახსნილ ანგარიშზე ნახევარ მილიონ ევროს ჩაგირიცხავთ.

გაოგნებისაგან „ენა ჩამივარდა“. გონს რომ მოვეგე, ვკითხე:

– დარწმუნებული ხართ, ვიღაცაში რომ არ გეშლებით?

– არა! ზუსტად თქვენ გვჭირდებით!

– რატომ მაინცდამაინც მე?! – გულწრფელად გამიკვირდა.

– თქვენი ოჯახი სამთავრობო წრეებთან დაახლოებულია, კარიერული ზრდის პერსპექტივა და მაღალი თანამდებობა გაქვთ, საზოგადოებაში კარგი რეპუტაციით სარგებლობთ, კომუნიკაბელური და გაწონასწორებული პიროვნება ხართ. თქვენზე ეჭვს არავინ მიიტანს!

ჩემი გატაცება-დატყვევების ჭეშმარიტ მიზეზს, როგორც იქნა, მივხვდი: „აი, თურმე რა ყოფილა! ეს ვირთხები ჯაშუშობას მთავაზობენ!“ მახსოვს, რა საშინლად გავბრაზდი, მათი „წინადადება“ შეურაცხყოფად მივიღე... პულსი მყისიერად ამიჩქარდა, თავი ამტკივდა... გულიდან ზიზღისა და სიძულვილის ტალღის გადმოდინებას ლამის ფიზიკურად

ვგრძნობდი: „ეს ტვინგარეცხილები დარწმუნებულები არიან, რომ ფულზე და ზიზილ-პიპილოებზე გავიყიდები!“ – ვფიქრობდი და საკუთარ თავს სიმშვიდისაკენ მოვუწოდებდი.

– ამხელა სიმდიდრეს რის სანაცვლოდ მთავაზობთ? – ვიკითხე, მათი დაინტერესების სფეროს ამოცნობა მინდოდა.

– დაუბრუნდებით თქვენთვის ჩვეულ გარემოს, ივლით სამსახურში. დროდადრო მოგვაწვდით ჩვენთვის საინტერესო ინფორმაციას და შეასრულებთ ჩვენს დავალებებს. ჩვენს შორის მეკავშირე საიდ-ბეი იქნება. დავალებებსაც მისი მეშვეობით მიიღებთ, – კონკრეტულ პასუხს თავი აარიდა „ბიუსტმა“.

– უკან რომ დავბრუნდები, რა ვთქვა, – ეს ორი დღე სად ვიყავი და რას ვაკეთებდი?

– რა პრობლემაა? სახლში იტყვით, რომ მოულოდნელად მივლინებით ბათუმში გაგიშვეს, სამსახურში კი თქვით, რომ საქმროსთან ერთად ბათუმში იყავით და დრო როგორ გავიდა, ვერ გაიგეთ.

– მობილურ ტელეფონს რომ არ ვპასუხობ, ამაზე რა ვუთხრა?

– დამტენი გზაში დაკარგეთ და ახლის ყიდვა ვერ მოახერხეთ.

– გგონიათ, ამ სისულელეებს ასე ადვილად დაიჯერებენ? ქართულ სპეცსამსახურებს სათანადოდ ვერ აფასებთ!

– მაგაზე ნუ იდარდებთ, გინდა არ დაიჯერონ, თქვენ მაინც არ გაგიბრაზდებიან!

– რატომ გგონიათ, რომ „არ გამიბრაზდებიან“?

– იმიტომ, რომ ცნობილი ოჯახიდან ხართ! – „ამიხსნა“ „ბიუსტმა“.

მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, ნაწილობრივ ჩვენშიც, განსაკუთრებით კი აღმოსავლეთის ქვეყნებში, „კლანურობა“ ფილოსოფიის რანგშია აყვანილი, ნეპოტიზმი[5] კი საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიულად ჩამოყალიბებულ წესად აღიქმება.

კამათს აზრი არ ჰქონდა და გავჩუმდი, „დიპლომატიურ“ პასუხს ვეძებდი. „ბიუსტიც“ დუმდა და ჩემს გადაწყვეტილებას მოთმინებით ელოდა...

მინდა გითხრათ, რომ მიკიბვ-მოკიბვა არ მეხერხება და არც მიყვარს. თანაც დაძაბული ვიყავი და ნერვები დაწყვეტაზე მქონდა, ამიტომ ჭკვიანური ვერაფერი მოვიფიქრე და „გაუშალაშინებელი“, ღია ტექსტით პირდაპირ „მივახალე“:

– როგორც გავიგე, სამშობლოს ღალატს მთავაზობთ!!! იცით, შეგეშალათ, მე არ ვიყიდები! გარდა ამისა, მათხოვარი არა ვარ და სამოწყალო არ მჭირდება. ჩემს ქვეყანაში ჩემი სამყოფი ყველაფერი მაქვს, დამშეული არა ვარ და კომფორტულ პირობებში ვცხოვრობ. დამაბრუნეთ

საქართველოში და გპირდებით, თურქეთში „სტუმრობის“, თქვენთან საუბრისა და შემოთავაზების თაობაზე არავის ვეტყვი, ამ ამბავს საიდუმლოდ შევინახავ, – ტყუილი ვუთხარი, რა თქმა უნდა, დაბრუნებისთანავე პატაკს მინისტრის სახელზე დავწერდი.

– ნუ გეშინიათ, ჩვენს დავალებებს მანამდე შეასრულებთ, სანამდეც საქართველოს სპეცსამსახურების მხრიდან საფრთხე არ შეგექმნებათ. შემდეგ შეგიძლიათ სამუდამოდ თურქეთში გადმოხვიდეთ და თქვენს საკუთარ ბინაში დასახლდეთ. გარანტიებს თუ ითხოვთ, შეთანხმების ტექსტი თურქულ, ქართულ და ინგლისურ ენებზე მზადაა და ჩვენი მხარის მიერ უკვე ხელმოწერილია, თქვენი ხელმოწერაღა აკლია... ახლავე შეგიძლიათ ხელი მოაწეროთ!

– სამშობლოს არ ვყიდი-მეთქი! ვერ გაიგეთ?!

– კარგად დაფიქრდით! თქვენი ოჯახი მაღალ საზოგადოებაში, ფულიან ხალხში ტრიალებს. მათი წრისათვის მისაღები და ანგარიშგასაწევი პიროვნება რომ გახდეთ, შესაბამისი სამოსი უნდა გეცვათ, თავს ძვირფასი ავტომობილითა და სამკაულებით უნდა იწონებდეთ და ა.შ., აღარ გავაგრძელებ. პოლიციელის ხელფასით ერთ ხეირიან კაბასაც კი ვერ იყიდით. წვეულებაზე რომ დაგპატიჟონ, „გოიმივით“ გამოწყობილი ხომ ვერ მიხვალთ? „ბაზრობაზე“ ნაყიდი ტანსაცმლით რომ გამოცხადდეთ, დაგცინებენ, ზურგს უკან იჭორავებენ და თავიანთ წრეში აღარც გაგაჭაჭანებენ!

– ასეც რომ მოხდეს, მერე და რა? მათი აზრი აბსოლუტურ ჭეშმარიტებას არ წარმოადგენს, ჩემთვის მნიშვნელოვანი და ღირებული სულ სხვა ფასეულობებია! მე მიყვარს ადამიანები და მათ ვაფასებ არა სიმდიდრისა და თანამდებობის, არამედ პიროვნული ღირსებების გამო. მომხვეჭელი და გამორჩენის მოყვარული არასდროს ვყოფილვარ, მეგობრები და ნაცნობთა წრე მათი სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის საზომით არასდროს ამირჩევია... ჯერ კიდევ საკითხავია, სიმდიდრე ვინ როგორ მოიპოვა!

– ამას რა მნიშვნელობა აქვს? ეს თქვენი საქმე არ არის, – „მონოლოგი“ გამაწყვეტინა „ბიუსტმა“, – მთავარია, რომ ჭკვიანი და მოხერხებული ხალხი ფულს ადვილად შოულობს!

– ფულისაგან გაზულუქებულ, ამბიციურ, ქედმაღალ, თვითკმაყოფილ და გაბღენძილ ადამიანებთან მეგობრობას არ ვეძებ და მათი აზრიც არ მაინტერესებს, პატივს არ ვცემ და იმიტომ... დიდი ამბავი, „ფეშენ შმოტკების“, „სამარიაჟო ტაჩკისა“ და ძვირადღირებული „ქვებრკინეულობის“ არქონის გამო, რომელიმე უწიგნური „გოიმად“ თუ ჩამთვლის! მერწმუნეთ, ეს ნამდვილად არ ამაღელვებს, მე მას „გონებაშეზ-

ღუდულ, კუდქანქარა მეშჩანად“ ჩავთვლი და ამით დამთავრდება!

– როგორც წესი, მდიდარ ადამიანებს საზოგადოებაზე დიდი ზეგავლენა აქვთ, მათთან დაპირისპირება რაში გჭირდებათ?! მათ ხომ თქვენი ბედის განკარგვა შეუძლიათ!

– მე არც არავის ვუპირისპირდები და არც არავის განვსჯი... თავს არავის ვესხმი, არავის საქმეში ცხვირს არ ვყოფ, საკუთარ აზრებს ჩემთვის ვინახავ და არავის ვახვევ... ადამიანის თვისებები ჯიბის მოცულობით არ განისაზღვრება: ღირსეულიცა და უღირსიც შეიძლება იყოს როგორც მდიდარი, ასევე ღარიბიც. ყველა ცხოვრობს ისე, როგორც სწორად მიაჩნია და ყველა ჩვენგანის მსაჯული მხოლოდ მაღალი ღმერთია! აი, ფიქრსა და საკუთარი აზრის ქონას კი, მერწმუნეთ, დედამიწის ზურგზე ვერც ვერავინ ამიკრძალავს! მე პიროვნება ვარ, თავისუფლების მოყვარული პიროვნება, საკუთარი პრინციპებით ვცხოვრობ და სხვისი ზეგავლენის ქვეშ ასე ადვილად არ ვექცევი.

– ესე იგი, უზარმაზარ ქონებაზე და დედოფალივით ცხოვრებაზე უარს ამბობთ?!

– დიახ, უარს ვამბობ! – ვთქვი მშვიდად.

– გაითვალისწინეთ, რომ გამდიდრების ასეთი შანსი ცხოვრებაში აღარასოდეს მოგეცემათ, იცოდეთ, მერე არ ინანოთ!

– რა უნდა ვინანო? მოღალატეობაზე და „ვერცხლთმოყვარეობაზე“ უარი რომ ვთქვი?! ამის გამო ნუ ინერვიულებთ, ჩემს საქციელს არასოდეს ვინანებ!

– რატომ „მოღალატეობა“? მოდით, საკითხს მეორე მხრიდან შევხედოთ. ვთქვათ ასე, თქვენ საკუთარ ნიჭს, შესაძლებლობებსა და უნარს გონივრულად მოიხმართ და მათ სარფიან კაპიტალდაბანდებას უცხოეთში განახორციელებთ! ეს არის და ეს!

– გმადლობთ, რომ ჩემს შესაძლებლობებზე ასე მაღალი წარმოდგენის ხართ და ჩემი ჯიბის „გასქელებაზე“ აგრერიგად ზრუნავთ! – მათი თავხედური დემაგოგიით აღშფოთებულმა ირონიულად ვუპასუხე, – მაგრამ იმედი უნდა გაგიცრუოთ და გითხრათ, რომ „სნობები“ და „მეშჩანები“ ჩემთვის ავტორიტეტს არ წარმოადგენენ, მათ მოსაზრებებს არასოდეს ვითვალისწინებდი და არც მომავალში ვაპირებ. ჩემზე რაც უნდა, ის იჭორაონ და იფიქრონ, მაპატიეთ და, სულ „ფეხზე მკიდია“! გარწმუნებთ, თავს ფუფუნების გარეშეც შესანიშნავად ვგრძნობ, მართალია მდიდარი არა ვარ, მაგრამ რაც მინდა და მჭირდება, ჩემი სამყოფი ყველაფერი მაქვს. რომც არ მქონდეს, სამშობლოს მაინც არ გავყიდდი! რაც მთავარია, ადამიანებისათვის თვალებში შეხედვის არ მრცხვენია და ღამეც მშვიდად და გემრიელად მძინავს. დროს ტყუილად

ნუ კარგავთ, შანტაჟს ვერ მომიწყობთ, იმიტომ, რომ სუფთა წარსული მაქვს და არაფრის მეშინია! მგონი, ყველაფერი გასაგებად აგიხსენით.

– სასაცილო და საცოდავი ვინმე ხართ! ამ ცხოვრების არაფერი გაგეგებათ!

– რაცა ვარ – ეგა ვარ, ვეღარ შევიცვლები!.. თქვენ ხომ ყველაფერი გაგეგებათ? ჰოდა, თქვენი ჭინჭებიც თქვენთვის შეინახეთ! ბაზარში არა ვართ და თქვენთან ვაჭრობა არ მსურს! მე ჩემი გითხარით.

– ბავშვი არა ხართ და, ალბათ, გესმით, რომ საქმე სერიოზულადაა და თავს ასე უბრალოდ და მარტივად ვერ დაიძვრენთ!

– მე საქართველოს მოქალაქე ვარ და ჩემი სახელმწიფო მიცავს! დაუყონებლივ შემახვედრეთ ელჩთან, ან საელჩოს რომელიმე თანამშრომელთან! – მოვითხოვე კატეგორიულად.

– დაგავიწყდათ, რომ თქვენი აქ ყოფნის შესახებ არავინ იცის? ჩვენს ხელში ხართ! საელჩოს თავი დაანებეთ, ვერავინ დაგეხმარებათ! – „ჭკუა დამარიგა“ „ბიუსტმა“.

თურმე, კრიტიკულ სიტუაციებში ადამიანის თავის ტვინის შესაძლებლობები მართლაც რომ ამოუწურავია... „თავდაცვითი სქემა“ წამებში მოვიფიქრე და „ბიუსტს“ მკაცრად ვუთხარი:

– მე არა მხოლოდ საქართველოს რიგითი მოქალაქე, არამედ კადრის მოქმედი ოფიცერი ვარ! ქართულ სპეცსამსახურებს ჩემი მოძებნა არ გაუჭირდებათ და გამოძიების კვალი თქვენამდე უეჭველად მოვა... საერთაშორისო სამართლის, სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობისა და ურთიერთვალდებულებების შესახებ ოდესმე გსმენიათ?! გარდა ამისა, არსებობენ საერთაშორისო სტრუქტურები და მათ შორის, „ინტერპოლი“! რომ მომიკითხავენ, რას უპასუხებთ? ხომ ვერ ეტყვით: „რა ვქნათ, ცუდ ხასიათზე ვიყავით და ჩვენი ბრალი არ არის, თუ უეცრად ყოვლად უდანაშაულო ქართველი მაღალჩინოსანი პოლიციელის გატაცება და დატყვევება მოგვეპრიანა“-ო!?

– კმარა! ახლავე შეჩერდით და ჩვენც მოგვისმინეთ, – გამაჩუმა ჩემი სარკაზმით გაგულისებულმა „ბიუსტმა“, – აქ არავინ მოგაკითხავთ. ასეც რომ მოხდეს, ქართველებს „კომპრომატების“ სახით, თურქეთის ტერიტორიაზე გადაღებულ თქვენს ფოტოებსა და ვიდეოს წარვუდგენთ, ვიტყვით, რომ საზღვარი არალეგალურად გადმოკვეთეთ და თურქეთის წინააღმდეგ ჯაშუშობისა და ტერორისტებთან კავშირის ბრალდებებს წამოგიყენებთ.

– ჯერ ერთი, ბრალდებას დასაბუთება სჭირდება! მხოლოდ ფოტოები და ვიდეომასალა არაფერს ნიშნავს! ხელმოსაჭიდი არაფერი გაქვთ და რის საფუძველზე დამადანაშაულებთ?! კარგად იცით, რომ არც ჯაშუში

ვარ და არც ტერორისტი. მეორეც, დამნაშავედ რომც ჩამთვალონ, საქართველოში ჩემს ექსტრადიციას, ანუ ქართული მხარისათვის გადაცემას, ყველა ვარიანტში მოითხოვენ! ყალბი მტკიცებულებების შექმნა არც ისე ადვილია... ჩემიანები სიყალბეს მყისვე შეამჩნევენ და საკადრის პასუხს გაგცემენ! მაშინ რას იზამთ? არა მგონია, თურქეთის მთავრობას თქვენს გამო, საერთაშორისო „სკანდალში გახვევა“ და მთელს მსოფლიოში „გამოჭენება“ მოეწონოს, ამაზე პასუხს გაგებინებენ!

„ბიუსტმა“ ჩემს არგუმენტებს ყურადღება არ მიაქცია და მორიგი ცილისწამება „მოხაზა“:

– ჩვენ ასევე შეგვიძლია ვთქვათ, რომ თურქეთის მთავრობას პოლიტიკური თავშესაფარი სთხოვეთ!

ამ „დაბრეხვებაზე“ ხომ მართლა გულიანად გამეცინა:

– რა „პოლიტიკური თავშესაფრის“ მოთხოვნაზეა ლაპარაკი? პოლიტიკაში ჩემს „გადავარდნას“ არავინ დაიჯერებს, რადგან ამ რიგის გადაწყვეტილებების მიღებას სერიოზული წინაპირობები და წანამძღვრები სჭირდება, მე კი პოლიტიკისაგან ყოველთვის შორს ვიყავი. ყველა ეპოქაში და ყველა ქვეყანაში პოლიტიკა ცვალებადი და წარმავალია, ხოლო პოლიტიკოსები მოდიან და მიდიან, მხოლოდ სამშობლოა მარადიული! მე პოლიციელი ვარ, ჩვენ საზოგადოების მიერ განსაზღვრული, კონკრეტული ფუნქცია გვაკისრია, ვიცავთ ხალხს და ვემსახურებით ქვეყანას, პოლიტიკაში ჩარევას კანონი გვიკრძალავს! ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში ასეა, განა თქვენში სხვაგვარადაა?!

– ახლა თქვენს „ჭრელფასადებიან“ ქვეყანაზე ვლაპარაკობთ... ტყუით, როცა ამბობთ: „პოლიტიკური მრწამსი არა მაქვს“-ო. აქაც გავიგეთ, რომ თქვენი პოლიცია პოლიტიზებულია.

– ცდებით, საბედნიეროდ, ასე არ არის... თანაც კანონი არ კრძალავს, პოლიტიკური შეხედულებები ნებისმიერ მოქალაქეს შეიძლება ჰქონდეს. განათლებულ და მოაზროვნე ადამიანს კი შეუძლებელია არ ჰქონდეს პოლიტიკური მრწამსი. მინდა გითხრათ, რომ არც ერთ ქვეყანაში ძალაუფლებისა და მატერიალური კეთილდღეობის მოპოვების მიზნით, პოლიტიკური მრწამსით ყველა არ ვაჭრობს და სამშობლოს ყველა არ ჰყიდის.

– ზოგადად ნუ ვილაპარაკებთ, მე პირადად თქვენზე გეკითხებით.

– მე ჩემს პოლიტიკურ შეხედულებებს საჯაროდ არასოდეს გამოვხატავ, კანონი მიკრძალავს და იმიტომ. გულში რას ვიფიქრებ, ეს უკვე ჩემი პირადი საქმეა და არავის აქვს უფლება სულში ჩამიძვრეს! ჩემი პოლიტიკური შეხედულებების რეალიზაციას ვახდენ მხოლოდ არჩევნების დღეს და ისიც მხოლოდ საარჩევნო ყუთთან.

– კითხვაზე არ მპასუხობთ! მე თქვენი პირადი პოლიტიკური მრწამსი მაინტერესებს.

– ვერ გავიგე, რა პასუხი უნდა გაგცეთ? ჩემს პოლიტიკურ მრწამსს, ამ შემთხვევაში, მნიშვნელობა არა აქვს. რით ვერ გაგაგებინეთ, რომ მოღალატე არა ვარ და არ ვიყიდები!

– კეთილი ინებეთ და კონკრეტულად მიპასუხეთ! – ხმას აუწია „ბიუსტმა“.

– კონკრეტულად გეუბნებით: არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი არასოდეს ვყოფილვარ, რადგან ძალაუფლება არ მხიბლავს, ტყუილი არ მეხერხება და ინტრიგების ხლართვა არ მსიამოვნებს. როგორც რიგითი ჯარისკაცი, საქართველოს კონსტიტუციას ვიცავ და ქვეყნის ინტერესებს ყოველთვის პირად ინტერესებზე მაღლა ვაყენებ. როგორც პოლიციის ოფიცერი, კანონის უზენაესობის პრინციპით ვხელმძღვანელობ და კანონმორჩილი მოქალაქე ვარ. ალბათ მიხვდით, რომ ჩემი მსოფლმხედველობის მქონე ადამიანი პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს მხოლოდ სამშობლოს ინტერესებიდან გამომდინარე მიიღებს. მეტი კონკრეტულად რა ვთქვა?! თემა ამოწურულია, სათქმელი აღარაფერი მაქვს.

– გონიერი და პრაგმატული ადამიანი მეგონეთ, მაგრამ როგორც ჩანს, შევცდი. ვხედავ, ჩვენთან მეგობრობა არ გსურთ. ყველაფერთან ერთად, დემაგოგიც ყოფილხართ, ზოგადი ფრაზებით კონკრეტულ პასუხს თავს არიდებთ... საწყენია, შეგვეძლო ნაყოფიერად გვეთანამშრომლა, – დანანებით თქვა „ბიუსტმა“.

– თქვენთან „მეგობრობა“ მსურს, სამშობლოს ღალატი – არა! სიტყვა „დემაგოგის“ მნიშვნელობა კი არ გცოდნიათ, კარგი იქნებოდა, უცხო სიტყვათა განმარტებით ლექსიკონში თუ ჩაიხედავდით.

„ბიუსტმა“ ჩემს „საგანმანათლებლო“ რეპლიკას წაუყრუა და შეცვლილი ხმის ტემბრით გამომიცხადა:

– რადგან სამეგობრო თემები ამოვწურეთ, დროა, სამტროზეც გადავიდეთ... ოჯახზე, საქმროზე და ნათესავებზე გიფიქრიათ? თუ ჩვენთან თანამშრომლობაზე უარს იტყვით, თქვენს ახლობლებს დიდი პრობლემები შეექმნებათ, – ირონიული ტონით დამემუქრა.

ვაღიარებ, რომ ძალიან შემეშინდა... მაგრამ ჩემდა საბედნიეროდ, მალევე მივხვდი, რომ „ბიუსტი“ ჩემზე მხოლოდ ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახდენდა და ჩემს „წამოგებას“ ცდილობდა.

– როგორ მიხვდით? – დაინტერესდა დავითინიძე.

– რა გითხრათ, ალბათ ინტუიციით... ჩადრით შემოსილი ქალის გამოჩენამ, „ბიუსტის“ „ინკოგნიტოობამ“, მის მიერ წამოყენებული ბრალდებების ალოგიკურობამ, დაკითხვისა და გადაბირების არაპროფესიონ-

ალურმა „ტექნიკამ“ და არარეალურად გულუხვმა „შემოთავაზებამ“ მიმახვედრა, რომ საქმე მქონდა „რესპექტაბელურობის“ საფარველით კარგად შენიღბულ კრიმინალებთან და არა სახელმწიფო სპეცსამსახურების თანამშრომლებთან... იმასაც მივხვდი, რომ თურქეთის სპეცსამსახურებს არ ვაინტერესებდი.

– ამას საიდანღა უნდა მიხვედრილიყავით? – განცვიფრდა დავითინიძე, – ღია ტექსტით ხომ არ გეტყოდნენ: „ნუ გეშინიათ, ჩვენ ნაღდი, მამა-პაპური „მაფიოზები“ კი არ ვართ, თურქეთის სპეცსამსახურებს წარმოვადგენთ“-ო?

პოლკოვნიკის უწყინარმა ხუმრობამ იაშვილს თავმოყვარეობა შეუღახა, თუმცა არ შეუმჩნევია და საკუთარი მოსაზრების დასაბუთებას მიზანმიმართულად შეუდგა.

– ადვილად ასახსნელი მიზეზების გამო, იმ მომენტში ასე ჩავთვალე, – სახის მკაცრი გამომეტყველებით შეეკამათა პოლკოვნიკს, – მოგეხსენებათ, რომ მათთვის საინტერესო, სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი „ინფორმაციის მატარებელი“ მე არ ვიყავი. სამსახურებრივად ჩემთვის ცნობილი იყო მხოლოდ და მხოლოდ დამნაშავეობასთან ბრძოლის საკითხებთან დაკავშირებული, წმინდა პოლიციური ინფორმაცია, რაც არანაირად არ ეხებოდა არც პოლიტიკას და არც რომელიმე ქვეყნის სახელმწიფოებრივ უსაფრთხოებას. ამდენად, ჩემი გატაცება, დატყვევება და მთელი ეს „მასკარადი“ რას ნიშნავდა და იქაურ სპეცსამსახურს რაში უნდა დასჭირვებოდა? ვერანაირ აზრსა და მიზანს ვერ ვხედავდი!

– რა არის აქ გასაკვირი, ია? მათ პირდაპირ მიგითითეს თქვენი ოჯახის პრივილეგირებულ მდგომარეობაზე! მათ ხომ არ იცოდნენ, რა სახის ინფორმაციას ფლობდით და რას არა, ან რაზე იყავით წამსვლელი და რაზე არა? აქ მარტივი ლოგიკაა: მეზობელი სახელმწიფოს სამთავრობო წრეებთან დაახლოებული, საზოგადოებრივი კიბის მაღალ საფეხურზე მდგომი ოჯახის ერთ-ერთი წევრი, თანაც მაღალჩინოსანი პოლიციელი, მათთან საკუთარი ფეხით ცხადდება... როგორ გგონიათ, „გაშანშალებულ“ ფაქტზე რეაგირებას არ მოახდენდნენ, ან თქვენი გადაბირების შანსს ხელიდან გაუშვებდნენ? ნებისმიერი ქვეყნის სპეცსამსახური ასე მოიქცეოდა.

– მესმის, მაგრამ ოჯახი რა შუაშია? პირადად მე ხომ არ ვიყავი სახელმწიფოსათვის დიდად მნიშვნელოვანი თანამდებობის პირი, ცნობილი პოლიტიკოსი, ან მეცნიერი? – პოზიციას არ თმობდა საკუთარ სიმართლეში დარწმუნებული იაშვილი, – მე ერთი ჩვეულებრივი, საშუალო რგოლის სახელმწიფო მოხელე ვიყავი, კონკრეტულად განსაზ-

ღვრული ფუნქციებითა და ვალდებულებებით. ჩემი თანამდებობრივი კომპეტენციის ფარგლებში არც ფართო უფლებამოსილება გამაჩნდა, არც სერიოზული გავლენა და არც შეუზღუდავი შესაძლებლობები.

– ამ კონკრეტულ შემთხვევაში პირადად თქვენს სტატუსსა და რეგალიებს მნიშვნელობა არ ჰქონდა, – არ დაეთანხმა დავითინიძე, – როგორ ვერ ხვდებით, რომ თქვენ მათ სწორედ თქვენი ოჯახიდან გამომდინარე აინტერესებდით!

– მინდა გითხრათ, რომ მე პროფესიონალი ვარ და კრიმინალებს სპეცსამსახურის თანამშრომლებისაგან როგორმე გავარჩევდი! – გაბრაზდა იაშვილი.

– ეს არც ისე ადვილია, როგორც გგონიათ, – გაეღიმა დავითინიძეს, – მსოფლიო პრაქტიკაში არცთუ იშვიათად ხდება, როდესაც სპეცსამსახურის მოქმედი თანამშრომლები კრიმინალებს „შეეკვრებიან“ ხოლმე, სამწუხაროდ, არის ყოფილი თანამშრომლების მიერ კრიმინალური დაჯგუფებების შექმნის შემთხვევებიც... თქვენ კი წარმოდგენაც არ გქონდათ, ვის ელაპარაკებოდით... არავინ იცის, ვის „სუბმარინას“ გადაეყარეთ: სახელმწიფო სპეცსამსახურების, კრიმინალებთან „შეკრული“ ყოფილი თანამშრომლების, თუ „ჩვეულებრივი“ ბანდიტებისას.

იაშვილი კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ დავითინიძეს დროის ფუჭად დაკარგვა არ სურდა და არაფრისმომცემი „კამათი“ დროულად შეწყვიტა.

– კარგი, დაგეთანხმებით... შესაძლოა, თურქეთის სპეცსამსახურებს მართლა არ აინტერესებდით, რადგან სავსებით დასაშვებია, რომ მათ ტერიტორიაზე თქვენი ყოფნის შესახებ არაფერი სცოდნოდათ. აგრეთვე შესაძლებელია, ის თქვენი „ბიუსტიც“, „ჩვეულებრივი“ კრიმინალი ყოფილიყო, – არ გააწბილა იაშვილი პოლკოვნიკმა. – მოდით, განვაგრძოთ... მომიყევით, შემდეგ რა მოხდა!

– შემდეგ ენა „დავიშაქრე“ და „მელკი პადხალიმაჟი“ „გავუშვი“, – ყაყაჩოსფრად აღაჟღაჟებულ ლოყებზე ხელი მოისვა იაშვილმა. – „ბიუსტის“ სილუეტს მივაჩერდი და ვუთხარი: „ნუთუ თქვენნაირ კულტურულ, ინტელექტუალურ და სტუმართმოყვარე ხალხს შეგიძლიათ სრულიად უდანაშაულო ადამიანები ასე გასწიროთ? მე ცივილიზებულ და პატივსაცემ პიროვნებად მიმაჩნიხართ, საერთო ენის გამონახვა და შეთანხმება უპრობლემოდ შეგვიძლია. გემუდარებით, ჩემ ახლობლებს ნუ შეეხებით!“-მეთქი .

– ახლა გავხდი „პატივსაცემი“? – შეიცხადა „ბიუსტმა“, – წეღან ბაზარში არ გამამწესეთ?!

ვერაფერი ვუპასუხე და გავჩუმდი, მან კი ნიშნისმოგებით განაგრძო:

– კვინტრაძეების ოჯახთან მისვლა ჩვენ გაიძულეთ? პატრა გოგოსავით იმეტიჩრეთ და ჩვენი თვალთახედვის არეში თქვენ თვითონ, საკუთარი ნებით შემოიჭერით!

– ეს ხომ სრულიად შემთხვევით მოხდა! წარმოდგენა არა მქონდა, მოვლენები ასე თუ განვითარდებოდა! მოდით, კვინტრაძეებთან ჩემი ურთიერთობის ამბავს გიამბობთ და მერე განმსაჯეთ!

– რა და როგორ მოხდა, ისედაც ვიცით, მოყოლა საჭირო არ არის!

– გასაგებია, რომ იცით... მაგრამ თქვენთვის ცნობილია სხვის მიერ მოწოდებული ინფორმაცია! ჩემი ვერსიაც მოისმინეთ და მიხვდებით, რომ თქვენი ორგანიზაციისათვის „წინ გადარბენა“ აზრადაც არ მომსვლია! – სიტყვა „ორგანიზაცია“ შეგნებულად შევაპარე, რეაქცია მაინტერესებდა.

არ ვიცი, რამდენად სწორად ვმსჯელობდი, მაგრამ რატომღაც დავასკვენი, რომ თუ „ბიუსტი“ ჩემს ნათქვამს გააპროტესტებდა: „რა ორგანიზაციაზე ლაპარაკობ“-ო, მაშინ ვიფიქრებდი, რომ საქმე „წვრილ-ფეხობასთან“ მქონდა, ხოლო თუ „გაატარებდა“, დავრწმუნდებოდი, რომ „სტუმრად“ მრავალრიცხოვან, გავლენიან და კარგად ორგანიზებულ კრიმინალურ დაჯგუფებასთან ვიმყოფებოდი.

– შეგიძლიათ მოყვეთ, – უფლება კომენტარების გარეშე მომცა „ბიუსტმა“, – დეტალებს დავაზუსტებ!

რაც მაინტერესებდა – გავიგე... დაზაფრულმა „სახაჭაპურეს“ ეპიზოდიდან მოყოლებული, მთელი ეს „ისტორია“ სულ „სხაპასხუპით“ მოვყევი. მხოლოდ ფაქტებს ვაფიქსირებდი, ცხადია, ჩემი მოსაზრებისა და მიგნებების თაობაზე არაფერი მითქვამს. მობილურის და პირადობის მოწმობის გადამალვისა და „მესიჯების“ გაგზავნის ეპიზოდებიც გამოვტოვე...

– თქვენი მონაყოლი ყურადღებით მოვისმინე, შეკითხვები არა მაქვს, – მითხრა „ბიუსტმა“, – ისედაც ვიცოდი, რომ ჩვენს საწინააღმდეგოდ არაფერი ჩაგიდენიათ. მაგრამ, მიუხედევად ამისა, აქედან მაინც ვერსად გაგიშვებთ, რადგან ზედმეტად ბევრის ხილვა და გაგება მოასწარით!

– ნუ მემუქრებით! – „შევუღრინე“, – მართალია, თურქეთის ტერიტორიაზე ვიმყოფებით, მაგრამ თქვენ არც ადგილობრივი ხელისუფლებისა და არც აქაური სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელი არ ხართ. ჩემს მიმართ განხორციელებული ყველა თქვენი ქმედება უკანონოა! ვგულისხმობ ჩემს გატაცებას, მოსყიდვის მცდელობას, მუქარას, შანტაჟს და ვინ იცის, სხვაგან კიდევ რა გაქვთ ჩადენილი! გაითვალისწინეთ, რომ საქართველოს ძალიან ძლიერი სპეცსამსახურები ჰყავს და მათთან ხუმრობას არ გირჩევდით! თუ საჭირო გახდა,

მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში მომაგნებენ და თქვენ, როგორც დამნაშავეებს, თურქეთის მხარეს გადაგცემენ!

– სისულელეებს როშავთ, – უემოციოდ მითხრა „ბიუსტმა“, – თქვენთვის ძალიან ხელსაყრელი და სარფიანი თანამშრომლობა შემოგთავაზეთ, მაგრამ უარი თქვით!

– შევეცდები განგიმარტოთ, რომ ამქვეყნად არსებობს ბევრი ისეთი რამ, რაც ჩემთვის ფულზე და სიმდიდრეზე უფრო მნიშვნელოვანი და ღირებულია! მაგალითად: სამშობლოსადმი ერთგულება, ოფიცრის მოვალეობა, დამშვიდებული სინდისი და სხვა... აღარ გავაგრძელებ, თქვენ მაინც ვერ გაიგებთ!

– თქვენი იდიოტური აზრების გაგება მართლაც ძნელია და არც მაინტერესებს, – უხეშად შემაწყვეტინა „ბიუსტმა“, – ახლა ყურადღებით მომისმინეთ, უკანასკნელად ვამბობ, მეტს აღარ გაგიმეორებთ! არჩევანი თქვენზეა: ან ჩვენთან თანამშრომლობაზე თანხმდებით, ან თქვენს ახლობლებს ძალიან სერიოზული პრობლემები შეექმნებათ და თქვენ ვერაფერს უშველით... რადგან ფული და სიმდიდრე თქვენთვის მნიშვნელოვანი არ არის და არაფერში გჭირდებათ, ვერც მიიღებთ. არაფერი მექნება საწინააღმდეგო, თუ ანაზღაურების გარეშე ითანამშრომლებთ, სამაგიეროდ თქვენს ახლობლებს შევეშვებით! საქართველოში ჩვენს „ჩაშვებას“ თუ გაბედავთ, თქვენ კი არ მოგკლავთ, – ნათესავებს, მათ შორის ბავშვებსაც, ერთმანეთის მიყოლებით ამოგიხოცავთ. თქვენი „მშობლიური, საამაყო და ქებული“ პოლიცია მთელს თქვენს სანათესაოს ვერ გასწვდება, დაცვას სათითაოდ ყველას ხომ ვერ მიუჩენს?! მათ სიკვდილში თავს დამნაშავედ იგრძნობთ და თქვენი „კამკამა“ სინდისი, – მისი სისუფთავით ასე რომ გვეტრაბახებით და ყურები გამოგვიჭედეთ, – ქენჯნას დაგიწყებთ! სულიერი ტანჯვა-წამებისაგან, რომელიც ზოგჯერ ფიზიკურზე უფრო მტკივნეულია, სიკვდილი სანატრელი გაგიხდებათ! თავსაც ვერ მოიკლავთ, რადგან ეს თქვენს რელიგიას ეწინააღმდეგება! მე ყველაფერი ვთქვი, გამგები გაიგებს!..

მისმა გაუგონარმა სისასტიკემ შემძრა, ნათესავების ხსენებაზე კი, რომ იტყვიან, „გავცოფდი“, თავი ვერ შევიკავე, სკამიდან წამოვვარდი და დავუყვირე: „როგორ ბედავთ და ულტიმატუმების ენით რა უფლებით მელაპარაკებით?! ყველაფერზე პასუხს აგებთ!“-მეთქი.

– მოკეტეთ, უკვე ყელში ამომიხვედით! – საპასუხოდ დამიღრიალა „ბიუსტმა“, – მოსაფიქრებლად დრო ხვალ დილის 10 საათამდე გეძლევათ, სანამ საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებდეთ, კარგად დაფიქრდით! არ დაგავიწყდეთ, რომ თქვენ თურქეთის საზღვარი არალეგალურად გადმოკვეთეთ და თქვენი აქ ყოფნის შესახებ არავინ არაფერი

იცის! თქვენს შემდგომ ბედს კომპეტენტური ხალხი გადაწყვეტს, იგი მხოლოდ თქვენს არჩევანზე იქნება დამოკიდებული! მე დავამთავრე! – თავისი ჭკუით, „ბიუსტმა“ „საფუძვლიანად დამამუშავა“ და გამოსახულებაც გაქრა.

საიდმა მონიტორი გათიშა და ოთახიდან უსიტყვოდ გავიდა. ჩადრიანმა ქალმა ვახშამი შემომიტანა, მაგრამ პირი არ დამიკარებია, პროტესტის ნიშნად, შიმშილობა გამოვაცხადე.

მთელი საღამო და ღამე თვალი ვერ მოვხუჭე, ფიქრები არ მასვენებდა. ერთადერთი ის მამშვიდებდა, რომ ჩემს თანამშრომლებთან „SOS-მესიჯი“ მქონდა გაგზავნილი და ვიმედოვნებდი, რომ ქართული პოლიცია მოკლე დროში მომძებნიდა და დამეხმარებოდა...

მოვლენებს წინ გავუსწრებ და აღვნიშნავ, რომ დღე დღეს მისდევდა, თვე – თვეს, მე კი საქართველოდან არავინ შემხმიანებია! სიმართლე გითხრათ, გულნატკენი ვიყავი, ძალიან მიკვირდა და მაინტერესებდა ახლობლებისა და თანამშრომლების მხრიდან ჩემდამი გამოჩენილი გულგრილობისა და სრული უყურადღებობის მიზეზი, მაგრამ სიტუაციას ლოგიკურ ახსნას ვერ ვუძებნიდი... საიდან უნდა მცოდნოდა, რომ საკუთარ სამშობლოში ცივსისხლიან მკვლელად და ბავშვების გამტაცებლად გამომაცხადეს და ჩემს წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრეს! ასეთ საშინელებას ხომ ვერასოდეს წარმოვიდგენდი!

მოფიქრების დრო მეორე დილამდე მომცეს... გულში მწარედ მეცინებოდა, – ერთგულებასა და გამყიდველობას, პატიოსნებასა და გაიძვერობას, სამართლიანობასა და დაუნდობლობას შორის არჩევანის გაკეთებას ბევრი ფიქრი რად უნდოდა?!

ბატონო დავით, დიდი ხანია მივხვდი, რომ განვლილი წლები ჩვენს ცხოვრებისეულ გზას დამოუკიდებელ სუბიექტად აქცევენ. სამწუხაროდ, თუ საბედნიეროდ, ამ თავნება სუბიექტს საკუთარი კანონზომიერების შექმნა ძალუძს. ულმობელი კანონზომიერება კი ჩვენს მეობას არარად აგდებს, ჩვენს ნებას არ ემორჩილება, თავის მსგავს გადაწყვეტილებას გვკარნახობს და თავის მოსაწონ მოქმედებას გვაიძულებს...

– ასეა, ყოველი ჩვენგანი რაღაც მომენტში, წარსულის ტყვეობაში ჩვენდა უნებურად ვექცევით ხოლმე, – გულწრფელად აღნიშნა დავითინიძემ.

– მერე და ეს კარგია, თუ ცუდი? – პოლკოვნიკის აზრი აინტერესებდა იაშვილს.

– რა ვიცი, როდის როგორ... ფაქტია, რომ ხშირად წარსული სამომავლო ნაბიჯებს „გვიკონტროლებს“ და არჩევანში გვზღუდავს... თემას გადაუხვიეთ, ია!

* * *

– არა, ბატონო დავით, თემას არ ვცვლი, – შეცბა იაშვილი, – თხრობას განვაგრძობ...

მეორე დილით, დათქმულ დროს, საიდი მოვიდა და ურთიერთმისალმების შემდეგ მითხრა:

– თქვენს პასუხს ელიან... იმედია, სწორ გადაწყვეტილებას მიიღებდით.

– რა თქმა უნდა! – ვუპასუხე.

– მერე და რა გადაწყვიტეთ?

– ამას მხოლოდ თქვენს უფროსს პირადად ვეტყვი.

საიდი ოთახიდან უკომენტაროდ გავიდა, რამდენიმე წუთში უკან დაბრუნდა და მონიტორი ჩართო.

– დილა მშვიდობისა, მის იაშვილი! – ძველი მეგობარივით მომესალმა „ბიუსტი“.

– გამარჯობა, სერ. – ნებისყოფა მოვიკრიბე და თავაზიანად ვუპასუხე.

– თანამშრომლობისათვის მზად ხართ?

– მომისმინეთ, ბეი, – რაც შემეძლო მშვიდად და მორჩილად მივმართე, – თქვენთან თანამშრომლობაზე თანახმა ვარ, ოღონდ ერთი პირობით.

– რა „პირობაზე“ მელაპარაკებით? – „ყურები დაცქვიტა“ “ბიუსტმა“.

– თქვენ ხელს არ ახლებთ ჩემს ოჯახსა და ნათესავებს, სამაგიეროდ, მე მათთან კონტაქტს გავწყვეტ და საქართველოში აღარასოდეს დავბრუნდები. მომეცით აქ ცხოვრებისა და მუშაობის უფლება! საკმაოდ კარგი განათლება მაქვს, თურქულსაც მალე შევისწავლი. შრომა არ მეზარება, რამე ნორმალურ სამუშაოს ვიშოვი და ჩემთვის წყნარად ვიცხოვრებ. ჩემი შრომა, გამოცდილება და ნიჭი თქვენი ქვეყნის კეთილდღეობას მოხმარდება და ეს იქნება ჩვენი თანამშრომლობის საუკეთესო ფორმა...

– რასაც თქვენ გვთავაზობთ, თანამშრომლობა სულაც არ არის! – შემაწყვეტინა „ბიუსტმა“, – ჩვენს „გაცურებას“ ნუ შეეცდებით და საკუთარ თავს განაჩენს ნუ გამოუტანთ!

– არავის „გაცურებას“ არ ვაპირებ, მხოლოდ გონივრულ კომპრომისს გთავაზობთ.

– თამაშის წესებს აქ მე ვაწესებ და არა თქვენ, ქალბატონო!

– ვიცი... მაგრამ ჩემი არგუმენტები თქვენთვისაც სავსებით მისაღებია. იქნებ მოგესმინათ!

„ბიუსტი“ დადუმდა. სიჩუმე თანხმობის ნიშნად ჩავთვალე და განვაგრძე:

– როგორც მივხვდი, თქვენ არ გსურთ გავრცელდეს რაიმე ინფორმაცია ალეკო კვინტრაძისა დ მისი ოჯახის შესახებ. მე საქართველოსთან ყველანაირ კავშირს ვწყვეტ, თანაც იქ არავინ იცის, თურქეთში რომ ვიმყოფები და ამდენად, არავინ მომიკითხავს. ესე იგი, საქართველოში ინფორმაცია ვერ გავრცელდება. თურქეთში პირველად ვარ, აქაურობა უცხოა ჩემთვის, ნაცნობები არა მყავს და ენაც არ ვიცი. ესე იგი, ინფორმაციას აქაც ვერ გავავრცელებ. რაც მთავარია, თქვენ შეგიძლიათ ჩემზე ფარული თვალთვალი დააწესოთ და თითოეული ჩემი ნაბიჯი აკონტროლოთ, ყოველთვის გეცოდინებათ, რას ვსაქმიანობ... მე მგონი, რაც ვთქვი, თქვენთვის მიუღებელი არ უნდა იყოს.

– ეს თანამშრომლობა არ არის! – ჯიუტად გაიმეორა ჩემი თვითრჯულობით გაღიზიანებულმა „ბიუსტმა“.

– რასაც თქვენ ჩემგან ითხოვთ, „თანამშრომლობა“ კი არა, სამშობლოს ღალატია! რაც უნდა მოხდეს, ამაზე არასოდეს დაგთანხმდებით! – მტკიცედ განვაცხადე.

– გგონიათ, თქვენს პირობებს მივიღებთ? – ირონიულად მკითხა „ბიუსტმა“.

– მე არაფერი მგონია! უბრალოდ, ჩემი აზრი გამოვთქვი. მინდა ადამიანურად გთხოვოთ, სამართლიანობა გამოიჩინოთ. არ მესმის, რატომ უნდა დასაჯოთ ჩემი ახლობლები?! მით უმეტეს, კარგად იცით, რომ თქვენს წინააღმდეგ არ გავრჯილვარ და თქვენს „ორბიტაზეც“ შემთხვევით აღმოვჩნდი, – „ბიუსტის“ სინდისზე „შეგდებას“ შევეცადე. – გარდა ამისა, მინდა გითხრათ, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქის გადმოსაბირებლად მარტო მუქარა და დაშინება საკმარისი არ არის, ფსიქოლოგიური მომენტებიც უნდა გაითვალისწინოთ. „ობიექტი“ ან თავისი სურვილით უნდა თანამშრომლობდეს თქვენთან, ან მასზე სერიოზულ „კომპრომატებს“ უნდა ფლობდეთ. ჩემს შემთხვევაში კი გადმობირებისათვის აუცილებელი არც ერთი ბერკეტი არ მუშაობს: მე არც თანამშრომლობა მსურს და ჩემი მაკომპრომენტირებელი მასალებიც ბუნებაში არ არსებობს. მათ ხელოვნურად შექმნას აზრი არა აქვს, ადვილად „გასაშიფრია“ და იმიტომ. მე თქვენ „შპიონად“ არ გამოგადგებით! სამაგიეროდ, შეგიძლიათ გამოიყენოთ ჩემი ცოდნა იურისპრუდენციაში, თურქეთის კანონებსაც მალე შევისწავლი და კვალიფიციურ კონსულტაციას უსასყიდლოდ გაგიწევთ ხოლმე. ეს რა, თანამშრომლობა არ იქნება?!

– თქვენს წინადადებებს კომპეტენტურ ხალხს გადავცემ, – მითხრა „ბიუსტმა“ და მოულოდნელად ეკრანიდან გაქრა, საიდიც მას მიჰყვა და ოთახიდან გავიდა.

ია იაშვილმა თხრობა შეწყვიტა, – დავით დავითინიძისაგან მონათხრობის ობიექტურ შეფასებას ელოდა, შიშობდა – პოლკოვნიკს

სამშობლოს გამყიდველად და მოღალატედ არ ჩაეთვალა და შინაგანად ღელავდა. დავითინიძე მიხვდა იაშვილის სულიერ განწყობას და მინიშნებითი შეკითხვებით მიეხმარა:

– ქალბატონო ია, სერიოზულად გჯეროდათ, რომ ისინი თქვენს წინადადებას დათანხმდებოდნენ?

ცხადია, იაშვილი გრძნობდა პოლკოვნიკ დავითინიძის უსიტყვო მხარდაჭერას და კითხვებს გულწრფელად და გააზრებულად პასუხობდა:

– რა თქმა უნდა, არა, ბატონო დავით! არც მე ვარ მიამიტი და არც ისინი იყვნენ სულელები. უბრალოდ, კოლეგების მოლოდინში დროს ვწელავდი, რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ ქართული სპეცსამსახურები აუცილებლად მომძებნიდნენ. მეორეს მხრივ, თურქების უნდობლობის შერბილებას ოდნავ მაინც თუ მოვახერხებდი, როგორც კი შესაძლებლობა მომეცემოდა, გავიქცეოდი და ან ჩვენს საკონსულოს, ან თურქეთის პოლიციას ჩავბარდებოდი. იმ ტიპების ნდობას თუ ვერ მოვიპოვებდი, ალბათ მომკლავდნენ...

– რომ არ დაგთანხმებოდნენ და თქვენი ოჯახის წევრებისა და ნათესავების დევნა დაეწყოთ?

– არა მგონია... უბრალოდ, მუქარითა და დაშინებით ჩემზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახდენდნენ. მრავალრიცხოვანი ნათესაობა მყავდა, მართლა სათითაოდ ყველას ხომ ვერ ამოხოცავდნენ? რომელ ნორმალურ ქვეყანაშია შესაძლებელი დაუსჯელად ადამიანების მასიური ხოცვა-ჟლეტა? მაგრამ ზიანი ნებისმიერი ჩემი ერთი ახლობლისათვის მაინც რომ მიეყენებინათ, ცხადია, ეს ჩემთვის დიდი ტრაგედია და აუნაზღაურებელი დანაკლისი იქნებოდა. ამიტომაც შევთავაზე საქართველოსთან ყველანაირი კავშირის გაწყვეტა...

– რომ დაგთანხმებოდნენ, მაშინ რას იზამდით? უცხო ქვეყანაში საარსებო წყარო ხომ გჭირდებოდათ, ისევ მათ კმაყოფაზე მოგიწევდათ ყოფნა!

– არა, რას ბრძანებთ! მათ კმაყოფაზე ყოფნას არც ვაპირებდი და თვითონაც არ დახარჯავდნენ ფულს მათთვის უსარგებლო ადამიანზე! არანაირი პატიოსანი შრომა არ მეთაკილება და პირველ ხანებში, სანამ ნდობას მოვიპოვებდი, ჭურჭლის მრეცხავადაც მშვენივრად ვიმუშავებდი. ინგლისური და რუსული კარგად ვიცი და თურქულსაც მალე ავითვისებდი. არ „დავიკარგებოდი“, რამე სამუშაოს ვიშოვნიდი. გარდა ამისა, თუ ჩვენს საკონსულომდე ვერ მივაღწევდი, ადგილობრივ პოლიციამდე მისვლას ხომ მაინც როგორმე მოვახერხებდი! მესმის, რომ საბუთების არმქონე „არალეგალს“ იქაურ პოლიციასთან ურთიერთობისას ბევრი პრობლემა შემექმნებოდა, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა, კრიმინალური

დაჯგუფების მარიონეტად ყოფნას ყველაფერი მერჩივნა.

– ქიმიური ნივთიერებებითა და ნარკოტიკებით „დამუშავების“, ან სხვა სახის ზემოქმედების არ გეშინოდათ?

– გამოგიტყდებით, მეშინოდა, მაგრამ თავს ვიმშვიდებდი... ბევრი ვიფიქრე და შემდეგ დასკვნამდე მივედი: ვერ გეტყვით, რა წყაროებიდან, მაგრამ იმ თურქებმა ძალიან კარგად იცოდნენ, რომ მათ საწინააღმდეგოდ არაფერი მომიმოქმედებია და კვინტრაძეების ოჯახთან შეხებაში სრულიად შემთხვევით აღმოვჩნდი. რაც არ უნდა ყოფილიყო, უცხოელი ვიყავი და თანაც ჩინოსანი პოლიციელი, მათ კი საზღვარზე იძულებით გადმომიყვანეს, ფაქტობრივად გამიტაცეს და დამატყვევეს... იქით შემეძლო საერთაშორისო ორგანიზაციებში მეჩივლა... ჩემზე ფიზიკურ ზემოქმედებას აზრი არ ჰქონდა, რადგან ისედაც იცოდნენ, რომ მათთვის საინტერესო ინფორმაციას არ ვფლობდი და ჩემდამი შურისძიებაც არ ამოძრავებდათ. უფრო მარტივი ჩემი ლიკვიდაცია იქნებოდა, მაგრამ ეტყობა, შემდგომ გართულებებს მოერიდნენ. ცხადია, ესმოდათ, რომ უგზო-უკვლოდ დაკარგულ პოლიციის ოფიცერს ქართველები ძებნას დაუწყებდნენ და გამოძიების კვალი ორი ქვეყნის სამართალდამცავებს მათთან მიიყვანდა, რაც ბანდის გამოაშკარავებასა და დაშლას გამოიწვევდა. ამიტომ ერჩივნათ ცოცხალი და უვნებელი ვყოფილიყავი, ყოველ შემთხვევაში, საწყის ეტაპზე მაინც.

– კი მაგრამ, ფაქტია, რომ ქართულმა პოლიციამ ვერ მოგაგნოთ... მიზეზზე არ გიფიქრიათ? ხომ შეიძლებოდა, კოლეგებს ან ვერ ეპოვეთ, ან საერთოდ არ მოეძებნეთ, ან რამეში დაედანაშაულებინეთ?

– არა, ბატონო დავით, ეს აზრადაც არ მომსვლია, – ჩაფიქრდა იაშვილი, – იმიტომ, რომ „მესიჯი“ ახლო მეგობრებს გავუგზავნე, კანონსაწინააღმდეგო, ან ოფიცრისათვის შეუფერებელი საქციელი არ ჩამიდენია. ამასთან, ჩემი კოლეგების პროფესიონალიზმში სავსებით დარწმუნებული ვიყავი და მჯეროდა, ჩემი მოძებნა სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაში წარმოქმნილი ბიუროკრატიული პროცედურების გამო ჭიანურდებოდა. მეც მოთმინებით ველოდი. იმასაც ვაცნობიერებდი, რომ სამშობლოში დაბრუნებამდე შესაძლოა, დიდი დრო გასულიყო.

– თქვენს მიერ „მესიჯის“ გაგზავნის ფაქტი სისხლის სამართლის საქმის მასალებში არ დაფიქსირებულა. როგორ გგონიათ, თქვენმა „უახლოესმა კოლეგებმა“, როგორც თქვენ უწოდებთ, რატომ არ განაცხადეს? მათ რომ ეს თავიდანვე ეთქვათ, იქნებ თქვენს წინააღმდეგ საქმე არც აღძრულიყო.

– ვერაფერს გეტყვით, ნამდვილად არ ვიცი, რა მოხდა... ისე, „წითელი“ ცირკულარით მსოფლიოში თუ მეძებდნენ, ჩემს ასავალ-დასავალს

როგორ ვერ მიაგნეს? თუმცა, არც მიკვირს, რადგან კოსმოსში „გამიშვეს“ და ჩემი კვალიც დაიკარგა...

– მოკლედ, პასუხი ყველა კითხვაზე გაქვთ, – სიცილით აღნიშნა დავითინიძემ, – მაგრამ თქვენი ვარაუდები ერთია, არსებული რეალობა კი – მეორე. ასე არ არის?

– ბატონო პოლკოვნიკო, – მოიღუშა იაშვილი, – ყველა შესაძლო სიტუაცია გათვლილი მქონდა და თქვენთვის პასუხის გაცემა ამიტომაც არ გამჭირვებია. მობილური ტელეფონების მუშაობისას ტექნიკური ხარვეზის წარმოქმნის ალბათობასაც კი ვითვალისწინებდი. იქნებ ტექნიკური შეფერხების გამო, ჩემს კოლეგებს ჩემი გაგზავნილი „მესიჯები“ არ მიეღოთ და თურქეთის ტერიტორიაზე ჩემი ყოფნის თაობაზე საქართველოში მართლა არავის სცოდნოდა? რბილად რომ ვთქვათ, მეტად არასახარბიელო და საჩოთირო სიტუაციაში აღმოვჩნდი... ბატონო დავით, შექმნილ ვითარებაში როგორ უნდა მოვქცეულიყავი? ორი არჩევანი მქონდა: ან აგენტობაზე უნდა დავთანხმებულიყავი, ჩამოვსულიყავი საქართველოში და ყველაფერი ჩემი ხელმძღვანელობისათვის მომეხსენებინა, ან ე.წ. „თანამშრომლობაზე“ კატეგორიული უარი მეთქვა. ორივე შემთხვევაში ერთ შედეგს მივიღებდი: ჩემი ახლობლების სიცოცხლე საფრთხის ქვეშ დადგებოდა. რა, საკუთარი ტყავის გადასარჩენად, ნათესავების სიცოცხლით მევაჭრა?!! ამას ვერასოდეს და არასოდეს გავაკეთებდი!

– საიდან გაიგებდნენ ბანდიტები, ხელმძღვანელობას თქვენს „თავგადასავალს“ თუ მოუყვებოდით? ეს ხომ კონფიდენციალური ინფორმაცია იქნებოდა და სულ რამდენიმე კაცს ეცოდინებოდა? – დავითინიძეს ყველაზე მეტად ამ შეკითხვის პასუხი აინტერესებდა.

– ჯერ ერთი, მე არ ვიცოდი, რა მისწრაფებებისა და კავშირების მქონე ხალხთან მქონდა საქმე და კონკრეტულად რა სახის დავალებების მოცემას აპირებდნენ. მეორეც, ეჭვი არ შემპარვია, რომ თავიდან, ჩემი მათდამი ლოიალობის შესამოწმებლად, „გამოცდას“ საქართველოში, ჩემთვის უცნობი „ტესტის“ მიხედვით, მოულოდნელ დროსა და ვითარებაში „ჩამიტარებდნენ“. მე კი ე.წ. „ინფორმაციულ ვაკუუმში“ ვიმყოფებოდი და მათი ქმედებების ადექვატურად შეფასება, სწორი დასკვნების გამოტანა, შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება და სწრაფი კონტრქმედება პრაქტიკულად არ შემეძლო. ამ „ტესტით“ ისინი ძალიან ადვილად მიხვდებოდნენ, რომ „შეთანხმება“ დავარღვიე, რაც ჩემი ნათესავების სიცოცხლით მანიპულირებას ნიშნავდა. ამიტომაც არ შემეძლო რისკზე წასვლა და ჩემი კოლეგებისათვის დახმარების თხოვნა... გარდა ამისა, თუ მე თურქებთან „თანამშრომლობაზე“ დავთანხმდებოდი, ჩემი უეჭვე-

ლი „ჩაჭერისა“ და, საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს სამართალ-დამცავებთან შემდგომი დისკრედიტაციის მიზნით, ალბათ გარკვეულ დიდ თანხას თავიდანვე ჩამირიცხავდნენ ანგარიშზე. თბილისში დაბ-რუნებულს კი თავი უნდა მემართლებინა, საიდან აღმომაჩნდა ამდენი ფული... ბევრი ფიქრისა და განსჯის შედეგად ჩავთვალე, რომ მოცემულ ვითარებაში უმჯობესი იქნებოდა, თუ საქართველოში რაღაც პერიოდი არ დავბრუნდებოდი, დროებით თურქეთში დავრჩებოდი და სამშობ-ლოში დასაბრუნებლად ხელსაყრელ მომენტს დაველოდებოდი.

– ჩვენს საკონსულოს, ან თურქეთის პოლიციას თუ ჩაბარდებოდით, ბანდიტები თქვენს გასამწარებლად თქვენივე ნათესავებზე შურს არ იძიებდნენ?

– არა მგონია, ვერ მოასწრებდნენ... ჯერ ერთი, თურქეთის პოლიცია ბანდიტების სისხლისსამართლებრივ დევნას დაიწყებდა. მეორეც, საერ-თაშორისო სკანდალი „აგორდებოდა“, აქედან გამომდინარე შედეგებით.

– მსგავსი „რამეები“ ასე მარტივად არ ხდება ხოლმე, ჩემო კარგო, – იაშვილის მოსაზრების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება თავის გაქნევითა და ხელების გაშლით გამოხატა დავითინიძემ, – პოლიცია მხოლოდ თქვენი ბუნდოვანი ჩვენებების საფუძველზე ბანდიტებს ვერ დაიჭერდა, მტკიცებულებებიც ხომ დასჭირდებოდათ?! თანაც ამბობთ, მრავალრიცხოვანი „ორგანიზაცია“ იყოო... კვალის აბნევა და მიმალვა არ გაუჭირდებოდათ.

– შესაძლოა, – დაეთანხმა იაშვილი, – მაგრამ მაშინ არჩევანის დიდი თავისუფლება არ მქონდა, გადაწყვეტილება ექსტრემალურ სიტუაციაში უნდა მიმეღო და იმ მომენტში უკეთესი ვერაფერი მოვიფიქრე.

პოლკოვნიკის კითხვებზე პასუხმა იაშვილს მოვლენათა მისეული შე-ფასების ამომწურავად გადმოცემის საშუალება მისცა და თხრობა მნიშ-ვნელოვნად გაუადვილა.

– კარგი... ამაზე საუბარს ახლა რაღა აზრი აქვს, – „გადაბირების მცდელობის საკითხი“ განხილულად ჩათვალა იაშვილის პასუხებით კმაყოფილმა დავითინიძემ. – შესვენება თუ გსურთ, შევისვენოთ, თუ არა – მუშაობა განვაგრძოთ, საინტერესოა, შემდეგ რა მოხდა.

– რა თქმა უნდა, ბატონო დავით, მუშაობა უნდა გავაგრძელოთ, – შესვენება არც უფიქრია იაშვილს.

***

„უცნაური რეტრომანი“ ხელმოსაჭიდი ინფორმაციისა და მტკიცებ-ულებების არქონის მიზეზით, გამოძიების გაჭიანურების გამო, ღელავდა და დავითინიძისათვის სათქმელის ბოლომდე და დროულად გაზიარებას

ჩქარობდა. იმედოვნებდა, რომ მისი მონაყოლი გამოძიებას წაადგებოდა და ცდილობდა ყველა უმნიშვნელო წვრილმანიც კი გაეხსენებინა.

– სიმართლე გითხრათ, ეკრანიდან „ბიუსტის“ ასე უეცარი „გაქრობა“ გამიკვირდა, – თხრობა განაგრძო იაშვილმა, – მეგონა, ცოტას კიდევ „წამევაჭრებოდა“. მარტო რომ დავრჩი, გონებაში ჩვენი „საუბარი“ ხელახლა „გადავახვიე“, მაგრამ ერთმნიშვნელოვანი დასკვნა ვერ ჩამოვაყალიბე... მტანჯველ ფიქრებს ვერაფრით ვიშორებდი და „ბიუსტთან“ დალაპარაკებას მოუთმენლად ველოდი.

„ბიუსტი“ მხოლოდ სამი საათის შემდეგ გამოჩნდა და საიდის პირით მამცნო:

– ხელმძღვანელობამ იმსჯელა და ჩათვალა, რომ თქვენნაირი სულელი ადამიანი თანამშრომლობის ღირსი არ არის, თქვენ მდიდრულ და უზრუნველ ცხოვრებას არ იმსახურებთ. არაცხოვრებისეული და არაპრაქტიკული იდეებით ცხოვრობთ, თითქოს დედამიწაზე კი არ დადიოდეთ, ცაში დაფრინავდეთ.

– ბრძენი ხელმძღვანელობა გყოლიათ, დიდად გმადლობთ, – აგდებულად ვუპასუხე, გულში გამარჯვებას ვზეიმობდი. ირონია, ალბათ, სახეზეც შემეტყო.

– შაყირობ კიდეც! ბედი გქონია, რომ „ბოსს“ შეეცოდე და გამოგესარჩლა, თორემ ცოცხალი ვერ გადარჩებოდი! – მიმართვის „შენობით“ ფორმაზე გადავიდა „ბიუსტი“.

– არა, რა შაყირი, – სახე „დავალაგე“, – პირიქით, მიხარია და მადლობელი ვარ, რომ არ მომკლეს.

– „მოკეტე“ და ლაპარაკი მაცალე! შენი მადლობა არავის სჭირდება... აი, ცაში ფრენა რომ გიზიდავს, სწორედ ამიტომ გადაწყვიტა „შეფობამ“ შენი კოსმოსში გაშვება.

– რა კოსმოსი?! – მეგონა ბოროტად ხუმრობდა.

– რაც გაიგე! იქნებ თბილისში დაბრუნებას ელოდი? იქ თქვენს „საძაღლეთში“ კარგად „ჩაგვიშვებდი“, არა?! აი, შენზე რომ თქვეს, „ტუტუცი დედაკაცია, იდიოტივით აზროვნებს და ბრიყვულად იქცევა“-ო, არ შემცდარან! – ამჯერად „ბიუსტმა“ დამცინა, მაგრამ საპასუხო თავდაცვითი „შეღრენის“ სურვილი არ გამჩენია.

– როგორ, კოსმოსში უნდა გავფრინდე?! – ყურებს არ ვუჯერებდი.

– როგორ და „ჭრელად“! გგონია, გატყუებ? არა, ლამაზო, სიმართლეს გეუბნები, ტყუილი რაში მჭირდება? ყველაფერი უმაღლეს დონეზეა გადაწყვეტილი! მაგრამ ეგ მე აღარ მეხება, ამაზე სხვები დაგელაპარაკებიან. ჩემდა თავად გაფრთხილებ: ამჯერად შენი ნათესავები აღარ გვაინტერესებს, მაგრამ აქ ყოფნის შესახებ სამუდამოდ თუ არ დაივიწ-

ყებ, დედაბუდიანად ამოგხოცავთ. ალბათ, გესმის რასაც ვამბობ!

– დიახ, დიახ... ყველაფერი გასაგებია, უკვე დავივიწყე, – ვგრძნობდი, ენა როგორ მიბუჟდებოდა და ძლივს ამოვღერღე.

– მე წავედი, მშვიდობით! წესიერად მოიქეცი და სისულელეები აღარ ჩაიდინო! – „ჭკუა დამარიგა“ „ბიუსტმა“ და ეკრანიდან გაქრა. რა თქმა უნდა, საიდიც „გაშპა“.

კოსმოსში ვის და რანაირად უნდა „წავეყვანე“, ვერაფრით წარმომედგინა. „ბიუსტის“ ნათქვამი თავიდან მონაჩმახად და დაშინების მორიგ მცდელობად მივიჩნიე: „ესენი ხო არ „უბერავენ“, კოსმონავტიკასთან მე რა შეხებაში ვარ? ეს ხომ სრული აბსურდია! ჩემს მიმართ რა მოიმოქმედონ ჯერ ვერ გადაუწყვეტიათ, უაზრობებით „მაბოლებენ“ და დროს ჭიმავენ“-მეთქი, ვფიქრობდი. მაგრამ კარგად რომ „ჩავუღრმავდი“, „ბიუსტის“ სიტყვები არცთუ ისეთ ალოგიკურ სისულელედ მომეჩვენა.

თუ „ბიუსტი“ სიმართლეს ამბობდა და ვიღაცის ავადმყოფური იდეა, ჩემი კოსმოსში „გასტუმრების“ თაობაზე, ტექნიკურად და სამართლებრივად შესაძლებელი იყო, მაშინ ცხადია, რომ მათი „ბოსის“ მიერ ჩემი „შეცოდებაც“ ამ იდეიდან გამომდინარეობდა... რატომაც არა? „კოსმოსის იდეა“ წარმოადგენდა დახვრეტის ტოლფას ალტერნატივას და ჭუჭყიანი კვალის წარმატებულად წაშლის შესაძლებლობას. იდეის განხორციელებით ბანდიტები თავის „პროგრამა-მინიმუმს“ შედეგიანად შეასრულებდნენ: დამადუმებდნენ და თავიდან მომიშორებდნენ.

გარდა ამისა, კოსმოსში ხომ საექსპერიმენტო ობიექტადაც გამოვდგებოდი?! ისტორიულად ცნობილი ფაქტია, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს ფაშისტები ადამიანებზე შემზარავ ექსპერიმენტებს ატარებდნენ! ის ვიღაცა ჩემს „წაყვანას“ ალბათ ამ მიზნით თუ დათანხმდებოდა!

ძალიან გავნერვიულდი: შემეშინდა და საკუთარი თავი შემეცოდა. თავს ვერ ვიკავებდი – თვალთ ცრემლი მადგებოდა. არ მინდოდა ამ ვიღაცეებს მტირალი და სულიერად გატეხილი ვეხილე, ამიტომ ოთახში მიმალულ სათვალთვალო მოწყობილებებს მოვერიდე, სააბაზანოში გავედი და გულამოსკვნილი ავტირდი...

იმ დღეს აღარავინ „შემხმიანებია“, ალბათ, „ახალ ამბავთან“ შესაგუებლად დრო მომცეს. მეორე დილამდე ლოცვასა და ფიქრში გავატარე და ასე თუ ისე, ცოტა დავმშვიდდი.

– მერე, თქვენი შიში გამართლდა? – ჰკითხა ქალს შეშფოთებულმა დავითინიძემ.

– ნაწილობრივ, – უპასუხა თვალცრემლიანმა იაშვილმა, – მაპატიეთ, ამის გახსენებაც კი მიმძიმს.

– რა მოხდა? – ხმა და სახის გამომეტყველება შეეცვალა პოლკოვნიკს, – გაწამეს?

– არა, ბატონო დავით, ფიზიკურად არასდროს შემხებიან, პირიქით, თავაზიანადაც კი მექცეოდნენ, მაგრამ ადამიანზე განუწყვეტელი ფსიქოლოგიური ზემოქმედება წამების ერთ-ერთი ფორმაა! ფაქტია, რომ ვერტმფრენში ასვლის მომენტიდან მოქმედების თავისუფლება შეზღუდული მქონდა, თვალჩაციებული დაკვირვების ობიექტი ვიყავი და დღემდე ასეთად ვრჩები! განა ეს ყველა ნორმალური ადამიანისათვის დამამცირებელი არ არის?! მე კი ამ მდგომარეობას 40 წელია მორჩილად ვიტან!

– ცუდზე ნუ იფიქრებთ, – ამშვიდებდა იაშვილს დავითინიძე, – გამოძიება ყველასა და ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს, უსიამოვნო მოგონებები წარსულში დაგრჩებათ და ცხოვრებას ჩვეული რიტმით განაგრძობთ.

– გავიწყდებათ, რომ 75 წლის მოხუცი ვარ და 40 წელიწადია თბილისში არ ვყოფილვარ! – ცრემლს მალავდა იაშვილი, – ჩემთვის ახალი ცხოვრების დაწყება არც ისე ადვილი იქნება და არც კი ვიცი, მინდა ეს, თუ არა!

– ოოო, თქვენისთანა მამაც ქალბატონს ასეთი პესიმიზმი არ გეკადრებათ! – გამამხნევებლად იღიმებოდა პოლკოვნიკი, – ნუ სტირით, ქალბატონო ია, ახალგაზრდა ადამიანის ჯანმრთელობა გაქვთ, ყველაფერი კარგად იქნება! თუ გსურთ გამოძიება წინ წავწიოთ, თხრობა განაგრძეთ, რომ თქვენგან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ჩემს ბიჭებს დავალებები დროულად მივცე!

– უკაცრავად, ბატონო დავით, ცრემლი თავისთავად წამომივიდა, რაც სამშობლოში დავბრუნდი, ზედმეტად სენტიმენტალური გავხდი, – შერცხვა იაშვილს.

– ეგ არაფერი... განვაგრძოთ, არა? – დროს უფრთხილდებოდა პოლკოვნიკი.

– დიახ, რა თქმა უნდა.

– ძალიან კარგი... რადგან გალაქტიკის საუკეთესო მთხრობელი ბრძანდებით, თქვენს განკარგულებაში მიგულეთ! – იაშვილის გასამხნევებლად იხუმრა დავითინიძემ.

თავი III. ტყვეობა გემზე

დავითინიძის ნათქვამზე იაშვილს გაეღიმა.

– დილით საიდმა თავიდან ფეხებამდე თეთრებით შემოსილი არსება

შემომიყვანა, – გახუმრება თვითონაც სცადა იაშვილმა, – როგორც ყოველთვის, თავაზიანად მომესალმა და ძალიან ჩვეულებრივად, თითქოს საქმე კოსმოსში გაფრენას კი არა, ეზოში გასასეირნებლად მიწვევას ეხებაო, მითხრა:

– უკვე იცით, რომ კოსმოსში მიფრინავთ. ექიმი გაგსინჯავთ და ანალიზებს აგიღებთ.

ეს „მედპერსონა“ ისე იყო შეფუთული, რომ მხოლოდ თვალის ჭრილი უჩანდა, ერთ ხელში სამედიცინო ჩანთა, მეორეში კი – პატარა ბლოკნოტი და საწერ-კალამი ეჭირა. მისი დანახვა არ მესიამოვნა, საიდმა შემატყო და ღიმილით თქვა:

– არ შეშინდეთ, ქალბატონი ექიმი არაფერს დაგიშავებთ. კოსმოსში გაფრენის წინ სამედიცინო შემოწმება აუცილებელია. ჯანმრთელი ადამიანის შთაბეჭდილებას კი ტოვებთ, მაგრამ ექიმი წნევასა და სიცხეს მაინც გაგიზომავთ, გულსა და ფილტვებს მოგისმენთ, მუცლის ღრუს მოგისინჯავთ, კბილებს დაგითვალიერებთ და ა.შ., ანუ ჩვეულებრივად გაგსინჯავთ. შემდეგ ბიოლოგიურ მასალას შეაგროვებს და ლაბორატორიაში გამოკვლევაზე წაიღებს. პასუხები რამდენიმე საათში მზად იქნება.

– რა აინტერესებთ, რამე ხომ არ მჭირს, უწონადობის პირობებს ავიტან თუ არა? იქნებ არც ღირდეს ჩემზე დროის დაკარგვა და აქვე მიმახვრიტონ?

– ასე ნუ ამბობთ, ქალბატონო! მენდეთ, საშიში არაფერია, – მამშვიდებდა საიდი, – დამიჯერეთ, კოსმოსშიც კი უსაფრთხოდ იქნებით! ხელმძღვანელობამ ასე გადაწყვიტა.

რა თქმა უნდა, არ დავუჯერე, ჯერ უნდა მეთქვა: „უსაფრთხოდ ყოფნა იმას ხომ არ ნიშნავს, რომ არ მომკლავენ, რათა შემდგომში ჩემზე ექსპერიმენტები ჩაატარონ?!“- მეთქი, მაგრამ თავი შევიკავე, იქნებ მართლა არაფერს მერჩოდნენ და ამ საშინელ იდეას თვითონვე ხომ არ მივაწვდიდი?

სანამ „ქალბატონი ექიმი“ გულდასმით მსინჯავდა და მონაცემებს ბლოკნოტში ინიშნავდა, საიდი ჩვენსკენ ზურგშექცევით, ცხვირზე „კომიქსებ“ აფარებული წყნარად იჯდა და მის მითითებებს მითარგმნიდა.

„თეთროსანი“ პროფესიონალი ექიმი აღმოჩნდა, სამუშაო დაახლოებით ორმოც წუთში დაასრულა და ოთახიდან საიდთან ერთად გავიდა. შემდეგ ჩადრიანმა ქალმა საუზმე შემომიტანა. შიმშილობის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა და ვისაუზმე. მივხვდი, რომ საღამომდე „სიმშვიდე დაისადგურებდა“ და დავიძინე.

საიდი იმავე საღამოს დაბრუნდა და ნახევრად მძინარე „გამახარა“:

– გილოცავთ, შესანიშნავი ჯანმრთელობა გქონიათ!

უპასუხოდ დავტოვე, ლაპარაკი მეზარებოდა.

– მოსამზადებლად ნახევარი საათი გაქვთ, გავდივართ!

– სად მივდივართ, იუპიტერის მეორე რგოლზე? – ვკითხე გაღიზიანებულმა.

– არა, გემზე, – მიპასუხა მშვიდად.

– მერე და, გემზე რა დამკარგვია?

– კოსმოსში ამ სახლის სახურავიდანვე ხომ ვერ გაფრინდებით?

– რა, გემით უნდა გავფრინდე?

– გეყოფათ, მე რას მერჩით?! თქვენდამი ყოველთვის თავაზიანი ვიყავი და არაფერი მიწყენინებია, – „გაიბუტა“ საიდი.

– ეგ მართალია... მადლობას კი მოგახსენებთ, საიდ-ბეი, მაგრამ თქვენც „იმათიანი“ ხართ და ნუ გეწყინებათ, მეგობრად თუ არ მიმაჩნიხართ.

– მე მხოლოდ თარჯიმანი ვარ!

– იყავით მერე, თქვენი პროფესია არ მაინტერესებს! ჯობს მითხრათ, რა გემია?

– რისი ცოდნაც თქვენთვის საჭიროა, ადგილზე ნახავთ და მოისმენთ, – შეკითხვაზე არ მიპასუხა საიდმა, – დაუჩქარეთ, გველოდებიან! მე წავედი!

სამგზავროდ მოსამზადებლად დიდი დრო არ დამჭირვებია, ბარგი უნდა ჩამელაგებინა, თუ რა?! გადაწყვეტილი მქონდა, გზაში გავქცეულიყავი და ხელსაყრელ მომენტს ველოდებოდი.

საიდი შეპირებულ დროს დაბრუნდა. ეზოში გამოვედით, დაღამებულიყო. ორმოცდაათიოდე მეტრში გაჩერებული ავტომანქანის მიმართულებით ნელი ნაბიჯით წამიყვანა და გზად ჩუმად გამაფრთხილა:

– გაქცევა არ გაბედოთ! ეზო ვიდეო-კამერებით კონტროლდება.

საიდისაგან ასეთ მიხვედრილობას არ მოველოდი.

– ვხედავ!.. რატომ დაასკვენით, რომ გავიქცევი?

– თქვენგან არ გამიკვირდება... ჩვენს მანქანას თავიანთ ხალხს გამოაყოლებენ, გაქცევის შანსი არა გაქვთ, მაინც გიპოვნიან და დაგაბრუნებენ!

– ვნახოთ... იქნება გამიმართლოს?!

– სიკვდილს ნუ ეძებთ, შეგნებულად არ მოგკლავენ, მათ ცოცხალი სჭირდებით.

– რატომ?

– არ ვიცი.

– ადგილობრივ პოლიციამდე მიღწევაში მაინც დამეხმარეთ!

– გაგიჟდით, მომკლავენ!

ამასობაში ავტომობილთან მივედით. საიდმა ლაპარაკი შეწყვიტა და დანიშნულების ადგილამდე ხმა არ ამოუღია. ეტყობა, მანქანაში ჩამონტაჟებული „ჟუჩოკის“ ეშინოდა. მგზავრობისას ჩვენს სიახლოვეს მოძრავი ავტომობილის ძრავის გუგუნი ყურში უსიამოვნოდ ჩამესმოდა...

ერთ საათში ზღვის უკაცრიელ ნაპირს მივაღწიეთ. უკუნეთი სიბნელე იდგა. საიდმა ფარები ჩააქრო, მანქანიდან გადავიდა, პორტატული სანათი აანთო და ზედ ნაპირთან მცურავ, ოდნავ განათებულ კატარღაზე მყოფ ორ მამაკაცს თურქულად ხმადაბლა შეეხმიანა. პასუხის მიღების შემდეგ, ავტომანქანის კარი გამომიღო. კენჭებშერეულ ქვიშაზე გადმოვედი და კატარღისაკენ გავეშურეთ.

– სანამ მე არ გეტყვით, არ დაილაპარაკოთ და ეცადეთ, რაც შეიძლება უხმაუროდ იმოძრაოთ, – გამაფრთხილა საიდმა.

ზღვა სტუმართმოყვარედ შეგვხვდა და კატარღაც მსუბუქად მისრიალებდა. გეზი ნავსადგურთან ახლოს დავანებული, ნაირფერი ნათურებით განათებული იახტისაკენ გვეჭირა, რომელსაც თხუთმეტიოდე წუთში მივუახლოვდით. საკმაოდ კარგი ხილვადობა იყო და გემის ბორტზე დიდი ასოებით, ლამაზად მოხატული მისი სახელი შორიდანვე დავლანდე, იახტას „BEAUTIFUL SPACE”-ი ერქვა და ზედ ჩემთვის უცნობი, სამკუთხედიანი და ვარსკვლავებიანი ჭრელი დროშა ფრიალებდა.

მოგეხსენებათ, ინგლისურიდან „Beautiful Space“ ითარგმნება, როგორც „ლამაზი ადგილები“ და კონტექსტში ლამაზი ბუნება იგულისხმება, ამასთან სიტყვა „space“ ასევე შეიძლება თარგმნო, როგორც „სივრცე“, ან „კოსმოსი“. ანუ, სიტყვათა თამაშია, რა... ეს მაშინათვე „დავაფიქსირე“, მაგრამ ვაღიარებ, რომ დროშა „ვერ ვიცანი“ და ვერაფრით მივხვდი, თუ რომელი ქვეყნის საკუთრებას წარმოადგენდა გემი.

იახტაზე კიჩოს მხრიდან უხმაუროდ ავედით. იქვე ბორტთან ვიღაც „ტიპი“ შეგვხვდა, მე და საიდი გემბანზე გაგვიყვანა და რომელიღაც კაიუტასთან მიგვიყვანა. კაიუტაში შესულებს კაპიტნის ფორმაში ჩაცმული, სკანდინავიური გარეგნობის, მაღალი და წარმოსადეგი მამაკაცი დაგვხვდა, ორივეს ინგლისურად მოგვესალმა, ხელი ჩამოგვართვა და დასაჯდომად მიგვიწვია. როგორც კი დავსხედით, ირგვლივ მიმოვიხედე. კაიუტა პატარა იყო, კაცი მას „სასტუმროს ნომერს“ გაჭირვებით თუ დაარქმევდა. ეტყობა, ფართს თავიდან სხვა დანიშნულება ჰქონდა და „კაიუტად“ მერე გადააკეთეს.

– უკაცრავად, მესმის, რომ ეს შესაფერისი ადგილი არ არის, – მოი-

ბოდიშა კაპიტანმა, – მაგრამ სხვა გზა არა გვაქვს, ყველა კაიუტა დაკავებულია. ტურისტული სეზონი ჯერ არ დამთავრებულა და... ვიწროდ კი იქნებით, მაგრამ იმედია, როგორმე მოთავსდებით და ერთმანეთს ხელს არ შეუშლით.

„ეს კაპიტანი ან ამორალური ტიპია, ან ბრიყვი! აქ საიდთან ერთად რა მინდა?“- მეთქი, გადავირიე, მაგრამ საიდის პასუხი მაინტერესებდა და არაფერი მითქვამს.

– ლედი ჩემს საზოგადოებაში თავს უხერხულად იგრძნობს! იქნებ ჩემთვის სხვა ადგილი მოგეძებნათ? – სთხოვა საიდმა კაპიტანს.

– რამდენადაც ინფორმირებული ვარ, ქალს გემზე მყოფ პირებთან კონტაქტში შესვლის უფლება არა აქვს... კარგად იცით, რომ მთელი ერთი თვე გზაში უნდა გავატაროთ, ამიტომ თქვენი დახმარება აუცილებლად დაგვჭირდება მეც და ლედისაც. ჩემი კაიუტა აქვე ახლოსაა, ვწუხვარ, მაგრამ ალბათ ხვდებით, რომ შორს ვერც თქვენ გაგიშვებთ, ახლომახლო კი თავისუფალი ადგილი არა მაქვს, – შეუვალი იყო კაპიტნი.

საიდს არც თავისი და არც კაპიტნის სიტყვები ჩემთვის არ გადმოუთარგმნია, შეშფოთებული სახით მდუმარედ იდგა და ხან მე შემომხედავდა, ხან კაპიტანს. ენის ცოდნის დამალვას აზრი აღარ ჰქონდა, ამიტომ საიდს „მივეხმარე“:

– თარჯიმანი არ დამჭირდება, – ინგლისურად მივმართე კაპიტანს, – მიეცით უფლება მისტერ საიდს სხვაგან მოთავსდეს.

ორივემ გაკვირვებით შემომხედა. საიდმა წარბები აზიდა და თავის ქნევით განაცხადა:

– ამას ადრევე უნდა მივმხვდარიყავი, ეს ხომ ნათლად ჩანდა! ესე იგი, მთელი ეს დრო ტყუილად ვირჯებოდი, ყველაფერი გესმოდათ, რასაც გელაპარაკებოდნენ, არა?!

– თქვენ კარგი კაცი და ნამდვილად ბრწყინვალე თარჯიმანი ხართ, საიდ ბეი, – დამსახურებულად შევაქე საიდი, – მაგრამ ვერ ვხვდები, ჩემი საქციელი რატომ გწყინთ! ჩემს ადგილას რას იზამდით, თავდამსხმელებს უბრძოლველად ჩაბარდებოდით?

– ამაზე სხვა დროს ვისაუბროთ, – მოიღუშა საიდი.

– მის იაშვილი, – ოფიციალურად მომმართა კაპიტანმა, – როგორც ვხედავ, ინლისურ ენას შესანიშნავად ფლობთ! ეს კარგია, მისტერ საიდის სხვაგან მოთავსება პრობლემებს არ შეგვიქმნის... თქვენ ამ კაიუტაში განცალკევებით იცხოვრებთ, მაგრამ იცოდეთ: კაიუტიდან გამოსვლა სასტიკად გეკრძალებათ. გაფრთხილებთ, – გემის მთელი ტერიტორია ვიდეოკონტროლზეა! ყოველ საღამოს 22 საათსა და 30 წუთზე ან საიდი, ან მე შემოგივლით ხოლმე და სუფთა ჰაერზე ერთი საათით გასეირ-

ნების საშუალებას მოგცემთ. აქვეა სააბაზანო და საკვებით, წყლითა და ყველა აუცილებელი ნივთით სავსე კარადა. საყოფაცხოვრებო ნაგავს სპეციალურ პარკებში ჩაყრით და სასეირნოდ გასვლამდე კაიუტის გარეთ დატოვებთ. ლეპტოპი მაგიდაზეა, ვფიქრობ, არ მოიწყენთ: ახალი კომპიუტერული თამაშები, კინოფილმების, კლიპებისა და კონცერტების ჩანაწერები და კროსვორდების სქელტანიანი ჟურნალი თქვენს პირად განკარგულებაში იქნება... თუ ჩვენს მითითებებს ზედმიწევნით შეასრულებთ, სანერვიულოც არაფერი გექნებათ.

– ყველაფერი გასაგებია... გმადლობთ, რომ ჩემი თხოვნა გაითვალისწინეთ, სერ, – კეთილგონიერება გამოვიჩინე და „ნიანგთან“ და „ბეჰემოტთან“ „მოსისხლე მტრობას“ ისევ „ჯიგრული ძმაკაცობა“ ვამჯობინე.

– არაფრის! – წამოდგა კაპიტანი. – ჩვენი წასვლის დროა, ნახვამდის, მემ!

– ძილი ნებისა, ია-ხანუმ! – ადგა საიდიც.

– კარგად ბრძანდებოდეთ, ჯენტლმენებო, – ორივე კარებამდე მივაცილე და თავაზიანი ღიმილით გამოვისტუმრე.

კარები შიგნიდან ჩავკეტე და ისიც გავიგონე, თუ როგორ გამომკეტეს გარედან. გული ჩამწყდა, მაგრამ თავი გავიმხნევე: „სამაგიეროდ, დავისვენებ და ამათ „სიფათებს“ ხვალ ღამემდე აღარ დავინახავ!“-მეთქი.

დრო თავზე საყრელად მქონდა და იქაურობა დაკვირვებით დავათვალიერე: გარეთ რომ არ გამეხედა, ილუმინატორზე ჟალუზი ჩამოეფარებინათ; ორი გასაშლელი ტახტი და მაგიდა იატაკზე იყო დამაგრებული; კედლებში ჩამონტაჟებულ კარადებში საკვები და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთები ელაგა. მაგალითად, ბოსტნეულისა და ხორცის კონსერვები, პურის ორცხობილა, ტომატისა და ხილის წვენების პაკეტები, მტკნარი და მინერალური წყლების ბოთლები, ლოგინი, თეთრეული, საპონი, კბილის ჯაგრისი და ა.შ. მაგიდის ქვეშ მოთავსებულ ოთხ დიდ ჩანთაში კი ჩემი ზომა, ყველა სახის, საზაფხულო და საშემოდგომო ყოველდღიური ტანსაცმელი და ფეხსაცმელი ჩაეწყოთ, რაც ნამდვილად მჭირდებოდა, რადგან გამოსაცვლელი არაფერი მქონდა. იქაურობა რომ „შევისწავლე“, ლოგინი გავიშალე და დავიძინე...

მგზავრობა მთელ თვეს გაგრძელდა. იახტა გზად პორტებში შედიოდა და ერთი-ორი დღე რჩებოდა ხოლმე. თუ არ ვცდები, სამ თუ ოთხ პორტში შევიდა, ზუსტად არ მახსოვს... სამწუხაროდ, გაქცევა ვერ შევძელი – კარგი მოცურავე არა ვარ და გემიდან გადახტომა ვერ გავბედე. ვაღიარებ, სიკვდილი არ მინდოდა...

ჩემდა ბედად, „კრუიზის“ განმავლობაში ძლიერი შტორმი არ ყოფილა. კაპიტნის ნებართვითა და მეთვალყურეობით, საღამოობით გემ-

ბანზე ვსეირნობდი: ზღვის ტალღებს ვუსმენდი, გრილი ჰაერით ფილტვებს ვიბერავდი, მთვარესა და ვარსკვლავებს აცრემლებამდე ვუმზერდი, საყვარელ ადამიანებს ვიხსენებდი, განვლილ ცხოვრებასა და დაშვებულ შეცდომებს ვაანალიზებდი და კოსმოსში გამგზავრებაზე შეწუხებული ვფიქრობდი. არ მესმოდა, კოსმოსში რა მიზნით მივყავდით, ან იქ რა უნდა მეკეთებინა? ხომალდზე გამოსადეგი არანაირი სპეციალური ცოდნა არ მქონდა და ამიტომაც ვშიშობდი და ვდარდობდი: „ჩემზე ექსპერიმენტები არ ჩაატარონ“-მეთქი!

საიდი და კაპიტანი აუცილებლობის შემთხვევაში თუ დამელაპარაკებოდნენ ხოლმე, მათთან საუბრის სურვილი მეც არ გამჩენია. ან რაზე უნდა გველაპარაკა?! ჩვენ სხვადასხვა სამყაროდან ვიყავით და საერთოც არაფერი გვქონდა. ვინ იცის, იქნებ საიდი და კაპიტანი ერთმანეთსაც უთვათვალებდნენ? ორივე რომ მე მითვალთვალებდა, ისედაც ცხადი იყო!

ბევრი რომ არ გავაგრძელო, მგზავრობა ნორმალურად გადავიტანე, რწევას არ შევუწუხებივარ. მთელ დროს კომპიუტერზე თამაშსა და კროსვორდების ამოხსნაში ვატარებდი, ჩემს ირგვლივ რა ხდებოდა, წარმოდგენა არ მქონდა და მზე და ადამიანები მენატრებოდა...

ყველაზე უცნაური კი, იცით რა იყო? – იმედს არ ვკარგავდი და ჯერ კიდევ წრფელად მჯეროდა, რომ ჩემიანები კოსმოსში გამგზავრებამდე აუცილებლად მომაგნებდნენ!

ზოგიერთ კრიტიკულ სიტუაციაში, თვითგადარჩენის ინსტინქტი ადამიანის აზროვნებაზე დამამშვიდებელ ზეგავლენას ახდენს და გონება მორჩილად იჯერებს იმას, რისი დაჯერებაც სურს გულს და რაც ქვეცნობიერისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია!

ამდენი უსაქმურობისაგან თავგაბეზრებული ვიყავი, კომპიუტერის დანახვაც კი აღარ მინდოდა, როცა ერთ მშვენიერ საღამოს საიდი კაიუტაში მესტუმრა და გამომიცხადა:

– როგორც იქნა, მშვიდობიანად ჩამოვაღწიეთ! ბარგი ჩანთებში ჩააწყვეთ, ნებისმიერი ნივთი შეგიძლიათ თან წამოიღოთ. საზაფხულოდ ჩაიცვით, გემი დაბნელებამდე უნდა დავტოვოთ. მოსამზადებლად ერთი საათი გეყოფათ? თუ საჭიროა, დაგეხმარებით!

– გმადლობთ, საიდ-ბეი, დახმარება არ დამჭირდება, – ვუპასუხე დაბნეულმა, არ ვიცოდი „კრუიზის“ დასრულება გამხარებოდა, თუ არა, – ერთი საათი საკმარისი დროა.

ბარგი ჩავალაგე და ხმელეთზე გადასასვლელად მოვემზადე. კაპიტანმა მე და საიდი გემის ბორტამდე თავაზიანად გამოგვაცილა და გულთბილად დაგვემშვიდობა.

– სასიამოვნო იყო თქვენთან ერთად მოგზაურობა, მის იაშვილი, – თავდაკვრით მითხრა კაპიტანმა, – მშვიდობით, მემ!

– ჩემთვისაც, მისტერ კაპიტანო! – საკუთარი თავის გამიკვირდა, ისე თვალის დაუხამხამებლად ვიცრუე, რადგან ვგონებ, არც თვითონ უნდა ეთქვა სიმართლე. – ზურგის ქარს გისურვებთ!

ცხადია, კაპიტანი „არაგულწრფელობას“ მიმიხვდა და გაეღიმა.

– მშვიდობით, ჩემო მეგობარო! – ახლა საიდს მიუბრუნდა კაპიტანი და მათ ერთმანეთს ხელი მაგრად ჩამოართვეს.

ჩვენ გემის ბორტზე გარეთა მხრიდან მიმაგრებული კიბით, ზღვის ტალღებზე მონანავე კატერში გადავსხედით. საიდმა „მცურავი საშუალება“ დაქოქა და ჰორიზონტზე მოლივლივე ხმელეთისაკენ დიდი სისწრაფით გაუტია.

ერთსაათიანი ცურვის შემდეგ, ჩაბნელებულ ნაპირს მივაღწიეთ. ძალიან ცხელოდა... უეცრად იქაურობა განათდა, ჩვენთან შორტებსა და მოკლემკლავიან მაისურებში ჩაცმული ორი შავკანიანი მამაკაცი მოვიდა და კატარღიდან გადმოსვლაში უსიტყვოდ დაგვეხმარა. შევნიშნე, რომ ნაპირზე ავტომობილი იდგა, ანთებული ფარებით. შემდეგ უცნობები კატარღაში ჩახტნენ და გაცურეს, მე და საიდი კი მანქანაში ჩავსხედით და ზღვის ნაპირის საწინააღმდეგო მიმართულებით გავემგზავრეთ. მახსოვს, აუტანელი სიცხისაგან ძლივს ვსუნთქავდი...

თავი IV. გასაიდუმლოებული ხომალდი

– ესე იგი, მთელი თვე გემზე საინტერესო არაფერი მომხდარა, არა? – ინფორმაციის დაზუსტების მიზნით, ჰკითხა ია იაშვილს პოლკოვნიკმა დავითინიძემ.

– მგონია, რომ არა, – მხრები აიჩეჩა იაშვილმა, – ყოველ შემთხვევაში, მე არაფერი გამიგია. მთელი დრო კაიუტაში გარედან ვიყავი ჩაკეტილი, გარეთ მხოლოდ საღამოობით და ისიც ერთი საათით მიშვებდნენ, ურთიერთობა მხოლოდ საიდთან და კაპიტანთან მქონდა.

– კარგი... მოყოლა გააგრძელეთ! – იაშვილის მონათხრობის დასრულებას მოთმინებით ელოდა პოლკოვნიკი.

იაშვილისაც ერთი სული ჰქონდა, სათქმელი მალე ეთქვა და გამოძიების შედეგებს მშვიდად დალოდებოდა, ამიტომ პოლკოვნიკისათვის ზედმეტი შეკითხვები აღარ დაუსვამს და თხრობა უკომენტაროდ განაგრძო:

– რომელ ქვეყანაში ვართ და საით მივდივართ? – ქართულად ვკითხე

საჭესთან მჯდომ საიდს.

– ადგილზე ყველაფერს აგიხსნიან, – მიპასუხა ინგლისურად, – კარგი იქნება, თუ ამიერიდან ქართულად აღარ ვილაპარაკებთ, რადგან მარტო არ ვიქნებით, ურთიერთობა ინგლისურენოვან ხალხთან გვექნება.

– გავიგე, – ვთქვი უხალისოდ.

ნახევარსაათიანი მგზავრობის შემდეგ, კბილებამდე შეიარაღებული ადამიანებით დაცული შლაგბაუმი გართულებების გარეშე გადავიარეთ და ბეტონის მაღალი კედლებით შემოფარგლულ ტერიტორიაზე აღმოვჩნდით. ათიოდე წუთი ვიარეთ და სოკოს ფორმის მრავალსართულიანი შენობის შესასვლელთან გავჩერდით. კარებთან კალათბურთელივით მაღალი ახალგაზრდა თეთრკანიანი მამაკაცი დაგვხვდა, მძლავრი კონდიციონერებით გაგრილებულ ფოიეში შეგვიძღვა, ლიფტით მერვე სართულზე აგვიყვანა და მიხვეულ-მოხვეული დერეფნებით N1025-ე ოთახთან მიგვაცილა. „ერთი წუთით მოითმინეთ“-ო გვითხრა და კარების ღიობში გაუჩინარდა.

ორიოდ წუთში კარი გაიღო და შუბლზე სათვალეწამოცმული, სახედაჭორფლილი კაცი ღიმილით შემოგვეგება. ასაკით ალბათ, ორმოცი-ორმოცდახუთიოდე წლისა იქნებოდა, საშუალო სიმაღლისა და „ჩადგმული“ აღნაგობის იყო, ღია ყავისფერი თვალები და დიდი ცხვირი ჰქონდა, მოკლე ბლანჟეს ატარებდა და უკან გადავარცხნილი, ჭაღარაშერეული წითური თმები კისერს უფარავდა. მდიდრულად და მოდურად კი ეცვა, მაგრამ ტანსაცმელი ტანზე რაღაცნაირად „ჩაფართხუნებოდა“ და ძვირფასი ჰალსტუხიც გვერდზე მოქცეოდა.

– მოგესალმებით, მშვენიერო მის იაშვილი, – მხიარულად მომმართა „ჩაფართხუნებულმა“, – ჩემი გვარია ვუდპეკერი, შეგიძლიათ ვუდი დამიძახოთ! ხომ კარგად იმგზავრეთ? – ზრდილობის გულისათვის ყასიდად მკითხა და მოურიდებლად ჩამათვალიერა.

– გმადლობთ, კარგად, სერ, – მშრალად ვუპასუხე, თან გავიფიქრე: „ამ „ცხვირას“ „ბაბნიკობა“-ღა მაკლდა“-მეთქი.

– რამდენი ხანია არ შევხვედრივართ, თქვენი ნახვა მიხარია, მისტერ საიდ! – ვუდმა საიდს ხელი მეგობრულად ჩამოართვა და მხარზე ხელი დაუტყაპუნა.

– მეც მიხარია, მისტერ ვუდ! როგორ ბრძანდებით, სერ? – თავშეკავებით იღიმებოდა საიდი.

– როგორც ყოველთვის, მეცნიერებას ვანვითარებ! – ვერ მივხვდი, იხუმრა თუ დაიტრაბახა ვუდპეკერმა.

– მართლაც, მეცნიერება თქვენი ცხოვრებაა, – დაემოწმა საიდი. – დიდი მეცნიერი ბრძანდებით, პროფესორო, – დაუმატა პატივისცემით.

– სერიოზულად ხვალ ვილაპარაკოთ. ახლა კი ადგილობრივ რესტორანში გემრიელად ვივახშმოთ! – შემოგვთავაზა „დიდმა მეცნიერმა“.

მნიშვნელოვან და საბედისწერო თემებზე საუბრის წინ კარგად გამოძინება და ტვინის დასვენება მინდოდა, ამიტომ „მზრუნველი მასპინძლის“ შემოთავაზებაზე უარი განვაცხადე:

– გმადლობთ, მისტერ ვუდ, არ მშია, დაძინება მირჩევნია, – ვუთხარი მუდარით.

– როგორც გენებოთ, მის იაშვილი! დაისვენეთ, – უფლება მომცა ვუდპეკერმა და „კალათბურთელზე“ მიმითითა, – ჩემი ასისტენტი თქვენს ოთახამდე მიგაცილებთ.

„ჩემი ოთახი“ შენობის სხვა ფლიგელში, იმავე სართულზე მდებარეობდა და ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს ნომრის ანალოგიური იყო. ინტერიერი, ავეჯი და ყველა ნივთი ვერცხლისფერ და რუხ ფერებში ჰქონდათ გადაწყვეტილი.

„ასისტენტს“ მადლობა გადავუხადე, კარები ჩავკეტე, საჭირო ნივთები ამოვალაგე, შხაპი მივიღე და დასაძინებლად დავწექი. ჩაძინებამდე გონებით ვუდპეკერთან ხვალინდელი საუბრის მოსალოდნელ დეტალებს ვუკირკიტებდი. აუცილებლად უნდა გამეგო, მართლა მივფრინავდი თუ არა კოსმოსში, ჩემს იქ ყოფნას რა მიზანი ჰქონდა და რა ფუნქცია დამეკისრებოდა. „მოვითხოვო, რომ სპეციალური ცოდნის მისაღებად გადამამზადონ!“- მეთქი, ვფიქრობდი...

მეორე დილით რვა საათზე გამეღვიძა, თავს ჯანმრთელად და დასვენებულად ვგრძნობდი. „უფალი ძალას მოგცემს და განსაცდელში არ მიგატოვებს! უნდა გამხნევდე და თავი არავის დააჩაგვრინო!“ – შემომძახოდა შინაგანი „მე“. ქვეცნობიერად ვხვდებოდი, რომ თავდაცვისათვის გონებრივად, ემოციურად და ფიზიკურად მზად ვიყავი.

მინდა გითხრათ, რომ უიმედობის შეგრძნების გადასალახავად და გაურკვევლობის შიშის დასაძლევად დიდი ძალისხმევა დამჭირდა და საკუთარ თავთან უკომპრომისო ბრძოლის შედეგად მივაღწიე...

საიდი, როგორც ყოველთვის, ათი საათისათვის გამომეცხადა და სასაუზმოდ იქვე, დერეფნის ბოლოს განთავსებულ პატარა ბუფეტში გამიყვანა. დავაფიქსირე, რომ ჩვენს გარდა, არავინ საუზმობდა. დახლთან ქათქათა ხალათებითა და ჩაჩებით შემოსილი სამი შავკანიანი ქალი იდგა, ორი მათგანი ჩუმად საუბრობდა, ხოლო მესამე ჩვენსკენ წამოვიდა და საიდს კერძების ჩამონათვალი ხელში უსიტყვოდ შეაჩეჩა. დახლთან ახლოს დავსხედით.

– რაც გნებავთ, შეუკვეთეთ, – მითხრა საიდმა და მენიუ გადმომა-

წოდა, – ჩვენი „კვების ობიექტი“ ეს სასადილო გახლავთ, „ენერგიის შესავსებად“ აქ ვივლით ხოლმე. თუ მოითხოვთ, საკვებს ოთახშიც მოგართმევენ.

– მენიუდანაც ჩანს, რომ ჯანსაღ კვებას აქ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, – ვთქვი კმაყოფილმა, – სისუფთავეც მოსაწონია!

– დიახ, თან ყველაფერს გემრიელად ამზადებენ! – დამიდასტურა საიდმა.

საუზმე შევუკვეთე და ირგვლივ მიმოვიხედე: კედლებზე ვიდეოკამერები რომ არ მიემაგრებინათ, არაფრით გამორჩეული, ჩვეულებრივი ბუფეტი იქნებოდა, ოღონდ სასადილოს ფუნქციით...

მე და საიდმა საუზმე მალე დავამთავრეთ და მისტერ ვუდპეკერის კაბინეტისაკენ გავეშურეთ. გზად ვიდეოკამერებით „დახუნძლულ“ დერეფანს ვათვალიერებდი და ოთახებში შეხედვას ვცდილობდი – აქ „მობინადრე“ კონტინგენტი მაინტერესებდა. თუმცა, ჩემი ძალისხმევა ფუჭი აღმოჩნდა, რადგან დერეფანში ჩვენს გარდა, არავინ იმყოფებოდა და ისეთი სიჩუმე სუფევდა, რომ საკუთარი ფეხის ხმაც კი დიდ ხმაურად მეჩვენებოდა.

პროფესორი გულთბილად შეგვხვდა და კომპლიმენტების კორიანტელი დამაფრქვია.

– თქვენზე ბევრი ურთიერთსაწინააღმდეგო რამ მსმენია, მის იაშვილი, მაგრამ ასეთი გამორჩეული სილამაზის პატრონი თუ იყავით, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, აღფრთოვანებული და მოხიბლული ვარ, – ხელზე ჩემი ნების საწინააღმდეგოდ, ვითომ მოწიწებით მეამბორა ვუდი, კედელთან მიმდგარ ე.წ. „სამეულის“ ტახტთან მივიდა და დასაჯდომად მიმიწვია, – მობრძანდით, აქ დავსხდეთ.

– აზვიადებთ, მისტერ ვუდ, ქართველი ქალის ჩვეულებრივი გარეგნობა მაქვს, ძალიან ბევრი ქართველი მანდილოსანი ჩემზე გაცილებით ლამაზია, მათ ვერც კი შევედრები! – თავდაჭერილად ვუპასუხე და კომპიუტერის გვერდით მოთავსებულ სავარძელში დემონსტრატიულად ჩავჯექი. ბრიყვი და თავხედი ვუდი უნდა მიხვედრილიყო, რომ ფლირტისა და კეკლუცობის არანაირი სურვილი არ მქონდა.

– მართლა ასეა? – უკმაყოფილო სახით მიუბრუნდა ვუდი ფანჯარასთან განცალკევებით მდგარ სკამზე ჩამომჯდარ საიდს.

– ვერ გეტყვით, პროფესორო, მე ხომ თურქი ვარ, ქართველ ქალებს არ ვიცნობ! – „დიპლომატიურად“ უპასუხა საიდმა.

– თქვენზე ამბობენ, ქართულ ენას შესანიშნავად ფლობსო, – „დიპლომატიამ“ ვერ „უშველა“ საიდს, – იქნებ მითხრათ, ასეთი რთული ენა ასე კარგად სად შეისწავლეთ? შემთხვევით, თბილისის უნივერსიტეტში

პრაქტიკის გავლის დროს ხომ არა? – იქედნურად ჩაიცინა ვუდმა.

– უნდა ვაღიარო, რომ ქართველი ქალები არა მხოლოდ ძალიან ლამაზები, არამედ მეტად ჭკვიანებიც არიან! – დანებების ნიშნად, ორივე ხელი ღიმილით მაღლა ასწია საიდმა.

– ქართული სული ძალიან მაინტერესებს, – გამჭოლი მზერით დამაკვირდა პროფესორი ვუდპეკერი, – მე და თქვენ ამაზე უნდა ვისაუბროთ, მის იაშვილი!

– ვისაუბროთ! მაგრამ მანამდე იქნებ მითხრათ, რა იცით ჩემზე „ურთიერთსაწინააღმდეგო“? – დაჟინებით ჩავეძიე.

– გეტყვით, – დამპირდა ვუდი, – თანაც ახლავე. ერთის მხრივ, მითხრეს, რომ ხართ ჭკვიანი და ლამაზი, მოყვასი და თავდადებული, განათლებული და პატიოსანი, მამაცი და ერთგული. მეორეს მხრივ, სულ სხვა ადამიანებმა მითხრეს, რომ ხართ სულელი და არაპროგნოზირებადი, არაპრაქტიკული და არაკეთილგონიერი, თავნება და უაზროდ ჯიუტი. მართლაც რომ ურთიერთგამომრიცხავი შეფასებებია, არა? არ მეთანხმებით?

– ცუდს ვინც გეტყოდათ, დაახლოებით ვხვდები, – „ბიუსტი“ გამახსენდა, – მე ის უფრო მაინტერესებს, კარგი ვინ გითხრათ! ან საიდან მოიტანა, რომ ასეთი „ფუმფულა და საყვარელი“ ვარ?

– ამას მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ადამიანებზე საკუთარი აზრის ქონას ვამჯობინებ და დასკვნებიც პირადი დაკვირვების საფუძველზე გამომაქვს!

– ესე იგი, უნდა „დამაკვირდეთ“! ანუ, უნდა შემისწავლოთ და ჩემი ფსიქოლოგიური პორტრეტი დახატოთ! სწორად გავიგე, ხომ?

– არ დაგიმალავთ და ასეა! – დამიდასტურა პროფესორმა.

– ეგ რაღაში გჭირდებათ?

– ხომალდზე ერთი უპასუხისმგებლო, უჟმური და უნიჭო ადამიანიც კი დიდ პრობლემას შექმნის. რა, არ გითხრეს, რომ კოსმოსში უნდა გაფრინდეთ? – გაუკვირდა ვუდს.

– მითხრეს, მაგრამ ინფორმაცია გადავამოწმე! – ვუთხარი ამრეზით.

– პოლიციური ფანდები სისხლში გაქვთ გამჯდარი! – ჩაიქირქილა პროფესორმა.

– ჩემს პოლიციელობაში ცუდს რას ხედავთ და რა არ მოგწონთ? – გავღიზიანდი.

– არა, პირიქით, თქვენში ყველაფერი მომწონს... იურისტი ქალი და თანაც ასეთი მშვენიერი!.. ძალიან რომანტიკულია! – სერიოზული სახით თქვა ვუდპეკერმა.

– იმედია, ხვდებით, რომ ახლა რომანტიკისა და მისთანა სენტიმენტ-

ების დრო და ვითარება არ არის! მოდით, მხოლოდ და მხოლოდ საქმეზე ვილაპარაკოთ, – ღია ტექსტით უხეშად მოვუჭერი ვუდს.

– ვიცი, რომ თქვენ ქალი კი არა, პროფესიონალი „კოპი“ ხართ და შანსები პრაქტიკულად არა მაქვს! – უტიფარი პირდაპირობით გამომიცხადა ვუდპეკერმა.

მისი საქციელი და ლაპარაკი, ცხადია, არ მომეწონა და თავიდან გავიფიქრე: „კაცები რა მარტივები, ადვილად სამართავები და ზოგჯერ სასაცილოებიც კი არიან, ლამაზი ქალის დანახვაზე შტერდებიან და ოჯახიც ავიწყდებათ და მოვალეობებიც. სიტუაციას ხელიდან არ გაუშვებენ და ნებისმიერ იაფფასიან პუტანკასაც კი გაეკიდებიან“-მეთქი, მაგრამ მერე ჩავთვალე, რომ პროფესორი ვუდპეკერი უბრალოდ „მეცნიერულად მეთამაშებოდა“ და ამით ჩემს ფსიქოლოგიას სწავლობდა.

იაშვილი გონებას ძაბავდა, ცდილობდა თავს გადახდენილი მეხსიერებაში დაწვრილებით აღედგინა და სრულად გადმოეცა, ამიტომ თხრობამ გაიტაცა და სულ გადაავიწყდა, რომ მამაკაცს ესაუბრებოდა: დავითინიძე ხომ პირველ რიგში მამაკაცი იყო და მხოლოდ შემდეგ – თანამდებობის პირი და დაზვერვის პოლკოვნიკი.

თავის მხრივ, პოლკოვნიკი დავითინიძე იაშვილის მონათხრობს ყოველთვის დიდი ყურადღებით ისმენდა, სიტყვას თითქმის არ აწყვეტინებდა და აზრის გამოთქმის სრულ თავისუფლებას აძლევდა. იაშვილის ბოლო ფრაზამ დავითინიძე უსიამოვნოდ განაცვიფრა:

– განზოგადება საჭირო არ არის, ქალბატონო ია, – საწერი კალამი მაგიდაზე სამჯერ დააკაკუნა პოლკოვნიკმა.

– მაპატიეთ, ბატონო დავით, – გონს მოეგო მოგონებებში „ჩაფლული“ იაშვილი, – ყველა მამაკაცი არ მიგულისხმია!

– მამაკაცებზე ასეთი მცდარი და ცუდი წარმოდგენა თუ გქონდათ, არ მეგონა, – თავი უკმაყოფილოდ გაიქნია პოლკოვნიკმა, – ალბათ ვინმემ ძალიან გაწყენინათ.

– არა, არა, რას ბრძანებთ, ბატონო პოლკოვნიკო, – ხელები გაასავსავა შემცბარმა იაშვილმა, – მთელი ცხოვრება მამაკაცების გარემოცვაში გავატარე და პატივისცემისა და თანადგომის გარდა, არაფერი გამახსენდება!

– აბა, „მარტივ იდიოტებად“ რატომ შეგვრაცხეთ? – არ ცხრებოდა თავმოყვარეობა შელახული პოლკოვნიკი, – ეს ხომ შეურაცხყოფაა!

– ბოდიში, ბოდიში, ბატონო დავით, – ეაჯებოდა იაშვილი, – თქვენი წყენინება არ მინდოდა! სისულელეები წამოვროშე, გთხოვთ მაპატიოთ!

– კარგი, გპატიობთ, – იაშვილის მობოდიშებამ და ხვეწნამ პოლკოვნიკს გული მოულბო, – თხრობა განაგრძეთ!

– ბატონო დავით, მაშინ ასე იმიტომ გავიფიქრე, – თავს იმართლებდა იაშვილი, – რომ ვერ ვიტან მექალთანეებს და დიდ პატივს ვცემ ოჯახის მოყვარულ და მეუღლის ერთგულ მამაკაცებს. თუმცა, აღიარეთ, რომ ცოლის ერთგული მამაკაცი დიდი იშვიათობაა.

– თემას ისევ ნუ გადაუხვიეთ, – გაბრაზდა პოლკოვნიკი, – მხოლოდ არსებითად ვისაუბროთ! ამდენს ლაპარაკობთ და მთავარ საკითხამდე ვერაფრით მიხვედით!

– ბოდიშს კიდევ ერთხელ გიხდით, – დაუფიქრებლად წამოსროლილ სიტყვებს გულწრფელად ნანობდა იაშვილი.

– მუშაობა განვაგრძოთ, საუბარი ძალიან გაგვიგრძელდა, – მაჯის საათზე დაიხედა პოლკოვნიკმა, – ცოტა დრო გვრჩება, უკვე ხუთს თხუთმეტი აკლია...

– დროში ჩავეტევი, ბატონო დავით, მოსაყოლი ბევრი აღარაფერი დამრჩა.

– კარგი... სიმართლე გულწრფელად მითხარით, ია, პროფესორ ვუდპეკერის მიმართ ასე აგრესიულად განწყობილი რატომ იყავით? უკაცრავად, რომ ვაკონკრეტებ, მაგრამ ვალდებული ვარ შეგეკითხოთ, – იაშვილს თვალი ტაქტიანად აარიდა და კომპიუტერის ეკრანს მიაჩერდა დავითინიძე, – ეეე... თქვენზე ძალა ხომ არ უხმარია?

– არა, რა ძალა! ბატონო დავით, – სახეზე ზიზღი და ირონია აღებეჭდა იაშვილს, – უბრალოდ, პროფესორი ჩემს ფსიქოლოგიას ასეთი „ნოვატორული მეთოდით“ სწავლობდა.

– „მეთოდში“ რას გულისხმობთ?

– რას და ჩემს გაბრაზებასა და წონასწორობიდან გამოყვანას ყველანაირად ცდილობდა, რეაქციას აკვირდებოდა... ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ როგორც კი ჩემს კოსმოსში გაგზავნას განიზრახავდნენ, მაშინათვე დაკვირვებისა და შესწავლის ობიექტი გავხდებოდი... ინტუიციით ვხვდებოდი, რომ მათ ჩემი არა იძულებითი, არამედ ბუნებრივი და ნებაყოფლობითი ქცევა აინტერესებდათ, ამიტომ არანაირი ძალადობის არ მეშინოდა. მინდა გითხრათ, რომ არც მოსამზადებელ პერიოდში, არც კოსმოსში ყოფნისას და არც შემდეგ არავინ... – იაშვილი თავს უხერხულად გრძნობდა და წინადადების დამთავრება გაუჭირდა.

– არავის შეუწუხებიხართ, – მიეხმარა დავითინიძე.

– დიახ, ბატონო პოლკოვნიკო, ასეა, – ღაწვები შეეფაკლა იაშვილს, – ყველა პატივისცემით მექცეოდა და ზედმეტი არავის უკადრებია. გარდა ამისა, როგორც პოლიციელი, „კრაფ მაგა“-ს ხელჩართული ბრძოლისა და თავდაცვის ილეთებსაც შესანიშნავად ვფლობ. ასე, რომ ბატონი ვუდი... – სიტყვებს არჩევდა იაშვილი, – ვერც კი მომიახლოვდებოდა!

– რატომ ჩათვალეთ, რომ დაკვირვების ობიექტად იქეცით? – საუბრის თემა დელიკატურად შეცვალა დავითინიძემ.

– აბა, სხვა რა უნდა მეფიქრა, ბატონო დავით? – რიტორიკული შეკითხვა დასვა იაშვილმა, – როგორ გგონიათ, კოსმოსში სხვა რა ფუნქცია დამეკისრებოდა?

დავითინიძეს მკაფიოდ ჩამოყალიბებული აზრი არ ჰქონდა, ამიტომ საკუთარი შეფასებების გაჟღერებისაგან თავი შეიკავა. იაშვილმა პოლკოვნიკის ორჭოფობით ისარგებლა და პასუხგაუცემელ კითხვას თავადვე უპასუხა:

– დამეთანხმეთ, რომ მე მათთვის „უნიკალური მასალა“ ვიყავი: დაინტერესების შემთხვევაში, შეეძლოთ დაკვირვება ჩაეტარებინათ და შეესწავლათ, თუ როგორ მოიქცეოდა ჩაკეტილ სივრცეში ხანგრძლივი დროით თავისუფლებაშეზღუდული სახელმწიფო ჩინოვნიკი! ჩემი ეს, ერთი შეხედვით, „ჩახუჭუჭებული“ ვარაუდი, მოგვიანებით პროფესორ ვუდპეკერთან საუბრისასაც ირიბად დადასტურდა – ჩემს ქცევებზე მეცნიერული დაკვირვება უნდა ყოფილიყო კოსმოსური ექსპერიმენტის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი.

– რა ექსპერიმენტზე საუბრობთ, დამიკონკრეტეთ, – მოითხოვა დავითინიძემ.

– მაშინ მოგიყვებით, შემდეგ რაც მოხდა და თქვენთვის ყველაფერი გასაგები გახდება, – შესთავაზა იაშვილმა.

– კი ბატონო, გისმენთ! – თანხმობის ნიშნად თავი ჩამოიქნია პოლკოვნიკმა.

* * *

– ვუდს ეგონა, გავბრაზდებოდი და კამათში გამომიწვევდა, – თხრობა შეწყვეტილი ადგილიდან განაგრძო იაშვილმა, – რა თქმა უნდა, „დავაიგნორე“ და თემა შევცვალე.

– კოსმოსში რა მიზნით მიშვებთ და იქ რა ფუნქცია დამეკისრება? – ვიკითხე მშვიდად.

ვუდპეკერი ჩემს ასეთ რეაქციას არ ელოდა, გაწითლდა და საიდს გადახედა. თავდაჭერილი საიდი ჩვენ ყურადღებას საერთოდ არ გვაქცევდა, რადგან თავისი „უსაყვარლესი საქმიანობით“ იყო დაკავებული: პროფესორის კაბინეტის ფარდების ვიზუალს გულდასმით სწავლობდა. ვუდი მიხვდა, რომ მასთან უაზრო კამათს არ ვაპირებდი და მანაც „საქმეზე“ საუბარი ამჯობინა.

– მოსამზადებელ კურსს გაივლით. იმისდა მიხედვით, თუ რა წარმატებები გექნებათ, თქვენი ფუნქციებიც ერთ თვეში გაირკვევა, –

ჩაიბურტყუნა პასუხად.

– ჩემი კოსმოსში გაგზავნა რატომ გადაწყდა? არანაირი შეხება კოსმოსთან არ მქონია, სპეციალური ცოდნაც არა მაქვს! იქნებ გადამამზადოთ, – არ მოვეშვი.

– მოსამზადებელ კურსს მთლიანად გაივლით და ყველაფერი ერთი თვის მერე გაირკვევა, – უკვე ნორმალური ტონით მოთმინებით გამიმეორა ვუდმა.

გულში გამარჯვებას ვზეიმობდი: „ეს ყეყეჩი ვუდი კარგად „მოვსვი“, ვგონებ, ამის შემდეგ წესიერად მოიქცევა“-მეთქი. არც შევმცდარვარ, რაც არ უნდა ყოფილიყო, ვუდი სერიოზული მეცნიერი და სოლიდური ასაკის ადამიანი იყო და ვერ ამჩატდებოდა. ისე, ჩვენში რომ ვთქვათ, ბევრი არც არაფერი დაუშავებია, ამიტომ „ინციდენტი“ ამოწურულად ჩავთვალე და მასთან „საქმიანი“ ურთიერთობა უპრობლემოდ განვაგრძე. ბატონო დავით, მინდა აღვნიშნო, რომ შემდგომში ვუდი ღირსეულად და კორექტულად იქცეოდა, ამდენად, მასთან საპრეტენზიო ნამდვილად აღარაფერი მქონდა...

წარსულის ამ, არცთუ სასიამოვნო შემთხვევას, ია იაშვილი აუღელვებლად და იუმორით იხსენებდა. თუმცა, დავითინიძესთან ვუდპეკერის გამოხდომების შესახებ საუბარი არ სურდა, რაც პოლკოვნიკის მახვილ მზერას არ გამოჰპარვია.

– მოსამზადებელი კურსი სად გაიარეთ? – მორიგი შეკითხვის დასმით იაშვილი უხერხულობისაგან კვლავ ტაქტიანად იხსნა დავითინიძემ.

– უნდა მოგახსენოთ, – ჩაფიქრდა იაშვილი, – რომ ადგილი, სადაც ვიმყოფებოდი, წარმოადგენდა კარგად დაცულ ტერიტორიას, სადაც განთავსებული იყო სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიების, საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების მთელი კომპლექსი. ჩემის აზრით, ეს იყო გასაიდუმლოებული ზონა. თუ რა სახის კვლევები ტარდებოდა იქ, არ ვიცი. ვფიქრობ, რომ კოსმოსზე მუშაობდნენ. ბევრი ვიფიქრე, მაგრამ ვერაფრით გავარკვიე, რა კავშირი უნდა ჰქონოდათ კოსმოსზე მომუშავე ხალხს ჩემს დამატყვევებელ კრიმინალებთან?!

– გპირდებით, ამას გამოძიება დაადგენს, – გაამხნევა იაშვილი დავითინიძემ, – თქვენი ე.წ. „სპეცმომზადების“ შესახებ რას იტყვით?

– მოხარული ვიქნები, – ნიკაპი მოისრისა ქალმა და სანამ პოლკოვნიკის ბოლო შეკითხვას უპასუხებდა, ერთხანს ჩაფიქრებით იჯდა. დავითინიძეც დუმდა და პასუხს მოთმინებით ელოდა, რადგან კარგად ესმოდა, რომ იაშვილის აჩქარებას სასურველი შედეგი არ მოჰყვებოდა და ამდენად, აზრიც არ ჰქონდა.

– სანამ მოსამზადებელ კურსს გამატარებდნენ, იქაურმა ექიმებმა ჯანმრთელობის მდგომარეობა კიდევ ერთხელ, უფრო საფუძვლიანად შემიმოწმეს. შემდეგ ე.წ. „ინსტრუქტორები“ მთელი თვე, რომ იტყვიან, უწყვეტ რეჟიმში და დაჩქარებული ტემპებით „მწვრთნიდნენ“: სპეციალურ ტრენაჟორებზე მავარჯიშებდნენ, ციურ სხეულებზე კოსმოსში დაკვირვებისათვის განკუთვნილი უახლესი ტექნიკით სარგებლობას მასწავლიდნენ და ზოოლოგიასა და ბოტანიკაში მამეცადინებდნენ. ბავშვობასა და სტუდენტობისას სპორტს მოყვარულის დონეზე მივდევდი და ფიზიკური დატვირთვების ატანა არ გამჭირვებია. ამ ყველაფრის პარალელურად, ვუდპეკერი ყოველ ორ დღეში ერთხელ მრავალფეროვან ფსიქოლოგიურ და ლოგიკურ ტესტებს მიტარებდა და როგორც ღია ტექსტით მითხრა, ამით ჩემს ხასიათს, გემოვნებასა და ინტელექტუალურ შესაძლებლობებს სწავლობდა.

– რომელიმე ტესტის მიახლოებითი შინაარსი თუ გახსოვთ? – გულისყური მოიკრიბა დავითინიძემ.

– სამწუხაროდ, არა. მას შემდეგ ხომ დიდი დრო გავიდა, – მეხსიერება დაძაბა იაშვილმა, – ერთადერთი რაც მახსენდება, ეს აინშტაინის გამოცანაა[6]. მახსოვს, ჩანაწერების გარეშე, ზეპირად გამოვიცანი და ვუდპეკერს ძალიან გაუკვირდა, რადგან თავიდან ეგონა, რომ ამ ამოცანას საერთოდ ვერ ამოვხსნიდი... ვერ მივხვდი, რატომ ჩათვალა ასე... ან თუ ეგონა, რომ ვერ ამოვხსნიდი, რაღას მახსნევინებდა?!

– უბრალოდ, გამოწმებდათ! – განუმარტა პოლკოვნიკმა, – ალბათ, სხვა სირთულის ლოგიკური ტესტები ადვილად ამოხსენით და ბოლოს ესეც სცადა. იცით, რომ ადამიანების მხოლოდ 2% შეუძლია ამ გამოცანის ზეპირად ამოხსნა, ხოლო ჩანაწერების საშუალებით მას მხოლოდ 5% ხსნის?

– მართლა? მე ეს არ ვიცოდი, – გულწრფელად განცვიფრდა იაშვილი.

– დარწმუნებული ვარ, იმ თქვენს ვუდს ნამდვილად გაუკვირდებოდა, – ჩაეცინა დავითინიძეს, – ამდენად ჭკვიანი თუ აღმოჩნდებოდით, ვერც კი წარმოიდგენდა.

– ალბათ... „ყბა ჩამოუვარდა“, – გაეცინა იაშვილსაც, – განა არა, მანამდე როდესაც თანამედროვე მეცნიერების მიღწევებსა და პრობლემებზე მესაუბრებოდა, გამუდმებით მიმეორებდა: „რომ გაგაგებინო, პოპულარული ენით გიყვები“-ო.

– მეცნიერების მიღწევებითა და პრობლემების ანალიზით რატომ დაგაკავათ?

– მეუბნებოდა: „კოსმოსში ხომალდის გაშვების მიზანი უნდა აგიხსნა

და შენი სამოქმედო ამოცანა უნდა დაგისახო“-ო.

– მერედა „აგიხსნათ“ და „დაგისახათ“?

– დიახ, სავსებით... კონკრეტულად გეტყვით... ვუდპეკერმა მაღალფარდოვანი სიტყვებითა და დიდი პათოსით აღმიწერა კოსმოსურ ხომალდზე მათი ექსპედიციის „ისტორიული და კეთილშობილური“ მიზანი – დედამიწის მსგავსი ახალი პლანეტის აღმოჩენა და იქ ადამიანთა პოპულაციის კოლონიის შექმნა. ამ უტოპიური იდეის განხორციელების მცდელობა თავიდანვე დიდ სისულელედ ჩავთვალე, მაგრამ კამათი არ დამიწყია. კოსმოსში მთელი 40 წელი ვიშლიგინეთ, მაგრამ ეს ყბადაღებული პლანეტა მაინც ვერ ვიპოვეთ!

– როგორ?! ახალ პლანეტას 40 წელიწადი ეძებდით?

– დიახ! ვინც ექსპედიცია დაგეგმა, ხომ უნდა სცოდნოდა, რომ ადამიანი დედამიწის ეკოსისტემის[7] შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია, ჰომოსაპიენსი სხვა, თუნდაც დედამიწის მსგავს პლანეტაზე არსებობას ფიზიკურად ვერ შესძლებს, რადგან ჩვენი შინაგანი კონსტიტუცია გრავიტაციაზეა[8] დამყარებული. როგორიც დედამიწაზეა, ზუსტად ისეთივე გრავიტაციისა და კლიმატური პირობების მქონე პლანეტის მოძებნა ასე ადვილია?!

– პროფესორ ჰოუკინგზე[9] თუ გსმენიათ რამე?

– არა, არაფერი, – დაიბნა იაშვილი, – ვინ არის?

– პროფესორი ჰოუკინგი მსოფლიოში აღიარებული ასტროფიზიკოსი და მოაზროვნე იყო, ახალი დედამიწის პოვნის იდეა გასული საუკუნის 90-იან წლებში მან წამოაყენა. მისი აზრით, ჩვენი პლანეტის რესურსები 1000 წელიწადში ამოიწურება და კაცობრიობის გადასარჩენად სხვა პლანეტაზე გადასახლება გახდება საჭირო, ამიტომ შთამომავლობის დასახმარებლად დედამიწის მსგავსი პლანეტის ძებნის დაწყება საშურ საქმედ მიაჩნდა.

– აი, თურმე რა ყოფილა! ესე იგი, ვუდპეკერმა და მისმა „საძმაკაცომ“ ახალი პლანეტის „შოვნა“ სხვებზე ადრე გადაწყვიტეს! ექსპედიციაც ამიტომ დაიგეგმებოდა.

– სწორედაც რომ... „ფხიანმა“ ბიჭებმა იყოჩაღეს და ოპერატიულად გაისარჯნენ, – ხუმრობაში მხარი აუბა იაშვილს პოლკოვნიკმა, – თუმცა, შესაძლებელია, ეს ერთ-ერთი მიზანი ყოფილიყო, – ივარაუდა მან, – შეგიძლიათ ხომალდის აგებულება ამიღწეროთ?

– მთლიანობაში ვერ გეტყვით, თუ რას წარმოადგენდა ხომალდი, თუმცა შევნიშნე, რომ იგი ცალკეული ნაკვეთურებისაგან შედგებოდა და თითოეულ მათგანს თავისი დანიშნულება ჰქონდა.

– რას გულისხმობთ?

– მაგალითად, ხომალდზე არსებობდა დასასვენებელი ნაკვეთური, რომელსაც სლენგზე „ოაზისს“ ვეძახდით და სადაც შეიძლებოდა ხელოვნური ყვავილების გარემოში ფილმების, კონცერტების, გასართობი შოუების ნახვა და კომპიუტერული თამაშებით თავის შექცევა; იყო აგრეთვე ცხოველების ვოლიერებისათვის განკუთვნილი ნაკვეთური; მოცულობით დიდი ნაკვეთური ეკავა ე.წ. ობსერვატორიას, სადაც სამი უმძლავრესი ტელესკოპი, კომპიუტერების ქსელი და ნანოტექნოლოგიებით[10] შექმნილი სხვა ხელსაწყო-მოწყობილობები იყო განთავსებული. მე ხომალდის მხოლოდ გარკვეულ ადგილებზე მიხდებოდა ყოფნა, ყველგან არც მიშვებდნენ. ძალიან მაინტერესებდა ხომალდის მართვის მთავარი პულტის ნახვა, მაგრამ მე იქ სიახლოვესაც არავინ გამაკარებდა!

– ესე იგი, უახლეს ტექნიკასა და ტექნოლოგიებს აქტიურად იყენებდნენ, არა?

– დიახ, ბატონო დავით, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ კოსმოსური ექსპედიციის მესვეურებმა თანამედროვე ფუნდამენტური მეცნიერების თეორიული მიღწევები პრაქტიკულად განახორციელეს, ყოველდღიურ საქმიანობაში წარმატებით დანერგეს და ნაყოფიერად იყენებდნენ კიდეც.

– ასე გამოდის... ნანოტექნოლოგიები მომავლის მეცნიერების საფუძველია, მათ უკვე შეცვალეს კაცობრიობის ცხოვრების წესი. თანამედროვე ნანოტექნოლოგიები დიდი ხანია გამოიყენება ენერგეტიკაში, ელექტრონიკასა და მედიცინაში. იცით, რომ კიბოს საწინააღმდეგო წამალი უკვე შექმნილია და დაავადება განკურნებადია?

– დიახ, ვიცი... და კიდევ უკეთესს გეტყვით: ჯერ არ გახმაურებულა, მაგრამ 40 წელზე მეტია, არსებობს სიბერის შემაჩერებელი პრეპარატი ე.წ. „უკვდავების ენერგია“, რომელიც ღეროვანი უჯრედებისა[11] და ნანოტექნოლოგიების გამოყენებითაა შექმნილი.

– ეს ხომ სენსაციაა! – სავარძლიდან წამოიწია დავითინიძე, – სარწმუნო ინფორმაციაა? თქვენ საიდან გაიგეთ?

– იქიდან, რომ ხომალდზე მას სვამდნენ, მეც შემომთავაზეს, მაგრამ უარი ვთქვი.

დავითინიძემ იაშვილი დაკვირვებით შეათვალიერა და თავის საყვარელ სამუშაო ბლოკნოტში წითლად ჩაინიშნა: „სასწრაფოდ დადგინდეს, ნამდვილად არსებობს თუ არა სიბერის შემაჩერებელი პრეპარატი „უკვდავების ენერგია“! როდის შეიქმნა? გაიშიფროს ავტორისა და მწარმოებლის ვინაობა, განისაზღვროს გასაღებისა და გამოყენების სფერო და შესწავლილ იქნეს დისტრიბუტორი კლიენტურა და პრეპარატის მომხმარებლები“.

– პრეპარატის მიღებაზე უარი რატომ თქვით? – დაინტერესდა პოლკოვნიკი.

– ჯერ ერთი იმიტომ, რომ ცდების ჩასატარებლად განწირული საცდელი ცხოველი არა ვარ, მეორეც იმიტომ, რომ არ მინდა უკვდავი ვიყო. ასაკთან შედარებით ბევრად ახალგაზრდად პრეპარატის გამო არ გამოვიყურები, უბრალოდ, კოსმოსში დრო სხვანაირად გადის, ვიდრე აქ, დედამიწაზე.

– ამ ფენომენს როგორ ახსნით?

– მარტივად... ჯერ კიდევ აინშტაინმა დაასაბუთა, რომ დროის მიმდინარეობა დამოკიდებულია მოძრაობაზე და ამიტომაცაა ფარდობითი. ფარდობითობის თეორიის თანახმად, რაც უფრო სწრაფად მოძრაობ, მით უფრო ნელდება დრო, „ჩვენი“ ხომალდი კი ძალიან დიდი სისწრაფით მოძრაობდა. ამიტომაა, აქ რომ ჩემი თანატოლები დაბერდნენ, იქ მე ახალგაზრდად დავრჩი.

– უკვდავება ყველას უნდა, თქვენ რატომ არ გინდათ?

– კაცობრიობის უკვდავებისა და განვითარებისათვის აუცილებელია თაობათა ცვლა. ყოველ მომდევნო თაობას ახალი ხედვა და ახალი აღმოჩენები მოაქვს. ყოველ მომდევნო თაობას კაცობრიობის მიმართ თავისი მისია აკისრია და საკუთარ პასუხისმგებლობას ატარებს. კაცობრიობა თუ „დაბერდა“, რეგრესი გარდაუვალია! ადამიანი უკვდავი არ შეიძლება იყოს, ეს კაცობრიობის რაობასა და ცხოვრების წესს თვისობრივად შეცვლის, ჩვენი ცივილიზაცია დღემდე არსებული ბუნებრივი ფორმით უკვალოდ გაქრება და სრულიად განსხვავებული მსოფლმხედველობისა და მორალის საზოგადოება წარმოიშობა. პრეპარატს რომ ქმნიდნენ, ვინმემ გათვალა ის რელიგიური, ზნეობრივ-ფსიქოლოგიური, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური რეალობა, რომელიც შეიძლება დადგეს ამ მართლაც რომ რევოლუციური სახეცვლილების, ანუ კაცობრიობის გარდასახვის შემდგომ?

– ქიმიური პრეპარატის შექმნა და მისი გამოყენების სოციალურ-პოლიტიკური შედეგების გათვლა, მეცნიერების ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი დარგების ამოცანებია!

– მთელი საშიშროებაც ამაში მდგომარეობს! როგორი ცნობიერების საზოგადოება წარმოიქმნება, არავინ იცის! იქნებ ქიშპობის, ან ძალაუფლებისა და მატერიალური რესურსების ხელში ჩაგდების სურვილის გამო, ადამიანებმა ერთმანეთი არ დაინდონ და დედამიწა ისე აღიგავოს პირისაგან მზის სისტემისა, რომ „ირმის ნახტომსაც“ კი არაფერი დაეტყოს?! ამაზე ვინმეს უფიქრია? არა მგონია... შეიძლება რამეში ვცდები და მოვლენებს ობიექტურად ვერ ვაფასებ, მაგრამ ჩემის აზრით, კა-

ცობრიობის უკვდავება ადამიანების მოკვდავობაშია, ადამიანის უკვდავ ქმნილებად გარდაქმნა, ისევე, როგორც ადამიანის კლონირება, დიდი მკრეხელობაა! დავრჩეთ ისეთებად, როგორებადაც უფალმა შეგვქმნა!

– რა არის ცუდი იმაში, თუკი ადამიანს სიცოცხლე გაუხანგრძლივდება?

– სიცოცხლის გახანგრძლივება და ჯანმრთელობის დაცვა ერთია, უკვდავება – მეორე. რა თქმა უნდა, – თანხმობა ღიმილით გამოხატა იაშვილმა, – იმას რა სჯობია, როდესაც მთელი ცხოვრება არაფერი წამოგტკივდება და ღრმა მოხუცებულობამდე, ვთქვათ 150 წლამდე ისე მიაღწევ, რომ 40 წლის ადამიანის ენერგიასა და გარეგნობას უპრობლემოდ შეინარჩუნებ! მაგრამ როდესაც უკვდავი ხარ და არაფრის გეშინია, როდის რა სისაძაგლეს ჩაიდენ, არავინ იცის. ყველა ხომ ვერ იქნება მაღალზნეობრივი და კეთილშობილი!

იაშვილის „ფილოსოფიურმა წიაღსვლებმა“ პოლკოვნიკი მარადიულ ფასეულობებზე ჩააფიქრა: „ადამიანი თუ უკვდავი იქნება, ის მაღალზნეობრივიც აუცილებლად უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სამყაროს დაანგრევს. მაგრამ რამდენად შესაძლებელია ადამიანის გენომში „ბოროტი და უზნეო“ გენების დათრგუნვა და „კეთილი“ გენების გაძლიერება?! ბუნებრივი გზით ამას ხომ საუკუნეები დასჭირდება, მაშინ ეს ხელოვნურად, გენური ინჟინერიის გამოყენებით უნდა მოხდეს. გამოდის, რომ ადამიანები ბუნებრივად კი არა, არამედ ლაბორატორიებში გამოყვანილი ემბრიონებიდან დაიბადებიან. ეს გამოიწვევს ოჯახის ინსტიტუტის მოშლას, ტრადიციულ ფასეულობებზე დაფუძნებული საზოგადოების რღვევას და ა.შ. ეს ქალი მართალს ამბობს, კაცობრიობა თვისობრივად შეიცვლება, შედეგად კი რას მივიღებთ, წინასწარ ვერ გათვლი... ვერაფერს იტყვი, არაორდინალურად მოაზროვნე და ძლიერი ნებისყოფის ქალია, კოსმოსშიც ამიტომ გაძლო და ცოცხალი გადარჩა“.

– არ ვაპირებდი, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ ჩემი ბიჭები „უცნაურ რეტრომანს“ გეძახიან, – მცირეოდენი დუმილის შემდეგ კეთილად თქვა დავითინიძემ, – მათთვის უჩვეულოდ აზროვნებთ და გამოიყურებით. მინდა გითხრათ, რომ თქვენმა მოსაზრებებმა მეც არაერთხელ განმაცვიფრა.

– განსაცვიფრებელს არაფერს ვამბობ, ყველაფერი ლოგიკურია, – მხრები აიჩეჩა იაშვილმა, – თქვენი ხელქვეითები კი ნაწილობრივ არც შემცდარან, მე წარსულიდან მოსული ძველი ყაიდისა და ტრადიციული შეხედულებების ადამიანი ვარ, ჩემი ადგილი წარსულშია და არა მომავალში.

– ნუთუ არ გაინტერესებთ, როგორი იქნება მომავალი?

– რა თქმა უნდა, მაინტერესებს, მაგრამ ბუნების კანონების წინააღმდეგ წასვლის არანაირი სურვილი არა მაქვს, ეს არა მხოლოდ მკრეხელობაა, ჩემთვის უცხადესია, რომ მაინც არაფერი გამოვა, რადგან ბუნება ჩვენზე ძლიერია! თანაც იმ ადამიანების დიდი უმეტესობა, ვინც მიყვარდა და პატივს ვცემდი – მშობლები, ძმები, ნათესავები, მეგობრები, კოლეგები, მეზობლები თუ კარგი ნაცნობები – ცოცხლები აღარ არიან, მათ გარეშე ჩემს ყოფას რაღა აზრი აქვს?

– რას ბრძანებთ, ქალბატონო ია, ახალგაზრდა ადამიანის ჯანმრთელობა და ენერგია გაქვთ, მშვენივრად აზროვნებთ და გამოიყურებით! ცხოვრება წინა გაქვთ, უამრავ ხალხს გაიცნობთ, კიდევ ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთებას შესძლებთ.

– იქნებ მართალიც ხართ, მაგრამ... ცხოვრებისგან დავიღალე, ყოველდღიურმა ბრძოლამ დამღალა... კოსმოსში მივხვდი, რომ სიკვდილი საშიში არ არის, გარდაცვალება სხვა, ადამიანის გონებისათვის მიუწვდომელ განზომილებაში უჩინრად გადასვლას ნიშნავს... ამქვეყნად თუ არსებობ, შენი წუთისოფელი საყვარელი ადამიანების გარემოცვაში უნდა განლიო, მე კი საყვარელი ადამიანებიდან, სამწუხაროდ, თითქმის აღარავინ შემომრჩა, ვისთვის და რისთვის უნდა ვიცოცხლო? იქნებ ვცდები, მაგრამ დღეს ასე ვფიქრობ, შესაძლოა ხვალ აზრი შემეცვალოს და...

– დარწმუნებული ვარ, გამოძიების დამთავრების შემდეგ დაწყნარდებით, დაისვენებთ, ახლობელ-ნათესავებსა და ძველ მეგობრებს შეხვდებით, დადებითი ემოციით დაიმუხტებით, დღევანდელ წუთიერ სისუსტეს თქვენთვის ჩვეული შემართებით დაძლევთ და ცხოვრებას განახლებული ენერგიით განაგრძობთ.

– კარგი ადამიანი ხართ, კეთილი სურვილებისათვის დიდად გმადლობთ, ბატონო დავით! – მადლიერი ღიმილით სევდიანი თვალები მიაპყრო დავითინიძეს იაშვილმა, – ერთი რამ დანამდვილებით ვიცი, რომ ჩემს პიროვნულ რაობაში ხელოვნურად არ ჩავერევი და „უკვდავების ენერგიას“ არ მივიღებ, ვიცოცხლებ იმდენს, რამდენსაც უფალი მიბოძებს. მე ისედაც მადლობელი ვარ უფლის, ამქვეყნად რომ მომავლინა და ეს თვალუწვდენელი სივრცე მთელი თავისი სრულყოფილებითა და სიდიადით დამანახა!

იაშვილი ღელავდა, ნერვიული მოძრაობით ხელებს იფშვნეტდა და ჭერსა და კედლებს უაზროდ ათვალიერებდა, შემდეგ თავი ჩაღუნა და სახეზე ხელები აიფარა. დავითინიძემ იაშვილის დამშვიდება უაზრობად ჩათვალა და თანაგრძნობის გამოხატვა მდუმარებით არჩია. სიჩუმემ

დაისადგურა... იაშვილს პოლკოვნიკის სიმშვიდე ეუცხოვა, თავი ასწია, დავითინიძეს თვალებში შეხედა და საზეიმოდ წარმოსთქვა:

– ერწმუნეთ კოსმოსში ნამოგზაურებ ადამიანს, – სიტყვებს ნელა მარცვლიდა იაშვილი, – სამყარო იმდენად სრულქმნილი, ულამაზესი და განუმეორებელია, რომ მას უფლის გარდა, ვერანაირი „დიდი აფეთქება“[12] და ჰიგსის ბოზონი[13] თავისთავად ვერ შექმნიდა. ჩვენი მშობლიური, თბილი და საყვარელი დედამიწა კი კოსმოსიდან იმდენად ფაქიზი და დაუცველი მოჩანს, რომ ჩვილი ბავშვივით გულში ჩახუტება მოგინდება! – თავისივე სიტყვებმა იაშვილს გული აუჩუყა და წამწამები ცრემლით დაენამა.

ორიოდ წუთს იაშვილი მდუმარედ იჯდა და მოპირდაპირე კედელს გაქვავებული სახითა და დანისლული მზერით დაჟინებით უყურებდა. დავითინიძეც დუმდა და იაშვილის დამშვიდებას ელოდა. „ეს ქალი ყოველ წუთს ტირის! სახეზეც როგორი არაამქვეყნიური და დაღლილი გამომეტყველება აქვს, სერიოზული რეაბილიტაცია დასჭირდება. ყველაფერი რომ დამთავრდება, კარგ კლინიკაში გავაგზავნი და დასასვენებლადაც გავუშვებ“, – ფიქრობდა პოლკოვნიკი.

– პრეპარატის გარეშე დედამიწის პირობებში დაბერების პროცესი თავისი წესით დაჩქარებულად წავა და მალე დავბერდები, – ხმაში სინანული დაეტყო იაშვილს, – მაგრამ მანამდე ღვთის წყალობით, ჩემი მისიის აღსრულებას მოვასწრებ.

– რა მისიის? – ყურადღება დაძაბა დავითინიძემ.

– დაგეხმარებით დამნაშავეთა მხილებაში, რათა კაცობრიობის მომავალს საფრთხე არ შეექმნას, ადამიანთა საზოგადოება განვითარდეს ბუნებრივად, ჩვენი პლანეტის ყველა ქვეყანა იყოს სტაბილური და აყვავებული, მსოფლიოში დაისადგუროს მშვიდობამ და ვერავინ შესძლოს ადამიანებისა და ერების უფლებების ხელყოფა.

– მე მგონი, საკუთარ თავზე ძალიან ბევრს იღებთ, ქალბატონო ია, – საყვედურის კილოთი მიმართა იაშვილს დავითინიძემ, – მძაფრსიუჟეტიანი კინოფილმის გმირები არა ვართ და ასეთი ზეაღმატებულობა საჭირო არ არის!

– კი არ „ვმარიაჟობ“, ბატონო დავით, – ეწყინა იაშვილს, – მაგ ასაკიდან უკვე დიდი ხანია გამოვედი!

– კარგი, კარგი... – იაშვილის დასაშოშმინებლად დავითინიძემ საუბრის თემა შეცვალა, – ერთი ეს მითხარით, მომავალი როგორ წარმოგიდგენიათ?

– რა თქმა უნდა, მინდა რომ ჩვენს შთამომავლობას ბედნიერი მომავალი ჰქონდეს. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ყველა ეპოქას

საფრთხეები და გამოწვევები თან სდევს, წარსულში ეს იყო ომები, მომავალში კი ეს ენერგეტიკული, ეკონომიკური და ეკოლოგიური პრობლემები იქნება. ალბათ, გაცვეთილ ფრაზებს გავიმეორებ, თუ ვიტყვი, რომ ადამიანები საცოდავი დედამიწის შიგვნასა და ჯიჯგნას უნდა შევეშვათ, ანუ ენერგორესურსები უნდა დავზოგოთ. სხვათა შორის, წარსულში მსოფლიო და რეგიონალური ომები სწორედ რომ ენერგორესურსების დაუფლებისათვის იწარმოებოდა! დღეს მზის ენერგია უფრო აქტიურად უნდა გამოიყენებოდეს და ენერგიის სხვა უსაფრთხო წყაროებიც აუცილებლად უნდა მოიძიოს. ამით ომებსა და ტერაქტებს თავიდან ავიცილებთ. თანამედროვე მეცნიერება საკმარისადაა განვითარებული იმისათვის, რომ XXI საუკუნის ეს მთავარი გამოწვევა წარმატებით დაიძლიოს!

– გეთანხმებით, ბუნების დაცვა აუცილებელია, – იაშვილის აღშფოთება გაიზიარა დავითინიძემ, – ახლა ამისათვის ძალიან ბევრი რამ კეთდება. გაეროს გადაწყვეტილებით, ენერგიის უსაფრთხო წყაროებით სარგებლობა ყველა ქვეყნისათვის სავალდებულოა.

– მიხარია... ადამიანებმა პატიოსნად უნდა ვაღიაროთ, რომ დედამიწას ძლიან უმოწყალოდ და უდიერად ვექცევით, მას კი მოფრთხილება და სიყვარული სჭირდება! ბატონო დავით, დიდი იმედი მაქვს, რომ მომავლის კაცობრიობა უფრო ცივილიზებული გახდება, უარს იტყვის ისეთ უგუნურობაზე, როგორიცაა მასობრივი განადგურების იარაღის წარმოება, გამოთავისუფლებულ ფინანსურ და ადამიანურ რესურსებსა და მეცნიერების და ტექნიკის მიღწევებს არა საკუთარი თავის გასანადგურებლად, არამედ პრინციპულად და თვისობრივად ახალ, მაღალზნეობრივ ფასეულობებზე დაფუძნებული საზოგადოების აღმშენებლობისათვის გამოიყენებს.

– თქვენ ხომ დღეს არსებულ ვითარებას არ იცნობთ, ია... მითხარით, როგორად წარმოგიდგენიათ ეს „ახალი საზოგადოება“? – სკეპტიკურად იკითხა დავითინიძემ.

რამდენიმე ხანს იაშვილი შუბლშეკრული მდუმარედ იჯდა და ფრჩხილებს ითვალიერებდა, შემდეგ კი დამაჯერებლად განაცხადა:

– ვფიქრობ, უნდა შეიქმნას საზოგადოებისა და სახელმწიფოს მოწყობის ნოვატორული კონცეფცია, რომლის მიხედვითაც, ადამიანის გენეტიკისა და ფსიქოლოგიის გათვალისწინებით, შეიქმნება სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკაზე დაფუძნებული ახალი, უფრო სამართლიანი საზოგადოების მოდელი. ეკონომისტები, პოლიტოლოგები, ფილოსოფოსები, სოციოლოგები და ფსიქოლოგები თუკი მოინდომებენ და გაერთიანდებიან, ერთობლივი მუშაობის შედეგად ამას შესძლე-

ბენ. საბედნიეროდ, მსოფლიოს ჰყავს უჭკვიანესი თავები და მათი პოტენციალი კაცობრიობამ თავისდა სასიკეთოდ უნდა გამოიყენოს.

– ვერ გავიგე, დააკონკრეტეთ, – სთხოვა პოლკოვნიკმა.

– ორ ცნობილ ამბავს მოკლედ გიამბობთ და მიხვდებით... პირველი ცნობილი ამბავია, რომ ათწლეულების წინ, როდესაც მეცნიერები დაინტერესდნენ, დედამიწის მატერიალური რესურსების რა ნაწილს ფლობდნენ პლანეტის უმდიდრესი ადამიანები, მათ ეს მათემატიკური მოდელირების მეთოდების საშუალებით გამოთვალეს და დაადგინეს, რომ პლანეტის მთელ რესურსებს ფლობს მოსახლეობის მხოლოდ 6%. ანუ, პირობითად თუ ჩავთვლით, რომ კაცობრიობა შეადგენს 100 ადამიანს, მაშინ გამოდის, რომ დედამიწის მთელ სიმდიდრეს ფლობს მხოლოდ 6 კაცი, დანარჩენი 94 კი ამ ექვსის ხელის შემყურეა. მატერიალური ქონების ამდაგვარი დანაწილება სამართლიანად კატეგორიულად არ მიმაჩნია!

მეორე ცნობილი ამბავი კი ისაა, რომ ყოფილმა საბჭოთა კავშირმა, 70 წელი იარსება და მაინც დაიშალა იმიტომ, რომ მისმა დამფუძნებელმა ბოლშევიკებმა უგულებელჰყვეს ბუნებრივი განვითარების კანონები და შექმნეს ისეთ იდეოლოგიასა და ეკონომიკაზე დაფუძნებული სახელმწიფო, რომელიც ადამიანებს ინკუბატორის წიწილებივით ექცეოდა და თანასწორობის იდეის საფარველს ამოფარებული, ძალისმიერი მეთოდებით თრგუნავდა ადამიანის ბუნებრივ პირად ინტერესებსა და შინაგან მისწრაფებას კერძო საკუთრებისადმი. ცხადია, სამართლიანად არც ეს მიმაჩნია! ეს გახლავთ ორი მაგალითი უგუნური და უსამართლო უკიდურესობებისა!

– ამით რისი თქმა გინდათ? – იაშვილს სათქმელს ვერ მიუხვდა დავითინიძე.

– ამით იმის თქმა მინდა, რომ დაუშვებლად მიმაჩნია XXI საუკუნეში ადამიანთა მცირერიცხოვანმა ნაწილმა ფუფუნებაში განცხრომით ინებივროს მაშინ, როდესაც უმეტესობა შიმშილობს! მდიდრები რატომღაც თვლიან, რომ ისინი სხვებზე უკეთესები არიან და სიმდიდრე სავსებით დამსახურებულად, ბუნებრივი შერჩევის შედეგად მიიღეს და კანონიერად ფლობენ, ხოლო ღარიბების აზრით, მდიდრები ჯუნგლების მტაცებლური ინსტიქტებით მოქმედებენ და როგორც საზოგადოებრივი ფენა, საერთოდ არ უნდა არსებობდნენ. ცხადია, ორივე მოსაზრება მცდარია! უფლის წინაშე ყველანი თანასწორები ვართ. ბუნებრივია, რომ ყველა ერთნაირად ვერ იცხოვრებს, ადამიანების ქონებრივი მდგომარეობა ყოველთვის განსხვავებული იქნება, მთავარი ისაა, რომ დიდი დიფერენციაცია არ იყოს. მაღალი ქონებრივი სხვაობა წარმოშობს

მტრობას, ხოლო მცირე – წამახალისებელ ეფექტს ახდენს ადამიანებზე. ანბანური ჭეშმარიტებაა, რომ ზომიერების დაცვა ყოველთვის და ყველაფერში აუცილებელია!

– მერე და ასეთი „სამართლიანი და ზომიერი მოდელის“ პრაქტიკულად განხორციელება შესაძლებლად მიგაჩნიათ?

– რატომაც არა? მე სავსებით შესაძლებლად მესახება.

– თქვენ რომ გესახებათ, – ვხვდები, რეალურ ცხოვრებაში დანერგვის – რა მოგახსენოთ!

– ამისათვის გაერო-ს წევრი ქვეყნების მთავრობების კეთილი ნება და ურთიერთშეთანხმებაა საჭირო. მათ შეუძლიათ თავიანთ ქვეყნებში ახალი იდეის პროპაგანდა გასწიონ, შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა შეიმუშაონ და მისაღებად პარლამენტში წარადგინონ. დარწმუნებული ვარ, მსოფლიოს ხალხები სიხარულით დაუჭერენ მხარს ზოგადსაკაცობრიო მატერიალური ფასეულობების სამართლიანი გადანაწილების, სიღატაკის დაძლევისა და ადამიანის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ საზოგადოებად გარდაქმნის კონცეფციას.

– მართლა სერიოზულად გგონიათ, რომ მთავრობები შეთანხმებას მიაღწევენ და პარლამენტარები სიხარულისაგან გადაირევიან?! ხომ არ გავიწყდებათ, რომ მთავრობებიცა და პარლამენტებიც უმდიდრესი ადამიანებისაგან შედგებიან და მათ მიერვე იმართებიან?

– ვიცი, მაგრამ ცვლილებები პლანეტის უმდიდრესი ადამიანებისათვისაც კი გარდაუვალი აუცილებლობაა, რადგან საფრთხე მათ სიმდიდრესაც ემუქრება.

– ეგ როგორ?

– საქმე ის გახლავთ, რომ კაპიტალიზმის, როგორც საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის, ძირითადი მამოძრავებელი ბერკეტები XIX საუკუნიდან დღემდე პრაქტიკულად არ შეცვლილა, რაც თანამედროვე პირობებში იწვევს მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისებს და აფერხებს ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებას. ცვლილებები სასიცოცხლოდ აუცილებელია და ადრე თუ გვიან, ეს მაინც მოხდება, მაგრამ ცვლილებები უნდა მოხდეს საერთაშორისო შეთანხმების შედეგად, მეცნიერული გათვლებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით, მიზანმიმართულად და ეტაპობრივად და არა სპონტანურად... XXI საუკუნის მეორე ნახევარში რევოლუციები ძალიან საშიშია! სატრანსპორტო არტერიებისა და კომუნიკაციების განვითარებამ ადამიანები დააახლოვა და დედამიწა „დააპატარავა“. პოლიტიკოსები უნდა მიხვდნენ, რომ ყველა ქვეყანა ერთი მთლიანი ორგანიზმის – კაცობრიობის – შემადგენელი ნაწილია და ერთი ქვეყნის ნებისმიერი პრობლემა – ეკონომიკური თუ

პოლიტიკური – გამოძახილს ჰპოვებს და მყისიერად აისახება მეორე ქვეყნის მდგომარეობაზე. ამდენად, XXI საუკუნის მეორე ნახევარში ფუ-ფუნება და სიღატაკე ერთად ვეღარ იარსებებენ! თუკი ფუფუნების თვი-სობრივი შემცირების ხარჯზე დაიძლევა სიღატაკე, მივიღებთ კეთილ-დღეობას, ანუ არავინ იცხოვრებს არც უკიდურეს სიღატაკეში და არც ზღვარგადასულ ფუფუნებაში, ცხოვრების საშუალო დონე აიწევს და ადამიანები იცხოვრებენ ღირსეულად. მართალია, მდიდრებიც იქნებიან და ნაკლებად შეძლებულებიც, მაგრამ არავინ იქნება დამშეული, უს-ახლკარო, დაავადებული და გაუნათლებელი.

– ესე იგი, დარწმუნებული ხართ, რომ ერთ მშვენიერ დღეს მილიარ-დელები და მილიონერები ცოდვების მონანიებისაგან გასხივოსნებულნი, საკუთარი კეთილშობილებით გულაჩუყებულნი და თვალზე ცრემლმომ-დგარნი, გულის ფიცარზე მჯიღის ცემას მოჰყვებიან, თავიანთ ქონებას ნებაყოფლობით, საჯაროდ დათმობენ და „მშობელ ხალხს“ გულუხვად გადაუნაწილებენ?!! – რიტორიკული შეკითხვა დასვა იაშვილის უხვსი-ტყვაობისაგან გადაღლილმა დავითინიძემ.

– არც იმდენად სულელი და მიამიტი ვარ, რომ ასეთი ილუზორული აზრები „მაწუხებდეს“. ერთის მხრივ, არსებობს მილიარდელების მიერ ქონების უანგაროდ გაცემის პრეცედენტები. საქართველოსაც ჰყავდა პატრიოტი და ქველმოქმედი მამულიშვილები, რომელთაც ქონება სა-კუთარ ხალხს მოახმარეს. თვით მდიდრებსაც კი უკვე დიდი ხანია ეს-მით, რომ თუ მსოფლიოში სამართლიანობისაკენ რაიმე ნაბიჯი მაინც არ გადაიდგა და არაფერი შეიცვალა, ისინი გაკოტრების საფრთხის წინაშე რეალურად აღმოჩნდებიან: თუ ქვეყანაში მსყიდველობითუნარ-იანმა მოსახლეობამ არ იარსება, მხოლოდ შიდა კაპიტალდაბანდებე-ბით და უცხოური ინვესტიციებით ეკონომიკა ვერ იფუნქციონირებს! მეორეს მხრივ, დასავლეთში არსებობს მსოფლიოში „ახალი წესრიგის“[14] დამყარების კაცთმოძულე იდეოლოგია, რომლის განხორციელების ინ-სტრუმენტიცაა კანში ე.წ. „ჩიპების“ ჩადგმით ადამიანებზე ტოტალური კონტროლის განხორციელების ავადმყოფური იდეა.

– ნუ ნერვიულობთ, საქართველოში არანაირი „დაჩიპვა“ არ მომხ-დარა და არც არასოდეს მოხდება, – მტკიცედ განაცხადა დავითინიძემ.

– სხვანაირად არც შეიძლება, ეს ყბადაღებული „დაჩიპვა“ ხომ და-მონების თანამედროვე ფორმაა! ჩემის აზრით, „ახალი წესრიგის“ იდეო-ლოგია წარმოადგენს XXI საუკუნეში მონათმფლობელური სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის რეანიმაციის ბოროტ მცდელობას და ემ-სახურება მსოფლიო უმდიდრესი ფენის, ფარული ელიტის მიერ მათ ხელთ არსებული სიმდიდრისა და აქედან გამომდინარე, ძალაუფლების

შენარჩუნებასა და პლანეტაზე საბოლოოდ გაბატონებას. თუმცა, არსებობს ერთი ძალზედ მნიშვნელოვანი „მაგრამ“: წარსულში ღატაკი ადამიანის დათრგუნვა, დაშინება და დაჩაგვრა შედარებით ადვილი იყო, აწმყოში და, მით უმეტეს, მომავალში ეს ასე ვეღარ იქნება, რადგან ტექნიკა ისე განვითარდა, რომ ნებისმიერი პირის მიმართ ნებისმიერი სახის ტერაქტის მოწყობა პრობლემას აღარ წარმოადგენს. ამის არა ერთი მაგალითი მსოფლიოში კარგადაა ცნობილი და ჩამოთვლით თავს არ შეგაწყენთ. გარდა ამისა, ბირთვული იარაღი რომელ გიჟს როდის ჩაუვარდება ხელში და როგორ გამოიყენებს მას, ვერავინ გათვლის! ასე, რომ მშობლიური კაცობრიობა დიდი საფრთხეებისა და გამოწვევების წინაშე დგას და საზოგადოებრივი წყობის სამართლიანობისაკენ გარდამტეხი სახეცვლილება – ეპოქის სასიცოცხლო მოთხოვნაა: მსოფლიო დოვლათი სამართლიანად თუ არ გადანაწილდა, კაცობრიობას კარგი არაფერი ელის და შესაძლოა დაიღუპოს კიდეც!

– კარგი... არ გვინდა ეს „ლოზუნგების ფრიალი“! ვერავინ ვერსად ვერ გაბატონდება და კაცობრიობაც მარად იარსებებს! თქვენ დედამიწაზე 40 წელიწადია არ ყოფილხართ და არ იცით, რომ „შეთქმულების თეორიის“ იდეა დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა. მოდი, თავი დავანებოთ კაცობრიობას და ჩვენს გასაჭირზე ვიფიქროთ, – საათს დახედა დავითინიძემ, – სანამ სხვა მნიშვნელოვან თემებზე გადავიდოდეთ, ორიოდ სიტყვით მოყევით, „ქართული სული“ ვუდპეკერს რაში აინტერესებდა?!

– ბატონი ვუდი ამერიკელი გახლდათ და ქართველებს არ იცნობდა. უნდოდა გაეგო როგორც ერი, რას წარმოვადგენდით და მომავლისაგან რას მოველოდით.

– ეგ ვუდი რა, ქართველების ეთნოფსიქოლოგიასაც სწავლობდა?

– ალბათ... იგი ხომ ყველგან და ყველაფერში ცხვირს ჰყოფდა და „სწავლობდა“!

– კონკრეტულად რა აინტერესებდა?

– ყველაფერი საქართველოს შესახებ!

– მერე თქვენ რა უთხარით?

– დავიწყე იმით, რომ პირველი ევროპელები და ქალდაველების შთამომავალნი ვართ, მსოფლიოში არსებული 14 დამწერლობიდან ერთი ქართულია, იგი ბიბლიურ კოდს შეიცავს და ჩვენს წელთაღრიცხვამდე III საუკუნეშია შექმნილი-მეთქი, ვუთხარი.

– ძალიან შორიდან მოგივლიათ, – ჩაეღიმა პოლკოვნიკს.

– სულაც არა! უცხოელებმა უნდა იცოდნენ, რომ პლანეტის ერთ-ერთი უძველესი, პრეისტორიული ცივილიზაციის შემქმნელი ერი ვართ, ჩვენს მიერ დასახლებულ ტერიტორიაზე აბორიგენ მოსახლეობას წარ-

მოვადგენთ და სხვისი კუთვნილი ტერიტორიები არ მიგვითვისებია, – დავითინიძის შენიშვნაზე წარბი არ შეუხრია იაშვილს.

– რა გიპასუხათ?

– არაფერი, რა უნდა ეპასუხა?! მისმენდა... მერე სამსაათიანი ლექცია ჩავუტარე საქართველოს მძიმე წარსულისა და მრავალშრიანი კულტურის შესახებ, ქართული მრავალხმიანობა, სტუმართმოყვარეობა და ეროვნული ტრადიციებისადმი ერთგულებაც არ დამვიწყებია, შოთა რუსთაველი, იყალთოსა და გელათის აკადემიებიც გავიხსენე, ისიც ვუთხარი, გასული საუკუნის მიწურულს, ქართული ხალხური სიმღერები კაცობრიობის სახელით, კოსმოსშიც კი გაგზავნეს-მეთქი...

– გაუკვირდა, თუ ეს ფაქტი მისთვის უკვე ცნობილი იყო?

– მე რა ვიცი?! – აგდებულად ჩაიცინა იაშვილმა, – სახეზე ვერაფერი შევატყვე... ბუსავით თვალებგადმოკარკლული კი იჯდა!

– იმედია, ამბის მოყოლისას ვუდპეკერის მიმართ ობიექტური იქნებით, – შენიშვნა მისცა იაშვილს პოლკოვნიკმა.

– რა თქმა უნდა, ბატონო დავით, ობიექტურობას ყოველთვის ვიცავ, სხვანაირად არც შეიძლება... უბრალოდ, გამახსენდა, რომ ვუდპეკერს დიდხანს ვეხვეწებოდი, ქართულ საეკლესიო საგალობლებს, ხალხურ მელოდიებსა და სიმღერებს „ფლეშკაზე“ ჩავიწერ და კოსმოსში თან წავიყოლებ-მეთქი, მაგრამ უარი მითხრა. მეწყინა და ძალიან გავბრაზდი...

– ქართული სულის შესახებ რა უთხარით?

– „ჩვენი ეროვნული სულიერება ტაძრებსა და მრავალხმიანობაშია განფენილი. ქართული სულის შეცნობა თუ გაინტერესებთ, მოუსმინეთ უძველეს საეკლესიო საგალობლებსა და ხალხურ მუსიკას, მოილოცეთ მრავალსაუკოვანი ტაძრები, მიეახლეთ წმინდა ფრესკებსა და ხატებს, ეწვიეთ ქართულ სოფელს, გაესაუბრეთ მშრომელ ხალხს და მერწმუნეთ, ქართული მიწის ხიბლს აუცილებლად შეიგრძნობთ და საქართველოსადმი დიდი სიყვარულითა და პატივისცემით განიმსჭვალებით“-მეთქი.

– მეტი საქმე არ ჰქონდა ვუდს, იმ წუთშივე გაიქცეოდა და ინტერნეტში საქართველოს ხედების თვალიერებას „ჩაკრულოს“ ფონზე დაიწყებდა!

– გასაგებია, მაგრამ ასე შეგნებულად მოვიქეცი.

– რატომ?

– იმიტომ რომ ქართველებს უაზრო პრეტენზიები წამოგვიყენა: „ამბიციურები, ზარმაცები და ნაციონალისტები ხართ, სტალინი გიყვართ, თქვენს რელიგიას ებღაუჭებით და გლობალიზაციას იმიტომ ეწინააღმდეგებით, რომ მსოფლიო საგანძურში არანაირი წვლილი არ შეგიტა-

ნიათ, თანაც სხვისი ტერიტორიები გაქვთ დაპყრობილი“-ო. მსგავსი სისაძაგლე და უსამართლობა ოდესმე გსმენიათ?!

– ჩვენზე ასეთი წარმოდგენა საიდან და რატომ შეექმნა, არ ჰკითხეთ?

– ვკითხე, მაგრამ პასუხის ღირსადაც კი არ ჩამთვალა. მაგარი თვალთმაქცი, ავყია და დაუნდობელი ტიპია, თანაც სნობი, ადამიანები არ უყვარს... გარდა ამისა, იმ მომენტში ვერ გავაცნობიერე, მაგრამ გუმანით მივხვდი, რომ მას საქართველოსადმი ასე ვთქვათ, არაჯანსაღი ინტერესი ამოძრავებდა, რაც შემდეგ დადასტურდა კიდეც.

– განმარტეთ!

– როდესაც შენთვის უცნობი ქვეყნის შეცნობას გადაწყვეტ და ეს დაინტერესება მიუკერძოებელი „ტურისტის“ ცნობისმოყვარეობა და ახალი შთაბეჭდილებების მიღების სურვილია, როდესაც ქვეყნის შესახებ ინფორმაციის მიღებას პირველწყაროდან, ანუ ამ ერის წარმომადგენლისაგან ცდილობ, განა მას ჭორის დონეზე მოსმენილ შეურაცხმყოფელ ბრალდებებსა და უაზრო პრეტენზიებს წამოუყენებ?! ელემენტარული ზრდილობა და ტაქტი მოითხოვს უცხო ტომის შვილს თავაზიანად მოექცე და მისი ერის ისტორიის, კულტურისა და ტრადიციების მიმართ პატივისცემა გამოხატო. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს მათი ცხოვრების წესი და მენტალიტეტი შენთვის მისაღებია, თუ არა, მათ მოსაზრებებს იზიარებ, თუ არა. დამეთანხმეთ, ეს ადამიანური ურთიერთობების წარმატებით აწყობის ელემენტარული წესია... ვუდპეკერმა კი „ქართული სულის“ შეცნობა შეურაცხმყოფელი თავდასხმიდან დაიწყო, ესე იგი, ქართველებისადმი თავიდანვე მტრულად იყო განწყობილი.

– ვუდის მტრულ დამოკიდებულებას საქართველოსადმი როგორ ახსნით და რით დადასტურდა?

– ეს საუბრის ცალკე თემაა და მთავარ სათქმელს უკავშირდება. უფლება მომეცით, ჩემი ეჭვებისა და ვარაუდების შესახებ დაწვრილებით მოგახსენოთ.

– კი, ბატონო, ბრძანეთ!

– ვფიქრობ, რომ ხომალდზე გასაიდუმლოებული და საშიში ექსპერიმენტები ტარდებოდა!

– რა საშიშ ექსპერიმენტებზე საუბრობთ? – შინაგანად დაიმუხტა დავითინიძე.

– კონკრეტულად ვერ ჩამოვაყალიბებ, რადგან არანაირ ინფორმაციას არ ვფლობ. ეს მოსაზრება ჩემი პირადი დაკვირვებებისა და ინტუიციის ნაყოფია და ეს არის ის ძირითადი სათქმელი, რისთვისაც თქვენთან მოვედი და რის გამოც ჩემი მოკვლა სცადეს. ახლავე აგიხს-

ნით, რასაც ვგულისხმობ... ფაქტებს მოგიყვებით და გავაანალიზებ, თუ რამეში შევცდები, შემისწორეთ.

ჯერ ერთი, თვით ის ფაქტი, რომ მე, არაპროფესიონალი, კოსმოსში ასე უპრობლემოდ გამგზავნეს, თავიდანვე საეჭვოდ მეჩვენა. მათთან ყოფნის მთელ ამ პერიოდში ისინი აშკარად გამოხატავდნენ ჩემდამი ასე ვთქვათ „ფრთხილ და მოზომილ“ დამოკიდებულებას, ანუ ფარულ აგრესიასა და უნდობლობას, მიუხედავად იმისა, რომ უნდობლობის საფუძველი არ ჰქონდათ. თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ უპატივცემულოდ მექცეოდნენ, ან რამე დამიშავეს.

მეორე, ახალი პლანეტის აღმოსაჩენად კოსმოსური პილოტირებული ექსპედიციის გაგზავნის შესახებ კაცობრიობას არ უნდა სცოდნოდა? ხომ ფაქტია, რომ იმ წლებში ინტერნეტით და მასმედიით მსგავსი ინ-ფორმაცია არ გავრცელებულა. მერედა, რა იყო აქ დასამალი? პირიქ-ით, კოსმოსში გაშვებამდე ჩვეულებრივი პილოტირებული ხომალდის მომზადების პროცესიც კი მედიაში ფართოდ განიხილებოდა ხოლმე! წესით, მსოფლიო საინფორმაციო საშუალებებს გალაქტიკაში დედამი-წის მსგავსი პლანეტის მოსაძებნად ასტრონავტების გაგზავნის ამბავი ნომერ პირველ „ნიუსად“ უნდა გაეშუქებინათ. რადგან დუმდნენ, ესე იგი, არაფერი იცოდნენ. ყველაფერი ასე რატომ გასაიდუმლოვდა?!. ეს მომენტიც საეჭვოდ ჩავთვალე.

მესამე საეჭვო და უცნაური ფაქტი ისაა, რომ ზემოხსენებული ვინმე საიდი, „თანამშრომლობდა“ როგორც ჩემს გამტაცებლებთან, ასევე „ვარსკვლავთ ბიჭუნა“ ვუდპეკერთანაც. ვერ მივხვდი საიდან, მაგრამ გამტაცებლებმა კოსმოსური ექსპედიციის შესახებ რაღაც იცოდნენ, – ვირტუალურმა „ბიუსტმა“ ხომ მითხრა: „ფრენა გყვარებია და კოსმოს-ში გაგაფრენენ“-ო! ბუნებრივად დამებადა კითხვა: რა კავშირი უნდა ჰქონოდათ კოსმოსზე მომუშავე რესპექტაბელურ მეცნიერებს ვიღაც გაუნათლებელ შანტაჟისტებთან?

მეოთხე. გასაგებია, რომ ჩემთვის არასასიამოვნო იყო ვუდის მტრუ-ლი დამოკიდებულება ყოველივე ქართულის მიმართ მაშინ, როდესაც ჩემს გარდა, არც ერთ ქართველს არ იცნობდა. ამ ფაქტმაც, ცხადია, დამაეჭვა, რადგან ასეთი სიძულვილი არაბუნებრივად მომეჩვენა.

მეხუთე. ჩემი თვალით ვნახე, რომ ისინი უთანამედროვესი და უმ-ძლავრესი ტექნიკის გამოყენებითა და დიდი გულმოდგინებით სწავ-ლობდნენ ცხოველებსა და მცენარეებს, აკვირდებოდნენ კოსმოსს. ეს ჩემთვის უცნობია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ათასნაირ ცდებსაც ჩაატარებდნენ, რადგან კოსმოსში მრავალფეროვანი ცდები, როგორც წესი, მანამდეც ტარდებოდა ხოლმე. ვფიქრობ, საერთაშორისო კონვენ-

ციებით აკრძალული ბირთვული, ქიმიური, ბიოქიმიური, ბიოლოგიური და სხვა სახის ცდების ჩატარება გასაიდუმლოებულ ხომალდზე, ზოგადად, გამორიცხული არ არის და პრაქტიკულადაც სავსებით შესაძლებელია!

მეექვსე. როგორც მოგახსენეთ, ხომალდზე ჰქონდათ პრეპარატი „უკვდავების ენერგია“. ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ თეორიულად, საკუთარი სიცოცხლის ნებისმიერი დროით გახანგრძლივება და ხომალდზე განუსაზღვრელი დროით ყოფნა მათთვის ძნელი არ უნდა ყოფილიყო, თუკი კოსმოსიდან ენერგიის მოპოვებასა და საკვების ადგილზე წარმოებას შესძლებდნენ.

მეშვიდე და მთავარი. ამ ყველაფრიდან შემდეგი დასკვნა გამოვიტანე: ვუდპეკერი და მისი „გუნდი“ რომელიმე ქვეყნის მთავრობის დავალებთ არ მოქმედებდნენ, – ხომალდზე ჩემსავით შემთხვევითი პირი ვერ მოხვდებოდა! რაოდენ დაუჯერებლადაც არ უნდა ჟღერდეს, ვუდპეკერმა და მასთან დაკავშირებულმა სხვა კრიმინალებმა, რა მანქანებით, არ ვიცი, ხელში ჩაიგდეს კოსმოსური ხომალდი და მისი უზრუნველმყოფი ინფრასტრუქტურა ვუდპეკერის „სამფლობელოსა“ და კოსმოდრომის სახით, ისინი საიდუმლოდ ატარებენ საშიშ ექსპერიმენტებს, საფრთხეს უქმნიან კაცობრიობას და, სავარაუდოდ, შეეცდებიან ჩვენი პლანეტის წამყვანი სახელმწიფოების მთავრობების დაშანტაჟებას.

– ია, თქვენი დასკვნების სისწორეში დარწმუნებული ხართ? – ეჭვნარევი ყურადღებით თვალებში ჩახედა იაშვილს დავითინიძემ.

– სავსებით, ბატონო დავით, ეჭვი არაფერში მეპარება, – პოლკოვნიკის გამჭოლ მზერას თვალი ჯიქურ გაუსწორა და დაბეჯითებით განაცხადა იაშვილმა, – ერთადერთი, ვერ მივხვდი, საქართველო რა შუაში იყო.

– თუ საფრთხე მთელ პლანეტას ემუქრება, ჩვენც დაგვემუქრება.

– გასაგებია, მაგრამ ქართველებისადმი მიკერძოებული დამოკიდებულება რაღაცამ ხომ განაპირობა?!

– ამის გასააზრებლად, მოდით ვუდთან საუბარს დავუბრუნდეთ... ესე იგი, ქართველებს შეურაცხყოფა მოგვაყენა!.. ეჩხუბეთ?

– დაიმსახურა და კულტურულადაც გამოვლანძღე.

დავითინიძემ ღიმილი დამალა და იაშვილის გამოტეხვას შეეცადა:

– მაინც რა უთხარით, ამოშაქრეთ!

– ვუდს „გავუიასნე“: „თქვენისთანა სერიოზული მეცნიერი და ღირსეული კაცი ასე უპასუხისმგებლოდ არ უნდა იქცეოდეს – ქართველებს საერთოდ არ იცნობთ და მოშურნე მტრების აბსურდულ მონაჩმახსა და ბოროტულად გამიზნულ ცილისწამებას გაუაზრებლად იმეორებთ“-

მეთქი. იგი გაიბღინძა და მიპასუხა: „თავი იმართლეთ, იქნებ სათქმელი არც არაფერი გაქვთ?“-ო. მე გავღიზიანდი და მოვახსენე: „სისულელეებზე თავის მართლებას არ ვაპირებ! განათლებული, კომპეტენტური და მოაზროვნე ადამიანი მეგონეთ, რას იზამ, ეტყობა შევცდი, ხდება ხოლმე“. ვუდს თავხედობა ეყო და გამომიცხადა: „რადგან კომენტარს არ აკეთებთ, გამოდის, რომ ქართველებზე რაც თქვეს – სიმართლეა!“

იაშვილს ხველა აუტყდა და მოიბოდიშა:

– უკაცრავად, ნერვიულობაზე ზოგჯერ სპაზმი მემართება ხოლმე.

– არა უშავს, – თლილი ჭიქით წყალი მიაწოდა დავითინიძემ.

– გმადლობთ, ბატონო დავით, – იაშვილმა წყალი ფრთხილად მოსვა, – მაშინ მივხვდი, თუ ზოგჯერ რატომ აგინებენ და სცემენ ერთმანეთს მამაკაცები... ვუდის ცინიზმმა და ჩემმა უძლურობამ ისეთ საშინელ ხასიათზე დამაყენა, რომ ჯერ გავიფიქრე: „კაცი რომ ვიყო, ამას ხომ მამაპაპურად ვაგინებდი და ცხვირ-პირსაც გემრიელად მივუნაყავდი, მერე რაც უნდა ის მომხდარიყო“- მეთქი. შემდეგ კი მეგონა: „ეს კრეტინი კიდევ ერთხელ მამოწმებს და ჩემი წონასწორობიდან გამოყვანა უნდა!“- მეთქი. ასეა თუ ისე, თავი მაქსიმალურად შევიკავე და ვუდს ვრცელი „ახსნა-განმარტება წარვუდგინე“.

– ესე იგი, „თავი იმართლეთ“, – დააზუსტა პოლკოვნიკმა.

– დაახლოებით... იმ სიტუაციაში ასე ვამჯობინე!

– მესმის... განაგრძეთ!

იაშვილმა წყალი კიდევ მოსვა და თხრობა განაგრძო:

– რა ინფორმაციასაც ახლა მოგაწვდით, – მივმართე ვუდს, – მისი უტყუარობა მეცნიერულად გადაამოწმეთ, თქვენ ხომ ამას ადვილად შესძლებთ!.. თქვენი ფრაზეოლოგია წმინდა წყლის სიცრუე და ქართველი ხალხის მიმართ დიდი უსამართლობაა. მიუხედავად მცირერიცხოვნებისა, ქართველი ერი დიადი ერია, მთელი ჩვენი ისტორია მომხდურების შემოსევებისაგან თავის დაცვისა და მტერთან უთანასწორო და გმირული ბრძოლის ბრწყინვალე ნიმუშია. ანთროპოლოგიურად და გენეტიკურად დამტკიცდა, რომ განსახლების ტერიტორიებზე აბორიგენი ერი ვართ და არავისი მიწები არ მიგვითვისებია, პირიქით, ისტორიული ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი, სამწუხაროდ, ჩვენ აქეთ წაგვართვეს. რაც შეეხება ქართველების წვლილს კაცობრიობის ისტორიაში, მინდა გითხრათ, რომ ჩვენ სისხლით დავიცავით ევროპა არა მხოლოდ ტერიტორიების, არამედ თვითმყოფადობის დაკარგვისგანაც! მსოფლიოს ბევრი უძველესი და მრავალრიცხოვანი ერი ისტორიის ქარტეხილებმა პირწმინდად აღგავა პირისაგან მიწისა, იმიტომ რომ კაცობრიობის შრომით დანაწილებაში უფუნქციოდ დარჩნენ. ქართველები

კი დღემდე იმიტომ მოვედით, რომ გვქონდა ეკონომიკური ფუნქცია ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი აბრეშუმის გზის სახით და პოლიტიკური ფუნქცია – ქრისტიანული სამყაროს შემოსევებისაგან დაცვის ვალდებულების სახით. საქართველო იყო ფორპოსტი ქრისტიანობისა, ჩვენ პირველები ვიგერიებდით მტერს და ევროპისაკენ აღარ ვუშვებდით. თუ დღეს პლანეტაზე ქრისტიანული ქვეყნები არსებობენ, ეს ქართველთა წინაპრების თავგანწირვისა და სარწმუნოებისადმი უსაზღვრო ერთგულების შედეგიც არის. დასავლეთმა ეს უნდა დააფასოს! არც ერთ ერს არა აქვს 100 000 თავდადებულ მოწამეთა გმირობის მსგავსი ისტორიული მაგალითი, ეს მოხდა 1227 წელს თბილისში, როდესაც ერთდროულად ასი ათასმა ქართველმა ქრისტიანული სიმბოლოების გმობას და შეურაცხყოფას სიკვდილი ამჯობინა!

თქვენ გულსატკენ შეურაცხყოფას გვაყენებთ, როდესაც დაუფიქრებლად ამბობთ, რომ ჩვენს რელიგიას „ვებღაუჭებით“ და გლობალიზაცია არ გვინდა. გლობალიზაციას კი არ გავურბივართ, არამედ ვაცნობიერებთ, რომ ისტორიულად მართლმადიდებლობა ჩვენთვის ქართველობას ნიშნავდა, ქართველობა კი – მართლმადიდებლობას! ათეისტმა კომუნისტებმაც კი ვერ ჩაკლეს ჩვენში ღვთის შიში და სიყვარული, რადგან ნებისმიერი ერის გენეტიკური მეხსიერების ამოძირკვა შეუძლებელია. ჩვენმა სარწმუნოებამ გადაგვარჩინა ფიზიკურად და შეგვინარჩუნა ეროვნული რაობა და მრწამსი, ამიტომაა იგი ასე ძვირფასი ჩვენთვის. ძალიანაც რომ მოინდომოს, XXI საუკუნეში გლობალიზაციას მაინც ვერავინ ვერსად გაექცევა, ეს დრომ და ტექნიკურმა პროგრესმა ბუნებრივად მოიტანა. მრავალმილიონიან ერებსაც კი არ სურთ თავიანთ ეროვნულ ფასეულობებზე და ცხოვრების წესზე უარის თქმა, ჩვენ რატომღა უნდა გვინდოდეს?! ჩვენ უბრალოდ თავს ვიცავთ და ვცდილობთ გლობალიზაციის სიკეთეებით სხვა ერების მსგავსად, შეუქცევადი დანაკარგების გარეშე ვისარგებლოთ. ამაში ცუდს ნამდვილად ვერაფერს ვხედავ, ეს მხოლოდ თვითგადარჩენის ინსტინქტია. ჩვენთვის, ისევე როგორც სხვა მცირერიცხოვანი ერებისათვის, მნიშვნელობა არა აქვს ვისი „ჩექმა“ გაგვსრისავს – რომელიმე დიდი, ეკონომიკურად და სამხედრო თვალსაზრისით მძლავრი ქვეყნისა, თუ გლობალიზაციის საფარველს ამოფარებული, მსოფლიოში გაბატონების სურვილის მქონე ინტერესთა ჯგუფისა. ვიმეორებ, ჩვენ ქართველები, მხოლოდ თავს ვიცავთ! რა არის გასაკვირი იმაში, რომ არ გვსურს უცხოეთიდან მართული ძალების მიერ ჩვენი ეთნოცნობიერებისათვის უცხო იდეოლოგიის თავს მოხვევა, ქვეყანაში დემოგრაფიული მდგომარეობის ხელოვნურად შეცვლა და საკუთარივე სამშობლოში რაოდენობრივ უმცირესობად

ქცევა?! ჩვენ ყოველთვის გავისარჯებით, რათა როგორც ერი, სულიერად და ფიზიკურად გადავრჩეთ და არ მოხდეს ჩვენი ეროვნული ფასეულობების რღვევა და გენოფონდის სრული ასიმილაცია!

წვლილთან დაკავშირებით, მისტერ ვუდ, დავამატებდი, რომ ქართველებმა შევქმენით მსოფლიოში უნიკალური მრავალხმიანობა, რომელიც მელოდიის, პოლიფონიისა და ჰარმონიის დახვეწილობითა და კეთილხმოვნებით ანცვიფრებს მსოფლიო მუსიკალურ სამყაროს; ქართველებმა კაცობრიობას ვაჩუქეთ უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი“, რომლის თითოეულ სტრიქონშიც სიბრძნე და კეთილშობილებაა ჩაქსოვილი. სხვათა შორის, ჩვენი სატახტო ქალაქის მთავარი გამზირი პოემის ავტორის – შოთა რუსთაველის – სახელს ატარებს, რაც ჩემი ერის კაცთმოყვარეობასა და მშვიდობისმოყვარეობაზე მეტყველებს; აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ქართველებს მრავლად გვყავს მსოფლიოში აღიარებული მეცნიერები, ხელოვანები, სპორტსმენები და პოლიტიკოსები, რომელთაც დიდი წვლილი მიუძღვით ზოგადსაკაცობრიო სულიერი და მატერიალური ფასეულობების შექმნაში. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ადამიანთა მოდგმის ისტორიაში ყველაზე უსაშინლესი სენი, პირსისხლიანი ჰიტლერული ფაშიზმი, ქართველმა გენერალისიმუსმა დაამარცხა! ეს არის ფაქტი, რომელსაც თვით ბატონები ჩერჩილი და რუზველტიც კი გულწრფელად აღიარებდნენ, ისინი სტალინის გამჭრიახობასა და სტრატეგიულ ხედვას დიდად აფასებდნენ და მის აზრს ყოველთვის ითვალისწინებდნენ. სტალინის ფენომენზე როდესაც ვსაუბრობთ, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ დიქტატურა, ან ტოტალიტარიზმი მოგვწონს. ქართველები ღირსებით აღსავსე, თავმოყვარე და თავისუფლებისმოყვარული ხალხი ვართ და ძალადობას არასოდეს ვეგუებით. შეიძლება სტალინი მსოფლიოში ძალიან ბევრ ადამიანს, მათ შორის ეთნიკურ ქართველებსაც, არ მოსწონდეს და სძულდეს კიდეც, მაგრამ ამ კონკრეტულ კონტექსტში არანაირი მნიშვნელობა არა აქვს ამხანაგი სტალინი ლიბერალ-დემოკრატი იყო, თუ დაუნდობელი დიქტატორი. მთავარი ის არის, რომ მან მსოფლიო დამონებისა და ფიზიკური განადგურებისაგან იხსნა და იგი, ქართველი კაცი, კაცობრიობის ისტორიაში უპირველესი და უდიდესი მხედართმთავარია.

ბატონო ვუდ, თქვენ დაგვწამეთ, რომ „ქართველები ზარმაცები და ნაციონალისტები ხართ“-ო. ეს სიცრუეა, მერწმუნეთ, ვიღაცამ შეცდომაში გამიზნულად შეგიყვანათ. არქეოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით, მსოფლიომ საქართველო მიწათმოქმედების, ხორბლისა და ვაზის სამშობლოდ აღიარა. უსაქმური შემოქმედი ვერ იქნება, რადგან უშრომველად ვერაფერს შექმნი... სად არის აქ ლოგიკა: ქართველე-

ბი ზარმაცები რომ ვყოფილიყავით და ფასეული არაფერი შეგვექმნა, მსოფლიო რატომ გვაღიარებდა?!

ცნობილია, რომ მრავალრიცხოვან ერებში უცხო ხილი არ არის შოვინიზმი, ხოლო მცირერიცხოვან ერებში – ნაციონალიზმი. „დიდ“ ერებს ახასიათებთ „ზოგადსაკაცობრიო მისიის“ აღსრულების ამბიცია, ანუ თავისი მსოფლმხედველობისა და ცხოვრების წესის – რომელიც ყველაზე სწორად მიაჩნიათ – მსოფლიოზე განვრცობა, ე.ი. თავს მოხვევა, ხოლო „პატარა“ ერები ასიმილაციის საფრთხეს გაურბიან. შოვინიზმი იმპერიული დამპყრობლური სულის მახინჯი გამოხატულებაა, ხოლო ნაციონალიზმი თვითგადარჩენის ინსტინქტის არაეთიკური გამოვლინება. არც ერთს მივესალმები და არც მეორეს.

დიდი სხვაობაა შოვინიზმს, ნაციონალიზმსა და პატრიოტიზმს შორის. ყველა ერის მამულიშვილს უნდა უყვარდეს თავისი ქვეყანა და იყოს სამშობლოს პატრიოტი. ჩვენ, ქართველები, პატრიოტები ვართ, ისტორიულად ქართველი ნაციონალისტი არასოდეს ყოფილა, იგი თავისი შინაგანი ბუნებითაა ტოლერანტი. ამის შესანიშნავ მაგალითად ებრაელებთან 26 საუკუნოვანი მშვიდობიანი თანაცხოვრებაც გამოდგება. თქვენთვის ალბათ, არავის უთქვამს, რომ თბილისის ერთ ძველ და ულამაზეს უბანში ერთმანეთს მხარს უმშვენებენ ეკლესია, სინაგოგა და მეჩეთი. სამივე მათგანი მოქმედია და მათ მრავალეროვან მრევლს ერთმანეთისათვის ხელი არასოდეს შეუშლია. მერწმუნეთ, ტოლერანტობისა და ხალხთა ურთიერთგაგების მსგავს მაგალითს მსოფლიოში სხვაგან ვერსად ნახავთ!

თქვენი ბრალდებებიდან მხოლოდ ამბიციურობას ვაღიარებ... ეს სიმართლეა, ქართველები ამბიციური ხალხი ვართ. ყველა ერს, ისევე როგორც, ყველა ადამიანს, ჩვენი ღირსებები და ნაკლოვანებები გვახასიათებს, უნაკლო არავინაა, სხვა ერებს თავისი ნაკლოვანებები აქვთ... ამბიციურობა მისაბაძ თვისებად ნამდვილად არ მიმაჩნია, თუმცა ვფიქრობ, რომ ჯანსაღ ამბიციას ზოგჯერ მასტიმულირებელი ეფექტის მოხდენა შეუძლია. იქნებ, ხასიათის სწორედ ამ თვისებამ იხსნა ქართველი ფიზიკური განადგურებისაგან რიცხოვნობით ბევრად აღმატებულ მტერთან ბრძოლაში? ვინ იცის...

მისტერ ვუდ, ვერ განვსჯი, ჩვენი საუბრიდან რა დასკვნა გამოიტანეთ, შეზღუდულ დროში მოკლე და თანაც ამომწურავი პასუხების გაცემა და სრულყოფილი ინფორმაციის მოწოდება ძალზე ძნელია, მაგრამ მინდა იცოდეთ, რომ ჩვენ, ქართველებს, კაცობრიობის ისტორიის გარიჟრაჟის ხილვის ბედნიერება გენეტიკურმა მეხსიერებამ შემოგვინახა, იგი მომავლისაკენ მიგვიძღვის და იმის რესურსიც გააჩნია, რომ ვიარსებოთ

მანამდე, სანამ სამყარო ცოცხალი არსებებით იქნება დასახლებული! ჩვენ გვექნება მშვიდობიანი, სამართლიანობაზე დაფუძნებული, თავისუფალი და აყვავებული ქვეყანა, რომელსაც ექნება თავისი ზოგადსაკაცობრიო ფუნქცია და რომელიც ღირსეულ ადგილს დაიკავებს ერთა თანამეგობრობაში. თქვენ ქართველებს არ გვიცნობთ! თავის ქებაში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ დედამიწის ხალხებისათვის ჩვენ ბევრი უნიკალური სასარგებლო გამოცდილების გაზიარება შეგვიძლია, ამდენად პლანეტას ჩვენ ვჭირდებით. საქართველოს დედა ღვთისმშობელი იცავს და არაკეთილმოსურნეთა და მოშურნეთა ღვარძლის ნთხევა ბევრს ვერაფერს დაგვაკლებს, პოტენციურ დამპყრობთა მზაკვრული ხრიკები კი ვერ დაგვაჩოქებს!..

ვუდი დიდი ყურადღებით მისმენდა, ლაპარაკს არ მაწყვეტინებდა და კომპიუტერში რაღაცას ინიშნავდა. ბოლოს ვუთხარი: „თუ გჭირდებათ, მასალების ინტერნეტით მოძებნაში მოგეხმარებით“-მეთქი. მან მიპასუხა, რომ რაც აინტერესებდა, უკვე მოისმინა და დამატებითი ინფორმაცია არ სჭირდებოდა. ასე „ძლევამოსილად“ დასრულდა, პატივცემულო ბატონო დავით, ჩვენი „ღრმაშინაარსიანი“ საუბარი „ძვირფას“ მისტერ ვუდპეკერთან „ქართული სულის“ რაობის შესახებ.

– თქვენი მონათხრობიდან ძნელია ვუდპეკერის ფიქრთა მსვლელობის მიდევნება, ზრახვათა ამოცნობა და კონკრეტული აზრის გამოტანა, – დანანებით აღნიშნა დავითინიძემ.

– ამიტომაც გითხარით, ვუდთან მიმართებაში ბევრი ვერაფერი გავიგე-მეთქი, – გულწრფელად დაეთანხმა იაშვილი.

– კარგი... დროა კოსმოსურ ხომალდზეც ვისაუბროთ. მომიყევით, იქ რას საქმიანობდით, – მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოსმენას დაეშურა პოლკოვნიკი.

– მე მევალებოდა ცხოველებზე და მცენარეებზე საათობრივი დაკვირვება და მათ კანში ჩადგმული ჩიპების სიგნალების ჩაწერა, ტელესკოპით ციური სხეულების ჭვრეტა და მათი დაშორების, მდებარეობისა და ნათების ინტენსივობის შესაბამისად ხელსაწყოებზე დაფიქსირებული მონაცემების დეტალური აღრიცხვა. შემდეგ ეს მონაცემები კომპიუტერში შემყავდა, მათ დამუშავებასა და შესწავლას ვინ და რა მეთოდოლოგიით ახდენდა, არ ვიცი. მე მხოლოდ ტექნიკური სამუშაოს შესრულება დამავალეს. ინტელექტუალურ-ანალიტიკური საქმიანობა შეგნებულად არ მანდეს, ბოლომდე არ მენდობოდნენ და იმიტომ.

– ცხოველებისა და მცენარეების შესახებ კონკრეტულს რას იტყვით? – დაინტერესდა დავითინიძე.

– თავიდან ბევრი ცხოველი გვყავდა: მაიმუნები, კურდღლები, ცხვრე-

ბი, ძაღლები, კატები, ქათმები, თუთიყუშიც კი. სამწუხაროდ, დროთა განმავლობაში ყველა სულიერი დაიხოცა, ისინი ხომალდის სპეციალურ ნაკვეთურში მოწყობილ ვოლიერებში იყვნენ მოთავსებულები და ალბათ, ჩაკეტილ სივრცეს ვერ შეეგუვნენ. მცენარეებიდან ხორბალსა და კარტოფილს, რომ იტყვიან, ველოლიავებოდი, მაგრამ სულ ტყუილად, ნათესების ნაწილი დალპა, ნაწილი კი გახმა. ფოტოსინთეზისათვის[15] მცენარეებს ხომ მზის ბუნებრივი სხივები სჭირდებათ და არა პროჟექტორის ნათება. ჩემივე სურვილით პირადად ვუვლიდი სპარსული ჯიშის ულამაზეს კნუტს და სახმელეთო კუს, რომლებიც ძალიან მიყვარდა და პატარა კალათებით მუდმივად თან დამყავდა, ისინი მახალისებდნენ და მართობდნენ. მათთან სამუდამო განშორება ძალიან განვიცადე, – ტუჩები აუკანკალდა იაშვილს.

– ხომალდზე რით იკვებებოდნენ? – სევდიანი მოგონებებისა და ცრემლებისაგან თავის არიდების მიზნით, შემდეგი კითხვა სასწრაფოდ დასვა დავითინიძემ.

– ძირითადად ფხვნილის სახის გამომშრალი და დაკონსერვებული საკვებით, რომელიც პაკეტებად იყო დაფასოებული, შიგთავსს წყალს ვასხამდით და ისე გეახლებოდით ხოლმე, – თავი ხელში აიყვანა და მცირე პაუზის შემდეგ უპასუხა იაშვილმა.

– მერე და ეს საკმარისი იყო? – განცვიფრდა დავითინიძე.

– გარდა ამისა, ჩირის მსგავს გამომშრალ ხილსა და პასტერიზებულ წვენებსაც მივირთმევდით, პურის მაგვარი ორცხობილის, ვიტამინებისა და წყლის მარაგიც საკმარისად გვქონდა, – განმარტავდა იაშვილი, – ამასთან ხომალდზე წყლის გადამამუშავებელი და გამფილტრავი მოწყობილობაც იყო დამონტაჟებული. ცხოველებს კი სპეციალურად მათთვის დამზადებულ საკვებს აძლევდნენ.

– გასაგებია... ერთი მითხარით, როგორ იმოსებოდა პერსონალი? არ თქვათ ახლა, საკუთარი დიზაინერები გვყავდა, „ფეშენ დეფილეებს“ ვაწყობდით და პოდიუმზეც გამოვდიოდიო! – იხუმრა პოლკოვნიკმა.

– არა, – გაიღიმა იაშვილმა, – მოდის ტენდენციები დიდად არ გვაღელვებდა... დედამიწიდან ხომალდის აფრენისა და დაფრენის დროს თავზე ყველას სკაფანდრები გვეხურა და ტანზე სპეციალური დამცავი კომბინეზონები გვეცვა. ყოველდღიურობაში მე ჩვეულებრივ ჯინსებს, სვიტრსა და ჟილეტს ვატარებდი, დანარჩენები კი სამხედრო ფორმის ყაიდაზე შეკერილი პრაქტიკული ტანსაცმლით დადიოდნენ. ფეხზე ყველას ბოტასების მსგავსი გამძლე ფეხსაცმელი გვემოსა. თბილად გვეცვა, რადგან ხომალდზე მუდმივად ცელსიუსით 18 გრადუსი იყო ხოლმე, ტემპერატურას მხოლოდ მცენარეთა ნაკვეთურში არეგულირებდნენ.

დავითინიძეს სურდა კოსმოსური ხომალდის აგებულების, მისი მოქმედებაში მომყვანი სისტემებისა და მექანიზმების შესახებაც ეკითხა, მაგრამ მალევე მიხვდა, რომ იაშვილს არაფერი ეცოდინებოდა და შეკითხვისაგან თავი შეიკავა.

– თავისუფალ დროს რას აკეთებდით? – მორიგი კითხვა დასვა პოლკოვნიკმა.

– თავისუფალი დრო ცხოველების დახოცვის შემდეგ გამიჩნდა. ხომალდზე თავი რით უნდა შემექცია? დროის უმეტეს ნაწილს ტელესკოპთან ვატარებდი, რადგან შორეული ვარსკვლავებისა და პლანეტების თვალიერება მსიამოვნებდა. ასეთ მომენტებში „ფილოსოფიური“ განწყობა ხშირად მეუფლებოდა და უკიდეგანო სივრცის სიდიადის შემყურე, სიცოცხლის უნიკალურ ფენომენზე და ადამიანურ ვნებათა ამაოებაზე ვფიქრობდი.

ზოგჯერ „ოაზისში“ კლასიკურ მუსიკას ვუსმენდი ხოლმე. ერთხელ ძველი სვიტერი დავარღვიე, თმის სარჭები საქსოვ ჩხირებად გამოვიყენე და „ახალი“ ჟაკეტი მოვიქსოვე. „საღამოობით“ ჩემს „ოთახში“ ლექსებს ვწერდი, ან გრიფელის ფანქრით ვხატავდი, ზოგჯერ კომპიუტერში აბსტრაქტულ ფერადოვან აპლიკაციებსაც ვაწყობდი... ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ხომალდის მეთაურს ჩემი „ფსიქოლოგიური მდგომარეობის“ გაკონტროლებაც ევალებოდა, ამიტომ „მოცალეობის ჟამს“ იგი რატომღაც პოეზიასა და მხატვრობაზე მესაუბრებოდა ხოლმე, „პრინციპში“ ჩემდამი ნორმალურად იყო განწყობილი. მახსოვს, ჩემი ნახატებითა და ლექსებით დაინტერესდა, ერთ „საღამოს“ გამომართვა კიდეც, „ძილის წინ გავეცნობი“-ო, მითხრა. სხვათა შორის, შემაქო... შეიძლება ზრდილობის გულისთვისაც...

– ია, ლექსებს მანამდეც წერდით, ან ხატავდით? – შეპარვით ჰკითხა იაშვილს დავითინიძემ.

„ეს უბედური ქალი ხომ არ გაგიჟდა?“ – შეშფოთებული ფიქრობდა პოლკოვნიკი.

– არა, ბატონო დავით, აზრადაც არ მომსვლია! ეტყობა იმ გარემოში თავის ტვინის მუშაობის ჩვეული რიტმი დაირღვა და საკომპენსაციოდ ახალი უნარები აღმომაჩნდა.

– შეგიძლიათ ერთი ლექსი მაინც გაიხსენოთ?

– პირველად რომ დავწერე, ის ლექსი, მგონი, მახსოვს, – ლექსის მეხსიერებაში აღდგენას ცდილობდა იაშვილი.

– იქნებ წაგეკითხათ?

– შევეცდები, – თვალები დახუჭა იაშვილმა, – ლექსს ჰქვია „დრო აჩქარდა“.

იაშვილმა შუბლზე მარჯვენა ხელის სამი შუა თითი მიიჭირა და კითხვა დაიწყო:

დრო თითქოს უფრო აჩქარდა –
გალაქტიკიდან გარბის ...
დღეც თითქოს დაპატარავდა
მზისა და მიწის დარდით.

სამყარო შემოსილია
კოსმიურ მტვერთა ნაბდით,
დღეც დროში უჩინარდება
ცისარტყელების ფარდით.

ადრე დრო არსად ჩქარობდა,
მეც ვერა ვგრძნობდი სრბოლას ...
დღეს მეყთა ზღვაში მივცურავ, –
შემრისხა დროსთან ბრძოლამ:

ნისლშეპარული ოცნებით,
გაუხედნავი გზებით
მივილტვი მზისკენ, აისის
ცვრით განბანილი ფრთებით...

ჟამთასვლამ გამინაპირა
შეუცნობელი ფანდით:
საწუთროს ორღობეებში
განფენილ წელთა ნადიმს,

უშფოთველად და უჩინრად
დაუნდობელი ნებით,
მიართმევს გასხივოსნებას
რუდუნების და გზნების...

მაგრამ ცხოვრება გრძელდება,
თუმც დრო აჩქარდა თითქოს...
ლექსი ტანჯვისას ბრძენდება,
ზენა ლოცვისკენ მიხმობს...

ადრე დრო არსად ჩქარობდა,
და მე ვერ ვგრძნობდი სრბოლას.
დღეს დროსთან ერთად გავბედე
კოსმიურ ნისლში ქროლვა...

იაშვილმა კითხვა დინჯად დაამთავრა და თითქოს სამკვდრო-სასიცოცხლო განაჩენს ელოდებაო, პოლკოვნიკს შიშნარევი მოლოდინით აღსავსე თვალები მიაპყრო.

– ასეთ კარგ ლექსს პროფესიონალურ დონეზე თუ დაწერდით, არ მეგონა, – წახალისების მიზნით, გადაჭარბებით შეაქო იაშვილი დავითინიძემ.

– გმადლობთ, მიხარია, რომ მოგეწონათ, – სახე გაუბრწყინდა იაშვილს.

– თქვენი შემოქმედება, ანუ ნახატები და ლექსები, ამჟამად სად არის? – იკითხა დავითინიძემ.

– სახლში მაქვს, თან ჩამოვიტანე. ლექსებს ნეიტრალურ თემებზე ვწერდი და დედამიწის პეიზაჟებს წარმოსახვით ვხატავდი, ამიტომ მომცეს უფლება ნაწერები და ნახატები თან წამომეღო.

– საინტერესო იქნება მათი ნახვა, იმედია, ოდესმე წარმოგვიდგენთ.

– აუცილებლად! – დაჰპირდა იაშვილი, – საკმაოდ დამიგროვდა და გადარჩევის დრო არ მქონდა. გამოძიება რომ დამთავრდება და სახლში დავბრუნდები, ყველაფერს გადავხედავ, დავახარისხებ და მოგართმევთ.

– ძალიან კარგი... ლირიკული გადახვევიდან თემას დავუბრუნდეთ. მითხარით, თქვენს გარდა, ხომალდზე ვინ და რამდენი კაცი იმყოფებოდა?

– არ დამიჯერებთ, მაგრამ ზუსტად არ ვიცი... ხომალდზე ადამიანებთან ნაკლებად ვურთიერთობდი, რადგან ხომალდის მეთაურმა კატეგორიულად გამაფრთხილა, რომ მუშაობის დროს, საქმის ინტერესები თუ არ მოითხოვდა, არავის დავლაპარაკებოდი. ფაქტიურად იზოლაციაში ვიყავი, ჩემთვის ცალკე გამოყოფილ ე.წ. „ოთახში“ ვცხოვრობდი და ხალხს საქმიანი ურთიერთობების გარდა, არ ვეკონტაქტებოდი. „კოლეგების“ მიმართ დისტანციურად კორექტული ვიყავი და ვცდილობდი უსიამოვნება არ შემხვედროდა. გარდა ამისა, დროც თითქმის არ მქონდა. სიმართლე გითხრათ, ჩემთან მეგობრობის სურვილი არც არავის გამოუთქვამს, ალბათ ისინიც გააფრთხილეს. დავალებებს მხოლოდ ხომალდის მეთაური მაძლევდა, მის მითითებებს დროულად და კეთილსინდისიერად ვასრულებდი, ყოველ შემთხვევაში, შენიშვნა არ დამიმსახურებია. მერჩივნა ბევრი მემუშავა, ვიდრე ჩემს უცნაურ სვე-

ბედზე მეფიქრა და საკუთარი თავი შემცოდებოდა.

– ვისთანაც ურთიერთობდით, ვინ იყვნენ, რას წარმოადგენდნენ?

– რამდენადაც შევნიშნე, სხვადასხვა რასისა და ეროვნების ადამიანები იყვნენ, ხომალდის მეთაურის, მისი თანაშემწის, სამი ინჟინერ-მენეჯერისა და ოთხი ექიმის გარდა, ყველა მათგანი ძალიან ახალგაზრდა იყო, მცირეწლოვანი ბავშვებიც ჰყავდათ.

– ბავშვები?! შეუძლებელია, – დაეჭვდა დავითინიძე, – კი მაგრამ, ხომალდის სტარტის დროს წარმოქმნილ დატვირთვასა და უწონადობის პირობებს ბავშვი როგორ გაუძლებდა?

– უწონადო მდგომარეობაში ადამიანი ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვერც გაჩერდება, ეს ორგანიზმში სასიცოცხლო ფუნქციების დაქვეითებასა და სხვა საშიშ ცვლილებებს გამოიწვევს, მაგალითად, კუნთების ატროფირებასა და ძვლების დასუსტებას. ხომალდზე ხელოვნური გრავიტაცია არსებობდა, თავს დაახლოებით ისე ვგრძნობდით, როგორც თვითმფრინავში.

– რაა?! ხელოვნური გრავიტაცია?!! – აღელდა დავითინიძე, – ეს ხომ მეცნიერების უდიდესი აღმოჩენაა?! დღემდე მსოფლიოში ამის შესახებ საჯარო ინფორმაცია არ გავრცელებულა!

– მართლა?! გამოდის, რომ კოსმოსური ექსპედიციის მესვეურები ინფორმაციას შეგნებულად მალავდნენ!.. ესე იგი, არ შევმცდარვარ, როდესაც ვფიქრობდი, რომ ხომალდზე საიდუმლო ექსპერიმენტი ტარდება-მეთქი, – გამარჯვებული სახით თქვა იაშვილმა.

– ალბათ, არა. – უხალისოდ დაეთანხმა დავითინიძე.

– ბატონო დავით, ამ ყველაფერს შეთქმულების სუნი უდის... თქვენ ბრძანდებით ქვეყნის დაზვერვის ერთ-ერთი ხელმძღვანელი პირი, ოპერატიულად უნდა იმოქმედოთ! შეთქმულებს უახლოეს ერთ-ორ კვირაში თუ არ ამხელთ, მერე გვიანი იქნება, – მათ მოკლე დროში შეუძლიათ მსოფლიო პოლიტიკასა და ეკონომიკაში შეუქცევადი პროცესების გენერირება და შემდეგ ვეღარაფერი შეაჩერებთ. ჩვენ დღეს არ ვიცით რა კატეგორიის ხალხს სურს ძალაუფლების მოპოვება. როგორც წესი, ძალაუფლებისაკენ დაუოკებელ სწრაფვას კეთილშობილი, თავმდაბალი, სამართლიანი, პატიოსანი და კანონმორჩილი ადამიანები არ განიცდიან და მისი უღირსი მეთოდებით ხელში ჩაგდებას არ კადრულობენ, სიბინძურეში გარევა არ სურთ და იმიტომ. არ უნდა დავუშვათ, რომ პლანეტა დაიპყრონ ერთი მუჭა აგრესიულმა ფსიქოპატებმა, რადგან დედამიწისათვის ძველი შეცდომებიც საკმარისია! ქართველებმა ვიცით, რომ ძალაუფლება ხელში არ უნდა ჩაუგდო უსინდისო და უპრინციპო ადამიანებს, რომელთაც „მუხრუჭები“ არ გააჩნიათ, მხოლოდ საკუთარ

განდიდებასა და პირად კეთილდღეობაზე ფიქრობენ, სამშობლოსა და ერის ინტერესებს არად დაგიდევენ, ზნეობრივ ფასეულობებს არად აგდებენ და მიზნის მისაღწევად უკან არაფერზე იხევენ! ეს იქნება სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა და მეც თქვენს გვერდით მიგულეთ!

– სამოქმედოდ მეტი, უფრო კონკრეტული ინფორმაცია მჭირდება! აღმიწერეთ თქვენს მიერ დასახელებული პირები: ხომალდის მეთაური, მისი თანაშემწე, ინჟინერ-მენეჯერები და ექიმები, – სამუშაო ბლოკნოტი მოიმარჯვა პოლკოვნიკმა.

– მოგახსენებთ, – ხომალდზე მყოფი ნაცნობი ადამიანების გარეგნობის აღწერას შეუდგა იაშვილი, – ხომალდის მეთაური, მისტერ ჯონსონი, ორმოციოდე წლის ამერიკელი იყო, მისი თანაშემწე – ოცდაათიოდე წლის ევროპელი, ინჟინერ-მენეჯერებიდან ორი აზიელი იყო და ერთიც შავკანიანი, ხოლო ექიმებიდან ორი თეთრკანიანი იყო, ერთი შავკანიანი და ერთი ალბათ ჩინელი, რადგან ხომალდის მეთაურს აკუპუნქტურის სეანსებს უტარებდა ხოლმე. ყველა მათგანს არაფრით გამორჩეული, ჩვეულებრივი გარეგნობა ჰქონდა.

როგორც უკვე გითხარით, მხოლოდ ხომალდის მეთაურთან ვურთიერთობდი, სხვებს უბრალოდ ვესალმებოდი და ზოგჯერ ჩემს უშუალო საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე ორიოდე სიტყვას თუ გავცვლიდით ხოლმე. მისტერ ჯონსონი მაღალი, თხელი კაცი იყო, წაბლისფერი თმითა და დიდი რუხი თვალებით. ისეთი ტყვიასავით მძიმე და გამჭოლი მზერა ჰქონდა, როდესაც მელაპარაკებოდა, მეგონა შუბლი გამეხვრიტება-მეთქი. უნდა აღვნიშნო, რომ კოლეგიალური ურთიერთობები არ ეშლებოდა და სამართლიანი, გამჭრიახი, ერუდირებული, კულტურული და გაწონასწორებული ადამიანი იყო, რაც მთავარია, გადამწყვეტ მომენტებში თითქმის ყოველთვის უშეცდომოდ მოქმედებდა. ჯონსონი აგრეთვე იყო მაღალი კვალიფიკაციის პროფესიონალი და გამორჩეულად ღირსეული პიროვნება. მისი ნამდვილი გვარი, წარმომავლობა და ვინაობა ყოველთვის მაინტერესებდა, საოცარია, რომ ასეთი გაქანების კაცი კრიმინალებთან თანამშრომლობდა. შესაძლოა, ისიც აიძულეს...

– „გადამწყვეტ მომენტში“ რას გულისხმობთ? – ჩაეკითხა დავითინიძე.

– ერთ მცირე ეპიზოდს მოგიყვებით, – დაფიქრებით თქვა იაშვილმა, – საიდანაც ჯონსონის „ნაღდი კაცობა“ თვალნათლივ ჩანს... ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე, „ცხოველების ნაკვეთურსა“ და „ობსერვატორიაში“ გადასვლა ხშირად მიწევდა. თავიდან მეშინოდა, მაგრამ მერე, დროთა განმავლობაში, იქაურობის შეთვალიერება გავბედე და

რაღაცეებიც შევნიშნე. მაგალითად, ნაკვეთურების „ჭერსა“ და „კედლებზე“ ლამაზი შრიფტით დატანილი ლათინური ასოები დავლანდე.

იაშვილმა დავითინიძის მაგიდიდან გრიფელის ფანქარი და ჩანაწერებისათვის განკუთვნილი პატარა ფურცელი აიღო და დაწერა: STU, CFC IE.

– ასოები CFC და IE მაშინათვე თვალში მომხვდა, რადგან „ტოიოტას“ უცნაურ სანომრე ნიშნებს ემთხვეოდა, – ფურცელი დავითინიძეს გაუწოდა იაშვილმა. – გარდა ამისა, რამდენჯერმე ყური მოვკარი, როგორ საუბრობდნენ ჯონსონი და მისი თანაშემწე „Big Triangle“-ის, ანუ „დიდი სამკუთხედის“ შესახებ. ეს „დიდი სამკუთხედი“ ვარსკვლავების, ან პლანეტების ჯგუფი მეგონა, ხოლო ასოები – მათი დასახელებები. ვიფიქრე: „კოსმოსში ახალი ციური სხეულები ხომ არ აღმოუჩენიათ და მე არ ვიცი“-მეთქი. ცხადია, დავინტერესდი და როგორც კი ამის შესაძლებლობა მომეცა, ჯონსონს ვკითხე. ჩვენი საუბარი „ოაზისში“ შედგა და მას მეთაურის თანაშემწეც ესწრებოდა.

– პოლიციელის დაკვირვებული თვალი გაქვთ, – მითხრა ჯონსონმა, სახეზე შევატყვე, რომ ჩემი შეკითხვა არ ესიამოვნა.

– ეს თქვენ არ გეხებათ, დაივიწყეთ, – მკაცრად მითხრა თანაშემწემ.

– კი, მაგრამ, – გამიკვირდა, – ციურ სხეულებს ხომ ტელესკოპით ისედაც ვაკვირდები, ბარემ ამ ახალ ობიექტებსაც დავაკვირდებოდი!

– თავნება და ჯიუტი ქალი ხართ, – მოულოდნელად გამიბრაზდა თანაშემწე, – ყველაფერი უკულმა როგორ გესმით?!

– ვლადიმერ!.. – შეაჩერა ჯონსონმა, – ლედის არაფერი დაუშავებია, მხოლოდ უწყინარი ლოგიკური შეკითხვა დასვა, თანაც ცდილობს თავისი სამუშაო კეთილსინდისიერად შეასრულოს! ასე არ არის, მის იაშვილი?

– დიახ, სერ! – ვუპასუხე თანაშემწეზე განაწყენებულმა.

– მოდით, ნუ გავართულებთ... აბრევიატურებს გაგიშიფრავთ და მიხვდებით, რომ ყველაფერი მარტივადაა. აბა ნახეთ, – დაყვავებით მომმართა მეთაურმა, – „Big Triangle“-ს აბრევიატურა STU[16]-ს ვუწოდებთ, რაც სამყაროში კოსმოსურ მოგზაურობას ნიშნავს, ხოლო CFC[17]– კოსმოსური ფრენების კორპორაციას, IE[18] – კი საერთაშორისო ექსპერიმენტის, ცდის ჩატარებას ნიშნავს. აქედან რა შინაარსის გამოტანა შეგიძლიათ? – მკითხა.

მაშინ ყოველივე ამის მნიშვნელობა ვერ გავიაზრე, რადგან ჩემ მიერ შემთხვევით ყურმოკრული საუბრისას „დიდი სამკუთხედი“ სულ სხვა კონტექსტში იყო ნახსენები, თანაც STU შინაარსით „სამკუთხედს“ სულაც არ ნიშნავდა. მერე დავფიქრდი და დავასკვენი, რომ ჩვენი ექსპედიციისა და ექსპერიმენტების ორგანიზატორი და ალბათ, დამფინან-

სებელიც, სწორედ რომ ზემოხსენებული „კორპორაცია“ იქნებოდა. ცხადია, რომ „მისტერ იქსის“ ავტომანქანებიც კორპორაციის კუთვნილება იყო.

ხომალდის მეთაური ყოველთვის კეთილად მეპყრობოდა, უაზრო და ჩემთვის სახიფათო კამათს ხომ არ დავუწყებდი? არაფერი შევიმჩნიე და მშვიდად ვუპასუხე:

– გამოდის, რომ კოსმოსური ფრენების კორპორაცია სამყაროში კოსმოსურ მოგზაურობას ახორციელებს და საერთაშორისო ექსპერიმენტებს ატარებს.

– შესანიშნავია! – მოჩვენებითი მხიარულებით შესძახა ჯონსონმა, რადგან თვალები მკაცრად უელავდა. – იმედია, ხვდებით, რომ ნანახს დიდი მნიშვნელობა არ უნდა მიანიჭოთ, უბრალოდ ბიჭებმა იხუმრეს და ჭერი და კედლები ააჭრელეს.

მაშინვე ვიგრძენი, რომ ჯონსონმა მომატყუა. კოსმოსური ხომალდის ბორტზე სახუმარო წარწერების გაკეთებას ვინ გაბედავდა?!.. ნათელია, რომ ეს წარწერები ხომალდის აგებისას იყო დატანებული, რაც ხომალდის კუთვნილებაზე ერთმნიშვნელოვნად მიუთითებდა.

– გასაგებია, სერ! ჩემს „ოთახში“ წავალ, თავს აღარ შეგაწყენთ, – ვთქვი მორჩილად და გამოვბრუნდი. ასე დასრულდა ეს „ინციდენტი“. ბატონო დავით, მისტერ ჯონსონმა სამართლიანობა გამოიჩინა და თავისი თანაშემწის წინაშე „ტექნიკურად“ დამიცვა... ამის შემდეგ ზედმეტ შეკითხვებს ვერიდებოდი ხოლმე.

– რასთან დაკავშირებით ახსენეს ე.წ „დიდი სამკუთხედი“? – ხომალდის თაობაზე იაშვილისათვის ცნობილი ინფორმაციის ბოლომდე ამოწურვა სურდა დავითინიძეს.

– მახსოვს როგორ ეუბნებოდა ჯონსონი თავის თანაშემწეს: „ეს საკითხი „დიდ სამკუთხედს“ ეხება და ჩვენი გადასაწყვეტი არ არის“-ო. ერთხელ თქვეს: „ჩვენ აქა ვართ და „დიდი სამკუთხედისაგან“ მილიონობით კილომეტრები გვაშორებსო“.

– ესე იგი, თქვენ ჩათვალეთ, რომ „დიდი სამკუთხედი“ მაინცდამაინც ციური სხეულების ჯგუფი უნდა ყოფილიყო. რატომ?

– მაშინ ასე ვიფიქრე... სულ პლანეტების ძიებაში ვიყავით და იმიტომ.

– იქნებ ხომალდის ხელმძღვანელობა ციური სხეულების კი არა, დედამიწაზე მყოფი ადამიანების ჯგუფის შესახებ საუბრობდა?

– რა ვიცი... შეიძლება, – გაუკვირდა იაშვილს.

– თქვენი მონაყოლიდან ჩანს, რომ კოსმოსური ექსპედიციის, ხომალდისა და იქ მყოფი პირების თაობაზე გაქვთ მხოლოდ ფრაგმენტული ცოდნა და კონკრეტულ ინფორმაციას არ ფლობთ, – დაასკვნა

პოლკოვნიკმა, – მეთანხმებით?

– დიახ, ბატონო დავით, ასეა. კოსმოსში ყოფნასთან დაკავშირებით რაც ვიცოდი, ყველაფერი წვრილად მოგახსენეთ. უკვე გითხარით, რომ იზოლაციაში მამყოფებდნენ და ადამიანებთან კონტაქტს მარიდებდნენ. ეჭვი არ მეპარება, რომ რაღაც ფსიქოლოგიური დაკვირვების ობიექტი ვიყავი, წინააღმდეგ შემთხვევაში, იქ ვის რაში დავჭირდებოდი? ცხოველებს, ფრინველებსა და მცენარეებს თვითონაც მიხედავდნენ, არც ტელესკოპში საათობით ჭვრიტინი და სპექტრალური მონაცემების დაფიქსირება გაუჭირდებოდათ, ანუ ჩემი „ძვირფასი პერსონის“ იქ ყოფნის გარეშეც არ მოიწყენდნენ და თავს ყველაფერს უჩემოდაც შესანიშნავად გაართმევდნენ.

– ძნელი სათქმელია, შესაძლოა, ასეც იყოს, – ორჭოფულად თქვა პოლკოვნიკმა.

– და ბოლოს, მინდა გითხრათ, – გულზე მარჯვენა ხელი დაიდო და მწარედ ამოიგმინა იაშვილმა, – ძალზე განვიცდიდი იმ გარემოებას, რომ ფაქტობრივად ვიღაც კრიმინალების დავალებებს ვასრულებდი.

– ეს ხომ იძულებით გაგაკეთებინეს, თქვენი ბრალი არ არის, – უთანაგრძნო იაშვილს დავითინიძემ.

– სინდისს იმით ვიმშვიდებდი, რომ ტელესკოპით სამყაროს თვალიერება და მცენარეებსა და ცხოველებზე დაკვირვება თავისთავად დანაშაულს არ წარმოადგენს. იმედს არ ვკარგავდი, რომ ღვთის განგებით, ოდესმე მშობლიურ პლანეტაზე აუცილებლად დავბრუნდებოდით. ასტროფიზიკაში, კოსმოლოგიაში და სხვა კოსმოსთან დაკავშირებულ „ლოგიებში“ ვერ ვერკვევი, მაგრამ იმდენი კი მესმოდა, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ის დონე, რაც მაშინ არსებობდა, ცოცხალი ადამიანის შორეულ პლანეტამდე მიღწევის უზრუნველყოფისათვის საკმარისი არ იყო, ანუ კოსმოსურ ხომალდზე რესურსების მთლიან თვითგანახლებას ვერ შესძლებდნენ, მარაგები ადრე თუ გვიან ამოეწურებოდათ და ექსპედიციის მესვეურები იძულებულები გახდებოდნენ დედამიწაზე დაბრუნებულიყვნენ. ვიმედოვნებდი, რომ სამართალდამცავები კრიმინალებს ამხელდნენ და ჩემ მიერ გაწეული შრომა მეცნიერებას წაადგებოდა, პატიოსან მიზნებს მოემსახურებოდა და ადამიანებისათვის სასარგებლო აღმოჩნდებოდა.

– რა მოხდებოდა, უკან რომ ვერ დაბრუნებულიყავით?

– დროთა განმავლობაში ყველანაირი რესურსი ამოიწურებოდა, ხომალდი სამყაროს უძირო ლაბირინთებში ჩაიკარგებოდა და ციურ სარკოფაგად, ანუ „კოსმოსურ ნაგვად“[19] იქცეოდა... წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, როდესაც იქ მყოფი ადამიანები მიხვდებოდნენ, რომ ვერც

„ახალ პლანეტას“ მიაგნეს და დედამიწაზეც ვეღარ ბრუნდებოდნენ! ასეთ სტრესს ყველას ფსიქიკა ვერ უძლებს... ყოველთვის ძალიან მაინტერესებდა რა კატეგორიის ხალხით იყო დაკომპლექტებული ხომალდი.

– თქვენი აზრით, ასეთი ძვირადღირებული ექსპედიციის გაგზავნის ნამდვილი მიზანი რა უნდა ყოფილიყო? ან დასაფინანსებლად საჭირო ამხელა თანხები კრიმინალებმა საიდან იშოვეს? – ბოლო შეკითხვა დასვა პოლკოვნიკმა.

– მაგაზე მეც ბევრი ვიფიქრე, მაგრამ ლოგიკურ დასკვნამდე ვერ მივედი. ერთ-ერთი მიზანი შეიძლებოდა ყოფილიყო ისეთი ექსპერიმენტების ჩატარების შესაძლებლობა, რასაც დედამიწაზე და მის მახლობელ ორბიტაზე საიდუმლოდ ვერ ჩაატარებდნენ. თანხებზე კი ვერაფერს გეტყვით.

– ახლა მომიყევით კოსმოსიდან როგორ დაბრუნდით და საქართველოში ჩამოსვლა როგორ მოახერხეთ! – საათს იაშვილის დასანახად შეხედა დავითინიძემ.

– ვიცი, რომ თხრობა დღესვე უნდა დავასრულო, – ღიმილით შენიშნა იაშვილმა.

– სასურველია! ხომ გესმით, გამოძიების დასაწყებად თქვენი ჩვენება გვჭირდება. საჭირო ინფორმაციის მოძიებაცა და მასალების შეგროვებაც დროს მოითხოვს, თანაც ხვალინდელი თათბირისათვის უნდა მოვემზადო, – შინაურულად თქვა პოლკოვნიკმა.

– დროში ჩავეტევი, ბატონო დავით, – გულმხურვალედ ირწმუნებოდა იაშვილი.

– კარგი... დაიწყეთ!

თავი V. დედამიწასთან შეხვედრის მოლოდინში...

– ერთ საღამოს, 2012 წლის დასაწყისი იქნებოდა, – თხრობა განაგრძო იაშვილმა, – საიდმა მანქანაში ჩამსვა, „კოსმოდრომზე უნდა გავფრინდეთ“-ო, მითხრა და დაცულ ტერიტორიაზე განთავსებულ ასაფრენ-დასაფრენ ზოლთან მიმიყვანა. მივხვდი, რომ კოსმოდრომზე უმიზნოდ არ წამიყვანდა, ამიტომ ერთი მუჭა მიწა ცხვირსახოცში გამოვახვიე და უბეში შევინახე...

ვერ გავარჩიე, რომელ თვითმფრინავში ჩავსხედით და ოცწუთიანი ფრენის შემდეგ შუა ოკეანეში მდგარ გაჩირაღდნებულ პლატფორმაზე დავფრინდით. ოკეანეში რომ ვიმყოფებოდი, ეჭვი არ შემპარვია, რადგან კოსმოდრომს სივრცე სჭირდება.

– მოვედით... ორ დღეში კოსმოსში აი, იმ საფრენი აპარატით გაფრინდებით, – „გამახარა“ და შორს მდებარე ხომალდისაკენ მიმითითა საიდმა, – მანამდე ბოლო ინსტრუქტაჟს ჩაგიტარებენ და ხომალდს დაგათვალიერებინებენ.

ასეც მოხდა... საიდი ბოლო წუთამდე არ მომშორებია და გამართული ქართულით მამხნევებდა. ერთმანეთს მეგობრულად გამოვემშვიდობეთ. მისი დიდი მადლობელი ვარ, იგი ყოველთვის პატივისცემით მექცეოდა და სირთულეების გადალახვაში მეხმარებოდა. ალბათ, თბილისში გატარებული წლები კეთილად დაამახსოვრდა და იმიტომ. საიდი წესიერი და გულისხმიერი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა, ერთხელ ეჭვიც კი შემეპარა, „დანაშაულებრივ დაგუფებაში რომელიმე ქვეყნის სპეცსამსახურის მიერ ჩანერგილი ხომ არ არის?“-მეთქი. ამ ეჭვის დასაბუთება არ შემიძლია და დღემდე ვერ მივმხვდარვარ, თუ რა საერთოს პოულობდა საიდი კრიმინალებთან...

კოსმოსურ ხომალდში შესვლამდე მშობლიური დედამიწის ჰაერი უკანასკნელად ჩავისუნთქე და ოკეანის ცქრიალა ზვირთებისაგან გამოტყორცნილ კისკისა ნიავში გავეხვიე. მეწამული ბინდი ჩამოწოლილიყო, ნისლის მანდილით ოდნავ შემოსილი მთვარე მორცხვად იჭვრიტებოდა და ვარსკვლავთა აკიაფებას მოუთმენლად ელოდა...

სტარტი დილის 10 საათისათვის იყო დანიშნული... გულმა ლოცვა მომთხოვა, მომღიმარ ზეცას ავხედე და „იესოს ლოცვა“ გულმხურვალედ შევღაღადე: „უფალო იესო ქრისტე, ძეო ღმრთისაო, შემიწყალე მე, ცოდვილი!“ ცრემლი ვერ შევიკავე და სასოწარკვეთილმა დავამატე: „უფალო, ვიცი, მე – უღირსსა და ცოდვილს, შენი წყალობა არ დამიმსახურებია, მაგრამ მაინც გთხოვ, ოდესმე დედამიწაზე ცოცხალი დამაბრუნე!“

უფალმა ჩემი ვედრება შეისმინა და დაბრუნების შანსი მომცა...

გალაქტიკაში ხიფათიანი თავგადასავლებით აღსავსე ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ, კომეტების სეტყვით საკმაოდ შელახული კოსმიური ხომალდი მზის სისტემაში რომ შემოფარფატდა და ილუმინატორში სატურნის რგოლებს თვალი შევავლე, თავი უბედნიერეს ადამიანად ჩავთვალე, დედამიწის მქრქალი ნათების ხილვისას კი თავი სახლში მეგონა და ჩუმად ავქვითინდი...

ბატონო დავით, იცით, ყველაზე მეტად რაზე ვოცნებობდი? მინდოდა კვლავ მღირსებოდა: წვიმისაგან დასველებული მიწის მოტკბო-მომწარო ოხშივარის შეგრძნება და აისის ცვრით განბანილ, ახლად გათიბულ, სურნელოვან ბალახზე ნავარდი; აყვავებული ვაზისა და ცაცხვის ხის ნაზი არომატით ტკბობა და ვარდის კოკრის მაცდუნებელი მშვენიერე-

ბითა და დახვეწილი სურნელით აღტაცება; განთიადზე მთის ანკარა ნაკადულში სიცივეშეპარული ნებივრობა; ბროწეულის ყვავილისა და ყაყაჩოს ადამიანის სისხლისმიერი ფერადოვნების გათავისება და გაზაფხულზე ატმის ყვავილობის წარმტაცი სინატიფით გახალისება... და რაც მთავარია, დედამიწაზე დავანებული მზის სხივების ხილვა, რადგან მზე ყოველთვის ძალიან მიყვარდა. ალბათ, დაბადებისას პირველად მზის სხივი დავინახე...

დედამიწასთან შეხვედრის იმედითა და მოლოდინით აღფრთოვანებული, შინაგანი მღელვარების დაოკებას და გარეგნული სიმშვიდის შენარჩუნებას ვცდილობდი, – გარშემომყოფთ ჩემი განწყობა არ უნდა შეემჩნიათ, რადგან წინასწარ ვერასოდეს ხვდები, გადამწყვეტ ვითარებაში ვინ რას მოიმოქმედებს. მით უმეტეს, რომ ხომალდის ხელმძღვანელობის განზრახვა ჩემთვის უცნობი იყო, დანამდვილებით არ ვიცოდი დედამიწაზე დავეშვებოდით თუ არა...

გარეგნული სიმშვიდის შენარჩუნება იოლად შევძელი, ხომალდზე გატარებულმა წლებმა საკუთარი ემოციების დაძლევა და მართვა შესანიშნავად მასწავლა. რობოტის გაყინული გამომეტყველებით ცხოვრებას ძალაუნებურად მივეჩვიე, თუმცა თავიდან ძალიან გამიჭირდა. ძნელია მოზომილი, ვითომ ზრდილობიანი ღიმილი, როდესაც დათრგუნული ხარ, ან გულიანად გეცინება, ანდა წარბების სტატიკურ მდგომარეობაში შენარჩუნება, როდესაც გაბრაზდები, ან განცვიფრდები.

დედამიწის სიახლოვეს ფრენისას უფალს მონატრებულ მშობლიურ პლანეტაზე მშვიდობით დაშვებას ვევედრებოდი, რადგან მეგონა, რომ ხომალდი მთვარეზე, ან დედამიწის ირგვლივ ორბიტაზე მოძრავ კოსმოსურ სადგურზე დაფრინდებოდა და მნიშვნელოვანი სახეცვლილების შემდეგ, კვლავ კოსმიურ ნისლში, დედამიწისაგან შორს გაუჩინარდებოდა.

აუცილებლად ვთვლიდი ღრმად და მიუკერძოებლად გამეანალიზებინა ჩემი კოსმიური თავგადასავალი, ნათლად და დაწვრილებით ჩამომეყალიბებინა გამოტანილი დასკვნები, რათა მზად ვყოფილიყავი დედამიწაზე დაშვების შემთხვევაში, ყოველივე დაუყონებლივ მომეხსენებინა ქართული სპეცსამსახურებისათვის.

თან საკუთარ თავზე მეცინებოდა – დიდის ამბით რომ ვემზადებოდი საპატაკოდ, ვიცოდი კი რეალურად რა ვითარება იყო დედამიწაზე? ან როგორ შევძლებდი ხომალდიდან თავის დაღწევასა და სპეცსამსახურებთან კონტაქტს?! რა ვიცოდი ხომალდი დედამიწის რომელ წერტილში დაეშვებოდა, საქართველომდე ხომ უნდა ჩამომეღწია!

სამშობლომდე სასწაულებრივად რომც მომეღწია, ვშიშობდი, რომ

ჩემს მონათხრობს არავინ დაიჯერებდა. მე ხომ დედამიწა 2012 წელს დავტოვე, ახლა კი მიწაზე რომელი წელი იყო, არ ვიცოდი. იმედდაკარგული ვფიქრობდი: „განა რა უნდა ვუთხრა?.. – მაქვს პატივი წარმოგიდგეთ, გახლავართ კოსმოსის ნისლეულებში ნასეირნები ადამიანი შორეული წარსულიდან. ერთი სული მაქვს, დაწვრილებით გიამბოთ ჩემი კოსმიური თავგადასავლის პერიპეტიების თაობაზე და მოკლედ მოგახსენოთ მეცნიერული დაკვირვებების და განსჯის შედეგად გამოტანილი დასკვნებისა და მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ?! – კაბაში გამოწყობილ მიუნჰაუზენად[20] ჩამთვლიან!“.

მეშინოდა დედამიწის მშობლიური სილუეტის ხილვას ჭკუიდან არ შევეშალე. საკუთარ თავს ვეკამათებოდი, ჩემივე მეორე „მე“ ბოროტად დამცინოდა: „რაო, ილუმინატორიდან ანდრომედას ფერადსხივოსანი ნისლეულის მაცდური იდუმალების ტელესკოპით ჭვრეტამ გაგაოგნა, გონება დაგიბინდა და ლოგიკური აზროვნების უნარი დაგაკარგვინა? რა სისულელეებს როშავ? გაიგე, აქაურობას თავს ვერასოდეს დააღწევ, ხომალდი განწირულია“...

ვხვდებოდი, რომ თვითგადარჩენის ინსტინქტი სიცოცხლის სურვილს მიმძაფრებდა, ბუნებრივი შიში კი სიტუაციისადმი დამორჩილებას მკარნახობდა. იქნებ ჯობდა, არსებულ სინამდვილეს შევგუებოდი, პრინციპით „რასაც ვერ შეცვლი – უნდა შეეგუო“? ვფიქრობდი: „ალბათ აქ, პრაქტიკულად ტყვეობაში, გატარებულმა წლებმა გრძნობები დამიჩლუნგა. იქნებ სულ დავკარგე თავმოყვარეობა და ღირსება?“ უეცრად სახე და ყურები ამეწვა, დაღლილობა და სიცარიელე ვიგრძენი.

ილუმინატორს ვერ ვშორდებოდი, ვცდილობდი გამერკვია, რამდენად შორს ვიყავით დედამიწისაგან. რატომღაც ბომარშეს[21] სიტყვები ამეკვიატა: „ცოცხლობდე – ნიშნავს იბრძოდე, იბრძოდე – ნიშნავს ცოცხლობდე“, ათჯერ მაინც გავიმეორე.

ახლა ვხვდები: მეხსიერებიდან სრულიად მოულოდნელად ამოტივტივებულმა, სწორედ რომ ამ ბრძნულმა შეგონებამ რადიკალურად გადამისხვაფერა აზროვნება და მნიშვნელოვანწილად განაპირობა ჩემი მომავალი საქციელიც.

შევეცადე საკუთარი თავი გამემხნევებინა და გამომეფხიზლებინა: „დედამიწაზე მხდალი და უნიათო არასდროს ვყოფილვარ. ადრე თუ გვიან, ყველა მოკვდავია, ან ამ მფრინავ სარკოფაგში არსებობას აზრი აქვს?! ოჯახში სიცოცხლისა და ადამიანების სიყვარულს მასწავლიდნენ. მოცემულ სიტუაციაში კი ადამიანების სიყვარული ნიშნავს გავაგებინო კაცობრიობას ექსპერიმენტის შესახებ. ეს ჩემი მოვალეობაა. იქნებ პასუხისმგებლობის გრძნობაც დავკარგე? ასე რომ არ იყოს, შევ-

ეცდებოდი მაინც ხომალდის მეთაური (რომელიც ყოველთვის კეთილად მეპყრობოდა) დედამიწაზე დაბრუნების აუცილებლობაში დამერწმუნებინა“... მაგრამ მეთაურის დასარწმუნებლად რა უნდა მომემოქმედებინა, ნამდვილად არ ვიცოდი. ვეჭვობდი, – შევძლებდი კი ჩანაფიქრის განხორციელებას, მე ხომ სიტუაციაზე ზემოქმედებისათვის არანაირი ბერკეტი არ მქონდა?!

ვიცოდი, რომ გონება, როგორც ყოველთვის, არ მიღალატებდა და ყველა დადებითი და უარყოფითი მონაცემების მიუკერძოებელი შეჯერების შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებას შემომთავაზებდა, მაგრამ შინაგანი ხმა – ალღო, სრულიად საწინააღმდეგო მოსაზრებებით მაფორიაქებდა და მაბნევდა, რატომღაც ქვეცნობიერად მჯეროდა, რომ სახლში აუცილებლად დავბრუნდებოდი. ვიმედოვნებდი, რომ შექმნილი ვითარების საფუძვლიანი ანალიზი და მყარი არგუმენტაცია გამბედაობასა და საკუთარი ძალების რწმენას შემმატებდა.

ხომალდზე გატარებული წლები ჩემთვის სხვა არაფერი იყო, გარდა საკუთარ ემოციებთან ბრძოლისა და გულში მონატრების გრძნობის დათრგუნვისა, თუმცა მომეცა უნიკალური შესაძლებლობა დამეკმაყოფილებინა წმინდა ადამიანური ცნობისმოყვარეობა და კოსმოსზე მეცნიერული დაკვირვება მეწარმოებინა.

ვცდილობდი გამეხსენებინა ყველა და ყველაფერი, რაც ჩემს დედამიწისეულ წარსულთან მაკავშირებდა, რათა საკუთარ თავში ნებაყოფლობით დათრგუნული მონატრებისა და სინანულის გრძნობები გამეღვივებინა. ვფიქრობდი დედამიწაზე გაფრენილი ბედნიერი წარსულისა (რომლის დავიწყებასაც ვცდილობდი) და ხომალდზე ჩაკეტილ სივრცეში გატარებული ერთფეროვანი წლების გახსენება გამაბრაზებდა და შემაძლებინებდა განმესაზღვრა დასახული მიზნის მიღწევის საშუალებები. გადავწყვიტე გამოწვლილვით განმესაჯა ყოველივე, რაც თავს გადამხდა და რაიმე გამოსავალი მომეძებნა...

ილუმინატორიდან დედამიწა თბილად მიღიმოდა... უმწეოდ ვუმზერდი და მღელვარებისაგან გულის გასკდომას ბევრი აღარაფერი მაკლდა. სახლში რომ არ დავბრუნებულიყავი, ნამდვილად მოვკვდებოდი...

***

– რადგან ჩვენამდე მოაღწიეთ, ესე იგი, რაღაც გამოსავალი მოგიძებნიათ... იქნებ ამიხსნათ, ეს როგორ მოახერხეთ. რა გადაწყვეტილება მიიღეთ და რაში მდგომარეობდა „გამოსავალი“? – დაინტერესდა დავითინიძე.

– ალბათ გამიმართლა, ბატონო დავით, – თავმდაბალი ადამიანის

უბრალოებით თქვა იაშვილმა, – ბავშვობაში დედა დიდი შოთას გამონათქვამებს ზეპირად მასწავლიდა. მთელი ცხოვრება დამამახსოვდა: „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი!“ კოსმოსურ ხომალდზეც ჩემი უმთავრესი სამოქმედო მოწოდება სწორედ რომ ეს შეგონება გახლდათ. ვფიქრობდი: „რა მნიშვნელობა აქვს, მონატრება მომკლავს, ტყვეობა, თუ ამათი ტყვია?! ჯობს აზრიანად მაინც მოვკვდე, ღირსება და საკუთარი თავის პატივისცემა რომ შევინარჩუნო!“-მეთქი.

დედამიწაზე დაბრუნების მიზანშეწონილობის შესახებ ხელმძღვანელობასთან საუბარი დროულად ჩავთვალე და ხომალდის ნაკვეთურების „თანამშრომელთა“ ერთმანეთთან დამაკავშირებელი, ადგილობრივი საკომუნიკაციო ქსელის მეშვეობით მეთაურს მივმართე:

– მისტერ ჯონსონ, თუ გცალიათ, იქნებ მიმიღოთ, მსურს ყველა ჩვენთაგანისათვის საჭირბოროტო საკითხებზე გესაუბროთ.

– ძალიან დაკავებული ვარ, რაიმე სასწრაფოა? – უხალისოდ მკითხა მეთაურმა.

– დიახ, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, – დაბეჯითებით მოვითხოვე.

– რა გაეწყობა... „ოაზისში“ მიბრძანდით, – მითხრა მოგუდული ხმით, – ცოტა ხანში მოვალ! – როგორც წესი, ხომალდის მეთაური მხოლოდ „ოაზისში“ მელაპარაკებოდა ხოლმე.

მეც აღარ დავახანე, გაუჩინარების დღეს რომ მეცვა, ის ტანსაცმელი სასწრაფოდ ჩავიცვი (სხვათა შორის, ახლაც ის ტანსაცმელი მაცვია, განსაკუთრებულ დღეებში ვიცვამ ხოლმე) და მისტერ ჯონსონის უკან, მშობლიურ პლანეტაზე დაბრუნების აუცილებლობაში დასარწმუნებლად „ოაზისს“ მივაშურე. ამ გადაწყვეტილების დასასაბუთებელი მოსაზრებები უკვე წინასწარ მოფიქრებული მქონდა.

მეთაური მართლა მალე მოვიდა, განაწამები და დაღლილი სახე ჰქონდა. სავარძელში ჩაჯდომა არ დავაცადე და პირდაპირ „შეტევაზე“ გადავედი:

– სანამ გვიან არ არის და ხომალდი არ დაღუპულა, ჯობს ხელსაყრელი მომენტი გამოვიყენოთ და დედამიწაზე დავბრუნდეთ, – მტკიცედ განვუცხადე, – ეს აუცილებელია, რადგან ჩვენს ხელთ არსებული ტექნიკური, მატერიალური და ადამიანური რესურსებით ვერანაირ ახალ პლანეტას ვერ აღმოვაჩენთ... გარდა ამისა, აქ, კოსმოსში ჩვენ მიერ წარმოებული დაკვირვებების საფუძველზე მოპოვებული სამეცნიერო მასალაც კაცობრიობისათვის სამუდამოდ დაიკარგება!

– ასე რატომ ფიქრობთ? – მკითხა შეშფოთებით.

– იმიტომ, რომ ამდენი ხანია ღია კოსმოსში ვმოგზაურობთ, და-

კვირვებებს ვაწარმოებთ, თანავარსკვლავედებსა და პლანეტებს ვიკვლევთ და საჭირო პლანეტა დღემდე ვერ აღმოგვიჩენია! ჩემზე უკეთ გესმით, რომ ხომალდს პროფილაქტიკური შემოწმება აუცილებლად სჭირდება, ტექნიკაა მაინც, არავინ იცის მწყობრიდან როდის გამოვა... თანაც, დარჩენილი მარაგები ამოუწურავი არ არის, ადამიანებიც ფიზიკურად და სულიერად გადაიღალნენ... კრიზისი გარდაუვალია, მიუხედავად თქვენდამი პიროვნული პატივისცემისა, ხალხი აგიჯანყდებათ...

– პრობლემა არ არის, დედამიწის ორბიტაზე განთავსებულ კოსმოსურ ბაზაზე ხომალდსაც შევაკეთებთ და მარაგებსაც შევივსებთ, ამდენად, ფრენას შეფერხებების გარეშე განვაგრძობთ.

– ადამიანებზე რას იტყვით? ძალიან ძნელია, კოსმოსში უნაყოფო ხეტიალში დაფანტული წლების მერე, დედამიწას ტელესკოპით კი არა, ილუმინატორიდან უყურებდე და სამშობლოში დაბრუნების ცდუნებას გაუძლო! პირადად ჩემთვის ეს ენით აუწერელი ტანჯვაა, – ცრემლებს ძლივს ვიკავებდი.

– მერწმუნეთ, სხვები ასე არ ფიქრობენ, – მკაცრად მითხრა ჯონსონმა, – მათ დედამიწაზე დაბრუნება არ სურთ.

– ვერ დაგეთანხმებით, რადგან ეს თვით ბუნების კანონებს ეწინააღმდეგება. ადამიანი პლანეტა დედამიწის ეკოსისტემის შემადგენელი ნაწილია და მიწაზე ყოფნა მისი ქვეცნობიერი მისწრაფებაა... „ეკიპაჟის“ სულიერი მდგომარეობაც გაითვალისწინეთ, დარწმუნებული ვარ, ისინი ერთს ამბობენ და მეორეს ფიქრობენ. ენდეთ პროფესიონალი პოლიციელის მრავალწლიან გამოცდილებას, ადრე თუ გვიან თანამშრომლები „აგიბუნტდებიან“, – გავაფრთხილე ჯონსონი, მან პასუხი არ გამცა და ჩაფიქრდა.

– კიდევ გაქვთ რაიმე სათქმელი? – მკითხა.

– არა, სერ. მადლობელი ვარ, რომ მომისმინეთ... გასაგებია, რომ საკითხებს ერთპიროვნულად ვერ წყვეტთ, მაგრამ თქვენს სიბრძნესა და გამბედაობაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. იმედი მაქვს, ჩემს სამართლიან, პრაგმატულ და ლოგიკურ მოთხოვნას გაითვალისწინებთ და დედამიწაზე დაბრუნების მძიმე პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე აიღებთ, – დაჟინებით შევთავაზე. – ზოგჯერ ადამიანის ცხოვრებაში დგება გადამწყვეტი მომენტი, როდესაც არაფრის და არავისი უნდა შეგეშინდეს და საკუთარი გულის გარდა, არავის უნდა დაუჯერო, რათა შემდეგ სინდისმა არ შეგაწუხოს და საკუთარი სულმოკლეობა მთელი ცხოვრება სანანებელი არ გაგიხდეს! მით უფრო, მათ არ უნდა გაუწიოთ ანგარიში, ვინც თქვენს ნიჭსა და შრომას ბოროტად იყენებს, ვისაც კოსმოსში არასდროს უმოგზაურია და ყველა ის სირთულე, რაც ჩვენ

ყველამ ერთად გადავლახეთ, არც კი დაესიზმრებათ!

– ეს ფსიქოლოგიური ზეწოლაა! ცდილობთ თქვენი პოლიციური ფანდებით აზრი შემაცვლევინოთ და პირადი მიზნებისათვის გამომიყენოთ, – ირონიულად ჩაეცინა ჯონსონს.

– ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ვაღიარებ, მაგრამ პოლიციური ფანდები და პირადი მიზნები აქ არაფერ შუაშია, – მეწყინა და გავბრაზდი მე, – თქვენც შესანიშნავად გესმით, რომ მხოლოდ სიმართლეს მოგახსენებთ!

– კარგი, ვიფიქრებ ამაზე... ახლა მეტს ვერაფერს გეტყვით, – საუბრის გაგრძელება მიზანშეუწონლად ჩათვალა და სავარძლიდან წამოდგა ჯონსონი, – უამრავი საქმე მაქვს და ძალიან მეჩქარება.

– დაყოვნება არ შეიძლება, გადამჭრელი ზომებია მისაღები. სანამ მოსახერხებელ პოზიციას ვინარჩუნებთ, იქნებ ხომალდის სვლის ტრაექტორია შეგვეცვალა და კურსი პირდაპირ დედამიწისაკენ აგვეღო? – მრავლობითი რიცხვი შეგნებულად გამოვიყენე.

ჯონსონმა გაკვირვებით შემომხედა, ჩემგან ასეთი სიტყვებისა და, მით უმეტეს, მოთხოვნების მოსმენას ნამდვილად არ ელოდა, რადგან ყოველთვის ფუმფულა ბეწვიანი და ვარდისფერ ცხვირ-პირიანი ბეკეკასავით მორჩილი და უენო ვიყავი. მაგრამ ამჯერად ჩემთვის უკვე ყველაფერი სულ ერთი იყო, სიკვდილთან შესახვედრადაც კი ფსიქოლოგიურად მზად ვიყავი, ამიტომ აღარაფრის მეშინოდა და ხომალდის მეთაურის ამღვრეულ მზერას თვალი მშვიდად გავუსწორე. დაახლოებით ნახევარ წუთს ერთმანეთს თვალებით ვებრძოდით, უკან არ დამიხევია, რადგან დასაკარგი არაფერი მქონდა. ბოლოს ჯონსონს ნერვებმა უმტყუნა, მკვეთრად მიტრიალდა, ზურგი უცერემონიოდ შემაქცია და თავიდან მოშორების მიზნით, ოფიციალური ტონით მიბრძანა:

– თავისუფალი ხართ, შეგიძლიათ თქვენს პირად სამუშაო ადგილს დაუბრუნდეთ და საქმიანობა განაგრძოთ!

იმჟამად ჩემი სამუშაო ადგილი „ობსერვატორიაში“ განთავსებული ერთ-ერთი უმძლავრესი ტელესკოპი იყო. მეთაურს არაფერი ვუპასუხე და „ყურებჩამოყრილმა“ „დისლოკაციის ადგილისაკენ“ გავწიე. საკუთარი უძლურობისა და ჯონსონის უგუნურობისაგან რბილად რომ ვთქვათ, ფრიად განრისხებული ვიყავი და მას გულში ვთათხავდი: „ჭკვიანი და მამაცი ადამიანი მეგონა, ის კი ჩვეულებრივი უტვინო პინგვინი ყოფილა, მაგას მეთაურად რა უნდა, ბარემ კისერზე ჭრელი ბაფთი შემოიჭიროს და ხომალდის ბორტზე იბაჯბაჯოს, მეტი მაინც სხვა არაფერი შეუძლია“ – მეთქი.

რა გაეწყობოდა... ტელესკოპთან მივედი და დედამიწას გულაჩუყე-

ბული მივაჩერდი, მეჩვენებოდა, ცოტაც და კავკასიონის მწვერვალებისათვის ხელის შეხებას შევძლებდი...

უეცრად, ჩემდა უნებურად ავყვირდი, ილუმინატორს მივვარდი, ზედ ხელებს ვურტყამდი და გამწარებული თავს ვახეთქებდი. იმ მომენტში ალბათ შეურაცხადი გავხდი, რადგან ტკივილის შეგრძნების უნარი სრულიად გამიქრა. მერე ძალა წამერთვა, დავეცი და გავირინდე, იქნებ გონებაც დავკარგე, არ ვიცი ამ ისტერიულ მდგომარეობაში რამდენ ხანს დავყავი...

მოულოდნელად ვიგრძენი როგორ შეტორტმანდა ხომალდი, მკვეთრად შემობრუნდა და ნელი სვლით „გაცურდა". რაღაც მომენტში ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს ზღვის ტალღებზე ვლივლივებდი. შემდეგ რაღაც ძალამ ქვევით ჩამაგდო და „იატაკს" მიმაჯაჭვა, წამოდგომა მინდოდა, მაგრამ ვერ ვინძრეოდი... აზროვნება მიჭირდა, მაგრამ ქვეცნობიერად მაინც მივხვდი, რომ ხომალდმა დედამიწისაკენ დაღმასვლა დაიწყო. ჩემს ცხოვრებაში ასეთი ბედნიერი არასდროს ვყოფილვარ! ძალიან მეძინებოდა და გავითიშე...

შემდეგ რა მოხდა, არ ვიცი, მხოლოდ ის მახსოვს, თვალი რომ გავახილე, საავადმყოფოს ე.წ. „რეანიმაციის" მსგავს ოთახში რაღაც ხელსაწყოებზე მიერთებული ვიწექი და თავს თეთრებით მოსილი სანდომიანი ქალი წამომდგომოდა.

– გამარჯობა, ია, – აქცენტიანი ქართულით მომმართა ქალმა.

– გაგიმარჯოს, – გაუცნობიერებლად მეც ქართულად ვუპასუხე, – სად ვარ, დედამიწაზე? – გულისფანცქალით ჩავეკითხე.

– დიახ, დედამიწაზე, – კეთილად მიპასუხა. – მშვიდად იყავი, შენი აღელვება არ შეიძლება. დაცულ და უსაფრთხო ადგილზე იმყოფები, აქ არაფერი დაგიშავდება, მე და ჩემთვის სანდო ადამიანები დაგეხმარებით.

მაშინ მისი სიტყვები სათანადოდ ვერ გავიაზრე, რადგან სიხარულისაგან მხოლოდ წამოხტომა და დედამიწაზე ყოფნის ფაქტში დასარწმუნებლად გარეთ გასვლა მინდოდა, მაგრამ ვერ შევძელი, ჯერ კიდევ სუსტად ვიყავი.

– ფრთხილად, არაფერი დაიზიანო, – შეშფოთდა ქალი.

– მიწა და ბუნება მომენატრა და ხილვა მინდა, – პატარა ბავშვივით ავზლუქუნდი.

– დაწყნარდი, ახლავე ფანჯარას გამოვაღებ! – დაყვავებით მითხრა.

უცნობი ქალი მოპირდაპირე კედელთან მივიდა, მძიმე ფარდები გადასწია და გისოსებიანი ფანჯრები ფართოდ გამოაღო.

ოთახში შემოჭრილმა, მზის მხიარულად მოცქრიალე სხივებმა ჩემ-

თვის კარგად ნაცნობი, მიწისა და ზღვის, მცენარეებისა და ქარის მათრობელა სურნელი შემოიტანეს. სინათლემ თვალი მომჭრა, თვალები დავხუჭე, უფალს მადლობა შევწირე, გულში ვლოცულობდი და ჰაერს მთელი ფილტვებით ვისუნთქავდი...

– ეს იდიოტური მავთულები მომაშორეთ და ფანჯარასთან მისვლაში დამეხმარეთ, ძალიან გთხოვთ, – შევეხვეწე და წამოსადგომად მოვემზადე, უკანასკნელ ძალებს ვიკრებდი.

– ვერ შესძლებ, – გამაფრთხილა ქალმა.

– შევძლებ, – დავიჟინე, – აი, ნახავთ, კოსმოსში ხეტიალის შემდეგ, მშობლიური მიწისა და ცის ხილვა ბევრად უკეთესად გამხდის.

ქალმა მადლი მოისხა, გადასხმის სისტემა და კიდევ რაღაც „სამედიცინო ინვენტარი“ მომხსნა, წამოდგომაში მომეშველა, ხალათი მომასხა და ფანჯარასთან მიმიყვანა. გარეთ ცხელოდა, ირგვლივ ყველაფერი გადამწვანებულიყო.

– მართლა დედამიწაზე ვარ?! – ფანჯრიდან თვალწინ გადაშლილ ულამაზეს ხედს ხარბად ვათვალიერებდი, თავისუფლად ვსუნთქავდი და სინამდვილის დაჯერება მაინც მიჭირდა.

– უეჭველია! – დამიდასტურა ქალმა.

– რომელი წელია? – ვიკითხე.

– დღეს 2051 წლის 22 იანვარია, – გამიღიმა, ღიმილი ძალიან უხდებოდა.

– რაა?! ესე იგი კოსმოსში თითქმის 40 წელი გავატარე?!! – სახე ამეწვა და ჩემდა უნებურად სახეზე ხელები ავიფარე.

– ასე გამოდის, – თანაგრძნობით მიპასუხა უცნობმა.

– ქართული იცით! – როგორც იქნა, აზრზე მოვედი, – ვინ ხართ?

– ექიმი ვარ, ქეითი მქვია, – სათნო ღიმილი სახიდან არ მოშორებია, – სამი დღე მაღალი სიცხე გქონდა, ძილში გაბოდებდა და მხოლოდ ქართულად საუბრობდი, შენი არავის ესმოდა და მე ამიტომაც მიხმეს.

– რას ვამბობდი? – შევფიქრიანდი, „რაიმე ხომ არ წამომცდა“-მეთქი.

– „უნდა დავბრუნდე, უნდა დავბრუნდე“ – ო, გამუდმებით იმეორებდი.

– ვიტყოდი, აბა რა! სამშობლოდან იძულებით წამომიყვანეს... ეს საშინელებაა... კიდევ რა ვთქვი, დავიჯერო, მეტი არაფერი?

– დედ-მამას ეხმიანებოდი და „თბილისში მელოდებიან“-ო, ვიღაც ყმაწვილებზე მიუთითებდი.

– ვისზე?

– ვინმე ვანიკოს, რეზიკოს და იკას ხშირად ახსენებდი.

– ვანიკო და რეზიკო ჩემი ძმები არიან, იკა კი ჩემი მომავალი

მეუღლე უნდა გამხდარიყო, თუმცა ამდენი წლის შემდეგ ირაკლი შეიძლება ვერც ვერასოდეს ვნახო... მშობლებს რომ ვერ ვნახავ, ისედაც ცხადია, – სევდა შემომაწვა.

– დარდ-კაეშანს ნუ მიეცემი, ყველაფერი მოგვარდება, – გამამხნევა ქეითმა.

მისი „ნამეტნავად“ ლიტერატურული ლაპარაკიდან დავასკვენი: „ენას წიგნებიდან შეისწავლიდა და ეტყობა „ცოცხალ“ ქართულთან შეხება არ ჰქონია“-მეთქი.

– ესე იგი, ჩემი „საუბრის“ გამო თქვენ „გიხმეს“?! – „ჩაკირკიტებისაგან“ თავი ვერ შევიკავე.

– დიახ, აქ ქართული სხვამ არავინ იცის.

– და თქვენ საიდან იცით? – ძალიან მაინტერესებდა.

– მასლაათის დრო არ არის, – კითხვაზე არ მიპასუხა ქეითმა. – ახლა კი უნდა დაწვე, შენი ფეხზე დგომა ჯერ არ შეიძლება, – ხელი გამომიწოდა და საწოლამდე მისვლაში მომეხმარა.

– აბა, კარგად იყავი! სამწუხაროდ, გადაუდებელი საქმე მაქვს და უნდა წავიდე, – გამომემშვიდობა ქეითი. – ცოტა ხანში საჭმელს მოგიტანენ, მიირთვი და დაიძინე, ძალების აღდგენა შენთვის აუცილებელია, ამისათვის კი კარგი კვება და დასვენება გჭირდება. იმედია, მომვლელების მითითებს ჯეროვნად შეასრულებ!

დავაფიქსირე, რომ ქეითი „შენობით“, შინაურულად და თბილად მომმართავდა, რამაც გამაკვირვა და სახეზე ყურადღებით დავაკვირდი, ალბათ ქვეცნობიერად მასში ქართველის ამოცნობა მინდოდა, თუმცა ამაოდ. ქეითი ექიმი იყო და თავის პროფესიულ მოვალეობას კეთილსინდისიერად ასრულებდა.

– მალე მოხვალთ? – ინგლისურზე გადავედი, შემეშინდა, „უცხო ენები ხომ არ დამავიწყდა“-მეთქი.

– მეც არ ვიცი... მალე გამოჯანმრთელებას გისურვებ, – მანაც ინგლისურად მიპასუხა და ოთახიდან გავიდა. ქართული საიდან იცოდა, მაინც ვერ გავიგე, რადგან იგი აღარასოდეს მინახავს...

დედამიწაზე დაბრუნებიდან ორი თვე ტროპიკული ტყის პირას განცალკევებით მდგარ, სამსართულიან, ლამაზ და კომფორტულ სახლში ჩემთვის უცნობი ადამიანების გარემოცვაში „ვცხოვრობდი“. არ ვიცი, თქვენთვის ეს რამდენად საინტერესოა, მაგრამ დავაზუსტებ, რომ „მომვლელი პერსონალი“ 5 ევროპული გარეგნობის ადამიანის, 3 ქალისა და 2 მამაკაცისაგან შედგებოდა: ექიმი და ე.წ. „სპორტული ინსტრუქტორი“ მამაკაცები იყვნენ, მომვლელი და მზარეულები კი – ქალები. ისინი ნორმალურად კი მექცეოდნენ, მაგრამ არ მეკონტაქტებოდნენ. ამას

უკვე შეჩვეული ვიყავი და დიდად არ შევწუხებულვარ.

ქეითის წასვლიდან ერთ კვირაში პირველ სართულზე განთავსებულ ჩვეულებრივ საძინებელ ოთახში გადამიყვანეს, შემდგომ ერთ კვირაში კი საკმაოდ გამოვმჯობინდი და ეზოში სასეირნოდ გასვლა მოვითხოვე. გარეთ გასვლის უფლება მომცეს, ოღონდ შორს არ წახვიდეო, მკაცრად გამაფრთხილეს, თან ფარული მეთვალყურეც მომიჩინეს, თეთრკანიანი ბრგე ახალგაზრდა, ეგონათ ვერაფერს შევამჩნევდი. პროტესტი არ გამომითქვამს, „გავატარე“, გულში კი მეცინებოდა, ეგენი რამეს გამომაპარებდნენ?!

ბატონო დავით, მინდა გითხრათ, რომ სავსებით მორჩილად ვირჯებოდი და ჩემს „პატრონებს“ პრობლემებს არ ვუქმნიდი, ანუ არ „ვაბრაზებდი“ – წალკოტივით მშვენიერ ბაღში მშვიდად დავბორიალებდი, ფერად-ფერადი ჩიტების ჭიკჭიკით ვტკბებოდი, ანკარა ნაკადულთან მზის ნარნარ სხივებს ვეფიცხებოდი, ყვავილებს ვყნოსავდი, მცენარეების სინატიფითა და სიჭრელით ვიხიბლებოდი. მოკლედ, ჩემთვის წყნარად ვხალისობდი და თან საქართველოში დაბრუნებაზე გამუდმებით ვფიქრობდი. აბა, მთელ ცხოვრებას ფუჭად ხომ არ გავატარებდი და იქ ხომ არ დავრჩებოდი? გასაგებია, რომ არც არავინ გამაჩერებდა! ვნერვიულობდი: „ამ არანორმალურებს ჩემგან კიდევ რა ჯანდაბა უნდათ, თავს რატომ არ მანებებენ, ან მომკლან, ან საქართველოში დაბრუნების საშუალება მომცენ?!“ -მეთქი.

მიუხედავად იმისა, რომ ჩემი აწმყო ერთი დიდი „გაუგებრობა“, ხოლო მომავალი იდუმალების ბურუსით მოსილი „გაურკვევლობა“ იყო, იმედს მაინც არ ვკარგავდი და ვიმედოვნებდი, რომ თუკი ღვთის წყალობით, დედამიწამდე ჩამოვაღწიე, ამ უაზრო ტყვეობასაც თავს როგორღაც დავაღწევდი...

ასე სეირნობა-დასვენებასა და ფიქრში სამი კვირა გავატარე, შემდეგი ერთი თვე იმავე შენობაში განთავსებულ სატრენაჟორო დარბაზში მავარჯიშებდნენ, აუზშიც ვცურავდი. ასე, რომ აკლიმატიზაცია გართულებების გარეშე გადავიტანე, ენერგია და ძველი ფიზიკური ფორმა სრულად აღვიდგინე, თავს მხნედ და ჯანსაღად ვგრძნობდი.

წიგნები, კომპიუტერი, ტელევიზორი, რადიო, პრესა, ან სხვა გასართობი მე არ მქონდა, ამდენი ხანი უსაქმოდ ხომ ვერ ვიჯდებოდი? ამიტომ „მომვლელების“ დახმარებაზე უარი ვთქვი და საკუთარ თავს მე თვითონვე ვუვლიდი: ოთახს ვილაგებდი, ტანსაცმელსა და თეთრეულს ვირეცხავ-ვიუთოვებდი, საჭმელს ვიმზადებდი. ამასობაში დროც გადიოდა და „პატრონების“ ნდობასაც ვიმსახურებდი – მეთვალყურე კუდში აღარ დამდევდა...

ჩემდა გასაკვირად, მალე ფსიქოლოგიურად და ემოციურად გაწონასწორებულ და მხიარულ განწყობაზე დავდექი, თითქოს ფრთები გამომესხმებოდა და სამშობლოში გადმოვფრინდებოდი. ჩემი შემდგომი ამოცანა საქართველომდე ჩამოღწევა, თბილისში ჩამოსვლა და ქართულ სპეცსამსახურებთან დაკავშირება იყო. ამ მიზნის მისაღწევად ფიზიკურად და მორალურად სავსებით მზად ვიყავი, თავს ვინუგეშებდი და „საბრძოლველად“ ვემზადებოდი. თუმცა, რა უნდა მომემოქმედა, ამჯერადაც არ ვიცოდი...

***

ამ ერთი თვის წინ, დაძინებას რომ ვაპირებდი, ბალიშის ქვეშ ჩემდამი მოწერილი წერილი ვიპოვე. ანონიმი „მოკეთე“ მატყობინებდა, რომ ღამის 3 საათისათვის შავი „მერსედესი“ ეზოში მალულად დამელოდებოდა და აეროდრომზე წამიყვანდა. „უსტარში“ განმარტებული იყო რა და როგორ უნდა გამეკეთებინა, რათა იქაურობისათვის თავი დამეღწია. დროის მოგების მიზნით, წერილის შინაარსზე თქვენის ნებართვით, არ ვისაუბრებ, თხრობას განვაგრძობ და ჩემი შემდგომი საქციელის მიხედვით მიხვდებით, თუ რას მთავაზობდა ჩემთვის უცნობი „მეგობარი“.

ანონიმს მივენდე, რადგან ბარათი ქართულ ენაზე იყო შედგენილი და სამოქმედო გეგმაც ლოგიკურად დასაბუთებულად მეჩვენა, ამასთან ყოველი ჩემი ნაბიჯი დაწვრილებით იყო აღწერილ-გაწერილი. გუმანით მივხვდი, რომ ჩანაფიქრის განხორციელების დრო მოვიდა და ეს შესაძლებლობა აუცილებლად უნდა გამომეყენებინა. წერილის შინაარსი დავიმახსოვრე, მერე კი წვრილ ნაკუწებად დავხიე და უნიტაზში ჩავრეცხე. შემდგომშიც „მოკეთის“ მითითებებს ზედმიწევნით „მივყვებოდი“.

რამდენიმე აუცილებელი ნივთი, მათ შორის ზემოხსენებული ეს – პიჯაკის საყელოზე ხელი მოიკიდა იაშვილმა – ჩემთვის ძვირფასი ტანსაცმელი ჩანთაში ჩავაწყე და დათქმულ დროს შენობის უკანა გასასვლელიდან ეზოში უხმაუროდ გამოვიპარე.

სიბნელეში შორიახლოს მდგარი, საბარგულახდილი ავტომანქანა ძლივს შევამჩნიე. მანქანასთან სირბილით მივედი, საბარგულში ჩავძვერი და ფსკერზე გულაღმა გავწექი. „მერსედესი“ ადგილიდან სწრაფად დაიძრა და რამდენიმე წუთში მომცრო ზომის თვითმფრინავთან მიმიყვანა. მთელი გზა დაძაბული ვიყავი.

ტრაპთან შავებში ჩაცმული, თეთრკანიანი, მაღალი, ათლეტური აღნაგობის, ორმოციოდე წლის საკმაოდ სიმპათიური მამაკაცი დამხვდა, თვითმფრინავში შემიძღვა და ამერიკული ინგლისურითა და „ჰოლივუდის ღიმილით“ გამომიცხადა: „ვიცი, თქვენ მის იაშვილი ბრძანდებით,

მე კი, თუ არ მიწყენთ, უსახელო ადამიანი ვარ“-ო. იგი სხვებისაგან დახვეწილი ინტელიგენტის საქციელითა და მოსწრებული სიტყვა-პასუხით გამოირჩეოდა. ცხადია, მისი ვინაობა არც მაინტერესებდა, მთავარი ის იყო, რომ „წერილის“ თანახმად, „უსახელოს“ საქართველომდე უნდა ჩამოვეყვანე.

ილუმინატორთან მოვკალათდი. მთელი ღამის უძინარი ვიყავი და აფრენისთანავე ჩამეძინა, ამიტომ არ ვიცი რამდენ ხანს ვიფრინეთ. დაფრენისას გამომეღვიძა, ისევ ბნელოდა.

ტრაპთან ჩემთვის უცნობი მარკის ავტომანქანა გველოდა, საჭესთან კვლავ „თვითმფრინავის კაცი“ დაჯდა. მე უკანა სავარძელზე ნახევრად მძინარე მოვთავსდი და მალევე ჩამეძინა...

მზის პირველმა სხივებმა გამომაფხიზლა, ცხელოდა. მანქანამ სვლას უკლო და გზის პირას განთავსებულ რომელიღაც საშუალო კლასის სასტუმროსთან შეჩერდა. ჩემმა თანმხლებმა ხელით მანიშნა და შენობისაკენ გაემართა, რაღა თქმა უნდა, ჩანთას ხელი წამოვავლე და მეც უკან მივყევი.

სანამ სასტუმროში შევიდოდი, იქაურობა მოვათვალიერე, მაგრამ გარდა უჩვეულო მცენარეებისა, ჩემთვის საინტერესო ვერაფერი შევნიშნე. წარმოდგენა არ მქონდა რომელ ქვეყანაში ვიმყოფებოდი.

სასტუმროს ნომერში ახალი ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით სავსე ორი მოზრდილი გორგოლაჭებიანი ჩანთა, ოცი ათასი აშშ დოლარი და ადამიანის გარეგნობის შეცვლისათვის საჭირო „აღჭურვილობა“ დამხვდა. მაგალითად, ბუნებრივი თმისაგან გაკეთებული პარიკები, თვალის ფერადი ლინზები, სახის წელვადი ნიღბები და სხვა.

„თვითმფრინავის კაცმა“ მითხრა: „იმედია წერილის შინაარსი კარგად გახსოვთ, მითითებების თანახმად უნდა ვიმოქმედოთ“-ო. მზადყოფნა დავუდასტურე. მან თითების ანაბეჭდები ამიღო და ყალბი საბუთების დასამზადებლად სურათები პროფესიონალური ფოტოაპარატით სხვადასხვა გარეგნობითა და რაკურსით გადამიღო, რათა ყველაზე უფრო შესაფერისი ამოერჩია. შემდეგ საჭმელი ამომიტანა, „არავის ეკონტაქტოთ“-ო მითხრა, ნომერში გამომკეტა და წავიდა. ოთახში „დამწყვდეულმა“ ორი დღე გავატარე.

მესამე დღეს „თვითმფრინავის კაცმა“ მოქალაქის ორი ყალბი ბარათი გადმომცა – აშშ მოქალაქისა და საქართველოს მოქალაქისა. პირველში გარეგნობა შეცვლილი მქონდა და ვიღაც კალიფორნიელ ნენსი ბეიკერს ვანსახიერებდი, ის ბარათი საქართველოს საზღვრის თურქეთის მხრიდან არალეგალურად გადმოკვეთის შემდეგ „უსახელოს“ დავუბრუნე. მეორე ბარათზე ჩემი საკუთარი გარეგნობით ვარ გამოსახული, მონაცემები-

დან კი მხოლოდ დაბადების წელია შეცვლილი. „მოკეთეებს“ უნდოდათ ჩემი მონაცემები მთლიანად შეეცვალათ, მაგრამ მე არ დავთანხმდი, არ მინდოდა გვარ-სახელი სამუდამოდ დამეკერგა. ამ მეორე ბარათით საქართველოს ტერიტორიაზე უნდა მემოძრავა, აქ წამოსვლისას თან წამოვიღე და თქვენმა თანამშრომლებმა ჩამომართვეს.

– მერე და, არ გეშინოდათ? გაბედეთ და საზღვარი უკანონოდ გადმოლახეთ, შემდეგ მოქალაქის ყალბი ბარათი სახელმწიფო დაწესებულებაში მშვიდად წარმოადგინეთ! სიყალბე, ადრე თუ გვიან, მაინც ხომ გამომჟღავნდებოდა? ძებნაში რომც არ ყოფილიყავით, მოქალაქის პირადობის მოწმობა ოდესღაც მაინც ხომ დაგჭირდებოდათ? – იაშვილის გულწრფელობა გადაამოწმა დავითინიძემ.

– რატომ უნდა შემშინებოდა? – გაუკვირდა იაშვილს, – მე ცუდი არაფერი ჩამიდენია, როგორც უკანონობის მსხვერპლი, თავს ვიცავდი, მხოლოდ ტყვეობიდან გაქცევასა და სამშობლოში დაბრუნებას ვცდილობდი! დაბრუნების სხვა გზა და პირადობის დამადასტურებელი სხვა საბუთი არ მქონდა, თანაც თქვენთვის ყველაფრის მოყოლას ვაპირებდი და ბარათის დამალვას რა აზრი ჰქონდა?

– შემდეგ რა მოხდა? – პოლკოვნიკმა პასუხი დამაჯერებლად ჩათვალა.

– ბატონო დავით, ამ ბარათებთან დაკავშირებით ერთადერთი რამ მაკვირვებს და ვერ გამიგია, იქნებ თქვენ ამიხსნათ?

– რა უნდა აგიხსნათ? – ვერ მიხვდა დავითინიძე.

– თუ ქართული მართლმსაჯულება მთელს მსოფლიოში ინტერპოლის მეშვეობით დამეძებდა, დავიჯერო, ჩემმა „მოკეთეებმა“ ეს არ იცოდნენ? სადაც ასეთი მნიშვნელოვანი და ხელყოფისაგან სახელმწიფოს მიერ დაცული საბუთების გაყალბება ხელეწიფებოდათ, ჩემი „კრიმინალური წარსულის“ შესახებ ვერაფერს შეიტყობდნენ? ვერ მივხვდი ან საქართველოში რა მიზნით დამაბრუნეს, ან ყალბი ბარათი რატომ გამომაყენებინეს?

„ამ ქალს თავი გამომძიებელი ჰგონია“, – უკმაყოფილოდ გაიფიქრა დავითინიძემ, – „სასაცილო ის არის, რომ ჩემგან ინფორმაციის „გამოდნობა“ უნდა!“.

– ჯერ გარკვევით ვერაფერს ვიტყვი, ყველაფერს გამოძიება დაადგენს, – პასუხს თავი აარიდა პოლკოვნიკმა, – თემას გადაუხვიეთ!

– განვაგრძობ, – მორიდებით ჩაახველა იაშვილმა. – იმავე ღამეს გარეგნობა შევიცვალე და „თვითმფრინავის კაცთან“ ერთად აეროპორტში გავემგზავრე. ირგვლივ ყველგან შავკანიანი ადამიანები იყვნენ და ჩემთვის გაუგებარ ენაზე ლაპარაკობდნენ. ეს არ იყო არც ფრან-

გული, არც გერმანული, არც ესპანური და არც იტალიური, იქნებ პორტუგალიური, ან ამ ენების უცნაური ნაზავი? არ ვიცი... ვერ მივხვდი სად ვიმყოფებოდი, ამერიკაში თუ აფრიკის რომელიღაც ქვეყანაში.

შემდეგ „ბოინგის“ მსგავსი საფრენი აპარატით სტამბულში გადავფრინდით. აეროპორტებში და საზღვრებზე თავი ამერიკის მოქალაქე ნენსი ბეიკერად გავასაღე და თურქეთის ტერიტორიაზე გართულებების გარეშე შემიშვეს. მერე ჩვენთვის განკუთვნილი ჯიპის ტიპის მანქანით, რომელიც სტამბულის აეროპორტში გველოდა, საქართველოს საზღვრის მიმდებარე ზღვის ნაპირამდე მოვედით და წყალქვეშა ბატისკაფის მსგავსი მომცრო ზომის მცურავი საშუალებით აჭარაში, მწვანე კონცხთან ახლოს, უკაცრიელ ნაპირზე სრულ სიბნელეში გადმოვედით. ნენსის „მასკარადი“ მოვიცილე და იქვე, ბორტზე დავტოვე.

იმ უკუნეთში კისერი რომ არ მომეტეხა, „კაცმა“ სპეციალური ღამის ხედვის სათვალე მათხოვა. ნაპირზე ორადგილიანი ველოსიპედი დაგვხვდა, რომლითაც გაჩირაღდნებულ ავტობანამდე მივედით. „უსახელომ“ ზედ გზამდე მიმაცილა და ხმადაბლა მითხრა:

– აქედან მარჯვნივ, ას მეტრში რესტორანი „პოსეიდონია“. გახსოვთ ალბათ, ინსტრუქციის თანახმად, რესტორნის მესვეურებს ტაქსს გამოაძახებინებთ და სასწრაფოდ თბილისში წახვალთ. იქ ვაშლიჯვარში, სასტუმრო „ოჯახურ სავანეში“ უნდა დაბინავდეთ. ერთი-ორი თვე ახალ გარემოს შეისწავლით და შეეგუებით, მერე თქვენს თავს თქვენვე უნდა მიხედოთ, სამსახური მოძებნოთ და ჩვეულებრივი მოქალაქის ცხოვრებით იცხოვროთ. თქვენი „კოსმოსური მოგზაურობა“ მშვიდობიანად დასრულდა. იმედია, სიბერეს არ გაიმწარებთ, საკუთარ თავს და ჩვენც, თქვენს მეგობრებს, პრობლემებს არ შეგვიქმნით და ყოველივეს საიდუმლოდ შეინახავთ.

– ვეცდები! ყველაფრისათვის დიდი მადლობა, ბატონო „უსახელო“, – სათვალე გავუწოდე.

– პირიქით, მადლობა თქვენ! – მან სათვალე ჩამომართვა და ხელზე მეამბორა.

თავი უხერხულად ვიგრძენი, ვერ მივხვდი, რისთვის მიხდიდა მადლობას ეს ადამიანი, ვიფიქრე: „ალბათ, ვინმე ხომალდიდან არის და დედამიწაზე დაბრუნება უხარია”-მეთქი.

– ბედნიერებას გისურვებთ, ჩვენო დაუდგრომელო ლედი, – გამომემშვიდობა „თვითმფრინავის კაცი“, – თქვენ ეს ნამდვილად დაიმსახურეთ, – თქვა და მოულოდნელად სიბნელეში გაუჩინარდა.

აღსანიშნავია, რომ მთელი მგზავრობის მანძილზე „თვითმფრინავის კაცი“ წუთითაც არ მშორდებოდა, ჩემს ბარგს უსიტყვოდ და გულ-

მოდგინედ დაათრევდა, ზედმეტი შეგონებებით თავს არ მაბეზრებდა და „კაი ტიპის“ როლს წარმატებით ასრულებდა...

თბილისში რომ ჩამოვედი, ჯერ ვაშლიჯვარში დავსახლდი, პირველი კვირა ჩემი ნათესავებისა და ახლობლების ბედის გარკვევას ვცდილობდი. სამწუხაროდ, ბევრი მათგანი, ასევე ჩემი მშობლები და ძმები ცოცხლები აღარ არიან! ახლობელ-მეგობრებიდან არავის შევხმიანებივარ: ჯერ ერთი, ჩემი მოქალაქეობრივი ვალი უნდა მომეხადა, ანუ ქართული სპეცსამსახურებისათვის სასიცოცხლოდ ფასეული ინფორმაცია სასწრაფოდ უნდა მიმეწოდებინა; მეორეც, სავარაუდოდ, დიდი ხანია ყველა გარდაცვლილად მთვლიდა და არ მინდოდა ვინმე ამეფორიაქებინა და შემეწუხებინა...

ქვეყანაში არსებულ სიტუაციაში გარკვევა მინდოდა და ყველა სატელევიზიო არხის საინფორმაციო გადაცემებს დიდი ინტერესით ვუსმენდი და მეზობლებს ვესაუბრებოდი. მიხაროდა თბილისის ქუჩებში მოსიარულე ქართველების სახეებზე ბედნიერ ღიმილს რომ ვხედავდი! ჯერ ვითარებაში ბოლომდე ვერ გავრკვეულვარ, მაგრამ არსებით ვგრძნობ: ზუსტად ისეთი ქვეყანა შენდება, როგორზეც ოცნებობდნენ ჩვენი სულმნათი წინაპრები და ჩემი დალოცვილი თაობა.

ინტერნეტით დედამიწის სიახლეებს ვეცნობოდი და ქართულ სპეცსამსახურებთან დამაკავშირებელ გზებს ვეძებდი. სწორედ ინტერნეტის მეშვეობით შევიტყვე, რომ დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტი მთაწმინდაზე იყო განთავსებული. ამიტომ ვაშლიჯვრიდან წამოვედი, სოლოლაკის ერთ უძველეს უბანში ბინა ვიქირავე და მთაწმინდის პარკში სეირნობას მოვუხშირე. მეზობლებს ვეუბნებოდი: „თბილისში მრავალი წელია არ ვყოფილვარ, მსოფლიო მეგაპოლისში – ნიუ-იორკში ვცხოვრობდი, მთის სუფთა ჰაერზე სეირნობა და ფუნიკულიორიდან მონატრებული თბილისის ყურება მსიამოვნებს“-მეთქი. რა თქმა უნდა, სჯეროდათ, რადგან ეს სიმართლე იყო, თბილისი მართლაც ძალიან მენატრებოდა და ფუნიკულიორიდან რომ გადმოვყურებდი, თავს ბედნიერად ვგრძნობდი...

სეირნობისას გარემოს ვზვერავდი და დეპარტამენტის შენობასთან მისასვლელ გეგმას ვამუშავებდი. დეპარტამენტში ოფიციალურად ვერ მოვიდოდი, ვფრთხილობდი, რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ მითვალთვალებდნენ, თუნდაც ის ხალხი, ვინც სამშობლოში დამაბრუნა. მე ხომ მათი ვინაობა და მიზნები არ ვიცოდი?! მეშინოდა თავიანთი ზრახვებისათვის არ გამოვეყენებინე, ვეჭვობდი: „დაბრუნებაში ლამაზი თვალებისათვის ხომ არ დამეხმარებოდნენ“-მეთქი. მინდოდა დამესწრო და თქვენამდე დროულად მომეღწია.

ძალიან მალე ყოვლად უწყინარი მიზეზი თავისთავად გამოჩნდა – დეპარტამენტის ტერიტორიაზე მონავარდე სპარსული ჯიშის კატა, რომელიც თქვენ უკვე იხილეთ. საქმე ისაა, რომ ამ ერთი წლის წინ მავანთ კატა ოჯახიდან ქუჩაში გამოეპარათ, თუ გამოუგდიათ, არ ვიცი. უპატრონო ცხოველი ჩვენს უბანს შემოეკედლა და ეზოს ბავშვების საყვარელი ფისუნია გახდა. მე იგი მეცოდებოდა და უბანში დასახლების დღიდან გემრიელი ნუგბარებით ვანებივრებდი, ამიტომ გარეთ რომ გამოვდიოდი, გამომეკიდებოდა ხოლმე. ერთხელაც, მეზობლებს ვუთხარი: „კატას წავიყვან და პარკში გავასეირნებ“-მეთქი. საწინააღმდეგო არავის არაფერი ჰქონდა. ბოლო ერთი კვირაა, ასე ყველას დასანახავად, ჭრელ კატასთან ერთად, უსაქმური და ჭორიკანა ქალივით, საათობით დავსეირნობდი და თქვენი დეპარტამენტის ტერიტორიას მიზანმიმართულად, ნელ-ნელა ვუახლოვდებოდი.

რამდენიმე დღის წინ მომეჩვენა, რომ პარკში ვიღაც ძალზე არასასიამოვნო „ტიპი“ დაჟინებით მითვალთვალებდა. ეს არ იყო თურქი ტოპლუ, მას იმდენად უჩვეულო გარეგნობა აქვს, რომ დამამახსოვრდებოდა. შესაძლოა ტოპლუც დამდევდა, მაგრამ მე იგი არ შემინიშნავს...

არაფერი შევიმჩნიე, რადგან ბოლომდე დარწმუნებული არ ვიყავი და გადამოწმება გადავწყვიტე. სამი დღე სახლიდან არ გამოვსულვარ. მეოთხე დღეს, ანუ 24 აპრილს, ის „ტიპი“ ჩემი ბინის ფანჯრიდან დავინახე, ქვის გაყინული სიფათი ჰქონდა. თვითონ ვერ შემნიშნა, ეზოს მოფარებულ კუთხეში იდგა და გარეთ გამოფენილ მოფუსფუსე ქალებს მალულად და ყურადღებით ათვალიერებდა, ნახევარი საათის მერე წავიდა. უეჭველი იყო, მე მომაკითხა, ალბათ კატის კვალს გამოჰყვა.

მივხვდი, რომ საფრთხე ძალიან რეალური იყო და შესაძლოა, ქილერს ისე მოვეკალი, რომ თქვენთვის ხმა ვერც კი მომეწვდინა. ამიტომ, იმავე საღამოს კარის მეზობელს ვუთხარი: „დილით რამდენიმე დღით კახეთში მივდივარ, ნათესავებს მოვინახულებ“-მეთქი, ჩემი საყვარელი, კოსმოსურ სივრცეებში ნაფრენი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი ჩავიცვი, კატა ავიყვანე და პირდაპირ დეპარტამენტისაკენ ჯიქურ გამოვწიე... დანარჩენი თქვენც იცით.

ახლა დავმშვიდდი, რაც მინდოდა და საჭიროდ ვთვლიდი, ყველაფერი მოგიყევით, – შვებით ამოისუნთქა და გაიღიმა იაშვილმა, – სინდისი სუფთა მაქვს, თითოეული ჩემი სიტყვა სიმართლეა, შემიძლია ხატზე დავიფიცო...

– მამაცი, სულით ძლიერი და ჭკვიანი ქალი ხართ, ქალბატონო ია, – შეაქო დავითინიძემ, – მსგავს პრობლემებთან გამკლავებას ბევრი ვერ შესძლებდა, თქვენდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მძიმე განსაცდელს ღირსეულად გაუძელით.

– გმადლობთ, ბატონო პოლკოვნიკო, ვემსახურები საქართველოს! – მხედრულად უპატაკა იაშვილმა.

– და პლანეტა დედამიწას, – კეთილი ღიმილით დაუმატა პოლკოვნიკმა.

ხუმრობაზე იაშვილსაც გაეცინა. ორიოდე წუთს ორივე კმაყოფილი სახეებით ილიმებოდნენ. იაშვილი გახარებული იყო, რომ „სათქმელი“, როგორც იქნა, გააჟღერა, დავითინიძე კი ამ არაჩვეულებრივი და რთული საქმის გამოძიების დაწყებას ჩქარობდა და იაშვილის დაკითხვის დასრულებას მოუთმენლად ელოდა.

– იმედია, გამოძიება შემჭიდროებულ ვადებში წარიმართება და ყოველივეს ნათელი მალე მოეფინება, – მუდარით თქვა იაშვილმა, – საფრთხე ემუქრება არა მხოლოდ ჩვენს საყვარელ სამშობლოს, არამედ მთელს მსოფლიოსაც!

– აუცილებლად, – დაჰპირდა დავითინიძე, – ვინც არ უნდა იყოს, ყველა დამნაშავე პასუხს აგებს და სათანადოდ დაისჯება. ახლა კი შეგიძლიათ წაბრძანდეთ და მშვიდად დაისვენოთ. გამოძიების მსვლელობისას, თუ საჭირო გახდა, დაგიძახებთ.

– კი ბატონო, მზად ვარ ჭეშმარიტებას ვემსახურო, – წამოდგა და სკამი ადგილზე მიდგა იაშვილმა, – კარგად ბრძანდებოდეთ, ბატონო პოლკოვნიკო.

– ნახვამდის, ქალბატონო. – დავითინიძემ ქალი კაბინეტის კარებამდე თავაზიანად მიაცილა და ვახტანგ ჭეიშვილს იაშვილის მეურვეობა დაავალა. – ვახო, აბა შენ იცი, ქალბატონ იას მიმიხედე, გადაღლილია და დასვენება ესაჭიროება. მისთვის ვახშამი „სტუმრების ოთახში“ ამოატანინე და „ერისიონის“ კონცერტის ჩანაწერი ჩაურთე! ქართულხალხური, მშობლიური მელოდიები გაახალისებს და კარგ განწყობას შეუქმნის.

– „ერისიონი“! – გაუხარდა იაშვილს, – ამ ანსამბლის დიდი თაყვანისმცემელი ვარ.

– რაიმე თხოვნა ხომ არა გაქვთ? – მზრუნველად ჰკითხა იაშვილს დავითინიძემ. – თქვით, ნუ მოგერიდებათ!

– ო, არა, ბატონო დავით, – მადლიერი ღიმილი შეანათა იაშვილმა, – რაც მჭირდება, ყველაფერი მაქვს და შეიძლება ითქვას, ბედნიერიც კი ვარ.

– ბედნიერი? – ვერ მიუხვდა დავითინიძე.

– ჩემი მისია აღვასრულე, – განმარტა იაშვილმა.

– ჯერ არა, – ჩაფიქრებით თქვა პოლკოვნიკმა, – თავგადასავლები კიდევ გველის.

ნაწილი III. გამოძიება

თავი I. ახალი გარემოებანი

ია იაშვილის დაკითხვის შემდეგ, პოლკოვნიკმა დავით დავითინიძემ საგამოძიებო ჯგუფის წევრებს დამატებითი დავალებები მისცა, გამოძიების მსვლელობის თაობაზე, საიდუმლოების გრიფით „განსაკუთრებით მნიშვნელოვანი“, ვრცელი მოხსენებითი ბარათი მოამზადა და გვიან ღამით საქართველოს დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის დირექტორს, გენერალ გიორგი ჯაშს ოფიციალურად წარუდგინა.

„მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 25 აპრილს“, – მოხსენებით ბარათში წერდა დავითინიძე, – „საქართველოს დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტს პირადად მომართა მოქალაქე ია იაშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ ფლობს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან, სრულიად საიდუმლო ინფორმაციას და მისი სახელმწიფო ორგანოებისათვის შეტყობინების მიზნით, სურს შეხვდეს დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელობას...“

გენერალმა ბარათი ყურადღებით წაიკითხა, დასკვნების გამოტანას არ ჩქარობდა.

– დამატებით რას იტყვი? – ჰკითხა პოლკოვნიკს.

– დარწმუნებული ვარ, იაშვილი პატიოსანი ადამიანია და სიმართლეს ამბობს. მართალია, ზოგჯერ გულუბრყვილოდ მსჯელობს, მაგრამ ეს არის მოვლენების მისეული ხედვა და იგი გულწრფელად და ზუსტად გადმოსცემს ყოველივეს, ისეთნაირად, როგორადაც აღიქვა და განიცადა. იაშვილი წარსულის ნაწილია, მის მიერ გამოთქმული მოსაზრებების უზუსტობა და არათანმიმდევრულობა განპირობებულია დღევანდელი მსოფლიოს არცოდნით. მაგალითად, მას არაფერი სმენია ტრანსჰუმანიზმის[22] შესახებ, თუმცა მისი საუბრიდან ნათლად ჩანს, რომ ამ იდეოლოგიის ფილოსოფიურ კონცეფციას არასოდეს გაიზიარებს, ცხოვრებაში მისი განხორციელების მცდელობებს მკრეხელობად და ადამიანთა მოდგმისათვის მეტად საშიშ ექსპერიმენტად ჩათვლის და ყოველთვის შეეწინააღმდეგება.

– იაშვილის „ხედვისა“ და „აღქმის“ აღსაწერად მალე ფილოსოფიურ პრინციპებსა და კატეგორიებსაც მოიშველიებ, – თავი გაიქნია ჯაშმა.

– უბრალოდ ვცდილობ სამართლიანი ვიყო, – მხრები აიჩეჩა დავითინიძემ, – გაესაუბრე და თავად დარწმუნდები, რომ გამორჩეული პიროვნება და ღირსეული ქალია. გონიერია, გაბედული, სამშობლოსათ-

ვის თავდადებული, კეთილშობილი...

– თანაც მშვენიერი და მომხიბლავი, – დავითინიძეს სიტყვა ღიმილით შეაწყვეტინა ჯაშმა. – ჰა, ძველო, აღიარე, ეს ბებრუხანა მოგეწონა და მისი იგავ-არაკებიც ამიტომ დაიჯერე?

– რას ამბობ, გიორგი, ასეთად მიცნობ?! – გაბრაზდა დავითინიძე, – მე მხოლოდ როგორც იურისტს, მსურს გამოსაძიებელ საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტება დავადგინო! კაცი რომ დაფიქრდეს, იაშვილი ძალიან უბედური ვინმეა, 40 წელი ფაქტობრივ ტყვეობაში გაატარა, აღარც ნათესავები შემორჩა და აღარც ახლობელ-მეგობრები! ადამიანურად მართლა ცოდოა, სხვა მის ადგილზე ან ფსიქიურად შეირყეოდა, ან სულაც ცოცხალი ვერ გადარჩებოდა...

– სწორედ რომ მაკვირვებ, დავით! – აღშფოთდა ჯაში, – მისი იმიტომ გჯერა, რომ გეცოდება?! და იქნებ ტყუის?

– შენც ხომ იცი, დროში განვრცობადი ტყუილის ლოგიკურად დალაგება ასე ადვილი არ არის! მით უმეტეს, რომ მის მიერ დასახელებული ზოგიერთი ფაქტის გადამოწმება დღესაც სავსებით შესაძლებელია!

– ჰოდა, ჯერ ფაქტები გადაგემოწმებინა! – უკმაყოფილოდ შენიშნა ჯაშმა.

– კარგი რა, გიორგი, მან უსერიოზულესი ინფორმაცია მოგვაწოდა, ჩვენ უფლება არა გვაქვს, რეაგირების გარეშე დავტოვოთ! ქილერებმა ბათქა-ბუთქი ცხვირწინ რომ აგვიტეხეს, დაგავიწყდა?!

გენერალსა და პოლკოვნიკს მრავალწლიანი კოლეგიალური თანამშრომლობა და მეგობრობა აკავშირებდათ, ისინი ერთმანეთს პატივს სცემდნენ და ენდობოდნენ. გენერალმა იცოდა, რომ საქმის საფუძვლიანი გამოძიებისა და უტყუარი მტკიცებულებების მოპოვებამდე პოლკოვნიკი დავითინიძე ნაჩქარევ დასკვნებს არ გამოიტანდა. ჯაშს მეგობრის განაწყენება არ სურდა, ამიტომ სავარძლიდან წამოდგა და დავითინიძეს ხელი ჩამოსართმევად გაუწოდა.

– კარგი, ჰო, გეხუმრე, – გაიღიმა გენერალმა, – ნუ ბრაზობ! ჯობს ხვალინდელი თათბირისათვის რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მოიძიო, რადგან დროა მოკვლეული მასალები პრემიერ-მინისტრს მივაწოდოთ. მოდი, თათბირი დათქმულზე უფრო გვიან ჩავატაროთ და ჩემთან საღამოს 10 საათისათვის შევიკრიბოთ, შენი ბიჭები გააფრთხილე, ოპერატიულად იმოქმედონ, აბულაძეს მე დავურეკავ.

– ბიჭები ინტენსიურად მუშაობენ, წინასწარი გამოძიების შედეგებს ხვალვე წარმოგიდგენთ, – დავითინიძემ გენერალს ხელი ჩამოართვა და კაბინეტიდან გავიდა.

„პრემიერ-მინისტრისათვის საქმის ვითარების გაცნობა თუ უნდა, ესე

იგი იაშვილის მონათხრობს მთლად იგავ-არაკად არ თვლის“, – გულში ეცინებოდა პოლკოვნიკს, – „ძალიან კარგი! იმედია, ხვალ ამ დროისათვის ბევრი რამ გაირკვევა“...

* * *

მეორე დილით, სამსახურში მისულ დავითინიძეს ირაკლი გაბუნია და არჩილ ყიფიანი შეშფოთებული სახეებით მისაღებში დახვდნენ.

– რა მოხდა? – მისალმების შემდეგ იკითხა პოლკოვნიკმა და მოსულებს კაბინეტში დინჯად შეუძღვა.

– წუხელ ტოპლუ ალაპარაკდა, – მოკლედ უპასუხა გაბუნიამ.

– გამოძიების მთავარი სამმართველოს ბიჭებმა უთენია დამირეკეს, – საქმიანად დაუმატა ყიფიანმა.

– რაო, რა თქვა? – სამუშაო მაგიდასთან მდგარ სავარძელში მოწყვეტით ჩაჯდა დავითინიძე.

– ტოპლუმ აღიარა, რომ მისი „ბოსი“ იყო აწ გარდაცვლილი, გერმანიაში მცხოვრები თურქული წარმოშობის ნარკომოვაჭრე, ვინმე აზიზ ილმაზი, იგივე „მუსტაფა“, რომელმაც ტოპლუ საქართველოსთან დააკავშირა, – მოახსენა პოლკოვნიკს ირაკლი გაბუნიამ.

– „საქართველოსთან დაკავშირება“ რას ნიშნავს? – ჩაეკითხა დავითინიძე.

– ილმაზს ჰყავდა ე.წ. „ბიზნეს-პარტნიორი“, საქართველოს მოქალაქე, ბათუმში მცხოვრები ვინმე ანდრია ჯინჭარაძე. ტოპლუმ ჯინჭარაძე ილმაზის მეშვეობით გაიცნო და „დაუძმაკაცდა“, – დააზუსტა ყიფიანმა.

– ეს ჯინჭარაძეც ნარკომოვაჭრე იყო?

– სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემული არ ყოფილა. მაგრამ ნარკომოვაჭრის ბიზნეს-პარტნიორი „ბარიგის“ გარდა, სხვა ვინ იქნებოდა? – ეჭვი არ შეჰპარვია გაბუნიას.

– მერე ამ ყველაფერს იაშვილთან რა კავშირი აქვს?

– საქმე ის არის, – განმარტა ყიფიანმა, – რომ ჯინჭარაძეს დაახლოებით 1 წლის წინ უთქვამს ტოპლუსათვის იაშვილის მიერ ფულის გატაცების შესახებ.

– და ტოპლუმაც შურისძიება გადაწყვიტა, არა?

– ჰო, – დაადასტურა ყიფიანმა.

– ჯინჭარაძემ ფულის თაობაზე საიდან იცოდა?

– ტოპლუს არ უთქვამს, შესაძლოა არც იცის, – ივარაუდა გაბუნიამ.

– ამ სუბიექტზე, ჯინჭარაძეზე ცნობები შეაგროვეთ?

– ბიზნესმენია, დუშეთში ცხოვრობს საყვარელთან ერთად. რაიონში

დიდად გულზე არ ეხატებათ, რადგან საკუთარ თავზე უსაფუძვლოდ დიდი წარმოდგენის გამო, თავს არავის უყადრებს და კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწევა. ბღენძია ტიპია, თანაც ძუნწი. თუმცა, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ნარკოტიკებით ვაჭრობასა და მოხმარებაში, გადასახადების დაფარვაში, ან სხვა დანაშაულებრივ ქმედებებში შემჩნეული არ არის, – აღნიშნა ყიფიანმა.

– უტყუარი ინფორმაციაა? – დაეჭვდა პოლკოვნიკი, – იქნებ სხვა ჯინჭარაძეში შეეშალათ?

– ნამდვილად ის არის, ბატონო დავით, გადამოწმებულია. ტოპლუმ ფოტოსურათით ამოიცნო, – მხარი აუბა ყიფიანს გაბუნიამ.

– რა, არ შეიძლება, ბატონო დავით? იქნებ ადამიანი გამოსწორდა და კანონმორჩილი მოქალაქე გახდა? პატარა ბიჭი ხომ აღარ არის, 65 წლის კაცია! – გულწრფელად იკითხა ყიფიანმა.

– წესიერი მოქალაქეები კრიმინალებთან საქმეს არ იჭერენ, –ზიზღით თქვა გაბუნიამ, – წამქეზებლურად არ მოქმედებენ და დანაშაულის პროვოცირებას არ ახდენენ. ჯინჭარაძემ კი ტოპლუს იაშვილის მოკვლისაკენ პირდაპირ უბიძგა. თუმცა, წინასწარ ვიცი, თავის მართლებას მოჰყვება და იტყვის: „მე საიდან უნდა მცოდნოდა, ტოპლუ თუ იაშვილის მოკვლას განიზრახავდა“-ო.

– საინტერესოა... ბათუმელი კაცი დუშეთში ცხოვრობს, – შენიშნა დავითინიძემ, – საიდან სადაო... ეს ჯინჭარაძე უკვე დაკითხეს?

– სწორედ ახლა ეყოლებათ დაკითხვაზე, – საათზე დაიხედა ყიფიანმა.

– ძალიან კარგი! ამ ვაჟბატონს იაშვილს დავუპირისპირებთ, – ხელები მოიფშვნიტა დავითინიძემ, – იაშვილმა ფულთან დაკავშირებული ბრალდებები ხომ უარყო! კარგად მახსოვს, რაც თქვა: „სხვის ფულთან არანაირი შეხება ცხოვრებაში არ მქონია!“-ო.

– ბატონო დავით, – დაეჭვდა გაბუნია, – გგონიათ, რომ იაშვილი ამ ამბავში გარეულია?

– ნაკლებად... მაგრამ ჩვენი მოვალეობაა ნებისმიერი პირისა და ფაქტის საფუძვლიანი გადამოწმება.

– რა თქმა უნდა, აუცილებლად გადავამოწმებთ! – ჩაიცინა გაბუნიამ.

– ირაკლი, – დაავალა პოლკოვნიკმა გაბუნიას, – ახლავე გამოძიების მთავარ სამმართველოში გავარდი და დაკითხვის შემდეგ თუ არ დააკავეს, ჯინჭარაძე პირდაპირ აქ მოაბრძანე! იქაურ გამომძიებელს ჰკითხე ერთი, რა ჩვენება მისცათ, თან მოკლული ქილერის ფოტოც გამოიყოლე.

– გასაგებია, ბატონო პოლკოვნიკო, – გაბუნია დავალების შესას-

რულებლად მკვირცხლად გაეშურა.

– არჩილ, იმ მეორე ქილერის შესახებ რაიმე თუ გაირკვა? – გაბუნიას წასვლის შემდეგ ჰკითხა ყიფიანს დავითინიძემ.

– ბევრი ვერაფერი, ბატონო დავით, – მორიდებით ჩაახველა ყიფიანმა, – გვამს მხარზე არწივის გამოსახულებიანი ამომწვარი სვირინგი აღმოაჩნდა. ეს ამერიკელ რეინჯერთა ნიშანია. მოკლულის ყველა შესაძლო მონაცემი ამოსაცნობად ამერიკის შეერთებული შტატების გამოძიების ფედერალურ ბიუროს გადაეგზავნა, საიდანაც მოვიდა პასუხი, რომ ამ მონაცემების მქონე ადამიანი 10 წლის წინ გარდაიცვალა.

– ეს მოსალოდნელიც იყო, – ჩაფიქრებით თქვა დავითინიძემ.

– რა იყო მოსალოდნელი? – დაიბნა ყიფიანი.

– „რეინჯერის“ იარაღი, საიდანაც მან იაშვილს ესროლა, მკვლელმა თან წაიღო, გვამი კი ადგილზე დატოვა, ჩანს მან კარგად იცოდა, რომ მოკლულის ამოცნობას ქართული სპეცსამსახურები ვერ შესძლებდნენ... მგონია, რომ აქ გამოსაგზავნად, „რეინჯერისნაირი“ „უსახელგვარო კაცი-მოჩვენება“ წინასწარ შეარჩიეს, ჯერ გამოიყენეს და შემდეგ თავიდან მოიშორეს. არ ჰქონდა მნიშვნელობა, იაშვილს „გაასაღებდა“, თუ ვერა, მას მაინც მოკლავდნენ.

– ალბათ, – დაეთანხმა ყიფიანი, – თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ გვამს 4 ნატყვიარი აქვს, ხოლო სხეულიდან სულ 2 ტყვიაა ამოღებული, ისიც ჩვენი დაცვის ბიჭების მიერ ნასროლი და არასასიკვდილო. დანარჩენი 2 ტყვია სად გაქრა არავინ იცის...

– გამჭოლი ტყვიები იქნებოდა და მკვლელი მასრებთან ერთად თან წაიღებდა, – დაასკვნა დავითინიძემ, – იაშვილისათვის ნასროლი ტყვიები ნაპოვნია?

– დიახ, 9 მილიმეტრიანი კალიბრისაა და „რემინგტონის“ ტიპის ზემძლავრი შაშხანების მსგავს საბრძოლო-სნაიპერულ შაშხანებზე გამოიყენება. ეს არის უთანამედროვესი იარაღი, პრაქტიკულად უხმაურო და ძალიან ზუსტი, აღჭურვილია დღისა და ღამის ხედვის საშუალებებითა და ოპტიკური სამიზნით. მისი გასროლის მანძილი 2 კილომეტრია. დღეს ამ სახეობის იარაღი იწარმოება მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპის რამდენიმე ქვეყანაში, კერძოდ: დიდ ბრიტანეთში, გერმანიასა და იტალიაში.

– ტყვიებს ქარხნული დამღა არ აღმოაჩნდათ, „რეინჯერი“ და მისი მკვლელი კი ვიდეოკამერებს საერთოდ არ დაუფიქსირებიათ, ხო? – დადებით პასუხში დარწმუნებული იყო, მაგრამ მაინც იკითხა დავითინიძემ.

– გამოიცანით, ბატონო პოლკოვნიკო, – ხელები გაშალა ყიფიანმა.

– აქედან ნათლად ჩანს, რომ „რეინჯერსაც“ და მის მკვლელსაც პროფესიული სამხედრო მომზადება ჰქონიათ, შესაძლოა, სპეცსამსახურის თანამშრომლებიც კი იყვნენ. დააკვირდი! მკვლელმა A კლასის კვალიფიკაციის მქონე ქილერივით იმოქმედა: ხომ უნდა მოახერხო და ადამიანს სასიკვდილოდ ისე ესროლო, რომ ტყვია სხეულში არ დარჩეს და გარეთ გამოვიდეს!

– ნელ-ნელა საერთაშორისო მასშტაბებზე გავდივართ, არა, ბატონო პოლკოვნიკო?

– ასე ჩანს... საქართველო პატარა ქვეყანაა და ამ „რანგის“ ქილერი აქ ვერ დაიმალებოდა, ამ კატეგორიის ხალხი ჩვენთან მხოლოდ „შეკვეთის აღსასრულებლად“, ან „ტრანზიტული გავლით“ თუ ჩამოვა.

– თქვენი აზრით, ქილერმა „შეკვეთა აღასრულა“ და საქართველო დატოვა?

– ვშიშობ, რომ ასეა. სადაც იაშვილი შემოიყვანეს არალეგალურად, ქილერის აქედან გაყვანას ვერ შესძლებდნენ? სულაც ზღვით გავიდოდა!

– მართალს ბრძანებთ, – ამოიოხრა ყიფიანმა.

– ტოპლუსა და იმ „რეინჯერს“ შორის რაიმე კავშირი ხომ არ დადგენილა?

– ვერა, ბატონო დავით, სავარაუდოდ, მეორე ქილერის არსებობის შესახებ ტოპლუმ არ უნდა იცოდეს.

– ამას რის საფუძველზე ამტკიცებთ?

– ტოპლუმ აჩვენა, რომ იაშვილს რამდენიმე დღე შეუმჩნევლად უთვალთვალებდა და მის მოკვლას მთაწმინდის პარკის უკაცრიელ ადგილზე აპირებდა. შესაფერი მომენტი არ მიეცა, რადგან იაშვილი მუდმივად ხალხში ტრიალებდა. ტოპლუმ ქალის მოკვლა მხოლოდ მაშინ გადაწყვიტა, როდესაც მიხვდა, რომ იგი „სახელმწიფო შენობაში“ შედიოდა.

– სად შედიოდა? სახელმწიფო შენობაში?!

– დიახ, ტოპლუმ ზუსტად ასე თქვა, – გაეცინა ყიფიანს, – „შენობის თავზე დროშა რომ დავინახე, მივხვდი, იაშვილი სახელმწიფო შენობაში აპირებდა შესვლას და იქ მას დაეხმარებოდნენ“-ო.

– მერე მაგ დებილს სროლა „სახელმწიფო შენობის“ წინ უნდა აეტეხა?

– ტოპლუს ეტყობა, რომ გაუნათლებელი ადამიანია და გონებრივადაც დიდად ვერ დაიკვეხნის. მისთვის მთავარი შურისძიება იყო, თანაც ხედავდა, „აფრენილი გნოლი“ ხელიდან როგორ უსხლტებოდა! ტოპლუ ბუნებითა და ცნობიერებით კრიმინალია, მან ციხეში სრული 30 წელი გაატარა... ასე რომ ბევრი ფიქრით თავი არ აუტკივებია.

– მარტო ტოპლუს ჩვენება მტკიცებულებად არ გამოდგება, – უკ-

მაყოფილოდ აღნიშნა დავითინიძემ.

– შენობის პერიმეტრის მაკონტროლებელმა ვიდეოკამერებმა დააფიქსირეს, რომ ტოპლუ ია იაშვილს უკან შორიახლოს მიჰყვებოდა და მარტო იყო.

– არ გიკვირს, არჩილ, იაშვილმა ტოპლუსნაირი გოლიათი რომ ვერ შეამჩნია?

– არა, ბატონო პოლკოვნიკო... მაშინ მისი გონება დაზვერვის დეპარტამენტამდე მოღწევის გზების ძიებაზე იქნებოდა გადართული და რეალურად სხვა ვერც ვერაფერზე იფიქრებდა. გარდა ამისა, ქილერად ტოპლუსნაირ თვალშისაცემი გარეგნობის კაცს, ალბათ ვერც კი წარმოიდგენდა... ვიდეომასალის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ტოპლუ კარგ მონადირესავით იქცეოდა და მსხვერპლს შეუმჩნევლად მისდევდა!

– იაშვილზე მონადირე მეორე ქილერი, ანუ „რეინჯერი“, წინა დღეებში კამერებს პარკის ტერიტორიაზე ხომ არსად დაუფიქსირებიათ?

– არა, ბატონო დავით, როგორც ადრე მოგახსენეთ, ტოპლუ მთაწმინდის პარკის მხრიდან ისროდა, ხოლო ის მეორე, „რეინჯერი“ – სატელეკომუნიკაციო ანძის მიმდებარე კლდის მხრიდან. ეს კლდე კი ჩვენი შენობიდან საკმაოდ მოშორებულია, ამ მანძილიდან ჩვენი მიმართულებით შეუმჩნევლად რომ ისროლო, სპეციალური იარაღია საჭირო, თუნდაც საბრძოლო-სნაიპერული შაშხანა.

– ტოპლუს რა იარაღი ჰქონდა?

– იტალიური წარმოების პისტოლეტი „ბერეტა-პარაბელუმი“, წაშლილი ქარხნული ნომრით, 40 წლის წინანდელი მოდელია. ტოპლუ, თავისი ჭკუით, იაშვილის მოკვლას შედარებით ახლო მანძილიდან, უკაცრიელ ადგილზე აპირებდა. ალბათ, ჩვენს „დაბნევასაც“ ვარაუდობდა: თვითონ თურქია, გერმანიაში ცხოვრობდა, იტალიურ იარაღს ატარებს! – იქედნურად აღნიშნა ყიფიანმა.

– სხვაობა ქილერის, „რეინჯერისა“ და ტოპლუს ინტელექტუალურ და ტექნიკურ „შესაძლებლობებს“ შორის თვალსაჩინოა, – ყიფიანის შენიშვნამ ღიმილი მოჰგვარა დავითინიძეს.

– ამიტომ ნაკლებ სავარაუდოა, რომ ამ ორ სუბიექტს ტოპლუსთან რაიმე საერთო ჰქონდეთ, ეს უბრალო დამთხვევას ჰგავს, – აზრი გამოთქვა ყიფიანმა, – ის ამოუცნობი „რეინჯერი“ იაშვილის „კოსმოსურ ოდისეას“ ხომ არ უკავშირდება?

– მე ასე მგონია, – დარწმუნებით თქვა დავითინიძემ.

– იაშვილის შემხედვარე ოდესმე იფიქრებდით, რომ მას სრულიად განსხვავებული მიზეზებით, ორი ქილერი თავქუდმოგლეჯილი გამოეკიდებოდა?!

– სხვათა შორის, გუშინ დაკითხვაზე იაშვილმა მითხრა, რომ მთაწმინდის პარკში ვიღაც არასასიამოვნო, „ქვის გაყინულსახიანი“ ტიპი დაჟინებით უთვალთვალებდა. არ არის გამორიცხული, რომ ეს ის „რეინჯერი“ იყო. ირაკლი ფოტოს რომ მოიტანს, იაშვილს ამოვაცნობინებ.

– ისე, ამ ქალმა რამდენი თავსატეხი გაგვიჩინა! საერთაშორისო მაფიას ცხვირწინ წითელი ნაჭერი აუფრიალა, ამას ხომ მოხერხება უნდოდა! ამ ერთი შეხედვით, უწყინარმა და საცოდავმა ქმნილებამ ზედმეტად ბევრი იცის და ვიღაცეებს თვალებში ეჩხირება! ხასიათიც მტკიცე აქვს და არავის ეპუება, ეგ ისეთი ტიპაჟია, რომ პრობლემები მთელი ცხოვრება არ გამოელევა.

– იცი რა, არჩილ, საქმე სასწრაფოდ თუ არ გამოვიძიეთ, პრობლემა მხოლოდ იაშვილს კი არ შეექმნება! ამ „ამბავში“ ძალიან ბევრი წყალქვეშა დინებებია და თუ დროზე არ შევაჩერეთ, მსოფლიოსაც წალეკავს!

დავითინიძის ქარაგმამ ყიფიანი გააოგნა, ყველაფერს იფიქრებდა, მაგრამ იაშვილის მონათხრობს პოლკოვნიკი ასეთ დიდ მნიშვნელობას თუ მიანიჭებდა, ნამდვილად ვერ წარმოედგინა. არ იცოდა დავითინიძისათვის რა ეპასუხა და ერთ ხანს დადუმდა, პოლკოვნიკის სიტყვებს აანალიზებდა.

„ამ დაზვერვის ხალხს ყველგან და ყველაფერში „წყალქვეშა დინებები“ როგორ უნდა ელანდებოდეთ?! მერე რა, რომ იაშვილმა კოსმოსში იმოგზაურა და რაღაც ინფორმაციას ფლობს, განა იქ რა უნდა შეეტყო ისეთი ზებუნებრივი? რომც შეეტყო, რა „ჩემ ფეხებს“ მიხვდებოდა? კოსმოსური ხომალდის აგებულებას რაიმე რომ გაუგო და ჩატარებული ცდების შინაარსს ჩასწვდე, ფუნდამენტური განათლება და სპეციალური ცოდნაა საჭირო, ამ ცოდნის შეძენას კი წლები და გამოცდილება სჭირდება. იაშვილი კოსმოსში შემთხვევით მოხვდა. სად იაშვილი და სად ასტროფიზიკა, სად ჭიამაია და სად მეცნიერებათა აკადემია! დავითინიძეს მართლა პატივს ვცემ, მაგრამ ამჯერად „მაგრა გაუბერა“... ვერ გავიგე, ამ კაცს რა „იხვის ტოლმა“ უნდა და რა „მსოფლიო წარღვნა“ აუტყდა!“ – ფიქრობდა განცვიფრებული ყიფიანი.

– გაგაკვირვე? – პოლკოვნიკმა ყიფიანს სახეზე შეხედა და დუმილის მიზეზს მიუხვდა.

– არა, რას ბრძანებთ, ბატონო დავით, – მყისვე იუარა ყიფიანმა, – თქვენს სამსახურში მიგულეთ!

– ჩემს სამსახურში კი არა, ქვეყნისა და ხალხის სამსახურში! – მკაცრად შეუსწორა პოლკოვნიკმა.

– ვემსახურები საქართველოს! – „სმენაზე“ გამოიჯგიმა და ქუსლზე

ქუსლი დიდი გულმოდგინებით მიირახუნა სერიოზულად შეფიქრიანებულმა მაიორმა.

მოულოდნელად პოლკოვნიკის მობილურმა ტელეფონმა დარეკა და ყიფიანი უხერხული მდგომარეობისაგან იხსნა.

– გისმენ, ირაკლი! – ტელეფონს ჩასძახა დავითინიძემ.

– ჯინჭარაძე მოვიყვანე, ბატონო პოლკოვნიკო, – გაბუნიას სიტყვები ტელეფონიდან მკაფიოდ ისმოდა.

– არჩილ, ისინი უკვე შენობაში არიან, – მობილური გათიშა დავითინიძემ, – ირაკლი ჩემთან შემოვიდეს, შენ ცოტა ხანს მისაღებში ჯინჭარაძესთან გაჩერდი. გეტყვი როდის უნდა შემოიყვანო. ჯინჭარაძეს ჯერ დავკითხავთ, ხოლო შემდეგ იაშვილთან დავაპირისპირებთ.

– ახლავე, – ყიფიანმა შვებით ამოისუნთქა და მისაღებში გავიდა.

***

ირაკლი გაბუნია პოლკოვნიკის კაბინეტში სქელტანიანი საქაღალდით გამოცხადდა.

– ბატონო დავით, აქ არის ჯინჭარაძის და ტოპლუს შემოწმების მასალებისა და დაკითხვის ოქმების ასლები, – გაბუნიამ ღიმილით გაუწოდა საქაღალდე დავითინიძეს, – „მეგობარი უწყების“ ხელმძღვანელობამ დიდი პატივით გამოგიგზავნათ. ასე მითხრეს, „ბატონ დავითს დიდი პატივით გადაეცი“-ო. აქვეა მოკლული ქილერის ფოტოც.

– კოლეგიალობა გამოუჩენიათ! ბარემ თან „ტუშ-ორკესტრიც“ გამოეტანებინათ, საქაღალდეს საზეიმო ვითარებაში, სულ „ცამპაცუმპით“ გადმომცემდი!

გაბუნიას დავითინიძის ხუმრობაზე გაეცინა. „ამ კაცს ეს ძველებური გამონათქვამები ნეტა საიდან ახსენდება ხოლმე?“ – ფიქრობდა გაბუნია, თუმცა დიპლომატიური დუმილი ამჯობინა და საკუთარი აზრის გამოთქმისაგან თავი შეიკავა.

– ჯინჭარაძემ რაო, კარგი ბიჭი ვარო? – მასალებს ეცნობოდა პოლკოვნიკი.

– დაპირისპირებისას ურცხვად განაცხადა: „ტოპლუსთვის სიტყვა არ მითქვამს, არც მას და არც იაშვილს საერთოდ არ ვიცნობ“-ო. არადა, არქივებსა და მონაცემთა კომპიუტერულ ბაზებში მოძიებული ინფორმაციის თანახმად, დაახლოებით 40 წლის წინ ჯინჭარაძე ბათუმში ცხოვრობდა, გახლდათ პოლიციისათვის კარგად ცნობილი ნარკოვაჭარი და ილმაზის „ხელისდამცლელი“, ხოლო ტოპლუ ილმაზის „მარჯვენა ხელი“, ანუ ყველაზე ბინძური საქმეების შემსრულებელი ბრძანდებოდა. ჯინჭარაძე 2011 წლის ოქტომბერში ბათუმიდან მოულოდნელად

„გაქრა“, ხოლო 2012 წლის მარტში დუშეთში დიდი ფულით „გამოჩნდა“. იმ წელს ქვეყანაში უმნიშვნელოვანესი საპარლამენტო არჩევნები ტარდებოდა და საკუთარი ბიზნეს-პოზიციების გამყარებისათვის, ჯინჭარაძემ მაშინდელი მმართველი პარტიის დუშეთის საარჩევნო შტაბს 30 ათასი დოლარი „აჩუქა“. პარტიის ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ ფული „შემოწირულობად“ ჩათვალა და მისი წარმომავლობით დიდად არ დაინტერესებულა. „გულუხვობამ“ ჯინჭარაძეს ადგილობრივი პარტიული ფუნქციონერებისა და რაიონის პარტიელი მესვეურების კეთილგანწყობა და, აქედან გამომდინარე, მისი ბიზნესის წარმოებისათვის „სასათბურე პირობები“ მოუპოვა. ჯინჭარაძე ნარკოტიკებით ვაჭრობას შეეშვა და უკვე ნაშოვნი ფულის „გათეთრების“ მიზნითა და ფერმერული მეურნეობის შექმნის მოტივით, დუშეთსა და რაიონში მიწები და შენობა-ნაგებობები სიმბოლურ ფასად შეისყიდა. აგრეთვე გახსნა პირველადი მოთხოვნილების საგნებისა და ტანსაცმლის მაღაზიები, ავტოსამრეცხაო და „სილამაზის სალონი“. „ზემოდან“ სრული თავისუფლება ჰქონდა მინიჭებული და „მაგარ მაყუთს ღუნავდა“, ცხადია „მაღალჩინოსან ძმაკაცებსაც“ უყოფდა. იმავე წლის ოქტომბერში მისმა მფარველმა პარტიამ არჩევნები წააგო, ჯინჭარაძემ გადაწყვიტა, რომ „სხვა ნავში“ გადაჯდომა დროულად უნდა მოესწრო და ახლა გამარჯვებულ პოლიტიკურ ძალასთან დაახლოება სცადა, მაგრამ მათ თავი შორს დაიჭირეს, წარსული შეახსენეს, „საკუთარ ბიზნესზე ზრუნვა და წესიერად მოქცევა“ ურჩიეს... ჯინჭარაძემ შეგონება ყურად იღო, მას შემდეგ ცუდი არაფერი ჩაუდენია, პირიქით, ბიზნესმენობას „აწვება“, გადასახედებს დროულად იხდის და კანონმორჩილი მოქალაქის ცხოვრებით ცხოვრობს. ახლო ნათესავები არა ჰყავს, ბებიამ და პაპამ გაზარდეს. მისმა ახლობლებმა ჯინჭარაძის კრიმინალური წარსულის შესახებ არაფერი იციან.

– ეს ბებია და პაპა როდის გარდაიცვალნენ?

– ჯინჭარაძის ბათუმიდან „აორთქლების“ დღეს მათი სახლ-კარი მოკლე ჩართვისას გაჩენილმა ხანძარმა გაანადგურა. მოხუცებიც ხანძრის დროს დაიღუპნენ, მეზობლებმა დაკრძალეს.

– რაო?! ამ სუბიექტმა საკუთარი უმწეო მოხუცები ბედის ანაბარა მიატოვა და ვიღაცეებს სამადლოდ მიუგდო? – ჯინჭარაძის გულცივობამ დავითინიძე განაცვიფრა და აღაშფოთა.

– მთლად მასე არაა, – მოიღუშა გაბუნია, – დაკრძალვის ხარჯები მთლიანად თვითონ დაფარა, მეზობლებს ფული გამოუგზავნა.

– კი მაგრამ, დაკრძალვას რატომ არ დაესწრო? – მიზეზს ეძებდა დავითინიძე.

– იქნებ ვინმეს გაურბოდა, ან პირიქით, დასდევდა და ხალხში გამოჩენა ამიტომაც არ სურდა? – ივარაუდა გაბუნიამ.

– ამ ტიპისაგან გასაკვირი არაფერია... ტოპლუსთან ნაცნობობა, როგორ გგონია, რატომ უარჰყო? – პოლკოვნიკი დავითინიძე ანდრია ჯინჭარაძის ქცევის მოტივაციის ახსნას ცდილობდა და გამოცდილი გამომძიებლის აზრი მისთვის მნიშვნელოვანი იყო.

– მაშინ თავისი დანაშაულებრივი წარსულიცა და 40 წლის ნალოლიავები ბიზნესის უკანონო წარმომავლობაც უნდა ეღიარებინა, – განმარტა გაბუნიამ, – ამას კი არასოდეს აღიარებს!

– ეს ისედაც ცხადია, – ხელი ჩაიქნია დავითინიძემ, – შენ ის მითხარი, სხვა რა რეალური მიზეზი უნდა ყოფილიყო? ფაქტია, რომ ჯინჭარაძე ბათუმიდან წამოვიდა და დუშეთში დასახლდა. გამოდის, რომ ზღვის ჰავაზე გაზრდილმა კაცმა მთის ჰაერი ამჯობინა! ჯანმრთელობას არ უჩიოდა, მაშ რატომ უნდა წამოსულიყო? იმიტომ ხომ არა, რომ ბათუმთან შედარებით დუშეთი ნაკლებად ხალხმრავალი და „მშვიდი“ ადგილია?

– შეიძლება ჯინჭარაძეს ტოპლუს ვალი აქვს და ქილერის მოგზავნის ეშინია, თურქი ხომ გამუდმებით სულ ფულზე ლაპარაკობს, – ივარაუდა გაბუნიამ. – ალბათ, ეს იყო მისი ბათუმიდან გუდა-ნაბადის აკვრისა და დუშეთში „ფსკერზე გაწოლის“ ნამდვილი მიზეზი!

– იქნებ ასეცაა, დუშეთში დამალვა მისთვის უფრო ადვილი იქნებოდა, ტოპლუ ძებნას მხოლოდ ბათუმში და მის შემოგარენში კი არა, დედაქალაქშიც დაუწყებდა, – დაეთანხმა გაბუნიას დავითინიძე. – ჯინჭარაძე იარაღს თუ ფლობს და როდიდან?

– ჯინჭარაძე იარაღს დუშეთში რომ დასახლდა, იმ პერიოდიდან კანონიერად ფლობს, განსაკუთრებით „ბერეტა“ მოსწონს. ამ მარკის იარაღს მობილურებივით იცვლიდა, ძველ მოდელს პოლიციას აბარებდა და ახალ მოდელს შეიძენდა ხოლმე. ამჟამადაც უთანამედროვესი „ბერეტა-პარაბელუმის“ მფლობელია, 2 წელია, რაც გაიფორმა.

– ახალგაზრდობაში თუ „ნარკობარიგა“ იყო, იარაღი არ ექნებოდა?

– კი, იმ პერიოდის ოპერატიულ წყაროებს თუ დავუჯერებთ, მაშინაც „ბერეტა“ ჰქონდა, მაგრამ არარეგისტრირებული. ამ იარაღის კვალს გამოძიებამ ვერ მიაგნო.

– იაშვილის მიერ ნახსენები მანქანებიდან, რომელიმე მისი ხომ არ იყო?

– რამდენადაც ვიცი, არა.

– ახლა რა მანქანით დადის?

– „ოპელი“ და „კია“ ჰყავს.

– დაკითხვაზე პატრულის ბიჭებმა ჩამოიყვანეს?

– არა, თავისი „ოპელით“ ჩამოვიდა, „საგამოძიებოს“ ავტოსადგომზე დავატოვებინე და აქ ჩემი მანქანით წამოვიყვანე.

– სად იმყოფებოდა ჯინჭარაძე მთელი 5 თვე, 2011 წლის ოქტომბრიდან 2012 წლის მარტამდე? არ უთქვამს?

– ეგ არც არავის უკითხავს, – შეცბა გაბუნია, – 40 წლის წინანდელ ამბავში 5 თვეს განა გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს?

– ჩვენთვის აქვს... იაშვილიც ზუსტად იმავე პერიოდში, ანუ 2011 წლის ოქტომბერში გაუჩინარდა! გარდა ამისა, ყურადღება მიაქციე შემდეგ გარემოებებს: ჯინჭარაძის გამზრდელი ბებია და პაპაც იმავე დროს დაიხოცნენ. ჯინჭარაძე „ბერეტა-პარაბელუმის“ მოტრფიალეა, ტოპლუც 40 წლის წინანდელ „ბერეტას“ დაატარებს... რა, მსოფლიოში „ბერეტას“ გარდა სხვა იარაღი არ არსებობს, ორივემ რომ იგი აირჩია? არა მგონია, ერთნაირი გემოვნება ჰქონდეთ... ეს შემთხვევითი დამთხვევები არ არის!

– მართალია! – თვალები გაუფართოვდა გაბუნიას.

– არ გიკვირს, ტოპლუმ ეს სამუზეუმო „ბერეტა“ საიდან გამოჩხრიკა? იქნებ მისია და მთელი ეს დრო ინახავდა, იქნებ ვინმემ მისცა, ან ვინმეს წაართვა? იქნებ სულაც ჯინჭარაძის ახალგაზრდობის დროინდელი იარაღია, რომლის კვალსაც აქამდე ვერ მიაგნეს?

– ლოგიკურია, მაგრამ ტოპლუს შესახებ ჯერჯერობით მეტი არაფერი ვიცით. „საგამოძიებოს“ ბიჭები თურქ და გერმანელ სამართალდამცავებთან თანამშრომლობენ და დამატებით ინფორმაციას ელოდებიან.

– ესე იგი, ჯინჭარაძე მხოლოდ დაკითხეს და გაუშვეს?!

– დიახ, 40 წლის წინ დანაშაული ვერ დაუმტკიცეს და ამიტომაც ვერ დაიჭირეს, ახლა რა ბრალდებით უნდა დაეკავებინათ? მოგეხსენებათ, მხოლოდ ტოპლუს ჩვენება არასაკმარისია. დაპირისპირებისას ჯინჭარაძემ ტოპლუსთან ნაცნობობა გადაჭრით უარყო.

– კარგი, მაშინ ჯინჭარაძე შემოიყვანეთ. არჩილი გააფრთხილე და დაკითხვის პროცესში არ ჩაერიოთ. ვახოს უთხარი, იაშვილი „სტუმრების ოთახიდან“ ამოიყვანონ და მისაღებში მოაცდენინონ.

– გასაგებია, ბატონო პოლკოვნიკო! – გაბუნიამ კაბინეტის კარი გამოაღო, ჯინჭარაძე ოთახში შეიწვია, კარი მოხურა და ყიფიანს დავითინიძის გაფრთხილება ყურში ჩასჩურჩულა.

– გავიგე, – ხმადაბლა თქვა ყიფიანმა.

– ლიზი, – ღიმილით მიმართა გაბუნიამ, – პოლკოვნიკის დავალებაა... ბატონ ვახტანგს უთხარი, იაშვილი ამოიყვანონ და მისაღებში მოაცდენინონ. მალე დავუძახებთ.

ლიზიმ ყურთან ჩამოშლილი თმები ზურგზე კეკლუცად გადაიყარა, მაშინვე ჭეიშვილს დაურეკა და დავითინიძის დავალება გადასცა.

ანდრია ჯინჭარაძე დავითინიძის კაბინეტში გულის ფანცქალითა და თვალთა ცეცებით შეფრატუნდა და უსამართლოდ დასჯილი ბავშვის გამომეტყველებით წიგნების კარადასთან შეჩერდა. ვერაფრით აეხსნა მისი „კანონმორჩილი პერსონით“ დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის დაინტერესების მიზეზი.

– გამარჯობა, ბატონო ანდრია, – თავაზიანი ღიმილით მიესალმა დავითინიძე.

– გამარჯობა, ბატონო დავით, – ძლივს ამოღერღა ჯინჭარაძემ.

– აქეთ მობრძანდით, – სწორედ იმ სკამზე მიუთითა, სადაც წინა დღეს იაშვილი იჯდა, – მოხერხებულად დაბრძანდით და დამშვიდდით!

ჯინჭარაძე უსიტყვოდ დაჯდა და დავითინიძის საწერი მაგიდა ყურადღებით შეათვალიერა.

– სახელმწიფო დანაშაული თქვენ არ ჩაგიდენიათ, ამდენად, სანერვიულოც არაფერი გაქვთ, – გაამხნევა პოლკოვნიკმა, – აქ სულ სხვა მიზეზით მოგიყვანეთ... მოდი, მეგობრულად წავისაუბროთ და ძველი დრო გავიხსენოთ...

– მე რაც ვიცოდი, ყველაფერი „საგამოძიებოს“ უფროსობას უკვე მოვახსენე, – ჩაილულღლუღა ჯინჭარაძემ.

– რა მოახსენეთ? – განგებ ჩაეკითხა პოლკოვნიკი.

– იმ ვიღაც თურქის შესახებ, გვარიც კი არ მახსოვს.

– ცდებით, ეგ თურქი ჩვენ არ გვაინტერესებს!

– აბა, ჩემგან რა გინდათ, ვერ ვხვდები?! – „კლანჭები გამოაჩინა“ ჯინჭარაძემ.

– ახლავე მიგახვედრებთ, – საქაღალდე გადაფურცლა დავითინიძემ, – იქნებ გვითხრათ, სად იმყოფებოდით მთელი 5 თვე, 2011 წლის ოქტომბრიდან 2012 წლის მარტამდე?

ჯინჭარაძეს ცივმა ოფლმა დაასხა, კითხვას არ მოელოდა და მასზე გონივრული პასუხის მოფიქრების დროც არ ჰქონდა.

– მას მერე 40 წელი გავიდა! მე რა ვიცი, სად ვიყავი? ალბათ, დუშეთში, სახლში, – ფარ-ხმალს არ ჰყრიდა ჯინჭარაძე.

დავითინიძე ჯინჭარაძის უტიფრობამ გააღიზიანა და თავაზიანი ტონი გაამკაცრა.

– ჯინჭარაძე, გირჩევნია სიმართლე აღიარო, – ურჩია პოლკოვნიკმა, – ჩვენთვის ცნობილია, რომ ბათუმიდან მოულოდნელად წახვედი და დუშეთში მხოლოდ 5 თვის შემდეგ დიდძალი ფულით გამოჩნდი. სად იყავი?

– ამას რა მნიშვნელობა აქვს? ისეთი არაფერი მომხდარა!

– რომ გეკითხები, ალბათ აქვს! მიპასუხე!

– ახალგაზრდა ბიჭი ვიყავი, შეყვარებულს დავშორდი და გულის გადასაყოლებლად ნაცნობებთან, ავსტრალიაში გავემგზავრე.

– ავსტრალიაში რა გინდოდა?! – არ დაიჯერა დავითინიძემ, – იქ რა უნდა გეკეთებინა, რაღაცით ხომ უნდა დაკავებულიყავი?!. რამდენადაც ვიცი, იმ ქვეყანაში კანონმორჩილი ხალხი ცხოვრობს და არა მგონია, უცხოელისათვის ნარკოტიკების გასაღებით ნაშოვნი ფულის გათეთრება 40 წლის წინათაც ადვილი საქმე ყოფილიყო...

– რა ნარკოტიკები და ფულის გათეთრება! ვერ დამიმტკიცებთ! მე არაფერი დამიშავებია, იქ გასართობად წავედი!

– აბა, ავსტრალიელებს ყამირი მიწების ათვისებაში რომ არ მიეხმარებოდი, ისედაც ცხადია. იქნებ ბეჯითად შრომობდი და იქაურებს მანგოსა და ანანასის კრეფაში ეხმარებოდი?

– არა, ფიზიკურად არ ვმუშაობდი, – ჩაიბურტყუნა ჯინჭარაძემ.

– აბა, რას აკეთებდი? თანამდებობაზე არავინ დაგნიშნავდა, 5 თვე ავსტრალიელები გინახავდნენ? იქნებ კენგურუებს სიგრძეზე ხტომაში ეჯიბრებოდი და გასამრჯელოს ამ გზით შოულობდი?

– კენგურუები რა შუაშია!

– აჰა, გასაგებია, თავს ხტუნაობითაც არ შეიწუხებდი! ალბათ ჭრელქოჩრიან კაკადუებთან მასლაათით გადაღლილი, ევკალიპტის ხის ჩეროში წამოკოტრიალდებოდი და კოალას ყბებში ნორჩი ყლორტების ხრაშუნს მიყურადებული, გემოზე გამოიძინებდი ხოლმე... სიმართლე მითხარი, კოალა იავნანას მართლა გიმღეროდა?

– კარგით რა! რატომ დამცინით?! – დაიბღვირა თავმოყვარეობა შელახული ჯინჭარაძე.

– იმიტომ დაგცინი, რომ ტოპლუსთან დაკავშირებითაც მოიტყუე და ახლაც უსინდისოდ ცრუობ!

– სიმართლეს ვამბობ... ავსტრალიაში უფულოდ ხომ არ წავიდოდი? მე ჩემი საკუთარი ფული მქონდა, სანამდეც მეყო, დავრჩი, მერე უკან, საქართველოში დავბრუნდი.

– ამდენი ხნით გამგზავრება როგორ მოახერხე? ეს ხომ დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული! ახალგაზრდა ბიჭს ამხელა ფული ვინ მოგცა?

– საკუთარი „ბიზნესი“ მქონდა, გერმანიიდან მეორადი მანქანები ჩამომყავდა და აქ სარფიანად ვყიდდი... ის ავსტრალიელებიც 2010-ში გერმანიაში, ტრასაზე გავიცანი. ჩემზე ორიოდე წლით უფროსი ძმები იყვნენ, ფერმერები კვინსლენდიდან, ენდრიუ და მალკოლმ ნიკოლსონე-

ბი. გზად ავარია მოუხდათ, ორივემ ფეხები მოიტეხა და ვერ მოძრაობდნენ, მე კი იმ დროს ნაყიდი მანქანით საქართველოში ვბრუნდებოდი. მათ შემთხვევით გადავაწყდი, დავეხმარე და უახლოეს საავადმყოფოში მივიყვანე. ჩემი ძალიან მადლობლები იყვნენ, თანაც ერთ-ერთი მათგანის სეხნიაც აღმოვჩნდი, გაუხარდათ და ბრისბენში სტუმრად დამპატიჟეს. იქაურობა მეც მაინტერესებდა და ერთ დღესაც გავემგზავრე. ის 5 თვე ნამდვილად კვინსლენდში დავყავი, დიდი მამულები და ცხენთსაშენი ჰქონდათ, მთელ დროს წმინდა სისხლის ცხენებზე ჯირითში ვატარებდი და კარგად გავერთე... მას მერე ძმებთან კონტაქტი არ მქონია და ავსტრალიაშიც არ ვყოფილვარ! რა არის ამაში ცუდი?! არაფერი დამიშავებია, თუ გნებავთ, კანბერაში გადაამოწმეთ! ეს ძმები იმ ქვეყანაში ცნობილი ხალხია, მათი ბიზნესი ყვავის. ჩემი იქ ყოფნის ამბავს დაადასტურებენ, ან რატომ უნდა უარყონ?

დავითინიძემ ჯინჭარაძის ნათქვამი მოჩვენებითი გულგრილობით მოისმინა და შემდეგი კითხვა დასვა:

– რატომ უთხარი ტოპლუს, რომ მისი 50 ათასი ევრო იაშვილმა გაიტაცა? კონკრეტულად რა ფულზეა აქ ლაპარაკი?

– ხომ ვთქვი: „არც იმ თურქს და არც იმ ვიღაც იაშვილს არ ვიცნობ“-მეთქი!

– მართლა? აბა, მაშინ იაშვილსაც ვკითხოთ, იცნობთ ერთმანეთს, თუ არა!

– კი ბატონო, ჰკითხეთ, – ღვარძლიანად ჩაიქირქილა ჯინჭარაძემ, – საიდან უნდა მიცნობდეს?!

– იაშვილი შემოვიდეს, – ვახტანგ ჭეიშვილს დაურეკა პოლკოვნიკმა.

იაშვილი ოთახში შემოვიდა, მისალმების ნიშნად თავი ჩამოიქნია, ჯინჭარაძეს მშვიდად გადახედა და დავითინიძის მიერ შეთავაზებულ სავარძელში მორჩილად ჩაჯდა.

– ქალბატონო ია, – მიმართა იაშვილს პოლკოვნიკმა, – იცნობთ თუ არა თქვენს წინ მჯდომ მამაკაცს? ყურადღებით შეხედეთ და არ აჩქარდეთ!

იაშვილი ჯინჭარაძეს კარგა ხანს გულდასმით აკვირდებოდა, თავიდან რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ გადაიფიქრა. თავის მხრივ, ჯინჭარაძე იაშვილს თვალს არიდებდა და სახეზე გულგრილ გამომეტყველებას ინარჩუნებდა.

– არა მგონია, ამ კაცს ვიცნობდე! – ბოლოს მტკიცედ განაცხადა იაშვილმა.

– ხომ ვთქვი! – ნიშნისმოგებით წამოიძახა ჯინჭარაძემ.

– მოქალაქე ჯინჭარაძე, – ოფიციალურად მიმართა დავითინიძემ,

– ამჯერად თავისუფალი ხართ, მაგრამ გაითვალისწინეთ, შესაძლოა თქვენი დაკითხვა ხელმეორედ გახდეს საჭირო, ამიტომ დუშეთიდან არ გახვიდეთ. ჩემი თანამშრომელი გაგაცილებთ.

– კი ბატონო, დამკითხეთ! – სკამიდან წამოხტა გახარებული ჯინჭარაძე.

გაბუნიამ ჯინჭარაძე გამოძიების ეროვნული ბიუროს ავტოსადგომზე დატოვებულ „ოპელამდე“ მანქანით მიიყვანა და უკან გამობრუნდა.

– ია, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს რაღაცის თქმა გინდოდათ, – ჯინჭარაძის გასვლის შემდეგ გამომცდელად ჩახედა თვალებში იაშვილს პოლკოვნიკმა.

– დიახ, ბატონო დავით. თავიდან ნაცნობ სახედ მომეჩვენა, მაგრამ მერე ვერაფრით გავიხსენე, საიდან უნდა მცნობოდა ეს კაცი, მე ხომ 40 წელია თბილისში არ ვყოფილვარ!

– იქნებ აქ, მთაწმინდის პარკში სეირნობისას შეგხვდათ?

– არა, ამ მოკლე დროში რომ მენახა, დამამახსოვრდებოდა.

– ახლა ამას შეხედეთ, – „რეინჯერის“ ფოტო გაუწოდა იაშვილს დავითინიძემ, – ეს ის ქილერია, თქვენი მოკვლა რომ სცადა. აქ ხომ არსად შეგხვედრიათ?

– არა, ბატონო დავით, – ყურადღებით დათვალიერების შემდეგ ფოტო მაგიდაზე დადო იაშვილმა.

– კარგი, ჯერჯერობით დაისვენეთ, ლიზი და ვახო მოგხედავენ. თუ დაგვჭირდით, შეგეხმიანებით.

– დიახ, ბატონო დავით, – კარებისაკენ ნელი ნაბიჯით გაეშურა იაშვილი. – დროებით, ბატონებო! – სახელური ენერგიულად ჩამოსწია და მისაღებში გავიდა.

იაშვილის წასვლის შემდეგ, გაბუნიას მოტანილ საქაღალდეში მოთავსებულ სამსახურებრივ ინფორმაციას დავითინიძემ კიდევ ერთხელ გადახედა, ყიფიანს გადასცა და ღრმად ჩაფიქრდა. გაბუნიასა და ყიფიანს პოლკოვნიკის ფიქრთა მსვლელობისათვის ხელის შეშლა არ სურდათ და დოკუმენტებს ათვალიერებდნენ.

– რაო, ბიჭებო, გამოძიება „დაგვიბუქსავდა“? – ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ დანანებით თქვა პოლკოვნიკმა, – ჩვენ კი უფროსობას წინასწარი გამოძიების შედეგების წარდგენა ამ საღამოსათვის დავპირდით.

– ეს ჯინჭარაძე „მაგარი გაცვეთილი“ ვინმეა, – მოკლული „რეინჯერის“ ფოტო საქაღალდეში ჩადო ყიფიანმა.

– აბა, რა გეგონა, ყველაფერს პირველივე დაკითხვაზე „ჩამოყაჭავდა“? – სახე უკმაყოფილოდ დამანჭა გაბუნიამ, – ტიპი „ბარიგობდა“ და ფაქტზე ვერ გამოიჭირეს!

– მაგას „ნამაიმუნარი“ ბევრი ექნება, – დარწმუნებით აღნიშნა პოლკოვნიკმა, – გახსოვთ, ავსტრალიაში ფულის „გათეთრებაზე“ რომ მივანიშნე, რა მიპასუხა? ის კი არ უთქვამს, „მე რა შუაში ვარ“-ო , ან რაიმე მაგდაგვარი, „ვერ დამიმტკიცებთ“-ო წამოსცდა. ამ თავდაჯერებულ გაიძვერას მტკიცებულებებით გამყარებული ფაქტები „ცხვირზე ავაფაროთ“ და მალე იადონივით „აჭიკჭიკდება“!

– ფაქტები საიდანღა უნდა მოვიტანოთ? – შეშფოთდა ყიფიანი, – თურქ, ავსტრალიელ და გერმანელ კოლეგებს თუ დაველოდებით!

– რატომ უნდა დაველოდოთ? რაღაცის გაკეთება ჩვენც შეგვიძლია, – გაამხნევა გამომძიებლები პოლკოვნიკმა.

– გვიბრძანეთ, ბატონო დავით! – გამოცოცხლდა გაბუნია.

– რამდენადაც მივხვდი, ჯინჭარაძე მანქანებით ბათუმში ყოფნის დროს, ანუ ბებია-პაპასთან ცხოვრების პერიოდში ვაჭრობდა, ავსტრალიაში გამგზავრებაც მაგ პერიოდს უკავშირდება, – მონაცემები შეაჯერა დავითინიძემ, – ორივემ გადაამოწმეთ მაგის „მანქანების ბიზნესი“, ავსტრალიაში გასეირნების ამბავი და ბებია-პაპას პიროვნებებიც. ვფიქრობ, ის ხუთი თვე ავსტრალიაში ნამდვილად იქნებოდა, საკითხავია, იქ რას აკეთებდა... ეჭვი არ მეპარება, პოლიციის იმდროინდელი ოპერატიული სამსახურების საიდუმლო დოკუმენტაციის არქივსა და საგარეო საქმეთა სამინისტროს საუწყებო არქივში ბევრ საინტერესო მასალას დღესაც წარმატებით „ამოქექავთ“.

– გასაგებია, ბატონო პოლკოვნიკო, მაგ საქმეს დაუყონებლივ შევუდგებით! – წასასვლელად მოემზადა ყიფიანი.

– გენერალმა დრო მოგვცა და თათბირი საღამოს 10 საათისათვის გადადო, ამიტომ ჩემთან 8 საათზე შევიკრიბოთ.

– დროებით! – ყიფიანს მიჰყვა გაბუნია, დავითინიძის კაბინეტიდან ორივე მტკიცე განწყობით გამოვიდა და ახალი დავალების შესასრულებლად მხნედ გაეშურნენ.

* * *

გამოძიების ეროვნული ბიუროს გამომძიებლების წასვლის შემდეგ პოლკოვნიკ დავით დავითინიძის სამუშაო კაბინეტში მისი თანაშემწე, მაიორი ვახტანგ ჭეიშვილი წიგნებით ხელდამშვენებული შევიდა.

– ეს რა წიგნებია? – ჰკითხა დავითინიძემ.

– აინშტაინის ბიოგრაფია და სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომებია, სადაც ფარდობითობის თეორიის ძირითადი მომენტები და თანამედროვე მეცნიერების მიერ თეორიის განვითარება-სრულყოფის საკითხები პოპულარული ენითაა გადმოცემული.

– ყველა წაიკითხე?

– დიახ, ბატონო დავით!

– მაშინ წიგნები დამიტოვე, მანდ შეაწყვე, – კარადაზე მიუთითა პოლკოვნიკმა, – ახლა დრო არა მაქვს, მერე ყურადღებით წავიკითხავ.

– კი ბატონო, – წიგნები თავისუფალ თაროზე ფრთხილად დააწყო ჭეიშვილმა.

– შენ რა დასკვნა გამოიტანე, ვახო, – დავითინიძეს ჭეიშვილის მოსაზრება აინტერესებდა, – რამდენად შესაძლებელია, იაშვილის მონათხრობი სიმართლეს შეესაბამებოდეს?

– თეორიულად, ალბათ, შესაძლებელია, – დაუშვა ჭეიშვილმა, – მაგრამ პრაქტიკულად, თანამედროვე მეცნიერების განვითარების დონეს თუ გავითვალისწინებთ, მსგავსი კოსმოსური ფრენის განხორციელება ძალიან დიდ და სარისკო „ავანტიურად“ მესახება, – დაამატა ეჭვით.

– რას გულისხმობ?

– შევეცდები მარტივად ავხსნა, – „ლექციის წასაკითხად“ მოემზადა ჭეიშვილი, – ბატონო პოლკოვნიკო, გეცოდინებათ, რომ მობილური ტელეფონების ადგილმდებარეობის განსაზღვრა ხორციელდება GPS სისტემის მეშვეობით. GPS-ი წარმოადგენს ობიექტების ადგილმდებარეობის განმსაზღვრელ გლობალურ სისტემას და შედგება დედამიწის ირგვლივ მუდმივად მოძრავი თანამგზავრებისაგან. ამ თანამგზავრების მეშვეობით უკვე დიდი ხანია დადგენილია, რომ თავად დრო კოსმოსში უფრო სწრაფად გადის, ვიდრე აქ, დედამიწაზე. კერძოდ, მეცნიერების მიერ დადასტურებულია თანამგზავრებში მოთავსებული უზუსტესი საათების აჩქარების ფაქტები, რის მიზეზადაც დედამიწის მასა სახელდება.

– ამის შესახებ ფარდობითობის თეორია რას გვეუბნება?

– აინშტაინიც ამბობს, რომ მატერია ანელებს დროს და რაც უფრო მძიმეა ობიექტი, მით უფრო ანელებს დროს.

– „იაშვილის ხომალდი“ ხომ დედამიწისაგან ძალიან შორს იმყოფებოდა?! იქნებ სხვა რომელიმე ციურ სხეულთან იმყოფებოდა ახლოს?

– მე რა ვიცი, ბატონო დავით... ამ ფარდობითობის თეორიის კითხვით თავგზა ამებნა, – შეწუხებული სახით დაიჩივლა ჭეიშვილმა, – ვერც თავი გავუგე და ვერც ბოლო! თანაც ზოგიერთი თანამედროვე მეცნიერი თვლის, რომ ბაბუა აინშტაინი შეცდა... ზოგი კი ამტკიცებს, რომ ფარდობითობის თეორია სამყაროს აგებულებისა და ფუნქციონირების ამსახველი, უფრო განზოგადოებული თეორიის შემადგენელი ნაწილია... ცნობილია, რომ აინშტაინი ფარდობითობის თეორიას უფრო ფილოსოფიურ თეორიად თვლიდა, ვიდრე ფიზიკურ მოძღვრებად სივრცისა და დროის შესახებ. ფაქტია, იგი გენიოსი იყო და მისთვის ფიზიკური თეო-

რიების აგება და მათთვის ფილოსოფიური საფუძვლების ჩამოყალიბება სიძნელეს არ წარმოადგენდა. ჩვეულებრივი ადამიანებისათვის კი ამ ყველაფრის გააზრება და, მით უმეტეს, სიღრმისეული წვდომა, დამეთანხმეთ, რომ ძალიან რთულია.

– კარგი, რას განერვიულდი, – გაეცინა პოლკოვნიკს, – ჩვენ თეორიის მხოლოდ ზედაპირულად გაცნობა თუ დაგვჭირდება... ალბათ ხვდები, რომ ჩვენი ამოცანაა გამოსაძიებელ საქმეში წამოჭრილ საკითხებზე სრული წარმოდგენის შექმნა. კოსმოსთან დაკავშირებულ მონაცემებს ყველა ქვეყანა მკაცრად ასაიდუმლოებს, ძალიანაც რომ მოვინდომოთ, ჩვენ ვერანაირ თანამედროვე და კონკრეტულ ინფორმაციას ვერ მოვიპოვებთ. ამიტომაც გვესაჭიროება აინშტაინის ფარდობითობის თეორიის ძირითადი მომენტების მოშველიება, რაც ჩვენი კონკრეტული შემთხვევის გააზრებისა და არსში წვდომისათვის სავსებით საკმარისია, სამყაროს შესახებ გლობალური თეორიები ჩვენ არაფერში გვჭირდება... თუნდაც ცდებოდეს, აინშტაინმა თანამედროვე მეცნიერების განვითარებას მძლავრი ბიძგი მისცა და კაცობრიობას თვისობრივად ახალი, კოსმოსური მასშტაბებით აზროვნება ასწავლა.

– გეთანხმებით, აინშტაინის გარეშე თანამედროვე მეცნიერება წარმოუდგენელია, – გულწრფელად დაეთანხმა ჭეიშვილი დავითინიძეს.

– მაშინ „თეორიიდან“ რაც გაიგე, ის მაინც ამიხსენი პოპულარულად! – ნახევრად ხუმრობით ითხოვა დავითინიძემ.

– აინშტაინის თანახმად, – დაძაბული სახით დაიწყო ჭეიშვილმა, – რაც უფრო სწრაფად მოძრაობს კოსმოსური ობიექტი, მით უფრო ნელა გადის დრო. მაგალითად, თუ კოსმოსური ხომალდი დედამიწის მიმართ მოძრაობს სინათლის სიჩქარესთან მიახლოებული სიჩქარით, მაშინ დრო ასეთ ხომალდზე გაცილებით უფრო ნელა მიედინება, ვიდრე საკუთრივ დედამიწაზე. ასეთ შემთხვევაში თეორიულად, დედამიწის წელიწადი გაუტოლდებოდა ხომალდის რამდენიმე საათს.

– ესე იგი, თეორიულად შესაძლებელია, რომ იაშვილი კოსმოსში არ დაბერებულიყო.

– დიახ, სავსებით, რადგან დედამიწაზე რომ ერთი წელი გავიდოდა, ამ დროს კოსმოსურ ხომალდზე სულ რამდენიმე საათი იქნებოდა გასული.

– მაგრამ სინთლის სიჩქარით რომ იმოძრაო წამში 300 ათასი კილომეტრი უნდა განავითარო!!! არ მითხრა ახლა, რომ იაშვილის ხომალდი ამ სიჩქარესთან მიახლოებული სიჩქარით მოძრაობდა!

– რა თქმა უნდა, არა, ბატონო დავით! ამხელა სიჩქარეებამდე მეცნიერებას დღემდე ვერ მიუღწევია... თუმცა, მინდა გითხრათ, რომ ზო-

გიერთი მეცნიერი ამტკიცებს: „სინათლის სიჩქარე არ არის სამყაროში არსებული ზღვრული სიჩქარე“-ო! გაგიჟება შეიძლება!

– თუ იცი, 40 წლის წინანდელი ხომალდები რა სიჩქარით მოძრაობდნენ?

– იმ პერიოდისათვის, როდესაც იაშვილი კოსმოსში გაფრინდა, ადამიანების მიერ მართვადი ხომალდებიდან ყველაზე სწრაფი იყო ამერიკელების ხომალდი Apollo 10, რომელმაც საათში 40 ათასი კილომეტრი განავითარა.

– კოსმოსური მასშტაბებით, ეს არც თუ ისე დიდი სიჩქარე უნდა იყოს, – გაკვირვებით აღნიშნა დავითინიძემ. – ვთქვათ „იაშვილის ხომალდმა“ საათში 100 ათასი კილომეტრი განავითარა, იმ პერიოდში მეტს ხომ ვერ განავითარებდა?! თუმცა, ეს სიჩქარეც არასაკმარისია, სინათლის სიჩქარეს მაინც ვერ უახლოვდება!

– ამ „ისტორიაში“, ბატონო პოლკოვნიკო, ჩემის აზრით, ყველაზე საინტერესო არის სამი რამ: ტექნიკურად როგორ შესძლო და რა სიჩქარე განავითარა, როგორც თქვენ უწოდეთ, „იაშვილის ხომალდმა“, რომ კოსმოსში 40 დედამიწისეული წელიწადი იმოგზაურა?! და ამ პერიოდში ხომალდის ბორტის საათის მიხედვით რა დრო გავიდა? ანუ, ჩვენი 40 წელიწადი ხომალდზე გასულ რა დროს უდრის? იაშვილს ეს არ უთქვამს!

– იაშვილს ხომალდის კონსტრუქციის დეტალები, ფრენის უზრუნველმყოფი მექანიზმების ტექნიკური მახასიათებლები, კოსმოსური ნავიგაციის საკითხები და სივრცესა და დროში ორიენტაციის კოსმოლოგიური მეთოდები ცხადია, არ ეცოდინება, მასთან ამ თემაზე ლაპარაკს აზრიც არა აქვს.

– აბა რა ვქნათ, იაშვილის მონათხრობი ბრმად დავიჯეროთ? – უკმაყოფილოდ იკითხა ჭეიშვილმა.

– მაშინ მოდი, კოსმოსში გავფრინდეთ და იქ გადავამოწმოთ! – ღიმილით მიუგო პოლკოვნიკმა.

– რომ შეიძლებოდეს, მართლა გავფრინდებოდი და გადავამოწმებდი, – ჯიუტად განაცხადა ჭეიშვილმა.

– გადამოწმება აქაც შეიძლება, ირიბი მტკიცებულებები უნდა მოვიპოვოთ და შევაჯეროთ. თუ მტკიცებულებები ერთმანეთს შეავსებენ და ლოგიკურ მთლიანობას შექმნიან, ესე იგი, იაშვილი არ ტყუის და იგი კანონის წინაშე გამართლდება.

– ირიბ მტკიცებულებებად რას მიიჩნევთ?

– იაშვილის მიერ დასახელებული პირების შემოწმებისას და მის მიერ აღწერილი მოვლენების შესწავლისას გამოვლენილ ფაქტებსა და შეგ-

როვილ ნივთმტკიცებებს.

– ალბათ, მართალი ხართ... სხვანაირად საქმეს ვერ გამოვიძიებთ, – გამოძიების წარმართვის დავითინიძისეული ხედვა ჭეიშვილმაც გაიზიარა.

– თემა ამოწურულია... ამ ეტაპზე ჯობია იაშვილს თავი დავანებოთ და ჩვენს გამოძიებას მივყვეთ! – თანაშემწესთან თავისი საუბარი დამთავრებულად ჩათვალა პოლკოვნიკმა.

– თქვენის ნებართვით, მიმდინარე საკითხებზე მუშაობას გავაგრძელებ, – წასვლა დააპირა ჭეიშვილმა.

– წადი, საქმეს მიხედე... ჰო, მართლა! საღამოს თათბირია და შეიძლება დამჭირდე, ადგილზე იყავი.

– ჩემს ოთახში ვიქნები, – ჭეიშვილი დავითინიძის კაბინეტიდან გამოვიდა და კარები მჭიდროდ მიხურა.

დავითინიძე კარადასთან მივიდა, ჭეიშვილის მიერ მოტანილი წიგნები ყურადღებით შეათვალიერა და ჩაფიქრდა. პოლკოვნიკი აინშტაინის ღვთისაგან ბოძებულ ნიჭიერებაზე და კაცობრიობის წინაშე მის დამსახურებაზე ფიქრობდა, როდესაც კაბინეტში ლიზი შემოვიდა და მოახსენა:

– ბატონო დავით, ავთანდილ კაიშაური და ოთარ ლაბაძე მოვიდნენ, თქვენთან სასწრაფო საქმე აქვთ.

– უთხარი შემოვიდნენ, – დავითინიძემ წიგნების კარადა მაშინვე მიხურა და სამუშაო მაგიდისაკენ ნელა გაეშურა. ხელქვეითების მოხსენებას პოლკოვნიკი დილიდანვე მოუთმენლად ელოდა.

***

– როგორ არის საქმე, „ლომებო“? – კაიშაურს და ლაბაძეს მისალმების ნიშნად, ხელი ჩამოართვა დავითინიძემ.

– ზოგი რამ გავარკვიეთ... ჩვენის აზრით, მოპოვებული ინფორმაცია გამოძიებას წაადგება, – უპასუხა პოლკოვნიკს კაიშაურმა.

– სანამ უშუალოდ გამოძიების საკითხებზე ვიმსჯელებდეთ, ხომ არ აჯობებდა, ჯერ იაშვილის ფსიქოლოგიური პორტრეტისა და მისი სამომავლო ქცევის განმსაზღვრელი მათემატიკური მოდელისათვის გადაგვეხედა?

– კი ბატონო, როგორც ბრძანებთ, – საქაღალდიდან ამოღებული სამფურცლიანი დოკუმენტი მიაწოდა პოლკოვნიკს კაიშაურმა.

დავითინიძემ დოკუმენტი ყურადღებით წაიკითხა, კაიშაურს უკანვე დაუბრუნა და ხუმრობანარევი სერიოზულობით განაცხადა:

– როგორც ამ „დასკვნიდან“ მივხვდი, ფსიქოლოგების აზრით, იაშვილი ლიდერის მონაცემებისა და მყარი ფსიქიკის მქონე ადამიანია, ხოლო

მათემატიკოსების აზრით, ვინაიდან იაშვილი მომენტებში იმპულსურად მოქმედებს, ამდენად „მუდმივი სიდიდეცა“ და „ცვლადი სიდიდეც“ ერთდროულად შეიძლება იყოს, ამიტომ მისი პიროვნების ქცევის სრულყოფილი და ზუსტი მათემატიკური მოდელის შედგენა პრაქტიკულად შეუძლებელია.

– დაახლოებით ასეა, – შეწუხებული სახით თქვა კაიშაურმა.

– არა უშავს, – დაამშვიდა პოლკოვნიკმა, – იაშვილის, ტოპლუსა და ჯინჭარაძის დაკითხვის, ქილერებზე მოძიებული მასალებისა და სხვა გარემოებების გარკვევის შემდეგ, ეს „მოდელი“ დიდად აღარც დაგვჭირდება, რადგან ყველაფრიდან ჩანს, რომ იაშვილი არ ტყუის და არც უცხო ქვეყნის ჯაშუში არ არის... მთავარია, საჭირო მტკიცებულებების მოპოვება.

– ჩვენს აქ არყოფნაში ბევრ ახალ ინფორმაციას გაეცნობოდით, – დაუფარავი ინტერესით თქვა ლაბაძემ.

– ამ საღამოს თათბირზე ყველაფერს შეიტყობთ, – გაეღიმა დავითინიძეს.

– ჩვენც შეგვიძლია ახალი ინფორმაციების მოწოდება, – კმაყოფილებით განაცხადა კაიშაურმა, – ბევრი ვირბინეთ და ვიჯახირეთ, მაგრამ კვინტრაძისა და მისი ცოლის, აგრეთვე იაშვილის კუთვნილი ტელეფონებისა და ქალის მიერ დასახელებული ავტომანქანების თაობაზე რაღაც-რაღაცეები მაინც მოვიძიეთ.

– ეს კარგია, – გაუხარდა პოლკოვნიკს, – ტელეფონებზე რა გაარკვიეთ?

– იაშვილმა სიმართლე თქვა, გასაშლელი „სამსუნგი“ ნამდვილად იყო გაფორმებული ირაკლი რამიშვილის სახელზე, – მოახსენა პოლკოვნიკს კაიშაურმა, – გარდა ამისა, ფაქტი რამიშვილმა პირადადაც დაადასტურა.

– რა, რამიშვილი ჩემთან შეთანხმების გარეშე გამოკითხეთ? – ხელქვეითების „თვითშემოქმედება“ არ მოეწონა დავითინიძეს.

– არა, ბატონო დავით! – შეცბა კაიშაური. – ჩვენ საერთოდ არ გამოვჩენილვართ, სანდო პირის მეშვეობით გავარკვიეთ.

– სამსახურებრივი „აიფონი“?

– არქივებში შინაგან საქმეთა სამინისტროს ბალანსზე მყოფი იმდროინდელი მატერიალური ფასეულობების სააღრიცხვო მონაცემები გადავამოწმეთ და აღმოჩნდა, რომ „აიფონი“ მართლაც ერიცხებოდა იაშვილს, მაგრამ მის კვალსა და ასავალ-დასავალს ვერაფრით მივაგენით.

– ვისაც იაშვილმა „SOS მესიჯი“ გაუგზავნა, იმ ხალხს თუ ესაუბრეთ?

– პირადად ველაპარაკე, აი გასაუბრების ოქმები, – ხელნაწერი ფურცლები მიაწოდა პოლკოვნიკს კაიშაურმა. – ყოფილმა გამომძიებელმა გიორგი (გოგა) გიორგაძემ „იაშვილის საქმე“ გაიხსენა და გვითხრა, რომ სწორედ იმ პერიოდში გამოძიებას აწარმოებდა და პანკისის ხეობაში „მოძრაობა“ უწევდა, კორპორატიული მობილური ტელეფონი ჯიბიდან ამოუვარდა და სადღაც ტყეში დაეკარგა, ამიტომ ახალი აპარატის შეძენა მოუწია. ბუნებრივია, ძველი სამსახურებრივი ნომრის გაუქმება და ახლის აღებაც აუცილებლად დასჭირდებოდა. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ეს ახალი ნომერი იაშვილს არ ეცოდინებოდა.

– რატომ თვლი ასე, ავთანდილ?

– იმიტომ, ბატონო დავით, რომ მე და ოთარმა კორპორატიული ნომრების მფლობელთა სიები „ამოვწიეთ“ და შევამოწმეთ. განაცხადი ახალი ნომრის მიღებაზე გიორგაძეს 2011 წლის 24 ოქტომბერს აქვს შეტანილი. ახალ ნომერს 2-3 დღეში მისცემდნენ. გამოდის, რომ იაშვილის გზავნილს გიორგაძე ვერ მიიღებდა.

– ეს „პირველი ადრესატია“. სულ იყო სამი. დეპარტამენტის უფროსის თანაშემწემ რა განაცხადა? – „მეორე ადრესატის“ „აღიარებას“ ელოდა პოლკოვნიკი.

– ნეა ჯობავას იაშვილის გაუჩინარების ამბავი კარგად ახსოვდა, – პასუხი არ დააყოვნა კაიშაურმა, – გაკვირვებული იყო. „იას 3 წელი ვიცნობდი. ისეთი წესიერი და კარგი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა, დღემდე ვერ ვიჯერებ და ვერც კი წარმომიდგენია, ადამიანის მოკვლა და ბავშვების გატაცება როგორ უნდა ეკადრა“-ო. „მესიჯის“ მიღებას არ ადასტურებს. „რომ მიმეღო, ჩემს ხელმძღვანელს მაშინვე მოვახსენებდი“-ო.

– სხვათა შორის, 40 წლის წინ მობილურ ტელეფონებზე ტექნიკური შეფერხებები არც თუ იშვიათად ხდებოდა, – აღნიშნა ლაბაძემ, – მიღების შემთხვევაში, ჯობავა „მესიჯის“ შესახებ თავის უფროსს „ყველა ვარიანტში“ ეტყოდა, რადგან ინფორმაციის დამალვის მოტივი და უფლება არ ჰქონდა. პოლიცია კი შესაბამის ზომებს აუცილებლად გაატარებდა.

– ამ ორი „ჩვენების“ მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ხელმოსაჭიდი არაფერი გვაქვს, – შეშფოთდა პოლკოვნიკი, – იაშვილის მეგობარმაც საინტერესო არაფერი გაიხსენა?

– სამწუხაროდ, ქეთი იმნაძემ იაშვილის „მესიჯის“ შესახებ ვერაფერი გვითხრა, – დანანებით თქვა კაიშაურმა. – მან დაბეჯითებით განაცხადა, რომ ყოველთვის ორი მობილური ტელეფონით სარგებლობდა, კორპორატიულით და პირადით. იაშვილის გაუჩინარების დღეს იმნაძეს

მობილურები შინ დარჩენია, „თინეიჯერ“ ძმისშვილებს კი ახალგაზრდა გაუთხოვარი მამიდის ტელეფონები როიალის სახურავზე უპოვიათ, მათი „გაჩითვა“ მოუსურვებიათ და ყველა „მესიჯი“ შემთხვევით წაუშლიათ.

– მობილურის სახლში დატოვების 40 წლის წინანდელი ამბავი დეტალებში როგორ დაამახსოვრდა? – დაეჭვდა დავითინიძე, – როიალის სახურავიც კი ახსოვს!

– იაშვილი და იმნაძე ბავშვობის მეგობრები იყვნენ, თანაც ერთ სისტემაში მუშაობდნენ. „იაშვილის საქმის“ შესახებ პოლიციის მთელმა პირადმა შემადგენლობამ გაიგო. ცხადია, იმნაძეც გაიგებდა და შეძრწუნდებოდა, – პოლკოვნიკისათვის ეჭვების გაქარწყლებას შეეცადა კაიშაური, – ის ტრაგიკული დღე მის ცხოვრებაში გამორჩეულად უსიამოვნო იქნებოდა და ალბათ, ამიტომაც დაამახსოვრდა.

– იაშვილის ხსენებაზე იმნაძეს რა რეაქცია ჰქონდა? – „მაძებრის ალღო“ არ ასვენებდა დავითინიძეს.

– ყოველ შემთხვევაში, არაფერი შეუმჩნევია – გაიკვირვა კაიშაურმა, – ისიც კი არ უკითხავს, „იაშვილი საიდან და რატომ გაგახსენდათ“-ო.

– მერე ეს საეჭვოდ არ გეჩვენება? – გაღიზიანდა პოლკოვნიკი, – ქალს 40 წელიწადია დაკარგულ მეგობარზე არაფერი სმენია, დაზვერვის ხალხი მოულოდნელად მიდიხართ და შეკითხვებს უსვამთ... იმნაძეს „კონტრშეკითხვა“ არ უნდა გასჩენოდა? ეს უფრო ბუნებრივი რეაქცია არ იქნებოდა?

– მარტო წავედი, თანაც არ „გავშიფრულვარ“, პოლიციელი ვეგონე, – თავი იმართლა კაიშაურმა.

– მით უმეტეს! – პოლიციის გადამდგარ ოფიცერს კოლეგისათვის სათქმელი არაფერი უნდა ჰქონოდა?

– მაგალითად რა, ბატონო დავით? – ვერ მიხვდა კაიშაური.

– რა და თუნდაც ბუნებრივი შეკითხვები: ცოცხალია თუ არა იაშვილი? ხომ არ დაბრუნდა? ამჟამად სად არის? მისი ნახვა შეიძლება თუ არა? და რა ვიცი, მსგავს სიტუაციაში კიდევ რა შეკითხვები შეიძლება ქალებს თავში მოუვიდეთ!

– მართალი ბრძანდებით, – დაეთანხმა კაიშაური.

– გიორგაძესა და ჯობავას განცხადებები სარწმუნოა. იმნაძისა კი რა მოგახსენოთ... შეიძლება რაღაცა იცის და არ ამბობს, – დაასკვნა დავითინიძემ, – იმნაძის ძმისშვილებს დაელაპარაკეთ?

– კი, ველაპარაკეთ... ჭარმაგი კაცები არიან, დღემდე ნავთლუღში, მამა-პაპისეულ დიდ სახლში მეუღლეებთან ერთად შეხმატკბილებულად ცხოვრობენ, იქაურობა ძალიან უყვართ და ვერ ელევიან. ბავშვობა გაიხსენეს და კარგად იხალისეს, მაგრამ არაფერი ახსოვთ. „მამიდაჩვენი

ლამაზი ქალი იყო, გათხოვებამდე ჩვენთან ცხოვრობდა. ცელქი ბავშვები ვიყავით, მამიდა კი ყოველთვის გვანებივრებდა და მშობლების დატუქსვისაგან გვიცავდა, ამიტომ ძალიან გვიყვარდა, არ გვინდოდა მალე გათხოვილიყო და სახლიდან წასულიყო. ჩვენს ჭკუაში, აბეზარი თაყვანისმცემლების თავიდან მოშორებაში ვეხმარებოდით, მობილურს ჩუმ-ჩუმად ვუთვალიერებდით ხოლმე და გზავნილების წაშლა პირველი შემთხვევა არ იქნებოდა“-ო, სიცილ-ხარხარით აღიარეს.

– ესე იგი, იმნაძე ნავთლულში ცხოვრობდა, – ჩაფიქრებით თქვა დავითინიძემ, – ახლა სად ცხოვრობს?

– მეუღლესთან და ქალიშვილთან ერთად ვაჟა-ფშაველას გამზირზე, მეტრო „დელისთან“ ცხოვრობენ.

– „აიფონი“ სისხლის სამართლის საქმეში არ ფიგურირებს, – შემდეგი საკითხის გარკვევას შეუდგა პოლკოვნიკი, – გამოდის, რომ მაშინ მას გამოძიებამ ვერ მიაგნო. ისმის ლოგიკური კითხვა: სად უნდა გამქრალიყო? ფრთები ხომ არ გამოესხმებოდა?

– იქნებ ნანგრევებში მოჰყვა... იაშვილის მტკიცებით, ტელეფონი პირადობის მოწმობასთან ერთად ლილოს ბაზრობის მიმდებარე ტუალეტში გადამალა, – შეახსენა ხელმძღვანელობას ლაბაძემ, – ტუალეტი კი რამდენიმე წლის შემდეგ დაანგრიეს.

– სამსახურებრივი „აიფონები“ ადგილმდებარეობის განმსაზღვრელ სპეციალურ სიგნალებს გამოსცემენ, – განმარტა კაიშაურმა, – იაშვილმა გარკვევით თქვა, რომ ტელეფონი ჩართული დატოვა. ცხადია, იმ მიზნით, რომ პოლიციას მისი ადგილსამყოფელი ადვილად მიეგნო. მობილური ტელეფონი თუ ჩართულ მდგომარეობაში ტუალეტის ჭერში იდო, რატომ ანძაზე არ დაფიქსირდა? იაშვილს ხომ გაუჩინარების დღიდანვე ეძებდნენ! მისი „აიფონის“ ნომერი იმ დროიდან საერთოდ დაიკარგა და სიგნალიც გაითიშა.

– რას იტყვით, იქნებ „აიფონი“ სწორედ იმნაძემ „გააქრო“ და დღემდე საგულდაგულოდ მალავს? – თამამი ვარაუდით განაცვიფრა კაიშაური და ლაბაძე პოლკოვნიკმა. – არ გამიკვირდება, იმ პერიოდში ლილოს ბაზრობასთან ახლოს ცხოვრობდა... „მესიჯის“ მიღებისთანავე გავარდებოდა და ტელეფონს წამოიღებდა, სიმ-ბარათს მოხსნიდა, დააზიანებდა და გადააგდებდა... „აიფონის“ დაკარგვის ფაქტი სხვაგვარად როგორ უნდა აიხსნას?..

– „ევრიკა“! სწორია! იაშვილის პირადობის მოწმობაც არსად დაფიქსირებულა! – სიხარულით წამოიძახა ლაბაძემ, – ისიც იმნაძეს ექნება გადამალული!

– კი მაგრამ მოტივი, ბატონო დავით? იმნაძეს ეს ყველაფერი რაში

სჭირდებოდა? – პოლკოვნიკის კომპეტენტურ მოსაზრებას ელოდა კაიშაური.

– „ელემენტარულია, ვატსონ“, – გაიღიმა დავითინიძემ, – იაშვილი და იმნაძე ერთად გაზრდილები და უახლოესი მეგობრები იყვნენ. იაშვილისაგან „მესიჯის“ მიღების შემდეგ „აიფონისა“ და „პირადობის“ წამოსაღებად მივიდოდა. სამსახურში დაბრუნებული გაიგებდა, რომ იაშვილს ეძებდნენ. სავარაუდოდ, იმნაძე იაშვილის დამნაშავეობას არ დაიჯერებდა და მის დახმარებას შეეცდებოდა. „აიფონსაც“ და „პირადობასაც“ ამ მიზნით თუ გადამალავდა, მაგრამ ჩანაფიქრის განხორციელებაში ეტყობა ხელი რაღაცამ მკვეთრად შეუშალა და ჩვენი ერთგული იმნაძეც შეჩერდა. შესაძლოა, იაშვილის შეხმიანებას და მის მითითებებს მოელოდა... ამიტომაც არ დაგისვათ „ზედმეტი“ შეკითხვები, მოქმედებას თავისი „არხებით“ შეეცდება.

– ბატონო პოლკოვნიკო, ქეთი იმნაძე ია იაშვილის თანატოლია, უკვე 75 წლის მოხუცია, – შემწყნარებლური ღიმილით თქვა კაიშაურმა, – დღესდღეობით განა რისი გაკეთება შეუძლია?

– ქალებს ჯეროვნად ვერ აფასებ, ჩემო კარგო, გიჯობს ყურადღება არ მოადუნო, – დამრიგებლურად ურჩია კაიშაურს დავითინიძემ, – თორემ ცხვირწინ ისეთ „შტუკას“ მოგიწყობენ, რომ შენი ნაქები ლოგიკა და თავდაჯერება სანანებელი გაგიხდება.

– უკვე „შევფუცხუნდი“, ბატონო პოლკოვნიკო! – გულღიად იხუმრა კაიშაურმა, – თქვენს შეგონებას სამომავლოდ აუცილებლად გავითვალისწინებ!

– სასწრაფოდ ნებართვა აიღე და იმნაძეზე და იაშვილის ძმისშვილებზე დღესვე ფარული თვალთვალი დააწესებინე და მათი ტელეფონებიც მოასმენინე, – უბრძანა კაიშაურს დავითინიძემ, – საინტერესოა, იმნაძე იაშვილის შესახებ ინფორმაციის შეგროვებას დაიწყებს, თუ არა.

– შეიძლება ჯერ არც არაფერი მოიმოქმედოს, – აზრი გამოთქვა ლაბაძემ, – ეს იმნაძე ყოფილი პოლიციელია და კონსპირაციის ელემენტარული წესები ეცოდინება.

– ვნახოთ, – წამოდგა კაიშაური, – ახლავე გავალ, ორდერს ავიღებ, ბიჭებს მითითებებს მივცემ და ვეცდები მალევე დავბრუნდე, მინდა ავტომანქანების თაობაზე მოგახსენოთ... მანამდე ოთარი კვინტრაძის ოჯახის შესახებ გიამბობთ.

– კარგი, წადი... როგორც ჩანს, ქეთი იმნაძის აქ დაბარება და იაშვილთან მისი დაპირისპირება მოგვიწევს.

– იმნაძე თავის თამაშს „აწვება“ და ნამდვილად დასაკითხია, – კაიშაურმა დავითინიძის აზრი გაიზიარა და დავალების შესასრულებლად გაემართა.

– აბა, „ლომო“, კვინტრაძეზე ახალი რა „გამოჩხრიკე“? – მიუბრუნდა ლაბაძეს პოლკოვნიკი.

– ალეკო კვინტრაძე თბილისელია, დედ-მამა ძალიან ადრეულ ასაკში გარდაცვლია და მამის მშობლებმა და ნათესავებმა აღზარდეს. ოჯახი დადებითად ხასიათდება, კვინტრაძეზეც მხოლოდ კარგი მითხრეს, განათლებულ, მშრომელ და კეთილ ყმაწვილად, ნიჭიერ და პერსპექტიულ მეცნიერ-ასტროფიზიკოსად მოიხსენიეს. ნათესავები მას და მის ოჯახს დღემდე გულისტკივილით იხსენებენ. კვინტრაძის უმცროსი შვილის შესახებ არაფერი იციან და მასაც დაღუპულად თვლიან. სხვათა შორის, მნიშვნელოვანი რამ თქვეს, თურმე კვინტრაძეს ემუქრებოდნენ და ვიღაცეებს მის ოჯახზე თავდასხმაც კი მოუწყვიათ, ერთ ხანს კვინტრაძე ცოლ-შვილთან ერთად ნათესავებთან იმალებოდა, შემდეგ კი მთელი ოჯახი მოულოდნელად „გამქრალა“. ოჯახის ტრაგედიაში იაშვილს ადანაშაულებენ და სამართლიანობის აღდგენას, ანუ დამნაშავე ია იაშვილის უმკაცრესად დასჯას ითხოვენ.

– დაკითხვისას იაშვილმაც განაცხადა, რომ კვინტრაძე საქართველოდან ჩუმად მიიპარებოდა, – აღნიშნა დავითინიძემ, – რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ეს ქალი არ ტყუის და მისი მონაყოლის სარწმუნოდ მიღება შესაძლებელია.

– სავარაუდოდ, – თანხმობის ნიშნად თავი ჩამოიქნია ლაბაძემ.

– კვინტრაძის ცოლის, ირმა იანტბელიძის გარდაცვალების, ან თვითონ კვინტრაძისა და მისი შვილების გატაცებასთან დაკავშირებით, პოლიციას განცხადებით ვინ მიმართა? – ამ კითხვის პასუხს მეტად მნიშვნელოვნად თვლიდა დავითინიძე.

– არანაირი განცხადება არ ყოფილა, ბატონო დავით, – ხელები გაშალა და მხრები ენერგიულად აიჩეჩა ლაბაძემ.

– აბა, გამოძიება რის საფუძველზე დაიწყო და საცოდავი ახალგაზრდა ქალის დაკრძალვის ხარჯები ვინ გაიღო?

– ახლავე მოგახსენებთ, ბატონო დავით, – ლაბაძე ცდილობდა პოლკოვნიკის შეკითხვებზე მოკლე და ამომწურავი პასუხები გაეცა, – ქალს მშობლების ოჯახმა უჭირისუფლა... როდესაც კვინტრაძის მეუღლე გარდაიცვალა, მომხდარ ფაქტზე გამოძიება საპატრულო პოლიციამ დაიწყო. აინტერესებდათ ვინ „დაარტყა“ იანტბელიძეს. ვიდეო-კამერებმა დააფიქსირეს, რომ ქალი პარფიუმერული მაღაზია „ლუტეციიდან“ გამოვიდა და შუქნიშანთან გაჩერებული საკუთარი „შკოდი-საკენ“ ტროტუარის კიდის გასწვრივ ფეხით გაემართა, ხელში პატარა კოლოფი ეჭირა და ყურადღებით ათვალიერებდა. ირგვლივ უამრავი მანქანა ირეოდა, ამიტომ ირმამ დროულად ვერ შენიშნა მისკენ დიდი

სიჩქარით მქროლავი „BMW“... სამწუხაროდ, ქალი ადგილზევე გარდაიცვალა. ავტომანქანა კი მოძრავი ტრანსპორტის ნაკადს საგზაო წესების დარღვევით მარჯვედ შეერია და უსწრაფესად მიიმალა. მაღაზიის პერსონალმა დაკითხვისას ერთხმად აღნიშნა, რომ იაშვილმა მხოლოდ ფრანგული სუნამო „ჟადორი“ შეიძინა და არავისათვის სხვა არაფერი უთქვამს.

გაირკვა, რომ ეს საბედისწერო „BMW“ გატაცებული ყოფილა. მფლობელი ვერ დაადანაშაულეს, რადგან იგი ყოვლად წესიერი მოქალაქე აღმოჩნდა და, რაც მთავარია, მყარი ალიბი ჰქონდა. ზუსტად ავარიის მომენტში პოლიციის შენობაში იჯდა და ახლად ნაყიდი მანქანის გატაცების თაობაზე განცხადებას გამწარებული წერდა. სულ რამდენიმე საათში ავტომანქანა აეროპორტის გზაზე მიგდებული იპოვეს. საბოლოოდ, „BMW“-ს გამტაცებლისა და ირმა იანტბელიძის მკვლელის ვინაობა ვერ დადგინდა და გამოძიება დროებით ჩიხში მოექცა. თუმცა საპატრულო პოლიციის გამომძიებლებმა „სატრანსპორტო შემთხვევის“ მიმდებარე ადგილის შესწავლისას შენიშნეს, რომ მაღაზია „ლუტეციასთან“ განთავსებულმა ვიდეო-კამერებმაც და იქვე, 50 მეტრში მდებარე საბავშვო ბაღთან განთავსებულმა ვიდეო-კამერებმაც ერთი და იგივე პირი, ია იაშვილი დააფიქსირეს. ეს უკანასკნელი გარდაცვლილი იანტბელიძისა და კვინტრაძის შვილებს „მერსედესში“ სვამდა, ეს კვინტრაძეც სადღაც გაუჩინარდა და არავინ იცოდა სად იყო... ამ ყველაფერს კი თვითმხილველთა ჩვენებებიც დაემატა... გამოძიებამ ამიტომაც დაასკვნა, რომ იაშვილმა კვინტრაძე თავის შვილებთან ერთად გაიტაცა და მოკლა. იაშვილის ჯგუფურ დანაშაულში მონაწილეობასაც არ გამორიცხავდნენ, უბრალოდ მტკიცებულებები ვერ მოიპოვეს.

ორივე ვიდეო თანამედროვე აპარატურაზე გადავატანინე და პირადად შევისწავლე... ყველაფერი წამებში ხდება. მართალია, ვერ დავამტკიცებ, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ იანტბელიძეს შემთხვევით კი არა, განგებ და დამიზნებით დაეჯახნენ. მძღოლმა ამ საშინელი და ცივსისხლიანი მკვლელობისათვის უბედური შემთხვევის სახის მიცემა მაღალპროფესიულად შესძლო.

– მოიცა, ოთარ, – თხრობა შეაწყვეტინა დავითინიძემ, – შენ ღია ტექსტით ამბობ, რომ იანტბელიძე უბედურ შემთხვევას არ შეეწირა და იგი მოკლეს! სწორად გავიგე?

– დიახ, ბატონო პოლკოვნიკო, – დაუდასტურა ლაბაძემ, – ჩემის აზრით, ეს იყო შეკვეთილი მკვლელობა და ია იაშვილი აქ არაფერ შუაშია. ამ ვრცელი „ისტორიის“ „გასაღები“ კვინტრაძის გარემოცვაში უნდა ვეძებოთ, იაშვილი ამ „ორომტრიალში“ თავისდა საუბედუროდ, სრულიად

შემთხვევით, მაპატიეთ გამოთქმისათვის, და „შეეკვეტა“.

– თუ კვინტრაძე წესიერი კაცია და კარგად ხასიათდება, როგორ გგონია, ასე სასტიკად რატომ მოექცნენ? – ლაბაძის ნებისმიერი მოსაზრების მოსმენა იმ ვითარებაში პოლკოვნიკისათვის ყურადსაღები იქნებოდა.

– მთელი პრობლემაც ის არის, რომ არც ვიცი და ერთი სავარაუდო ვერსიაც კი ვერ მომიფიქრებია, – გულწრფელი პირდაპირობით განაცხადა ლაბაძემ.

– არა უშავს, – გაამხნევა ხელქვეითი პოლკოვნიკმა, – საღამოს თათბირზე ყველანი ერთად რაიმე რეალურს აუცილებლად მოვიფიქრებთ!

ამასობაში ავთანდილ კაიშაური დაბრუნდა და პოლკოვნიკს საქმიანად აუწყა:

– იმნაძესა და იაშვილის ძმისშვილებს უკვე უთვალთვალებენ, ამ საღამოდან კი მათ ტელეფონებსაც მოუსმენენ.

– იქნება და ამ საქმიდან რამე „გამოდნეს“, – იხუმრა დავითინიძემ, – „ნადავლს“ დაველოდოთ! ერთი მომაწოდე გიორგაძის, ჯობავას და მამიდა-ძმისშვილ იმნაძეების ფოტოები, იქნებ რომელიმე სახეზე ვიცნო.

კაიშაურმა დავითინიძეს ფოტოსურათები უსიტყვოდ მიაწოდა.

– არც ერთი არ მეცნობა, – ფოტოები გადაათვალიერა დავითინიძემ, – სხვა თაობის ხალხია... აბა ერთი კვინტრაძესაც შემახედეთ, ამ „ჯიგარის“ გამოა ეს ამხელა ამბავი „აწეული“!

– აი, კვინტრაძე და მისი ოჯახი 40 წლის წინ, – კაიშაურმა საქაღალდიდან ფოტოსურათების დასტა ამოიღო და მაგიდაზე გადაშალა, – ნათესავების საოჯახო ალბომებიდანაა, სხვა სურათები არა გვაქვს.

დავითინიძე მაგიდას იდაყვებით დაეყრდნო, წინ გადაიხარა და ფოტოებს რამდენიმე ხანს ყურადღებით აკვირდებოდა, შემდეგ მოულოდნელად, მკვეთრი მოძრაობით სავარძლის საზურგეზე მიესვენა, ჭერს მიაჩერდა და სახელურები ჩაბღუჯა. შეშინებულმა და შეწუხებულმა კაიშაურმა ჭიქაში წყალი სასწრაფოდ ჩაასხა და პოლკოვნიკს მიაწოდა.

– წყალი რად მინდა, ცუდად კი არა ვარ, – სავარძლიდან წამოიწია დავითინიძე, – ახლავე იაშვილი ამოიყვანეთ!

– მივდივარ! – ბრძანების შესასრულებლად მყისვე გაეშურა ლაბაძე.

ხუთიოდ წუთში იაშვილი პოლკოვნიკ დავითინიძის კაბინეტში სკამზე იჯდა და მაგიდაზე დაწყობილ ფოტოსურათებს ცნობისმოყვარეობით უმზერდა.

– ეს ადამიანი თუ გეცნობათ? – კვინტრაძის ფოტოზე მიუთითა პოლკოვნიკმა.

იაშვილმა ფოტო აიღო, დახედა და დაუფიქრებლად განაცხადა:

– ეს ახალგაზრდა კაცი ალეკო კვინტრაძეა, ასეთი იყო იგი 40 წლის წინათ. მაგიდაზე კი მისი მეუღლისა და შვილების სურათებია.

– დარწმუნებული ხართ? – ჩაეკითხა დავითინიძე.

– სავსებით... ხომ მოგიყევით, მე ეს ოჯახი კარგად მახსოვს. უეჭველია, ეს მათი სურათებია!

– ჯინჭარაძეზე რას იტყვით? – მოულოდნელად თემა შეცვალა პოლკოვნიკმა.

– ჯინჭარაძეზე რა უნდა ვთქვა?! – გაუკვირდა იაშვილს.

– კარგად დაფიქრდით და ისე მიპასუხეთ! – დავითინიძის მოთხოვნა მუდარას უფრო ჰგავდა.

– წარმოუდგენელია! – მეხსიერების დაძაბვისა და რამდენიმეწუთიანი ფიქრის შემდეგ სკამიდან წამოვარდა თვალებგაფართოებული იაშვილი, – როგორ ვერ მივხვდი?!

დავითინიძე იაშვილის საქციელს არ გაუკვირვებია, განცვიფრებული და დაბნეული კაიშაური და ლაბაძე კი ხან ერთმანეთს უყურებდნენ, ხან პოლკოვნიკსა და იაშვილს, ვერაფერს მიმხვდარიყვნენ, არ იცოდნენ რა ეღონათ და ჩუმად ისხდნენ. დავითინიძეც დუმდა და იაშვილის „აზრთა ფრქვევას“ ელოდა.

– ნუთუ ჯინჭარაძე და კვინტრაძე ერთი და იგივე ადამიანია? – ბოლთას სცემდა გაოგნებული იაშვილი.

– ასე რატომ გგონიათ? – დასაბუთებული პასუხი სჭირდებოდა დავითინიძეს.

– იმიტომ, რომ დაპირისპირებისას ჯინჭარაძე მეცნო, მაგრამ ვერ გავაცნობიერე საიდან. ახლა კვინტრაძის ფოტოები რომ ვნახე... ეს ჯინჭარაძე გარეგნულად ძალიან ჰგავს კვინტრაძეს, სიჭარმაგეში კვინტრაძეც ჯინჭარაძისნაირი იქნებოდა, – სკამთან დაბრუნდა და ჩამოჯდა იაშვილი.

– თქვენთან ნაცნობობაზე უარი რატომ უნდა განეცხადებინა?

– არ ვიცი... წესით, პირიქით, უნდა ამოვეცნე.

– იქნებ ორი სხვადასხვა პიროვნებაა?

– შესაძლოა... კვინტრაძე ლმობიერი ადამიანის შთაბეჭდილებას სტოვებდა, ჯინჭარაძე კი არასასიამოვნო „ტიპად“ მომეჩვენა.

– კარგი, ია... თავისუფალი ხართ, მერე დაგიძახებთ.

იაშვილმა თანხმობის ნიშნად თავი დაიქნია და კაბინეტიდან გავიდა.

– ჯინჭარაძისა და კვინტრაძის პიროვნული მონაცემები და ცხოვრების წესი ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავდება, თუმცა მათი გარეგნული მსგავსებაც აშკარაა და თვალშისაცემია, – ნელა და დაფიქრებით

ლაპრაკობდა დავითინიძე. – ამიტომ სასწრაფოდ შეკრიბეთ დამატებითი ინფორმაცია კვინტრაძისა და ჯინჭარაძის ოჯახების შესახებ. ნათესავებს, განსაკუთრებით მოხუცებს, ბევრი რამ ეცოდინებათ. შესაძლებელია შემდეგი ვითარება გვქონდეს: ან ერთი პირი ორმაგ ცხოვრებას ეწევა, ან საქმე ორ სხვადასხვა პირთან, ორეულებთან გვაქვს.

– საღამოს თათბირისათვის ახალ ინფორმაციას მოგაწვდით, – დაჰპირდა პოლკოვნიკს კაიშაური.

– შევთანხმდით... ავტომანქანების თაობაზე რის თქმას აპირებდით?

– ავტომანქანები შევამოწმეთ და მონაცემების შეჯერებამ მეტად საინტერესო შედეგი მოგვცა, – მოხსენებას შეუდგა კაიშაური, – ვერცხლისფერი „მერსედეს-ბენცი“ სანომრე ნიშნებით GCE-121 და შავი ჯიპი „ტოიოტა პრადო“ სანომრე ნიშნებით CFC-20-11-12 IE ეკუთვნოდა ბათუმში სანაპიროსთან ახლოს განთავსებულ ტურისტულ სააგენტოს, სახელწოდებით „Beautiful Space”, ანუ „ლამაზი ადგილები“, რომლის მფლობელიც იყო საქართველოს მოქალაქე, ავღანეთში ნაბრძოლი ყოფილი სამხედრო, თბილისელი ამირან ჯუმბერის ძე პაიჭაძე. აღსანიშნავია, რომ ეს პაიჭაძე 2011 წლის 3 ნოემბრამდე ბათუმში, დაქირავებულ ბინაში მარტო ცხოვრობდა, ხოლო 2011 წლის 2 დეკემბერს თბილისში, საკუთარ ბინაში საეჭვო ვითარებაში გაზით გაგუდული იპოვეს. აი, ბატონო დავით, მისი სურათი, – ბრგე მამაკაცის ფოტო მაგიდაზე დადო კაიშაურმა, – საქმეს უბედური შემთხვევის კვალიფიკაცია მიეცა და ძიებაც შეწყდა...

დავითინიძე ფოტოსურათს ყურადღებით დააკვირდა, ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ წარბები აზიდა და ჩაახველა, თუმცა არაფერი უთქვამს. კაიშაური უფროსის მითითებებს მოთმინებით ელოდა და ისიც დუმდა.

– სხვა? – დაწვრილებითი ინფორმაციის მიღებას ელოდა დავითინიძე.

– გამოძიებისათვის მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, – განაგრძო კაიშაურმა, – რომ იგივე სააგენტომ 2011 წლის 24 ოქტომბერს ორი დღით იქირავა ამერიკის შეერთებული შტატების მიერ საქართველოს შეიარაღებული ძალებისათვის 2001 წელს გადმოცემული UH-1H ტიპის სამხედრო-სატრანსპორტო ვერტმფრენი „იროკეზი“, რომელიც 2011 წლის იანვრიდან სამოქალაქო ავიაციის ბალანსზე ირიცხებოდა.

– იაშვილის სიმართლის დამადასტურებელი კიდევ ერთი მტკიცებულება, – შენიშნა დავითინიძემ, – სხვათა შორის, იაშვილმა ისიც თქვა, რომ გემის ბორტს, რომლითაც ის თურქეთიდან გაიყვანეს, დიდი ასოებით ეწერა „Beautiful Space”.

– დიახ, ბატონო პოლკოვნიკო. როგორც ჩანს, ეს ქალი მართლა არ ტყუის.

– ეს სააგენტო რას წარმოადგენდა და რას საქმიანობდა?

– ტურისტული სააგენტო „Beautiful Space” შეიქმნა 2010 წლის 5 იანვარს და 2011 წლის 3 ნოემბერს მოულოდნელად გაუქმდა. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, სააგენტო ტურისტული მოგზაურობის მსურველებს მათთვის მიუღებელ პირობებს სთავაზობდა და კლიენტების დაკარგვაც დიდად არ აწუხებდა. სააგენტო მოქალაქეებს პრაქტიკულად არ ემსახურებოდა, ანუ თავის პირდაპირ მოვალეობას არ ასრულებდა და ქალაქში არავინ უწყოდა, სინამდვილეში რას საქმიანობდნენ სააგენტოს საზოგადოებისათვის უცნობი მესვეურები. გაღიზიანებული ბათუმელები მას ზედმეტსახელად „მუღამი ვერ დევიჭირე“-ს ეძახდნენ. სამწუხაროდ, სააგენტოსთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტაცია განადგურებულია და შეუძლებელია იმის დადგენა, თუ როგორ მოხვდა სააგენტოში დიპლომატიურის მსგავსი სანომრე ნიშნის მქონე ავტომანქანა და რა მიზნით იქნა დაქირავებული ვერტმფრენი.

– არ იცი, როგორ მოხვდებოდა? – მკაცრი ტონით შენიშნა დავითინიძემ, – ცხადია, უკანონო გარიგების შედეგად! ვფიქრობ პაიჭაძე ამ ამბავს ემსხვერპლა.

– არ არის გამორიცხული, – დაეთანხმა კაიშაური.

– იცით რა, ბიჭებო, – ვარაუდის გამოთქმა ხმადაბლა დაიწყო პოლკოვნიკმა, – მგონი, ამირან პაიჭაძე და იაშვილის მიერ აღწერილი „მისტერ იქსი“ ერთი და იგივე პიროვნება უნდა იყოს.

– ეგ ჩვენც ვიფიქრეთ, ბატონო დავით, – მაგიდიდან ფოტოსურათი აიღო კაიშაურმა, – და ფოტოც იაშვილისათვის საჩვენებლად წამოვიღეთ.

– „ლომები“ ხართ, – შეაქო ხელქვეითები დავითინიძემ, – მაშინ რაღას ვუცდით? იაშვილს ვაჩვენოთ!

ლაბაძე მისაღებში გავიდა და იაშვილი პოლკოვნიკის კაბინეტში შეიწვია.

იაშვილმა სურათზე „მისტერ იქსი“ ამოიცნო და დავითინიძეს მშვიდად განუცხადა:

– ეს კაცი ალბათ, უკვე დიდი ხნის მკვდარია... მაგრამ თუ დღემდე ცოცხალია, ჩემს გამო ნუ დასჯით, მას ჩემთვის არაფერი დაუშავებია, მხოლოდ „უფროსობის“ დავალებას ასრულებდა და ვერტმფრენის ბორტზე მათი ბრძანების თანახმად ამიყვანა.

– რატომ გგონიათ, რომ მკვდარია? არც ისეთი მოხუცია! – დაეჭვდა ლაბაძე.

– იმიტომ, რომ 40 წლის წინანდელ ფოტოს მაჩვენებთ. ცოცხალი რომ იყოს, თანამედროვე ფოტოსურათსაც მაჩვენებდით, – სევდიანი

ხმით განმარტა იაშვილმა.

– დიდსულოვნება და მიმტევებლობა სანაქებო თვისებებია, ქალბატონო ია, – დამრიგებლურად თქვა დავითინიძემ, – მაგრამ დამნაშავეებმა პასუხი უნდა აგონ.

– რა, „იქსმა“ დანაშაული ჩაიდინა? – მიამიტად იკითხა იაშვილმა.

– თქვენ არ მოყევით?! – იაშვილის უადგილო კითხვამ დავითინიძე განაცვიფრა, – მთელი თქვენი „ისტორია“ სხვადასხვა პირების მიერ ჩადენილი დანაშაულების წყება არ არის? ეს თქვენი „იქსიც“ ხომ გარეულია?!

– მაპატიეთ, ბატონო დავით, – უხერხულად გაიღიმა იაშვილმა, – ფსიქოლოგიური პრობლემები მაქვს: წარსულიდან ყოველივე ცუდის დავიწყებას ვცდილობ, მომავლის წინაშე მხოლოდ ნათელი მოგონებებით მინდა წარვსდგე.

– ეს ძალიან კარგი იქნებოდა, – დაყვავებით უთხრა დავითინიძემ, – ახლა კი შეგიძლიათ დაისვენოთ, როგორც ყოველთვის, ვახო და ლიზი მოგხედავენ.

– კარგად ბრძანდებოდეთ, ბატონებო. – იაშვილი კაბინეტიდან გავიდა და ლიზის თანხლებით „სტუმრების“ ოთახისაკენ გაეშურა.

– კარგი, ამით დავამთავროთ, – სავარძლიდან წამოდგა და გამოღებულ ფანჯარასთან მივიდა დავითინიძე, – თათბირისათვის ინფორმაცია სუფთა ჰაერზე უნდა „გადავხარშო“. ჰო, მართლა, თათბირი საღამოს 10 საათისათვის გადაიდო. აბა, თქვენ იცით, დრო გაქვთ, საქმეს მიხედეთ! საღამოს 8 საათზე ჩემთან ვიკრიბებით.

ლაბაძემ ფოტოსურათები საქაღალდეში ფაქიზად მოათავსა და კაბინეტიდან გასულ კაიშაურს სწრაფი ნაბიჯით დაედევნა.

– იქნებ ჯობდეს, პოლკოვნიკთან მოსახსენებლად შესვლამდე, დროის მოგების მიზნით, გაბუნიასთან და ყიფიანთან მონაცემები შევაჯეროთ და „შეფს“ ერთიანი ინფორმაცია მივაწოდოთ? – მისაღებიდან გამოსვლისთანავე კაიშაურს ურჩია ლაბაძემ.

– კარგი „იდეაა“, – ლაბაძის აზრი მოიწონა კაიშაურმა, – „პრინციპში“, „შეფმა“ იმათაც და ჩვენც ჯინჭარაძის „ბოლომდე გაშიფვრა“ დაგვავალა. მაგათ ხომ ამ სუბიექტის შესახებ ბევრი რამ იციან, რაც ჩვენ არ ვიცით, ჩვენ კი ისეთი რაღაც გავიგეთ, რაც მათ გაკვირვებისაგან „პირს დააღებინებს“... მიდი, შენ ყიფიანს დაურეკე! თუ რაიმე ახალი შეიტყვეს, შეხვედრაზე გაბუნიას მე შევუთანხმდები და ჩვენი „თავყრილობის“ შესახებაც „შეფს“ მე ვაცნობებ.

თავი II. ბათუმური ამბავი

საღამოს 7 საათისათვის საგამოძიებო ჯგუფის წევრები: ოთარ ლაბაძე, ირაკლი გაბუნია და არჩილ ყიფიანი, შეთანხმებისამებრ, ვიცე-პოლკოვნიკ ავთანდილ კაიშაურის სამუშაო ოთახში ისხდნენ და გამოძიების მსვლელობას იხილავდნენ. „შესანიშნავი ოთხეული“ ყველა წვრილმანს მიუკერძოებლად და ბეჯითად ჩაჰკირკიტებდა და საფუძვლიანი ლოგიკური ჯაჭვის აგებას გულმოდგინედ და მიზანმიმართულად ცდილობდა. ერთ საათში ავთო კაიშაურის ვრცელი მოხსენების ძირითადი მონახაზი მზად იყო და საგამოძიებო ჯგუფის წევრებიც პოლკოვნიკ დავით დავითინიძის კაბინეტში დათქმულ დროს, საღამოს 8 საათისათვის შეიკრიბნენ.

– ბატონო პოლკოვნიკო, თქვენთან შემოსვლამდე, საგამოძიებო ჯგუფის წევრებმა ერთმანეთს მოპოვებული ინფორმაცია გავაცანით და მოსაზრებები გავუზიარეთ. თუ ნებას დამრთავთ, მოგიყვებით ერთი თბილისური ოჯახის გახმაურებულ სევდიან ისტორიას და შემდგომ განვითარებული მოვლენების ჩვენეულ ვერსიას. ინფორმაციის ნაწილი საქართველოშია მოძიებული, ნაწილი კი თურქმა, გერმანელმა და ავსტრალიელმა კოლეგებმა მოგვაწოდეს. აქვე მოგახსენებთ, რომ ტოპლუმ დანაშაული აღიარა და თავისი „თავგადასავალი“ დაწვრილებით მოგვიყვა. ვიმედოვნებთ, რომ გამოძიების მსვლელობისას წამოჭრილ ბევრ გაუგებარ დეტალს ნათელი მოეფინება.

– ბრძანეთ, ვიცე-პოლკოვნიკო, – ოფიციალურ ტონზე გადავიდა დავითინიძე, – ყურადღებით გისმენთ.

– გასული საუკუნის 80-იან წლებში, – თხრობა დაიწყო ავთანდილ კაიშაურმა, – კერძოდ 1986 წლის 28 აპრილს, თბილისში მომხდარმა ტრაგიკულმა შემთხვევამ ახალგაზრდა ცოლ-ქმრის სიცოცხლე შეიწირა. ქალი, თამარ ივანეს ასული ჯინჭარაძე, 9 თვის ფეხმძიმე იყო და დღე-დღეზე უნდა ემშობიარა. საბედნიეროდ, ექიმებმა ახალშობილი ტყუპების სიცოცხლის გადარჩენა დიდი ძალისხმევის შედეგად მაინც შესძლეს.

გარდაცვლილი ცოლ-ქმრის მშობლებს უთანხმოება ჯერ კიდევ წყვილის დაქორწინებამდე ჰქონდათ. ვაჟის მშობლებს რძლის ოჯახი საკუთარი ოჯახის შესაფერისად არ მიაჩნდათ და მძახლებთან ურთიერთობას გაურბოდნენ. იმ შემაძრწუნებელი ავარიის შემდეგ მათი უთანხმოება კიდევ უფრო გაიზარდა: გაუთავებლად კინკლაობდნენ და ერთმანეთს ავარიის გამომწვევი მიზეზების ურთიერთგამომრიცხავ ვერსიებს უმტკიცებდნენ.

როგორც ექსპერტიზამ დაადგინა, გარდაცვლილი მამაკაცი, ალექსანდრე ილიას ძე კვინტრაძე, საჭესთან ნასვამი მჯდარა, რაც ჯინჭარაძეების მხარემ საფუძვლიან არგუმენტად გამოიყენა: „ნასვამმა როგორ გაბედა ფეხმძიმე ცოლის მანქანაში ჩასმა“-ო. კვინტრაძეები იქით ედავებოდნენ: „ხომ იცოდა, ქმარი რომ ნასვამი იყო, საჭესთან დაჯდომა რატომ არ გადააფიქრებინა, ან მანქანაში თვითონ რატომ ჯდებოდა“-ო. ერთმანეთს ემუქრებოდნენ: „ბავშვები ჩვენთან იცხოვრებენ და „იმათ“ არ გავაკარებთ“-ო.

ბევრი უაზრო ურთიერთშელაპარაკებისა და მღელვარების შემდგომ, ორივე მოდავე მხარე, როგორც იქნა, მიხვდა, რომ გარდაცვლილებს ვერაფერს უშველიდნენ, ხოლო ტყუპებს მშვიდ გარემოში აღზრდა სჭირდებოდათ.

შუამავლების მეშვეობით ხანგრძლივმა მოლაპარაკებებმა, ჩემის აზით, არაეთიკური და არაადამიანური შედეგი გამოიღო – ტყუპების ერთმანეთში გაყოფა გადაწყვიტეს, ანუ ახალშობილი ჩვილები ერთმანეთს დააშორეს. შეთანხმდნენ, რომ არასოდეს ერთ ქალაქში არ იცხოვრებდნენ და არასოდეს გაუმხელდნენ ბავშვებს მათი ამქვეყნად მოვლენასთან დაკავშირებული ვნებათაღელვის ამბავს. ცხადია, ტყუპებს ერთმანეთის არსებობის შესახებ არაფერი ეცოდინებოდათ. ჯინჭარაძეების მრავალრიცხოვანი სანათესავო აჭარაში სახლობდა, ამიტომ ჩვილ ანდრო კვინტრაძეს გვარი ჯინჭარაძით შეუცვალეს და აღსაზრდელად ბათუმში წაიყვანეს.

პატარა ალეკოსთან ერთად კვინტრაძეები თბილისში დარჩნენ. ქალაქში ერთ-ერთი უმდიდრესი ოჯახია და შვილიშვილს საუკეთესო აღზრდა-განათლება მისცეს. ალეკომ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურა 21 წლის ასაკში წარჩინებით დაამთავრა და 2 წლის განმავლობაში პრაქტიკას ოქსფორდის უნივერსიტეტში გადიოდა. მას თავისუფლად შეეძლო ბრიტანეთში სამუდამოდ დარჩენა და წარმატებული სამეცნიერო კარიერის „აწყობა“, მაგრამ მან საქართველოში დაბრუნება და სამშობლოს ერთგული სამსახური არჩია. იგი, როგორც მოგეხსენებათ, გაუჩინარებამდე აბასთუმნის ობსერვატორიაში მეცნიერ-თანამშრომლად მუშაობდა და პარალელურად თსუ-ს დოქტურანტურაში სწავლობდა. მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა, უმცროს ალექსანდრე კვინტრაძეს ასტროფიზიკის დარგში დიდი პოტენციალის მქონე, პერსპექტიულ მეცნიერ-მკვლევარად მიიჩნევდნენ.

ტყუპი ძმების, ალექსანდრე კვინტრაძისა და ანდრია ჯინჭარაძის ერთმანეთისაგან გარჩევა უცხო თვალისათვის თითქმის შეუძლებელი

იყო. ისინი განსაკუთრებული პიროვნული მომხიბვლელობით, წარმოსადეგი გარეგნობითა და კარგი გემოვნებით გამოირჩეოდნენ, არც დახვეწილი მანერები და გალანტურობა აკლდათ, ამიტომ ქალებში დიდი მოწონებით სარგებლობდნენ. ალექსანდრე კვინტრაძე 20 წლის ასაკში თანაკურსელ გოგონაზე, ირმა იანტბელიძეზე სიყვარულით დაქორწინდა და 3 შვილი შეეძინა: 2007 წელს – ტყუპი გოგონა და ბიჭუნა, ეკატერინე (კატო) და ლუკა, 2011 წელს კი – ნაბოლარა მარიამი. ანდრია ჯინჭარაძეს ცოლ-შვილი არ ჰყოლია.

***

ანდრია ჯინჭარაძე ბათუმის კოლორიტი იყო – დარდიმანდი, მოქეიფე, ცნობილი მექალთანე, ბუნებრივი ნიჭიერებისა და ზოგადი დილეტანტური თვითგანათლების წყალობით, ბათუმის საზოგადოებაში, ერუდირებულ პიროვნებად და სასიამოვნო მოსაუბრედ ითვლებოდა, თუმცა უმაღლესი განათლება არ მიუღია. მოხუცი პაპა-ბებია სათანადო სიმკაცრეს ვერ იჩენდნენ „ბედისაგან ისედაც დაჩაგრული ობოლი ბავშვის“ მიმართ და ყველანაირად ანებივრებდნენ, ამიტომ ანდრო ეგოისტი და თავნება გაიზარდა, საკუთარი სიამოვნების გარდა, არაფერი ადარდებდა. ანდრია აზარტული მოთამაშე იყო და სამორინეებსაც ხშირად სტუმრობდა, განსაკუთრებით ე.წ. „რულეტკა“ იტაცებდა. ზღვარგადასული ჟინიანობისა და იღბლიანობის გამო, თბილისის ცნობილ კაზინო „ევროპაში“ ჯინჭარაძეს მეტსახელად „ზერო“ შეარქვეს.

ოჯახის ქონება რომ დაანიავა და გასართობი ფულიც შემოაკლდა, ანდრო ჯინჭარაძემ ნარკოტიკებით ვაჭრობას მიჰყო ხელი. თავიდან ყველაფერი ძალიან ადვილად ეჩვენებოდა, უმართლებდა კიდეც. „კაი ბიჭებში გაჩითული“ ძმაკაცებისაგან გაიგო, რომ საქართველოში ყველაზე მოთხოვნადი ნარკოტიკი სუბოტექსი და ჰეროინი იყო, რომლებიც ქვეყანაში ევროპიდან, თურქეთიდან და აზერბაიჯანიდან შემოდიოდა. „გაანათლეს“, რომ საზღვარზე სუბოტექსის გეშს სპეციალურად გაწვრთნილი ძაღლიც კი ვერ აიღებდა. ამიტომ ანდრია ჯინჭარაძემ, თურქული წარმოშობის გერმანელი კრიმინალის ვინმე აზიზ ილმაზის (ცნობილია მეტსახელით „მუსტაფა“) ფინანსური მხარდაჭერით ე.წ. „მეორადი მანქანების ბიზნესი“ წამოიწყო – ავტომანქანები გერმანიიდან საქართველოში შემდგომი რეალიზაციის მიზნით ჩამოჰყავდა. ზოგიერთი მანქანის სავარძლებს ორმაგი ფსკერი (რასაკვირველია, წინასწარ განსაზღვრული საფასურის სანაცვლოდ) გერმანელი კრიმინალების დახმარებით უკეთდებოდა და ნარკოტიკის მოსათავსებლად მოხერხებული სამალავიც მზად იყო.

შეთანხმებისამებრ, ნარკოტიკების ყოველი პარტიის რეალიზაციიდან ამოღებული თანხის 50% „ზეროს“ „მუსტაფასათვის“ უნდა მიერთმია. მსგავსი „კაბალური“ პირობები ჯინჭარაძეს თავიდანვე უსამართლოდ მიაჩნდა, რადგან თვითონ დიდ რისკს ეწეოდა, ილმაზს კი ფული „მზამზარეულზე“ მისდიოდა.

საქართველოსა და თურქეთის პოლიციის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან ბრძოლის შესაბამისი სამსახურები, საერთაშორისო კრიმინალური პოლიციის „ინტერპოლის“ ეროვნულ ბიუროებთან ერთად, ნაყოფიერად თანამშრომლობდნენ და, რა თქმა უნდა, ჰქონდათ ოპერატიული და ანალიტიკური ინფორმაცია ნარკომოვაჭრეებისა და, მათ შორის, ანდრია ჯინჭარაძის შესახებაც, მაგრამ „ზერო“ ჭკვიანი, გაქნილი და გაცვეთილი თაღლითი იყო, ამასთან უშიშარიც და ძალიან ფრთხილიც – „საქმეზე“ მარტო მიდიოდა, კონსპირაციის წესებსაც გულმოდგინედ იცავდა, ამიტომ რამდენიმე მსხვილი გამსაღებლის გარდა, რეალიზატორები მას სახეზე არ იცნობდნენ. პრაქტიკულად „ზერომ“ საკუთარი ნარკოქსელი შექმნა და ამდენად, მისი „ფაქტზე გამოჭერა“ პოლიციისათვის არც ისე ადვილი იყო.

„ზეროს“ „მუსტაფსათვის“ მიცემული პირობა 2 წლის განმავლობაში არ დაურღვევია და წილს (ანუ ნარკოტიკების ყოველი პარტიის გასაღებიდან მიღებული შემოსავლის ნახევარს) „პატიოსნად“ უგზავნიდა, ფაქტობრივად ხარკს უხდიდა. გადახდილმა თანხამ ნახევარ მილიონ ევროს რომ გადააჭარბა, „ზერომ“ ვალი გასტუმრებულად ჩათვალა და „მუსტაფასათვის“ თანხის გაგზავნით თავი აღარ შეუწუხებია.

ნაცნობი „კაი ბიჭებისაგან“ ჯინჭარაძეს სმენოდა კრიმინალურ სამყაროში მიღებული თამაშის წესების შესახებ, ამიტომ მშვენივრად იცოდა, რომ ილმაზი „წილის მოტეხვას“ არ შეარჩენდა და „საქმეს“ აუცილებლად „გაურჩევდა“. ასეც მოხდა – სამი თვის „გადაუხდელობითა“ და „ზეროს“ თავგასულობით გაკვირვებულმა „მუსტაფამ“ ჯინჭარაძეს გერმანიიდან დაურეკა და „მეგობრული“ მისალმება-მოკითხვის შემდეგ ჰკითხა, თუ რა მიზეზით შეუწყვიტა ანდრო-ბეიმ ილმაზს „ძღვენის“ მირთმევა. „ზერომ“ სიტყვა ბანზე აუგდო და პასუხისაგან თავის არიდება სცადა, რამაც „მუსტაფა“ განარისხა. მან „ზეროს“ შეატყობინა, რომ კუთვნილი წილის წამოსაღებად ძალიან მალე საქართველოში „გარდაშს“[23] (ანუ ნდობით აღჭურვილ პირს) გამოაგზავნიდა. ანდრია ჯინჭარაძე, როგორც გამობრძმედილი გაიძვერა, ინტუიციით მიხვდა: რადგან ილმაზს „გარდაშის“ ვინაობა, ჩამოსვლის ზუსტი თარიღი და დრო არ უთქვამს, სიტყვათა უწყინარი თანაწყობა „ძალიან მალე“ მოულოდნელ თავდასხმას მოასწავებდა. „ზეროს“ ესმოდა, რომ „მუსტაფა“

გადაიმტერა და მასთან ძალისმიერი დაპირისპირებისაგან თავდაცვას „ავტორიტეტული“ კრიმინალების „მფარველობის“ გარეშე ვერანაირად შესძლებდა. კრიმინალებთან „საქმიანი“ ურთიერთობა საშიში იყო, ამასთან „მფარველობა“ თავისთავად გულისხმობდა რეგულარულ სოლიდურ „გადასახადს“. ჯინჭარაძეს კი „საკუთარი შრომით“ ნაშოვნი ფულის სხვისთვის გაყოფა არ უყვარდა და „ზედმეტი“ დანახარჯებისაგან“ თავის ასარიდებლად ყოველთვის მარტო „მუშაობდა“. ამდენად, „ზეროსთვის“ გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა, თუ ვის გადაუხდიდა ხარკს: „მუსტაფას“ თუ „მფარველებს“. სხვა გზა არ ჰქონდა, – ილმაზისაგან თავდასაცავად ჯინჭარაძეს რაიმე არაორდინალური სქემა უნდა მოეფიქრებინა. უძილო ღამისა და განსჯის შედეგად, მისი აზრით, საუკეთესო გამოსავალი მოძებნა: „გარდაშთან“ გარიგება და „თანამშრომლობის“ შეთავაზება გადაწყვიტა.

მეორე დილით „ზერომ“ თადარიგი დაიჭირა და „მუსტაფას მარჯვენა ხელის“ დასახვედრად სათანადოდ მოემზადა: მსოფლიოში ცნობილი საიუველირო ბრენდების საფირმო მაღაზია „ფრანკო ფონტანაში“ 40 გრამიანი ბაჯაღლო ოქროს ე.წ. „ჯაჭვი“ და 2-კარატიანი ბრილიანტისთვლიანი მოოქროვილი პლატინის საყურეები შეიძინა და ბათუმის იმდროინდელ საუკეთესო რესტორან „სან-რემოში“ მაგიდა ორი კაცისათვის დაჯავშნა.

ჯინჭარაძე „გარდაშის“ ჩამოსვლას ყოველ წუთს ელოდა და ძალიანაც ნერვიულობდა. ილმაზი ემისრის გამოგზავნას განზრახ აყოვნებდა ორი მიზეზის გამო: ჯერ ერთი, სურდა „ზერო“ დაეშინებინა, ხანგრძლივ სტრესულ მდგომარეობაში ემყოფებინა, მორალურად „გაეტეხა“ და დაემორჩილებინა; მეორე, „კუთვნილი წილის“ – 3 თვის დაგროვილი გადაუხდელი თანხის („მუსტაფას“ ვარაუდით, დაახლოებით 50 ათასი ევროს) – მოძიებას დრო სჭირდებოდა.

სატელეფონო საუბრიდან ათ დღეში, 2011 წლის 20 ივლისს, აზიზ ილმაზმა ბათუმში ანდრია ჯინჭარაძესთან „საქმის გასარჩევად“ თავისი ერთგული „გორილა“, ვინმე ქერიმ ტოპლუ, მეტსახელად „ფენრირი“[24] გაგზავნა.

„ფენრირი“ სხარტი გონებითა და საღი აზროვნების უნარით დიდად არ ბრწყინავდა, ამიტომ თითქმის არ ლაპრაკობდა. სამაგიეროდ გოლიათის განუზომლად დიდი ფიზიკური სიძლიერე გამბედაობას და თვითრწმენას ანიჭებდა, შმაგი და სასტიკი ბუნება კი შიშსა და სიფრთხილეს ავიწყებდა. ტოპლუს ამქვეყნად არსებობის ერთადერთ მამოძრავებელ ძალასა და მიზანს ანგარება წარმოადგენდა, – ფულის გულისათვის საკუთარ დედასაც კი არ დაინდობდა. „ფენრირი“ ტოპლუს სწორედ

რომ დაუნდობელი და ხარბი ბუნების გამო, გერმანიის ქალაქ დიუსელ-დორფის სასჯელაღსრულების ერთ-ერთ დაწესებულებაში პატიმრებმა შეარქვეს. ტოპლუ ღამის რეისით ჩამოფრინდა და ბათუმის საერთა-შორისო აეროპორტიდან პირდაპირ ჯინჭარაძის სახლისაკენ გაეშურა.

ანდრია ჯინჭარაძე გოგებაშვილის ქუჩის ე.წ. „იტალიურ ეზოში“ რუხი ქვით ნაშენი სახლის მეოთხე სართულზე, სამოთახიან ბინაში მოხუცა პაპა-ბებიასთან ერთად ცხოვრობდა. მყუდრო, ხასხასა მწვანე გაზონებიან ეზოს ვარდისფერ-ცისფერი ჰორტენზიები და ალისფერი გლადიოლუსები ამშვენებდნენ. სახლი თითქმის საუკუნე-ნახევარს ითვლიდა და საძირკველის გამაგრებასა და საფუძვლიან შეკეთებას საჭიროებდა, მაგრამ მობინადრეებს, ჯინჭარაძის გარდა, კაპიტალური რემონტისათვის აუცილებელი თანხა არ გააჩნდათ. ანდრია ჯინჭარაძე კი, რა თქმა უნდა, საკუთარი „ქისის ბარაქის“ გამომზეურებას ყოველთ-ვის ერიდებოდა, თუმცა საკუთარი თავის პატივისცემა არასდროს ავი-წყდებოდა და ბათუმის თანამედროვე უბანში, ახალ ბულვარში მშენე-ბარე ფეშენებელურ საცხოვრებელ სახლში თანამედროვე დიზაინის, კეთილმოწყობილ ე.წ. „დუპლექსს“ იშენებდა.

ღამის სამი საათი იყო, „ზეროს“ ეძინა, მაგრამ ეზოს ძაღლების გააფ-თრებულმა ყეფამ გამოაფხიზლა, აივნიდან კიბეზე გადაიხედა და მთ-ვარის მკრთალ შუქზე ნათლად დაინახა, თუ როგორ ცდილობდა ვიღაც „ჯანიანი ახმახი“ კიბეზე უხმაუროდ ამოსვლას. ჯინჭარაძე ტოპლუს პირადად არ იცნობდა, მაგრამ გერმანელი ავტოხელოსნებისაგან მასზე ბევრი სმენოდა და მის ვინაობასაც მიხვდა.

„ფენრირმა“ დააკაკუნა, კართან ნახევრად მძინარე მოხუცი ჯინ-ჭარაძე ლასლასით მივიდა (აბა საყვარელ შვილიშვილს ხომ არ შეა-წუხებდა) და დაუპატიჟებელ სტუმარს გაღიზიანებულმა უცერემონიოდ ჰკითხა:

– ვინ ბრძანდები ამ შუაღამისას?

– Это Керим, я друг Андро,[25] – მოგუდული ხმით, რუსულად უპასუხა ტოპლუმ.

ილმაზმა და ტოპლუმ სალაპარაკო რუსული ენა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან გერმანიაში ემიგრირებულ რუსულენოვან კრიმი-ნალებთან ურთიერთობისას შეისწავლეს, ამდენად ჯინჭარაძესთან კონ-ტაქტი და „საქმიანი თანამშრომლობაც“ ენობრივი ბარიერის გამო, ნამ-დვილად არ გასჭირვებიათ.

კარი გაიღო და ევროპული სტილის თეთრ სამოსში გამოწყობილი, მკვეთრად გამოკვეთილი აღმოსავლური იერის მქონე, უშველებელი უცნობი მამაკაცის დანახვამ მოხუცი უსიამოვნოდ შეაკრთო:

– ანდროს სძინავს. შენ ტახტზე დაბრძანდი, ახლავე გავაღვიძებ, – რუსულადვე უპასუხა და წინკარიდან მისაღები ოთახისაკენ ჟესტით მიიწვია.

– არ მძინავს, აქ ვარ. შენ წადი, დაწექი და დაიძინე, ბაბუ. – დაყვავებით, ქართულად მიმართა ნირწამხდარმა შვილიშვილმა.

პაპა-ბებიამ არ იცოდნენ „ზეროს“ ნარკოტიკებით ვაჭრობისა და სხვა „საგმირო საქმეების“ შესახებ, თუმცა ვერც გაუბედავდნენ ეკითხათ, რითი ირჩენდა თავს მათი „სათაყვანებელი ბიჭი“. მოხუცმა ჯინჭარაძემ თავი უკმაყოფილოდ გაიქნ-გამოიქნია და მხრებჩამოყრილი საძინებლისაკენ წაფრატუნდა.

სანამ „ფენრირი“ კიბეზე ამოდიოდა და მასპინძელს „ესაუბრებოდა“, „ზერომ“ სასწრაფოდ ტანთ ჩაიცვა და რამდენიმე დღის წინ მიზნობრივად ნაყიდი ძვირფასეულობა და მაყუჩიანი „ბერეტა“ საკუთარი საძინებლის იატაკში მოწყობილი საიდუმლო სამალავიდან ნაჩქარევად ამოიღო და ლეიბის ქვეშ ამოსდო.

– ვინც არ უნდა იყო, კეთილი იყოს შენი მობრძანება, ქართველები სტუმარს დიდ პატივს ვცემთ. ეს სახლი შენს საკუთარ სახლად იგულე! – თაფლად დაიღვარა „ზერო“, წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით მოქმედებდა.

– მე „ფენრირი“ ვარ, „მუსტაფას“ „გარდაში“. – დაბალი ხმით წარმოსთქვა ტოპლუმ და ჯინჭარაძეს თვალი თვალში გაუყარა, აინტერესებდა, მისი „VIP-persona“ და „ტიტული“ „ზეროზე“ რა შთაბეჭდილებას მოახდენდა.

– მოხარული ვარ, ძმაო, – არ დაიბნა „ზერო“ და „ფენრირის“ წინაშე ოცდათორმეტივე კბილის დემონსტრირება წარმატებით მოახდინა. – მშიერი იქნები, ნამგზავრი ხარ. წავიდეთ, რესტორანში გემრიელად ვივახშმოთ და გოგონებსაც თვალი გადავავლოთ, რომელიმე თუ მოგეწონა... – „ზერომ“ „ფენრირს“ თვალი ჩაუკრა და ენა გააწკლაპუნა.

ტოპლუსთან „საქმეზე“ ლაპარაკს ჯინჭარაძე საკუთარ სახლში არც აპირებდა, – არ სურდა პაპა-ბებიას გაეგოთ მისი უკანონო ქმედებების შესახებ. თავს არა იმიტომ იკავებდა, რომ ოჯახს პატივს სცემდა, ან მის სახელსა და ღირსებას უფრთხილდებოდა და საკუთარი უგვანო საქციელის რცხვენოდა, არამედ შიშობდა: „მოხუცები არინ და შემთხვევით არსად არაფერი წამოაყრანტალონ“-ო.

– არა, რესტორანში საქეიფოდ არ ჩამოვსულვარ, სალაპარაკო გვაქვს, ეს შენც იცი, – ტოპლუს ამღვრეული მზერა კარგს არაფერს მოასწავებდა.

– ყველაფერი მოვაგვარე, კარგი ამბავი მაქვს შენთვის, – ნაძალადევი მხიარულებით წარმოსთქვა ჯინჭარაძემ.

„ფენრირი“ შეცბა, ვერ მიხვდა, რას გულისხმობდა „ეს გიაური[26] გურჯი[27]“.

– აქ, ამ სახლში, თავისუფლად ვერ ვილაპარაკებთ, ხომ იცი, კედლებსაც ყურები აქვთ. თუ სასწრაფო საქმეა, ახლავე პლაჟზე გავიდეთ, თუ არა – დავიძინოთ და დილით დასვენებულ გონებაზე რესტორანში ვისაუბროთ, – შესთავაზა „ზერომ“.

– ხო გითხარი: „ქეიფს არ ვაპირებ“-მეთქი, – გაბრაზდა ტოპლუ.

– კი მაგრამ, რესტორნებში დღისით ხალხი უბრალოდ გემრიელად ჭამს, ქეიფი აქ არაფერ შუაშია. თუ არ გინდა, ნუ წავალთ, – უკან დაიხია ჯინჭარაძემ.

„ფენრირი“ შეფიქრიანდა: „ეს გურჯი საკუთარი მოხუცების სახლში არაფერს დამიშავებს, თან აქედან არსად გაიქცევა, – მძევლებს არ დამიტოვებს. ამაღამ ამ ოთახში ლაპარაკი მართლაც არ ღირს, ძალიან პატარა ბინაა – იმ გაძვალტყავებული ბებრის ხვრინვის ხმა აქ მესმის. თანაც ამბობს, ყველაფერი მოვაგვარეო, ალბათ აზიზ-ბეის წილი გამზადებული აქვს“.

– კარგი, ახლა დავიძინოთ და ხვალ ვილაპარაკოთ. იცოდე, არ ვხუმრობ, წესიერად მოიქეცი – „ფოკუსების“ გარეშე, თორემ ინანებ, – დაემუქრა „ზეროს“.

ჯინჭარაძეს გულში გაეცინა: „ამ „ნაბიჭვარს“, ორი რამის ეშინია – ან არ „დავახვიო“, ან არ „დავბრიდო“, – არ მენდობა. არაფერია, ოქროულობას რომ მივაშავებ სხვაგვარად აჭიკჭიკდება“.

– თავი მშვიდად რომ იგრძნო, ამ ტახტზე დაიძინე, ლოგინს ახლავე გამოგიტან. დილით კი კარგ სასტუმროში მოგათავსებ, – „ზერო“ საძინებლისაკენ გაემართა და მალევე პლედითა და ბალიშით ხელში მისაღებ ოთახში დაბრუნდა.

– ძილი ნებისა, „გარდაშ“, ტკბილ სიზმრებს გისურვებ, – „ზერო“ ისე ელაქუცებოდა „ფენრირს“, რომ საკუთარი საქციელის თვითონვე უკვირდა: „აუ, როგორ „დავჩმორდი“! რა ვქნა, „ბრატ“, სული ტკბილია! ამ მყრალს ტკბილი სიზმრები ბოლოს ალბათ დედამ თუ უსურვა ბავშვობაში! უჰ, მე შენი დედა ... !“

ტოპლუს „დაბინავების“ შემდეგ აფორიაქებული ჯინჭარაძე დასაძინებლად გაეშურა. „ზეროს“ გული და ფიქრები კაკანათში გაბმული, განწირული, უმწეო ჩიტებივით ფართხალებდნენ: მეორე დღეს მისი მომავალი წყდებოდა და შიშობდა – კვლავ გაუღიმებდა თუ არა ადამიანური ვნებების ნებაყოფლობითი მატერიალიზაციისაგან მიღებული იძულებითი შემოწირულობებით გაპრანჭული, კაპასი და ჭირვეული ქალბატონი ფორტუნა?!

* * *

გამთენიისას „ზერო“ და „ფენრირი“ ბინიდან უხმაუროდ გამოიძურწნენ და სალაპარაკოდ ზღვის სანაპიროსაკენ გასწიეს. სანაპიროზე შეყვარებული წყვილის გარდა, არავინ ჭაჭანებდა. გოგონაც და ყმაწვილიც თითქმის ბავშვები იყვნენ, წინწკლებიან კენჭებზე მუხლმოკეცით დამსხდარიყვნენ და ზღვიდან მზის ნარნარი ამოცურების ულამაზესი სურათით მდუმარედ ტკბებოდნენ.

ბათუმური განთიადის განუმეორებელი ხიბლი გულგრილს არავის სტოვებს, მაგრამ მტაცებლური ზრახვებით გაჯერებულ, ამღვრეულ ფიქრებში ფსკერამდე ჩაძირული ტოპლუ და ჯინჭარაძე ბუნების მშვენიერებას ვერც ამჩნევდნენ.

ირგვლივ კი მართლაც ნატიფი მშვენიერება სუფევდა: დალიანდაგებული მატყლივით აქა-იქ ამობურცული, ვარდისფრად, იისფრად და რძისფრად დაფერილი მომცრო ღრუბლები, ფირუზისფერი ზღვისა და ლურჯი ცის ნაზი ოქროსფერი სხივებით მოვარაყებულ შორეულ შესაყარზე უშფოთველად დავანებულიყვნენ; ბულვარზე დაუღლელად მოშრიალე, უთვალავი ჭრელკაბიანი ყვავილი და წერწეტა ყავისფერფეხება პალმები, მწვანე გაჩეჩილი თმებით, მოლივლივე ზღვასა და გამჭვირვალე ცას ჰარმონიულად ერწყმოდნენ და მნათობისა და ღრუბლების ხელთუქმნელ ფერადოვნებასთან ერთად განუყოფელ მთლიანობას ქმნიდნენ...

„ზერო“ და „ფენრირი“ შეყვარებულ წყვილს დაახლოებით 100 მეტრით დაშორდნენ და უსიამოვნო საუბრისათვის მოემზადნენ. „ფენრირი“ „ზეროს“ ფართოტოტებიანი შავი შარვლის გამობერილ მარჯვენა ჯიბეს თვალს არ აშორებდა. „ზერო“ მიხვდა და ჩაეცინა, თეატრალური ჟესტით ორივე ხელი მაღლა ასწია და შემრიგებლურად წარმოსთქვა:

– უიარაღო ვარ.

ჯინჭარაძემ დამაჯერებლად იცრუა, – მარჯვენა ფეხთან წინდაში მოხერხებულად დამალულ „ბერეტას“ შარვლის ტოტი უფარავდა.

– ჩვენი ძმობისა და საქართველოში შენი პირველად ჩამოსვლის სამახსოვროდ პატარა საჩუქარი მოგიმზადე, – ჯინჭარაძემ ჯიბიდან ორი ხელისგულისოდენა ხავერდის კოლოფი ამოიღო და ტოპლუს გაუწოდა.

– შავი შენია, წითელი – შენი დედოფლის, გახსენი.

იმ წუთებში ტოპლუს სახის გამომეტყველების მრავალფეროვნება ნამდვილ სანახაობას – გულწრფელი გაკვირვების, დაუოკებელი სიხარბისა და შიშნარევი უნდობლობის ნაზავს – წარმოადგენდა. ერთის მხრივ, ძალიან სურდა კოლოფების გახსნა, მეორეს მხრივ, ორჭოფობდა, „ზეროს“ მოულოდნელმა გულუხვობამ განაცვიფრა. მაინც ვერ მოით-

მინა და ჯერ შავი, შემდეგ კი წითელი კოლოფიც გახსნა. შავ კოლოფში ბაჯაღლო ოქროს ე.წ. „ჯაჭვი“, ხოლო წითელში – ბრილიანტისთვლიანი ულამაზესი საყურეები ეწყო. ტოპლუ აღელდა: ხელები აუკანკალდა, თვალები გაუფართოვდა, გაოგნებისაგან აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო და გამომშრალ ტუჩებს უაზროდ იკვნეტდა. „ამქვეყნად ქრთამი ყველაფერს ანათებს და ამ ჩლუნგი ჯოჯოს დაბნელებულ ტვინსაც როგორმე გაანათებს“, – „ფენრირს“ შეფარვით უმზერდა და გულში დასცინოდა „ზერო“, შემდეგ აგდებულად უთხრა:

– რას სხმარტალებ და ზღვიდან ახლად ამოყვანილი თევზის ორბიტიდან ამოვარდნილი თვალებით მომჩერებიხარ, დაა?! აიღე, ძმაო, ეს შენი „ფეშქაშია“, ალალი იყოს!

ჯინჭარაძეს ტოპლუს დაბნეულობა, მდუმარება და უმოქმედობა მისი გადმობირების შესაძლებლობაში არწმუნებდა და გულში გამარჯვებას ზეიმობდა: „ეს ბრიყვი ვერც კი ხვდება, რო „მუსტაფას“ არ გამოეპარება მისი ჩემთან სახლში „ვიზიტის“ ამბავი და „რაზბორკას“ მოუწყობს... მდა�ა, მით უკეთესი ჩემთვის... აი, მაშინ კი „მოწვავს“, რო ილმაზთან ძმობას ჩემთან პარტნიორობა ურჩევნია“.

– მადლობა, – „მსუყე ძღვენს“ ვერ შეელია ტოპლუ, – ძვირფასი საჩუქრებია!

– რას ამბობ, „ბრატ“, ჩვენი ძმობისა იყოს! მოდი, ვითანამშრომლოთ და საერთო ბიზნესი ავაწყოთ! – შეჰღიმა ჯინჭარაძემ.

– რაზე მელაპარაკები? – ვერ გაიგო ტოპლუმ.

– ბიზნეს-პარტნიორობის წინადადებაზე, ანუ ვითანამშრომლებთ მხოლოდ შენ და მე და სხვა არავინ. მოდი, გერმანიის წინასწარ შერჩეულ რომელიმე ქალაქში (გარდა დიუსელდორფისა, რადგან იქ „მუსტაფას“ სამფლობელოა) და თბილისში ერთდროულად გავხსნათ ლეგალური ფირმები: გერმანიაში შენს მფლობელობაში დავაფუძნოთ მეორადი მანქანების შემსყიდველი ავტო-სარემონტო სახელოსნო, ხოლო თბილისში, ჩემს მფლობელობაში – უცხოური მეორადი მანქანებით მოვაჭრე ავტო-სალონი. მანქანებს გერმანიაში „კონდიციამდე“ შენი სახელოსნო მიიყვანს და საქართველოში გამოაგზავნის, აქ კი მათ გაყიდვაზე ჩემი სალონი იზრუნებს. ზოგიერთ მანქანას ორმაგ ძირიანი, ანუ „სეკრეტიანი“, „სიდენიები“ ისე უნდა დაუყენო, რომ სამალავში „სუბოტექსი“ უპრობლემოდ მოთავსდეს. პრეპარატს გერმანიაში ან საფრანგეთში პირადად შენ შეიძენ, სამალავშიც პირადად მოათავსებ (ნარკოტიკების შესახებ მხოლოდ ჩვენ ორს გვეცოდინება) და სხვა მანქანებთან ერთად გამოგზავნი. ძაღლები „სუბოს“ სუნს ვერ იღებენ, ამიტომ საზღვრებზე არ შევფერხდებით. ხო იცი, რო ნარკოტიკების გასაღება ძალიან დიდ

„მაყუთს“ მოკლე დროში „გაგვაჭრევინებს“. ამ წლების განმავლობაში საკმარისი თანხა მოვაგროვე და პროექტს (ანუ ორივე ფირმის დაფუძნებას) მე დავაფინანსებ (შენ ერთი ევროს დახარჯვაც კი არ დაგჭირდება), თანაბარუფლებიანი პარტნიორები ვიქნებით და მოგებასაც პატიოსნად შუაზე გავიყოფთ. მოგების სამართლიანი განაწილების კონტროლის მექანიზმს და ერთიანი ფარული (სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოებისაგან დამალული) ბუღალტერიის წარმოების წესს შემდგომში შევიმუშავებთ (ეს ძნელი არ იქნება, რადგან ჭკვიანმა ხალხმა კაცობრიობას უკვე აჩუქა ინტერნეტი და აიფონი), დეტალებზე მოვილაპარაკებთ და შევთანხმდებით. სარფიანი საქმეა, მალე გავმდიდრდებით. არ „დაგევასება“, როცა დამოუკიდებლები ვიქნებით, ბევრი „ფარა“ გვექნება და ყველა პატივისცემით მოგვექცევა?! მაშინ ნახე „ფეშენ ჰაუსები“, უახლესი მარკის „სუპერ-ტაჩკები“, „ჩერესჩურ“ მაგარი „ნაშების“ ცვენა და მსოფლიო „კრუიზ-პაეზდკები“! – ენად გაიკრიფა ჯინჭარაძე და „ნათელი ნარკობიზნეს-მომავლის“ „გასხივოსნებული“ სურათი ერთი ამოსუნთქვით მოხაზა.

– ეს რა ესმის ჩემს ყურებს?! ანდრო-ბეი, „მუსტაფას“ „გადაგდებას“ მთავაზობ?!! სიმართლე გითხრა, შენმა ლაპარაკმა გული კაქტუსის ეკალივით განმიგმირა, იქნებ ვცდები და რუსულის არასაკმარისი ცოდნის გამო, შენი გულსაკლავი სიტყვების შინაარსი სწორად ვერ გავიგე?! – შეიცხადა „ფენრირმა“.

„აუ, ეს „შნირი“ ტაკიმასხარაც ყოფილა! თმა-წვერის დაპუტვა არ დაიწყოს! საიდან მოათრია ეს „ყურები“ და „კაქტუსები“? თუ ეს საუბრის აღმოსავლური სტილია?“ – ტოპლუს პათეტიკამ და არქაულმა ფრაზეოლოგიამ ჯინჭარაძე გააღიზიანა და ზიზღი მოჰგვარა, – „მეთამაშება, ფასს იწევს. ბებია უჭყავის, გადავყვები თან!!! მაინც ჩემ ხელშია. საჩუქარი ხო მადლიერებით მიიღო, თანაც ამ რეგვენმა ღამე ჩემს სახლში გაათია, არა მგონია ილმაზს ეს ყველაფერი მოეწონოს, განსაკუთრებით ეს ზიზილ-პიპილო ოქრო-ბრილიანტის ჟღარუნების ამბავი! უკან არ დავიხევ, ბოლომდე „მივაწვები“ და იქნებ სიტყვიერ გარიგებას მაინც მივაღწიო.“

– „რიჟა ბაზარს“ შეეშვი! – დამცინავად მიმართა „ზერომ“ „ფენრირს“, – როდემდე უნდა იყო „მუსტაფას“, არ გეწყინოს და, „ხელის ბიჭი“? „მუსტაფამ“ შენი ფასი არ იცის და პატივს არ გცემს: არაფრად აგდებს შენს აზრს, არც შენი გასაჭირი აინტერესებს, ყოველთვის მბრძანებლურად, ყმასავით გექცევა. მასთან ნუღარასოდეს დაბრუნდები, აქედან რო გაემგზავრები დიუსელდორფში არ ჩახვიდე, გერმანია დიდია, სხვა ქალაქში დასახლდი, სადმე საფრანგეთის საზღვართთან ახ-

ლოს, სადაც ნარკოტიკებით ვაჭრობა მიღებული „პონტია“. პატიოსან და სამართლიან გარიგებას გთავაზობ, ორივე თანაბრად ვიშრომებთ და თანაბრადაც ვიხეირებთ. მენდე, მე და შენ ერთად დიდ საქმეებს მოვაკვარახჭინებთ.

– კი მაგრამ, „მუსტაფამ“ ასეთი რა დაგიშავა, ასე რო სწირავ? კარგის მეტი რა გაუკეთებია: „ხალხში“ გამოგიყვანა, „ნარკობოსებთან“ დაგაკავშირა, ბიზნესი დაგაწყებინა. რო გაიძახი პროექტს მთლიანად ჩემი ხარჯებით დავაფინანსებო, – საიდან? „მუსტაფას“ ხელდასმით.

– „მუსტაფა“ უსამართლოდ მექცევა, ვალი დიდი ხანია პროცენტებით პირნათლად გავუსტუმრე, დაანგარიშებული მაქვს, თუ გინდა ბუღალტერიას გაჩვენებ. მაინც არ მეშვება და კიდე ითხოვს. შენც მაგისთვის არ გამოგიშვა, რო ჩემი ნაშრომი „მაყუთი“ „ამახიო“?! არამია ძმაო, არ შეერგება! წამოდი, ბუღალტერია შევამოწმოთ, მინდა დაგარწმუნო, რო „მუსტაფასი“ აღარაფერი მმართებს!

ჯინჭარაძემ მშვენივრად იცოდა, რომ ტოპლუ თავისი მწირი გონებრივი შესაძლებლობებით ბუღალტერიას ვერაფერს გაუგებდა, ამიტომაც სთხოვდა ასეთი რიხით შესამოწმებლად წასვლას.

– ეგ როგორ გავიგო, გამოდის, რომ შენ „მუსტაფასთან“ „მაყუთს“ არ გამატან?! – მუქარანარევი კილოთი დააზუსტა ტოპლუმ.

– „არა“ კი არა, ვერ გაგატან! მე აღარაფერი მრჩება, თანაც ვალი თავისი თავანით და „პროცენტის პროცენტებით“ რა ხანია გავისტუმრე! – არ შეეპუა ჯინჭარაძეც.

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ჯინჭარაძეს ტოპლუს მიერ აღებული „ქრთამის იმედი“ ნამდვილად ჰქონდა. გულწრფელად ეგონა, რომ „ფენრირის“ გადაბირებას მოახერხებდა, რადგან მიაჩნდა, რომ თანასწორუფლებიანი პარტნიორული თანამშრომლობის შეთავაზება იმ პირობებში, როდესაც ყოველგვარი დანახარჯის გარეშე ტოპლუ გერმანიაში საკუთარ სახელოსნოს ლეგალურად გახსნიდა, ხარბი და ანგარებიანი გახტაკანი „ფენრირისთვის“ ძალიან ხელსაყრელი წინადადება უნდა ყოფილიყო. „ზეროს“ აზრით, ერთობლივი ბიზნესი საკუთრივ მისთვისაც მომგებიანი იქნებოდა, რადგან ფუნქციების გონივრული გადანაწილებისა და „საქმიანობის სფეროების“ გამიჯვნისას, ორივე პარტნიორი თანაბრად დაიტვირთებოდა, ანუ „ფენრირი“ მოგების თავის წილს „დამსახურებულად გამოიმუშავებდა“ და „მუსტაფასავით“ წურბელად არ ეყოლებოდა კისერზე მომჯდარი. მართალია, „მუსტაფას“ მსგავსად, „ფენრირისთვისაც“ მოგების 50% უნდა მიეცა, მაგრამ ვინაიდან ორივე პარტნიორის საერთო მოგება მნიშვნელოვნად მეტი იქნებოდა „ზეროს“ ჩვეულებრივ მოგებასთან შედარებით, პარტნიორების მონაგები თანხის

წილიც გაცილებით გაიზრდებოდა.

„ზეროს“ გაბედულმა და მოულოდნელმა ნაბიჯმა „ფენრირი“ დააფიქრა – ერთია, ადამიანზე საიდუმლო ნადირობა, როდესაც ობიექტმა არაფერი იცის, ხოლო მეორეა, უცხო ქვეყანაში მტერთან ღია დაპირისპირება. „იქნებ ჯობდეს, ეს „გიაური“დავამშვიდო, – გულში მსჯელობდა ტოპლუ, – ვითომ პარტნიორობაზე დავთანხმდი, ამით საჩუქრებსაც შევინარჩუნებ და ეჭვსაც არ აიღებს. ამასობაში კი სასტუმროდან აზიზ-ბეის დავურეკავ და ყველაფერს მოვუყვები. ეს ნაძირალა „გურჯი“ილმაზის ფულის მოცემას მართლა არ აპირებს, ჩემს მოსყიდვა-გადაბირებასაც ამიტომ ცდილობს. ისე, მომგებიანი შემოთავაზება კია, მაგრამ „მუსტაფა-აღას“ ვიღაც „ბინძური ღორი“, „გიაური გურჯის“ გულისთვის ვერ განვუდგები, – გერმანიაში აღარ დამედგომება. აღას იმდენი ფული აქვს, რომც დავიმალო, ჩემს თავს მაინც მოაძებნინებს და მოაკვლევინებს, ან სად უნდა დავიმალო, ყალბ საბუთებს აღა მიკეთებს ხოლმე. თურქეთშიც ვერ დავბრუნდები, იმ „ნაბოზვარის“ გამო მეძებენ. საქართველოში როგორ ვიცხოვრო, ამ გიჟი „ზეროს“ გარდა არავის ვიცნობ. გიჟია, აბა რა არი – აწყობილი ბიზნესი აქვს, „მუსტაფაც“ მფარველობდა, მან კი მოყვარე მტრად გადაიკიდა! მოკლედ, რასაც „მუსტაფა“ მიბრძანებს, იმას გავაკეთებ, თუ ამ მოღალატის „გასაღება“ დამავალა, ეს ამბავი დღესვე უნდა „მოვაყომარო“ და ხვალ დილით ადრე გერმანიაში გავფრინდე“.

– ანდრო-ბეი, შენი შემოთავაზება მიმზიდველი და მოულოდნელია ჩემთვის, უნდა მოვიფიქრო, პასუხს ამ საღამოს გეტყვი, – მშვიდად წარმოსთქვა „ფენრირმა“.

ტოპლუს პასუხმა ჯინჭარაძე მიახვედრა, რომ ბრძოლაც და ომიც პირწმინდად წააგო და ბრძოლის ველს, ანუ ქალაქ ბათუმს, სასწრაფოდ უნდა გასცლოდა: „ამ ვერაგ მათხოვარს უყურე! საჩუქრების შეტყაპუნებაც და ჩემი ჩაშვებაც უკვე გადაწყვეტილი აქვს, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩემს წინადადებასთან დაკავშირებულ კონკრეტულ შეკითხვებს დამისვამდა. ილმაზის ბრძანებას ელოდება და დროის მოგებას ცილობს. „მომეხაზა“ – „ჩამიშვებს“ და შეიძლება „დამბრიდონ“ კიდეც! ბათუმიდან სასწრაფოდ უნდა „ავორთქლდე“, როგორც კი ეს დამპალი სასტუმროში შევა, აეროპორტში გავვარდები და თბილისისაკენ „დავახვევ“, იქიდან კი ლონდონის გავლით, რამდენიმე თვით კვინსლენდელ ნაცნობებთან ავსტრალიაში წავალ, ხომ მეპატიჟებიან, ჩამოდიო. „მალადეც“, ანდრიუშკა, მაგარი ჭკვიანი ბიჭი ხარ! კიდევ კარგი ყველაფერზე წინასწარვე ვიზრუნე და თბილისის დილის რეისზე ბილეთი შეძენილი მაქვს. მართლა, შემნახველი საკნების გასაღებები ხომ მიდევს?“ – „ზერომ“

შარვლის მარცხენა ჯიბეზე ხელი დაიტყაპუნა, ვითომ საფულეს ეძებდა.

ჯინჭარაძემ აეროპორტის ორ შემნახველ საკანში ორი დიდი ტანსაცმლის ჩანთა ილმაზთან სატელეფონო საუბრიდან მეორე დღესვე შეინახა და შემდეგ ყოველ დღე შესამოწმებლად დადიოდა. ჩანთებს ორმაგი ძირი ჰქონდათ: ზედა ნაწილში პასპორტი, თვითმფრინავის ბილეთი, ტანსაცმელი და ფეხსაცმელი ეწყო, ხოლო ფსკერზე მოთავსებული იყო 300 ათასი აშშ დოლარი და 50 ათასი ევრო მსხვილი კუპიურებით.

– კი ბატონო, ამ საღამოს იყოს. მოდი, ახლა გასტრონომიული პრობლემებიც დროულად მოვაგვაროთ – რადგან რესტორანში არ მომყვები, სახაჭაპურეში მაინც შევიდეთ და გემრიელი აჭარული ხაჭაპური დავაგემოვნოთ! მერე სასტუმროში მოისვენე, შხაპი მიიღე, ადრიანი დილაა და უკვე ძალიან ცხელა! აბა, რას იტყვი, ხო კარგი აზრია? – ნაძალადევი უდარდელობითა და ცალყბა ღიმილით შესთავაზა ჯინჭარაძემ ტოპლუს.

ტოპლუმ მადლობა გადაუხადა, მოუბოდიშა, დაღლილობა მოიმიზეზა და სასტუმროში წახემსება არჩია.

– დროებით, – სასტუმროსთან ცივად დაემშვიდობა ჯინჭარაძეს.

– წუხელ თითქმის არ მძინებია – შუაღამისას შენ დამიფრთხე ძილი, მეორე დილით გამთენისას წამოვხტით. ფეხზე ძლივს ვდგევარ, ძალიან მეძინება, სახლში წავალ, საღამომდე კარგად გამოვიძინებ. აბა, უჩემოდ არ მოიწყინო, საღამოს გამოგივლი. თუ რამე დაგჭირდეს, დამირეკე, – „ზერომ“ ფარისევლური ღიმილით ტოპლუს ხელი „მეგობრულად“ დაუქნია.

– დაგირეკავ, – ნაძალადევად უპასუხა ტოპლუმ.

„ზერო“ მიხვდა, რომ „ფენრირი“ „მუსტაფასთან“ სალაპარაკოდ მიიჩქაროდა და თვითონაც აჩქარდა, ტაქსი გააჩერა და აეროპორტისაკენ გაემგზავრა...

გამგზავრების შესახებ ბებია და პაპა არ გაუფრთხილებია, ეშინოდა: ან პოლიცია ათქმევინებს ჩემს ადგილსამყოფელს, ან „ფენრირი“ გამოტეხავსო. მოხუცები რომ ინერვიულებდნენ, ცხადია, იცოდა. ისიც მშვენივრად ესმოდა, რომ „ფენრირს“ თავისუფლად შეეძლო უმწეო და უდანაშაულო მოხუცების სასტიკი წამება, ყოველივე ამისათვის „ზერო“ გულის სიღრმეში თავს დამნაშავედაც გრძნობდა, მაგრამ არსებულ ვითარებაში საკუთარი ტყავის გადარჩენაზე მნიშვნელოვანი მისთვის არავინ და არაფერი იყო. აეროპორტისაკენ მიმავალი, ტოპლუსთან ერთად გატარებულ ყოველ წუთსა და წამს იხსენებდა და ვერაფრით ხვდებოდა, თუ რატომ უარჰყო „ფენრირმა“ მისი „გენიალური“ შეთავაზება.

ჩემის აზრით, ბატონო დავით, უარის რამდენიმე მიზეზი არსებობდა.

პირველი, ჯინჭარაძემ არ იცოდა, რომ: ტოპლუ თავის სამშობლოში, თურქეთში განზრახ მკვლელობისათვის იძებნებოდა და გერმანიაში ყალბი საბუთებით ცხოვრობდა, საბუთებს კი გავლენიანი ნაცნობების დახმარებით, ილმაზი უკეთებდა. ტოპლუს გერმანიაში ნათესავები და მეგობრები არ ჰყავდა, ამიტომ ილმაზი მისთვის არა მხოლოდ „ბოსი“ და „პატრონი“, არამედ ერთადერთი ახლობელიც იყო; მეორე, ჯინჭარაძე გაუცნობიერებლად და იმპულსურად მოქმედებდა ცნობილი პრინციპით: „დამნაშავეს ეროვნება არა აქვს, ყველა ერის დამნაშავენი მათთვის ხელსაყრელ ვითარებაში ერთიანდებიან“, მაგრამ შეცდა. ტოპლუს ილმაზი არა მხოლოდ სჭირდებოდა, მისი ეშინოდა კიდეც, ამიტომ ვიღაც „გურჯის“ გამო, თუნდაც სარფიანი გარიგების საფასურად, ილმაზს არ უღალატებდა.

***

„ფენრირს“ სიხარბემ სძლია და „მუსტაფას“ მკაცრი მითითება დაარღვია: იგი „ზეროსთან“ მხოლოდ სასტუმრო „მხიარულ მეთევზეში“ დაბინავების შემდეგ, 21 ივლისს დილით უნდა მისულიყო და ბათუმში იმდენ ხანს დარჩენილიყო, სანამ წილის მთლიანი თანხა 50 ათასი ევროს ოდენობით ხელთ არ ექნებოდა. ტოპლუმ ილმაზის მიერ მიცემული „სამივლინებო ხარჯების“ დასაფარავად განკუთვნილი ფული, როგორც თვითონ მიაჩნდა, სათავისოთ „მოტეხა“: სასტუმროში დაბინავება არც უფიქრია, ბათუმში ჩასვლისთანავე ჯინჭარაძეს მიადგა იმ იმედით, რომ „ზეროს“ ილმაზის კუთვნილი წილის გადაუხდელობის მიზეზების შესახებ დაწვრილებით გამოჰკითხავდა, ცივი იარაღის ცხვირწინ ტრიალით დააშინებდა, მოკვლით დაემუქრებოდა, ფულს იმავე ღამეს გამოართმევდა და დილის რეისით უკან, გერმანიაში გაბრუნდებოდა.

ბატონო პოლკოვნიკო, როგორც უკვე მოგახსენეთ, ტოპლუ ჭკუაგონებით ვერ დაიკვეხნიდა, ამიტომ მას აზრადაც არ მოსვლია, რომ ილმაზმა ნაკლებად პრესტიჟული სასტუმრო „მხიარული მეთევზე“ მხოლოდ იმ მიზნით შეურჩია, რათა „სანდო ხალხის“ მეშვეობით ოპერატიულად მიეღო ნებისმიერი ინფორმაცია ტოპლუს ბათუმური „ვოიაჟის“ შესახებ.

ბათუმში ყოფნისას ილმაზი ყოველთვის სასტუმრო „მხიარულ მეთევზეში“ ჩერდებოდა, ეს იყო სამვარსკვლავიანი, საშუალო კლასის სასტუმრო. ილმაზს ბათუმის ხელისუფლებისა და სპეცსამსაურების ყურადღების მიპყრობა არაფერში სჭირდებოდა, ამიტომაც მაღალი კლასის ძვირადღირებულ სასტუმროებს ყოველთვის თავს არიდებდა. „მხიარული მეთევზის“ მესაკუთრე და ადმინისტრაცია მას პატივსაცემ

კლიენტად თვლიდნენ, რადგან ილმაზი სასტუმროს შინა განაწესს სანიმუშოდ იცავდა, პერსონალს გულუხვად ასაჩუქრებდა და ურთიერთობაშიც თავაზიანი იყო. ამდენად, ტოპლუს ბათუმში ჩასვლიდან სასტუმროში დაგვიანებით, მხოლოდ მეორე დილით გამოცხადება, ილმაზს არ გამოჰპარვია.

გარდა ამისა, „მუსტაფამ“ „ფენრირს“ საიდუმლო მეთვალყურეც გამოაყოლა, რომელიც ტოპლუს ფეხდაფეხ დასდევდა და უთვალთვალებდა. „მეთვალყურე“ ტოპლუს ჯინჭარაძის სახლში „დაბინავებასა“ და სანაპიროზე მათ შეხვედრას შორიახლოდან დურბინდით აკვირდებოდა, ამიტომ მშვენივრად დაინახა, თუ როგორ გადასცა „ზერომ“ ძვირფასეულობა „ფენრირს“. ჯინჭარაძესა და ტოპლუს ლაპარაკი ჯერ კიდევ დამთავრებული არ ჰქონდათ, რომ ილმაზმა უკვე ყველაფერი იცოდა. ტოპლუს უგუნურობამ და ჯინჭარაძის თავხედობამ ილმაზი გააცოფა და ორივეზე დაუნდობელი შურისძიება განიზრახა.

„ამ საცოდავ ჭიაყელებს უყურე, – ფიქრობდა გაალმასებული ილმაზი, – „მაყუთის მოტეხვა“ და თვით ჩემი, „ძველი მგლის“ „გადაგდება“ არ მოინდომეს?! ეს როგორ გამიბედეს! უმადური და უტვინო „ფენრირი“ უჩემოდ ხო ნაბიჯსაც ვერ გადადგამს. პოლიციაში „ჩავუშვებ“ და მთელი ცხოვრება „ხეხოს“! ამ ქვემძრომ „ზეროსაც” როცა იქნება თავს გავუჭეჭყავ, მომენტი აუცილებლად მომეცემა. მაგან იკითხოს, თორე მე სხვა „ხელისდამცლელს“ უპრობლემოდ ვიპოვი – ამ „არხეინა“ და „ტაშ-ფანდურა“ ქართველებს ხო ბევრი „მაყუთი“, „კაი ცხოვრება“ და „კაიფის დაჭერა“ „მაგრა ევასებათ“, მუშტარი ყოველთვის მეყოლება“.

ჯინჭარაძესთან განშორების შემდეგ ტოპლუ სასტუმროში მივიდა და „მუსტაფას“ ნომრიდან დაურეკა.

– ეს „გიაური გურჯი“ უარზეა, „მუსტაფა“-აღა, ვალს გასტუმრებულად თვლის და ეტყობა აღარაფერს მოგვცემს, – მისალმების შემდეგ მოახსენა „ბოსს“, – დავემუქრე და ფულის მოტანა ვუბრძანე, საღამოს უნდა შევხვდეთ.

– თუ არ მოიტანა, „მიხედე“ და დროზე დაბრუნდი, – მოკლედ მოჭრა ილმაზმა და ყურმილი დაკიდა. ტოპლუ ილმაზის განწყობას ვერ მიხვდა, არც კი დაეჭვებულა, რატომ არაფერი ჰკითხა „ბოსმა“ ჯინჭარაძის შესახებ.

„ფენრირს“ ცეცხლსასროლი იარაღი თან წამოღებული არ ჰქონდა, რადგან საზღვარზე ვერ გადმოიტანდა. განზრახული დანაშაულის იარაღად საკუთარი მუშტებისა და მაღაზიაში ნაყიდი დანის გამოყენებას გეგმავდა.

ილმაზის ბრძანების შესასრულებლად ტოპლუმ მაღაზიაში შეიარა,

პურის საჭრელი ბასრი დანა, ასანთი და სამლიტრიან ჭურჭელში მოთავსებული ჩვეულებრივი სასმელი წყალი იყიდა, შემდეგ წყალი გადაღვარა და ავტოგასამართ სადგურზე ჭურჭელი ბენზინით გაავსებინა. ამგვარად „აღჭურვილმა“ ტოპლუმ საღამომდე აღარ დაიცადა და ჯინჭარაძის საცხოვრებლისაკენ გაეშურა. ჯინჭარაძე სახლში არ დაუხვდა, მისი ადგილსამყოფელი არც პაპა-ბებიამ იცოდნენ, პირიქით შეწუხებულები აქეთ ეკითხებოდნენ „ფენრირს“: „შენ ხომ არ იცი, ჩვენი ბიჭი სად არის?“-ო. მოხუცების უშედეგო დაშინების შემდეგ, ტოპლუ დარწმუნდა, რომ ჯინჭარაძემ ჭკუით აჯობა და ცხვირწინ „აეთესა“. „ფენრირი“ გამხეცდა, მან მოხუცები საძინებელში ჩაკეტა, ბინას შიგნიდან ნავთი გადაასხა და ცეცხლი წაუკიდა, მერე სასწრაფოდ იქაურობას გაეცალა და სამხილების თავიდან მოშორების მიზნით, უკაცრიელ სანაპიროზე გავიდა. ბენზინიან ჭურჭელში ქვიშა ჩაყარა, დანაც შიგ ჩააგდო, ზემოდან ისევ ქვიშა დააყარა და დამძიმებული „ტვირთი“ ზღვის ტალღებს გაატანა. „ფენრირის“ ვარაუდით, ტვირთი ჩაიძირებოდა, თუმცა გამორიყვის შემთხვევაში, პლასტმასის ჭუჭყიან „ბოთლს“ ყურადღებას არც არავინ მიაქცევდა და ნაგავში გადააგდებდნენ. განზრახვის „პროფესიონალურად“ აღსრულების შემდეგ, ტოპლუმ თბილისისაკენ ტაქსით „გამოქუსლა“, რადგან ფიქრობდა, რომ „ზერო” აუცილებლად ან „დიდ ქალაქში“ დაიმალებოდა, ან საზღვარგარეთ გაიქცეოდა.

სამწუხაროდ, მოხუცებმა სერიოზული დამწვრობები მიიღეს და რამდენიმე დღეში გონს მოუსვლელად გარდაიცვალნენ. ხანძრისა და გამზრდელი პაპა-ბებიას ტრაგიკული გარდაცვალების თაობაზე ჯინჭარაძეს მეზობლებმა ტელეფონით შეატყობინეს, რა თქმა უნდა, იგი მაშინათვე მიხვდა, ვინც უმტრო, მაგრამ დუმილი არჩია და ხმამაღლა არაფერი უთქვამს. „ზერომ“ მეზობლებს ბოდიში მოუხადა და დაამშვიდა: „ხომ იცით, ძველი სახლია და შესაბამისად, ელექტროგაყვანილობაც მოძველდა, მოკლე ჩართვა მოხდებოდა“-ო იცრუა. ჯინჭარაძეს ილმაზის შურისძიების სერიოზულად ეშინოდა და მშობლიურ ქალაქში დაბრუნებისაგან თავი შეიკავა, თუმცა ინამუსა და მოხუცების დაკრძალვისათვის საჭირო თანხა გამოგზავნა. მეზობლებს ტყუილი უთხრა: „ამერიკის შეერთებულ შტატებში ბიზნეს-პარტნიორთან მნიშვნელოვან საქმეზე ვარ ჩამოსული და კიდევ ერთ-ორ თვეს ვერ ჩამოვალ, ხომ იცით, უცხოელებმა ჩვენსავით თან გადაყოლა არ იციან“-ო და დახმარება სთხოვა: „ფულს გამოგიგზავნით, თქვენც იხეირეთ და ჩემი ტკბილი მოხუცებიც გამიპატიოსნეთ“-ო.

ცხადია, ჯინჭარაძე ტოპლუს არ ახსენებდა და მომხდარის შესახებ პოლიციაში არ განაცხადებდა, – სამართალდამცავებს გამოძიება რომ

დაეწყოთ, „ზეროს“ „ნარკობარიგობა“ „ამოუტივტივდებოდა“ და „ლაყუჩებში“ „ჩაავლებდნენ“.

ბათუმის კრიმინალურმა პოლიციამ ხანძრის ფაქტზე პირველადი მოკვლევა ჩაატარა: გამომძიებელი ტელეფონით ესაუბრა ჯინჭარაძეს, რომელმაც დამწუხრებული შვილიშვილის როლი წარმატებით შეასრულა, ბათუმში ჩამოუსვლელობის მიზეზად კი მოუცლელობა დაასახელა და მომხდარი უბედურ შემთხვევად გაასაღა; დაიკითხნენ აგრეთვე მეზობლებიც, გასაგებია, რომ მათ ჯინჭარაძის „ვერსია“ დაადასტურეს; ჩატარდა გვამების ექსპერტიზაც, მათ ძალადობის კვალი არ აღენიშნებოდათ. ტოპლუ დარწმუნებული იყო, რომ ასაკოვანი ადამიანები თავის გადარჩენას ვერ შესძლებდნენ და მეხანძრეთა მოსვლამდე მხუთავი კვამლით გაიგუდებოდნენ, იგი გვამებზე დანაშაულის კვალის დატოვებას მოერიდა და „ფსიქოლოგიური დამუშავებისას“ მოხუცები არ უწამებია.

ვინაიდან გამომძიებელმა დანაშაულის ნიშნებსა და სამხილებს ვერ მიაგნო, ამასთან მომჩივანიც არავინ იყო, მომხდარს უბედური შემთხვევის კვალიფიკაცია მიეცა და საქმეც დაიხურა. იქნებ უფრო საფუძვლიანად რომ „მოეჩხრიკათ“, რაიმე ხელმოსაჭიდს აღმოაჩენდნენ კიდეც, მაგრამ... თუმცა გასაკვირი არც არის – ტურისტული სეზონის პიკზე ბათუმი დამსვენებლებით იქნებოდა გადავსებული და პოლიციას საქმე ისედაც თავზე საყრელად ექნებოდა, ამიტომ უპერსპექტივოდ მიჩნეულ საქმეზე დამატებით დროს ვერ დაკარგავდნენ...

ტოპლუმ ილმაზის ბრძანება ვერ შეასრულა და „ჩაპანიკდა“, „ბოსის“ შურისძიების ეშინოდა. „აღა თუ გაიგებს, იმ ვირთხა „ზერომ“ ძვირფასეულობა რომ „მიფეშქაშა“, ჩემს თავს ნამდვილად მოაკვლევინებს“, – ფიქრობდა დედაქალაქისაკენ მომავალი ტოპლუ, – „ის ძაღლისშვილი აუცილებლად უნდა ვიპოვო... მაგრამ სად?! აქაურობას არ ვიცნობ!“

თბილისში ჩამოსულმა ტოპლუმ „ბოსისადმი“ ერთგულების დამტკიცების მიზნით, „მუსტაფას“ დაურეკა, ჯინჭარაძის „ხელიდან დაძვრომის“ ამბავი წვრილად მოახსენა და საქართველოში კიდევ რამდენიმე დღით დარჩენის ნებართვა ითხოვა, რაზეც თანხმობა მიიღო. „ფენრირმა“ ბილეთები უკან ჩააბარა და ბინა აეროპორტის დასახლებაში იქირავა, რადგან აეროპორტთან ახლოს ყოფნით თავს უფრო მშვიდად და თავდაჯერებულად იგრძნობდა: პრობლემების შექმნის შემთხვევაში, მაშინათვე გერმანიაში გადაფრინდებოდა, თანაც მისი აზრით, ჯინჭარაძესთან შეხვედრა, ქალაქის სხვა ადგილებთან შედარებით, აეროპორტში უფრო მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო. ამიტომ ტოპლუ აეროპორტის სიახლოვეს სამი დღე დაძრწოდა და „ზეროს“ დაეძებდა.

აეროპორტში სამდღიანი ყურყუტის შემდეგ, 2011 წლის 25 ივლისის მშვენიერ დილით, „ფენრირმა“ „ჩაკოსტუმებული“ „ზერო“ ასევე „გამოპრანჭულ“ ხალხთან ერთად შენიშნა, რომლებიც აეროპორტს ძვირფასი მანქანით მოადგნენ და სადღაც გამგზავრებას აპირებდნენ. ტოპლუ მათ ჯინჭარაძის „ხელში ჩაგდების“ მიზნით აედევნა და მოსაცდელ დარბაზში შეჰყვა.

ჯინჭარაძე შეშინებული და დათრგუნული ადამიანის შთაბეჭდილებას სრულიადაც არ სტოვებდა, პირიქით, თავისუფლად იქცეოდა: თანმხლებთ თავაზიანად ელაპარაკებოდა და რეგისტრაციის ადგილისაკენ მშვიდი ღიმილით მიუძღვოდა. „ფენრიმა“ კარგად გაიგონა, თუ როგორ მიმართა „ზერომ“ მაღალ ქერა მამაკაცს რუსულად: „დეტალებზე შემდეგ შეხვედრაზე შევთანხმდეთ“-ო. ტოპლუ მიხვდა, რომ ჯინჭარაძე ქვეყნიდან გასვლას არ აპირებდა და აეროპორტში მხოლოდ სტუმრების გასაცილებლად მოვიდა. მან აგრეთვე ჩათვალა, რომ ჯინჭარაძემ „მუსტაფა“ საბოლოოდ „გადააგდო“ და ახალი ბიზნეს-პარტნიორები გაიჩინა.

გაბრაზებულმა „ფენრირმა“ „ზეროს“ დაშინება და ახალი პარტნიორების წინაშე მისი დამცირება გადაწყვიტა, ამიტომ ფეხს აუჩქარა, ჯინჭარაძეს გადაუსწრო და დამცინავი ღიმილით წინ თავხედურად გადაუდგა. ეგონა „ზერო“ შიშისაგან დაიზაფრებოდა, გაუაზრებლად მოიქცეოდა, თავს სახალხოდ შეირცხვენდა და „ფენრირის“ ნება-სურვილს მორჩილად დაჰყვებოდა. ტოპლუსათვის მოულოდნელად, მსგავსი არაფერი მომხდარა, ჯინჭარაძემ მას გაკვირვებით შეხედა და ორიოდ წამს აუღელვებლად აკვირდებოდა, შემდეგ გვერდზე გაიწია, წინ აღმართულ გოლიათს უსიტყვოდ განერიდა და თავის გზას გაუყვა. ასევე მოიქცნენ მისი თანხმლები პირებიც.

ჯინჭარაძის „იგნორმა“ გაწბილებული ტოპლუ განარისხა და შურისძიების წყურვილი გაუმძაფრა. „დამპალი, მალე ცხვარივით დავკლავ!“ – საკუთარ თავს უმტკიცებდა „ფენრირი“. იგი მოსაცდელი დარბაზიდან გამოვიდა, თვალის ასახვევად, თვითმფრინავის მომლოდინე დამხვედრივით, ბუფეტში ხაჭაპურები და „კოკა-კოლა“ იყიდა და მანქანების სადგომზე გაჩერებულ, ჯინჭარაძის კუთვნილ „ჰიუნდაი ელანტრა“-საკენ ჭამა-ჭამითა და მოცლილი კაცის მოსეირნე ნაბიჯით გაეშურა.

ჯინჭარაძემ სტუმრები გააცილა და ქალაქში დაბრუნებას აპირებდა. ავტოსადგომზე მისი კუთვნილი ავტომობილის გვერდით, ტროტუარზე „აგროვილი“ ტოპლუ დახვდა, რომელიც, მადიანად იღმურძლებოდა. ჯინჭარაძე შეჩერდა.

– რა გნებავთ? – ოფიციალურად და მკაცრედ მიმართა ტოპლუს.

– შენ რა, სიცოცხლე მოგბეზრდა?! – ხაჭაპურის ბოლო ლუკმა გადასანსლა და აგდებულად ჩაიცინა ტოპლუმ, – „მაყუთი“ დროზე მაიტა, თორე აქვე ჩაგაძაღლებ!

– ეს დაცული ტერიტორიაა და ვიდეოკამერებით კონტროლდება, – გააფრთხილა ჯინჭარაძემ, – ასე, რომ აქ ვერაფერს დამაკლებთ! ჯობს თავი დამანებოთ და აქაურობას დროზე გაეცალოთ, თორემ თქვენი წეღანდელი საქციელი დაცვას შემჩნეული ექნება.

ტოპლუ შეცბა, ჯინჭარაძისაგან ასეთ ოფიციალურ და გაბედულ პასუხს არ მოელოდა. ჯინჭარაძემ პაუზით ისარგებლა, სასწრაფოდ მანქანაში ჩაჯდა და „გაუტია“. გაბრიყვებული ტოპლუ ტაქსში ჩახტა და მძღოლს გულუხვი გასამრჯელოს საფასურად „ჰიუნდაი ელანტრა“-ს დადევნება და შორიახლოს გაყოლა მოსთხოვა...

– ეს „ჯეელი“ მართლა ჯინჭარაძე იყო? – თხრობა შეაწყვეტინა კაიშაურს დავითინიძემ, – ტოპლუს ხომ არ შეეშალა?

– საქმეც ეს გახლავთ, ბატონო პოლკოვნიკო, – კოლეგებს თვალი მოავლო ავთანდილ კაიშაურმა, – უეჭველია, ტოპლუს აეროპორტში თავად კვინტრაძე შეეჩეხა, მან კი იგი ჯინჭარაძედ მიიჩნია. ვფიქრობ, ეს შეხვედრა შემთხვევით მოხდა, ასტროფიზიკოს კვინტრაძეს ტოპლუსნაირ სუბიექტებთან ნაცნობობა არ ექნებოდა. თანაც ამ დროს, 26 ივლისს, ჯინჭარაძე ნამდვილად ავსტრალიაში იმყოფებოდა. სხვათა შორის, იქ ყოფნისა და „დასვენების“ შესახებ სიმართლე ილაპარაკა.

– კარგი. შემდეგ მოვლენები როგორ განვითარდა? – ფინალი აინტერესებდა დავითინიძეს.

– მოკლედ მოგახსენებთ, – განაგრძო კაიშაურმა. – ტოპლუმ კვინტრაძის მისამართი გაიგო და იმავე საღამოს თავს სადარბაზოში დაესხა. კვინტრაძე ვაკეში, აბაშიძის ქუჩაზე ცხოვრობდა. ასტროფიზიკოსი კარატეს ილეთებს საკმარისად კარგად ფლობდა, ამიტომ თავდასხმა მარჯვედ მოიგერია და დევივით ძლიერ ტოპლუს მოხერხებულად დაუსხლტა.

– თავი დამანებე, – უყვიროდა გამძვირვანებულ ტოპლუს, – თორემ პატრულს გამოვიძახებ და „მიგაბრძანებენ“. ატეხილ ხმაურზე მეზობლები გამოცვივდნენ, „ფენრირს“ პატრულის შეეშინდა და გაიქცა...

მიუხედავად უცხო ქვეყანაში მისი საჩოთირო მდგომარეობისა, ტოპლუ შეჩერებას მაინც არ აპირებდა, – ის კვინტრაძეს მეორე დღესვე მიუვარდა.

ტოპლუს „საგამოძიებოს“ ბიჭებთან დაკითხვაზე უთქვამს: „დილით ადრე, სწორედ მაშინ მივედი, როცა „ზერო“ ვიღაც „ნაშასთან“ და ბავშვებთან ერთად მანქანით სადღაც წასვლას აპირებდა. ზემოდან მეზო-

ბლები იყურებოდნენ, შემეშინდა, პატრული არ გამოეძახებინათ და ხელი იმიტომ არ ვახლე, თორე ცეცხლსასროლი იარაღი რო მქონოდა, იქვე გავუსწორდებოდი“-ო.

– სავარაუდოდ, ტოპლუ კვინტრაძის ცოლ-შვილზე ლაპარაკობდა, – შენიშნა დავითინიძემ.

– ასე გამოდის, – დაეთანხმა კაიშაური.

– ამჯერად რაღა მოხდა? – ყურადღება დაძაბა პოლკოვნიკმა.

– ცემა-ტყეპასა და დანების ტრიალს ადგილი არ ჰქონია, – თხრობა განაგრძო კაიშაურმა, – მხოლოდ სიტყვიერმა მუქარამ გაიჟღერა. ტოპლუმ კვინტრაძეს პოლიციასთან „საქმის დაჭერა“ აუკრძალა და ოჯახის ამოჟლეტით დაემუქრა: „თვალს არ მოგაცილებ და არ შეგეშვები, თუ პოლიციაში „ჩამიშვებ“, რაც მოგივა შენს თავს დააბრალე, სუყველას ყელს გამოგჭრით“-ო. სიტყვა დაუგდო, პასუხს აღარ დაელოდა და იქაურობას მოშორდა.

ტოპლუ, როგორც იქნა მიხვდა, რომ კვინტრაძეს ასე ადვილად ვერ მოერეოდა და ფულის მიღების იმედიც არ უნდა ჰქონოდა, ამიტომ აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო: საქართველოში დიდხანს ვერ გაჩერდებოდა, რადგან ყალბი საბუთებით იყო შემოსული; თურქეთში ვერ ჩავიდოდა, რადგან პოლიცია ეძებდა; გერმანიაში დაბრუნება კი ილმაზის გამო ეშინოდა. ამ ფიქრსა და განსჯაში იყო ტოპლუ, როდესაც ილმაზმა დაურეკა და „მოხსენების“ მოსმენის შემდეგ, დაუყონებლივ უკან დაბრუნება უბრძანა. ტოპლუმაც არ დააყოვნა და მეორე დილითვე გერმანიაში გაფრინდა.

„ფენრირმა“ „მუსტაფას“ ბათუმსა და თბილისში ნამოქმედარის შესახებ, „ზეროსაგან“ ძვირფასეულობის მიღების გარდა, ყველაფერი დაწვრილებით უამბო. ილმაზმა „ანგარიში“ მოისმინა, ტოპლუს თვალებში ჩააშტერდა და დამარცვლით ჰკითხა:

– ყველაფერი თქვი?

– ყველაფერი „ბოს“, – ენის ბორძიკით უპასუხა ტოპლუმ.

– „გიაური“ „გურჯის“ „ფეშქაშზე“ რატომ არაფერს მეუბნები? – თვალები ჩაუსისხლიანდა „მუსტაფას“, – მოღალატევ!

– ჩემთვის კი არა, შენთვის გამოვართვი, „ბოს“, – ალუღლუღდა „ფენრირი“, – სიურპრიზის მოწყობა მინდოდა და იმიტო არ გითხარი!

– ოჰ, შე „ვირიშვილო“, ტყუილს როგორ მიბედავ?! – აღრიალდა ილმაზი, – „მაყუთის“ „მოტეხვაზე“ რაღას იტყვი?! „მხიარულ მეთევზეში“ რატო დროზე არ „მიშავდი“? შენ, არარაობას, განა მე არ გპატრონობდი, აქაური საემიგრაციო სამსახურისაგან და თურქეთის პოლიციისაგან ვინ გიცავდა?!

– მაპატიე, „ბოს“, – ლაქუცზე გადავიდა ილმაზის ინფორმირებულობისაგან გაოგნებული ტოპლუ, – ვიფიქრე: „ჩემს სათაყვანებელ „ბოსს“ ისედაც ბევრი ოქროული აქვს, რა მოხდება, ეს ორი „კინკილა“ ნივთი, ჩემთვის რო დავიტოვო“-მეთქი. აი, „ბოს“, ეს სამკაულებია, – ჯიბიდან კოლოფები ამოიღო და ილმაზს გაუწოდა, – სულ შენი იყოს!

ილმაზმა ტოპლუს ძვირფასეულობა ჩამოართვა, ხარბად შეათვალიერა, პერანგზე მოცმული ჟილეტის გულის ჯიბეში იკრა და შეუბღვირა:

– საბუთები მომეცი და აქედან გაეთრიე!

„ფენრირი“ მოიკუნტა, ილმაზს თავისი ყალბი საბუთები აკანკალებული ხელით გაუწოდა, ოთახიდან პირუჩუმრად გამოიძურწა და ეზოში სკამზე მოწყვეტით დაეხეთქა, ფიქრობდა და ვერაფრით მიმხვდარიყო, საიდან უნდა გაეგო ილმაზს მისი ბათუმური „თავგადასავალის“ შესახებ.

„ალბათ, იმ „გიაურმა“ „ზერომ“ „ჩაუკენჭა“ ყველაფერი“, – მხოლოდ მისთვის გასაგები ლოგიკით მსჯელობდა გაგულისებული ტოპლუ, – „ორივემ ჩემ წინააღმდეგ პირი შეკრეს, ამ გაბღენძილ „მუსტაფას“ ჩემი თავიდან მოშორება უნდა“. იმ ღამეს თვალი ვერ მოხუჭა, „ბოსის“ განაჩენს გულისფანცქალით ელოდა...

ილმაზი ტოპლუს თავის ერთგულ და ყურმოჭრილ ყმად თვლიდა, ყოველთვის სათავისოდ იყენებდა და ცხადია, მისი თავიდან მოშორება არც აწყობდა, მაგრამ „ფეშქაშის“ მომენტმა „მუსტაფა“ დააეჭვა და მიახვედრა, რომ „ფენრირის“ ეს ურჩი საქციელი, მასზე კონტროლის დაკარგვას მოასწავებდა. ამას კი კაცის კვლაზე „დაგეშილი“ და ბინძური საქმეების „მოკვარახჭინებაში“ კარგად გაწაფული „მუსტაფა“ არაფრის დიდებით არ დაუშვებდა.

მეორე დილით ილმაზი საემიგრაციო სამსახურში გამოცხადდა და ტოპლუ „ჩაუშვა“: „გერმანიის ტერიტორიაზე არალეგალურად იმყოფება, თანამემემულეა, მეცოდებოდა და ვმფარველობდი, მეგონა საბუთებს მოაწესრიგებდა, მაგრამ საშველი აღარ დააყენა, მე კი ხელისუფლებასთან პრობლემები არაფერში მჭირდება“-ო.

დაკითხვაზე დაპირისპირებისას ტოპლუმ ილმაზს კონტრბრალდებები წაუყენა, თუმცა უშედეგოდ, „მუსტაფას“ დანაშაული ვერ დაუმტკიცდა. მალე გერმანიის პოლიციამ ტოპლუს მიერ თურქეთში ჩადენილი „დამსახურებების“ შესახებაც შეიტყო, ამიტომ გერმანელ კოლეგებს ბევრი აღარ უფიქრიათ, ტოპლუს ხელბორკილები დაადეს და თურქეთის მხარეს გადასცეს. „ჩახუჭუჭებული“ ინტრიგების ხლართვაში და დანაშაულის კვალის აბნევაში „გამობრძმედილმა“ ილმაზმა კი თავის დაძვრენა საკმაოდ უპრობლემოდ მოახერხა, იგი მხოლოდ დააჯარიმეს,

„იცოდე, „არალეგალების“ დაფარვა მეორედ აღარ გაბედო, თორემ უეჭველი დაგიჭერთ“-ო მკაცრად გააფრთხილეს, ხელწერილი ჩამოართვეს და გამოუშვეს. ამ ამბების შემდეგ ილმაზმა კიდევ 12 წელი იცოცხლა და 2023 წელს გულის შეტევით გარდაიცვალა. „მუსტაფა“ თავის შავ-ბნელ საქმიანობას, ცხადია, არ შეეშვებოდა, მაგრამ ქართველ „ნარკობარიგებთან“ საქმის დაჭერა, ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო, აღარ უცდია.

გერმანიიდან თურქეთში გაპანღურებულმა „ფენრირმა“ იქაურ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში 30 წელი, ანუ 2041 წლამდე გაატარა. მთელი ეს დრო ტოპლუ „გიაურ“ ჯინჭარაძეზე შურისგებაზე ოცნებობდა. გათავისუფლების შემდეგ ტრაბზონში დასახლდა, ერთ ხანს წყნარად ცხოვრობდა – ახალ გარემოსა და თავისუფალი ადამიანების საზოგადოებას ეგუებოდა. პატიმრობაში გატარებულმა წლებმა და ასაკმა „რქები მოახერხა“, უფრო თვინიერი და ნაკლებად აგრესიული გახადა. ციხეში ხელობა შეასწავლეს და თავს მეწაღეობით ირჩენდა. მერე, ეტყობა, შურისძიების წყურვილმა არ მოასვენა, საქართველო-თურქეთს შორის არსებული უვიზო რეჟიმით ისარგებლა და ბათუმში ჩამოსვლას მოუხშირა. ცხადია, ტოპლუ ჯინჭარაძეს ბათუმში ვერ მიაგნებდა, რადგან ეს უკანასკნელი ბათუმიდან შორს, დუშეთში ცხოვრობდა.

ბევრი ფიქრისა და განსჯის შემდეგ, „ფენრირმა“ საქართველოში გადმოხვეწა და აქ „ფეხსაცმლის ბიზნესის“ წამოწყება გადაწყვიტა. ნაცნობ თურქ მცირე მეწარმეებს „ლილოს სუპერმარკეტში“ მათი ნაწარმის გასაღება შესთავაზა და 2049 წლის ივნისში თბილისში ნიადაგის მოსასინჯად ჩამოვიდა. ადგილობრივ მოვაჭრეებს მოდური და საუკეთესო ხარისხის თურქული ფეხსაცმლის ნიმუშები აჩვენა, ყოველთვიურად შეღავათიან ფასებში საქონლის ჩამოტანას დაჰპირდა, სანაცვლოდ კი სოლიდური „საკომისიო“ მოითხოვა. გარიგება შედგა, ბიზნესიც აეწყო. ტოპლუ საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა, ლილოს დასახლებაში ბინა დაიგირავა და ბოლო დრომდე იქ ცხოვრობდა, თუმცა მისი ჩანაფიქრით, ჯინჭარაძეზე შურისძიების შემდეგ, თუ მოახერხებდა და ქართულ პოლიციას „დაუძვრებოდა“, სამშობლოში უნდა დაბრუნებულიყო... ტოპლუს დრო თავზე საყრელად ჰქონდა და მთელ თბილისს გარს უვლიდა. ცხადია, ალბათობის თეორიის არაფერი გაეგებოდა, მაგრამ ქალაქში საათობით, დაუღლელად და შეუპოვრად დაბორიალებდა და ჯინჭარაძეს ქუჩა-ქუჩა გაფაციცებით დაეძებდა.

ამ ერთი წლის წინათ გაუმართლა – ჯინჭარაძე ცენტრალური სასურსათო ბაზრის შესასვლელთან დალანდა: ის-ის იყო „ზერომ“ თავისი

„კია“ ავტოსადგომზე დააყენა და ბაზარში საყიდლებზე შესვლას აპირებდა. გიჟური სახარულისაგან და მღელვარებისაგან ტოპლუ კინაღამ ადგილზევე ჩაიკეცა – ამდენი ხნის წვალების შემდეგ, როგორც იქნა, მიზანს მიაღწია! იგი ჯინჭარაძეს ზურგიდან წამოეწია, თავისი მძიმე ტორი მკლავში მაგრად ჩასჭიდა და მკვეთრად შემოაბრუნა.

– ვის ვუთხარი: „ხელიდან ვერ დამისხლტები“-მეთქი?! – კბილების ღჭიალით ხმადაბლა უთხრა მოულოდნელობისაგან ენაჩავარდნილ ჯინჭარაძეს, – შეგისრულე!

ჯინჭარაძემ ტოპლუ იმწამსვე იცნო, წინააღმდეგობა არ გაუწევია, ნებისყოფა დაძაბა და ფარისევლური ღიმილით უპასუხა:

– ეს შენ ჩემთვის არ გითქვამს, ჩემს ტყუპისცალ ძმას ეტყოდი!

– რაა?! – გაოგნდა ტოპლუ, – შენ ხო არ „გაუბერე“?! რაზე მელაპარაკები?

– წამოდი, სადმე დავსხდეთ და ყველაფერს აგიხსნი, – შესთავაზა ჯინჭარაძემ.

– „რიჟა ბაზარით“ ჩემი „შეხვევა“ გინდა! – შეუღრინა „ფენრირმა“.

– სიმართლეს გეუბნები! – მკლავის გათავისუფლება სცადა „ზერომ“, – მეც არ ვიცოდი... ჩემი მოხუცების გარდაცვალებიდან ექვსი თვის მერე გავიგე, რომ თურმე ტყუპისცალი ძმა მყოლია.

„ფენრირი“ შეყოყმანდა: „ამ „ბოზმა“ წინაპრებზე არ „ჩამინამიოკა“! ყველაფერი ეცოდინება, მაგრამ თავისას არ იშლის... არ დაიშლის და მაგასაც „მოვაყომარებ“. ისე, ის „ჩაკოსტუმებული“ „ტიპი“ აეროპორტიდან, უცნაურად გამოიყურებოდა და ამ გველაძუას საქციელზე და ლაპარაკზე სულაც არ ჰგავდა, თუმცა „სიფათზე“ ამის ასლი კი იყო. იქნებ მაშინ მართლა ამის ძმას შევხვდი?“

– იცოდე, ჭკუით იყავი და წესიერად მოიქეცი, თორე ადგილზევე გაგათავებ, – ჩაიხრიალა „ფენრირმა“ და „ზეროს“ ხელი უშვა, – შენც იცი, რომ დასაკარგი ამქვეყნად აღარაფერი მაქ.

– წამო, მე გეპატიჟები, აქვე ახლოს კარგი რესტორანია, „ძველი გემო“, გემრიელად ამზადებენ, – ჯინჭარაძემ ჯიბიდან შავი ტყავის მოზრდილი საფულე ამოიღო, ტოპლუს დაანახა და ავტოსადგომისაკენ გაეშურა, ტოპლუც მიჰყვა.

– რესტორანში ადრეც გეპატიჟებოდი, მაგრამ არ წამომყევი, გახსოვს?

– მაშინ სად „გაშპი“?

– ერთმანეთს რო დავშორდით, ჩემ „ნაშასთან“ წავედი. საღამოს შენთან სასტუმროში მოსვლას ვაპირებდი, – იცრუა „ზერომ“, – და ტანსაცმლის გამოსაცვლელად სახლში მივბრუნდი, მაგრამ იქაურობა

გადამწვარი დამხვდა. შემეშინდა, ხანძარი შენი „გაიმასქნილი“ მეგონა, ვიფიქრე: „ილმაზი ჩემ „გასაღებას“ დაავალებდა“-მეთქი და დავიმალე. აბა, სხვა რა უნდა მექნა?! დაგლოდებოდი როდის „დამბრიდავდი“?

ტოპლუ დუმდა და ჯინჭარაძეს ყურადღებით უსმენდა.

– რა ვქნა, ძმაო, ჩემთან თანამშრომლობა შენ არ გინდოდა, – ტოპლუს „დამუშავებას“ განაგრძობდა ჯინჭარაძე, – „მუსტაფა“ არჩიე... ხო ხედავ, ერთგულება როგორ დაგიფასა? „ძაღლებთან“ „ჩაგიშვა“! – ნიშნისმოგებით შეახსენა და მოჩვენებითი სინანულით დაუმატა, – აი, მე და შენ ბიზნეს-პარტნიორები რო ვყოფილიყავით, მალე გავმდიდრდებოდით, სადმე კუნძულებზე ლამაზმანებთან ერთად დავსახლდებოდით და ფადიშაჰებივით განცხრომაში ვიცხოვრებდით.

ტოპლუმ ჯინჭარაძის სიტყვები არც თუ უსაფუძვლოდ ჩათვალა და წლების წინ ჩადენილი „შეცდომა“ ინანა.

– შენი მოხუცების მოკვლა არ მინდოდა, არც კი მიწამებია, – თავის მართლება დაიწყო ტოპლუმ, – სახლისათვის ცეცხლის წაკიდება „მუსტაფამ“ მაიძულა.

„ისევ ისეთივე რეგვენი „ნაბიჭვარია“, ადრე როგორიც იყო“, – სიძულვილით ფიქრობდა „ზერო“, – „ჩემი საცოდავი პაპა-ბებიას მკვლელობა თვითონაც ვერ მიხვდა, ისე აღიარა“.

– ვიცი, რო ასე იქნებოდა. სხვათა შორის, მე არ „ჩამიშვიხარ“, პოლიციას ვუთხარი: „ძველი ელექტროგაყვანილობა მქონდა და ცეცხლი ამიტომ გაჩნდებოდა“-მეთქი, ხანძარი უბედურ შემთხვევად ჩათვალეს და არ გამოუძიებიათ, – დაამადლა „ფენრირს“ „ზერომ“, შემდეგ ავტომანქანაში ჩაჯდა და „სტუმარიც“ მიიწვია.

„პოლიციაში თუ არ „ჩამიშვა“, აღასთანაც ეს არ მიჩივლებდა“, – გაიფიქრა ტოპლუმ, და ჯინჭარაძეს გვერდით მიუჯდა.

– მოხუცებმა მთელი თავისი ქონება ანდერძით მე დამიტოვეს, – ენად გაიკრიფა „ზერო“, – იმავე ანდერძში ეწერა, რო მყავდა ტყუპისცალი ძმა, რომელიც თბილისში, ვაკის პარკთან, აბაშიძის ქუჩაზე ცხოვრობდა. ქალაქში ჩამოვედი, ძმა მოვძებნე და ჩემი ფული შესანახად მას მივაბარე. წარმოგიდგენია?! თურმე, ჩემი არსებობის ამბავი იმასაც არ სცოდნია! ჩემი გაცნობა თვითონაც ძაან გაუხარდა...

ტოპლუ დარწმუნდა, რომ კვინტრაძე და ჯინჭარაძე ნამდვილად ძმები იყვნენ, რადგან „ზერომ“ ასტროფიზიკოსის მისამართი ზუსტად მიუთითა.

– „მაყუთი“ იმას რატო მიაბარე? – „ზეროს“ საქციელი არ მოეწონა „ფენრირს“, – სხვაგან შეგენახა.

– სხვაგან სად, ბანკში? – აიმრიზა „ზერო“, – წარმომავლობა რო

მოეკითხათ, რა უნდა მექნა?! სხვა ახლო ნათესავი აღარავინ მყავდა, მე კი საზღვარგარეთ წასვლა მინდოდა.

– მერე?

– მერე ძმას ვიღაცეები დასდევდნენ, ემუქრებოდნენ და ფულს სძალავდნენ. მან არ მისცა, ამიტომ სახლში მიუხტნენ, ცოლ-შვილთან ერთად სადღაც გაიტაცეს და დახოცეს, მთელი ჩემი ქონებაც თან წაიყოლეს, – მარტივი და ტოპლუსათვის გასაგები ენით ტყუილ-მართალს ერთმანეთში ურევდა ჯინჭარაძე.

– ეგრე არ არი! – გაბრაზდა „ფენრირი“, რადგან ეგონა ჯინჭარაძე მასზე ლაპარაკობდა.

– რატო გგონია?

– ამბობ, რო გაიტაცეს, დახოცეს და „მაყუთი“ „აახიეს“!

– მერე რაა, რო?

– ვინა? იცი?

– როგორ არ ვიცი! რო არ ვიცოდე, გეტყოდი? – იწყინა ჯინჭარაძემ, – პოლიციის თანამშრომელმა, ვიღაც ია იაშვილმა.

– ვააა, „ძაღლმა“?!

– აბააა! ვინ იფიქრებდა...

– „მაბოლებ“! – არ იჯერებდა ტოპლუ.

– გეუბნები! იმის სურათსაც გაჩვენებ.

– პოლიციელი ყოფილა, თანაც დიაცი, – გაჯიქდა „ფენრირი“.

– მერე რაა! ბევრ „მაყუთზე“ უარს ვინ იტყვის? კაი ცხოვრება ყველას უნდა და პოლიციელიც ადამიანია! თანაც არ იცი, რო „საძაღლეთში“ ყველა ერთნაირია: კაციც და ქალიც?!

– ესე იგი, „მაყუთი“ იმ „ძუკნამ“ „მოტეხა“?!

– ჰო, ეგრეა.

– სად წაიღო?

– აბა, მე რა ვიცი?! ეგ რო მცოდნოდა, ხო „დავაყაჭვინებდი“! ქალი გაქრა, პოლიცია წლებია ეძებს და ვერ უპოვია. ალბათ, სადმე „მოყუჩდა“ და სულთნის ცოლივით ცხოვრობს.

– ვაააჰ!.. – მუშტები შეკრა ტოპლუმ.

ამასობაში რესტორანთან მივიდნენ და ჯინჭარაძემაც მანქანა გააჩერა.

– აი, იმ ქალის სურათი, – კოსტიუმის შიდა ჯიბიდან ახალგაზრდა, ლამაზი ქალის ფოტოსურათი ამოიღო და „ფენრირს“ გაუწოდა.

– ვაჰ! პოლიციელი და ეგეთი ლამაზი! – ჩაილაპარაკა ტოპლუმ.

– რა გიკვირს, ძმაო, ირგვლივ მიმოიხედე! ვერა ხედამ, რო ჩვენებური ქალები ძაან ეშხიანები არიან? – გაეცინა ჯინჭარაძეს.

ტოპლუმ იაშვილის სურათი თვალებთან მიიტანა და გულდასმით აკვირდებოდა. ამასობაში „ზერომ“ ტოპლუ ქედმაღლურად აათვალიერ-ჩაათვალიერა, ცხვირი ზიზღით აიბზუა და ხმადაბლა გესლიანად დაამატა:

– საერთოდაც, ქართველები ლამაზი ხალხი ვართ!

ტოპლუმ ჯინჭარაძის ბოლო რეპლიკას წაუყრუა, იაშვილის ფოტოსურათი ლამის ცხვირზე მიაფარა და დაეჭვებულმა ჰკითხა:

– ეს „ქსივა“ საიდან?

– ჩემი ძმის გატაცების შემდეგ ნათესავებთან რო მივედი, იმათ მომცეს: „იქნებ ეს ქალი იპოვო და შური იძიო, შენი ძმის ოჯახი ამან ამოხოცა“-ო.

– ეგ შენი ნათესავები სად ცხოვრობენ, პოლიციაში ხო არა? – ტოპლუს ხმაში აშკარა მუქარამ გაიჟღერა.

– გეყოფა, რა პოლიცია! – ნაწყენი სახით შეიცხადა ჯინჭარაძემ, – მე რა ვიცი, ახლა სად არიან?! ასაკში იყვნენ, ახლა ცოცხლებიც აღარ იქნებიან, იმის მერე რამდენი წელი გავიდა... ის ქალი ვერ ვიპოვე, ამიტომ ნათესავებსაც მეტი აღარ შევხმიანებივარ.

– ვთქვათ, დაგიჯერე... თუ სიმართლეს ამბობ, მაშინ ეს სურათი მომეცი, ამ ქალს მე მოვძებნი, – პასუხს აღარ დაელოდა და სურათი შარვლის ჯიბეში ჩაიდო ტოპლუმ.

– გქონდეს რა, ჩემთვის უკეთესი! მაგ ქალის ძებნამ დამღალა, – უტიფრად მოიტყუა ჯინჭარაძემ.

– ცუდად ეძებდი და იმიტო, – „წაჰკბინა“ ტოპლუმ, – მე ვიპოვი!

– „დავაი“, სცადე! – წააქეზა „ზერომ“, – იარაღი თუ გაქ?

– დაშნა და სკალპელი, – შეიშმუშნა „ფენრირი“.

– ეგ რა იარაღია? მე ნაღდზე გეკითხები!

– არა, – აღიარა ტოპლუმ, – მაინც უცხოელი ვარ, დაურეგისტრირებელი იარაღი რო მიპოვონ, რა ვქნა? არა, ძმაო, აქაურ პოლიციასთან ომი არ მაწყობს.

– აბა ქალი როგორ უნდა „გაასაღო“, ისიც ჩემსავით რო გაგექცეს? – ტოპლუს თავმოყვარეობაზე შეგნებულად იმოქმედა ჯინჭარაძემ.

– რა უნდა გამექცეს! – გაბრაზდა „ფენრირი“, – ნახავ, თავს ქათამივით როგორ წავაგდებინებ!

– არ დაგავიწყდეს, – შეახსენა „ზერომ“, – „ძაღლია“ და ასე ადვილად, მარტო დანით და მისთანებით, ვერ გაუსწორდები, რამე სერიოზული გჭირდება.

– მერე სად ვიშოვო?

– მე გაჩუქებ, – შესთავაზა ჯინჭარაძემ და სავარძლის ქვეშიდან

ტილოში გახვეული ცეცხლსასროლი იარაღი გამოიღო, – ეს ის „ბერეტაა“, ახალგაზრდობაში რო ვატარებდი, სანომრე ნიშნები წაშლილი აქვს. აიღე, თავისი ტყვიებითაა, – გაუწოდა ტოპლუს.

ტოპლუმ იარაღი ჩამოართვა, გულდასმით დაათვალიერა და დაეჭვებულმა ჰკითხა:

– ამდენი ხანი როგორ დამალე, „ძაღლებმა“ ხო არ შეგინახეს?

– ნუ „ატ...კებ“! – გაღიზიანდა „ზერო“, – „ძაღლებს“ რო ვერ ეპოვათ, ჯერ ყველაზე თვალსაჩინო და დაცულ ადგილზე, რკინიგზის სადგურის შემნახველ საკანში ვინახავდი, მერე სახლში წავიღე. ბათუმში ახალ ბულვარზე ბინა მაქ, ზოგჯერ ორი-სამი დღით ჩავდივარ ხოლმე.

– ახლა სად ცხოვრობ?

– მეგონა ბათუმსა და ზღვას ვერ შეველეოდი, მაგრამ იმ ამბების მერე მაგრა შევშინდი, მეგონა „მუსტაფა“ ქილერს მომიგზავნიდა, თანაც ჩემი მოხუცების მერე იქ ყოფნა ძაან მიჭირდა. ავდექი და ქუთაისში წამოვედი, კაი პურ-მარილიანი ქალაქია, ხალხიც „მაგარი ჯიგარი“. დედაქალაქში ერთი კვირით საქმეზე ვარ ჩამოსული... შენ სად დაფუძნდი, გერმანიაში, თუ თურქეთში?

– არა, აქ, თბილისში. რა იყო, გაგიკვირდა? – ჯინჭარაძის სახის გამომეტყველებაზე იქედნურად ჩაეცინა ტოპლუს, – შენ გეძებდი და ვიფიქრე, რო აქ დაიმალებოდი.

– მერე აქ თავს რითი ირჩენ? ძველებურს „აწვები“?

– ხო გითხარი, დაყრუვდი? ამ სიბერეში აქაურ „საძაღლეთთან“ ომს არ ვაპირებ! ფეხსაცმელების ბიზნესი ავაწყე, თურქეთიდან ჩამომაქვს და აქა ვყიდი.

– „საღოლ“, ძმაო! კარგად მოგიფიქრებია, – გაუკვირდა ჯინჭარაძეს.

– იარაღისთვის მადლობა „ბრატ“, – „ბერეტა“ მარჯვენა ფეხის წინდაში ფრთხილად ჩაიდო ტოპლუმ, – გამოდგება.

– ოღონდ იცოდე, – პირობა წამოუყენა ჯინჭარაძემ, – „საქმე“ შენ „გადმოგაბარე“ და მე აღარაფერში უნდა გამრიო, პოლიციამ თუ „ჩაგავლო“, ჩვენ ერთმანეთს არ ვიცნობთ. ყოველ შემთხვევაში, მე შენთან ნაცნობობას ყოველთვის კატეგორიულად ვიუარებ.

– ვითომ რატომაო? – ბოროტად ჩაიქირქილა ტოპლუმ, – როგორც ყოველთვის, „სუფთად“ გამოძრომა ჩემ ხარჯზე გინდა!

– არა, რას ამბობ! – იუარა ჯინჭარაძემ, – უბრალოდ არ მინდა „ჯგუფური“ „შეგვტენონ“! თანაც ძველ ბიზნესს საუკუნეა შევეშვი. უკვე 40 წელიწადია წესიერი კაცივით ვცხოვრობ.

– შენ და „წესიერი“?! – ახარხარდა ტოპლუ, – აბა „მაყუთს“ რითი შოულობ?

– ბევრი ვიწვალე, მაგრამ ახლა არა მიშავს რა, ჩემ სამყოფს ვშოულობ, „შმოტკების“ მაღაზიების ქსელი მაქვს, – დაიკვეხა ჯინჭარაძემ.

– მაღაზიებს ხო მაჩვენებ და რამე „შმოტკასაც“ ხო „მიფეშქაშებ“? – დაცინვით ჩაეკითხა ტოპლუ.

– „შმოტკებს“ კი „გიფეშქაშებ“, მაგრამ შენ ის მითხარი, ჩემი ძმა სადა ნახე? – ყველაზე მეტად ამ შეკითხვის დასმა უნდოდა ჯინჭარაძეს და შესაფერის მომენტს ელოდა.

ტოპლუს სიმართლის თქმა არ უნდოდა და პასუხს თავი აარიდა:

– შენი ძმა მკვდარი ყოფილა, მასზე ლაპარაკს რაღა აზრი აქვს?

– მინდა ვიცოდე, როდის და სად ნახე, – შეკითხვა დაბეჯითებით გაიმეორა ჯინჭარაძემ.

– ხანძრის ამბის მერე შენ საძებნელად აქ ჩამოვედი. შენი ძმაც მაშინ შემთხვევით აეროპორტში ვნახე. „მაგარი ჩაშმოტკილი“ იყო და ვიღაც უცხოელებს აცილებდა.

– მერე?

– მერე არაფერი... „მაყუთი“ მოვთხოვე, შეეშინდა და გაიქცა, – იცრუა ტოპლუმ.

ჯინჭარაძე გულში ზეიმობდა: „თუ სიმართლეს მეუბნები, შენისთანა „გამო...ს“ ჩემი ტყუპისცალი გაექცოდა, აბა რას იზამდა! ლენჩი, ნახა შანტაჟისათვის შესაფერისი ადგილი!“

– გაიქცა თუ გაგექცა? – ნიშნისმოგება ვერ დაფარა ჯინჭარაძემ.

– „გაგისწორდა“, არა? როგორი „ჩათლახიც“ იყავი, ისეთივე დარჩენილხარ, – ჩაიბურტყუნა ტოპლუმ, – ირგვლივ კამერები იყო, თან „ძაღლებიც“ ირეოდნენ, ვერ გავეკიდებოდი!

– კარგი, ჰო, ნუ ბრაზდები... თუ ქალს იპოვი, ის „მაყუთიც“ შენი იყოს, – მანქანიდან გადმოვიდა საუბრის შედეგით კმაყოფილი ჯინჭარაძე, – დანარჩენი რესტორანში ვილაპარაკოთ.

– ეგრე იყოს, – სალონიდან გადმობობღდა ფულის „ჩაჯიბვის“ „პერსპექტივით“ გამხიარულებული ტოპლუც, – მაგრამ, თუ ქალი ვერ ვიპოვე, „მაყუთი“ შენ უნდა დადო!

– რა „მაყუთი“?

– თავს ნუ ისულელებ!

– შენ „მაგრა გაუბერე“ აი! – აღშფოთდა „ზერო“, – ის „მაყუთი“ დაიკარგა! თუ იპოვი, შენი იქნება. ხო იცი, რო „მუსტაფა“ უსამართლოდ „ჩამაჯინდა“, მისი ვალი გასტუმრებული მქონდა. შენ რო ჩემთვის დაგეჯერებინა, 30 წელს ციხეში კი არა, კანარის კუნძულებზე გაატარებდი! ეხლა ჩემგან ნუღარაფერს ითხოვ, მე და შენ ანგარიშები, ჩემი მოხუცების მეშვეობით, დიდი ხანია გასწორებული გვაქვს!

ტოპლუმ ხმა გაკმინდა, ჯინჭარაძის „წამოძახება“ ენიშნა. „კიას“ გამოხსნილ კარებთან იდგა და ჩაფიქრებული ადგილს ტკეპნიდა.

– რა აქლემივით დადექი? რესტორანში აღარ გინდა, თუ რა? ვერ გავიგე! – მანქანის გასაღები შეათამაშა შუბლშეკრულმა „ზერომ“.

ტოპლუ ჯინჭარაძესთან საუბარმა დააფიქრა, მისი „არგუმენტები“ დამაჯერებლად, ხოლო საყვედური სამართლიანად მოეჩვენა, ილმაზის „ჩაშვებაც“ მწარედ გაახსენდა და ჯინჭარაძესთან ძველი „პარტნიორული“ ურთიერთობის აღდგენა გადაწყვიტა.

– მოდი, შერიგებისა დავლიოთ, კაი პური ვჭამოთ და ძველი დრო გავიხსენოთ, – ღიმილით მიმართა „ზეროს“.

– ეგრე, რა! წავედით, – თანხმობის ნიშნად კბილები „გადმოყარა“ ჯინჭარაძემ, ტოპლუს ბეჭზე ხელი „მეგობრულად“ შემოჰკრა და რესტორნის შესასვლელისაკენ წარუძღვა.

„ზერომ“ „ფენრირს“ მართლა მეფური სუფრა გაუშალა, დელიკატესებითა და მაღალგრადუსიანი შოტლანდიური ვისკით. ერთ საათში ჯინჭარაძემ ტუალეტში გასვლა მოიმიზეზა, სასმელისაგან გვარიანად გამომტყვრალი ტოპლუ, რომელსაც ეჭვი არაფერში შეჰპარვია, მაგიდასთან მიატოვა, დანახარჯი გადაიხადა და რესტორნიდან „აახვია“. სავარაუდოდ, სამსახურებრივი გასასველიდან გაიპარებოდა. თხუთმეტწუთიანი ლოდინის შემდეგ „ფენრირი“, როგორც იქნა მიხვდა, რომ გაიძვერა „ზერომ“ ისევ მოხერხებულად „გააცურა“, გამძვინვარებული ქუჩაში გამოვარდა, მაგრამ ჯინჭარაძის კვალს ვერ მიაგნო...

იმედგაცრუებული ტოპლუ სახლში წაჩანჩალდა. ბევრი ფიქრისა და განსჯის შედეგად დაასკვნა, რომ ჯინჭარაძეს ვეღარსად მიაგნებდა და მის დევნაზე დროის დაკარგვას აზრი არ ჰქონდა. როგორც თვითონ დაკითხვაზე განაცხადა: „ჯინჭარაძეს ჩემი შეეშინდა და იმიტო გაიპარა. ის ისეთი ქვემძრომია, კარგად დაიმალებოდა და ვეღარ ვიპოვიდი, თან აღარც მჭირდებოდა, მასზე შური 40 წლის წინ უკვე ვიძიე. გადავწყვიტე ის ჯოჯო დედაკაცი, ჩემი დამაქცეველი და ციხეში ჩამსმელი ია იაშვილი მომეძებნა და იმაზეც შური მეძია. მან მე ცხოვრება დამინგრია“. გამომძიებლის შეკითხვაზე, თუ რატომ თვლის ტოპლუ იაშვილს ყველა მისი უბედურების მიზეზად, „ფენრირმა“ მისთვის დამახასიათებელ „სტილში“ უპასუხა: „მაგას რო „ზეროს“ ძმისთვის ფული არ წაერთმია, „ზეროს“ მე მოვუვლიდი და „მაყუთს“ მოვატანინებდი. „მუსტაფა“-აღაც აღარ გამიბრაზდებოდა და არ „ჩამიშვებდა“. იმ ქალმა კი ყველა „გადაგვაგდო“ და ფული „მოტეხა“, მაგ ქალის გამო 30 წელი ციხეში გავატარე!“

– ოჰ, ეს ტოპლუ, „ღრმად მოაზროვნე“ და „საქმიანი“ კაცი, – თავი

გაიქნია დავითინიძემ, – არც კი უფიქრია, რომ იაშვილს ახალგაზრდა ქალის გარეგნობა ჰქონდა, წესით კი წლებთან ერთად უნდა დაბერებულიყო და გარეგნობითაც უნდა შეცვლილიყო!

პოლკოვნიკის ნათქვამზე საგამოძიებო ჯგუფის წევრებს გაეცინათ.

– ბრიყვია, თანაც „უტორმუზო“, ბატონო პოლკოვნიკო, – აღშფოთება ხელის გულების ზევით ამოტრიალებითა და თითების გაშლით გამოხატა კაიშაურმა.

– მასეთები უფრო საშიშები არიან, ავთო, – ფიქრიანად თქვა დავითინიძემ.

– ჰო, არაპროგნოზირებადები და ყველაფრის მკადრებელნი, – კვერი დაუკრა კაიშაურმა.

– კარგი, ბარემ დაასრულე! თათბირის დრო ახლოვდება, – მაგიდას მარცხენა ხელი მსუბუქად დაჰკრა პოლკოვნიკმა.

– ტოპლუს შესახებ ფაქტობრივად უკვე ყველაფერი მოგახსენეთ... ზემოაღწერილი ამბების შემდეგ, იგი იაშვილს თითქმის ერთი წლის განმავლობაში „ქუჩა-ქუჩა სირბილის მეთოდით“ (ან როგორ არ მობეზრდა), მიზანმიმართულად ეძებდა და რამდენიმე დღის წინ მთაწმინდაზე იპოვა! როდესაც დარწმუნდა, რომ „ცოცხალი იაშვილი“ ნამდვილად ფოტოსურათზე გამოსახული ქალბატონი ბრძანდებოდა, ტოპლუმ სურათი დახია და ნაგავში გადააგდო... მერე რაც მოხდა, ყველამ ვიცით.

– ტოპლუმ ეს ყველაფერი ნებაყოფლობით აღიარა? – იკითხა დავითინიძემ.

– დიახ, ბატონო პოლკოვნიკო, – დაადასტურა კაიშაურმა, – მართალია, თავიდან „საქართველოს მოქალაქე არა ვარ“-ო გამოაცხადა და დუმილის უფლებას იყენებდა, მერე ცრუობდა და გამოძიებისათვის კვალის აბნევას ცდილობდა, მაგრამ როდესაც მიზანს ვერ მიაღწია და გააცნობიერა, რომ საქმე უცხო ქვეყნის დაზვერვასთან ქონდა და თავს ასე ადვილად ვერ დაიძვრენდა, სერიოზულად შეშინდა და მთელი ეს „ისტორია“ თვითონვე პირწმინდად „ჩამოფქვა“. ჩვენ მხოლოდ ფაქტები გადავამოწმეთ.

– ჯინჭარაძემ თუ აღიარა?

– არ ვიცი, ბატონო დავით, – თავი უარყოფის ნიშნად გაიქნია კაიშაურმა, – ბიუროს გამომძიებლებს დაკითხვაზე საღამოს 7 საათისთვის ჰყავდათ დაბარებული. წესით ახლა, – მაჯის საათზე დაიხედა კაიშაურმა, – დაკითხვაზე უნდა იყოს. ჩვენთვის საინტერესო ინფორმაციას კოლეგები ოპერატიულად მოგვაწვდიან.

– ამ სუბიექტზე, ჯინჭარაძეზე, რისი თქმა შეგიძლია, ოთარ?

– ჩვენი ვარაუდით, – აზრი გამოთქვა ლაბაძემ, – ჯინჭარაძე ილმა-

ზის და ტოპლუს ცხოვრებას მთელი ეს წლები შორიდან აკვირდებოდა და მათ ამბებს თავისი კრიმინალი „ძმაკაცებისგან“ გებულობდა. ჯინჭარაძეს აუცილებლად ეცოდინებოდა ილმაზის გარდაცვალებისა და ტოპლუს ციხიდან გამოსვლის შესახებ. „ზერო“ იმასაც გაიაზრებდა, რომ „ფენრირს“ ვერაფერი შეაჩერებდა და შურისძიების მიზნით, მას ძებნას დაუწყებდა, ამიტომ მტერთან შესახვედრად ჯინჭარაძე ყველანაირად მოემზადა.

– რას გულისხმობ, დააკონკრეტე. – მოითხოვა დავითინიძემ.

– თუნდაც ტოპლუსათვის ძველი იარაღისა და იაშვილის ფოტოსურათის ოსტატურად „შეჩეჩების“ ფაქტი, აგრეთვე სასტუმროდან მისი „ტექნიკურად“ გაპარვა.

– ტოპლუსნაირი გონებრივი შესაძლებლობების ადამიანისათვის მსგავსი „ცირკის“ მოწყობა ჯინჭარაძისნაირ გაიძვერას არ უნდა გასჭირვებოდა, – ირონიულად თქვა დავითინიძემ.

– ნამდვილად ასეა, – დაეთანხმა კაიშაური, – ჯინჭარაძემ მშვენივრად იცოდა, რომ წლების განვლისა და ილმაზის გარდაცვალების შემდეგ, დაბერებული და ციხეში მორალურად გატეხილი ტოპლუს „წამოგებას“ ადვილად შესძლებდა.

– საყურადსაღებოა, – აზრი განავრცო ოთარ ლაბაძემ, – რომ ტოპლუს ჯინჭარაძემ როგორც ეტყობა, წინასწარ მოფიქრებული, სიმართლით შეზავებული და ლოგიკურად „დალაგებული“ ზღაპარი უამბო. ახლა, მთლა ტყუილს ხომ ვერ ეტყოდა, 40 წლიანი „ისტორიის“ მხოლოდ ტყუილებზე აგება შეუძლებელია. მის მონათხრობს სიმართლის ელფერი დაჰკრავდა, ამიტომაც დაიჯერა ტოპლუმ.

– ფაქტების გადამოწმებამ რა მოგვცა? – დაინტერესდა დავითინიძე.

– გამოძიებით დადგინდა, რომ – კონკრეტული ფაქტების მიმოხილვას შეუდგა კაიშაური, – ტოპლუსთან შეხვედრამდე და ავსტრალიაში გამგზავრებამდე ჯინჭარაძემ ზემოხსენებული იარაღი ბათუმის რკინიგზის სადგურის შემნახველ საკანში მოათავსა, თავის ერთ-ერთ მეზობელს, საკმარისზე ბევრად მეტი თანხა დაუტოვა და სთხოვა, რომ საკნის შიგთავსის შენახვის საფასური ყოველთვიურად, საქართველოში მის ჩამოსვლამდე გადაეხადა ხოლმე. ჯინჭარაძემ მეზობელს განუმარტა, რომ ბათუმში ყოფნისას მის ლიტველ ნაცნობებს ტანსაცმელი და სხვა პირადი ნივთები დარჩათ, რომელიც ჩანთით საკანში ჰქონიათ შენახული. „გაგზავნა მინდოდა, მაგრამ უარი მითხრეს, ბათუმში ისედაც მალე აპირებენ ჩამოსვლას და ბარგის აქეთ-იქით თრევა დაეზარათ, ის ნივთები თურმე, იქ მაინც არ სჭირდებათ. თვითონაც ზუსტად არ იციან, როდის ჩამოვლენ. შეიძლება მაშინ ჩამოვიდნენ, როცა მე ქალაქში არ ვიქნები.

გთხოვ, მეცი პატივი და საკნის დაკავების საფასური ჩემს ჩამოსვლამდე შენ გადიხადე ხოლმე“-ო უთქვამს ჯინჭარაძეს. ფულის იოლად შოვნის შანსს დახარბებული მეზობელიც დათანხმდა და გადასახადს 6 თვის განმავლობაში, „ზეროს“ ბათუმში დაბრუნებამდე, პატიოსნად იხდიდა. ცხადია, მეზობლისათვის შემნახველი საკნის კოდი ჯინჭარაძეს არ გაუმხელია. შემდეგ ალბათ, იარაღს შემნახველი საკნიდან გამოიტანდა და გადამალავდა, „ფენრირს“ კი ტყუილი უთხრა: „იარაღს ბათუმის ბინაში ვინახავდი“-ო (იმ დროისათვის „ზეროს“ ბათუმის ბინა გაყიდული ჰქონდა).

აღსანიშნავია, რომ „ბერეტა“-ზე ჯინჭარაძის, „გამოჯეკილი“ არ-ამზადის, თითის ანაბეჭდები არ აღმოჩნდა, მხოლოდ ტოპლუს ანაბეჭდ-ებია. „საგამოძიებოში“ დაკითხვისას ჯინჭარაძეს ტოპლუსთან დააპირი-სპირებენ და ახალ დეტალებსაც მაშინ შევიტყობთ.

გარდა ამისა, ნოტარიუსთა პალატის არქივებში მოძიებული მასალე-ბით დასტურდება რომ გარდაცვლილმა პაპა-ბებიამ მთელი თავიანთი ქონება ჯინჭარაძეს ოფიციალური ანდერძით დაუტოვეს. ამის შემდეგ, „ზერომ“ ბათუმში რაც კი რამ გააჩნდა, ყველაფერი გაყიდა, მათ შორის ახალ ბულვარზე მშენებარე ბინაც და სამუდამოდ დუშეთში დასახლდა.

კვინტრაძის ნათესავებმა გაიხსენეს, რომ 2013 წლის იანვარში მათ-თან ანდრია ჯინჭარაძე მისულა და გამზრდელი პაპა-ბებიას მიერ მის სახელზე დაწერილი ბარათი მიუტანია. „წერილი მოხუცების გარდაცვა-ლების შემდეგ ბათუმელმა ნოტარიუსმა გადმომცა“-ო, განუცხებია.

შვილიშვილისათვის განკუთვნილ ბარათში, რომელიც ისევე, რო-გორც ანდერძი, 2010 წლის 20 მაისით იყო დათარიღებული, მოხუცები გულის ამაჩუყებლად აღწერდნენ მათი ოჯახის ტრაგედიას, გულწრფე-ლად ინანიებდნენ და პატიებას ითხოვდნენ იმისათვის, რომ სუბიექტუ-რი, თუ ობიექტური მიზეზების გამო, „სათაყვანებელ ბიჭს“ თავიანთ სი-ცოცხლეშივე არ გაუმხილეს მისი წარმომავლობის ამბავი და სთხოვდ-ნენ, მითითებულ მისამართზე აუცილებლად მისულიყო და ტყუპისცალი ძმა და მამის ნათესავები მოენახულებინა. „არ გვინდა ჩვენი მიუტევებე-ლი შეცდომის გამო, ჩვენი სიკვდილის შემდეგ, ამქვეყნად სულ მარტო დარჩე“-ო, – წერდნენ შეწუხებული უფროსი ჯინჭარაძეები.

„ზერო“ ძმასა და ნათესავებთან „ჩახუტებას“ დიდად არ ჩქარობდა, – წერილის მიღებიდან თითქმის ერთი წელი თბილისში არ გამოჩენილა. ჩვენის აზრით, ამის ორი მიზეზი არსებობდა: ახლად გამომცხვარი ნა-თესავების შესახებ ინფორმაციის მოძიება და ილმაზის შურისძიების შიში.

გასაცნობად მისულ ჯინჭარაძეს, ცხადია, ნათესავები დიდი სიხა-რულითა და ცრემლთა ფრქვევით შეხვდნენ, მაგრამ იქვე სამწუხარო

ამბავიც დაახვედრეს: ტყუპისცალი ძმის ალეკო კვინტრაძის და მისი ოჯახის გატაცებისა და მკვლელობის შესახებ აცნობეს. ამასთან, ია იაშვილის ფოტოც აჩვენეს და „თავს გაუფრთხილდი, ბანდიტებმა შენც არაფერი დაგიშავონ“-ო, დამოძღვრეს, თუმცა ფოტოსურათი არ გამოუტანებიათ. ეტყობა, ჯინჭარაძემ მობილურით ჩუმად გადაიღო, შემდეგ კი რამდენი ეგზემპლარიც უნდოდა, იმდენს დააბეჭდვინებდა.

– კი მაგრამ, კვინტრაძის ნათესავებს იაშვილის ფოტო საიდან უნდა ჰქონოდათ? – განცვიფრდა პოლკოვნიკი.

– ვერ გაიხსენეს, – უპასუხა ლაბაძემ.

– ტყუიან! – ეჭვი არ შეჰპარვია დავითინიძეს. – თუ რანაირად შესძლეს მკვლელის ფოტოსურათის მოპოვება, არ დაავიწყდებოდათ! მშვენივრად ახსოვთ, მაგრამ შეგნებულად არ ამბობენ და ვიღაცეებს ხელს აფარებენ.

– ხელახლა დავკითხავთ, – წარბი შეიკრა კაიშაურმა, – გამოძიებისათვის ინფორმაციის დამალვაში დავადანაშაულებთ და ყველაფერს „ჩამოარაკრაკებენ“!

– მაგათ გარდა, ჯინჭარაძის საფუძვლიანი დაკითხვაცა და მისი ბინის ჩხრეკაც მოგვიწევს, თანაც სასწრაფოდ, – კაიშაურსა და ლაბაძეს გადახედა დავითინიძემ, – ორდერი დღესვე აიღეთ!

– გასაგებია, ბატონო პოლკოვნიკო, – სკამზე გასწორდა და კოსტიუმის შუა ღილი შეიკრა ლაბაძემ.

– ნათესავებს შემდეგაც ეკონტაქტებოდა ხოლმე? თავისი კოორდინატები დაუტოვა?

– არა, რას ბრძანებთ, ბატონო დავით! ძმა და მამის მშობლები გარდაცვლილები დახვდა და სხვა ნათესავებთან, ფაქტობრივად მისთვის უცხო ხალხთან, ურთიერთობა არაფერში სჭირდებოდა! – ირონიული ტონით თქვა კაიშაურმა. – მათთან გასაგები ცნობისმოყვარეობისა და შესაძლო გამორჩენის მიღების მიზნით თუ მივიდოდა. თავისდა სასიხარულოდ, მოულოდნელი ხეირი, იაშვილის ფოტოსურათის მოპოვების სახით, „პრინციპში“ უკვე ნახა და იქ აღარაფერი ესაქმებოდა. საცოდავმა ნათესავებმა კი ჩათვალეს, რომ მათი „უბედურ დღეზე გაჩენილი“ ბიჭები ანდროც და ალეკოც, „ბანდიტების მსხვერპლნი შეიქმნენ“, ძალიან შეეშინდათ და პოლიციისათვის აღარც მიუმართავთ.

– რა გაქნილი გაიძვერაა! – თავი გაიქნია დავითინიძემ, – ყურადღება თუ მიაქციეთ, როგორი მყისიერი რეაგირება მოახდინა ჯინჭარაძემ მისთვის ახლად შექმნილ გარემოებებზე და რა მოხერხებულად გამოიყენა ყველა სიტუაცია თავის სასარგებლოდ? – აღშფოთებით მიანიშნა ხელქვეითებს.

– მაგარი „შებერტყილია“! – იქედნურად და გაკვირვებით ჩაიცინა ირაკლი გაბუნიამ, – ყველაფერი წინასწარ კარგად ჰქონდა გათვლილი, ამას ხომ მოფიქრება უნდა! ინტრიგების ხლართვის დიდოსტატია, ვერაფერს იტყვი.

– დიდოსტატი კი არა, ჯინჭარაძე იმდენად მახინჯი სულის ადამიანია, – დაუფარავი ზიზღით აღნიშნა დავითინიძემ, – რომ საკუთარი მოხუცების მკვლელობაცა და ძმის ოჯახის ტრაგედიაც კი სათავისოდ „მოირგო“!

– სამწუხაროდ, ჯინჭარაძისა და ტოპლუსნაირი ადამიანები ერთი ცომისაგან არიან მოზელილები და მსოფლმხედველობაც ერთნაირი აქვთ, – განაზოგადა არჩილ ყიფიანმა, – უბრალოდ, ზოგიერთი მათგანი ძალიან ჭკვიანია, ზოგიერთები კი – არც ისე.

– გასაკვირია, მაგრამ ანდრო ჯინჭარაძის ტყუპისცალ ძმას, ალეკო კვინტრაძეს წესიერ კაცად მოიხსენიებენ, – შენიშნა ოთარ ლაბაძემ.

– გასაკვირი არაფერია, ადამიანის ცხოვრებაში გარემოს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, – თქვა პოლკოვნიკმა, – გენეტიკურად ორივე ძმა ძალიან ნიჭიერია, მაგრამ აღზრდის გამო, ერთმანეთის ანტიპოდებად ჩამოყალიბდნენ. არავინ იცის, – დაამატა სინანულით, – ჩვილი ტყუპები ერთმანეთისათვის რომ არ დაეშორებინათ, მათი ცხოვრება როგორ წარიმართებოდა!

– ალბათ, – დაეთანხმა პოლკოვნიკს კაიშაური, – შესაძლოა, ორივე მსოფლიო დონის მეცნიერი გამოსულიყო და საქართველო ესახელებინათ.

– კარგი... ათის ნახევარია, – წამოდგა დავითინიძე, – ამით დავამთავროთ. ახალი, ჩემთვის უცნობი მონაცემები თუ გაქვთ, დამიტოვეთ, გადავხედავ.

– დიახ, ბატონო პოლკოვნიკო, – საქაღალდე გაუწოდა კაიშაურმა, – აქ ოპერატიული ინფორმაციები და სხვა მასალებია.

– თქვენ კი ამასობაში შეისვენეთ და ზუსტად 10 საათზე ისევ აქ შევიკრიბოთ, – კაიშაურს საქაღალდე ჩამოართვა და სავარძელში ჩაჯდა დავითინიძე, – დაპირებისამებრ, გენერალიტეტს წინასწარი გამოძიების შედეგები უნდა მოვახსენოთ!

თავი III. საგამოძიებო ჯგუფის საქმიანობა

ხელმძღვანელობისათვის გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მიწოდების მიზნით, საგამოძიებო ჯგუფის წევრე-

ბი დათქმულ დროს, პოლკოვნიკ დავით დავითინიძის სამუშაო კაბინეტში შეიკრიბნენ.

– ბატონებო, მოკვლეული მასალების განხილვამდე, – გენერლებს ჯაშსა და აბულაძეს მიმართა და მაგიდაზე მდებარე საქაღალდეზე მიუთითა დავითინიძემ, – იქნებ ჯერ გამოსაძიებელი საქმის საწყისი მოცემულობები შეგვეჯერებინა.

– ეს აუცილებელიცაა, – საქაღალდეს დასწვდა ჯაში, – მომხდარის თანმიმდევრობას კიდევ ერთხელ გადავხედავდით და დადასტურებული ფაქტების გათვალისწინებით, შემდეგ ეტაპზე გადასაწყვეტ საკითხებსაც გავიაზრებდით.

– გენერალს სავსებით ვეთანხმები, რადგან ჩვენი ამოცანა კონკრეტული სამოქმედო გეგმის შემუშავებაა, – მზერა დავითინიძეს მიაპყრო აბულაძემ, – ასე, რომ ყურადღებით გისმენთ!

– მოგეხსენებათ, რომ მიმდინარე წლის 25 აპრილს დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტს მომართა ვინმე ია იაშვილმა, – ვითარების აღწერას შეუდგა დავითინიძე, – რომელმაც განაცხადა, რომ 40 წელიწადი კოსმოსში გაატარა და ფლობს სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვან სრულიად საიდუმლო ინფორმაციას. აქვე აღვნიშნავ, რომ იაშვილი სავსებით შერაცხადი, განათლებული და ძლიერი პიროვნებაა, ამასთან მაღალი ინტელექტუალური შესაძლებლობებითაც გამოირჩევა.

სანამ ქალს დასაკითხად აქ, დეპარტამენტის ტერიტორიაზე შემოვიყვანდით, მას შენობის მთავარ შესასვლელთან განთავსებული დაცვის პოსტის წინ ორმა ადამიანმა ესროლა და შემთხვევითობის წყალობით, ორივემვე ააცილა! ამ „სნაიპერებზე“ ქვემოთ მოგახსენებთ.

გამოძიება მაშინათვე დავიწყეთ, ქალის პიროვნება გადავამოწმეთ და აღმოჩნდა, რომ იგი, პოლიციის ყოფილი მაიორი, ორი მცირეწლოვანი ბავშვის გატაცებისა და შემდეგ პირადად მათი და მათი მამის მკვლელობის ბრალდებით, 2012 წელს თბილისის საქალაქო სასამართლოს დაუსწრებლად გაუსამართლებია და უვადო პატიმრობა მიუსჯია. ბრალდებულზე საერთაშორისო ძებნა გამოცხადებულა და იგი ინტერპოლის „წითელი ცირკულარით“ დღემდე იძებნება.

იაშვილმა დაკითხვისას წაყენებული ბრალდება კატეგორიულად უარჰყო, თავი იმართლა და მომხდარის საკუთარი, ლოგიკურად სავსებით „დალაგებული“ ვერსია შემოგვთავაზა. საინტერესოა, რომ ქალის მიერ დასახელებული რამდენიმე, ერთი შეხედვით დაუჯერებელი, ფაქტი გამოძიებით დადასტურდა, ამასთან ყოფილი კოლეგები იაშვილს დადებითად ახასიათებენ და თვლიან, რომ იგი ასეთ სასტიკ დანაშაულს არ ჩაიდენდა, თუმცა რეალურად რა შეიძლებოდა მომხდარიყო, ვერავინ ახსნა.

დეტალების გადამოწმებისა და ბევრი სხვა ფაქტორის გათვალისწინებით, საგამოძიებო ჯგუფის წევრებს დასაბუთებულად მიგვაჩნია, რომ ია იაშვილს კანონსაწინააღმდეგო ქმედებები არ ჩაუდენია და იგი შემთხვევით გახდა, რბილად რომ ვთქვათ, საეჭვო ვითარების მოწმე. მართალია, ქალი არ მოკლეს, მაგრამ კოსმოსში გაშვებით არა მხოლოდ დაადუმეს და თავიდან მოიშორეს, არამედ ფაქტობრივად უეჭველ სიკვდილზეც გაგზავნეს. ამდენად, ჩვენის აზრით, იაშვილის მიერ წამოყენებული, საკმაოდ ორიგინალური „ვერსია“, სინამდვილეს უნდა შეესაბამებოდეს.

კერძოდ, მან თქვა, რომ 2011 წლის 25 ოქტომბერს კაფე-სახაჭაპურე „გურმან“-თან შემთხვევით შეხვდა N534-ე საბავშვო ბაღიდან გამოპარულ და უმეთვალყურეოდ დარჩენილ მცირეწლოვან ბავშვებს ეკატერინე და ლუკა კვინტრაძეებს (ქალს კვინტრაძეების ოჯახი ეკლესიაში რამდენჯერმე ჰყავდა ნანახი და ბავშვები იცნო) და მან, როგორც პოლიციის ოფიცერმა, თავი ვალდებულად ჩათვალა პატარები საბავშვო ბაღში დაებრუნებინა.

იაშვილმა ბავშვები ბაღთან მიიყვანა და მათი დედის მოსვლას დაელოდა, მალე პატარების წასაყვანად ქალისათვის უცნობი მამაკაცი გამოცხადდა. იაშვილს იგი საეჭვო პირად მოეჩვენა და ბავშვები არ ანდო, მათთან ერთად უცნობის ავტომანქანებით ჯერ „მერსედეს-ბენცით“, ხოლო „ლილოს ბაზრობის“ მიმდებარე ტერიტორიიდან – „ტოიოტა პრადო“-თი გაემგზავრა და რამდენიმე საათში ცოცხალი და უვნებელი პატარები მამას, ახალგაზრდა ასტროფიზიკოს ალექსანდრე კვინტრაძეს გომბორის უღელტეხილთან გადასცა.

იაშვილმა ავტომანქანის მძღოლი, რომლის ვინაობაც დადგენილია, შეგნებულად მოატყუა და თავი ბავშვების დედად გაასაღა. ტყუილის გამოაშკარავებამ კვინტრაძეცა და მძღოლიც განარისხა, ამ უკანასკნელმა თავის „უფროსობას“ ფაქტის შესახებ აცნობა და იაშვილის თან წაყვანის ბრძანება მიიღო. შემდეგ ქალი ბათუმში განთავსებული ტურისტული სააგენტო „ლამაზი ადგილების“ („Beautiful Space”) მიერ დაქირავებული სამოქალაქო ვერტმფრენის ბორტზე აიყვანეს და ჯერ აჭარაში გაიტაცეს, მერე კი მთის საცალფეხო ბილიკებით თურქეთის ტერიტორიაზე არალეგალურად გადაიყვანეს. მძღოლისა და ტურისტული ფირმის შესახებაც მოგვიანებით ვიტყვი.

თურქეთში დაუდგენელი პირები ფულისა და ქონების შეთავაზებით, მუქარითა და შანტაჟით იაშვილზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახდენდნენ და საქართველოს წინააღმდეგ ჯაშუშობაზე დათანხმებას აიძულებდნენ. სამშობლოს ღალატზე ქალმა უარი განაცხადა და ფიზიკური ლიკვი-

დაციისაგან თავის გადასარჩენად შანტაჟისტებს საქართველოსთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტა, თურქეთში დარჩენა და მათთან თანამშრომლობა შესთავაზა, რაზეც უარი მიიღო. ამის მერე მოვლენები შემდეგნაირად განვითარდა: იაშვილი ზემოხსენებული სააგენტოს სახელწოდების – „Beautiful Space" – მქონე იახტით, სავარაუდოდ, ტროპიკულ სარტყელში მდებარე რომელიღაც ქვეყანაში ასევე არალეგალურად შეიყვანეს, მერე კი გასაიდუმლოებულ და დაცულ ტერიტორიაზე გადაიყვანეს. ქალის თქმით, ეს იყო გასამხედროებული ბაზის მსგავსი კარგად აღჭურვილი ზონა. „ბაზაზე" იაშვილმა რამდენიმეთვიანი სამეცნიერო-ტექნიკური და ფიზიკური მომზადება გაიარა, შემდეგ ოკეანეში განთავსებულ კოსმოდრომზე მიიყვანეს და კოსმოსური ხომალდით სამყაროში „სამოგზაუროდ" „გაისტუმრეს". კოსმოსში ყოფნისას, „ბაზაზე" შეძენილი ცოდნით იაშვილი ხომალდის ბორტზე მოთავსებულ ცხოველებსა და მცენარეებს სწავლობდა და ტელესკოპით ციურ სხეულებს აკვირდებოდა.

შემდეგ რაღაც მიზეზის გამო, 40-წლიანი კოსმოსური „ვოიაჟი" შეწყდა და ხომალდი დედამიწაზე დაბრუნდა. დაახლოებით ორი კვირის წინ ქალი საქართველოში არალეგალურად, ზღვის მხრიდან შემოაპარეს, მწვანე კონცთან ახლოს, საავტომობილო ტრასაზე მდებარე რესტორან „პოსეიდონის" პერსონალის დახმარებით თბილისში გამოამგზავრეს, ვაშლიჯვარში სასტუმრო „ოჯახურ სავანეში" დაასახლეს და „ფსკერზე გაწოლა" მოსთხოვეს.

ბევრ კითხვას ბადებს იაშვილის დაბრუნება. ცხადია, ქალი კეთილმოსურნეების დახმარების გარეშე ცოცხალი ვერ გადარჩებოდა, საქართველომდე ჩამოღწევაზე რომ აღარაფერი ვთქვათ... აშკარაა, რომ გატაცებიდან დაბრუნებამდე, მთელი ეს პერიოდი, მას ფრიად გავლენიანი „ვიღაცა" მფარველობდა: ფიზიკური განადგურებისაგან იხსნა და სამშობლოში დაბრუნებაშიც დაეხმარა. საინტერესოა, ვინ და რატომ ეხმარებოდა იაშვილს? ან რატომ შეწყდა კოსმოსური ექსპედიცია და რატომ დაბრუნდა დედამიწაზე ხომალდი? თუ ამ კითხვებს ვუპასუხებთ, საქმესაც გავხსნით.

იაშვილი ქართულ სპეცსამსახურებთან დაკავშირებაზე თავიდანვე ფიქრობდა და როგორც კი შესაძლებლობა მიეცა, ჩვენ, დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტს, მოგვმართა. მართალია, იგი არანაირ მტკიცებულებას არ ფლობს, მაგრამ მიაჩნია, რომ ხომალდზე კაცობრიობისათვის საშიში და საერთაშორისო სამართლით აკრძალული საიდუმლო ექსპერიმენტები ტარდებოდა. იაშვილი საერთაშორისო დანაშაულებრივი ჯგუფის გამოაშკარავებასა და მხილებას დაუყონებლივ მოითხოვს. გარ-

და ამისა, იგი თვლის, რომ საქართველოს რეალური საფრთხე ემუქრება და აქტიური თავდაცვითი ქმედებებისაკენ მოგვიწოდებს.

დამეთანხმებით, რომ იაშვილის საზღვარგარეთ და კოსმოსში ყოფნის პერიოდების, დედამიწაზე მისი დაბრუნებისა და საქართველოში ჩამოსვლის გარემოებების გადამოწმება საგამოძიებო ჯგუფის შესაძლებლობებს აღემატება. ამდენად, ქალის მონათხრობი ბურუსითაა მოცული, დაკითხვისას მის მიერ ნახსენები პირებისა და ადგილების უმეტესობა, სამწუხაროდ, გამოძიების მიერ ჯერჯერობით ვერ დადგინდა.

„სნაიპერებზე“ მოგახსენებდით... როგორც უკვე ვთქვი, იაშვილს ორმა ადამიანმა ესროლა. ერთი-ერთი მათგანი აღმოჩნდა თურქეთის მოქალაქე, რეციდივისტი ქერიმ ტოპლუ, რომელიც იაშვილთან მიმართებაში შეცდომაში შეიყვანა ზემოხსენებული ალეკო კვინტრაძის ტყუპისცალმა ძმამ, ყოფილმა ნარკომოვაჭრემ და ამჟამად ბიზნესმენმა, ანდრია ჯინჭარაძემ. აღსანიშნავია, რომ ძმები დაბადებიდანვე დააშორეს და ერთმანეთს პირადად არ იცნობდნენ, ამასთან არც ჯინჭარაძესა და არც ტოპლუს მანამდე იაშვილთან არანაირი შეხება არ ჰქონიათ. ამდენად, იაშვილის კავშირი ერთ-ერთ „სნაიპერთან“ არ დასტურდება.

მეორე „სნაიპერი“ იყო სავარაუდოდ, ყოფილი ამერიკელი „რეინჯერი“, რომლის ვინაობაც ვერ დადგინდა და იგი მოკლულია ასევე დაუდგენელი „ქილერის“ მიერ. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ მავანთ იაშვილის მკვლელობა სწორედ მისი კოსმოსში ყოფნის ფაქტის დამალვის გამო სურდათ.

ჩემის აზრით, ტოპლუსა და მეორე სნაიპერის მხრიდან „უცნაურ რეტრომანზე“ ერთდროული თავდასხმა წმინდა წყლის შემთხვევითობაა და პროვოცირებულია იაშვილის მიერ სახელმწიფო დაწესებულებისათვის მიმართვით, რადგან ტოპლუს ანგარება და პირადი შურისძიება ამოძრავებდა და ნაკლებ სავარაუდოა, რომ მას იაშვილის კოსმოსში ყოფნის „ისტორიით“ დაინტერესებულ პირებთან ჰქონდეს კავშირი.

რაც შეეხება, ავტომანქანების მძღოლს, იგი აღმოჩნდა ბათუმური ტურისტული სააგენტო „Beautiful Space”-ის მფლობელი, ვინმე ამირან პაიჭაძე, რომელიც ასევე მოკლულია. იგი მოკლეს 2011 წლის 2 დეკემბერს, ანუ იაშვილის გაუჩინარებიდან მალევე.

ტურისტული სააგენტო გახსნიდან რამდენიმე თვეშივე დაიხურა, მისი არც შექმნა და არც დახურვა ბათუმის ტურისტული ბიზნესის განვითარების, ან ქალაქისათვის სხვა რაიმე ეკონომიკური აუცილებლობით არ ყოფილა განპირობებული. ჩვენის აზრით, ეს იყო საზოგადოების თვალის ასახვევად და „არატურისტული“ მიზნებისათვის შექმნილი ფირმა. გაურკვეველია, თუ რას საქმიანობდა იგი რეალურად, თუმცა დადგე-

ნილია, რომ ავტომანქანები „მერსედეს-ბენცი“, „ტოიოტა-პრადო“ და სავარაუდოდ, გემიც იმავე ფირმის საკუთრებას წარმოადგენდნენ.

ზემოხსენებული ფაქტები მოწმობენ, რომ განზრახული იყო იაშვილისა და მასთან დაკავშირებული პირების ლიკვიდაცია, რაც ნაწილობრივ განხორციელდა კიდეც. ყოველივე ეს კი იაშვილის ვერსიის სასარგებლოდ მეტყველებს და ცხადყოფს, რომ საქმე გვაქვს საერთაშორისო მასშტაბებით მოქმედ, კარგად ორგანიზებულ და ძალიან სერიოზული „კრიშის“ მქონე დანაშაულებრივ დაჯგუფასთან და მათ მხოლოდ ჩვენი სპეცსამსახურების ძალებით ვერ გავუმკლავდებით, უცხოელი კოლეგების დახმარება დაგვჭირდება.

– მოკვლეულ მასალებს პრემიერ-მინისტრს ამაღამვე წარვუდგენთ, – გადაჭრით განაცხადა ჯაშმა. – საკითხი მეტად სერიოზულია და სამთავრობო დონეზე თუ გადაწყდება.

– იმედია, დახმარებას დროულად მივიღებთ, – ორჭოფულად თქვა აბულაძემ, – და გამოძიება დაინტერესებული ქვეყნების ბიუროკრატიული აპარატების მოუქნელობის მიზეზით, არ გაგვიჭიანურდება.

– ვნახოთ... გააჩნია დამნაშავეებს ვინ „კრიშავს“, – მოიღუშა დავითინიძე, – არ გამიკვირდება, თუ აღმოჩნდება, რომ დანაშაულებრივ ჯგუფს რომელიმე ქვეყნის მმართველობის უმაღლეს ეშელონებში მოკალათებული კრიმინალები მფარველობენ.

– პრობლემა არ არის, – დაამშვიდა კოლეგები ჯაშმა, – კრიტიკულ მომენტში, პრევენციის მიზნითა და „გაჟონვის“ სახით, ინფორმაციას საერთაშორისო მასმედიას დოზირებულად მივაწვდით, მსოფლიოში ატყდება ერთი ამბავი და ყველა დამნაშავეს დამსახურებულად მიეზღვება.

– ამისათვის პოლიტიკური ნებაა საჭირო, – განაცხადა შუბლშეკრულმა დავითინიძემ.

– იქნებ, ჯერ გამოძიება დაგვესრულებინა და დამნაშავეების დასჯაზე შემდეგ გვეფიქრა? – კოლეგების ყურადღება პოლიტიკიდან კვლავ განსახილველ თემაზე გადმოიტანა ჯაშმა.

– მართალია, – დაეთანხმა აბულაძე, – ჯობს ზოგიერთი დეტალი დავაზუსტოთ.

– კი ბატონო, – მზადყოფნა გამოხატა დავითინიძემ, – გვკითხეთ!

– ბატონო ვიცე-პოლკოვნიკო, – მიმართა კაიშაურს აბულაძემ, – რამდენადაც ვიცი, იაშვილს უთქვამს: „ჩემზე დაკვირვებით სწავლობდნენ, თუ როგორ მოიქცეოდა ჩაკეტილ სივრცეში ხანგრძლივი დროით თავისუფლებაშეზღუდული სახელმწიფო ჩინოვნიკი“-ო. ვის რაში უნდა დასჭირვებოდა ამგვარი დაკვირვება? გჯერათ, რომ ქალზე ექსპერიმენტები

არ ჩაუტარებიათ, იგი საღ გონებაზეა და მისი მონაყოლი სიმართლეს შეესაბამება?

– იაშვილი ირწმუნება, რომ მასზე მხოლოდ ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახდენდნენ და ფიზიკურ ექსპერიმენტებს არ აწარმოებდნენ, – უპასუხა კაიშაურმა, – მაგრამ „პრინციპში“ შესაძლებელია, ეს ასე არც იყოს და ამის შესახებ თვითონაც არაფერი იცოდეს. ფაქტია, რომ იაშვილი თავის რეალურ ასაკთან შედარებით წარმოუდგენლად ახალგაზრდად გამოიყურება. კოსმოსური ხომალდი კი იმდენად დიდ სიჩქარეს ვერ განავითარებდა, რომ დრო იქ ასე მნიშვნელოვნად შენელებულიყო. დაკითხვაზე ქალმა თქვა, რომ ხომალდზე სვამდნენ სიბერის შემაჩერებელ რაღაც წამალს, რომელიც იაშვილისთვისაც შეუთავაზებიათ, მაგრამ მას უარი განუცხადებია. ვფიქრობ, იაშვილი პრეპარატს საკვების, წყლის, ან სულაც ჰაერის სახით ღებულობდა, თუმცა ჩვენი მედიკოსების მიერ ჩატარებულმა სამედიცინო შემოწმებამ იაშვილის სხეულში ჩადგმული იმპლანტატები, ან ქიმიური ნივთიერებების ზემოქმედების კვალი ვერ აღმოაჩინა. არ არის გამორიცხული, რომ პრეპარატი თავისი უნიკალური ფარმაკოლოგიური თვისებებით, ადამიანის ორგანიზმის იმუნური სისტემისათვის უცხო სხეულს სულაც არ წარმოადგენდეს. გარდა ამისა, ფსიქიატრებისა და ფსიქოლოგების დასკვნით, იაშვილი სავსებით ჯანმრთელი და საღად მოაზროვნე ადამიანია, აქვს მაღალი ინტელექტი და შესანიშნავი მეხსიერება. თუ მასზე ექსპერიმენტები მართლაც არ ჩაატარეს, ეს მისი იდუმალი „მფარველის“ დამსახურებად მესახება.

– შესაძლოა... სიმართლე გითხრათ, ამ „ინკოგნიტო მფარველის“ ნახვა მეც ძალიან მაინტერესებს, – უნდობლად ჩაეცინა აბულაძეს. – იაშვილი „სიცრუის დეტექტორზე“ თუ „გაატარეთ“?

– კი, როგორ არა, ბატონო გენერალო! თავიდანვე, პიროვნების დადგენისას... მან შემოწმების პროცედურა სრულად გაიარა.

– დაკითხვის დროს?

– არა, – აბულაძისა და კაიშაურის დიალოგში ჩაერია დავითინიძე, – საჭიროდ არ ჩავთვალეთ, რადგან ამის აუცილებლობა არ წარმოქმნილა, იაშვილი ხომ ინფორმაციას საკუთარი სურვილით გვაწვდიდა.

– ნივთიერი მტკიცებულებები თუ მოიპოვეთ? – მთავარი კითხვა დასვა აბულაძემ.

– სამწუხაროდ, ჯერ ვერა, – მხრები აიჩეჩა კაიშაურმა.

– თქვენ მიერ წარმოდგენილი მასალების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, გამოდის, რომ საქმეში მხოლოდ იაშვილის, ტოპლუს, ჯინჭარაძისა და სხვათა ჩვენებების, არქივიდან და მონაცემთა კომპიუტერული ბაზებიდან ამოწეული მასალებისა და ოპერატიული ინფორმაციების გარდა,

არაფერი გვაქვს?! – საქაღალდე აბულაძეს გადასცა და მკაცრი ტონით იკითხა ჯაშმა.

– ბიჭები დღე და ღამე მუშაობენ, ბატონო გენერალო, – საგამოძიებო ჯგუფის წევრები დაიცვა დავითინიძემ, – ნივთმტკიცების კვალს მივაკვლიეთ და მალე მოვიპოვებთ კიდეც. ნივთმტკიცება წარმოადგენს იაშვილის 40 წლის წინანდელ „აიფონს“. საფუძვლიანი ეჭვი გვაქვს და მიგვაჩნია, რომ იგი იაშვილის ბავშვობის მეგობარსა და ასევე ყოფილ პოლიციელს, ქეთი იმნაძესა აქვს გადამალული. სასამართლოს ნებართვით, ქალს უკვე ვუთვალთვალებთ და ვუსმენთ.

– იაშვილის ჩვენებით, მთელი მისი „თავგადასავლის“ მიზეზად უპატრონოდ დარჩენილი მცირეწლოვანი ბავშვების გამოსარჩლება იქცა. საინტერესოა, როგორ შესძლეს ხუთიოდე წლის ბავშვებმა ბაღის ეზოდან ჩუმად გამოპარვა? – დაეჭვდა აბულაძე.

– გამოძიებით დადგინდა, რომ იმ დღეს საბავშვო ბაღის აღმზრდელები კოლექტიურად წავიდნენ მათივე თანამშრომლის დედის დაკრძალვაზე და ადგილზე მხოლოდ მზარეული და ძიძა იმყოფებოდნენ, ბავშვებმაც მომენტით ისარგებლეს და ბაღიდან შეუმჩნევლად გამოიპარნენ, – განმარტა კაიშაურმა.

– დაკითხვისას იაშვილმა ახსენა: თურქი თარჯიმანი „საიდი“, რომელიც თბილისის უნივერსიტეტში სწავლობდა, სკანდინავიელი გემის კაპიტანი, ცნობილი ამერიკელი მეცნიერი ვუდპეკერი, ხომალდის მეთაური ჯონსონი, მისი თანაშემწე ვლადიმერი, ქართული ენის მცოდნე ექიმი ქეითი, ინკოგნიტო „თვითმფრინავის კაცი“ და სხვა გამოძიებისათვის ნაკლებად მნიშვნელოვანი პირები, – ჩამოთვალა ჯაშმა, – როგორც მივხვდი, მათ შესახებ არაფერი იცით.

– ჩვენ გულდასმით შევისწავლეთ იმ პერიოდის თბილისის უნივერსიტეტის უცხოელ კურსდამთავრებულთა და ასპირანტთა სია. იაშვილის ნაცნობის სავარაუდო ასაკის 968 კაციდან 57-ის სახელი, ან გვარი აღმოჩნდა „საიდი“, მათ შორის 24 თურქეთის მოქალაქე ყოფილა. ამ სიიდან ჩვენ აგრეთვე გადავამოწმეთ აღმოსავლური გარეგნობის მქონე პირებიც, მაგრამ არც ერთი მათგანის აღწერილობა იაშვილის მიერ „დახატულ“ პორტრეტს არ ემთხვევა, – დამაჯერებლად განაცხადა ირაკლი გაბუნიამ.

– იაშვილს თავის ნამდვილ სახელს არ გაუმხელდა, – შენიშნა აბულაძემ.

– ჩვენც ასე ჩავთვალეთ და დროის სიმცირის გამო, ამ მიმართულებით ძიება აღარ გაგვიგრძელებია, – თავი დახარა გაბუნიამ.

– უნდა გააგრძელოთ, – დაავალა გაბუნიას აბულაძემ, – იმ პერი-

ოდის უკლებლივ ყველა უცხოელი სტუდენტის ვინაობა გადაამოწმეთ. იქნებ ამ საიდს თსუ-ს დიპლომი საერთოდაც არ აუღია?! იქნებ ტიპი გარიცხეს, ან თავისი ნებით წავიდა?!

– გასაგებია, ბატონო გენერალო, – დავალება სამუშაო ბლოკნოტში ჩაინიშნა გაბუნიამ, – უნივერსიტეტში ხვალ დილიდანვე მივალ.

– ჩვენს შეკრებამდე ამ ამერიკელ მეცნიერზე, ვუდპეკერზე ვფიქრობდი, – საუბრის თემა შეცვალა დავითინიძემ, – ინტერნეტში ბევრი ვეძებე და ცნობილი მეცნიერების ჩამონათვალში ამ გვარით არავინ მოიძებნა. ისედაც ნათელია, რომ „ვუდპეკერი“ ფსევდონიმი იქნებოდა. იაშვილმა ინგლისური კი იცის, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია, ალბათ მაგალითად, გვარი ბეიკერის ასოციაციით. ამას შეხედეთ, – კოლეგებს ინგლისური სიტყვებით აჭრელებული პატარა ფურცელი გაუწოდა პოლკოვნიკმა, – „baker“ ქართულად „მეპურედ“ ითარგმნება, ხოლო „woodpecker“ ნიშნავს „კოდალას“.

– ხედავთ, ამ ჩვენს „ძაან“ მეცნიერს როგორი „არასვეცკი“ თიკუნი აურჩევია?! – გაუკვირდა ჯაშს.

– რას ვერჩით, ძმაო, მეცნიერების გრანიტის ათვისებას ხომ მძლავრი და ბასრი ინტელექტი სჭირდება, გრანიტის დასაძლევად კი ვუდპეკერი ალბათ „დაკორტვნის მეთოდს“ იყენებს და ზედმეტ სახელადაც „კოდალა“ იმიტომ აირჩია! – სერიოზული სახით, შეუვალი ტონითა და ულვაშებში ჩამალული ღიმილით განაცხადა დავითინიძემ.

გენერლებმა ჯერ დავითინიძეს შეხედეს, შემდეგ ერთმანეთს გადახედეს და ჩუმად ჩაეცინათ, მათ საგამოძიებო ჯგუფის წევრებიც თავშეკავებულად აყვნენ, მალე კი ყველა ერთად გულიანად ხარხარებდა.

– შენსას მაინც არ იშლი, დავით, – მხრები უთახთახებდა ჯაშს, – ნართაულები ნებისმიერ სიტუაციაში არასოდეს გელევა! თან ისეთი აღუშფოთველი და მიამიტი გამომეტყველებით ამბობ ხოლმე, რომ...

– რა ვქნა, დაძაბული პროფესია გვაქვს... ზოგჯერ განტვირთვაც ხომ გვჭირდება, – საწერი კალამი ორგანაიზერში ჩადო დავითინიძემ.

– საქმეს მივუბრუნდეთ, – საქაღალდე კაიშაურს დაუბრუნა აბულაძემ, –სასტუმრო „ოჯახური სავანესა“, ანდა რესტორან „პოსეიდონის“ თაობაზე გამოძიებისათვის საინტერესო რაიმე თუ გაარკვიეთ?

– დიახ, ბატონო გენერალო, – საქაღალდიდან რამდენიმე ფურცელი ამოიღო კაიშაურმა, – დავადგინეთ, რომ ეს სასტუმროცა და რესტორანიც ეკუთვნის ერთსა და იმავე პიროვნებას, პროფესიით არქეოლოგს და საკმაოდ შეძლებულ ქალბატონს, 3 შვილის დედას, ქუთაისელ რიმა ალექსანდრეს ასულ გოგელიას, რომელიც მეუღლესთან მირიან ფრი-

დონის ძე მირიანაშვილთან ერთად დადებითად ხასიათდებიან და კანონსაწინააღმდეგო ქმედებებში შემჩნეულნი არ არიან. იაშვილის შესახებ გოგელიას აუცილებლად რაღაც ეცოდინება, მაგრამ ფიზიკურად ვერ დავკითხეთ, საბერძნეთში იმყოფება და ხვალ დილით ადრე ჩამოდის. ისე, მის მეუღლესთან გასაუბრება კი შეიძლებოდა, მაგრამ მათი დროზე ადრე „დაფრთხობა“ არ ღირდა.

– დაკითხვა ხვალაც შეიძლება, – მშვიდად თქვა აბულაძემ.

– რა მაეჭვებს, იცი? – აბულაძეს მიუბრუნდა ჯაში, – თუ გახსოვს, იაშვილმა თქვა: „ძალიან ცხელოდა და იახტაზე სამკუთხედიანი და ვარსკვლავებიანი ჭრელი დროშა ფრიალებდა“-ო?

– რა თქმა უნდა, მახსოვს. – ყურადღება დაძაბა აბულაძემ.

– გამოდის, რომ იახტა თურქეთის სანაპიროსთან დაუბრკოლებლად მოძრაობდა, მაგრამ თურქეთს არ ეკუთვნოდა, საქართველოში არსებული ტურისტული სააგენტოს სახელს ატარებდა, მაგრამ უცხო ქვეყნის დროშით დაცურავდა, – ხმამაღლა ფიქრობდა ჯაში.

– ესე იგი, გვაინტერესებს, რომელი ქვეყნის საკუთრება იყო და ვისი დროშის ქვეშ ცურავდა გემი? – მიუხვდა აბულაძე.

– სწორედაც! – თავი ჩამოიქნია და მარჯვენა წარბი ზევით აზიდა ჯაშმა, – ნუთუ ამის გარკვევა ასე ძნელია? განა რამდენ ქვეყანას ექნებოდა, ან აქვს მსგავსი აღწერილობის დროშა?

– საკითხს შევისწავლით, ბატონო გენერალო, – დაჰპირდა დავითინიძე.

– გარდა ამისა, ავთო, იქნებ დაგეზუსტებინათ, რა კავშირი ჰქონდა გემს ბათუმურ ტურისტულ ფირმასთან.

– მივხედავთ, ბატონო გიორგი, – შეიშმუშნა კაიშაური.

– მე კი ხომალდის ჭერსა და კედლებზე არსებული აბრევიატურა STU მაეჭვებს და ახსნა ვერ მომიძებნია, – თქვა აბულაძემ, – რას უნდა ნიშნავდეს, ძნელი სათქმელია, მაგრამ ვგრძნობ, რომ ამ STU-ს გაშიფრვა ისეთ მნიშვნელოვან და მრავალშრიან ინფორმაციას მოგვცემს, რომ გამოძიება პრაქტიკულად დასრულდება.

– არა მგონია, – შეეკამათა ჯაში.

– რატომ?

– იმიტომ, რომ იაშვილის ბრალდების საქმეში მთავარი კითხვები შემდეგია: სად არიან ასტროფიზიკოსი ალეკო კვინტრაძე და მისი შვილები? ცოცხლები, ან მკვდრები! თუ იაშვილს არ მოუკლავს, მაშ სად გაქრნენ? ფაქტია, მათ შესახებ 40 წელია არაფერია ცნობილი!

– გეთანხმები, – ჯაშის შენიშვნა მიიღო აბულაძემ.

ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა. საგამოძიებო ჯგუფის წევრები ხელმძ-

ღვანელობის შემდგომ მითითებებს ელოდნენ, ხოლო გენერლები ჯაში და აბულაძე მიღებულ ინფორმაციას გონებაში აანალიზებდნენ და ცდილობდნენ წვრილმანიც კი არ გამორჩენოდათ.

– ვფიქრობ, დღეისათვის თითქმის ყველა საკითხი განვიხილეთ, – მდუმარება დაარღვია ჯაშმა, – თუ ბატონ ლევანს, ან რომელიმე თქვენთაგანს რაიმე გაქვთ სათქმელი, ბრძანეთ.

– არა... უკვე მოგახსენეთ, – მოკლედ უპასუხა დავითინიძემ.

– არაფერი, – განაცხადა აბულაძემაც, – მუშაობა განვაგრძოთ და ხვალ ისევ აქ შევიკრიბოთ. მანამდე მე და ბატონი გიორგი პრემიერ-მინისტრს ვეწვევით და გამოძიების მიმდინარეობის შესახებ მოვახსენებთ. შემდგომში კი, თუ საქმე მოითხოვს, პრემიერ-მინისტრს ყველანი ერთად შევხვდებით.

– ბიჭებო, – თათბირი შეაჯამა ჯაშმა, – ამ ეტაპზე ჩვენი მიზანია ორი მთავარი ამოცანის ამოხსნა: პირველი, უნდა გავარკვიოთ, რა ბედი ეწია კვინტრაძეების ოჯახს, ცოცხლები არიან ისინი, თუ მკვდრები და, შეძლებისდაგვარად, დავადგინოთ მათი ადგილსამყოფელი; მეორე, ვიპოვოთ იაშვილის „აიფონი“, სასურველია, პირადობის მოწმობაც. „კოსმოსთან მოთამაშე“ დამნაშავეებს კი გამოძიების შემდეგ ეტაპზე მივხედავთ.

– გასაგებია, ბატონო გენერალო, – თითქმის ერთხმად უპასუხეს საგამოძიებო ჯგუფის წევრებმა.

– დროა დავიშალოთ, თორმეტი ხდება, – წამოდგა ჯაში.

– ხვალამდე, – კოლეგებს ხელი ჩამოართვა აბულაძემ.

– ბატონო დავით, იქნებ თქვენი ღირშესანიშნავი საქაღალდე დაგვიტოვოთ, – ხუმრობაშეპარული კილოთი სთხოვა დავითინიძეს აბულაძემ.

– კი ბატონო. – დავითინიძემ საქაღალდე მაგიდიდან აიღო და გენერალს მიაწოდა.

– გმადლობთ! – აბულაძემ საქაღალდისაკენ ხელი გაიწოდა და სწორედ ამ დროს, მოულოდნელად, მისი მობილური ტელეფონის ზარმაც გაიწკრიალა.

– უკაცრავად, ზარს ვუპასუხებ, – მოიბოდიშა აბულაძემ და კოსტიუმის ჯიბიდან ტელეფონი ამოიღო – გისმენ, ვასო!

აბულაძე უეცრად გაწითლდა, შუბლი შეიჭმუხნა და საქაღალდისაკენ აღარც კი გაუხედავს, სკამზე მოწყვეტით დაეშვა. ყველა მას მიაჩერდა.

– ადგილზე იყავით, მეც მალე მოვალ, – მკაცრად უთხრა თანამოსაუბრეს და ტელეფონი გათიშა.

– რა არის? – შეშფოთებით ჰკითხა ჯაშმა.

– ჩემი მოადგილე იყო, – ამოიგმინა აბულაძემ, – ჯინჭარაძე მოკვდა!

– რااა! – საქაღალდე ლამის ხელიდან გაუვარდა დავითინიძეს.

– ეს როგორ მოხდა? – სიმშვიდეს ინარჩუნებდა ჯაში.

– სამი საათის წინ თავისივე საყვარელმა საკუთარ სახლში მკვდარი იპოვა და ადგილობრივ პოლიციას შეატყობინა.

– შენი თანამშრომლები შემთხვევის ადგილზე არიან?

– ჰო... დაკითხვაზე არ გამოცხადდა და გამომძიებელმა დაურეკა, მაგრამ არც მობილურს და არც სახლის ტელეფონს არ პასუხობდა. მერე მასთან სახლში მივიდნენ და მკვდარი დახვდათ. სიკვდილის მიზეზი ნარკოტიკის გადამეტებული დოზაა.

– ჯინჭარაძე ნარკომანი არ ყოფილა, – თქვა ირაკლი გაბუნიამ.

– მოკლეს, – თავის ქნევით თქვა ჯაშმა, – ალბათ ტოპლუს „ამფსონებმა“!

– რამდენი ხნის გარდაცვლილია? – იკითხა დავითინიძემ.

– არ ვიცი, – ხელი ჩაიქნია აბულაძემ, – ექსპერტს მუშაობა არ ჯერ არ დაუმთავრებია. მხოლოდ ის მითხრეს, რომ ჯინჭარაძეს დუშეთში, საკუთარი სახლის მარანში ძველი იარაღის საიდუმლო სამალავი ჰქონია.

– თითქოს თავსატეხი გვაკლდა, – დანანებით ჩაილაპარაკა ოთარ ლაბაძემ.

– თუ გინდათ, თქვენც წამოდით, – ხელქვეითებს მიმართა, სკამიდან წამოდგა, საქაღალდე აიღო და კარებისაკენ გაემართა აბულაძე, – ჯინჭარაძე ხომ თქვენი „ფიგურანტიც“ იყო, ახალ ინფორმაციას მიიღებთ, იქნებ იაშვილის საქმეში გამოგადგეთ.

– მოვდივართ, – დაედევნენ გაბუნია და ყიფიანი.

– მე და ლაბაძეც წავყვებით, – ნებართვა ითხოვა კაიშაურმა.

– თუ საჭიროდ მიგაჩნიათ, წადით, – უფლება მისცა დავითინიძემ, – ოღონდ ხვალ საათის თორმეტისათვის ყველა ისევ ჩემთან შევიკრიბოთ, ხომ ნახეთ, ვითარება შეიცვალა...

– გასაგებია, – ლაბაძეს გახედა კაიშაურმა. ორივენი კაბინეტიდან გავიდნენ.

– მეც წავედი, დავით, – კარებისაკენ ნელი ნაბიჯით გაემართა ჯაში, – ამაღამ მე და ლევანი პრემიერ-მინისტრს ვხვდებით და მის წინაშე დასაყენებელ საკითხებში უნდა ჩამოვყალიბდე. ვნახოთ, რას იტყვის... პასუხს დილიდანვე შეგატყობინებ.

– კარგი... ხვალ მეც მექნება შენთვის ახალი ინფორმაცია.

კოლეგების გაცილების შემდეგ, დავითინიძემ ფანჯარა გამოაღო, მცენარეების კვირტების შემპარავად მათრობელი სურნელი ღრმად ჩაისუნთქა, ალმასისებრი მნათობებით მოოჭვილ ზეცას ფიქრიანად

ახედა და საწერი მაგიდისაკენ გაეშურა.

„საინტერესოა, ვინ და რატომ მოკლა ჯინჭარაძე, – ფიქრობდა დავითინიძე, – ილმაზი დიდი ხნის გარდაცვლილია, ტოპლუ დაკავებულია, თანაც ბოლო დროს ჯინჭარაძესთან პრეტენზია აღარ ჰქონდა და მხოლოდ იაშვილს დასდევდა. არა მგონია, ეს მკვლელობა „ფენრირის“ „გარდაშების“ ნამოქმედარი იყოს... „ზერო“ ნარკოტიკებით ვაჭრობას შეეშვა და ბიზნესსაც ლეგალურად აწარმოებდა, საეჭვო ტიპებთან არ „ძმაკაცობდა“, უკანონო გარიგებებში შემჩნეული და აზარტული თამაშებით გატაცებული არ ყოფილა... ანუ, ისეთი მტრები, რომ სასიკვდილოდ გაემეტებინათ, წესით, არ უნდა ჰყოლოდა. ახალგაზრდობის დროინდელი ცოდვები ხომ არ გაუხსენეს? გამორიცხული არ არის, მაგრამ ნაკლებ სავარაუდოა... იქნებ ვიღაცას ისევ კვინტრაძეში შეეშალა? შეიძლება, მავანთ კვინტრაძის მოკვლა უნდოდათ და ხელში ჯინჭარაძე შერჩათ! მაშინ გამოდის, რომ ვიღაცეებმა გაიგეს, რომ კვინტრაძე ცოცხალია და მასზე 40 წლის წინ შეწყვეტილ „ნადირობას“ აგრძელებენ?!.. ვინ არის ეს საიდუმლოებით მოცული კაცი, ასეთ დიდ შარში რომაა „გახვეული“?! წარმოდგენა არა მაქვს, როგორ უნდა გავიგოთ, თუ სად შეიძლება იმალებოდეს კვინტრაძე ოჯახითურთ! საზღვარგარეთ რომ იქნებიან, ამაში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ სად? რომელ ქვეყანაში? ბრიტანეთში ხომ არა? არ ვიცი, არ ვიცი“...

დავითინიძეს დაძაბულობისაგან თავი ასტკივდა და შუბლს ორივე ხელით ისრესდა, მაგრამ მიუხედავად გადაღლილობისა, მსჯელობას მაინც განაგრძობდა: „რატომ დაბრუნდა ხომალდი? იქნებ ტექნიკური პრობლემები შეექმნა, ან დედამიწიდან დაბრუნების ბრძანება მიიღო, თუ ბორტზე რაიმე ინციდენტი მოხდა? სამივე მიზეზი დასაშვებია... ხომალდის კოსმოსში ჩუმად გაგზავნა პრაქტიკულად შეუძლებელია და იმედია, კონკრეტულ მონაცემებს უცხოელი კოლეგებისაგან მივიღებთ...

როგორმე უნდა მივაკვლიოთ, ვინ და რატომ მფარველობდა იაშვილს?.. მაგრამ მის მონათხრობში ხელმოსაჭიდი რომ არაფერია!.. მის მიერ ნახსენები „მისტერ იქსი“, იგივე ამირან პაიჭაძე მკვდარია, საიდის პიროვნებაც ვერ დადგინდა... რა გვრჩება? გოგელიას ქალი? ფაქტია, იაშვილის მფარველებს მასთან კავშირი აქვთ და აუცილებლად რაიმე მაინც ეცოდინება... ბიჭები ხვალ დაკითხავენ და ვნახოთ, რა ახალ ინფორმაციას მოიტანენ. უკვე გვიანია, – საათს დახედა პოლკოვნიკმა, – 2 საათი გამხდარა. თუ დამაცადეს, ცოტას დავისვენებ, თორემ ველარ ვაზროვნებ“.

დავითინიძემ მეუღლეს დაურეკა და გააფრთხილა, რომ ღამეს სამსახურში გაათევდა, შემდეგ კოსტიუმი გაიხადა, კარადიდან შავ უჯრე-

დებიანი მწვანე პლედი გადმოიღო, მხრებზე მოისხა, ტახტზე წამოწვა და მალევე ჩაეძინა... მზის პირველმა ალერსიანმა სხივებმა პოლკოვნიკი გამოაღვიძეს. თავს უკეთ გრძნობდა და ფიქრი განაგრძო.

„ამ კვინტრაძეს აქებენ, წესიერ ადამიანად მოიხსენიებენ... განა რა უნდა მომხდარიყო ისეთი, „ტიპს“ ასე დედა-წულიანად რომ სდევნიან? კაცი იყო მეცნიერი, ასტროფიზიკოსი, – მსჯელობდა დავითინიძე, – ჰო, ასტროფიზიკოსი... იქნებ ეს კვინტრაძეც ხომალდთანაა დაკავშირებული და მთელი ეს დრო იაშვილს ის მფარველობდა? – მოულოდნელმა მიგნებამ დავითინიძე შეაშფოთა, – დავიჯერო, ასეა? კი მაგრამ, რატომ უნდა გაერისკა და დახმარებოდა კვინტრაძე მისთვის უცხო ადამიანს, რომელმაც მოატყუა, შეაფერხა და დამატებითი „სახლაფორთო“ გაუჩინა? იაშვილმა ხომ თავი მის მეუღლედ გაასაღა! კაცი იძულებული გახდა გაუჩინარებული ცოლი მოეძებნა, მან ხომ არ იცოდა, რომ იანტბელიძე გარდაიცვალა! ძებნას დრო დასჭირდებოდა, ამასობაში ბანდიტები იაშვილს გაიტაცებდნენ... გაუგებარია, თუ ეხმარებოდა, რატომ არ გამოემცნაურა? ან კი რანაირად დაეხმარებოდა? თუნდაც დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრი იყოს, კვინტრაძე გადაწყვეტილებების მიმღები პირი ვერ იქნებოდა და იაშვილს როგორ დაიცავდა?.. იქნებ ეს 40 წელი კვინტრაძეც და მისი ოჯახიც ხომალდზე იყვნენ?.. ვინ იცის... ადრე როგორ ვერ მოვიფიქრე, აბა, ერთი ინტერნეტში ვნახო კვინტრაძე, როგორც მეცნიერი სადმე მოიხსენიება, თუ არა!“ – დავითინიძემ პორტატული კომპიუტერი ჩართო, ინტერნეტში ბევრი ეძება, მაგრამ ალექსანდრე კვინტრაძის შესახებ ინფორმაცია ვერ მოიძია.

„არანაირი ვერსია არა გვაქვს და გამოსავალს უაზროდ ვეძებ, – პოლკოვნიკი წამოდგა და სააბაზანოსაკენ გაემართა, – გოგელიას ქალის ჩვენება თუ მოგვცემს რამეს“...

* * *

პოლკოვნიკ დავითინიძეს 9 საათისათვის გენერალმა ჯაშმა ტელეფონზე დაურეკა და მასთან, სამუშაო კაბინეტში, მისვლა სთხოვა. დავითინიძემ არ დააყოვნა და ხუთიოდ წუთში ორივე პრემიერ-მინისტრთან შეხვედრის შედეგებზე საუბრობდნენ.

– მოკლედ, პრემიერ-მინისტრმა საერთაშორისო დონეზე დახმარება აღგვითქვა, – საუბრის დასასრულს ამცნო დავითინიძეს ჯაშმა.

– ეჭვიც არ მეპარებოდა!

– ოღონდ ჯერ გამოძიება ბოლომდე უნდა მივიყვანოთ, ნივთმტკიცება მოვიპოვოთ და მოკვლეული მასალები ინგლისურად ვათარგმნინოთ.

– ცხადია... ყველაფერს უმაღლეს დონეზე გავაკეთებთ.

– ახალი ინფორმაცია ოპერატიულად მომაწოდე ხოლმე... შეგიძლია ნებისმიერ დროს მოხვიდე, ან დამირეკო.

– გასაგებია.

– აღარ დაგაყოვნებ, საქმეს მიხედე!

– კარგი, – სავარძლიდან წამოდგა დავითინიძე, – დროებით!

პოლკოვნიკი თავის სამუშაო კაბინეტში დაბრუნდა, საზღვარგარეთ გასაგზავნი მასალების მომზადებას შეუდგა და შუადღემდე თავაუღებლივ მუშაობდა.

– ბატონო დავით, ბიჭები მოვიდნენ, 12 საათისათვის დაგიბარებიათ, – მოახსენა ლიზიმ.

– შემოვიდნენ, – ნამუშევარი საქაღალდეში მოათავსა დავითინიძემ.

– ჩვენა ვართ, ბატონო დავით, – კარებში თავი შემოყო კაიშაურმა.

– მოდით, მოდით!

სამუშაო ჯგუფის წევრები ოთახში რიგრიგობით შემოვიდნენ და მაგიდას შემოუსხდნენ.

– რა დამწკრივებულები დადიხართ, თანაც ასეთი სახეებით? – გაეღიმა დავითინიძეს, – რა იყო, მოხდა რამე?

– საინტერესო „ინფორმაციები“ მოვიტანეთ, – იდუმალი გამომეტყველებით განაცხადა კაიშაურმა.

– აბა, ამოშაქრეთ, – მოსასმენად მოემზადა და ყურადღება დაძაბა დავითინიძემ.

– გუშინ აქედან რომ გავედით, „ფუნქციების გადანაწილებაზე“ შევთანხმდით, – თხრობა დაიწყო კაიშაურმა, – უნივერსიტეტში ირაკლი წავიდა, ქეთი იმნაძის თვალთვალის შედეგებს ოთარი გაეცნო, სასტუმროში არჩილი იყო, ხოლო დროშის ამბავს მე ვარკვევდი. ამდენად, აჯობებს ყველამ ცალ-ცალკე მოგახსენოთ.

– როგორც გირჩევნიათ, – ხელქვეითები არ შეზღუდა დავითინიძემ.

– რაც შეეხება ჯინჭარაძეს, „საგამოძიებო“ მკვლელობის ვერსიაზე მუშაობს, მაგრამ ამ ეტაპზე ახალი გარემოებები არ გამოვლენილა. თუ რაიმე გაირკვა, შეგვატყობინებენ. სამალავში კი, მართალია მოძველებული, მაგრამ კარგად შენახული და საბრძოლო მდგომარეობაში მყოფი მთელი არსენალი აღმოაჩინეს: „კალაშნიკოვის ავტომატი“, 9 მილიმეტრიანი ტყვიები და რუსული წარმოების 10 ცალი „РГД“-ს ტიპის ხელყუმბარა.

– „ბარიგობის“ დროინდელი იარაღი იქნება, – ივარაუდა დავითინიძემ.

– ასე ჩანს, – დაეთანხმა კაიშაური.

– მოცდა მოგვიწევს... კარგი. „საიდის“ შესახებ რა გაიგე, ირაკლი?

– უნივერსიტეტის უცხოელ სტუდენტთა ბაზიდან იაშვილის მიერ აღწერილი ადამიანის გარეგნობის მქონე 3 პირის მონაცემები ამოვიღეთ – კომპიუტერიდან ამონაბეჭდი ფურცლები საქაღალდედან ამოაწყო გაბუნიამ, – ამათგან ერთმა სწავლას თავი ნებაყოფლობით დაანება და სამშობლოში გაბრუნდა, ერთი აკადემიური ჩამორჩენილობის გამო გაურიცხავთ, ხოლო ერთს ქართული ჯერ ანკარის უნივერსიტეტში შეუსწავლია და შემდეგ პრაქტიკა თსუ ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე გაუვლია, პარალელურად ენის შემსწავლელ კურსებზეც დადიოდა.

– ამ კაცს ქართულის სწავლა ძალიან კი მოუნდომებია, – შენიშნა დავითინიძემ, – რა ჰქვია?

– საიდ დემირი. სამივეს ფოტოსურათი „ამოვაპრინტერეთ“, – ფურცლები დავითინიძისაკენ გააცურა გაბუნიამ.

– სამივე იაშვილს აჩვენეთ, – ფურცლებზე გამოსახულ სახეებს დახედა დავითინიძემ, – იქნებ ამოიცნოს.

– ასეც ვაპირებდით, – დაბეჯითებით თქვა გაბუნიამ.

– ქეთი იმნაძისგან რა ისმის?

– მოგეხსენებათ, ბატონო დავით, – უკმაყოფილოდ აღნიშნა ლაბაძემ, – იმნაძე ყოფილი პოლიციელია და ვერ „გამოვიჭირეთ“, ტელეფონზე ჩვენთვის საინტერესოს არაფერს ამბობს და საეჭვოდაც არ იქცევა... სამაგიეროდ ორი დღეა, რაც ვაკის პარკში ძაღლის სეირნობა დასჩემდა, დილიდან საღამომდე იქ ზის... ახალგაზრდობაში მას და იაშვილს ვაკის პარკში სეირნობა უყვარდათ, შესაძლოა, იმნაძე ახლაც იაშვილთან შეხვედრის მოლოდინშია.

– იმნაძეს ფაქტზე ვერ „გამოვიჭერთ“ და მისი დაკავების საფუძველიც არა გვაქვს, რადგან მან ყველა ჩვენს შეკითხვაზე პასუხი უკვე გასცა და საკუთარ საქციელს ლოგიკური ახსნაც მოუძებნა. მხოლოდ ჩვენი დაუსაბუთებელი ვარაუდი კი ჩხრეკის უფლებას არ გვაძლევს, – ფიქრიანად თქვა დავითინიძემ. – იქნებ მომენტით გვესარგებლა?.. რას იტყვით, იმნაძეს აიფონის დაბრუნების შესახებ იაშვილის თხოვნის ვიდეოჩანაწერი დღესვე რომ გადავცეთ? თუნდაც პარკის ტერიტორიაზე!

– ეს იდეაა, – აზრი მოეწონა კაიშაურს, – იმნაძე იაშვილის თხოვნაზე იმედია, უარს არ იტყვის.

– რადგან იმნაძე მას სახეზე არ იცნობს, ჩვენი ოთარიც პარკში ცოტას გაინავარდებს და ქალს „ფლეშკას“ უცხო თვალისათვის შეუმჩნევლად გადასცემს, – ღიმილით წარმოსთქვა დავითინიძემ.

– კი ბატონო, – გაეცინა ლაბაძეს, – როცა მიბრძანებთ!

– თათბირს რომ მოვრჩებით, იაშვილთან იმუშავეთ.

– გასაგებია, ბატონო დავით, – საქმიანად განაცხადა ლაბაძემ, – მაგრამ ეს აიფონი იმნაძემ როგორ უნდა დააბრუნოს? ისევ პარკში შემხვდეს, მე მივიდე მასთან სახლში, თუ აქ, ან „საგამოძიებოში“ დავიბაროთ?

– საკითხი მარტივად მოგვარებადია, – განმარტა დავითინიძემ, – უბრალოდ გადაცემისას ჩუმად ეტყვი: „იაშვილმა შეტყობინება გამოგიგზავნა, სასწრაფოდ ნახე“-თქო და იქაურობას გაეცლები. ხომ იცი, ეს მანიპულაცია „ტექნიკურად“ უნდა შეასრულო, რადგან შესაძლოა, იმნაძეს იაშვილის მტრებიც უთვალთვალებდნენ... ჩემი ვარაუდით, იმნაძე მაშინათვე სახლში წავა და ვიდეოს ნახავს. იაშვილმა კი იმნაძეს თხოვნით მიმართოს, რომ აიფონი და პირადობის მოწმობა შენ გადმოგცეს. საღამოს, რომ დაღამდება, ასე 10 საათისთვის იმნაძესთან სახლში მიხვალ და ნივთმტკიცებებს წამოიღებ.

– თუ იაშვილი თავისი „წკიპინა“ ლექსიკით დამაჯერებელ და გულის ამაჩუყებელ მიმართვას პროფესიონალურად „გამოაცხობს“, იმნაძეს მეტი რა გზა დარჩება? ეჭვიც კი არ მეპარება, რომ იგი სახიფათო „ტვირთს“ დიდი სიხარულით მოიშორებს, – დარწმუნებით შენიშნა კაიშაურმა.

– ჰოდა, ჩვენც გავახაროთ იმნაძე და ტვირთი დროზე ჩამოვართვათ, – ნახევრად ხუმრობით თქვა დავითინიძემ, – ამ თემაზე მოვრჩეთ... არჩილ, ახლა შენი ჯერია... მოგვიყევი ერთი, რა ხდებოდა სასტუმროში?

– უმნიშვნელოვანესი ინფორმაცია მოვიტანე, შეფ, – ამაყად გაიჯგიმა ყიფიანი.

– მართლა? ეს ძალიან კარგია, – ყიფიანის თავდაჯერება არ გამოჰპარვია დავითინიძეს, – რა ინფორმაციაა?

– გაოგნდებით, რომ გეტყვით!

– წინასწარი შემზადება არ გვჭირდება, მაგარი ნერვების პატრონები ვართ, – გაეღიმა დავითინიძეს, – მიდი, ნუ დაგვზოგავ და პირდაპირ „მოგვახალე“!

– ეს რიმა გოგელია ალეკო კვინტრაძის უმცროსი ქალიშვილი მარიამია! – სულმოუთქმელად გამოაცხადა ყიფიანმა.

– საიდან მოიტანე? – ჩაეკითხა დავითინიძე.

– თვითონ აღიარა! თურმე გველოდებოდა, როდის დავკითხავდით, ოჯახური ფოტოებიც გადმომცა და თავისი დაბადების მოწმობის დედანიც წარმომიდგინა! სანამ აქ მოვიდოდი, სამოქალაქო რეესტრში გადავამოწმე, ნამდვილი აღმოჩნდა, – დროისაგან გაყვითლებული მოწმობა და ფოტოსურათები დავითინიძეს გაუწოდა ყიფიანმა, – აი, შეხედეთ, ამ ფოტოზე კვინტრაძეცაა გამოსახული! მარტო ეს კი არა, თავისი

ოჯახის ისტორიაც კი მიამბო.

– მართლა?! – მარიამ კვინტრაძის საოჯახო ფოტოსურათები და დაბადების მოწმობა გულდასმით დაათვალიერა დავითინიძემ, – რაო, რა გითხრა?

– მან განაცხადა, რომ 2011 წლიდან მათ ოჯახს სდევნიან. დედა, ირმა იანტბელიძე, მოუკლეს და მამამისი, ალექსანდრე კვინტრაძე, იძულებული გახდა ტყუპ მცირეწლოვან შვილებთან ლუკა და ეკატერინე კვინტრაძეებთან ერთად საქართველოდან ამერიკის შეერთებულ შტატებში გაქცეულიყო. იმ პერიოდში მარიამი ჩვილი ყოფილა და კვინტრაძე თან ვერ წაიყვანდა. ბავშვის უსაფრთხოების მიზნით, მარიამი თავისი შორეული ნათესავის, ქუთაისელი ალექსანდრე გოგელიას ოჯახში, ყველასაგან მალულად, დროებით იმ მიზნით დატოვა, რათა მოგვიანებით უმცროსი შვილიც თავისთან წაეყვანა, მაგრამ ქალისათვის უცნობი მიზეზების გამო, ეს ვერ მოახერხა. ერთი კვირის შემდეგ კვინტრაძე გოგელიას ტელეფონით დაუკავშირდა და მარიამის შვილად აყვანა სთხოვა. გოგელია და მისი მეუღლე ანა ბიგვავა, 40 წელს გადაცილებულები იყვნენ, 15 წლიანი თანაცხოვრების მიუხედავად, საკუთარი შვილი ჯერ კიდევ არ ჰყავდათ და კვინტრაძის წინანადებას სიხარულით დათანხმდნენ. კვინტრაძის თხოვნით გოგელიებმა მეზობელ-ნაცნობებში განაცხადეს, რომ ჩვილი ბავშვი ვიღაცამ „მიუგდოთ“ და ბავშვის წარმომავლობა უცნობია. ახალმა „მშობლებმა“ გოგონას სახელი და გვარი შეუცვალეს და კანონიერად იშვილეს. სახელი „რიმა“ „მარი“-ს, ანუ „მარიამი“-ს ასოციაციით დაარქვეს. გოგელიების ოჯახი საკმაოდ დიდ ქონებას ფლობდა, მათ ბავშვის აღზრდა არ გასჭირვებიათ, პირიქით, საუკეთესო განათლება უცხოეთში მისცეს და მთელი თავისი ქონებაც მას დაუმტკიცეს. ანა და ალექსანდრე გოგელიები, სამწუხაროდ, ცოცხლები აღარ არიან, რიმა გოგელია მათ დიდი სითბოთი მოიხსენიებს. თქვა: „კარგი ადამიანები იყვნენ, ყოველთვის სიყვარულით მექცეოდნენ, მიფრთხილდებოდნენ, ჩემთვის არაფერი ენანებოდათ, თანაც მათ არასოდეს დაუმალავთ, რომ მათი ბიოლოგიური შვილი არ ვიყავი, ჩემი ოჯახის საიდუმლო ისტორიაც მიამბეს და ოჯახური ფოტოსურათების ალბომიც გადმომცეს. ოჯახურ საიდუმლოს ყველანი ერთად ვინახავდით, ჩემმა მეუღლემ და შვილებმა ჩემს ცხოვრებაში კვინტრაძეების არსებობის შესახებ არაფერი იციან“-ო.

– იაშვილს ეს ფოტოებიც აჩვენეთ, – სურათებიცა და მოწმობაც კაიშაურს გადასცა დავითინიძემ, – მერე და რაო, გოგელიას ქალმა, ვითომ რატომ გელოდებოდითო?

– იაშვილის ჩვენთან ყოფნის გამო, – განმარტა ყიფიანმა, – იაშვილი

ძმის, ლუკა კვინტრაძის დავალებით შეუფარებია და მისი სასტუმროდან წასვლაც ძმისთვის უცნობებია. თქვა: „იაშვილმა საასტუმროში სულ 1 კვირა დაჰყო, შემდეგ ფული გადაიხადა და მოულოდნელად წავიდა“-ო. დასაკითხად რომ მივიდოდით, მამამისს გაუფრთხილებია!

– ოოო, ეს კი საინტერესოა... ისევ კვინტრაძე! – შეშფოთდა დავითინიძე, – გოგელიამ კვინტრაძეზე და იაშვილზე რა თქვა?

– აბა! ყველაზე საინტერესოს ახლა მოისმენთ, – ხელები მოიფშვნიტა ყიფიანმა, – გოგელიამ თქვა, რომ იგი თავის „ამერიკელ“ და-ძმას რომის უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში ხშირად ხვდებოდა ხოლმე, თუმცა მათი ნათესაობის ამბავი რიმას იტალიელ ნაცნობებს არ სცოდნიათ, ირგვლივ მყოფნი მათ შემთხვევით გაცნობილ და ანტიკური რომის ხელოვნებისადმი საერთო ინტერესისა და სიყვარულის მიზეზით დამეგობრებულ ახალგაზრდებად მიიჩნევდნენ. ლუკაცა და კატოც ევროპულ განათლებას ღებულობდნენ: ბიჭი სორბონაში ფიზიკას ეუფლებოდა, გოგონა კი ოქსფორდში სამედიცინოზე სწავლობდა... სწავლის დამთავრების შემდეგ საქართველოში რომ დაბრუნდა, რიმა გოგელიამ მუშაობა არქეოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში დაიწყო და საზღვარგარეთ მივლინებით არც თუ იშვიათად მიემგზავრებოდა ხოლმე. ცხადია, და-ძმასთან კონტაქტი არ გაუწყვეტია, ისინი ამერიკიდან ევროპაში ხშირად ჩამოდიოდნენ, რადგან გოგელიას მამამისისაგან ამერიკაში ჩასვლა აკრძალული ჰქონია...

რატომღაც ალეკო კვინტრაძეს შვილების სიცოცხლის ხელყოფის პანიკურად შინებია და მესამე შვილის არსებობას ყველასაგან გულმოდგინედ მალავდა. ალეკო კვინტრაძის გადაწყვეტილებით, კონსპირაციის მიზნით, ტელეფონზე საუბრისას შვილებს მხოლოდ მის მიერ შექმნილი შიფრის მიხედვით დაშიფრული ტექსტებით უნდა ესაუბრათ, საუბრის თემა კი არქეოლოგიასა და ხელოვნებას შეეხებოდა და ეჭვს არავისში დაბადებდა. გოგელია და-ძმას მეგობრებად მოიხსენიებდა და მხოლოდ ინგლისურად ელაპარაკებოდა.

რიმა გოგელია მამას მხოლოდ ორჯერ, ისიც საიდუმლო ვითარებაში შეხვედრია: ერთხელ – ამ ათი წლის წინათ, პარიზში და მეორედ – წუხელ სალონიკში. მამაშვილურად უსაუბრიათ და კვინტრაძეს უთქვამს, რომ პატარა ბიჭი აღარ არის, დევნილი ნადირივით ცხოვრებამ და მუდმივ დაძაბულობაში ყოფნამ გადაღალა, საქართველო ძალიან მოენატრა, სამშობლოში სამუდამოდ დაბრუნებას აპირებს, და თუ ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც თვითონ ვარაუდობს, მალე თბილისში ჩამოვა და უფროს შვილებს თავიანთი ოჯახებიანად თან ჩამოიყვანს. კვინტრაძეს ამერიკაში 4 შვილიშვილი ჰყოლია.

კვინტრაძე იაშვილს თავისი ტყუპების სიცოცხლის გადამრჩენად მიიჩნევს და მის წინაშე თავს დავალებულად გრძნობს. უთქვამს: „იაშვილმა მისთვის სავსებით უცხო ხალხის, ჩვენი ოჯახის გამო, საკუთარი ცხოვრება დაკარგა, უმძიმესი განსაცდელი ღირსეულად დაითმინა, იგი კეთილშობილი და მამაცი ადამიანია, ჭეშმარიტი ქართველი მანდილოსანი, ჩვენს პატივისცემასა და თანადგომას იმსახურებს, უკვე მოხუცდა და ჩვენ ვალდებულები ვართ სიცოცხლის ბოლომდე ვუპატრონოთ და დავეხმაროთ“ – ო.

რაც მთავარია, კვინტრაძეს უთქვამს, რომ პირადად მისი და მისი ოჯახის სიცოცხლე საფრთხეშია და თბილისში დასაბრუნებლად უსაფრთხოების გარანტიები სწორედ ჩვენგან, დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტისაგან, სჭირდება, რადგან იცის, რომ იაშვილმა ჩვენ მოგვაკითხა და ამჟამადაც ჩვენთანაა. სხვათა შორის, კვინტრაძე მზადაა ჩვენება მოგვცეს, თუ საქართველოს ტერიტორიაზე მისი და ოჯახის ფიზიკურ უსაფრთხოებას უზრუნველვყოფთ. გოგელია პასუხს საღამოს 6 საათამდე ელის, შემდეგ სანდო ახლობლის მეშვეობით, მამამისს აცნობებს. თავის მხრივ, კვინტრაძე ჩამოსვლის დროსა და ადგილს ასევე გოგელიას პირით შეგვატყობინებს.

– რა თქმა უნდა, უზრუნველვყოფთ! ამ თემით უნდა დაგეწყოთ! – გაფიცხდა და სავარძლიდან მკვირცხლად წამოდგა დავითინიძე, – ახლავე გენერალს მოვახსენებ... არ დაიშალოთ, მალე მოვალ.

– რა ხდება, „შეფ“? – ვერ მიხვდა ყიფიანი.

– რა და კვინტრაძე მთავარი მოწმეა! მის 14 სულიან ოჯახობას იაშვილივით აქ, დეპარტამენტში ხომ ვერ მოვათავსებთ?! სხვა გზა არ არის, გოგელიას სასტუმროში უნდა შესახლდნენ. დასაცავ პირებს შენობის მთელ პერიმეტრზე დეპარტამენტის სპეციალური ქვედანაყოფის ძალებითა და ტექნიკით დავიცავთ. ამდენად, შენობა დროებით ჩვენი იურისდიქციის ქვეშ გადმოვა.

დავითინიძემ გენერალ ჯაშს კვინტრაძის „კვალის გამოჩენის“ შესახებ მოახსენა. ჯაშმა ჯერ პრემიერ-მინისტრს დაურეკა და სასწრაფო აუდიენცია ითხოვა, ხოლო შემდეგ გენერალ აბულაძეს შეეხმიანა და პრემიერ-მინისტრის მისაღებში შეხვედრაზე შეუთანხმდა.

– გოგელიას თანხმობა შეუთვალე, იმ შენს კვინტრაძეს თავის ოჯახობიანად თავიდან თმის ბეწვიც კი არ ჩამოუვარდება! დროს ნუ დაკარგავ, დავით... ორივემ ვიცით, რომ პრემიერ-მინისტრი მხარში ამოგვიდგება, – უთხრა დავითინიძეს ჯაშმა.

– მაშინ შესაბამის განკარგულებებს გავცემ კვინტრაძეების საზღვარზე დასახვედრად და გოგელიას სასტუმროს შენობის დასაცავად

მოვემზადებით, რათა საჭირო მომენტში შეფერხების გარეშე ვიმოქმედოთ.

– გააკეთე, რასაც საჭიროდ ჩათვლი... ოპერაციაზე პასუხისმგებელი შენა ხარ.

– გასაგებია! წავედი, – დავითინიძე ჯაშის კაბინეტიდან გამოვიდა და თათბირის გასაგრძელებლად გაეშურა.

- არჩილ, – მიმართა ყიფიანს კაბინეტში დაბრუნებულმა დავითინიძემ, – არაკორპორატიული ტელეფონით გოგელიას დაურეკე და „ტექნიკურად“ გააგებინე, რომ კვინტრაძის ჩამოსვლას ველოდებით. ფინანსური პრობლემები მოიმიზეზოს და სასტუმრო კლიენტებისაგან გაათავისუფლოს, მომსახურე პერსონალიც ერთი თვით შვებულებაში გაუშვას. არ ინერვიულოს, ყველაფერი რიგზე იქნება.

– გასაგებია, – მობილური მოიმარჯვა ყიფიანმა, – უკვე ვურეკავ.

– რომ ვერ მიხვდეს რას ეუბნები? – შეშფოთებით იკითხა ლაბაძემ.

– მიხვდება, – დაბეჯითებით თქვა გაბუნიამ, – ქალს მთელი ცხოვრება დაშიფრული ტექსტებით ულაპარაკია!

– ალო! ქალბატონო რიმა, – თავაზიანად მიმართავდა გოგელიას ყიფიანი, – არჩილი ვარ, ბევრი გვისაუბრია და იმედია, მიცანით?!.. ხოომ? ძალიან კარგი! თქვენი წინადადება მომეწონა და მამათქვენის სასტუმროს შეძენა გადავწყვიტე. ვიცი, რომ ფინანსური პრობლემები გაქვთ... კარგ თანხას შემოგთავაზებთ, კმაყოფილი დარჩებით! მანამდე კლიენტები გაისტუმრეთ და პერსონალი ერთთვიან შვებულებაში გაუშვით. როცა მზად იქნებით, ამ ნომერზე შემატყობინეთ და გეახლებით... ნახვამდის!

– რაო?– პასუხს ელოდა დავითინიძე.

– ყველაფერს მიხვდა, ჩვენს მითითებებს შეასრულებს და დამირეკავს!

– კვინტრაძე თუ წუხელ სალონიკში იყო, მაშინ მალე გამოგვეცხადება კიდეც, – ჩაილაპარაკა კაიშაურმა.

– მოდით, თათბირი მალე დავამთავროთ და ყველამ ჩვენს საქმეს მივხედოთ, თორემ კვინტრაძის უსაფრთხოების საკითხებზე უნდა ვიზრუნო და დრო აღარ მაქვს, – ჩვეულებისამებრ, მაჯის საათს დახედა დავითინიძემ, – ბარემ ისიც თქვით, დროშაზე რა გაარკვიეთ?

– იაშვილის მიერ აღწერილი დროშა შეიძლება ეკუთვნოდეს რამდენიმე ქვეყანას, – თქვა კაიშაურმა, – მათ შორის კუბას, ჯიბუტის, იორდანიას და კიდევ რომელიღაც ქვეყნებს, რომელთა სახელი ადრე არც გამიგია.

– ესე იგი, იაშვილი თურქეთიდან ამ ქვეყნებიდან რომელიმეს დრო-

შის ქვეშ მცურავი გემით გადაიყვანეს?! – გაუკვირდა გაბუნიას.

– ასე გამოდის, – მხრები აიჩეჩა კაიშაურმა.

– რომელი კოსმოსური „დერჟავები“ ეგ ქვეყნებია?! – დაეჭვდა ყიფიანი.

– მერე და რა მოხდა? რა, აუცილებლად „კოსმოსური ქვეყნის“ გემი უნდა ყოფილიყო? პირიქით, კრიმინალები „არამყვირალა“ ქვეყნებს უფრო „ჩაეჭიდებოდნენ“, – წარბი არ შეუხრია კაიშაურს.

– კარგი, ახლა კამათის დრო არა გვაქვს, – აჩქარდა დავითინიძე, – გემისა და დროშის საკითხზე კიდევ იმუშავეთ... უფრო საინტერესოა გემის გეზი... იქნებ იახტის მსვლელობის მიმართულებაზე გემსჯელათ?

– ვიფიქრებთ, – დაჰპირდა კაიშაური.

– იმუშავეთ და ვითარება დროულდ მომახსენეთ, – პორტატული კომპიუტერი გახსნა დავითინიძემ.

საგამოძიებო ჯგუფის წევრები „შეფის“ კაბინეტიდან გამოვიდნენ და დავალებების შესასრულებლად გაიფანტნენ.

***

ავთანდილ კაიშაურმა და ოთარ ლაბაძემ ია იაშვილი „სტუმრების ოთახში“ მოინახულეს და უნივერსიტეტის კომპიუტერული ბაზიდან ამობეჭდილი, სამი უცხოელი ყოფილი სტუდენტის გამოსახულებებიანი ფურცლები აჩვენეს.

– ეს თარჯიმანი საიდია, – ერთ-ერთი ფურცელი ხელში აიღო და დარწმუნებით განაცხადა იაშვილმა.

– ეს ფოტოებიც ნახეთ, – რიმა გოგელიას მიერ გადმოცემული ფოტოსურათები მიაწოდა ლაბაძემ.

იაშვილმა პირველივე სურათი ხელში აიღო და ყურადღებით დააკვირდა. მასზე ასაკოვანი მამაკაცი, მეორე ორმოციოდე წლის მამაკაცი და ქალი იყვნენ გამოსახულნი.

– ეს ხომ ალეკო კვინტრაძეა! – თითი დაადო ფოტოზე აღბეჭდილი მამაკაცის სილუეტს იაშვილმა, – ოღონდ ეს უფრო გვიანდელი სურათია, ბატონი ალეკო აქ საკმაოდ ასაკოვანია... ხომ ხედავთ? ეს ჩემი უდანაშაულობის კიდევ ერთი დადასტურებაა!

იაშვილი გახარებული იყო, ფოტოსურათს ღიმილით ათვალიერებდა, უეცრად ხელი აუკანკალდა და ენის ბორძიკით იკითხა:

– იცით ესენი ვინ არიან? – სურათზე გამოსახულ ქალზე და მამაკაცზე მიუთითა იაშვილმა.

– მისი შვილები ლუკა და ეკატერინე კვინტრაძეები, – უპასუხა კაიშაურმა.

– მართლა?! – თვალები ცრემლით აევსო იაშვილს, – მე კი გეტყვით, რომ ესენი არიან „თვითმფრინავის კაცი“ და ექიმი ქეითი!

– დარწმუნებული ხართ? – ჩაეკითხა კაიშაური.

– სავსებით! ისინი ხომ არც ისე დიდი ხანია, რაც ვნახე! მათი სახეები მკაფიოდ მახსოვს და ეჭვი არაფერში მეპარება, – თან ტიროდა და თან იღიმებოდა იაშვილი, – საყვარელი ბავშვები სამშობლოში დაბრუნებაში დამეხმარნენ! განა არა, სულ მიკვირდა ისე თბილად და ყურადღებით რომ მექცეოდნენ...

კაიშაურმა და ლაბაძემ ერთმანეთს გადახედეს და სათქმელს უსიტყვოდ მიუხვდნენ, ორივე იაშვილის იდუმალი მფარველის ვინაობაზე ფიქრობდა.

– აი, თურმე ვინ გადამარჩინა! – წამოიძახა იაშვილმა, – დავიჯერო, ეს კვინტრაძე იყო?!

– ჯერ არ ვიცით, ქალბატონო ია, გამოძიება არ დასრულებულა, – მშვიდად თქვა კაიშაურმა, – და დროზე რომ დავასრულოთ, თქვენი დახმარება გვჭირდება.

– ჩემი?! – სახე გაებადრა იაშვილს, – განა მე რა შემიძლია?

– ჩვენ ვიცით, რომ თქვენი „აიფონი“ და პირადობის მოწმობა, რომლებიც 40 წლის წინათ ლილოს მიმდებარე ტერიტორიაზე დატოვეთ, შენახული აქვს თქვენს ბავშვობის მეგობარს ქეთი იმნაძეს. გამოცდილი ქალბატონია, შეკითხვებზე „დალაგებული“ პასუხები გაგვცა, თანაც მისი ბინის ჩხრეკის საფუძველი არა გვაქვს, რადგან ფრთხილად იქცევა და თავი არ გაუმჟღავნებია. მოკლედ, ვერაფერს ვუმტკიცებთ... ჩვენთან საუბრის მერე მთელ დღეებს ვაკის პარკში ატარებს, ძაღლს ასეირნებს... ვფიქრობთ, რომ პარკში თქვენთან შეხვედრას ელოდება, მან ხომ არ იცის თქვენი ადგილსამყოფელი, ალბათ ჰგონია, რომ თავად მიაკითხავთ.

– ჩემი ძვირფასი ქეთი... კი მაგრამ, ჩემს მიმართ სისხლის სამართლის საქმე რომ აღძრეს, ნივთმტკიცებები გამომძიებელთან რატომ არ მიიტანა?

– თქვენს წინააღმდეგ ჩვენება თქვენივე კოლეგებმა მისცეს, მაგალითად ლულუ მინდაძემ, – თანაგრძნობით უპასუხა იაშვილს კაიშაურმა, – შეიძლება თქვენმა მეგობარმა თავი ამიტომაც შეიკავა და თქვენს დაბრუნებას დაელოდა.

– არ ვიცი რატომ, მაგრამ მინდაძე ვერ მიტანდა... მისთვის არაფერი დამიშავებია!

– ახლა ამას უკვე მნიშვნელობა აღარა აქვს, – შეაწყვეტინა იაშვილს კაიშაურმა, – მთავარია ნივთმტკიცებები მოვიპოვოთ. ამისათვის იმნა-

ძისადმი თქვენი ვიდეო-მიმართვა „ფლეშკაზე“ უნდა ჩავწეროთ. იმედია, თქვენი თხოვნით მაინც დააბრუნებს. ლაბაძე გვიან საღამოს მივიდოდა და წამოიღებდა.

– ანუ, მე ვთხოვო „აიფონი“ და პირადობის მოწმობა თქვენ გამოგატანოთ? – კაიშაურის წინადადების დასაზუსტებლად ლაბაძეს მიმართა იაშვილმა.

– დიახ, პირადად მე, – მკერდზე მარჯვენა ხელის გული დაიდო ლაბაძემ.

– მტკიცებულებების დაფარვისათვის ქეთის პასუხს მოსთხოვენ?

– არა მგონია, – შეყოყმანდა კაიშაური, – თქვენ ხომ დანაშაული არ ჩაგიდენიათ... თანაც 40 წელია გასული, იმნაძის დასჯა ვის რაში უნდა აინტერესებდეს?

– მაშინ ტექსტს მოვიფიქრებ და ჩავწეროთ, – დათანხმდა იაშვილი.

რამდენიმე წუთში იაშვილი ვიდეო-კამერის წინ იდგა და იმნაძეს გულაჩუყებული მიმართავდა:

„გამარჯობა, ჩემო ძველო და ერთგულო მეგობარო, ჩემო უსაყვარლესო დაიკო ქეთი! შენთან ერთად გატარებული ფერადოვანი ბავშვობისა და უზრუნველი ახალგაზრდობის ბედნიერი წლების მოგონებანი მთელი ეს 40 წელიწადი გულს მითბობდა და მამხნევებდა...

არ ვიცი რა წარმოდგენა შეგიქმნეს ჩემზე, მაგრამ გეფიცები სინდისსა და ადამიანობას, ჩვენი განშორების პერიოდში არანაირი უღირსი და უპატიებელი საქციელი არ ჩამიდენია!

მერწმუნე, არასოდეს არავისათვის არაფერი დამიშავებია, პირიქით, თვითონ გავხდი უსამართლობისა და ბოროტების მსხვერპლი! მე გამიტაცეს და მთელი ეს წლები ტყვეობაში ვიმყოფებოდი, თუმცა კეთილი ხალხის დახმარებით, რამდენიმე დღეა თბილისში დაბრუნება შევძელი. საფრთხე ახლაც მემუქრება, ამიტომ მაპატიე, დრო არა მაქვს, რომ ჩემი ამბავი გიამბო და ვერც ჩემს ადგილსამყოფელს გაგიმხელ... ჩემი ახალგაზრდული გარეგნობა ნუ გაგაკვირვებს, ეს მხოლოდ პროფესიონალურად შესრულებული მაკიაჟის დამსახურებაა! გპირდები, ჩემი ცხოვრების ეს კოშმარული პერიოდი რომ დასრულდება, პირადად შევხვდებით და ყველაფერს დაწვრილებით მოგიყვები!

ვიღაცეებმა ცილი დამწამეს და საშინელებები დამაბრალეს, მე კი, სამწუხაროდ, მტკიცებულებების უქონლობის გამო, თავს ვერაფრით ვიმართლებდი... მგონია, რომ ჩემი სამსახურებრივი აიფონი და პირადობის მოწმობა ლილოდან შენ წამოიღე და დღემდე ინახავ. მჯერა, რომ ასე ჩემს დასახმარებლად მოიქეცი და ფაქტი ჩვენს კოლეგებს ამიტომაც დაუმალე. გმადლობ, ჩემო ძვირფასო, რომ ჩვენი მეგობრო-

ბისათვის საკუთარი კარიერა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენე და ამდენი ხანი ჩემს დაბრუნებას მოთმინებით ელოდი!..

მინდა გაგახარო და გითხრა, რომ ჩემს წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, ცოტა ხნის წინ, მოულოდნელად და ჩემს სასარგებლოდ, ახალი გარემოებები გამოვლინდა, რის გამოც გამოძიება განახლდა და დღემდე მიმდინარეობს. ამჟამად გამომძიებლები ნივთმტკიცებების მოპოვებაზე მუშაობენ, მაგრამ სხვა არანაირი ნივთმტკიცება, გარდა ჩემი „აიფონისა“ და პირადობის მოწმობისა, არ არსებობს. ამდენად, დადგა დრო, ნივთები სამართალდამცავებს მიეწოდოს, რადგან ჩემი უდანაშაულობა სწორედ მათი საშუალებით დადასტურდება, თანაც მათგან გათავისუფლება შენთვისაც კარგი იქნება.

„აიფონი“ და პირადობის მოწმობა, ამ „ფლეშკასთან“ ერთად იმავე პიროვნებას უნდა დაუბრუნო, ვინც ჩემი თხოვნით, ეს უკანასკნელი მოგიტანა. ახალგაზრდა კაცი, რომელიც ამ საღამოს, 10-დან 11 საათამდე სახლში მოგაკითხავს, გამომძიებელია და მე მას სავსებით ვენდობი. იგი მეხმარება, რათა კანონისა და საზოგადოების წინაშე გავმართლდე და დარჩენილი წლები მაინც ადამიანურად ვიცხოვრო. ეცადე ვიზიტის შესახებ არავინ შეიტყოს.

ძალიან გთხოვ, არაფერზე ინერვიულო, ყველაფერი მოგვარდება. მტკიცებულებების დაფარვის გამო, შენ პასუხს არ მოგთხოვენ, რადგან დანაშაული არ მომხდარა, თანაც ამ ამბის შემდეგ 40 წელიწადი გავიდა...

კიდევ ერთხელ გიხდი გულწრფელ და გულითად მადლობას ყველაფრისათვის, რაც ჩემთვის გააკეთე, ჩემო სულიერო დაო და კეთილო მეგობარო! ძალიან მიყვარხარ და სულ მენატრებოდი! გახსოვს, ეს ტანსაცმელი როგორ მიყვარდა? „გიხდება“-ო, შენც მეუბნებოდი... იცი, დღესაც საგანგებოდ ჩავიცვი, რათა დარწმუნდე, რომ ნამდვილად მე გელაპარაკები. ეს ვიდეო დღეს იწერება, აი შეხედე, ხელში დღევანდელი გაზეთი მიჭირავს“. – იაშვილს ხმა აუთრთოლდა, თვალთ მომდგარი ცრემლი თავისი მაქმანებიანი ცხვირსახოცით შეიმშრალა, შემდეგ გაზეთი კამერას მიუახლოვა, ფართოდ გაიღიმა და იმნაძეს ჰაეროვანი კოცნა გაუგზავნა. – „იმედია, მალე შევხვდებით და ძველებურად „ჩავჭორავდებით“! იმდენი რამ უნდა გიამბო... დროებით დაგემშვიდობები, გეხვევი და გკოცნი!“

ჩაწერა დამთავრდა, კაიშაურმა ვიდეოკამერა გათიშა და იაშვილი შეაქო:

- მოზომილი და დიპლომატიური მიმართვაა, იმნაძე უარს ვერ გეტყვით.

– არააა! რა უარი, – ხელი აიქნია და გაიცინა იაშვილმა, – ქეთი ისეთი კეთილი ადამიანია... ნახავთ ნივთებს რა ცრემლების ღვარღვარით გადმოგცემთ.

– ჩვენ დაგტოვებთ, ბევრი საქმე გვაქვს, – წასასვლელად მოემზადა კაიშაური, – თქვენ კი დამშვიდდით და დაისვენეთ.

– გმადლობთ, ჩემი რომ გჯერათ და მეხმარებით, – მადლიერებას ღიმილით გამოხატავდა იაშვილი.

* * *

კაიშაური და ლაბაძე იაშვილს გამოემშვიდობნენ და დავითინიძის მისაღებისაკენ გასწიეს, რათა მისთვის ახალი ინფორმაცია სასწრაფოდ მიეწოდებინათ. პოლკოვნიკმა ხელქვეითების მოხსენება გულდასმით მოისმინა და ვიდეოჩანაწერიც ნახა.

– ამ ქალს ლაპარაკში ვერ აჯობებ, – კეთილად იღიმებოდა პოლკოვნიკი, – ნახე, როგორი „სპიჩი“ „დაარტყა“?!

– თანაც უპრობლემოდ, – გაიღიმა კაიშაურმაც, – ბევრი ფიქრიც არ დასჭირვებია... გაზეთიც რა მარჯვედ გამოიყენა! თუმცა, ტანსაცმელზე „გართულება“ აშკარად ემჩნევა.

– ეგ არაფერი, მაინც ქალია და „შმოტკებისადმი“ გულგრილი ვერ იქნება... ტანსაცმელზე მის ახირებას როგორმე გავუძლებთ და ავიტანთ, მთავარია „გართულება“ სხვა არაფერზე ჰქონდეს, – ორაზროვნად და ნახევრად ხუმრობით შენიშნა დავითინიძემ.

– ნამდვილად, – თავი ჩამოიქნია კაიშაურმა, – მთავარია, ფსიქოლოგიური მდგრადობა შეინარჩუნოს და საღ გონებაზე დარჩეს.

– იმედი ვიქონიოთ, – ღრმად ჩაისუნთქა დავითინიძემ.

– ამ ვიდეოს რა ვუყო, „შეფ“? – იკითხა ლაბაძემ.

– რა და იმნაძისათვის მისაწოდებლად გაამზადე, „ფლეშკაზე“ გადაწერე, – დაავალა დავითინიძემ, – შეგიძლია ჩემი კომპიუტერით ისარგებლო.

ლაბაძემ დავითინიძის კომპიუტერი აიღო და იაშვილის ვიდეომიმართვა ინფორმაციის პორტატულ დამგროვებელზე გადაიტანა.

– „პაწაწკინტელა“ მზადაა, ბატონო პოლკოვნიკო, – „ფლეშკა“ ხელში შეათამაშა ლაბაძემ.

– ახლავე წადი და იცოდე, ფრთხილად იყავი, – დამოძღვრა დავითინიძემ, – არ „გაიშიფრო“!

– ვეცდები! – ლაბაძემ „ფლეშკა“ კოსტიუმის გულის ჯიბეში ჩაიცურა და კაბინეტიდან გავიდა.

– იაშვილმა თარჯიმანი, ექიმი და პილოტი ამოიცნო, არა? – ლაბაძის

წასვლის შემდეგ ჩაეკითხა კაიშაურს დავითინიძე.

– დიახ... და არ გამიკვირდება, თარჯიმანიც მკვდარი რომ აღმოჩნდეს, – შენიშნა კაიშაურმა.

– ამიტომ მის შესახებ დამატებითი მასალები თურქ კოლეგებთან მოიძიე, – ინფორმაციის გადამოწმება გადაწყვიტა დავითინიძემ.

– კი ბატონო, მოთხოვნას აქედან გასვლისთანავე გავაგზავნი, – დავალება სამუშაო ბლოკნოტში ჩაინიშნა კაიშაურმა.

– მაშ, იაშვილმა განაცხადა, რომ ექიმი და პილოტი კვინტრაძის შვილები არიან? – ჩაფიქრდა დავითინიძე.

– დიახ, – დაადასტურა კაიშაურმა, – ესე იგი, მთელი ეს პერიოდი იაშვილს კვინტრაძე პატრონობდა?!

– შენ მიგაჩნია, რომ იაშვილის „ინკოგნიტო“ მფარველი კვინტრაძე იყო? – წარბები შეიჭმუხნა დავითინიძემ.

– რა ვიცი, ასე ჩანს, – დაიბნა კაიშაური.

– არა მგონია, – კაიშაურის მოსაზრება არ გაიზიარა დავითინიძემ, – შეიძლება კვინტრაძე ეხმარებოდა კიდეც, მაგრამ თავის წრეში იგი „პირველი ვიოლინო“ და ამდენად, „მფარველიც“ არ და ვერ იქნებოდა.

– რატომ, უცხოელების გარემოცვაშია და უფროსად არ დაისვამდნენ, თუ წესიერი კაცია და კრიმინალებთან საქმეს არ დაიჭერდა?

– არც ერთი და არც მეორე, – ჩაეცინა დავითინიძეს, – უბრალოდ, კვინტრაძეზე მავანნი ზეწოლას ახდენდნენ და ამ, რბილად რომ ვთქვათ, „გაუგებრობაში“, იგი თავისი ნებით არ აღმოჩენილა... ჩვენამდე თუ მოაღწევს, ალბათ, თვითონვე ყველაფერს მოგვიყვება.

* * *

– ძალიან ლამაზი ძაღლი გყავთ, ქალბატონო, – შოკოლადისფერ თეთრგულიან ლაბრადორს ზურგზე ხელს ალერსით უსვამდა ჩაცუცქული ოთარ ლაბაძე, – თანაც როგორი კონტაქტური და ხალისიანია, ძველი ნაცნობივით არ შემომეგება?! რა ჰქვია?

– კი შვილო, ჭკვიანი და უწყინარი ძაღლია, – კმაყოფილებით განაცხადა ქეთი იმნაძემ, – რექსი ჰქვია, გეთამაშებათ.

– ვიცი, ამ ჯიშის ძაღლებს პირზე კოცნით ვიცნობ და თქვენთან მოახლოება ამიტომაც გავბედე, – იხუმრა ლაბაძემ, – ეტყობა, ამ პარკში სეირნობა მოსწონს და გვარიანადაც ერთობა!

– ვაკის პარკი ყველას უყვარს, ადამიანებსაც და ცხოველებსაც, – გაეცინა იმნაძეს.

– თქვენს ძაღლს განსაკუთრებით, ქალბატონო ქეთი, – ჩურჩულზე გადავიდა ლაბაძე, – რადგან ია იაშვილის მოლოდინში, სულ რამდენიმე

დღეა, რაც აქ ასეირნებთ.

– ვინ ხართ? – სკამიდან მკვეთრი მოძრაობით წამოდგა ქეთი იმნაძე.

– თქვენი მეგობრის მეგობარი ვარ, – დაამშვიდა ლაბაძემ, – დაბრძანდით!

ქეთი იმნაძე კვლავ სკამზე დაჯდა, ხმას დაუწია და მტკიცედ განაცხადა:

– ცდებით, მე ასეთს არავის ვიცნობ.

– ქალბატონმა იამ თქვენთან ვიდეოჩანაწერი გამომატანა, – იმნაძის სიტყვებს წაუყრუა და ძაღლის მოფერება განაგრძო ლაბაძემ, – შესაძლოა, ვინმე გვითვალთვალებდეს, ამიტომ „ფლეშკას“ ძაღლს საყელოზე ვუმაგრებ... ნახევარი საათი კიდევ დარჩით, შემდეგ სახლში წაბრძანდით და ვიდეო ნახეთ. ამის შესახებ არავინ, მათ შორის ოჯახის წევრებმაც კი, არ უნდა გაიგონ. საღამოს თერთმეტის ნახევარზე მოგაკითხავთ, ვიცი სადაც ცხოვრობთ.

ლაბაძემ ძაღლს თათი მეგობრულად ჩამოართვა, თავზე ხელი მოუთათუნა და ხმამაღლა დაემშვიდობა:

– ნახვამდის რექს, ჭკვიანად მოიქეცი!

საკუთარი სახელის გაგონებაზე ძაღლმა მხიარულად დაიყეფა. ლაბაძემ იმნაძეს თავი ზრდილობიანად დაუკრა და პარკის ცენტრალური შესასვლელისაკენ გაეშურა, გზად წითელი ვარდების დიდი თაიგული შეიძინა და შადრევნის სიახლოვეს, სიმწვანეში ჩაფლულ პატარა კუნძზე ჩამოჯდა, მისი შემხედვარე, კაცი იფიქრებდა, შეყვარებული ახალგაზრდა სატრფოს ელოდებაო.

ლაბაძემ მინი-სპექტაკლი გაითამაშა და მოუთმენელი მიჯნურის როლი წარმატებით შეასრულა: ყოველ წუთს შეწუხებული სახით მაჯის საათს უაზროდ დასცქეროდა, თვალებს აქეთ-იქით „შეშფოთებით“ აცეცებდა, მობილურ ტელეფონს ხელში „ნერვიულად“ ატრიალებდა და „გაბრაზებული“ თავს იქნევდა, ამასობაში კი იმნაძეს შორიდან შეუმჩნევლად აკვირდებოდა.

ნახევარ საათში იმნაძე წამოდგა და ძაღლს დაუძახა:

– გეყოფა, რექს, დავიღალე, სახლში მივდივართ!

რექსმა პატრონთან კუდის ქიცინით მიირბინა და ორივენი პარკის მთავარი კიბეებისაკენ გაემართნენ.

ლაბაძე შადრევანთან კიდევ 15 წუთს დარჩა, შემდეგ გვერდით სკამზე მჯდომ სამ უცნობ სტუდენტ გოგონას ვარდების თაიგული მიართვა: „შეყვარებული ნერვებს მიშლის, სულ ასე იგვიანებს, მაგრამ კმარა, აღარ დაველოდები, ღირსი არ არის და ეს თაიგული თქვენთვის მიჩუქნია“-ო – უთხრა, განცვიფრებული გოგონების პასუხს არ დაე-

ლოდა და უკმაყოფილო გამომეტყველებით სამარშრუტო ტაქსების გაჩერებისაკენ ტაატით გასწია...

დათქმულ დროს ლაბაძე იმნაძესთან სახლში მივიდა და კარზე ჩუმად დააკაკუნა.

– შემობრძანდით, – შინ შეიპატიჟა იმნაძემ.

– გმადლობთ, შეწუხება საჭირო არ არის, – თავაზიანად გაიღიმა ლაბაძემ, – ნივთები გადმომეცით და წავალ.

– სახლში არავინაა... მე არ ვწუხდები, პირიქით, თქვენთან დალაპარაკება მინდა, დიდ დროს არ წაგართმევთ, ეს ძალიან მნიშვნელოვანია, – სთხოვა ლაბაძეს იმნაძემ.

– აქა მშვიდობა, – ზღურბლს გადააბიჯა ლაბაძემ.

– აქეთ მობრძანდით, – მისაღები ოთახისაკენ წარუძღვა იმნაძე, – ჩაის ხომ არ მიირთმევდით?

– არა, გმადლობთ, ქალბატონო ქეთი, უკვე გვიანია.

– დაბრძანდით, – მაგიდასთან მდგარ სკამზე მიუთითა იმნაძემ.

– რით შემიძლია გემსახუროთ? – მაგიდას მიუჯდა ლაბაძე.

– ვიდეო ვნახე... აი, თქვენი „ფლეშკა“, გიბრუნებთ... ეს კი იას „აიფონი“ და პირადობის მოწმობაა, – ნივთები მიაწოდა იმნაძემ.

– გმადლობთ, – იაშვილის პირადობის მოწმობას დახედა ლაბაძემ.

– თქვენც გიკვირთ, არა? – სახეზე დააკვირდა ლაბაძეს იმნაძე.

– რა? – ნივთები სპეციალურ კონტეინერებში ჩააწყო ლაბაძემ.

– ია გარეგნულად საერთოდ არ შეცვლილა! იქნებ ის ქალი – „ფლეშკაზე“ მიუთითა იმნაძემ, – სულაც არ არის ია? მართალია, ძალიან ჰგავს, ხმაცა და მანერებიც მისი აქვს, მაგრამ... იქნებ ის არსება იას კლონია?!

– არა, რას ამბობთ, ქალბატონო ქეთი! – შეიცხადა ლაბაძემ, – არავითარი კლონი! კომპეტენტური ორგანოების მიერ გადამოწმებულია და შემიძლია დაგიდასტუროთ, რომ ის ქალბატონი ნამდვილად ია იაშვილია! გარდა ამისა, ადამიანის კლონირება დიდი ხანია კანონით აკრძალულია.

– ოჰ, კარგით რა! კანონით ბევრი რამ იკრძალება, მაგრამ დანაშაული მაინც ხდება!

– ახლა ეჭვიანობის დრო არ არის, მენდეთ, ქალბატონო ქეთი!

– ნდობის არანაირი საფუძველი არა მაქვს, მაგრამ იძულებული ვარ გენდოთ!

– ვწუხვარ, მაგრამ თქვენივე უსაფრთხოებისათვის, ჩემს ვინაობას ვერ გაგიმხელთ. ქალბატონმა იამ „ვიდეოში“ ხომ თქვა, რომ გამომძიებელი ვარ... ამჟამად ძალიან მნიშვნელოვან საქმეს ვიძიებ და როგორც პოლიციის გადამდგარ ოფიცერს, ალბათ გესმით, რომ ამ ეტაპზე

კონკრეტულს ვერაფერს გეტყვით, არ შემიძლია...

– გასაგებია, მაგრამ თქვენს გარდა, ამ გასაიდუმლოებული საქმის ნივთმტკიცებებით სხვა „ვინმეც“ რომ დაინტერესდეს და მომაკითხოს, როგორ მოვიქცე?

– ჩვეულებრივად... სიმართლეს ეტყვით, დასამალი არაფერია.

– რა სიმართლეს?

– ეტყვით, რომ იაშვილი თქვენი ბავშვობის მეგობარია, მისი დახმარება გინდოდათ და ნივთმტკიცებები პოლიციის გამომძიებელს გადაეცით.

– პოლიციელი არა ხართ, – ირონიულად შენიშნა იმნაძემ.

– აბა ვინა ვარ, „მაფიოზი“? – გაიღიმა ლაბაძემ.

– არა, გენაცვალე... იაშვილის მიმართ აღძრული მრავალეპიზოდიანი სისხლის სამართლის საქმის გამოძიების სირთულის მიხედვით, თქვენ ან გამოძიების ეროვნული ბიუროდან, ან სულაც „დაზვერვიდან“ იქნებით.

– რატომ გგონიათ, რომ საქმე მრავალეპიზოდიანია? ან „დაზვერვა“ რა შუაშია?

– გუშინდელი ბავშვი არა ვარ და კრიმინალურ პოლიციაში 25 წელი ვიმსახურე, რაღაცა მეც გამეგება... ჯერ ერთი, ცოტა ხნის წინ მეც და ჩემი ძმისშვილებიც დაგვკითხეს, იას ამბავი აინტერესებდათ. ეგრევე მივხვდი, რომ ია დაბრუნდა. თქვენ სწორად „გამშიფრეთ“, ვაკის პარკში მისი გულისთვის დავდიოდი და ჩანთით მის „აიფონსა“ და პირადობის მოწმობას დავატარებდი. მეგონა ია პარკში მოვიდოდა და ნივთებს დავუბრუნებდი. სტუდენტობისას პარკში სეირნობა გვიყვარდა და ლექციების შემდეგ ერთმანეთს იქ ვხვდებოდით ხოლმე... მეორეც, იას გაუჩინარებიდან 40 წელიწადი გავიდა, ის კი ისევ ახალგაზრდა გოგოსავით გამოიყურება! ოღონდ ნუ შემეკამათებით, „მაკიაჟის“ ვერსიის არ მჯერა!

– გონიერი ქალი ხართ, ყველაფერს „ჰაერში იჭერთ“, – იმნაძის მიხვედრილობა არ გაჰკვირვებია ლაბაძეს.

– ესე იგი, იას საქმეს „დაზვერვა“ იძიებს, – ლაბაძეს თვალი აარიდა იმნაძემ, – ცხადია, საიდუმლოს არ გავამჟღავნებ, თქვენც შეგიძლიათ მენდოთ.

– რომ გენდობით, აქ იმიტომაც მოვედი, – სიტყვები დამარცვლა ლაბაძემ, – იმედია, „ფლეშკიდან“ ვიდეო არ გადაგიწერიათ?

– რა თქმა უნდა, არა! მით უმეტეს, ვიცი, რომ „ფლეშკას“ შეამოწმებდით და ყველაფერს მიხვდებოდით. შეგიძლიათ დამშვიდდეთ, არც ამ ჩვენს საუბარს ვიწერ, – მოწყალედ გაიღიმა იმნაძემ.

– ეს თქვენ არაფერში გჭირდებათ, ქალბატონო ქეთი, – გააფრთხი-

ლა ლაბაძემ, – პირიქით... იმედია, ზედმეტ პრობლემებს მოერიდებით.

– ცხადია, – მოიღუშა იმნაძე.

– მოდით, თემა შევცვალოთ და საგნობრივად ვისაუბროთ, – შესთავაზა ლაბაძემ.

– ასე აჯობებს, – დათანხმდა იმნაძე.

– თქვენს მიერ მოპოვებული ნივთმტკიცებები გამოძიებას თავის დროზე რატომ არ წარუდგინეთ? – შეკითხვა პროფესიული ენით დასვა ლაბაძემ, – ძალიან გთხოვთ გულწრფელად მიპასუხოთ.

– იმიტომ, რომ ჩვენმა თანამშრომელმა ლულუ მინდაძემ და მისმა დაქალებმა ჩვენება იას წინააღმდეგ მისცეს. გარდა ამისა, – ცრემლი მოერია იმნაძეს, – მე სასამართლოს ყველა სხდომას ვესწრებოდი და საკუთარი თვალით ვნახე და მოვისმინე, თუ როგორ გადასცა ლულუ მინდაძემ კვინტრაძის ნათესავებს იას ფოტოსურათი და უთხრა, შემიძლია ციტირება მოვახდინო: „ეს სწორედ ის საშინელი ია იაშვილია, ვინც თქვენი ალეკო და მისი პატარები გაიტაცა“-ო . მე ამ სისულელეების, ცხადია, არასოდეს მჯეროდა და იას ველოდი. მეგონა, ადრე თუ გვიან დაბრუნდებოდა... წლები გადიოდა, ის არ ჩანდა, მისი ამბავი ყველას მიავიწყდა და ნივთმტკიცებების გამომზეურებას რაღა აზრი ჰქონდა?

– რას ფიქრობთ, მინდაძემ ეს რატომ გააკეთა?

– ია საქმროსთვის, ირაკლი რამიშვილისთვის რომ დაეშორებინა. რამიშვილი საუკეთესო ახალგაზრდა იყო, კარგი ოჯახიდან, იგი მინდაძის დეიდაშვილს, მიმი ჯაფარიძეს უყვარდა, მაგრამ ირაკლი მას ყურადღებასაც არ აქცევდა. იას და ირაკლის იმ სამწუხარო ამბიდან რამდენიმე დღეში ჯვარი უნდა დაეწერათ. მოგვიანებით მივხვდი, რომ მინდაძე იას ცილს შეგნებულად სწამებდა და მისი ჭკუით, ავტორიტეტს ულახავდა, რადგან შიშობდა, რომ დაბრუნდებოდა... ამ ასპიტმა დედაკაცებმა 7 წლის შემდეგ მაინც მოახერხეს და ირაკლი ხელში ჩაიგდეს – მიმი ჯაფარიძე დღესაც ირაკლის ცოლია.

– იაშვილმა იცოდა, რომ მინდაძე და ჯაფარიძე ნათესავები იყვნენ და რომ ჯაფარიძეს რამიშვილი უყვარდა?

– არა... ეს მეც რამიშვილისა და ჯაფარიძის დაქორწინების შემდეგ გავიგე.

– რამიშვილს პირადად იცნობდით?

– რაღა თქმა უნდა! მეჯვარე უნდა ვყოფილიყავი... როდესაც მისი დაოჯახების ამბავი შევიტყვე, დავურეკე და მივულოცე. სხვათა შორის, გაუხარდა, ვილაპარაკეთ და მაშინ გამომიცხადა: „თურმე ჩემი ცოლის დეიდაშვილსაც თქვენს სისტემაში უმუშავია“-ო, სახელი და გვარი ვკითხე და რომ მითხრა, კინაღამ გავგიჟდი.

– მერე და, სიმართლე უთხარით?

– არა, რას ბრძანებთ! პირიქით, ვიუარე: „არ ვიცნობ“-მეთქი. მიმი უკვე ცოლად ეჯდა და რა უნდა მექნა? ხომ ვერ ვეტყოდი: „შენი თანამეცხედრე უზნეო და ბოროტი ქალია, თავი ტყუილებით შემოგაჩეჩა, შენს საყვარელ ქალს ცილი დასწამა და სასწრაფოდ გაშორდი“- მეთქი? მამაკაცი თვითონ უნდა ხვდებოდეს, ვისთან ცხოვრობს! და თუ ვერ ხვდება, უკეთესის ღირსი არც არის... გარდა ამისა, იას დაკარგვის გამო ირაკლიმ ბევრი იდარდა, შემდეგ, როგორც იქნა, პირადი ცხოვრება აიწყო და ხელახლა ვერ გავაუბედურებდი.

– საიდან ჰქონდა მინდაძეს იაშვილის ფოტოსურათი?

– არ ვიცი, ამაზე მეც ბევრი მიფიქრია... პოლიციის მონაცემთა ბაზიდან ფოტოს თვითნებურად ვერ ამოიღებდა, რადგან ეს ქმედება მაშინაც დასჯადი იყო... ია და ლულუ ერთ დეპარტამენტში მუშაობდნენ. შესაძლოა სადმე, ვთქვათ, ექსკურსიაზე ჯგუფური ფოტოც ჰქონოდათ გადაღებული. იქიდან კი იას გამოსახულების „ამოღება“ რა, ძნელი იქნებოდა?!

– შეიძლება, – დაეთანხმა ლაბაძე, – იქნებ იაშვილთან ერთად გადაღებული სურათები მაჩვენოთ!

– ია ძალიან ლამაზი იყო, მაგრამ სურათების გადაღება რატომღაც არ უყვარდა, „ტოპ მოდელი ხომ არა ვარ, ვიპოზიორო“-ო, იტყოდა ხოლმე. თუმცა, რამდენიმე ფოტო მეც მაქვს შემორჩენილი, – თაროდან ფოტოსურათების ალბომი გადმოიღო იმნაძემ.

– აი, სულ 5 სურათია, – ფოტოები მიაწოდა ლაბაძეს, – მაგრამ მხოლოდ უკან დაბრუნების პირობით თუ გაგატანთ!

– თან გატანება არ მითხოვია, – შეიშმუშნა ლაბაძე. თუმცა უხერხულობა მალე დასძლია და ფოტოები სპეციალურ პარკში შეინახა.

– ჯერ არ გითხოვიათ, – შენიშნა იმნაძემ, – მაგრამ ორი წინადადების შემდეგ მომთხოვდით... ხომ ასეა?

– ვაღიარებ, – გაეცინა ლაბაძეს, – უნდა მეთხოვა... შეიძლება გამოგვადგეს.

– დავბერდი, მაგრამ დღესაც მზად ვარ ვემსახურო მართლმსაჯულებას, – სევდიანად გაიღიმა იმნაძემ, – ამიტომ მინდა მეც ვაღიარო, რომ გამოუსწორებელი შეცდომა დავუშვი, რისთვისაც მთელი ცხოვრება მორალურად დავიტანჯე: ეს ნივთმტკიცებები თავიდანვე უნდა წარმომედგინა – შესაძლოა ია გაემართლებინათ... ალბათ იცით, ქვეყანაში იმ პერიოდში როგორი განუკითხაობა სუფევდა, თუ მოინდომებდნენ, ნებისმიერ ადამიანს „ჩასვამდნენ“... მე კი ლულუ მინდაძისა და მისი „ბლატების“ შემეშინდა. მეგონა იას „აიფონს“, როგორც ნივთმტკიცებას,

გაანადგურებდნენ... მინდაძეს ია სძაგდა და ამას არც მალავდა, თუმცა ნამდვილ მიზეზს ვერავინ ვხვდებოდით, ლულუს უტაქტო გამოხდომებს მის შურიანობასა და ავყიობას მივაწერდით... ლულუ ცოცხალი აღარ არის და არ მინდა მიცვალებულზე ცუდად ვილაპარაკო... იას ველოდებოდი, მეგონა დაბრუნდებოდა და თავის ნივთებს პირადად გადავცემდი, შემდეგ ის თავის საქმეს თვითონვე მიხედავდა... აი, ასე იყო! ოფიციალურად თუ დამკითხავთ, ყველაფერს წერილობით დაგიდასტურებთ, თუ საჭირო იქნება, სასამართლოსაც მივცემ ჩვენებას.

– გულახდილობისათვის გმადლობთ, ქალბატონო ქეთი, – წამოდგა ლაბაძე, – თქვენთან დაკავშირებული საკითხები მოგვიანებით გადაწყდება და შეგეხმიანებით. იმედია, ნაყოფიერად ვითანამშრომლებთ.

– იას დაბრუნება მიხარია... მას ჩემგან დიდი მოკითხვა და ეს ხაჭოს ნამცხვარი გადაეცით, ოჯახისათვის ხშირად ვაცხობ ხოლმე, იას ძალიან უყვარდა.

– მაპატიეთ, მაგრამ ნამცხვარს ვერ წავიღებ, – იუარა ლაბაძემ.

– რატომ? მოწამლული კი არ არის, – ეწყინა იმნაძეს.

– დარწმუნებული ვარ, მაგრამ... ხომ იცით, არ შეიძლება, – თანაგრძნობა სახის გამომეტყველებით გამოხატა ლაბაძემ.

– კარგი, რა გაეწყობა, – გულდაწყვეტით თქვა იმნაძემ, – იმედია, გულთბილი მოკითხვის გადაცემაზე მაინც არ დამზარდებით.

– ნუ გამინაწყენდით, – კეთილად იღიმებოდა ლაბაძე, – თქვენს გულთბილ მოკითხვას ქალბატონ იას აუცილებლად გადავცემ!

– გამოძიების დასრულების შემდეგ ხომ შეგვახვედრებთ?

- რასაკვირველია, ქალბატონო ქეთი, – ზღურბლთან შეჩერდა ლაბაძე, – ნახვამდის!

– კარგად იყავი, შვილო, მართლა დიდი ტვირთი ჩამომხსენი, – კარები გამოაღო იმნაძემ, – წარმატებებს გისურვებ!

– გმადლობთ, – ლაბაძე სადარბაზოში გამოვიდა და კიბეებზე სწრაფად დაეშვა.

***

– ამ შუაღამისას სად დაიკარგე? დელისიდან აქამდე მოსვლას განა რამდენი ხანი სჭირდება? ტელეფონსაც არ პასუხობდი, მოვკვდით ნერვიულობით! – უსაყვედურა ლაბაძეს დავითინიძემ.

– ზარი გათიშული მქონდა... მაგრამ ისეთი „ინფორმაციები“ მოგიტანეთ, „შეფ“, რომ დაგვიანებას მაპატიებთ.

– ნივთმტკიცებები წამოიღე? – ჰკითხა ლაბაძეს კაიშაურმა.

– რა თქმა უნდა, – პოლკოვნიკის მაგიდაზე პოლიეთილენის გამჭ-

ვირვალე ორი კონტეინერი და პარკი დააწყო ლაბაძემ, – კონტეინერებში ნივთმტკიცებებია, პარკში კი – იაშვილისა და იმნაძის ერთად გადაღებული ფოტოსურათები.

– ავთო, კონტეინერები დალუქე და ექსპერტიზაზე გაგზავნე! ამ საქმეს პირადად მიხედე და პასუხი დააჩქარებინე, – დაავალა კაიშაურს დავითინიძემ, – როგორც კი დასკვნა მოვა, სასწრაფოდ პრემიერ-მინისტრს უნდა მოვახსენოთ.

– ამაღამვე გავუშვებ, – კაიშაურმა პარკიდან სურათები ამოიღო და დავითინიძეს გადასცა, – ნახეთ, ჩვეულებრივი ჯგუფური სურათებია.

- ეს ფოტოები – სურათები ყურადღებით დაათვალიერა პოლკოვნიკმა, – კვინტრაძის ნათესავებს აჩვენეთ, ავთო.

– აქ იაშვილი და იმნაძე არიან... კვინტრაძეებს კი იაშვილის გამოსახულება სულ სხვა სურათიდან ექნებოდათ ამოღებული.

- ხო, მაგრამ მაინც აჩვენეთ! იქნებ ჩვენთვის რაიმე საინტერესო გვითხრან.

– გასაგებია, „შეფ“, – სურათები საქაღალდეში ფრთხილად მოათავსა კაიშაურმა.

– შენ რა „ინფორმაციები“ მოგვიტანე, ოთარ? – ლაბაძის მოხსენების მოსასმენად მოემზადა დავითინიძე.

– ბატონო დავით, სიმართლე გითხრათ, არ მიკვირს, რომ იაშვილი და იმნაძე მეგობრობდნენ, იმდენად ერთნაირად აზროვნებენ და ხასიათითაც ერთმანეთს ჰგვანან... ამ ქეთი იმნაძემ ლამის აქეთ დამკითხა!

– რაო? დაგკითხა? – ჩაეცინა დავითინიძეს, – თქვენი „საუბარი“ არ ჩაიწერე?

– მასთან „სასაუბროდ“ ხომ არ გაგიგზავნივართ? მხოლოდ ნივთმტკიცებები უნდა წამომეღო! ამიტომ სპეცტექნიკა თან არ მქონია. ჩემთან დალაპარაკება თვითონ მოინდომა, იაშვილის კლონის შესახებ რაღაც სისულელეებს მეკითხებოდა. მეც მომენტით ვისარგებლე და გამოძიებისათვის საინტერესო რამდენიმე შეკითხვა დავუსვი. მეტად მნიშვნელოვანი ინფორმაცია მომაწოდა. კიდევ კარგი, მობილურის ჩართვა შეუმჩნევლად მოვახერხე და ყველაფერი ჩავიწერე.

– მოგვასმენინე ბატონო, – სავარძლის საზურგეზე გადაწვა დავითინიძე, – ძილის დროა და „იავნანა“ გვჭირდება!

დავითინიძის ნათქვამზე კაიშაურსა და ლაბაძეს გაეღიმათ. ლაბაძემ მობილური ტელეფონი ჩართო და ხელმძღვანელობას იმნაძესთან საუბარი მოასმენინა.

– „მოზაიკა“ ნელ-ნელა ლაგდება, – ჩანაწერის მოსმენის შემდეგ ფიქრიანად თქვა დავითინიძემ, – იაშვილის „ჩაშვებისა“ და ნივთმტ-

კიცებების დაფარვის მოტივები გავიგეთ.

– და არა მხოლოდ ეს, – დაამატა კაიშაურმა, – ისიც გამოიკვეთა, თუ როგორ აღმოჩნდა იაშვილის ფოტო კვინტრაძე-ჯინჭარაძეების ნათესავების ხელში და როგორ მოხვდა შემდეგ იმ რეციდივისტ ტოპლუსთან.

– ამ უბედური იაშვილის სიცოცხლეს საფრთხე რომ არ ემუქრებოდეს, ექსპერტიზის პასუხისა და კვინტრაძის დაკითხვის შემდეგ სახლში გავუშვებდით, – დანანებით თქვა ლაბაძემ, – დანაშაულის არარსებობის გამო, მის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმეც ხომ შეწყდებოდა, ფაქტი სახეზეა: კვინტრაძე თავის შვილებთან ერთად ცოცხალი და უვნებელია.

– გაითვალისწინეთ, რომ რამიშვილისა და მისი მეუღლის, მიმი ჯაფარიძის დაკითხვაც მოგვიწევს, – შენიშნა დავითინიძემ, – ქეთი იმნაძის მონათხრობი უნდა გადამოწმდეს.

– გგონიათ, რომ იმნაძე ტყუის? – დაეჭვდა კაიშაური.

– არა, არა... ტყუილის სათქმელად იმნაძეს მოტივი არა აქვს, თანაც მშვენივრად იცის, რომ მის ჩვენებას რამიშვილისა და ჯაფარიძის ჩვენებებთან შევაჯერებთ...

– ამ საქმესაც დილიდან მივხედავთ, – თავდაჯერებით განაცხადა კაიშაურმა.

– იაშვილთან მიმართებაში ყველაფერი ნათელია. ამ ეტაპზე ჩვენი მთავარი ამოცანა კოსმოსური ხომალდის საიდუმლოს ამოცნობაა, – გულხელი დაიკრიბა დავითინიძემ, – არ ვიცი ეს ამბავი როგორ გაგრძელდება და რითი დასრულდება, ძალიან „მრავალგანზომილებიან“ ვითარებაში კი აღმოვჩნდით...

– კვინტრაძის ჩვენება ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, – შეახსენა კაიშაურმა დავითინიძეს, – მგონი სიურპრიზებსაც უნდა ველოდოთ.

– იცით რას ვფიქრობ ბიჭებო, – წიგნების კარადასთან მივიდა დავითინიძე, – იაშვილი უბედური სულაც არ არის, პირიქით, უნიკალური ბედის ადამიანია და თავისებურად ბედნიერიცაა: ქალმა კოსმოსში იმოგზაურა, სამეცნიერო კვლევები ჩაატარა, მნათობთა და პლანეტათა ზეციურ ჰარმონიას ეზიარა...

– მერე და ეს რაში სჭირდებოდა „შეფ“? – განცვიფრდა ლაბაძე.

– მატერიალურად არც არაფერში, – ლაბაძის შეკითხვაზე გაეცინა კაიშაურს, – ეს სულიერ-ზნეობრივი ფასეულობებია... ჩვეულებრივ ადამიანებთან შედარებით, იაშვილმა ზნეობა განიმტკიცა და გონებრივი თვალსაწიერი განუზომლად გაიფართოვა, სამყაროს გლობალურ ასპექტში განხილვა და ფილოსოფიურად აღქმა ისწავლა... მან პოლკოვნიკთან საუბარში აღნიშნა და მეც ვეთანხმები, რომ თუ ადა-

მიანთა საზოგადოება სამართლიანობასა და სიკეთეს არ დაეფუძნა, იგი ადრე თუ გვიან თავს დაიღუპავს. იაშვილი მართალია, კაცობრიობა ზნეობრივად უნდა გაკეთილშობილდეს და პლანეტის რესურსებიც სამართლიანად უნდა გადანაწილდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში კარგი არაფერი გველის.

– მართალი ხარ, ოთარ, – კარადიდან სქელტანიანი წიგნი გადმოიღო და ხელი დაუტყაპუნა დავითინიძემ, – აი, ვაჟა-ფშაველა, დიდი პოეტი და ბუნების მესაიდუმლე! ჯერ კიდევ როდის თქვა, რომ კაცი დედა ბუნებასთან თანხმობით უნდა ცხოვრობდესო... სამყაროს შეცნობის პროცესში მკვლევარი მეცნიერები ყოველთვის მიდიან რაღაც გარკვეულ ზღვრამდე, რომელსაც ბევრი მცდელობის მიუხედავად, ვერ ლახავენ! ამ ფენომენს კი სინგულარობას[28] უწოდებენ... ვფიქრობ, ეს ღვთის განგებულებაა... მოკვდავ ქმნილებას კოსმოსის ლაბირინთებში ხეტიალი არაფერში სჭირდება, რადგან ადამიანმა სამყაროში თავისი ადგილი უნდა იცოდეს და ზედმეტი ცნობისმოყვარეობა და კოსმოსის რაობაში ჩაწვდომის მკრეხელური სურვილი არ უნდა აწუხებდეს, მაინც ვერაფერს გახდება... გვიჯობს საკუთარი თავი შევიმეცნოთ და ჩვენი დედამიწა კარგად შევისწავლოთ, სათანადოდ მოვუფრთხილდეთ და სანამ ცოცხლები ვართ, მშვიდობიანად და ბედნიერად ვიცხოვროთ...

– ისე ეს იაშვილი მართლა ბედნიერია, „შეფ“, – სერიოზულად თქვა ლაბაძემ, – მას ასტრონავტ-კოსმონავტთა პლეადას მიაკუთვნებენ და მისი სახელი ისტორიას შემორჩება.

– ამ საღამოს კოსმოსის თემამ რაღაც „ნამეტნავად“ გაგვიტაცა და ფილოსოფიაში „გადაგვისროლა“, ხო იცი, – წარბები ზემოთ აზიდა და მხრები სასაცილოდ აიჩეჩა დავითინიძემ.

– აქტუალური თემაა, – შენიშნა კაიშაურმა, – ძალაუნებურად გითრევს...

– ყოჩაღ, ბიჭებო, დღეს კარგად იმუშავეთ, სახლებში წადით და დაისვენეთ. გენერალს ბოლო ინფორმაციას მივაწვდი, ნივთმტკიცებების მოპოვების შესახებ მოვახსენებ და მეც სახლში წავალ.

– ჩვენ კი გვეგონა ვაჟა-ფშაველას პოემებს წაგვაკითხებდით, „შეფ“, – პოლკოვნიკის კარგ გუნებაზე ყოფნა შეამჩნია და ხუმრობა შეჰბედა კაიშაურმა.

– აბა! ზუსტად მაგას ვაპირებდი, მაგრამ ლაბაძე შემეცოდა და გადავიფიქრე, – ულვაშებში ჩაიცინა და ტომი ადგილზე დადო დავითინიძემ, – დღეს თურმე იმნაძეს „დაუჩაგრავს“ და მეც ხომ არ დავუმატებდი?!

* * *

– რა ადრე მოსულხართ, ბატონო დავით, – შეეხმიანა მაგიდაზე თავდამხობილ პოლკოვნიკს დამლაგებელი ქალი, – შეიძლება კაბინეტი დაგილაგოთ?

– რაააა? – მაგიდიდან წამოიწია და სახე მოიფშვნიტა დავითინიძემ, – მაპატიეთ, ქალბატონო მაგდა, ჩამძინებია...

– უკაცრავად, არ ვიცოდი ღამე აქ თუ გაათიეთ, თორემ არ შეგაწუხებდით, – უხერხულად შეიშმუშნა ქალი.

– არაფერია... პირიქით, კარგია, რომ დროზე გამაღვიძეთ, მძიმე დღე მელის და უნდა მოვემზადო... ცოტას მოვწესრიგდები, თხუთმეტი წუთი დამაცადეთ.

– რა თქმა უნდა, – დერეფანში გავიდა მაგდა.

გაზაფხულის მზიანმა დილამ და ჩიტების ჟღურტულმა დავითინიძე გაახალისა. „იმ გადამთიელ ვიგინდარებს დედას ვუტირებთ“, – მშვიდად და თვითდაჯერებით ფიქრობდა პოლკოვნიკი, – „სანამ ცოცხალი ვარ, ამ ედემივით მშვენიერ და მადლიან ქვეყანას ბინძური ხელებით ვერავინ შეეხება!“

გვიან ღამით ჯაშთან მოსახსენებლად მისულ დავითინიძეს გენერალ-მა პრემიერ-მინისტრის მხარდაჭერა დაუდასტურა და შეატყობინა, რომ კვინტრაძის დაკითხვის შემდეგ, შექმნილი ვითარების შესახებ ანგარი-შის მოსასმენად, პოლკოვნიკს უშიშროების საბჭოს სხდომაზე აუცილე-ბლად მიიწვევდნენ. დავითინიძე სხდომაზე სიტყვით გამოსვლის დავა-ლებას დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდა და ოფიციალური მოხსენების ტექსტზე მუშაობას მაშინათვე გულმოდგინედ შეუდგა.

„ინფორმაცია ძალზედ კონფიდენციალური და განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, ამდენად საჭირო არ არის ყველა დეტალი სხდომაზე გავამხილო, ზოგადი „მონახაზიც“ სავსებით საკმარისი იქნება“, – თა-ვისთვის მსჯელობდა პოლკოვნიკი, – „უსაფრთხოების ინტერესები მოითხოვს, რომ გამოძიების ამ ეტაპზე სისხლის სამართლის საქმის ყველა ნიუანსი სახელმწიფოში მხოლოდ სამმა კაცმა ვიცოდეთ: ქვეყ-ნის პრემიერ-მინისტრმა, დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა და მე, საგამოძიებო ჯგუფის უფროსმა“, – საკუთარი გადაწყვეტილების სისწორეში დარწმუნებული იყო დავითინიძე.

შუადღისას კაბინეტში ვახტანგ ჭეიშვილი შემოვიდა და პოლკოვნიკს მოახსენა:

– კაიშაური და ლაბაძე არიან, თქვენი დავალებები შეუსრულებიათ... მიიღებთ?

– კი, კი, უთხარი შემოვიდნენ!

– მე რას დამავალებთ?

– ჯერჯერობით არაფერს, ვახო, მაგრამ არსად წახვიდე, იქნება დამჭირდე!

– გასაგებია, – ოთახიდან გავიდა ჭეიშვილი.

– რა ქენით? – მისალმების შემდეგ ჰკითხა ხელქვეითებს დავითინიძემ.

– კვინტრაძის ნათესავები, რამიშვილი და მისი ცოლი გამოვკითხეთ და ფოტოებიც ამოვაცნობინეთ, – უპასუხა კაიშაურმა, – როგორც მოსალოდნელი იყო, იმნაძის ჩვენება დადასტურდა, ისიც გაირკვა, რომ იაშვილსა და მინდაძეს საერთო ჯგუფური სურათი მოწამეთას ეკლესიასთან, ექსკურსიაზე ყოფნის დროს გადაუღიათ.

- რა, ცოლ-ქმარს ერთად ელაპარაკეთ? – შეცბა დავითინიძე.

– არა, რას ბრძანებთ, ბატონო დავით, ცალ-ცალკე! სიბერეში რამიშვილს ცოლთან ურთიერთობას ხომ არ გავუფუჭებდით? – გაეცინა კაიშაურს.

– კარგია... მერე რამიშვილს იაშვილის ხსენებაზე რა რეაქცია ჰქონდა?

– არაფერი უკითხავს, მხოლოდ ატირდა, – კეთილად თქვა კაიშაურმა, – შეკითხვებზე გვიპასუხა და წამოსვლისას გვთხოვა: „თუ ცოცხალია, შორიდან მაინც შემახედეთ, თუ მკვდარია, საფლავი მაინც მიმასწავლეთ“-ო. ტკბილი მოხუცია, შემეცოდა! ეტყობა იაშვილი დღემდე უყვარს!

– ცოლმა რაო?

– დაუნდობელი და ავი ქალი ჩანს, ყველაფერი აწ გარდაცვლილ ლულუ მინდაძეს გადააბრალა: „მე არაფერ შუაში ვარ, ფოტოსურათი კვინტრაძეებს ლულუმ გადასცა. ია იაშვილს საერთოდ არ ვიცნობდი და მისთვის რა უნდა დამეშავებინა“-ო, გამომიცხადა... ისე, ერთმანეთს პირადად მართლა არ იცნობდნენ.

– ახლა ჯაფარიძის ინტრიგების გარჩევა არაფერში გვჭირდება, – ხელი ჩაიქნია დავითინიძემ, – რადგან გამოძიებისათვის ამას მნიშვნელობა არა აქვს... იაშვილმა თავისი პირადი ურთიერთობები თვითონ გაარკვიოს, გამოძიება დამთავრდება და...

– მართალია, – დაეთანხმა კაიშაური.

– თქვენი დავალებები იცით და იმუშავეთ! მეც საქმე მაქვს, – ხელნაწერ ფურცლებზე მიუთითა დავითინიძემ.

– „პატარა“ „ჭირვეულობს“ და ვერ ბეჭდავთ? – კომპიუტერისაკენ ხელი გაიშვირა ლაბაძემ, – იქნებ ვუშველო!

– არა, – თავი უარყოფითად გაიქნია დავითინიძემ, – კომპიუტერი არ მინდა, ქაღალდზე წერა მირჩევნია.

– მაშინ თავს აღარ შეგაწყენთ და წავალთ, – წამოდგა კაიშაური.

– კარგი... საღამოს სიტუაცია მომახსენეთ.

– დიახ, ბატონო დავით, – წამოდგა ლაბაძეც.

– „შეფი“ „ძაან“ საიდუმლო საბუთს ამზადებს, – დავითინიძის კაბინეტიდან გამოსვლის შემდეგ ჩურჩულით უთხრა კაიშაურს ლაბაძემ.

– შენ რა იცი? – გაუკვირდა კაიშაურს.

– ხელნაწერის დაწვა პრობლემას არ წარმოადგენს, სამაგიეროდ, კომპიუტერში წაშლილი ჩანაწერის აღდგენა უცხო პირისათვისაც კი პრაქტიკულად შესაძლებელია!

– რა ოხერი ხარ, ვინც არ გიცნობს, – გაეცინა კაიშაურს, – არაფერი გამოგეპარება!

– რა, ტყუილს ვამბობ?

– დავითინიძე რას და სად დაწერს ჩვენი საქმე არ არის! გასაგებია?!

– რაღა თქმა უნდა!

– მაშ, რა გალაპარაკებს?

– რა და ჩემი გრძელი ენა, – „გულწრფელად აღიარა“ ლაბაძემ.

– კაი, ჰო, – ლაბაძეს მხარზე ხელი მეგობრულად დაჰკრა კაიშაურმა, – წადი, საქმეს მიხედე!

– „მოძმე უწყებაში“ კოლეგებს შევუვლი, – მუყაოს შავი საქაღალდე იღლიაში ამოიჩარა ლაბაძემ, – გავიგებ, ჯინჭარაძის მკვლელობის საქმის გამოძიება როგორ მიდის.

– კი ბატონო, მაგრამ უკეთესი არ იქნებოდა, ჩვენს „საინფორმაციოში“ შეგევლო და თარჯიმან დემირის შესახებ გაგზავნილი მოთხოვნის პასუხი დაგეჩქარებინა? ჯინჭარაძის „ამბავს“ გაბუნიაც გვეტყვის.

– როგორც ყოველთვის, მართალი ხარ, უფროსო! ასეც ვიზამ... საღამოსთვის კი ყველაფერს დაწვრილებით მოგიყვები.

– აბა, შენ იცი! მე ჩემს კაბინეტში ვიქნები და გემის კურსის „გაშიფვრას“ შევეცდები. თუმცა, თუ გოგელიამ დარეკა, „შეფი“ ახალ დავალებებს აუცილებლად მოგვცემს.

– ისე, ამ კვინტრაძის პიროვნება ძალიან მაინტერესებს, – ხმადაბლა თქვა ლაბაძემ.

– მალე ეგ ბედნიერებაც ყველას გვეღირსება და „ტიპს“ „ლაივში“ ვიხილავთ, – ღიმილით აღნიშნა კაიშაურმა და ლაბაძეს ხელი ჩამოსართმევად გაუწოდა, – გვეყო „ლაი-ლაი“, დავიშალეთ!

– დროებით, – უფროსს ხელი ჩამოართვა და დერეფანს გაუყვა ლაბაძე.

***

მობილური ტელეფონის ზარმა პოლკოვნიკი დავითინიძე მოხსენების ტექსტზე მუშაობას მოსწყვიტა:

– გისმენ, არჩილ!

– მივდივარ, „შეფ“, – აუწყა ყიფიანმა.

– მიდი! და მერე პირდაპირ აქეთ წამოდი, – ტელეფონი გათიშა და საათს დახედა დავითინიძემ.

„პირველი საათი ხდება... ესე იგი, ყიფიანს გოგელიამ დაურეკა, მალე კვინტრაძეს უნდა ველოდოთ, შესაძლოა დღესაც!“ – აფორიაქდა დავითინიძე.

ყიფიანი ერთ საათში დაბრუნდა და პოლკოვნიკს მოახსენა:

– დღის 12 საათსა და 55 წუთზე მოქალაქე გოგელიამ შეთანხმებისამებრ დამირეკა, ქონების გაყიდვაზე თანხმობა გამომიცხადა და სასტუმროში მისვლა მთხოვა. მაშინათვე გავვარდი. გოგელიამ მაცნობა, რომ მისი ნათესავები (არ იცის ვინ, სავარაუდოდ, ტყუპები და მათი ოჯახები) თბილისის აეროპორტში გამთენიისას, დილის 4 საათზე ტაშკენტის რეისით ჩამოფრინდებიან, ხოლო მამამისი ამაღამ საქართველოში იმავე გზითა და მეთოდით შემოვა, როგორითაც იაშვილი შემოაპარეს, ანუ ზღვით და არალეგალურად. კვინტრაძე გოგელიას კუთვნილ რესტორან „პოსეიდონში“ მივა და ჩვენების გამოჩენას დაელოდება... უნდა გითხრათ, რომ გოგელია ძალიან შეშინებულია და ნერვიულობს.

– ვისი, ან რისი ეშინია? რა, ვინმე დაემუქრა? – ჩაეკითხა ყიფიანს დავითინიძე.

– არა, ბატონო დავით, არავინ დამუქრებია, – ხელები გაასავსავა ყიფიანმა, – უბრალოდ შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე ეშინია!

– ამიტომ სჯობს ახლავე სასტუმროში დაბრუნდე და ქალი დაამშვიდო. იქ დარჩები, სიტუაციას დააკვირდები და მუდმივად „ხაზზე იქნები“. რომ დაღამდება, შენობაში სპეცტექნიკა და ვიდეოკამერები დამონტაჟდება, 22 საათისა და 00 წუთისათვის კი ობიექტზე სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული სპეციალური ქვედანაყოფი ჩადგება და შენობას მთელ პერიმეტრზე დაიცავს. ცხადია, ბიჭები მიმდებარე ტერიტორიასაც გააკონტროლებენ. პრობლემის შექმნის შემთხვევაში, მყისიერად მომახსენებ... გასაგებია?

– დიახ, ბატონო პოლკოვნიკო, – გაიჯგიმა ყიფიანი.

– შეგიძლია წახვიდე, არჩილ და ფრთხილად იყავი!

– მესმის, ვეცდები! – ყიფიანმა დავითინიძეს თავი დაუკრა და კაბინეტიდან გავიდა.

კვინტრაძის ოჯახის უსაფრთხოების დასაცავად წინასწარი ზომები დავითინიძეს უკვე მიღებული ჰქონდა, ამიტომ ყიფიანთან საუბრის შემდეგ იგი ე.წ. „დახურული ხაზით“ პირადად ესაუბრა სპეცტექნიკის სპეციალისტებსა და სპეცდანიშნულების რაზმის მეთაურს

და „ღონისძიების“ ჩატარების ზუსტი დრო და ადგილი შეატყობინა. პოლკოვნიკი კონფიდენციალობას განუხრელად იცავდა და როგორც თვითონ ამბობდა: „ოპერაციაში არასაჭირო ხალხის ჩართვას“ ყოველთვის თავს არიდებდა, ამიტომაც გადაწყვიტა, კვინტრაძისა და მისი ოჯახის დანიშნულების ადგილამდე მიყვანა საგამოძიებო ჯგუფის წევრებისათვის დაევალებინა, სპეციალური დანაყოფები კი დამხმარე ძალად გამოეყენებინა.

– ავთო, შენ და ოთარი სასწრაფოდ ჩემთან მოდით, – ყიფიანის წასვლის შემდეგ კაიშაური და ლაბაძე მობილური ტელეფონით მოიხმო დავითინიძემ.

– ოთარი „საინფორმაციოშია“, ათ წუთში მოვალთ, – უპასუხა კაიშაურმა.

– კარგი, გელოდებით!

ათიოდ წუთში კაბინეტის კარი კაიშაურმა შემოაღო და ზღურბლიდანვე იკითხა:

– აქა ვართ, „შეფ“! მოხდა რამე?

– ჯერ შემოდით და დასხედით, – სკამებზე დინჯად მიუთითა დავითინიძემ.

კაიშაური და ლაბაძე მაგიდას დაძაბული სახეებით მიუსხდნენ და საუბრის დაწყებას მოუთმენლად ელოდნენ. დავითინიძემ ხელქვეითებს თვალებში გამომცდელად ჩახედა და მშვიდად წარმოთქვა:

– ამაღამ კვინტრაძე საზღვარს მწვანე კონცხთან არალეგალურად გადმოკვეთს. თქვენ ორნი ერთ საათში გაემგზავრებით, შუაღამისას რესტორან „პოსეიდონთან“ ჩასაფრდებით და კვინტრაძეს დაელოდებით. ტრანსპორტირებისა და უსაფრთხოების ზომები მიღებულია. დაჯავშნული მანქანით ივლით, სპეცდანიშნულების ქვედანაყოფის ბიჭებიც მოგყვებიან, ისინი სამოქალაქო ტანსაცმლით იქნებიან, თქვენს შორიახლოს „გაუშიფრავად“ იმოძრავებენ და საჭიროების შემთხვევაში, დაგიცავენ. კვინტრაძის დეპარტამენტში მოყვანა თქვენ გევალებათ. იმედია, კვინტრაძე მდევარს თავზე არ დაგვაყენებს, თორემ სიტუაცია ძალზედ გართულდება... ყველაფერი გასაგებია?

– დიახ, ბატონო პოლკოვნიკო! დავალება სათანადოდ შესრულდება, – მზადყოფნა გამოთქვა კაიშაურმა, – გასამგზავრებლად სად უნდა მივიდეთ?

– იაშვილი ჯერ კიდევ ჩვენთანაა. ნათელია, რომ იაშვილსა და კვინტრაძეს საერთო მტრები ჰყავთ, ამიტომ შესაძლებელია ვიღაცეები დეპარტამენტის შენობას თანამგზავრის მეშვეობით უთვალთვალებდნენ... თქვენი გამგზავრების შესახებ არავინ უნდა იცოდეს. ამდენად, მთავარი

და სამსახურებრივი შესასვლელებიდან ვერ გახვალთ, შეგნიშნავენ, ამიტომ სპეცგასასვლელთან ჩახვალთ, იქ დაბურულ ფანჯრებიანი დაჯავშნული მანქანა დაგხვდებათ, მძღოლი გამოცდილი სპეცრაზმელია, სანდო კაცია, პირადად ვიცნობ.

– გავიგეთ, – ჩაილაპარაკა მანამდე უბრად მჯდომმა ლაბაძემ.

– რისი თქმა გინდა, ოთარ, – ლაბაძის სახის გამომეტყველება არ გამოჰპარვია დავითინიძეს, – საინფორმაციოში რა გაარკვიე?

– მოკლედ მოგახსენებთ, „შეფ“, – გამოცოცხლდა ლაბაძე, – თურქმა კოლეგებმა გვაცნობეს, რომ თარჯიმანი საიდ დემირი ავარიაში მოჰყვა და გარდაიცვალა 2011 წლის 24 დეკემბერს სტამბულში, თითქმის იმავე დროს, რაც „მისტერ იქსი“, იგივე ამირან პაიჭაძე.

– ასეც ვვარაუდობდი, – დაფიქრებით თქვა დავითინიძემ, – იმ ყურუმსაღებმა მოწმეები მაშინათვე თავიდან მოიშორეს...

– ახლა მოწმედ მხოლოდ კვინტრაძეღა გვრჩება, მისი ჩვენება გამოძიებისათვის გადამწყვეტი იქნება, – შენიშნა ლაბაძემ.

– კვინტრაძე მოწმე კი გვგონია, მაგრამ დამნაშავე რომ აღმოჩნდეს? – მოულოდნელად თქვა კაიშაურმა, – გამორიცხული არაფერია... ოოო, რას ვიცინებდი!

– მით უმეტეს! კარგი შანსი გეძლევათ, რომ მონდომებით გაისარჯოთ და ჩემპიონთა ბროლის თასივით ხელში ატატებული ჩამოაბრძანოთ, – ხელქვეითების გასამხნევებლად იხუმრა დავითინიძემ, – თქვენი იმედი მაქვს, გზაში ყურადღებით იყავით!

- ტანსაცმელს გამოვიცვლით და წავალთ, – კარებისაკენ გაემართა კაიშაური.

– თავს გაუფრთხილდით! – მიაძახა მისაღებში გასულ ბიჭებს დავითინიძემ.

საგამოძიებო ჯგუფის წევრებიდან მხოლოდ ირაკლი გაბუნიას არ მიუღია კვინტრაძის ოჯახის მიღება-გადაყვანასთან დაკავშირებული დავალება. პოლკოვნიკმა დავითინიძემ პორტატულ კომპიუტერში მისი მობილური ტელეფონის ნომერი მოძებნა და დაურეკა:

– სად ხარ, ირაკლი?

– საგამოძიებოში, ჯინჭარაძის მკვლელობის აქაურ ვერსიებს ვეცნობი.

– მოდი, ეგ საქმე სხვა დროისათვის გადავდოთ, – სთხოვა დავითინიძემ, – სასწრაფოდ ჩემთან უნდა მოხვიდე!

– პრაქტიკულად დავამთავრე, რაც მაინტერესებდა, გავარკვიე... ოც წუთში თქვენთანა ვარ, ბატონო დავით, – მოახსენა გაბუნიამ.

გაბუნიას მოლოდინში პოლკოვნიკი მოკვლეული მასალების დეტა-

ლებს იხსენებდა და გონებაში იაშვილის „თავგადასავლისა“ და მისი თანმდევი, ცალკეულ ეპიზოდებად დაყოფილი მოვლენების, ერთ მთლიანობად წარმოსახვას ცდილობდა. გარდა ამისა, პოლკოვნიკს კვინტრაძის ოჯახის უსაფრთხოების საკითხი სერიოზულად აწუხებდა და დაგეგმილი „ღონისძიების“ მოსალოდნელ, თუ გაუთვალისწინებელ შედეგებზეც ფიქრობდა.

– შეიძლება? – ოთახში შემოვიდა გაბუნია.

– მოდი, აქ დაჯექი, ირაკლი! – აჭრელებული ფურცლებით სავსე საქაღალდე გვერდზე გასწია დავითინიძემ.

– როგორ ბრძანდებით, „შეფ“, ხომ მშვიდობაა? – სკამზე ჩამოჯდა გაბუნია.

– ყველაფერი კარგადაა, ნუ ღელავ, – გაბუნიას შეშფოთებული და აწითლებული სახის დანახვამ დავითინიძეს ღიმილი მოჰგვარა, მაგრამ თავი შეიკავა და არ შეიმჩნია.

– კიბეებზე სწრაფად ამოვირბინე, – სახეზე ხელები მოისვა გაბუნიამ.

– მერე და რას მორბოდი? – გონს მოსვლის საშუალება მისცა მას დავითინიძემ.

– რა ვიცი, ვიფიქრე: „რამე ხომ არ ხდება?“-მეთქი, – თავი იმართლა გაბუნიამ.

– ხომ გეტყოდი! – რბილად უთხრა დავითინიძემ, – კარგი... სანამ საქმეზე დავილაპარაკებდეთ, იქნებ მოკლედ მითხრა, ჯინჭარაძის მკვლელობის რა ვერსიებს განიხილავენ ჩვენი კოლეგები „საგამოძიებოდან“?

– თვითმკვლელობის ვერსიას „ამუშავებდნენ“, – მხრები აიჩეჩა გაბუნიამ, – რადგან მკვლელობის მოტივი არ გამოიკვეთა, თუმცა ბოლომდე დარწმუნებულები არ არიან და გამოძიება „ჩიხშია შესული“. ჯინჭარაძე „საეჭვო“ კონტაქტებს ერიდებოდა და, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ფაქტია, რომ ბოლო 40 წელი ჯინჭარაძე წესიერი კაცის ცხოვრებით ცხოვრობდა. იქნებ მასზე ასე უდანაშაულო მოხუცების „მსხვერპლად შეწირვამ“ იმოქმედა?

– ვინ იცის, შესაძლოა სინდისი მართლაც ქენჯნიდა... საყვარელზე ეჭვი არ ჰქონიათ?

- საყვარელს ალიბი აქვს... მკვლელობის მომენტში ტოპლუც დაკავებული ჰყავდათ...

– აშკარაა, ჯინჭარაძე კვინტრაძის მაგივრად მოკლეს... „კოსმოსის ამბავი“ რომ დამთავრდება, მასალებს მივაწვდით და საქმეს დახურავენ.

– ალბათ... მაგრამ მაინც საინტერესოა, ვინ მოკლა!

– გამოძიებას რომ დავასრულებთ, ყველაფერი ნათელი გახდება.

– იმედია, – გაიღიმა გაბუნიამ.

– ირაკლი, ძალზე მნიშვნელოვანი დავალება უნდა მოგცე, – ხმადაბლა და დამარცვლით თქვა დავითინიძემ.

– დიახ, ბატონო დავით, – ყურადღება დაძაბა გაბუნიამ.

– ამაღამ გამთენიისას 4 საათზე, ტაშკენტის რეისით თბილისში კვინტრაძის ოჯახობა ჩამოფრინდება. ზედმეტი აჟიოტაჟის თავიდან ასაცილებლად, შენ ჩვეულებრივ სამოქალაქო შესასვლელთან დახვდები. ხომ იცი, ამ დროს და მაგ რეისზე ბევრი მგზავრი არ არის ხოლმე. ვინ და რამდენი კაცი ჩამოდის, ზუსტად არ ვიცით, ყველაფრის ადგილზე გარკვევა მოგიწევს, ამაში მესაზღვრეებიც დაგეხმარებიან. აეროპორტი ისედაც დაცული ტერიტორიაა, მაგრამ სპეცდანიშნულების ქვედანაყოფის ბიჭებიც იქ იქნებიან, თუმცა „გაუშიფრავად“. ოჯახს საზღვარზე გადმოიყვან და ვაშლიჯვარში, სასტუმრო „ოჯახურ სავანეში“ მიიყვან. დეპარტამენტის მიკროავტობუსით წახვალ, 20 კაცი ეტევა. მძღოლს ეტყვი, რომ ჩემს სტუმრებს ხვდებით. გზაში უკან სპეცრაზმის ბიჭები ჩვეულებრივი მსუბუქი მანქანებით შეუმჩნევლად გამოგყვებიან და სასტუმრომდე მიგაცილებენ... გაითვალისწინე, რომ თქვენი ქმედებებით კვინტრაძის ოჯახმა ირგვლივ მყოფთა უყრადღება არ უნდა მიიქციოს! ისიც იცოდე, რომ კვინტრაძე მათთან ერთად არ იქნება, ის ცალკე ჩამოდის. გასაგებია?

– კი, სავსებით. იქ რომელ საათზე უნდა გამოვცხადდე?

– შუაღამისას უკვე იქ იყავი, სიტუაცია აკონტროლე და საჭიროების შემთხვევაში, შემეხმიანე.

– არის! – წასასვლელად მოემზადა ყიფიანი, – ტაბელური იარაღი წავიღო?

– აუცილებლად! რა იცი, რა ხდება?!

– „სტუმრებს“ რომ „დავაბინავებ“, დაგირეკავთ.

– წარმატებები! ფრთხილად იმოქმედე!

***

– ქალბატონო ია, – „სტუმრების ოთახში“ ტელევიზორის წინ სავარძელში მთვლემარე იაშვილს მხარზე ხელი მსუბუქად დაჰკრა ლაბაძემ, – გაიღვიძეთ, ბატონ დავითს თქვენთან საქმე აქვს!

– რა? – უაზრო თვალებით მიაჩერდა ლაბაძეს ახლად გამოღვიძებული იაშვილი.

– დავითინიძე გელოდებათ!

– კი მაგრამ, რა ხდება? – თვალების სრესით წამოდგა იაშვილი.

– წავიდეთ, – კითხვაზე არ უპასუხა ლაბაძემ.

– მოვდივარ, – გაკვირვებულმა ქალმა აჩეჩილი თმა ხელით გაისწორა და ლაბაძეს უკან მიჰყვა, – უკაცრავად, ტელევიზორის ყურებაში ჩამძინებია.

მისაღებში კაიშაური შემოეგებათ:

– ყველაფერი კარგადაა, არ ინერვიულოთ! უბრალოდ პოლკოვნიკს თქვენთან დალაპარაკება და რაღაც-რაღაცეების დაზუსტება სურს. მიბრძანდით, – გაამხნევა დაბნეული იაშვილი და კაბინეტის კარზე მიუთითა კაიშაურმა.

– მართლა? – უნდობლად გაიღიმა და კარი შეაღო იაშვილმა, – მეძახდით, ბატონო პოლკოვნიკო?

– მოგესალმებით, ქალბატონო ია, – შემოტრიალდა ღია ფანჯარასთან მდგომი დავითინიძე, – ადრიანად გაგაღვიძეთ, არა?

– დილა მშვიდობისა, ბატონო დავით! რას ბრძანებთ, უკვე დილის 8 საათია! მზად ვარ თქვენს შეკითხვებს ვუპასუხო!

– ჯერ ბიჭები „დაკითხვების ოთახში“ გაგიყვანენ, „შუშის“ მიღმა მყოფ კაცს დააკვირდებით, აქ დაბრუნდებით და თქვენს აზრს მერე გაგვიზიარებთ.

– ეს რა, ოფიციალური პროცედურაა? – დააზუსტა იაშვილმა.

– დიახ, ამოცნობის, – დაუდასტურა დავითინიძემ.

– მესმის, – თავი დახარა ქალმა.

იაშვილი კაიშაურისა და ლაბაძის თანხლებით „დაკითხვების ოთახში“ შევიდა და სკამზე მშვიდად მჯდომ „ამოსაცნობ ობიექტს“ რამდენიმე წუთს ყურადღებით აკვირდებოდა.

– იქნებ ეს კაცი აალაპარაკოთ და აამოძრაოთ, – მუდარით გადახედა კაიშაურს იაშვილმა, – ჩემს მოსაზრებებს უფრო დაზუსტებით გამოვხატავდი.

– კარგი, პრობლემა არ არი, – გაეცინა კაიშაურს და ლაბაძეს თვალით ანიშნა.

ლაბაძემ ერთჯერად ჭიქაში „ავტომატიდან“ ყავა ჩამოასხა, ასევე ერთჯერად ლამბაქზე დადგა და ოთახის გამოყოფილ მეორე ნახევარში მყოფ „ობიექტთან“ შევიდა.

– აქეთ მობრძანდით და ცხელი ყავა მიირთვით, – შესთავაზა „ობიექტს“ და ლამბაქი იქვე, შესასვლელთან მდებარე მომცრო მაგიდაზე დადგა.

– გმადლობთ, ჩემო ბატონო, ფინჯან ყავას სიამოვნებით მივირთმევდი, – თავაზიანად გაიღიმა „ობიექტმა“, ლაბაძის ოთახიდან გამოსვლის შემდეგ მაგიდასთან მტკიცე ნაბიჯით მივიდა და გამამხნევებელი სითხე

კულტურული ადამიანის დახვეწილი მოძრაობებით შესვა.

– ეს ჭარმაგი კაცი ალეკო კვინტრაძეა, – თავდაჯერებითა და საზეიმო კილოთი გამოაცხადა იაშვილმა.

– დარწმუნებული ხართ, ქალბატონო ია? – ჩაეკითხა კაიშაური.

– უეჭველია!

– კარგი, მაშინ პოლკოვნიკს მოახსენეთ.

– კი ბატონო, წავიდეთ, – თვალს მომდგარი ცრმლი მაქმანებიანი ცხვირსახოცით მოიწმინდა იაშვილმა.

– რატომ ტირით? – შეწუხდა ლაბაძე.

– სიხარულისაგან, – ფართოდ გაიღიმა იაშვილმა, – ჩემი უდანაშაულობა საბოლოოდ დამტკიცდა!

– თქვენს უდანაშაულობაში დიდი ხანია ეჭვი აღარ გვეპარებოდა, – კეთილად შენიშნა კაიშაურმა.

– ვიცი, ვგრძნობდი, მაგრამ... გამოძიებისას მტკიცებულება ყოველთვის საჭიროა!

– მართალია, – დაეთანხმა კაიშაური, – დანარჩენი პოლკოვნიკთან ვისაუბროთ.

ლაბაძე „ობიექტთან“ დარჩა, ხოლო იაშვილი და კაიშაური დავითინიძის კაბინეტში შევიდნენ.

– დაბრძანდით, – სავარძელზე მიუთითა იაშვილს დავითინიძემ, – რა შეგიძლიათ გვითხრათ?

– „ამოსაცნობი ობიექტი“ ნამდვილად ბატონი ალეკო კვინტრაძეა, – დამარცვლით წარმოთქვა ემოციებისაგან დაცლილმა იაშვილმა.

– ამას ასე დაბეჯითებით როგორ ამბობთ, – განცვიფრდა დავითინიძე, – ნუთუ ეჭვი არაფერში შეგპარვიათ?

– რომ შემეპარა, სწორედ იმიტომაც „წამოვახტუნებინე“, – კმაყოფილი სახით განაცხადა იაშვილმა.

– რაა? – ვერ მიუხვდა დავითინიძე.

– ქალბატონმა იამ „ობიექტის“ „ამოძრავება“ და „ალაპარაკება“ მოგვთხოვა, – თავშეკავებული სიცილით განმარტა კაიშაურმა, – ამიტომ ლაბაძემ „ობიექტს“ ცხელი ყავა შეუტანა.

– აჰაა! გასაგებია... მერე? – სერიოზული სახის შენარჩუნებას ცდილობდა პოლკოვნიკი.

– არ ვცდები, ეს კაცი კვინტრაძეა: იგივე მოძრაობები, იგივე ხმა, საუბრის იგივე მანერა, ოღონდ ეს ყველაფერი „ასაკდატყობილი“, რასაკვირველია, – ამტკიცებდა იაშვილი.

– ძალიან კარგი, თუ ასეა, – გაიღიმა დავითინიძემ, – თქვენ წაბრძანდით და დაისვენეთ, ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი საქმე გვაქვს. მოგვიანებით

კვინტრაძეს პირადადაც შეგახვედრებთ, ფორმალურად ერთმანეთი ხომ უნდა ამოიცნოთ.

– გასაგებია, – წამოდგა იაშვილი, – მიხარია, რომ გამოძიება დასასრულისაკენ მიდის.

– მხოლოდ თქვენთან დაკავშირებულ ეპიზოდში... ახლა მთავარია, „კოსმოსელი ბატონებიც“ ვამხილოთ.

– ამას თუ შესძლებთ, გულწრფელად ჩავთვლი, რომ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ინტელექტუალური სპეცსამსახურები საქართველოს ჰყავს!

– ვნახოთ, – ულვაშებში ჩაეცინა დავითინიძეს.

– დროებით, ბატონო პოლკოვნიკო, – კაბინეტიდან გავიდა იაშვილი.

– ავთო, კარგად იცი, რომ შეცდომისაგან თავის დაზღვევის მიზნით, კვინტრაძემ „შემოწმების სრული პროცედურა“ იაშვილივით დეტალურად უნდა გაიაროს... ამიტომ, ამ საქმეს დილიდანვე მიხედე და დღესვე დაამთავრეთ. კვინტრაძეს პასუხების მიღების შემდეგ დავკითხავთ. იცოდე, საჭმელ-სასმელი არ მოაკლდეს.

– დაკითხვამდე მთელი ეს დრო სად უნდა გაატაროს? „დაკითხვების ოთახში“?

– სხვაგან სად წავიყვანოთ? „სტუმრების ოთახში“ იშვილია... დაკითხვისა და იაშვილთან „დაპირისპირების“ შემდეგ, კვინტრაძეს „სტუმრების ოთახში“ გადავიყვანთ, ხოლო ქალს გოგელიასთან „ოჯახურ სავანეში“ დავაბრუნებთ, გამოძიების დასრულებამდე ეს სასტუმრო ასე თუ ისე, დაცული ტერიტორიაა.

– რა საოცარია, არა, ბატონო დავით?

– რა არის ავთო, საოცარი?

– რა და სახელმწიფო დაზვერვა გვქვია და „არამაპროფილებელი მიმართულებით“ ვმუშაობთ, თანაც ორი ისეთი ადამიანის საქმეს ვიძიებთ, რომელთაც დანაშაული არ ჩაუდენიათ!

– გაითვალისწინე, რომ ჯერ კვინტრაძის პიროვნება ბოლომდე დადგენილი არ არის, თანაც მისი არც დამნაშავეობა და არც უდანაშაულობა ჯერ არ დამტკიცებულა!

– კარგით რა, ბატონო დავით, ეს ხომ ფორმალური მხარეა! ორივემ ვიცით, რომ კვინტრაძეცა და იაშვილიც უდანაშაულოები არიან!

– თუ მათ მსხვერპლად თვლი, მაშინ სხვა რა დაგვრჩენია, დამნაშავეები უნდა მოვძებნოთ!

– ეს ადვილი არ იქნება.

– კვინტრაძის ჩვენებას დაველოდთ და ისე ვიმსჯელოთ... ახლა ჯობია დრო არ დავკარგოთ და „ობიექტთან“ იმუშაო.

– გასაგებია, ბატონო პოლკოვნიკო, – კაიშაური დავითინიძის კაბინეტიდან გამოვიდა და „დაკითხვების ოთახისაკენ“ გასწია.

* * *

– როგორა ხარ, ბატონო დავით? – მოულოდნელად დავითინიძის კაბინეტში მომღიმარსახიანი გენერალი ჯაში შემოვიდა, – როცა არ უნდა შემოვიდე, სულ რაღაცას წერ!

– კარგად, უფროსო, შენ როგორ გიკითხო? – შეეგება დავითინიძე, – გამოძიების მასალებზე ვმუშაობ.

– გავიგე, დიდი ამბები „დაგიტრიალებია“!

– ჰო, როგორც შევთანხმდით... მივლინებაში იყავი და „ღონისძიების“ ჩატარების შედეგები პირადად იმიტომაც ვერ მოგახსენე, კონფიდენციალური ინფორმაციაა და ტელეფონზე აღარ ვთქვი.

– კი, კაცო, მივხვდი... აბა, ახლა მითხარი, რა ხდება?

– კვინტრაძე და მისი ოჯახი მშვიდობიანად, ყოველგვარი ექსცესების გარეშე ჩამოვიყვანეთ და უსაფრთხოდ განვათავსეთ.

– ვიცი, მითხრეს... ისე, ეს კვინტრაძე საკმაოდ „გაქექილი“ „ტიპი“ ჩანს, ხო იცი, და თანაც კარგი კონსპირატორია!

– ჰოო, „მაგარი“ ვინმეა! „რაფინირებული ინტელიგენტი“ კი ბრძანდება, მაგრამ თავისი ტყუპისცალის, კრიმინალი ჯინჭარაძის მსგავსად, არც მოხერხებულობა აკლია და არც რისკზე წასვლის უნარი... „უცნაურმა რეტრომანმა“ ეს კაცი ამოიცნო, იგი „შემოწმებისა“ და იაშვილთან ფორმალური „დაპირისპირების“ პროცედურებს დღესვე გაივლის და ხვალ დილიდანვე დავკითხავთ. სალაპარაკო და მოსაყოლი ბევრი ექნება...

– დაკითხვას მე და ლევან აბულაძეც დავესწრებით.

– კი ბატონო, – ხელები გაშალა დავითინიძემ, – როგორც საჭიროდ ჩათვლით!

– საქმეზე ამოღებული ნივთმტკიცებების შესახებ რა ისმის?

– „აიფონისა“ და პირადობის მოწმობის ექსპერტიზამ მათი ნამდვილობა და იაშვილისადმი კუთვნილება დაადასტურა. აი, ექსპერტის დასკვნა, – ჯაშს გამჭვირვალე საქაღალდეში მოთავსებული ფურცლები გაუწოდა დავითინიძემ.

– ამ ქალს „მესიჯები“ მართლა გაუგზავნია... რა გინდა, ძმაო, „რკინის ალიბი“ აქვს და ვერაფერში მოედავები! – დასკვნას თვალი გადაავლო და პოლკოვნიკს უკან დაუბრუნა გენერალმა, – მერე იტყვიან: „ქალებმა მეგობრობა არ იციან“-ო! უყურე შენ იმნაძეს!

– ჰო, იაშვილის უდანაშაულობა ფაქტობრივად, მან დაამტკიცა.

– კვინტრაძეზე რას ფიქრობ?

– ჯერ კონკრეტულს ვერაფერს... შევხედოთ... დაკითხვაზე გამოჩნდება.

– ჩემი წასვლის დროა, – კედლის საათს შეხედა ჯაშმა, – დაკითხვის დაწყება შემატყობინე!

– აუცილებლად, – გენერალი მისაღების ზღურბლამდე მიაცილა დავითინიძემ.

სამუშაო მაგიდასთან დაბრუნებულმა დავითინიძემ კაიშაურს დაურეკა და კვინტრაძის მდგომარეობით დაინტერესდა.

– მას „შემოწმების პროცედურით“ გათვალისწინებული ყველა სახის მანიპულაცია ჩაუტარდა, – დინჯად და საქმის ცოდნით მოახსენა პოლკოვნიკს კაიშაურმა, – ამდენად, იაშვილთან დასაპირისპირებლად და ჩვენების მისაცემად მზად არის, ბატონო პოლკოვნიკო.

– შემოწმების შედეგები როდის გვეცოდინება?

– ხვალ დილის 11 საათისათვის მაგიდაზე გექნებათ.

– კარგი, – კედლის კალენდარზე გამოსახულ პეიზაჟს გახედა დავითინიძემ, – მაშინ კვინტრაძე „დაკითხვების ოთახში“ შეიყვანეთ და იაშვილთან დავაპირისპიროთ.

– ახლავე ვეტყვი ლაბაძეს და იაშვილს ამოიყვანს.

– უთხარი! მათი შეხვედრის სცენას ვერ გამოვტოვებ და მეც მალე შემოგიერთდებით.

ათიოდ წუთში კვინტრაძე ე.წ. „დაკითხვების ოთახში“ დაძაბული სახით მაგიდასთან იჯდა და მოვლენათა განვითარებას მოთმინებით ელოდა. მალე ოთახის კარი იაშვილმა შემოაღო და არეული ნაბიჯებით მაგიდის მოპირდაპირე მხარისაკენ გაემართა. კვინტრაძე შემოსულ ქალს დააკვირდა, იაშვილი იცნო და მაშინათვე ფეხზე წამოდგა:

– ქალბატონო ია, – წამოიძახა გახარებულმა, – გამარჯობა! მიხარია, ჯანმრთელსა და უვნებელს რომ გხედავთ!

იაშვილმა კვინტრაძეს პასუხი ვერ გასცა, რადგან ატირებას აღარაფერი უკლდა, რამდენიმე წამი მხოლოდ წამწამებს აფახულებდა და გაღიმებას უმწეოდ ცდილობდა.

– ვერ მიხსენებთ არა, ქალბატონო ია? – დანანებით თქვა კვინტრაძემ, – რა გასაკვირია, ჩვენი საბედისწერო შეხვედრის შემდეგ ხომ 4 ათეული წელი გავიდა!

– როგორ ვერ გიცანით, ბატონო ალეკო?! გომბორის მთიდან ვერტმფრენით „ახტომისა“ და პირდაპირ „ირმის ნახტომის“ „ხახაში“ „ჩახტომის“ ამბავს რა დამავიწყებდა?! – თავს სძლია და „კალამბური“ ექსპრომტად მოიფიქრა იაშვილმა.

– ისევ ისეთივე მშვენიერი და გონებამახვილი ქალბატონი ბრძანდებით, როგორიც მახსოვდით, – გაეცინა კვინტრაძეს, – ნება მიბოძეთ

ხელზე გემთხვიოთ!

– ხელზე სასულიერო პირებს ემთხვევიან ხოლმე, მე კი სასულიერო პირი არა ვარ, – ინსტინქტურად ხელები ზურგს უკან დამალა იაშვილმა.

– უკაცრავად, – იაშვილის უნებურმა მოძრაობამ კვინტრაძე შეაცბუნა, – უნდა მეთქვა: „გეამბოროთ“-მეთქი.

– გმადლობთ, საჭირო არ არის, ჩათვალეთ, რომ უკვე მეამბორეთ, – უხერხულად შეიშმუშნა იაშვილი და საუბრის თემა შეცვალა, – ლუკა და კატო როგორ არიან? ახლა ალბათ, თვითონ ეყოლებათ მოზრდილი შვილები...

– გმადლობთ, თქვენი წყალობით, ყველანი კარგად არიან, – კეთილად იღიმებოდა იაშვილის საქციელით გაკვირვებული კვინტრაძე, – უკვე 4 შვილიშვილის ბაბუა ვარ!

– ჩემი არა – უფლის წყალობით! ღმერთმა გამრავლოთ!

– ყველაფრისათვის გმადლობთ, ქალბატონო ია, თქვენთან ვალში ვარ და ვეცდები სიკეთე სიკეთით გადაგიხადოთ...

– უკვე გადამიხადეთ – სამშობლოში დამაბრუნეთ... იმ „ვიღაცეების“ კლანჭებიდან თავის დაღწევაში თქვენ დამეხმარეთ, არა?

– ნაწილობრივ, მე ბევრი არაფერი შემეძლო... კოსმოსში თქვენ ხომალდის მეთაურის თანაშემწე ვლადიმერ დობრონრავოვი გმფარველობდათ, იგი ჩემი ძველი მეგობარი იყო და...

– საკმარისია, – კვინტრაძეს სიტყვა შეაწყვეტინა „დაკითხვების ოთახში“ შემოსულმა კაიშაურმა, – გამოძიება რომ დასრულდება, საუბარს შემდეგ შესძლებთ.

– ახლა რატომ არ შეგვიძლია? – ვერ მიხვდა კვინტრაძე.

– იმიტომ, რომ თქვენი ეს შეხვედრა ერთადერთ მიზანს – ერთმანეთის ამოცნობას, ანუ ვინაობის დადასტურებას ემსახურებოდა. სანამ გამოძიება არ დასრულდება, ერთმანეთს ველარ შეხვდებით, ცხადია, თუ ამას საქმის ინტერესები არ მოითხოვს.

– გასაგებია, – ვითარება შეაფასა და მოთხოვნას დაემორჩილა კვინტრაძე.

– ბატონო ალეკო, დღეს კარგად უნდა დაისვენოთ და ხვალინდელი დღისათვის მოემზადოთ. ხვალ დღის 12 საათისათვის დასაკითხავად დაგიბარებენ.

– მინდა მოგახსენოთ, რომ აღსარებისათვის ახლაც მზად ვარ. რახან საქართველომდე ჩამოვაღწიე, აღარ მეშინია! ვიცი, რომ ეს 50 წლის წინანდელი საქართველო არ არის, როდესაც ჩვენს ტერიტორიაზე უცხოეთის ყველა სპეცსამსახური თავისუფლად მოქმედებდა. დღეს საქართველოს დამოუკიდებლად ძალუძს დაიცვას ქვეყნის ეროვნული ინტერესები და საკუთარი მოქალაქეების კანონიერი უფლებები. ვიცი,

რომ სადღაც უცხოეთში გარიყულს კი არ ამომძვრება სული, არამედ მშობლიურ, თბილ და ტკბილ მიწაში არხეინად ჩავესვენები!

– ნუ ღელავთ, ყველაფერი მოგვარდება... წამობრძანდით, ქალბატონო, – კაიშაურმა გაოგნებულ იაშვილს ხელმკლავი გაუყარა და ოთახიდან ძალდატანებით გამოიყვანა.

– მესმის, რომ თქვენს „თავგადასავალთან“ დაკავშირებული დეტალები ძალიან გაინტერესებთ, – მიმართა „დაკითხვების ოთახიდან“ გამოსულ იაშვილს დავითინიძემ, – არ გეწყინოთ, მაგრამ ცოტა ხნით მოცდა კიდევ მოგიწევთ... გპირდებით, გამოძიება როგორც კი დასრულდება, მთელ „ისტორიას“ დაწვრილებით პირადად მოგიყვებით!

– „სიტყვაზე გიჭერთ“ და თქვენს დანაპირებს კარგად დავიმახსოვრებ, ბატონო პოლკოვნიკო, – ნაძალადევად გაიღიმა აცრემლებულმა იაშვილმა, – ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ ხომალდის მეთაურის თანაშემწე, ვინმე ვლადიმერ დობრონრავოვი ჩემი მფარველი იქნებოდა! ყოველთვის მეგონა, რომ ვაღიზიანებდი და ვერიდებოდი ხოლმე.

– ასე სპეციალურად მოიქცეოდა, სხვანაირად ხომ „გაიშიფრებოდა“?

– მართალს ბრძანებთ, – ცრემლები მოიწმინდა იაშვილმა.

– ახლა დაისვენეთ, – დაყვავებით უთხრა ქალს დავითინიძემ.

– ნახვამდის, – „სტუმრების ოთახისაკენ“ გაეშურა იაშვილი.

– ნახვამდის, ქალბატონო ია, – საკუთარი კაბინეტისაკენ გაემართა დავითინიძე.

მეორე დილით პოლკოვნიკი დავით დავითინიძე გენერალ გიორგი ჯაშს შიდაუწყებრივი ტელეფონით მხნედ და შემართებით ესაუბრებოდა:

– „შემოწმების“ მასალებს გავეცანი, კვინტრაძის პიროვნება იდენტიფიცირებული და შესწავლილია... იგი ფიზიკურად თავს კარგად გრძნობს და ჩვენების მოსაცემად მზად არის, ამიტომ დაკითხვას 30 წუთში, 12 საათზე შევუდგებით. დაკითხვას პირადად ვაწარმოებ, ბიჭები არ გამოჩნდებიან და „შუშის“ უკან განთავსდებიან.

– მაგ დროისათვის მე და ლევანიც მანდ ვიქნებით, უჩვენოდ არ დაიწყო.

– გასაგებია, დაგელოდებით, – დავითინიძემ ყურმილი დაკიდა და ტელეფონი მისთვის განკუთვნილ ადგილზე დააბრუნა.

უშუალო ხელმძღვანელთან საუბრის დამთავრების შემდეგ, დავითინიძე კვინტრაძის „აღსარების“ მოსასმენად ემზადებოდა: მან სქელტანიანი საქაღალდიდან იაშვილის ჩვენება ამოიღო და დარჩენილი ნახევარი საათი ქალის მონათხრობის მეხსიერებაში აღდგენასა და გააზრებას მოანდომა, რათა შემდგომში კვინტრაძის ჩვენებასთან შეეჯერებინა.

ნაწილი IV. აღსრულებული მისია

თავი I. მთავარი მოწმის ჩვენება

– მე გახლავართ ასტროფიზიკოსი ალექსანდრე (ალეკო) ალექსანდრეს ძე კვინტრაძე, 65 წლის, თბილისელი კაცი, – საკუთარი ბიოგრაფიის მოყოლას შეუდგა კვინტრაძე. – სამწუხროდ, ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, 40 წელიწადია სამშობლოში არ ვყოფილვარ, თუმცა მსოფლიო შემოვიარე, ძირითადად კი ამერიკის შეერთებულ შტატებში ვცხოვრობდი... მინდა ყველაფერი „დალაგებულად" გიამბოთ, მაგრამ მაპატიეთ, მიჭირს... მძიმე ცხოვრება გამოვიარე და არ ვიცი როგორ მოვყვე...

– არ ინერვიულოთ, მეც დაგეხმარებით, – გაამხნევა დავითინიძემ კვინტრაძე.

– დიახ... დედ-მამა ჩვილობის ასაკში გარდამეცვალა და მამის მშობლებმა გამზარდეს. დავამთავრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შემდეგ ოქსფორდშიც ვსწავლობდი და ბრიტანეთში დარჩენას მთავაზობდნენ... თავის ქებაში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ კოსმოლოგიის დარგში დიდ სამეცნიერო მომავალს მიწინასწარმეტყველებდნენ, მეუბნებოდნენ, რომ მაქვს მკვლევარი-მეცნიერისა და თეორეტიკოსისათვის საჭირო უნიკალური ნიჭი, რომელიც კაცობრიობას უნდა მოვახმარო... დიდ მატერიალურ სიკეთეებს მპირდებოდნენ, მაგრამ მე სამშობლოს გარეშე არსებობა ვერ წარმომედგინა და უარი ვთქვი, რადგან ვფიქრობდი, რომ მეცნიერების განვითარებას აქედანაც მშვენივრად შევძლებდი... ბედის ირონიით, ემიგრაცია არ ამცდა და აკი მოგახსენეთ, 40 წელიწადია ნოსტალგიას ვებრძოდი... ინგლისიდან საქართველოში დავბრუნდი და 2009 წელს მუშაობა აბასთუმნის ობსერვატორიაში დავიწყე. ოჯახს ადრეულ ასაკში მოვეკიდე და 2011 წლისათვის უკვე 3 შვილი მყავდა. ჩვეულებრივი მოქალაქის ცხოვრებით ვცხოვრობდი და მიუხედავად ქვეყანაში არსებული რთული ვითარებისა, თავს ბედნიერად ვგრძნობდი: მყავდა მოსიყვარულე და ერთგული მეუღლე, ირმა იანტბელიძე, სამი შესანიშნავი პატარა და საყვარელ საქმეს ვემსახურებოდი, ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის სერიოზულ აღმოჩენებზე ვოცნებობდი და თავდაუზოგავად ვშრომობდი. მატერიალურად არ გვიჭირდა, ყველანი ჯანმრთელები ვიყავით და სხვა რაღა უნდა მდომოდა?

ოქსფორდში სწავლისას ბევრი უცხოელი ახალგაზრდა მეგობარი შევიძინე, რომლებიც შემდგომ წარმატებული და ცნობილი ადამიანები

გახდნენ მეცნიერების, ხელოვნების, ბიზნესისა და პოლიტიკის დარგში. ზოგიერთ მათგანთან, განსაკუთრებით ჩემი პროფესიის ხალხთან, ურთიერთობა დღემდე არ გამიწყვეტია... უცხოელი მეგობრები და კოლეგები ხშირად მსტუმრობდნენ ხოლმე: ზოგჯერ დასასვენებლად, ზოგჯერ კი – საქმეზე...

სამწუხაროდ, ჩემმა ბედნიერებამ დიდხანს ვერ გასტანა... მახსოვს, 2011 წლის ზაფხული იდგა... აეროპორტში ჩემს კოლეგებს, მათ შორის ვლადიმერ დობრონრავოვს ვაცილებდი, როდესაც გოლიათური აღნაგობის ვიღაც ჩემთვის უცნობმა უცხოელმა სუბიექტმა რაღაც ფულის დაბრუნება რუსულად მომთხოვა. მე მანქანით ვიყავი და გაცლა მოვასწარი, მეგონა გაუგებრობა მოხდა და ინციდენტი ამოწურულად ჩავთვალე, მაგრამ შემდეგ ის „ტიპი“ სახლშიც მომივარდა და ოჯახის ამოხოცვით დამემუქრა. გამაფრთხილა, პოლიციისათვის არ მიმემართა, თორემ ვერ გადავურჩებოდით...

ჩემი კოლეგა და ძველი მეგობარი ვლადიმერი თბილისში სპეციალურად იყო ჩამოსული, რათა ჩემთვის უცხოეთში მოღვაწე ნოვატორ-მეცნიერთა შემოთავაზება გადმოეცა. ისინი მითვლიდნენ, რომ ერთ-ერთმა ამერიკელმა მეცნიერმა, რომლის ვინაობასაც მკაცრად ასაიდუმლოებდნენ და პირობითად ჯონსონად მოიხსენიებდნენ (მე წლების შემდეგ გავიგე, რომ მისი ნამდვილი სახელი და გვარია პიტერ საიმონ ბრაუნი, სხვათა შორის, ია იაშვილი მას იცნობს, იგი კოსმოსური ხომალდის მეთაური იყო), იმდენად სენსაციური აღმოჩენა გააკეთა, რომელიც კაცობრიობის არა მხოლოდ აწმყოს, არამედ მომავალსაც კი ძირფესვიანად შეცვლიდა. კოლეგები პატივს მდებდნენ და კოსმოსური ექსპერიმენტის ჩატარებაში მონაწილეობას მთავაზობდნენ.

მე ბრმად ვერ დავთანხმდებოდი, საკითხში გარკვევა მინდოდა და დეტალებით დავინტერესდი. ვლადიმერმა მიპასუხა, რომ იგი მხოლოდ, ასე ვთქვად, „ელჩის“ მოვალეობას ასრულებდა და ჩემთვის დამატებით სხვა ინფორმაციის მოწოდების უფლებამოსილება არ ჰქონდა, ამიტომ ამერიკაში დაბრუნების შემდეგ შემოთავაზების „ავტორებს“ ჩემს მოთხოვნას მოახსენებდა და მათ გადაწყვეტილებასაც მაცნობებდა...

ზემოაღნიშნულ „ტიპს“ სწორედ მაშინ გადავეყარეთ, როდესაც დობრონრავოვსა და კიდევ სამ ჩემს უცხოელ კოლეგას ვაცილებდი. ვლადიმერმა მის შესახებ მკითხა და მეც ვუპასუხე, რომ „იმ გადარეულს ვიღაცაში შევეშალე“-მეთქი.

თავი რომ არ შეგაწყინოთ, მოკლედ გეტყვით, რომ მთელი ზაფხული და სექტემბერი მუქარის ანონიმურ წერილებს ვღებულობდი, ვიღაცეები ტელეფონის სხვადასხვა ნომრებიდან მე და ჩემს მეუღლეს რიგრიგობით

გვირეკავდნენ და ბავშვების სიცოცხლით გვაშანტაჟებდნენ. დაცვა და კერძო დეტექტივი ავიყვანე, მაგრამ უშედეგოდ... ფულის გადახდაზეც კი უკვე თანახმა ვიყავი, მაგრამ ისინი არ ჩქარობდნენ და ჩემს ნერვებზე თამაშს განაგრძობდნენ: მირეკავდნენ, მემუქრებოდნენ, საფოსტო ყუთში უხამს წერილებს მიყრიდნენ, დაუფარავად დამცინოდნენ და აბუჩად მიგდებდნენ... დამალვაც კი ვცადე, ცოლ-შვილით პრაღაში გავემგზავრე, მაგრამ იქაც მომაგნეს. მივხვდი, რომ მათ ხელიდან ვერ დავუსხლტებოდი და ისევ თბილისში დაბრუნება გადავწყვიტე. არ ვიცოდი როგორ და რითი დამეცვა ოჯახი და ეკლესიაში სიარულს მოვუხშირე, კვირაობით წირვას მთელი ოჯახით ვესწრებოდით ხოლმე... მე იმ პერიოდში ძალიან დაძაბული და განერვიულებული ვიყავი, საფრთხის მეშინოდა და მხოლოდ მამაკაცებს ვაკვირდებოდი, შეიძლება ამიტომაც ქალბატონი ია იაშვილი არც ტაძარში და არც ეკლესიის ეზოში არ შემინიშნავს, მაგრამ ჩვენდა საბედნიეროდ, მან შეგვამჩნია და კარგადაც დაგვიმახსოვრა.

სექტემბრის ბოლოს ვლადიმერმა დამირეკა და თბილისში ორდღიანი საქმიანი ვიზიტის შესახებ მაცნობა, მთხოვა მის სანახავად სასტუმრო „რედისონში“ მივსულიყავი. მეც, რა თქმა უნდა, წავედი.

– ცუდად გამოიყურები, – მისალმებისა და ოჯახობის მოკითხვის შემდეგ მითხრა დობრონრავოვმა, – რა ხდება, პრობლემები გაქვს?

მე თავი ველარ შევიკავე და ჩემს ძველ მეგობარს, რომელსაც წესიერ და ჰუმანურ ადამიანად ვიცნობდი, გული გადავუშალე და ყველაფერი წვრილად მოვუყევი.

– აღარ ვიცი რა მოვიმოქმედო, ჩემს შვილებს მართლა რამე რომ დაუშავდეთ, მეუღლეს თვალებში როგორ უნდა შევხედო, ანდა მე თვითონ როგორღა უნდა ვიცოცხლო? – შევჩივლე გამწარებულმა, – პოლიციას უნდა მივმართო!

– პოლიცია რას გიშველის, – იმედი გადამიწურა დობრონრავოვმა, – მაინც მოგაგნებენ და შურს იძიებენ... მაგრამ გამოსავალი არსებობს, – მშვიდად განაცხადა მან.

– რა გამოსავალი? – მყისვე დავინტერესდი.

– რა და ექსპერიმენტში მონაწილეობა! საქართველოდან ამერიკაში ოჯახთან ერთად წახვალ, უდიდესი სამეცნიერო აღმოჩენების თანაზიარი გახდები, შენს ინტელექტსა და ნიჭს ფუჭად არ გაფლანგავ და, რაც მთავარია, უსაფრთხოდ იქნებით...

– ასე გგონია? – ვკითხე გონებადაბინდულმა.

– რა თქმა უნდა! სხვა გამოსავალი უბრალოდ არ გაქვს, – დარწმუნებით მითხრა დობრონრავოვმა.

– კარგი, თანახმა ვარ... მაგრამ ის მაინც მითხარი, რა ექსპერიმენტზეა საუბარი, – ვთხოვე ოდნავ დამშვიდებულმა.

– კონკრეტულად არც მე ვიცი, – მზერა ამარიდა ვლადიმერმა, – ადგილზე განგვიმარტავენ.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, ექსპერიმენტში მონაწილეობას დავთანხმდი და საქართველოდან საიდუმლოდ გასამგზავრებლად სამზადისი დავიწყე. ნათესავებმა და მეგობრებმა არაფერი იცოდნენ... ჩემი ნაბოლარა ქალიშვილი მარიამი, მაშინ სულ თოთო იყო და ბავშვს სახიფათო „მოგზაურობაში“ თან ვერ წავიყვანდით, მე და ჩემი მეუღლე იძულებული გავხდით იგი დროებით ჩემი შორეული ნათესავებისათვის, გოგელიების ოჯახისათვის (ოჯახის დედა ანა ბიგვავა, ჩემი ბიძის ცოლის რძლის დისშვილი იყო) საქართველოდან გამგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე, საიდუმლოდ მიგვებარებინა. იმედი მქონდა, შანტაჟისტები ასე შორეულ ნათესავებს ვერ მისწვდებოდნენ... ამ ოჯახისა და ჩემი მარიამის, იგივე რიმა გოგელიას „ისტორია“ თქვენ უკვე მოგეხსენებათ, ჩემს გოგონასთან ურთიერთობას თუ როგორ ვახერხებდი, ესეც გეცოდინებათ, ხოლო ქალბატონ იას გომბორის მთაზე რატომ და რა ვითარებაში შევხვდი, იმედია, თვითონ მოგიყვებოდათ...

მინდა გითხრათ, რომ გამგზავრებაში დობრონრავოვი და მისი ნაცნობი „კეთილისმყოფელები“ მეხმარებოდნენ, ვერტმფრენიც მათ დაიქირავეს.

– შვილი ამერიკაში რატომ აღარ წაიყვანეთ? – ჩაეკითხა პოლკოვნიკი კვინტრაძეს.

– მეუღლე ცოცხალი აღარ იყო, მე ბევრს ვმუშაობდი და დრო პრაქტიკულად არ მრჩებოდა, ხელზე ისედაც ორი მცირეწლოვანი პატარა მყავდა, – სევდიანად განმარტა კვინტრაძემ, – ბავშვს საფრთხე რომ არ შექმნოდა, იძულებული გავხდი გამეშვილებინა, თანაც მინდოდა ერთი შვილი მაინც ქართულ გარემოში, ქართული ცნობიერებით აღზრდილიყო.

– თქვენი მეუღლე როდის გარდაიცვალა?

– ჩემი მეუღლე სწორედ ამერიკაში გამგზავრების წინ ტრაგიკულად დაიღუპა, – ამოიოხრა კვინტრაძემ, – ირმას შესახებ ვლადიმერს ბათუმში შეატყობინეს, მან კი მე მითხრა, რომ „შანტაჟისტებმა“ მანქანა დააჯახეს... ბავშვების წამოსაყვანად საბავშვო ბაღში ამიტომაც ვერ მივიდა.

– თქვენი ოჯახისა და ნათესავების შესახებ სხვა რისი თქმა შეგიძლიათ, – კვინტრაძისა და ჯინჭარაძის ურთიერთკავშირის გარკვევა სურდა დავითინიძეს.

– რა ვიცი, – ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ მხრები აიჩეჩა კვინტრაძემ, – მნიშვნელოვანი და თქვენთვის საინტერესო ალბათ, არაფრის...

– კარგი... შემდეგ რა მოხდა?

– ქალბატონ იასთან განშორების შემდეგ ვერტმფრენი ბათუმის აეროპორტში დაჯდა, იქ დობრონრავოვი მელოდა და ჩემს ტყუპებთან ერთად „თურქეთის ავიახაზების“ თვითმფრინავით ნიუ-იორკში გადავფრინდით.

– და მიუხედავად მეუღლის დაღუპვისა, ნიუ-იორკში მაინც გაფრინდით?

– დობრონრავოვმა არ გამომიშვა, „თბილისში შენც რომ მოგკლან, ბავშვებს რა ეშველებათ“-ო, შემაფიქრიანა.

– და თქვენც დაუჯერეთ? რატომ პოლიციას არ მიმართეთ? აზრად არ მოგსვლიათ, გაგერკვიათ, ვინ და რატომ მოკლა თქვენი მეუღლე, იქნებ „შანტაჟისტებს“ არ მოუკლავთ? ან ეს „შანტაჟისტები“ რას გერჩოდნენ ასეთს? თქვენ ხომ არავისი ფული არ მიგითვისებიათ? იქნებ არ ამბობთ და ვინმეს რამე დაუშავეთ?

– არა, არა, რას ბრძანებთ?! – გაფითრდა კვინტრაძე, – ვისთვის რა უნდა დამეშავებინა? მაშინ ბავშვების გამო, ძალიან შევშინდი, იმ გოლიათი „გორილის“ და მის უკან მდგომი ხალხის მეშინოდა... შემდგომში კი ცხადია, მე და ვლადიმერი ჩემი ირმას დაღუპვის ამბის გარკვევას შევეცადეთ, მაგრამ ვერაფერს გავხდით, რათა სამშობლოსთან პირადი კავშირები პრაქტიკულად გაწყვეტილი მქონდა, ქართველ სამართალდამცავებს კი ვერ მივმართე, ნათესავებზე შურისძიებას მოვერიდე... მოგვიანებით, წლების განმავლობაში მომხდარი მრავალი ფაქტისა და მოვლენის ანალიზის შედეგად გავიაზრე, რაც მოხდა... ირმა მოკლეს, რათა მას სამშობლოში დაბრუნებაში არ დავერწმუნებინე... ის „შანტაჟი“ კი მხოლოდ სპექტაკლი იყო და მეტი არაფერი... დამაშინეს და საზღვარგარეთ სამუდამოდ დასარჩენად გამიტყუეს... ჩემი გონებრივი შესაძლებლობები გამოიყენეს! მე ერთი გამოუცდელი, მეოცნებე ახალგაზრდა ბიჭი ვიყავი და ილუზიებს ავყევი, მეცნიერული „აღმოჩენების“ თაობაზე მაღალფარდოვანი მსჯელობებით ადვილად „შემაბეს“... კოსმოსური ფრენების კორპორაცია CFC-ში კოსმოლოგიის, ასტროფიზიკისა და კოსმოსური ნავიგაციის საკითხებში ექსპერტ-კონსულტანტის მაღალანაზღაურებად თანამდებობაზე ამიყვანეს და მთელი ეს წლები იქ ვმუშაობდი, მეგონა კაცობრიობისათვის სასარგებლო და საშურ საქმეს ვემსახურებოდი...

– ერთი წუთით, – თხრობა შეაწყვეტინა კვინტრაძეს დავითინიძემ, – დავაზუსტოთ... ანუ, დობრონრავოვმა თქვენი მეუღლის მკვლელო-

ბის ამბავი იცოდა, მაგრამ ამერიკაში, როგორც თქვენ ამბობთ, მაინც „გაგიტყუათ“?

– არა, არა, – მეგობრის გულწრფელობაში ეჭვი არ შეჰპარვია კვინტრაძეს, – ვლადმა არაფერი იცოდა, მას მარიამიც დაღუპული ეგონა და მე არ გადამირწმუნებია... იგი უბრალოდ მეხმარებოდა... მართალია ექსპერიმენტის ხელმძღვანელ, ბატონ ვუდპეკერზე და მის გარემოცვაზე ვლადს დიდი გავლენა ჰქონდა, მაგრამ დობრონრავოვსაც და ჯონსონსაც ჩემსავით იყენებდნენ! ვლადიმერი წარმოშობით რუსი იყო, ქალაქ სუზდალიდან, პროვინციული ისტორიული ქალაქია... ჯონსონი კი ამერიკელი, მაიამიდან... ორივენი ასტროფიზიკოსები იყვნენ, პირადად იცნობდნენ სტივენ ჰოუკინგს და მის იდეებსაც იზიარებდნენ. ჯონსონი და დობრონრავოვი მეგობრობდნენ, მათ დიდ წარმატებებს მიაღწიეს მეცნიერების ისეთ დარგებში, როგორიცაა კოსმოლოგია და კვანტური გრავიტაცია. სამწუხაროდ, ორივე მოკლეს... ჯონსონი იმის გამო, რომ ხომალდი დედამიწაზე დააბრუნა, ხოლო ვლადი – ია იაშვილის საქართველოში ჩამოყვანისათვის... მეც მომკლავდნენ, მაგრამ ვლადიმერი დამეხმარა... აი, მისი ხელით დაწერილი ბარათი, – კვინტრაძემ დავითინიძის თვალწინ საზაფხულო კოსტიუმის სარჩული მარჯვენა ქვედა ჯიბის კიდესთან თითების სწრაფი მოძრაობით გაარღვია, ქსოვილებს შორის დამალული მომცრო ზომის, თეთრი ე.წ. „მისაწებებელი ქაღალდით“ დალუქული კვერცხისგულისფერი კონვერტი გამოაძვრინა და დავითინიძეს ხელის კანკალით გაუწოდა. პოლკოვნიკმა კვინტრაძეს კონვერტი ჩამოართვა.

– ეს მისი უკანასკნელი აღსარებაა, – სევდიანად თქვა კვინტრაძემ, – ბარათი რამდენიმე დღის წინ, მაიამიში, ჩვენი ბოლო შეხვედრის დროს საიდუმლოდ გადმომცა და მითხრა: „ჯონსონი მოკლეს... მე ვიმალები, ვუდპეკერის ხალხი მეძებს. თუ მომკლეს, შენც და იაშვილსაც მოგკლავენ... სხვაგან წასასვლელი არა გაქვს, სამშობლოში დაბრუნდი და ყველანაირად ეცადე ეს კონვერტი საქართველოს სპეცსამსახურებთან მოხვდეს. წერილი ერთ ეგზემპლარად, ხელითაა დაწერილი და ძალზედ მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს“-ო... ისე, ვუდპეკერს იაც უნდა იცნობდეს... მე და დობრონრავოვი სალონიკში დათქმულ დროსა და ადგილას უნდა შევხვედროდით. თუ ვლადიმერი არ მოვიდოდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ ისიც მოკლეს, ამიტომ მე სასწრაფოდ საქართველოში უნდა წამოვსულიყავი და სიტუაციისდა მიხედვით მემოქმედა... ვლადიმერის რჩევითა და დახმარებით, სალონიკში წამოსვლამდე ორი დღით ადრე, ყველას თვალის ასახვევად, ოჯახობა ვითომ ერთი თვით ევროპაში სამოგზაუროდ გამოვუშვი. კვალის ასაბნევად, ისინი გადანაწილდნენ

და ზოგი ბარსელონაში წავიდა, ზოგიც ბრიუსელში, შემდეგ ყველანი ტაშკენტში გადაფრინდნენ და იქიდან თბილისში გამოემგზავრნენ. მე კი საბერძნეთში მარიამთან შესახვედრად წამოვედი, ვიცოდი, რომ ჩემი ქალიშვილი ათენში სამსახურებრივი მივლინებით იმყოფებოდა, მას სალონიკში შევხვდი, საქართველოში ჩემი ოჯახის დაბრუნების შესახებ თქვენი უწყებისათვის მომართვის დავალება მივეცი, შემდეგ რაც მოხდა, იცით...

– სანამ ბარათს წავიკითხავდეთ, იქნებ განმარტოთ, თქვენს ინტელექტს ვინ იყენებდა? თქვენის აზრით, ვინ იყვნენ და რას წარმოადგენდნენ ე.წ. „ნოვატორი მეცნიერები“, ან ის ხალხი, ვინც თქვენზე და თქვენს მეგობრებზე ასე მბრძანებლობდა და მათთვის „არასასურველ“ ადამიანებს დაუსჯელად კლავდა? და ისიც მაინტერესებს, რატომ მომართეთ მაინცდამაინც დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტს და არა გამოძიების ეროვნულ ბიუროს, ან კრიმინალურ პოლიციას?

– მე ბევრი არაფერი ვიცი, კორპორაციის ხელმძღვანელობიდან მხოლოდ ვუდპეკერთან მქონდა შეხება, ტექნიკურ პერსონალთან ვთანამშრომლობდი და ჩემს, წმინდა მეცნიერულ საქმეს ვაკეთებდი. ვლადმა კი „ბევრი იცოდა“. მახსოვს, ერთხელ წამოსცდა კიდეც: „ეს ნაძირალები ჩვენს ტვინებს იყენებენ“-ო... მოგეხსენებათ, „კოსმოსური საკითხები“ მკაცრად გასაიდუმლოებულია, ამიტომ ვლადი ჩემივე სიმშვიდისათვის არაფერს მეუბნებოდა, მეც არ ვეკითხებოდი... ყველაფერი ამ წერილში იქნება, – ივარაუდა კვინტრაძემ. – რაც შეეხება თქვენდამი მომართვას, ვლადისაგან ვიცოდი, რომ ია იაშვილი თქვენთან იმყოფებოდა და ლოგიკურია, რომ დახმარების სათხოვნელად თქვენს დეპარტამენტს მოვაშურე.

– ვლადმა სხვა რა გითხრათ?

– ქალბატონ იას ადამიანურად დიდ პატივს სცემდა. მახსოვს კოსმოსიდან დაბრუნების შემდეგ მითხრა: „არ მეგონა, ქართველი ქალები ასეთი გაბედულები, გონიერები და ერთგულები თუ იქნებოდნენ... ია ძალიან ნიჭიერი ქალია, პოლიციელი რომ არ ყოფილიყო და მეცნიერებისათვის მოეკიდა ხელი, დიდ სიმაღლეებს მიაღწევდა“-ო. ჩვენი ბოლო შეხვედრისას მან ასევე მაცნობა, რომ იაშვილი პოლიციის მაიორია, მაღალ თანამდებობებზეა ნამუშევარი და პროფესიონალია... „ალექს, იაშვილი „კერკეტი კაკალია“, არ გაჩერდება, საქმეს ბოლომდე მიიყვანს და იცის ამისათვის თავის ქვეყანაში ვის მიმართოს, შენც მის მაგალითს მიბაძე და დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტს მიაკითხე“-ო მირჩია.

– კი, მაგრამ ეს ინფორმაცია საიდან ჰქონდა?

– არ ვიცი... იქნებ იაშვილმა კოსმოსში ყოფნისას თვითონ უთხრა!

– როგორც ჩანს, ვლადიმერს თვალდახუჭული ენდობოდით?!

– ვლადიმერი შინაგანი კონსტიტუციით ყოვლად დადებითი და კეთილშობილი პიროვნება იყო, ყოველ შემთხვევაში, მე ყოველთვის უანგაროდ მეხმარებოდა, ცხადია, მეც ვალში არა ვრჩებოდი, ძმებივით ვიყავით... ჩვენ ერთმანეთს ოქსფორდში შევხვდით და თითქმის გაცნობისთანავე დავახლოვდით, რადგან ორივენი თანატოლები, აღმსარებლობით მართლმადიდებელნი და ობლობაში გაზრდილები ვიყავით... დობრონრავოვი უპატრონო ბავშვთა სახლში გაიზარდა, მშობლები არ ახსოვდა, ახლო ნათესავებიც არ ჰყავდა. გამორჩეულად ნიჭიერი ბიჭი იყო, სკოლაში წარჩინებით სწავლობდა და წახალისებისა და ინგლისური ენის ცოდნის გაღრმავების მიზნით, რუსეთის განათლების სამინისტრომ ერთი წლით ლონდონის ერთ-ერთ პრესტიჟულ კოლეჯში გაგზავნა... სრულწლოვანი რომ გახდა, ვლადი ამერიკაში ბედის საძებნელად წავიდა, რადგან რუსეთში არავინ და არაფერი აკავებდა. რამდენიმე წელი თავს მძიმე ფიზიკური შრომით ირჩენდა, არანაირ სამუშაოს არ თაკილობდა და მოკრძალებულად ცხოვრობდა – თანხას ზოგავდა. თავისუფალ დროს ბიბლიოთეკებსა და ინტერნეტ-კაფეებში ატარებდა – ცოდნას იღრმავებდა, მეგობრების შეძენას ცდილობდა და მასაჩუსეტსის ტექნოლიგიურ უნივერსიტეტში სწავლაზე ოცნებობდა.

სწორედ ნიუ-იორკის ერთ-ერთ ბიბლიოთეკაში გაიცნო ვლადმა ბატონი ფრედერიკ ბრაიან რიდლი, ყველასათვის ცნობილი მეტსახელით „ვუდპეკერი“, ანუ „კოდალა“, რომელიც დიდი ცხვირის გამო, ჯერ კიდევ ბავშვობაში შეარქვეს... რიდლი იყო ახალგაზრდა, პერსპექტიული მეცნიერი, რომელსაც სამეცნიერო წრეებში დაუდგრომელ „ტიპად“ და ახალი იდეების „გენერატორად“ იცნობდნენ... ვუდპეკერი მუდმივად ახლის „აღმოჩენაში“ იყო, საკუთარი სამეცნიერო სკოლის შექმნის ამბიცია აწუხებდა და თანამოაზრეებსა და მომხრეებს ეძებდა. იგი უმაღლეს სასწავლებლებსა და ბიბლიოთეკებში დადიოდა და ახალგაზრდებს აკვირდებოდა. ვლადს რამდენჯერმე გაესაუბრა, როგორც იტყვიან, მისეული „ხედვები“ მოეწონა და ოქსფორდის უნივერსიტეტში სწავლის დაფინანსება, პარალელურად კორპორაცია CFC-ში დასაქმება, სოლიდური ხელფასი და საკუთარ „გუნდში“ ადგილის დამკვიდრება შესთავაზა. სანაცვლოდ დობრონრავოვს მთელი სიცოცხლე მხოლოდ ვუდპეკერისათვის უნდა ემუშავა, საკუთარი სამეცნიერო შრომების თანაავტორადაც უნდა მოეხსენიებინა და ამ კაცის ყველა წამოწყებაში მისი მხარდამჭერი და ძაღლივით ერთგული უნდა ყოფილიყო... სწავლას მოწყურებული, სამეცნიერო მოღვაწეობის პერსპექტივით მოხიბლული, უთვისტომო, მარტოსული და მიუსაფარი ყმაწვილი „მაცდურ“ წინა-

დადებას სიხარულით დათანხმდა... ვლადმა თავისი ბიოგრაფია თვითონვე მომიყვა...

– გამოდის, რომ ამ თქვენს რიდლის დობრონრავოვი ფაქტობრივად თავის „ყურმოჭრილ ყმად“ გაუხდია! სიმართლე გითხრათ, ეს ვუდპეკერი საეჭვო „ტიპი“ ჩანს.

– სამწუხაროდ, უნდა დაგეთანხმოთ... მართალია, ვუდი უჭკვიანესი ადამიანია, კარგი ორგანიზატორიც, დიდი მოაზროვნეცა და მეცნიერიც, მაგრამ გაიძვერა, შურიანი, ბოროტი და მეწვრილმანე კაცია, თუმცა საკუთარი ემოციებისა და საქციელის მართვა შესანიშნავად შეუძლია და თავისი ამ უარყოფითი თვისებების შენიღბვას თითქმის ყოველთვის წარმატებით ახერხებს... მე წლებია ვიცნობ და მივხვდი, რასაც წარმოადგენს.

– გასაგებია... და ეს ჯონსონი, იგივე ბრაუნი რაღას წარმოადგენდა?

– ჯონსონის შესახებ ბევრი არც არაფერი ვიცი... გეტყვით მხოლოდ იმას, რომ ამ კაცმა ისტორიული მნიშვნელობის სენსაცია მოახდინა – ხომალდზე ხელოვნური გრავიტაციის შექმნა შესძლო და მეთაურადაც ამიტომ დაინიშნა... პიროვნულად მშვიდი, გაწონასწორებული, უწყინარი და კეთილი კაცი იყო, თუმცა ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა, კონტაქტში თითქმის არ შემოდიოდა, სულ დუმდა და თავისთვის რაღაცას ფიქრობდა...

– დობრონრავოვი იაშვილს რატომ მფარველობდა? რა მოტივი უნდა ჰქონოდა?

– მე ვთხოვე და იმიტომ, – დაბეჯითებით განაცხადა კვინტრაძემ.

– რატომ სთხოვეთ? იაშვილმა ხომ მოგატყუათ და თავი თქვენს მეუღლედ გაასაღა?

– მართალია, მაგრამ ლუკა და კატო გადამირჩინა! ხომ შეიძლებოდა ირმასათვის შვილებიც თან მიეყოლებინათ? იამ ისინი მე მომიყვანა და ამით დიდ „ხათაბალაში გაეხვია“. ჩემი შვილებისადმი იაშვილის კეთილგანწყობას, ბავშვების მისადმი დამოკიდებულებით გომბორის უღელტეხილზევე მივხვდი... ბათუმში რომ ჩავფრინდით, ვლადმა ქალის შესახებ გამომკითხა და ავტომანქანის მძღოლზე, ეეე... – მძღოლის სახელის გახსენებას შეეცადა კვინტრაძე, – თუ არ ვცდები, იმ კაცს ამირანი ერქვა, ძალიან გაბრაზდა: „ამ იდიოტმა ეს ამხელა პრობლემა როგორ უაზროდ გაგვიჩალიჩა“-ო, შეწუხებული ამბობდა. ამირანთან ვლადმა დამაკავშირა, გომბორიდან ბათუმში ვერტმფრენით გადაფრენის აზრიც ვლადს ეკუთვნოდა, გომბორამდე მეც და ჩემი ოჯახიც ამირანს უნდა მივეყვანეთ. მე ამ კაცს პირადად ვთხოვე გზაში იარაღი თან ჰქონოდა, რათა ჩემს ცოლ-შვილს უსაფრთხოდ ემგზავრა... ეჭვი რომ არავის გას-

ჩენოდა, მე ღამის 4 საათზე ბარგით გამომაპარეს, ოჯახი კი გომბორზე დღისით უნდა გადმოეყვანათ... ამ ყველაფერს ვლადი „შანტაჟისტებისაგან“ ჩემს გადასამალად და დასაცავად აკეთებდა.

– ამირანის შესახებ სხვა რისი თქმა შეგიძლიათ?

– სამწუხაროდ, არაფრის, მას აღარასოდეს შევხვედრივარ.

– კი, მაგრამ ამ ამირანმა რომ დაგირეკათ და შეგატყობინათ, რომ ქალბატონი ირმა სახლში არ დაუხვდა, რატომ უთხარით საბავშვო ბაღში მიეკითხა, რატომ მეუღლეს არ დაურეკეთ და არ ჰკითხეთ, სად იმყოფებოდა და რატომ იგვიანებდა?

– როგორ, ესეც იცით?! – განცვიფრებისაგან თვალები გაუფართოვდა კვინტრაძეს. – რა გითხრათ, ძალიან ვნერვიულობდი და დავიბენი, რატომღაც ჩავთვალე, რომ ირმასთვის რომ დამერეკა, უფრო შევაშინებდი, რადგან ყველაფერი წინასწარ გვქონდა მომზადებული, გათვლილი და შეთანხმებული, წესით არ უნდა დაეგვიანათ... მეგონა, ჩემი შვილები ბაღში ბავშვებთან თამაშით გაერთნენ, გაჭირვეულდნენ და დედას სახლში დროზე არ გამოჰყვნენ-მეთქი.

– კარგი, განაგრძეთ!

– „ეს უცხო ქალი რამ აგატორღიალებინათ“-ო, ორივეს, მეცა და მძღოლსაც, სამართლიანად გვსაყვედურობდა დობრონრავოვი. „რა ბედი ეწევა“-მეთქი, რომ ვკითხე, „აბა მე რა ვიცი“-ო, მიპასუხა. მაშინ მე ვუთხარი: „ვლადიმერ, ეს ქალი არაფერ შუაშია, მან თავი დიდ საფრთხეში ჩაიგდო და შვილები უვნებლად მომიყვანა! ძალიან გთხოვ, ჩვენი მეგობრობის ხათრით, ამ ქალს ნურავის ნურასოდეს დააჩაგვრინებ, მის სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და ღირსებას ყოველთვის გაუფრთხილდი და საკუთარი დასავით მოექეცი,“-მეთქი. გაუკვირდა და „რატომ?“-ო, მკითხა. „იმიტომ რომ მისგან დავალებული ვარ, თანაც ჩემი თანამემამულეა და არ მინდა უდანაშაულო და უმწეო ქალი უსამართლობის მსხვერპლი გახდეს, ჩემ გამო პრობლემები შეექმნას და მთელი სიცოცხლე სინდისის ქენჯნამ დამტანჯოს“-მეთქი, ვუპასუხე. „კარგი“-ო, დამპირდა და პირობა არასოდეს დაურღვევია... იაშვილი ყოველთვის მხედველობის არეში ჰყავდა და როდესაც კოსმოსში გაფრენა მოუწია, „ტექნიკური ექსპერიმენტატორის“ ხომალდის ბორტზე ყოფნის აუცილებლობა მოიმიზეზა და ქალიც თან ამ სტატუსით წაიყვანა, რადგან დედამიწაზე დარჩენილ იას მე ვერ დავიცავდი, შეურაცხყოფას მიაყენებდნენ და აუცილებლად მოკლავდნენ... მე კი, როგორც ჭეშმარიტი ქართველი მამაკაცი, ვერ დავუშვებდი, რომ ჩემი თვისტომი, ქართველი ქალი, ღირსეული და მშვენიერი მანდილოსანი, ვიღაც გადამთიელებს გადაეთელათ... ვლადმა კოსმოსიდან დაბრუნებული, კომაში მყოფი ია გვამად

გაასაღა და ჩუმად გადმომცა, რათა გამოჯანმრთელებამდე მაიამიში, ჩემი ქალიშვილის, კატოს ვილაზე გადამემალა, შემდეგ კი ჩემს ვაჟს, ლუკას საქართველოში საიდუმლოდ ჩამოაყვანინა და „პირადი მცველი“ მიუჩინა, რომელიც ვლადს ინფორმაციას აწვდიდა... ია თავის კოსმოსურ თავგადასავალს გიამბობდათ... რატომღაც მგონია, რომ ვლადიმერი იმ „პირადმა მცველმა“ დაასმინა და ამიტომაც მოკლეს. ფაქტობრივად ვლადმა ვუდპეკერს „უღალატა“, „ბოსის“ ზურგს უკან მოქმედება გაბედა, რისთვისაც დაისაჯა კიდევაც.

დობრონრავოვმა არ იცოდა, რომ რიმა გოგელია ჩემი შვილი იყო. რესტორან „პოსეიდონისა“ და სასტუმრო „ოჯახური სავანეს“ იდეა მე მივაწოდე, რადგან ის და აქაურობას არ იცნობდა... არ ვიცი რატომ, მაგრამ ვლადს უნდოდა, რომ იაშვილს თქვენამდე მოეღწია!

– ამას ბარათიდან გავიგებთ, – დინჯად თქვა პოლკოვნიკმა, – თუ იცით, კოსმოსური ფრენების კორპორაცია CFC კონკრეტულად რას საქმიანობდა?

– ამ შეკითხვაზე რომ გიპასუხოთ, პატარა „ლექციის“ ჩატარება მომიწევს.

– ბრძანეთ!

– უნდა მოგახსენოთ, რომ მიმდინარე საუკუნის დასაწყისში, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავლენიანი და ცნობილი ფიზიკოს-თეორეტიკოსი, მათემატიკოსი და ასტროფიზიკოსი, გამოჩენილი ბრიტანელი მეცნიერი, პროფესორი სტივენ უილიამ ჰოუკინგი კაცობრიობას ახალი „სახლის“ მოძებნის აუცილებლობაში არწმუნებდა. მან განაცხადა, რომ დედამიწაზე სიცოცხლის არსებობას უამრავი საშიშროება ემუქრება: გლობალური დათბობა, ბირთვული ომი, ახალი ვირუსები და სხვა ისეთი რამ, რისი წარმოდგენაც დღეს არ ძალგვიძს. იგი თანამედროვეებს აფრთხილებდა, რომ შესაძლოა უახლოეს 100 წელიწადში კაცობრიობამ თავი გაინადგუროს და ადამიანებს მოუწოდებდა თვითგადარჩენის მიზნით, სერიოზულად დაფიქრებულიყვნენ სხვა ვარსკვლავურ სისტემაში დედამიწის მსგავსი პლანეტის მოძებნისა და მასზე ავტონომიური კოსმოსური დასახლებების შექმნის პერსპექტივაზე.

კერძოდ, 2007 წელს მან ოფიციალურად და ღიად განაცხადა: „ჩვენ უნდა დავიწყოთ სიცოცხლისათვის ვარგისი პლანეტების ათვისება უახლოესი 2 ასწლეულის გამნავლობაში, თორემ გადავშენდებით“. მოგეხსენებათ, სიცოცხლის არსებობისათვის აუცილებელია, რომ პლანეტას ჰქონდეს მაგნიტური ველი, ატმოსფერო და წყალი...

პროფესორი ჰოუკინგის კვლევის სფეროს წარმოადგენდა კოსმოლოგია და კვანტური გრავიტაცია, იგი ე.წ. „შავ ხვრელებს“ სწავლობ-

და და უდიდესი სამეცნიერო მიღწევებიც ჰქონდა... როგორც ყველა „ბრწყინვალე გონება“, ისიც გარკვეული პიროვნული თავისებურებებით გამოირჩეოდა, მას სჯეროდა უცხოპლანეტელების არსებობა და მათთან კონტაქტისაგან თავის შეკავებას ამჯობინებდა...

უნდა მოგახსენოთ, რომ ჰოუკინგი ათეისტი იყო და აგრეთვე მიაჩნდა, რომ ადამიანი არ არის ევოლუციის გვირგვინი და საკუთარი თავი უნდა სრულყოს ისეთი უახლესი სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, როგორიცაა კიბორგიზაცია, გენოთერაპია და სხვა. იმ პერიოდში ადამიანის გენომი გაშიფრული, ღეროვანი უჯრედები – აღმოჩენილი და კლონირების პრაქტიკაც უკვე სახეზე იყო...

პრაქტიკულად მისი მოსაზრებები გახდა ისეთი საშიში იდეოლოგიის აღმოცენების საფუძველი, როგორიცაა ტრანსჰუმანიზმი. მისი მიმდევრები თვლიდნენ, რომ გენური ინჟინერიის, მოლეკულალური ნანოტექნოლოგიების, ნეიროპროტეზებისა და ტვინში ჩადგმული კომპიუტერების საშუალებით შესაძლებელი იქნებოდა „პოსტადამიანის“ შექმნა.

– ნუ ღელავთ, – კვინტრაძეს პროფესორი ჰოუკინგის სამეცნიერო საქმიანობის განხილვა გააწყვეტინა დავითინიძემ, – ეს იდეოლოგია უკვე დიდი ხანია კანონგარეშე გამოცხადდა. ასე, რომ კაცობრიობას საფრთხე არ ემუქრება.

– კი, კი, ვიცი, – თავი ენერგიულად ჩამოიქნია კვინტრაძემ.

– მოდით, არსებითად ვისაუბროთ, ბატონო ალეკო, – სთხოვა დავითინიძემ, – პროფესორი ჰოუკინგის შესახებ რაღაც ჩვენც გვსმენია.

– რა თქმა უნდა, – უხერხულად გაიღიმა კვინტრაძემ, – უბრალოდ, მინდა ავხსნა რა ხდებოდა მსოფლიოში და როგორი ფონი იყო კოსმოსური ფრენების კორპორაცია CFC-ის დაფუძნების დროს. მინდა მოვლენათა თანმიმდევრობის ლოგიკა გაიაზროთ.

– გისმენთ, განაგრძეთ!

– უნდა მოგახსენოთ, რომ 2011 წლიდან ამერიკის ასტრონომიული საზოგადოების AAS-ის მოქმედი წევრი ვარ და იმ პერიოდის სამეცნიერო სიახლეების გაცნობის შესაძლებლობა საზოგადოების მიერ 1895 წლიდან გამოცემული ჟურნალ „The Astrophysical Journal“-ის საშუალებით მქონდა... მაშინ მეცნიერებმა „მეორე დედამიწის“ ძიება აქტიურად დაიწყეს, ამისათვის უამრავი ნოვატორული პროექტი შეიმუშავეს და „სიცოცხლისათვის ვარგისი პლანეტების“ სიაც კი შეადგინეს. მაგალითად, 2007 წელს ევროპულმა კოსმოსურმა სააგენტომ ESA-მ წარმოადგინა კოსმოსში ინფრაწითელი ტელესკოპების სისტემის გაშვების პროექტი „დარვინი“, ანალოგიური პროექტი, სახელწოდებით „TPF“-ი, შექმნა NASA-მაც. ამ პროექტების მიზანი მზის სისტემის გარეთ მყოფ

პლანეტებზე უშუალო დაკვირვება და მათზე სიცოცხლის მოძებნა უნდა ყოფილიყო. გარდა ამისა, NASA-მ 2009 წელს ორბიტაზე გაუშვა კოსმოსური ტელესკოპი „კეპლერი“, რომელმაც აღმოაჩინა 1000-ზე მეტი პლანეტა, სადაც სიცოცხლე თეორიულად შესაძლებელია. ასევე განსაკუთრებული აჟიოტაჟი გამოიწვია 2011 წელს პლანეტათა სისტემა გლიზე 581-ისა და პლანეტა კეპლერ-22b-ის აღმოჩენამ, რომლებიც ჩვენი მშობლიური დედამიწის მსგავს პლანეტებად მიიჩნიეს. პარალელურად, იმ პერიოდში განხორციელდა უამრავი კოსმოსური ფრენა, მათ შორის პილოტირებულიცა და უპილოტოც, წარმატებულიცა და წარუმატებელიც.

– წარუმატებელ ფრენაში რას გულისხმობთ?

– მაგალითად, 2011 წელს რუსული პლანეტათაშორისი კვლევითი უპილოტო სადგური „ფობოს-გრუნტი“ უნდა გაფრენილიყო პლანეტა მარსის თანამგზავრ ფობოსზე, რათა მისი ზედაპირიდან სინჯები წამოეღო. აპარატმა ვერ შესძლო ფობოსთან მისაფრენად საჭირო ტრაექტორიაზე გასვლა, რადგან კოსმოსურ ჩრდილში მოხვდა და ავტომატიკამ მუშაობა ველარ შესძლო. მეცნიერებმა ფობოსი იმიტომ აირჩიეს, რომ მარსისაგან განსხვავებით, იქ გრავიტაცია არ არის... წლების შემდეგ კი მარსი მაინც „დაილაშქრა“, კერძოდ, 2035 წელს, პლანეტაზე ასტრონავტების შერეული საერთაშორისო ეკიპაჟი „გადასხდა“, ხოლო დღეს ნანოთანამგზავრების კოსმოსში გაშვება ჩვეულებრივ მოვლენად იქცა...

ალბათ იცით, რომ გრავიტაციის დაძლევა დღემდე უდიდესი პრობლემაა...

გრავიტაციასთან დაკავშირებით მინდა გითხრათ, რომ ცოცხალ ორგანიზმს და მათ შორის ადამიანს, ნორმალური ფუნქციონირებისათვის ის აუცილებლად სჭირდება, გრავიტაციის გარეშე ადამიანი დიდხანს ვერ გაძლებს. ამიტომ ხანგრძლივი კოსმოსური ფრენებისათვის საჭირო გახდა კოსმოსურ ხომალდზე ხელოვნური გრავიტაციის შექმნა. მახსოვს, 2006 წლის მარტში გაჟღერდა მსოფლიო სენსაცია ევროპული კოსმოსური სააგენტოს ESA-ს და ავსტრიული კომპანიის მიერ ხელოვნური გრავიტაციის შექმნის საკითხებზე ჩატარებული ექსპერიმენტის შესახებ. ამ თემაზე ბევრი ნიჭიერი მეცნიერი მუშაობდა, მაგრამ იდეა წარმატებით განახორციელა მხოლოდ კიდევ ერთმა „ბრწყინვალე გონებამ“, ჩემგან დიდად პატივცემულმა, ზემოხსენებულმა ბატონმა ჯონსონმა.

კოსმოსური კვლევები არა მხოლოდ გონებრივ, არამედ უდიდეს მატერიალურ დანახარჯებს მოითხოვენ და სახელმწიფოებს სათანადო ხარჯების გაღება წლიდან წლამდე სულ უფრო უჭირდათ. ვფიქრობ, ეს

იყო ერთ-ერთი მიზეზი, როდესაც დაახლოებით იმავე პერიოდში, 2010 წელს რუსეთმა წამოაყენა წინადადება, რომ უკვე ფუნქციონირებადი საერთაშორისო კოსმოსური სადგურის ბაზაზე, რომელიც განთავსებული იყო დედამიწის ორბიტის სიახლოვეს, წამყვან კოსმოსურ ქვეყნებს ერთობლივი ძალებით აეგოთ შორეულ კოსმოსში საფრენად გამოსადეგი აპარატი... მეორე მიზეზი ის გახლავთ, რომ ზემყარი შენადნობები დედამიწის პირობებში ვერ მიიღება, ორბიტაზე კი ეს სავსებით შესაძლებელია.

გარდა ამისა, მსოფლიოში მოდურად იქცა კოსმოსური ტურიზმი და საერთაშორისო საზოგადოებასა და სამეცნიერო წრეებში აქტიურად განიხილებოდა კერძო ფირმების მიერ საკუთარი კოსმოსური სადგურების შექმნის საკითხი. ფაქტობრივად იწყებოდა ახალი „ვარსკვლავური ერა“, როდესაც წამყვანი კოსმოსური ქვეყნების, ამერიკისა და რუსეთის, კერძო ფირმები ერთმანეთს პირველობასა და დედამიწის ორბიტაზე კომერციული სადგურებისა და კომპლექსების შექმნის უფლების მოპოვებას საკმაოდ ხისტი მეთოდებით ეცილებოდნენ. პარალელურად, კოსმოსური ტურიზმის მიზნით, იქმნებოდა კერძო კოსმოდრომებიც... მოხდა ჩემის აზრით, ყოვლად დაუშვებელი რამ – სტრატეგიულად უმნიშვნელოვანესი სივრცის, კოსმოსისა და მისი თანმდევი ინფრასტრუქტურის კომერციალიზაცია. შეიძლება ატომური ბომბი კომერციული გარიგებების საგნად აქციო?! ასევე არ შეიძლებოდა, ბოდიში გამოთქმისათვის და კოსმოსში „გალავჯუნება“ და უთავბოლო „შლიგინი“! მაპატიეთ, ამ თემაზე რომ ვლაპარაკობ, ვბრაზდები ხოლმე, – დაძაბულობისაგან გაოფლილი სახე ერთჯერადი ცხვირსახოცით მოიწმინდა კვინტრაძემ.

– არა უშავს, განაგრძეთ, – კვინტრაძის „მეცნიერულ წიაღსვლებს“ ინტერესით ისმენდა დავითინიძე.

– სწორედ ამ ვითარებაში, – თხრობა განაგრძო კვინტრაძემ, – 2010 წლის ბოლოს ნიუ-იორკში შეიქმნა კოსმოსური ტურიზმის კერძო ფირმა „CFC – STU”, ანუ „სი-ეფ-სი – ეს-ტი-იუ“ აბრევიატურა ოფიციალურად ასეთნაირად იშიფრება: „Cosmic Flight Corporation – Space Travel in Universe“, ანუ „კოსმოსური ფრენების კორპორაცია – კოსმოსური მოგზაურობა სამყაროში“, რომელიც სამმა მილიარდელმა დააფუძნა. ესენი იყვნენ: რუსი ვადიმ სმირნოვი, ამერიკელი რიჩარდ ტეილორი და ინდოელი რაკეშ ურსი.

– გამოდის, რომ აბრევიატურა STU მათი გვარების საწყისი ასოებისაგან შედგება?

– რაა? – ვერ მიხვდა კვინტრაძე.

– S – სმირნოვი, T – ტეილორი, U – ურსი, – მოკლედ განმარტა და-

ვითინიძემ, – ფაქტობრივად კორპორაციას ერქვა და ალბათ ახლაც ასე ჰქვია „CFC – STU“ – „სმირნოვის, ტეილორისა და ურსის კოსმოსური ფრენების კორპორაცია“, ეს თქვენი „Space Travel in Universe“ კი თვალის ახვევაა და მეტი არაფერი.

– შესაძლოა ასეც იყოს, – განცვიფრდა კვინტრაძე, – როგორ მიხვდით, ბატონო დავით? მე ეს აზრადაც არ მომსვლია!

– რა დიდი მიხვედრა ამას უნდოდა, – გაიღიმა პოლკოვნიკმა, – შემდეგ?

– ამ სამ კაცს, კომერციული კოსმოსური სადგურის შექმნის უფლება იმიტომ მიეცა, რომ სამი სხვადასხვა, მრავალმილიონიანი და კოსმოსით დაინტერესებული ქვეყნის მოქალაქეები იყვნენ და ტურისტების მოზიდვას ადვილად შესძლებდნენ, თანაც მათ მიერ დანაშაულის ჩადენის ალბათობაც ნაკლები იყო.

– რატომ იყო ნაკლები?

– იმიტომ, რომ ისინი არ მეგობრობდნენ, განსხვავებული კულტურული ფასეულობების მატარებლები იყვნენ და მხოლოდ ბიზნესი აკავშირებდათ.

– ასე არ არის, ჩემო კარგო, დანაშაულებრივი ჯგუფის ჩამოსაყალიბებლად მეგობრობა და იდენტური ფასეულობები აუცილებელი პირობა სულაც არ არის... ბიზნეს-ურთიერთობები კი ხშირად მეგობრობაზე უფრო მყარია.

– არ ვიცი, რა გიპასუხოთ, მაგრამ რაღაც კონტროლის მექანიზმიც ხომ იარსებებდა?

– ახლა ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს, მოდით თემას დავუბრუნდეთ.

– რასაკვირველია... კორპორაციის სამეცნიერო კვლევების ხელმძღვანელობა ბატონ ვუდპეკერს ევალებოდა, მე რასაც ვაკეთებდი, მოგახსენეთ. ვუდი ტეილორის ახლობელი იყო და კორპორაციაში დიდი გავლენა ჰქონდა, სამეცნიერო მხარეს მთლიანად ის განაგებდა, ის კი არა და საორგანიზაციო საკითხების გადაწყვეტაშიც ხშირად აქტიურად ერეოდა ხოლმე. ვლადიმერ დობრონრავოვი, როგორც გითხარით, მისი „მარჯვენა ხელი“ იყო.

– რა სახის კვლევებს აწარმოებდა კორპორაცია?

– ზუსტად მაგის შესახებ უნდა მესაუბრა... ოფიციალურად კორპორაციის საქმიანობა თავიდან მხოლოდ ტურიზმი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ვუდპეკერის აზრით, საკუთარი თავის პატივისმცემელი კორპორაცია დედამიწის მსგავსი პლანეტის აღმოჩენითაც აუცილებლად უნდა დაკავებულიყო... სწორედ მისი დაჟინებული მოთხოვნით დაიწყო

კოსმოსური ექსპედიციისათვის მზადება და შესაბამისი კადრებისა და ტურისტების მოზიდვა, მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა ის ზემძლავრი სუპერტელესკოპი, რომელითაც იაშვილი ციურ სხეულებს – ვარსკვლავებს, ნისლეულებს, გალაქტიკებსა და პლანეტებს – აკვირდებოდა და ვარსკვლავური ცის დაწვრილებითი სურათის შედგენასა და ციური ობიექტების ადგილმდებარეობის განსაზღვრას ცდილობდა. ვუდპეკერის უშუალო მონაწილეობით დაჩქარებული ტემპებით აშენდა, აღიჭურვა და ამოქმედდა კორპორაციის კუთვნილი კოსმოდრომი და ტურისტების მოსამზადებელი ბაზა, სადაც იაშვილსაც „წვრთნიდნენ“... ეტყობა რიდლიმ ჩემი გამოყენებაც მაგ პერიოდში გადაწყვიტა და სამშობლოდან გადახვეწა მოტყუებით მაიძულა... ვუდპეკერს ფანატიკურად უყვარს და აინტერესებს მეცნიერული კვლევა, კოსმოსით კი პირდაპირ შეპყრობილია! დარწმუნებული ვარ, იდეის გულისათვის საკუთარ სიცოცხლესაც არ დაინანებს. ვაღიარებ, მართლა დიდი მეცნიერია, მაგრამ მთელი უბედურება ის არის, რომ დასახული მიზნის მისაღწევად ყველასა და ყველაფრისათვის „გადავლა“ და უკადრებელის კადრება შეუძლია...

– კოსმოდრომი და ბაზა ტერიტორიულად სად მდებარეობს? – თემა შეცვალა და ვუდპეკერის პერსონის „განხილვას“ თავი ტაქტიანად აარიდა დავითინიძემ.

– ოოო, ეს საუბრის ცალკე თემაა, – წარბები აზიდა კვინტრაძემ.

– მერე და ვისაუბროთ, – დინჯად თქვა დავითინიძემ, – ვინმე გვიშლის?

– არა, არა, – უხერხულად შეიშმუშნა კვინტრაძე, – უბრალოდ გარკვეული ნიუანსების ახსნა მომიწევს.

– ამიხსენით მერე... ვეცდები გონება დავძაბო და გავიაზრო რას მეუბნებით, – გაეღიმა დავითინიძეს.

– თავმდაბალი ადამიანი ბრძანებულხართ, ბატონო პოლკოვნიკო, – დავითინიძის ღიმილის მიზეზს მიხვდა, მაგრამ იხტიბარი არ გაიტეხა კვინტრაძემ, – ახლავე მოგახსენებთ:

კოსმოდრომის ასაშენებლად დედამიწის ზურგზე ყველაზე უფრო მოსახერხებელი ადგილი ეკვატორზეა, რადგან აქედან გაშვებულ რაკეტას დედამიწის ბრუნვის ენერგიის გამოყენება სრულად შეუძლია. სხვა ადგილებთან შედარებით, ეკვატორიდან საფრენი აპარატის ორბიტაზე გაშვება ნებისმიერი კუთხითაა შესაძლებელი, თანაც სტარტისას საწვავის 10% იზოგება და შესაბამისად, უფრო მეტი ტვირთის წაღება შეიძლება. გარდა ამისა, ეკვატორთან სიახლოვეს ცოტაა ე.წ. „კოსმოსური ქვეყნები“ და საზღვაო ბაზირების კოსმოდრომების აგება ჯერ კიდევ მაშინ იყო აქტუალური.

დროის მოთხოვნებს არც კორპორაციის მესვეურები „ჩამორჩნენ“ და საკუთარი საზღვაო ბაზირების ტიპის კოსმოდრომი სტრატეგიულად ძალიან კარგად შერჩეულ ადგილას, აფრიკის სანაპიროსთან, გვინეის ყურეში, კუნძულოვანი სახელმწიფო სან-ტომე და პრინსიპის ახლოს, ნეიტრალურ წყლებში ააგეს. ტურისტების მოსამზადებელი ბაზაც იქვე, დედაქალაქ სან-ტომესთან ახლოს განათავსეს.

ყურე დედამიწის ცენტრადაც კი შეიძლება ჩაითვალოს, რადგან სწორედ მის ტერიტორიაზეა ეკვატორისა და ნულოვანი მერიდიანის გადაკვეთის წერტილი...

საერთაშორისო საზღვაო სამართლი უფლებას იძლეოდა ნეიტრალურ წყლებზე აგეგო ხელოვნური კუნძულები და სამეცნიერო კვლევებისათვის საჭირო დანადგარები, გაგეყვანა კომუნიკაციები, თავისუფალი სივრცეა ნაოსნობისათვის და ფრენებისთვის. ისიც ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გვინეის ყურეში მოიპოვება ნავთობი და გაზი.

ჭკვიანურად შერჩეული ადგილი კიდევ იმიტომაც არის, რომ რუკას თუ დახედავთ, შეამჩნევთ, რომ ნეიტრალურ წყლებთან ახლოს მდებარეობს გაბონი, აფრიკის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მდიდარი და სტაბილური ქვეყანა, ხოლო მის მოპირდაპირედ, ატლანტიკის ოკეანეს გადაღმა არის ბრაზილია, ასევე მძლავრი ეკონომიკის მქონე ქვეყანა. ბრაზილიის პორტ რესიფისა და გაბონის პორტ ჟანტილს შორის მანძილი სულ რაღაც 4749 კილომეტრია! შევნიშნავ, რომ ჟანტილი გაბონის გაზნავთობმრეწველობის ცენტრია, ხოლო რესიფი არის საერთაშორისო მნიშვნელობის საჰაერო და საზღვაო პორტი. ცხადია, ამ გარემოებას კორპორაცია კომუნიკაციების გაფართოებისა და რესურსების შესავსებად გამოიყენებდა!

– ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ კორპორაციის ხელმძღვანელობამ და ბატონმა ვუდპეკერმა დროის მოთხოვნათა შესაბამისი ამოცანა დაისახეს, მის შესასრულებლად დიდი ფინანსური რესურსები დააბანდეს და შეიძლება ითქვას, ტიტანური შრომაც გასწიეს: ადვილი ხომ არ არის რამდენიმე წელში კოსმოდრომისა და ხომალდის აგება, ბაზის აშენება და ტექნიკით აღჭურვა... მატერიალური და ფინანსური რესურსების გახარჯვის გარდა, ამ ყველაფერს ხომ გათვლა-დაგეგმვა, კადრების მოზიდვა და დიდი ორგანიზაციული სამუშაოს შესრულება სჭირდებოდა! გამოდის, რომ ბიჭებმა საქმეს თავი წარმატებით გაართვეს – კოსმოსში ექსპედიციის გაგზავნა რაღაც მიზნით მოუნდათ და გაგზავნეს კიდეც!

– მთლად ასე არ არის... ვიტყოდი, რომ ზღვარგადასულმა ამბიციურობამ და საკუთარი შესაძლებლობების გადაჭარბებით შეფასებამ ვუდპეკერს ბევრი შეცდომა დააშვებინა და ბევრი, რბილად რომ ვთქვათ,

ძნელად მისატევებელი საქციელი ჩაადენინა. მან ვერ გაითვალისწინა, ან უფრო სწორად, არად ჩააგდო ის ფაქტი, რომ ჩვენი ვარსკვლავის, მზის სისტემაში დასახლებულობის ზონა მხოლოდ მარსისა და ვენერას ორბიტებს შორის მდებარეობს, ხოლო სხვა ვარსკვლავების სისტემების პლანეტები მზის პლანეტებისაგან ბევრად განსხვავდებიან. გარდა ამისა, რომც აღმოაჩინო, ასე ადვილია დედამიწის მსგავს პლანეტამდე მიღწევა?! მაგალითად, ზემოხსენებული პლანეტა კეპლერ-22b ჩვენგან 600 სინათლის წელიწადითაა დაშორებული! ბატონო პოლკოვნიკო, თუ შეიძლება, პატარას წაგამეცადინებთ, რათა მიხვდეთ რა მასშტაბებზეა აქ საუბარი.

– კი ბატონო, მეც მაინტერესებს.

– უნდა მოგახსენოთ, რომ სინათლის წელი გამოიყენება დაშორებულ ასტრონომიულ ობიექტებს შორის მანძილის საზომად და იგი წარმოადგენს სიგრძის და არა დროის ერთეულს და უდრის მანძილს, რომელსაც სინათლე გაივლის 1 წლის განმავლობაში (შედარებისათვის, მზისგან წამოსულ სხივს დედამიწამდე მოსაღწევად დაახლოებით 8 წუთი და 20 წამი სჭირდება). კილომეტრებში ეს ძალიან დიდი ციფრია და ამით არ გადაგღლით, მხოლოდ ვიტყვი, რომ სინათლის წელი დაახლოებით უდრის 63 241 ასტრონომიულ ერთეულს, 1 ასტრონომიული ერთეული კი უდრის 150 მლნ. კილომეტრს.

მაგალითად, ჩვენი გალაქტიკის ცენტრი ჩვენგან 30 000 სინათლის წელიწადის მანძილზე მდებარეობს, მზესთან უახლოეს ვარსკვლავამდე, პროქსიმა ცენტავრამდე კი 4,22 სინათლის წელია, ხოლო ჩვენთან ყველაზე უფრო ახლოს მყოფი სპირალური გალაქტიკა, ანდრომედა, დაშორებულია 2,5 მილიონი სინათლის წელიწადით!

– ესე იგი, პლანეტა კეპლერი ჩვენგან წარმოუდგენლად შორსაა, – ულვაშებში ჩაიღიმილა დავითინიძემ, – და სასწრაფოდ ახლის მოძიება მაინც მოგვიწევს, თუმცა მეცნიერებს ახალი, თანამედროვე პლანეტა თეორიულად უკვე ნაპოვნი ექნებათ, იქამდე პრაქტიკულად თუ მივაღწევთ, რასაკვირველია!

– კიდევ ბევრი უახლესი მაგალითის მოყვანა შემიძლია, – პოლკოვნიკის ნართაულ ნათქვამს მიხვდა კვინტრაძე, – ვცდილობდი მარტივად მესაუბრა, მაგრამ არ გამომივიდა... მაპატიეთ, ალბათ ამდენი ციფრებით უკვე გვარიანად გადაგღალეთ!

– არანაირად, – ზდილობიანად იუარა დავითინიძემ. – საინტერესოა, რატომ აჩქარდა ვუდპეკერი?.. მსგავსი ფრენებისათვის კაცობრიობა მზად დღესაც არ არის და კარგა ხანს ვერც იქნება!

– მე მგონი, ხომალდის ორბიტაზე რაღაც თავისი გიჟური ექსპერიმენტების ჩატარება უნდოდა და „დიდი სამეული“ გააბრიყვა.

– რომელი „დიდი სამეული“, კორპორაციის დამფუძნებლები?

– დიახ... არც ერთ მათგანს მეცნიერებაში არაფერი გაეგება, ვუდი თავისი ხრიკებით ყველაფერში ადვილად დაარწმუნებდა.

– მილიარდელები ასეთი მიამიტები და ფულის უაზროდ გადამყრელები რატომ გგონიათ? გასაგებია, რომ ვუდი მათი ახლობელი და ავტორიტეტული მეცნიერი იყო, მაგრამ ეს თვალდახუჭულ ნდობას სრულიადაც არ ნიშნავს. ნებისმიერი ფაქტისა და ინფორმაციის გადამოწმება პრობლემას 40 წლის წინათაც არ წარმოადგენდა, მით უმეტეს, მილიარდელებისათვის!

– აბა, მაშინ რა საჭირო იყო მეცნიერული თვალსაზრისით უნაყოფო კოსმოსური ექსპედიციის დასაფინანსებლად ამოდენა ხარჯების გაწევა?

– ლოგიკური კითხვაა... ბავშვები არა ვართ და გვესმის, რომ არავინ ხარჯებს ტყუილუბრალოდ არ გაიღებდა. გამოდის, რომ ისინი, ანუ „სამეულიცა“ და ვუდიც ურთიერთშეთანხმებით მოქმედებდნენ და ტურიზმის საფარველს ამოფარებულები კოსმოსში, ყველასაგან მოშორებითა და საიდუმლოდ უკანონო ექსპერიმენტებს ატარებდნენ.

– ბატონო პოლკოვნიკო, – შეშფოთდა კვინტრაძე, – შეუძლებელია ჯონსონსა და დობრონრავოვს ამის შესახებ არაფერი სცოდნოდათ და ისინი ალბათ, ამიტომაც მოკლეს.

– წეღან თქვენ არ თქვით: „ჯონსონი ხომალდის დედამიწაზე დაბრუნების გამო მოკლეს“-ო? ხომალდი რატომ არ უნდა დაბრუნებულიყო და მაინც რატომ დაბრუნდა?

– ვერ გეტყვით, სამწუხაროდ, არ ვიცი... ხომალდის დედამიწაზე დასმა ჯონსონს ვლადმა გადააწყვეტინა... თავიდან ფიქრობდნენ, რომ „კომეტების წვიმისაგან“ დაზიანებულ ხომალდს დედამიწის სიახლოვეს, ზედ ორბიტალურ სადგურზევე შეაკეთებდნენ, ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგების მონაცემებსა და ანგარიშებს იქვე დატოვებდნენ და კვლავ კოსმოსში გაფრინდებოდნენ. საქმე ის გახლავთ, რომ ხომალდი, რომლითაც კოსმოსში მოგზაურობდნენ, ზეგამძლე შენადნობებისგანაა დამზადებული და მათი დედამიწის პირობებში მიღება შეუძლებელია, ამიტომ ხომალდი ორბიტალურ სადგურზე აშენდა და იქვე განთავსდა. მაშინ, 40 წლის წინ, დედამიწიდან ორბიტალურ სადგურამდე ჩვეულებრივი რაკეტით მიფრინდნენ და ხომალდზე შემდეგ „გადასხდნენ“.

– როგორ შესძლო ხომალდმა 40 წელიწადი კოსმოსში ფრენა? საწვავი, წყალი, ჰაერი და საკვები ხომ დასჭირდებოდათ? ან დაბერების პროცესი როგორ შეაჩერეს? არ მითხრათ ახლა, რომ ხომალდი კოს-

მოსის უკიდეგანო სივრცეში მზის სინათლის სიჩქარით დაჰქროდა და ბორტზე დრო შენელდა!

– არა, ასეთ რამეს როგორ ვიტყვი, ბატონო პოლკოვნიკო! მსგავს სიჩქარეებამდე მიღწევა ფანტასტიკის სფეროა! საფრენმა აპარატმა მზის სისტემის დატოვება რომ შესძლოს, საკმარისია მესამე კოსმოსური სიჩქარით იფრინოს. ეს სიჩქარე სპეციალური მათემატიკური ფორმულით გამოითვლება. ზუსტად არ ვიცი „იაშვილის ხომალდი“ რა სიჩქარით მიჰქროდა, მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ მანამდე ასეთი სიჩქარე არც ერთ ხომალდს არ განუვითარებია...

რაც შეეხება დაბერების შეჩერების პროცესს, საქმე მარტივადაა... ხომალდზე დრო პრაქტიკულად არ შენელებულა. დაბერების პრობლემაზე მეცნიერება დიდი ხანია მუშაობს, ადამიანის გენომიც კი გაიშიფრა... საქმე ისაა, რომ დაბერების პროცესში გენები კარგავენ თავის ფუნქციას და ასე თქვათ, „იკეტებიან“. შეიქმნა ისეთი ბიორეგულატორები, რომლებიც ასეთ გენებს „ხსნიან“ და ახანგრძლივებენ სასიცოცხლო ციკლს. ბორტზე მყოფი ადამიანები ამ ბიოსტიმულატორებს საკვებთან ერთად სისტემატურად ღებულობდნენ და ამიტომაც არ დაბერდნენ. დედამიწაზე დაბრუნების შემდეგ ორგანიზმში რა პროცესები წავა, არავინ იცის. ამ ადამიანებს დავაკვირდებით და შედეგსაც დავინახავთ. ფაქტობრივად მათზე, სამწუხაროდ, მათ შორის ია იაშვილზეც, ექსპერიმენტი ჩატარდა და მან ეს არ იცის...

– ნურც ეტყვით, დროთა განმავლობაში თვითონვე მიხვდება, – შუბლი შეიკრა დავითინიძემ, – იას საუკეთესო ექიმები მიხედავენ და ჯანმრთელად იქნება. ამაზე სახელმწიფო იზრუნებს.

– დიახ, მესმის, – გაბზარული ხმით თქვა კვინტრაძემ.

– განაგრძეთ!

– ბატონო დავით, ინფორმაციისათვის ზოგადად გეტყვით, რომ მეცნიერები პილოტირებული ხომალდების გაშვების პირველივე წლებიდან ფიქრობდნენ და მუშაობდნენ ისეთი ჩაკეტილი სისტემის შექმნისა და პრაქტიკაში დანერგვის საკითხებზე, რომელიც ადამიანების კოსმოსში ყოფნას შეუზღუდავი დროით უზრუნველყოფდა. თეორიულად ასეთი ეკოლოგიური კომპლექსის შექმნა შესაძლებელია, თუკი ხომალდის ბორტზე განთავსდება სხვადასხვა ორგანიზმებისაგან შემდგარი გუნდი, რომელიც უზრუნველყოფს ნივთიერებათა ისეთ სრულ ბიოლოგიურ მიმოქცევას, როგორიც დედამიწაზეა. ვუდპეკერმა, როგორც მეცნიერმა, ეს შესანიშნავად იცოდა და ამაშიც პირველობა სურდა...

ვუდპეკერმა კარგად აითვისა და გამოიყენა იმდროინდელი მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები და ახალი ტექნოლოგიები, არ მო-

ერიდა სხვათა სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებას და სხვისი ფინანსები თავისი ავანტიურული იდეების ფრთაშესხმას მოახმარა.

მოგეხსენებათ, რომ მსგავსი კოსმოსური ექსპედიცია და ასეთი ხანგრძლივი პილოტირებული ფრენა კაცობრიობის ისტორიაში მანამდე არასოდეს განხორციელებულა...

ხომალდზე იკვებებოდნენ სუბლიმირებული, ანუ გაუწყლოების მეთოდით გამომშრალი, კონცენტრატებით. რაციონში ჰქონდათ მრავალფეროვანი საკვები, რომლებიც დედამიწაზევე იყო თერმულად დამუშავებული, დასხივებით სტერილიზებული და ჰერმეტულად შეფუთული. მაშინდელი ტექნოლოგიები საკმარისად იყო განვითარებული იმისათვის, რომ ნებისმიერი პროდუქტი საღეჭი რეზინის ზომამდე შეემცირებინათ. ასეთი პროდუქტის შენახვა წლების განმავლობაში უპრობლემოდაა შესაძლებელი. მათი საჭმელად ვარგის მდგომარეობამდე მიყვანაც ძალზე ადვილია, საკმარისია მდუღარე წყლის დასხმა.

სხვათა შორის, ერთადერთი, რისი სუბლიმირებაც შეუძლებელია, ეს არის წყალი. ხომალდზე ის გასუფთავების მთელ ციკლს გადიოდა (ცხოველქმედობის ნარჩენებსაც კი კვლავ წყლად გარდაქმნიდნენ) და პირველქმნილი სახით ბორტზე მყოფთ უბრუნდებოდათ. ჰაერიც წყლის ანალოგიურად იფილტრებოდა და ხომალდის მასშტაბით მისი ცირკულაცია კონტროლდებოდა. მცენარეების „მოშენებასაც“ ჰაერის გაჯანსაღების მიზნით მისდევდნენ.

ყველაფერი ეს ხელოვნური: საკვებიც, ჰაერიც, წყალიც, გრავიტაციაც ადამიანისათვის საარსებო გარემოს ასე თუ ისე ქმნიდა, მაგრამ დედამიწის პირობებს ცხადია, ვერ შეცვლიდა.

რაც შეეხება საწვავს... ხომალდზე მომარაგებული ჰქონდათ ჩვეულებრივი „სარაკეტო“ საწვავი, მაგრამ ღია კოსმოსში ფრენისას ბორტზე არსებული ბირთვული ენერგიის წყაროთი, ბიოსაწვავითა და მზის ენერგიითაც სარგებლობდნენ, ზოგჯერ ძრავებს თიშავდნენ და ინერციით მიჰქროდნენ... მთავარი იყო შეუცდომელი ნავიგაცია, რათა ხომალდი კოსმოსურ ჩრდილში არ მოხვედრილიყო. ამ საქმის პროფესიონალი კი დობრონრავოვი გახლდათ, თუმცა ხომალდზე სხვა სპეციალისტებიც იქნებოდნენ.

– როგორ გგონიათ, ხომალდზე რა სახის კრიმინალური ექსპერიმენტების ჩატარება იქნებოდა შესაძლებელი?

– ნამდვილად არ ვიცი, ბატონო დავით, – შეწუხდა კვინტრაძე, – ხომალდის ამბებს კი ვკითხულობდი ხოლმე, მაგრამ ვუდი ბევრს არაფერს მპასუხობდა. ვიცოდი რა მისი მტკიცე და ჯიუტი ხასიათის ამბავი, მეც მაინცდამაინც არ „ჩავაჯინდებოდი“ ხოლმე, აზრი არ ჰქონ-

და... თანაც მთელი ეს პერიოდი პირადად ჩემთვის ძალზედ საინტერესო და კაცობრიობისთვისაც უმნიშვნელოვანეს თემებზე – „სიმების თეორიისა“ და მისი განზოგადების, „მემბრანების თეორიის“ (ანუ M-თეორიის) პრობლემებზე ვმუშაობდი და ზოგჯერ ვუდსა და მის „გუნდს“ კონსულტაციებს ვუწევდი...

შევეცდები გასაგებად ავხსნა, თუ რას წარმოადგენენ ეს თეორიები... უნდა მოგახსენოთ, რომ ჯერ კიდევ დიდი აინშტაინი ცდილობდა სამყაროს გაჩენის თაობაზე საყოველთაო თეორიის, ანუ „ყველაფრის თეორიის“ შექმნას, მაგრამ სამწუხაროდ, არ დასცალდა და გარდაიცვალა... შემდეგ მეცნიერები ფიქრობდნენ ფარდობითობის თეორიისა და კვანტური მექანიკის შერწყმის გზით შეექმნათ სრულიად ახალი, უფრო ზოგადი და უნივერსალური თეორია, რომელიც გააერთიანებდა ბუნებაში არსებულ ფუნდამენტალურ ურთიერთქმედებებს (მაგალითად, გრავიტაციულს, ელექტრომაგნიტურს). ამის მცდელობა იყო ჯერ „სიმების“, ხოლო შემდეგ „მემბრანების“ თეორიების შექმნა. მე ბოლო წლები თეორიული ფიზიკის ამ მიმართულებებზე, კერძოდ კი ზემოხსენებული თეორიების შედარებითი ანალიზის პრობლემებზე და კონკრეტულად M-თეორიის განვითარებაზე ვმუშაობდი... მოკლედ, მარტივად რომ ვთქვა, გრავიტაციის გამო, სამყაროში არსებობს უმოკლესი მანძილი, რომლის იქით წასვლაც ფიზიკურად შეუძლებელია, მეცნიერებაში მას პლანკის სიგრძე ეწოდება და 10^{-33} სმ. შეადგენს. ანუ, სამყაროში არის რაღაც გარკვეული ზღვარი, რასაც მეცნიერები სინგულარობას ვუწოდებთ და სადაც აინშტაინის თეორია აღარ მოქმედებს, ამიტომ გახდა საჭირო უფრო ზოგადი თეორიის შექმნა და ზემოხსენებული თეორიები ამის ერთ-ერთი მცდელობაა. შექმნილია სხვა თეორიებიც, მაგრამ დღეს ყველა სადავოა. მეც ამ საკითხებს ვიკვლევდი... არ ვიცი, აზრი რამდენად გარკვევით ჩამოვაყალიბე.

– გასაგებია, – შუბლი მოისრისა და კვინტრაძისათვის ერთხელ უკვე დასმული შეკითხვა სხვა სიტყვებით გაიმეორა დავითინიძემ, – მაშინ იქნებ მითხრათ, ვლადმა ისეთი რა არგუმენტები მოუყვანა ჯონსონს, რომ მან „არც აცია, არც აცხელა“ და, მიუხედავად აკრძალვისა, პირდაპირ დედამიწისაკენ გამოემართა?

– როგორც ვლადმა მომიყვა, ჯონსონმა დაბრუნება მრავალი მიზეზის გამო გადაწყვიტა: პირველი, ხომალდი „კომეტების წვიმისაგან“ ძლიერ იყო დაზიანებული და ორბიტაზე მისი შეკეთება გაძნელდებოდა; მეორე, ჯონსონი მეცნიერი იყო და სამეცნიერო დაკვირვებების შედეგად მოპოვებული ამხელა ზღვა მასალის დედამიწისათვის მიწოდება აუცილებლად ჩათვალა; მესამე, ხომალდის ბორტზე „ბუნტის“ შეეშინდა.

– ეს მიზეზები გადამწყვეტი არ იქნებოდა, – ფიქრიანად შენიშნა დავითინიძემ, – ხომალდს ორბიტაზევე შეაკეთებდნენ, სამეცნიერო მასალის ორბიტიდან დედამიწაზე გადმოგზავნაც არ გაუჭირდებოდათ, „ბუნტსაც“ ჩანასახშივე ჩაახშობდნენ... აქ პირადული მიზეზი იკვეთება, ჯონსონი ვიღაცამ, ან რაღაცამ ძალიან გაანაწყენა. აი, რაშია საქმე!

– ვერაფერს გეტყვით, რაც არ ვიცი – არ ვიცი!

– დედამიწა, ანუ მართვის პულტი, ხომალდს როგორ უკავშირდებოდა?

– რადიოსიგნალებითა და ლაზერული სხივებით.

– კარგით... თუ არაფრის დამატება არ გინდათ, მაშინ წაიხემსეთ და დაისვენეთ. ამასობაში მე წერილს გავეცნობი.

– გმადლობთ, ბატონო პოლკოვნიკო, სათქმელი ჯერჯერობით აღარაფერი მაქვს, თუ მერე რამე გამახსენდა, გეტყვით.

– დროებით, – დავითინიძე დაკითხვის ოთახიდან გვერდით ოთახში გავიდა, სადაც მას გენერლები ჯაში და აბულაძე და საგამოძიებო ჯგუფის წევრები ელოდნენ. კვინტრაძესთან კაიშაური შევიდა და მინერალური წყალი და ბუტერბროდები შეუტანა.

– შენს კაბინეტში ვისაუბროთ, – ხმადაბლა უთხრა დავითინიძეს ჯაშმა.

– ასე ჯობია, – დერეფანში გამავალი კარი გამოაღო და გენერლებს გზა დაუთმო დავითინიძემ, – თქვენ ცოტა ხნით აქ დარჩით, – დაავალა ხელქვეითებს, – მალე დაგიძახებთ.

***

– იაშვილისადმი დობრონრავოვის მიერ მიჩენილი „პირადი მცველი“ სწორედ ის კაცი იქნებოდა, იაშვილმა რომ შეამჩნია და სამი დღე ემალებოდა. „იმენნა“ იმ „ტიპის“ გამოჩენა გახდა ქალის ჩვენთან მოსვლის მაპროვოცირებელი, – სამუშაო კაბინეტში მასთან მყოფ გენერლებს მიმართა დავითინიძემ.

– ასეა, – დაეთანხმა აბულაძე.

– კიდევ კარგი, იაშვილმა ჩვენთან მოსვლა მოასწრო და მანამდე არ მოკლეს, – შენიშნა ჯაშმა, – ამ ქალის ჩვენების დეტალები კვინტრაძემაც დაადასტურა.

– იაშვილი თავის ყველა ჩვენებაში სრულ სიმართლეს ამბობს... კვინტრაძემ როგორი შთაბეჭდილება დატოვა? – იკითხა დავითინიძემ, – საფუძვლიანი ლექცია კი წაგვიკითხა.

– აბა, – გაეცინა ჯაშს, – ძალიან „გაწელილი“ კი იყო, მაგრამ ინტერესით ვუსმენდი.

– მეც, – ღიმილით აღნიშნა აბულაძემ, – „ფართო დიაპაზონის“ კაცია.

– არა მგონია ტყუოდეს, – ივარაუდა ჯაშმა, – რაში უნდა სჭირდებოდეს?

– იქნება და საკუთარ დანაშაულს ფარავს? – არ დაეთანხმა აბულაძე, – იმ გაიძვერა ვუდთან თანამშრომლობდა, რა იცი რაზე წაუცდა ხელი?

– ვნახოთ, გამოჩნდება, – მშვიდად თქვა ჯაშმა.

– თქვენი არ ვიცი და მე კვინტრაძის ლაპარაკიდან ასეთი დასკვნა გამოვიტანე, – შენიშნა დავითინიძემ, – ვიღაც ცნობისმოყვარე ავანტიურისტმა „ტიპმა“ ვუდპეკერმა, სამყაროს ლაბირინთებში „ცხვირის ჩაყოფა“ და კიდევ ჩვენთვის უცნობი „რაღაცა“ მოინდომა, ამისათვის 3 მილიარდელი „ააგდო“, ვინ იცის მათ რა პერსპექტივები დაუსახა, ფულები „დასცინცლა“, „კოსმოსობანას“ თამაში წამოიწყო, ხალხი „მოუსვლელში“ გაყარა, კოსმოსიდან მიღებულ ინფორმაციებს „ჟოშავდა“. კაცმა არ იცის, რა ექსპერიმენტებს ატარებდა, გამოყენების შემდეგ ხომალდის ფიზიკურ განადგურებას გეგმავდა, მაგრამ მოულოდნელად სიტუაცია კონტროლიდან „გაუსხლტა“, კოსმოსიდან ხომალდი და მისთვის არასასურველი ხალხი დაბრუნდა, ზოგიერთი (მაგალითად, ჯონსონი და დობრონრავოვი) მოკლა, ზოგიც (მაგალითად, იაშვილი და კვინტრაძე) გაექცა. ახლა „ტიპი“ ზის და ფიქრობს, რა ქნას! უეჭველია, არ გაჩერდება და რაღაცა „მწარე-ცხარე-მჟავეს“ მოიმოქმედებს. ისმის კითხვა: ვინ არიან ეს მილიარდელები? წესიერი ხალხია და მეცნიერებაში „პროფანობის“ გამო „ვუდიკომ“ მოატყუათ (რაც ძალზე საეჭვოდ მეჩვენება), თუ ისინიც იმავე ცომის გუნდები არიან, რაც ეს ჩვენი „გენიოსა“ ბიჭია და „კრიმინალურ პუდინგს“ ერთად „კვარტეტში“ „აცხობენ“?

– ლექსიკაში გენაცვალე, დავით, – სიცილი აუტყდა ჯაშს.

– მართალს ამბობს, – ჩაეცინა აბულაძეს.

– ეს სერიოზული საკითხია, – წარბი არ შეუხრია დავითინიძეს.

– მერე, უნდა გამოვიძიოთ, იქნებ კვინტრაძე ტყუის და ეს ვუდპეკერი და მისი უფროსობა, როგორც ბატონი დავითი იტყვის ხოლმე, „ფრთაფარფატა“ ხალხია, – მხრები აიჩეჩა ჯაშმა, – ხელფასს ამაში გვიხდიან.

– რა ვქნათ, დობრონრავოვის გზავნილი არ წავიკითხოთ? – იკითხა აბულაძემ.

– აბა, აქ რისთვის მოვედით? დრო რომ არ დავკარგოთ და ყველამ სათითაოდ რომ არ ვიკითხოთ, იქნებ ხმამაღლა შენ წაგეკითხა დათო, –

სთხოვა დავითინიძეს ჯაშმა.

– ახლავე, – დავითინიძემ დალუქული კონვერტი გახსნა და ბარათი ამოიღო.

– რუსულადაა, – რძისფერ ფურცლებს თვალი გადაავლო პოლკოვნიკ-მა, – მერე ექსპერტიზაზეც უნდა გავუშვათ.

– აუცილებლად, – შენიშნა აბულაძემ.

– სანამ წავიკითხავდე, რუკას მინდა დავხედო, – ბარათის კითხვა მოულოდნელად გადაიფიქრა, გაშლილი ფურცლები გვერდზე გადადო და წიგნების კარადისაკენ გაეშურა დავითინიძე.

– რატომ, კვინტრაძის გეოგრაფიული „განსწავლულობა“ უნდა გადაამოწმო? – იხუმრა ჯაშმა.

– მხოლოდ ეგ არა, – კარადიდან რუკების სქელტანიანი ატლასი გადმოიღო და სარჩევის თვალიერებას შეუდგა დავითინიძე, – მგონია, რომ „იაშვილის გემი“ სან-ტომე და პრინსიპის დროშის ფრიალით და-ცურავდა.

– ლოგიკურია, ხო იცი! – მიუბრუნდა ჯაშს აბულაძე, – აბა, ერთი ვნახოთ!

– ვიპოვე! – მწვანე და ყვითელზოლებიანი, წითელ სამკუთხედიანი და ორ შავ ვარსკვლავიანი დროშის გამოსახულებას საჩვენებელი თითი გამარჯვებული სახით დაადო დავითინიძემ, – აი, შეხედეთ! იაშვილმა სწორედ ასეთი დროშა აღწერა.

– მაშინ გემის სვლა-გეზის მიმართულების გამოცნობაც ადვილი იქნება, – ატლასი გადაფურცლა ჯაშმა.

– ჰო, – ჩაფიქრდა აბულაძე, – იახტა ალბათ ასეთი კურსით მიდ-იოდა: შავი ზღვა, ბოსფორის სრუტე, მარმარილოს ზღვა, დარდანელის სრუტე, ეგეოსის ზღვა, ხმელთაშუა ზღვა, ჰიბრალტარის სრუტე, ატ-ლანტიკის ოკეანე.

– სხვანაირად ვერ წავიდოდა, – დაბეჯითებით თქვა ჯაშმა, – შავი ზღვიდან ატლანტიკის ოკეანეში სხვა გზით ვერც მოხვდები!

– „უცნაური რეტრომანის“ პირადი „სამოგზაურო“ მარშრუტი კი ასეთი იქნებოდა: თბილისი, გომბორი, სარფი, შავი ზღვის თურქეთის სანაპირო, იახტა, ბატონი ლევანის მიერ დასახელებული სრუტეები და ზღვები, შესაძლოა მაროკო, ატლანტიკის ოკეანის აფრიკის სანაპირო, გაბონი, სან-ტომე, კოსმოდრომი გვინეის ყურეში, ხომალდი, კოსმოსი, დედამიწა, ალბათ ისევ სან-ტომე, ან გაბონი, შემდეგ სტამბოლი, შავი ზღვა, მწვანე კონცხი, თბილისი, – იაშვილის მიერ სავარაუდოდ გამოვ-ლილი ადგილები ჩამოთვალა დავითინიძემ, – ერთი ადამიანისათვის ნამეტანი ხომ არ არის?! საცოდავი ქალი!

– ჰო, ძალიან დაიტანჯა, – თავი გაიქნია აბულაძემ, – ისე, ძლიერი და უტეხი სულის ქალი კია!

- მივხედავთ და უპატრონოდ არ დავტოვებთ, – განაცხადა ჯაშმა, – პრემიერ-მინისტრს მისი გაცნობა სურს და ალბათ დაეხმარება.

– კარგი იქნება, – კეთილად გაიღიმა დავითინიძემ.

– შეხედეთ რუკას, კოსმოდრომის განთავსების ადგილი მართლა რა ჭკვიანურად არის შერჩეული, – ატლასი მაგიდაზე დადო ჯაშმა, – ყველაფერი გათვლილი ჰქონიათ.

– ვუდპეკერი მაგარი „ძაღლიშვილი“ ჩანს, ეგეთები არ შეეშლებოდა, – მკაცრი ტონით აღნიშნა აბულაძემ.

– წინ დიდი წინააღმდეგობები შეგვხვდება, – მოიღუშა ჯაში, – ამხელა კორპორაციასთან შეჭიდება სახუმარო საქმე არ არის, ფესვები სად აქვთ გადგმული, ვინ იცის!

– სამხილებს თუ მოვიპოვებთ, „მივაწვებით“, – მტკიცედ თქვა დავითინიძემ.

– შენ და შენ გუნდს ბევრი ჯახირი მოგიწევთ, – გააფრთხილა ჯაში აბულაძემ.

– „მაგრები“ არიან, შესძლებენ, – შეაქო ხელქვეითები ჯაშმა.

– მოკლედ, ვეღარ გავიგე, დღეს ამ წერილს ვკითხულობთ, თუ არა? – უკმაყოფილება გამოხატა აბულაძემ.

– პირდაპირ რუსულად წაგიკითხავთ, რა, – ითხოვა დავითინიძემ.

– მიდი, – უფლება მისცა ჯაშმა, – გავიგებთ.

თავი II. საიდუმლო ბარათი

„ჩემი მეგობრული სალამი ქართულ სპეცსამსახურებს! – ბარათის კითხვა დაიწყო დავითინიძემ. – გწერთ რუსეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების სპეცსამსახურების მიერ ჯერ კიდევ სიყმაწვილის ასაკში გადაბირებული ე.წ. „ორმაგი აგენტი“, ასტროფიზიკოსი ვლადიმერ დობრონრავოვი. ნუ გაგიკვირდებათ, ამას ღიად რომ ვაცხადებ, მაინც განწირული ვარ და დიდი დღე არ მიწერია...

ბევრი დრო არ მაქვს, ძალიან ვჩქარობ და გულწრფელად მინდა თქვენი გაფრთხილება მოვასწრო, – როდესაც თქვენ ამ ბარათს წაიკითხავთ, მე ცოცხალი აღარ ვიქნები... ამიტომ ვცდილობ მოკლედ მოგაწოდოთ ის აუცილებელი ოპერატიული ინფორმაცია საერთაშორისო მასშტაბებით მოქმედი, მთელი პლანეტისათვის მეტად საშიში დანაშაულებრივი ორგანიზაციის თაობაზე, რაც მათი მხილებისა და გასამართლებისათ-

ვის გამოგადგებათ. დიდი იმედი მაქვს, რომ თქვენ ამას შესძლებთ.

ჩემი პიროვნებისა და კოსმოსური ექსპედიციის შესახებ ჩემი ძმობილი, დიდი მეცნიერი და უკეთილშობილესი კაცი, ალექსანდრე კვინტრაძე გიამბობდათ. ალეკომდე ოჯახის წევრები და ახლობელი ადამიანები არ მყოლია. ის და მისი შვილები გახდნენ ჩემი ოჯახი... მანამდე თქვენი ერის წარმომადგენლებს არ შევხვედრივარ, მაგრამ ალეკოს და ია იაშვილის მაგალითზე დავრწმუნდი, რომ ქართველები ღირსეული ხალხი ხართ და ყველაფერს კარგს სამართლიანად იმსახურებთ.

ოპერატიული მუშაობის დროს ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ დედამიწაზე არსებობს ადამიანთა ფინანსურად ძალიან ძლიერი ჯგუფი, რომელთა თავკაცების ვინაობა მკაცრად გასაიდუმლოებულია და სპეცსამსახურებმაც კი არ იციან. ისინი „მომავლის დესპანებად“ იწოდებიან და თავს მეცნიერებად ასაღებენ, სარგებლობენ თანამედროვე ტექნოლოგიებითა და უახლესი ტექნიკური საშუალებებით, მათი მიზანია ე.წ. „ახალი სამყაროს“, მათი ტერმინოლოგიით, „ენეს“-ის (N.S., ანუ „New Space”), შექმნა და იქ გაბატონება.

„დესპანებს“ სურთ კოსმოსიდან დაიპყრონ და მართონ დედამიწა, რისთვისაც საიდუმლო ვითარებაში, მიწისქვეშა ლაბორატორიებში ნანოტექნოლოგიების გამოყენებით ატარებენ ექსპერიმენტებსა და ქმნიან მასობრივი განადგურების უახლესი სახეობის იარაღებს, სწავლობენ პლანეტაზე მობინადრე ერების ეთნოფსიქოლოგიას, ინტელექტუალურ და ფიზიკურ შესაძლებლობებს და ამის მიხედვით ადგენენ ერების იერარქიულ სკალას, ანუ განსაზღვრავენ, თუ რომელი ერი უნდა განადგურდეს, რომელს რა იერარქიული ადგილი მიეჩინოს, რომელი რა ტერიტორიებზე განსახლდეს და ა.შ. მცირერიცხოვან ერებს, მათ შორის ქართველებს, მოსპობისა და ტერიტორიების გადანაწილების განაჩენი გამოუტანეს.

მათ ჰყავთ საკუთარი იდეოლოგები, რომლებიც ცდილობენ ამ „იდეის“ „გაკეთილშობილებას“ მისი პოლიტიკური, ფილოსოფიური და ეკონომიკური დასაბუთების გზით. საკუთარი ე.წ. „რელიგიაც“ კი შექმნეს და ეს ყველაფერი ლამაზად „შეფუთეს“. რეალურად ეს იდეოლოგია წარმოადგენს ნეოფაშიზმისა და ტერორიზმის ერთიან ნაირსახეობას და დიდ საფრთხეს უქმნის კაცობრიობას.

სამწუხაროდ, „დესპანებს“ მთელს მსოფლიოში აქვთ დასაყრდენი, თანამოაზრეებიც მრავლად ჰყავთ. ზოგიერთ ქვეყანაში მთავრობის გამოცვლა და თავიანთი მარიონეტების დასმაც კი შეუძლიათ, ამდენად მათი ზეგავლენა მსოფლიოზე არც თუ ისე ნელა ვრცელდება.

საქმე ისაა, რომ „დესპანები“ საკუთარი მიზნების განსახორციელე-

ბლად იყენებენ მსოფლიოს უნიჭიერესი ადამიანების გონებრივ შესაძლებლობებს. სამწუხაროდ, ბევრი ვერ ხვდება რას ემსახურება, ჰგონიათ, რომ კარგ საქმეს აკეთებენ, თანაც მეცნიერული ძიების პროცესი ძალიანაც მიმზიდველი, წარმტაცი და საინტერესოა...

„მომავლის დესპანები“ თავიანთი კაცთმოძულე იდეის განსახორციელებლად არ ერიდებიან არანაირ დანაშაულს, მოტყუებით შეცდომაში შეჰყავთ, შანტაჟის გზით თავიანთ ჭაობში ითრევენ და შემდგომ იყენებენ გაუთვითცნობიერებელ ადამიანებს, მოსყიდვითა და დაშინებით იძენენ მომხრეებს.

მათ ე.წ. „საქმიანობას“ დიდძალი თანხები სჭირდება, ამიტომ ვეჭვობ, რომ „დესპანების“ შემოსავლის წყარო არა მხოლოდ კანონიერი ბიზნესი, არამედ ნარკოტიკებითა და იარაღით ვაჭრობაც უნდა იყოს.

უნდა იცოდეთ, რომ „დესპანების“ საძმოს წევრები არიან კორპორაცია „CFC – STU“-ს დამფუძნებლებიც: ვადიმ სმირნოვი, რიჩარდ ტეილორი და რაკეშ ურსი, იგივე „დიდი სამეული“, აგრეთვე ფრედერიკ რიდლი, იგივე პროფესორი ვუდპეკერი. მათ მოტყუებით, შანტაჟითა და მუქარით თავიანთ სამსახურში ჩაიყენეს თანამედროვეობის ისეთი დიდი მეცნიერი, როგორიცაა პიტერ ბრაუნი, იგივე კაპიტანი ჯონსონი, რომელსაც კარგად ვიცნობ და მასზე მხოლოდ კარგისა და კეთილის თქმა შემიძლია.

გასაგებია, რომ კორპორაცია „CFC – STU“ „დესპანების“ ზრახვებისა და მიზნების განხორციელებისათვის შეიქმნა და მათ ინტერესებს ემსახურებოდა. დედამიწის მსგავსი პლანეტის მოძიებისა და კოსმოსური ტურიზმის განვითარების ოფიციალური საბაბით, საერთაშორისო კონვენციებით აკრძალული ექსპერიმენტების ჩასატარებლად კოსმოსში ხომალდი-ლაბორატორიის გაგზავნა ბატონი ვუდპეკერის აზრი იყო.

ხომალდზე არსებული ბირთვული რეაქტორისა და ლაზერული დანადგარების გამოყენებით იქმნებოდა და იცდებოდა მასობრივი განადგურების იარაღი. ხომალდის ბორტზე ეწყობოდა ცდები მედიცინისა და მიკრობიოლოგიის დარგში, ექპერიმენტები პირდაპირ ადამიანებზე ტარდებოდა. ასეთ ადამიანებს ვუდი „საექსპერიმენტო მასალას“ უწოდებდა და მათ ე.წ. „მესამე სამყაროს“, ანუ ეკონომიკურად გაჭირვებული ქვეყნებიდან, მოტყუებითა და შანტაჟით იზიდავდა. ექსპერიმენტის შედეგად გარდაცვლილ ადამიანებს ლაზერის სხივით წვავდნენ, ანუ პრაქტიკულად ფიზიკურად „აქრობდნენ“.

ხომალდის ეკიპაჟს ჩემნაირი უთვისტომო, ან სამშობლოდან იძულებით გადმოხვეწილი, „დესპანების“ ზეგავლენისა და სრული კონტროლის ქვეშ მყოფი, ერთგული ადამიანები შეადგენდნენ. მათ აბრიყვებდნენ

და ეუბნებოდნენ, რომ „ტარდება ისტორიული, კოლუმბის მიერ აღმოჩენილი ამერიკის კოლონიზაციის მსგავსი მნიშვნელობის ექსპედიცია და მასში მონაწილეობის მიღება თითოეული ადამიანისათვის დიდი პატივია“-ო.

ვუდპეკერმა იცოდა, რომ ჩემი სტუდენტობის მეგობარი ალეკო კვინტრაძე უჭკვიანესი ადამიანი იყო, თანაც გაჭირვებული ქვეყნიდან და როგორც თვითონ თქვა: „ამ ნათელი თავის ხელში ჩაგდება“ გადაწყვიტა. მე ვუდპეკერის თანაშემწე ვიყავი და კვინტრაძის „დათრევა“ და მისი ქვეყნიდან „საექსპერიმენტო მასალის“ ჩამოყვანა დამავალა. უარი განვაცხადე, მაგრამ ალეკოს ოჯახის დაცვა მაინც ვერ შევძელი, – ჩანაფიქრის შესასრულებლად ვუდპეკერი უკან არასოდეს არაფერზე იხევდა და მისი დავალებით „გორილებმა“ ალეკოს ცოლშვილს სიცოცხლე გაუმწარეს და მშვიდად ცხოვრების საშუალებას არ აძლევდნენ. ჩემი თვალით ვნახე, ვიღაც „ახმახი ტიპი“ აეროპორტში ალეკოს ფულს რომ სძალავდა. ამიტომ შევთავაზე ჩემს მეგობარს ბედს შეგუებოდა და კორპორაციასთან ეთანამშრომლა. დარწმუნებული ვარ, ალეკოს მეუღლე ვუდის ბრძანებით მოკლეს, რათა კვინტრაძეს მეცნიერების გარდა სხვა აღარაფერზე ეფიქრა და საქართველოში დაბრუნება არ მოენდომებინა...

„საექსპერიმენტო მასალის“ მოსაზიდად ვუდმა ბევრ ქვეყანაში და მათ შორის ბათუმშიც, თავის ხალხს ე.წ. „ტურისტული სააგენტოები“ დააარსებინა, ადგილობრივებს მსოფლიოში მოგზაურობასთან ერთად საზღვარგარეთ სამუშაოდ წაყვანას და დასაქმებასაც სთავაზობდნენ, მაგრამ რამდენადაც ვიცი, ქართველები მის ანკესზე არ წამოეგნენ და ბათუმის ფირმა მალევე დაიხურა.

ბათუმური სააგენტოს თანამშრომლებს საკუთრებაში ჰქონდათ იახტა (რომლის კაპიტანიც ვუდპეკერის ერთგული კაცი იყო) და ავტომანქანების პარკი, ყალბი უცხოური ნომრებით, საჭიროების შემთხვევაში მანქანებს ნომრებს უცვლიდნენ და მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე თავისუფლად მოძრაობდნენ. გარდა ამისა, გომბორის მთიდან ბათუმამდე გადასაფრენად ადგილობრივი ვერტმფრენის დაქირავებაც ადვილად მოხერხდა...

სხვა ქვეყნებში უცხოელები ასეთი თავისუფლებით ვერ სარგებლობენ, მაპატიეთ, მაგრამ თქვენთან ჩამოსულ ე.წ. „ბიზნესმენებს“ ბრმად ენდობით, ყველაფრის უფლებას აძლევთ და ზედმეტად ლოიალურად ექცევით...

ბათუმური ფირმის ფორმალური მფლობელი და ერთადერთი ქართველი თანამშრომელი იყო ამირან პაიჭაძე, რომელსაც კარგი ანაზღა-

ურების სანაცვლოდ, ხან თარჯიმნობას, ხან მცველობასა და ხანაც მძღოლობას ავალებდნენ. იგი ყოფილი ლეგიონერი იყო, ავღანეთში იბრძოდა, დაიჭრა, უსახსროდ დარჩა და ფირმის შეთავაზებას სიხარულით დათანხმდა, სააგენტოში მას არავინ არაფერს ეკითხებოდა, სინამდვილეში სააგენტოს ვუდპეკერის ნდობით აღჭურვილი პირი მართავდა. პაიჭაძემ არც კი იცოდა, ვის და რას ემსახურებოდა. სამწუხაროდ, ისიც და ყოვლად წესიერი კაცი, თურქი თარჯიმანი საიდიც, რომელიც ასევე მოტყუებით გადაიბირეს და რომლის შესახებაც ქალბატონი იაშვილი მოგიყვებოდათ, დავალების შესრულების შემდეგ ვუდპეკერმა მოაკვლევინა.

ეს ქალბატონი ცალკე საუბრის თემაა... იგი ჩვენს „ორბიტაზე“ სრულიად შემთხვევით შემოიჭრა. ალბათ განგების ძალით, ასეც უნდა მომხდარიყო... და მე მიხარია, ასე რომ მოხდა! იაშვილი რომ არა, დამნაშავეების მხილების შანსი რამდენად მომეცემოდა, არ ვიცი...

იაშვილის ვინაობა, პირადი ცხოვრება, საქმიანობა, სანათესაო და სამეგობრო წრე, თურქეთის ტერიტორიაზე მისი გადაყვანის შემდეგ მალევე დავადგინეთ, რადგან ვუდს თავისი „არხები“ აქვს და ინფორმაციის მოპოვებისათვის ფული არასოდეს დაუზოგავს...

იაშვილთან „მოლაპარაკებას“ და მის „გადაბირებას“ ვუდპეკერის დავალებით მისი კრიმინალი „ხელქვეითების“ (უნდა აღვნიშნო, რომ რიდლის ყველანაირ ხალხთან ჰქონდა ურთიერთობა, მათ შორის დანაშაულებრივ სამყაროსთანაც) „ძმაკაცები“, ნარკოტიკებით მოვაჭრე თურქი კრიმინალები აწარმოებდნენ. ალბათ, ქალბატონი ია მოგიყვებოდათ ვერტმფრენის, ფეშენებელური ვილისა და იახტის ამბავს. ბატონი ალეკოც მოგითხრობდათ გასამხედროებული „ზონის“, ანუ ე.წ. „კოსმოსური ტურისტების მოსამზადებელი ბაზისა“ და კოსმოდრომის შესახებ. ვიმედოვნებ, დასკვნებს თავად გამოიტანთ და ამდენად, დეტალებზე აღარ შევჩერდები. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ იაშვილის ხომალდზე აყვანა ვუდპეკერს მე შევთავაზე, რადგან იგი ქალის თურქი კრიმინალებისათვის დატოვებას აპირებდა. ძნელი წარმოსადგენი არ არის, იაშვილს რა ბედი ეწეოდა, მას გააუპატიურებდნენ და ტანჯვით მოკლავდნენ.

ვუდპეკერს ვუთხარი: „ეს ქალი ელიტარული ოჯახის შვილი და პოლიციის ოფიცერი ყოფილა, თავისიანები ძებნას დაუწყებენ. ის თურქები კი იქაურმა პოლიციამ ნარკოტიკებით ვაჭრობის ბრალდებით რომ აიყვანონ, ყველაფერს „დაფქვავენ“ და იაშვილსაც ახსენებენ. ამას რა შეიძლება მოჰყვეს, ადვილი მისახვედრია, რა ძალა გვადგია, არ გამოგვააშკარაონ“-მეთქი. ვუდპეკერი მაინც უარზე იყო: „აბა

„კოპს“ სახლში ხომ ვერ გავუშვებთ, ეგრევე თავისი ქვეყნის პოლიციაში „ჩაგვიშვებს“ და პრობლემებს შეგვიქმნის“-ო, – მითხრა. მაშინ შევთავაზე: „კოსმოსში გავგზავნოთ, გამოგვადგება, რადგან მცოდნე ხალხი გვაკლია, ის კი ჭკვიანი და განათლებული ქალია, ტექნიკასთან მუშაობა ვასწავლოთ და ჩვენს სასარგებლოდ გამოვიყენოთ“-მეთქი. ამაზე ვუდი დამთანხმდა და სამედიცინო შემოწმების შემდეგ იაშვილი მოსამზადებელ ბაზაზე გადავიყვანეთ...

მაშინ არ ვიცოდი, რომ ხომალდზე გაგზავნას ვუდი მეც მიპირებდა. ვერ გავიგე, რატომ – ჩემზე ეჭვი აიღო და მიხვდა, რომ ამერიკის სპეცსამსახურების დავალებით ვმოქმედებდი, თუ ზედმეტად ინფორმირებული ვიყავი და ჩემი თავიდან მოშორება მოუნდა, ან შეიძლება ჯონსონზე ზედამხედველობის გამოც, – მაგრამ ფაქტია, გამიმეტა და დასაღუპად თავიდანვე განწირულ ხომალდზე გამგზავნა. ამოცანის შესრულების შემდეგ ხომალდის ლიკვიდაცია „დიდი ოთხეულის“ მიერ ჩანაფიქრშივე იყო გადაწყვეტილი...

ამას მოგვიანებით, ხომალდზე ყოფნისას მივხვდი, გავიაზრე, რომ ვუდპეკერი ხომალდის დედამიწაზე დაბრუნებას არ აპირებდა და ყველანი ჭიანჭველებივით გაგვწირა... ქალბატონი იაშვილის შეუპოვრობამაც ბევრ მოვლენაზე აზრი შემაცვლევინა, ვფიქრობდი: „ქალია და თავის დაჩაგრულ მდგომარეობას არ ეგუება, სულ რაღაცისათვის იბრძვის და მხნეობისა და სულის სიმტკიცის მაგალითს იძლევა, მე რაღა მომივიდა, როგორ შეიძლება ქალმა მაჯობოს“-მეთქი. ბევრი განსჯის შემდეგ, ჯონსონთან დედამიწაზე დაბრუნების შესახებ დალაპარაკება გადავწყვიტე...

ჯონსონს სცოდნია, რომ დედამიწაზე აღარ დავბრუნდებოდით და თავს ახალი პლანეტის მოძებნის პერსპექტივით იმშვიდებდა. „როგორ შეგიძლია შეეგუო იმ ფაქტს, რომ ჩვენმა „სათაყვანებელმა“ რიდლიმ ასე უმოწყალოდ გაგვწირა? შენ რა, თავი მოგძულებია, თუ რაშია საქმე?“-მეთქი, ვკითხე. „სხვა გზა არა მაქვს, ვუდპეკერმა რაღაც ფინანსურ მაქინაციებში ჩემდა უნებურად გამხვია, შანტაჟი მომიწყო, ქონების წართმევითა და მოხუცი მშობლებისა და ცოლ-შვილის ქუჩაში გამოყრით დამემუქრა“-ო, მიპასუხა. ჯონსონის მიამიტობით განცვიფრებულმა ვუთხარი: „რამდენი წელი იქნება გასული?! შენი დანაშაული აქამდე ხანდაზმულობას დაექვემდებარებოდა, შენი აქ ყოფნის პერიოდში კი ვუდპეკერი შენს ოჯახს როგორ მოექცა, საიდან იცი?! ამ გაიძვერა „ტიპის“ ნდობა როგორ შეიძლება?! ხომ ხედავ, საერთაშორისო კანონმდებლობით აკრძალული ექსპერიმენტების ჩატარებასაც კი არ ერიდება, ყველას სათავისოდ გამოგვიყენებს და მერე თავიდან მოგვიშორებს!

ვერ ხვდები, რომ გიჟია, თანაც პირწავარდნილი ფაშისტი და საფრთხეს მთელს პლანეტას შეუქმნის?!“ – მეთქი. სახეზე ალმური აუვიდა და „მოვიფიქრებ“-ო, დამპირდა... სხვათა შორის, დედამიწაზე დაბრუნება მისთვის იაშვილსაც მოუთხოვია... საბედნიეროდ, ბრაუნი მიხვდა, რომ დაბრუნება აუცილებელი იყო, მან ხომალდის დაზიანება მოიმიზეზა და მიუხედავად ვუდპეკერის „მედგარი“ წინააღმდეგობისა, ჩვენ მაინც დავ-ბრუნდით. სამწუხაროდ, ამ ამბავს კაპიტანი ჯონსონი, იგივე პიტერ საიმონ ბრაუნი, თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი მეცნიერი, შეე-წირა, იგი ვუდპეკერმა საკუთარი ხელით მოკლა...

კოსმოსიდან დაბრუნების შემდეგ, ხომალდის ეკიპაჟი და ბორტზე მყოფი ადამიანები „ბაზაზე“ გადაიყვანეს და იქაურ ჰოსპიტალში განა-თავსეს, ალბათ აკვირდებიან... იაშვილი უგონო მდგომარეობაში იყო, ვუდპეკერი დავარწმუნე, რომ მოკვდა და კვინტრაძეს გადავეცი. მინ-დოდა გონს მოსულიყო, რადგან ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ქალი სამ-შობლოში დაბრუნებას და საკუთარი თავგადასავალის მოყოლას ყოველ მიზეზ გარეშე მოინდომებდა, რაშიც აუცილებლად დავეხმარებოდი. ასეც მოხდა, იაშვილი თბილისში დაბრუნდა. ქალს ჩემგან დავალებული ადამიანი, „მცველად“ საიდუმლოდ მივუჩინე და მას იაშვილის შესახებ ინფორმაციის მოწოდება დავავალე. ძლიერი ქალია, მოთვალთვალე „გაშიფრა“, ორი თუ სამი დღე ემალებოდა... მერე კი თქვენთან მოსვლა გადაწყვიტა. მეც ეს მინდოდა, მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ, იაშვილის თბილისში ყოფნის შესახებ ვუდპეკერმა შეიტყო და მის მო-საკლავად პროფესიონალი ქილერი გამოგზავნა.

ჩემი ინფორმაციით, ქილერი იყო ყოფილი რეინჯერი, ვინმე სემიუელ ეშტონი, მისი ამოცნობა მკლავზე ამომწვარი ტატუთიც შეიძლებოდა. ადრე იგი სამსახურიდან შეუფერებელი საქციელისათვის დაითხოვეს, უსახსროდ დარჩა და ვუდმა მოისყიდა. იაშვილს ოპტიკური სამიზნის მქონე, მაღალსიჩქარიანი ტყვიებით აღჭურვილი, შორსმტყორცნი და უზუსტესი, ზემძლავრი შაშხანიდან ესროლა. შემდეგ მას „ჩემმა კაცმა“ „მიხედა“ და სამხილები: მოკლული ქილერის მობილურით გადაღებუ-ლი ფოტოები, იარაღი, ტყვიები და ვაზნები ნიუ-იორკში წამოიღო და პირადად გადმომცა. მე ისინი პროფესიონალურად შევფუთე, ჩანთაში ჩავაწყე და რკინიგზის ცენტრალური ვაგზლის N19 შემნახველ საკანში დავმალე. იმედია, თითის ანაბეჭდები და დნმ-ის კვალი წაშლილი არ არის. საკანის პაროლია Only1Earth, ხოლო გასაღები ამ კონვერტშია მოთავსებული...

დედამიწაზე დაბრუნების შემდეგ ვუდპეკერი გვერდიდან არ მიშორებდა, მისი ნებართვის გარეშე, მარტო სასადილოშიც კი ვერ ჩავ-

დიოდი, თან ყველგან კამერები ეყენა და სულ ვიღაც მითვალთვალებდა. ამიტომ სპეცსამსახურებისათვის ინფორმაციის მიწოდებას კარგა ხანს ვერ ვახერხებდი. შემდეგ ცოტა დამშვიდდა და ყურადღება მოადუნა. მეც მომენტით ვისარგებლე, იაშვილი საქართველოში დავაბრუნე და თავის გადასარჩენად მიმალვა ვცადე, მაგრამ ვერ შევძელი, მდევარის სიახლოვეს უკვე ცხადად ვგრძნობ.

ჩემი ვარაუდით, ვუდპეკერის ხალხი მომდევს, მაგრამ შესაძლებელია ამერიკისა და რუსეთის სპეცსამსახურებიც დამეძებდნენ. რას ვიზამ, ბედის ირონიით, ყველასათვის მიუღებელი „პერსონა“ გავხდი. თუმცა, ამ ამბავს, ასე თუ ისე, შეჩვეული ვარ – ჩემზე უარი საკუთარმა მშობლებმაც კი დაბადებისთანავე თქვეს...

ვიცი, რომ მალე მეც ჯონსონის ბედს გავიზიარებ, მაგრამ რაც არის, არის, მიხარია, რომ ჩემი ადამიანური მოვალეობა პირნათლად მოვიხადე და დამნაშავეთა შესახებ ინფორმაცია და ნივთმტკიცებების მოწოდება შევძელი, უფრო სწორად, იმედი მაქვს, რომ ეს ასე იქნება... ახლა ჯერი თქვენზეა, წარმატებებს გისურვებთ!

მაპატიეთ, რომ სიჩქარეში „დაულაგებელი“ ტექსტი გამომივიდა.

ჩემგან გულთბილი მოკითხვა გადაეცით და დიდი პატივისცემა დაუდასტურეთ ჩემს ძვირფას ძმობილს, ალეკო კვინტრაძეს, მის ლამაზ ოჯახსა და უმშვენიერეს ია იაშვილს!

პატივისცემით, ვლადიმერ დობრონრავოვი.

მაიამი, 2051 წლის 28 აპრილი.

P.S. ამჟამად ვიმყოფები მაიამიში, იაფფასიან სასტუმრო „პალმა“-ში, სადაც დავრეგისტრირდი იან კოვალსკის სახელზე „გაცემული“ ყალბი აშშ პასპორტით. ამ შეტყობინების წერა დავასრულე 2051 წლის 28 აპრილს, 3 საათსა და 45 წუთზე საღ გონებაზე მყოფმა და სრულ სიმარტოვეში. მოგვიანებით მას გადავცემ ალექსანდრე კვინტრაძეს, რომელმაც თავის მხრივ ბარათი პირადად, „ხელიდან ხელში“ უნდა ჩააბაროს საქართველოს სპეცსამსახურების მაღალჩინოსნებს, ანუ იმ ხალხს, ვინც იაშვილის საქმეზე მუშაობს“. – კითხვა დაამთავრა და კონვერტიდან მომცრო ზომის გასაღები ამოაძვრინა დავითინიძემ.

თავი III. ოპერაცია „კოსმოსური ექსპერიმენტი“

სიჩუმე ჩამოვარდა – დობრონრავოვის გზავნილმა მაღალჩინოსნებზე დამთრგუნავი შთაბეჭდილება მოახდინა. საუბრის დაწყებამდე სამივე მათგანი ბარათის შინაარსს გულში განიხილავდა და შესაბამისი დასკვნები გამოჰქონდა.

„საქმე კიდევ უფრო რთულადაა, ვიდრე წარმომედგინა, – მსჯელობდა პოლკოვნიკი დავითინიძე, – ჩანს, რომ დობრონრავოვი „კორპორაციის თემაზე“ ჯერ კიდევ კოსმოსში გაფრენამდე მუშაობდა და ინფორმაციას ამერიკის სპეცსამსახურებს აწვდიდა. კოსმოსში გაფრენაზეც ვუდპეკერს „უფროსობის“ დავალებით დათანხმდებოდა... დედამიწაზე რომ დაბრუნდებოდა, ცხადია, წერილობით ანგარიშსაც მოამზადებდა და საჭიროებისამებრ წარადგენდა... ადამიანი ორმაგი აგენტი იყო, წესით, ინფორმაცია ორივე „ცენტრისათვის“ უნდა მიეწოდებინა, საინტერესოა ვის რა ინფორმაციებს უგზავნიდა?“.

„ამ წერილიდან ირკვევა, რომ ეს ვიღაც „დესპანები“ ამერიკელ კოლეგებს დიდი ხანია „დამუშავებაში“ ჰყოლიათ და მოთავეების ვინაობასაც მშვენივრად გაიგებდნენ... აი დობრონრავოვის წარმომავლობა და ნამდვილი გვარ-სახელი კი მხოლოდ რუსებს თუ ეცოდინებოდათ“, – მოისაზრა გენერალმა ჯაშმა.

„გამოდის, რომ კორპორაციის შესახებ აშშ-ს სპეცსამსახურებს ყველაფერი სცოდნიათ, მაგრამ ზემდიდარი ხალხის ციხეში ჩასმა არც ისე ადვილია... უტყუარი მტკიცებულებები ესაჭიროებოდათ და ალბათ, საკმარისად არ ჰქონდათ“, – ფიქრობდა გენერალი აბულაძე.

– ერთი ეს წერილიც მათხოვე, გადავხედო, – დუმილი დაარღვია ჯაშმა.

– ინებეთ, – ბარათი და კონვერტი მიაწოდა დავითინიძემ.

– მერე მეც უნდა ვნახო, – თქვა აბულაძემ.

– რასაკვირველია, – თავაზიანად გაიღიმა დავითინიძემ.

– ყველაფერი ნათელია, – ბარათის გადაკითხვის შემდეგ აზრი გამოთქვა ჯაშმა, – დობრონრავოვი უპატრონო და გამორჩეულად ნიჭიერი ბავშვი იყო, ამიტომ მიიპყრო რუსული სპეცსამსახურების ყურადღება, შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში შეაგზავნეს. იქაურ ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს ამ „დესპანებისა“ და მათი კორპორაციის შესახებ ყველაფერი მაშინათვე ეცოდინებოდა და ინფორმაციას აგროვებდა... ამერიკაში დობრონრავოვი ვუდპეკერს დაუახლოვდა და ადგილობრივი სპეცსამსახურების „თვალთახედვის არეშიც“ აქედან მოხვდებოდა. ამერიკელები მის გადაბირებას გადაწყვეტდ-

ნენ, ის კი თავს ვეღარ დაიძვრენდა, – „გაშიფვრის“ შეეშინდებოდა... საინტერესოა, რუსებმაც და ამერიკელებმაც თუ იცოდნენ, რომ „ტიპი“ ორმაგი აგენტი იყო?

– დროთა განმავლობაში, ცხადია, ორივე მხარე „გაშიფრავდა“, – დარწმუნებით თქვა აბულაძემ, – არავინ იცის მოსაკლავად ვინ მისდევდა... იქნებ ჯერ კიდევ ცოცხალია?!

– არა მგონია, – არ დაეთანხმა ჯაში, – მაშინ წერილს აღარ დაწერდა და კვინტრაძესთან ერთად საქართველოში ჩამოვიდოდა, დასახმარებლად ჩვენს გარდა სხვას ვერავის მიმართავდა.

– აქ როგორ ჩამოვიდოდა, – შენიშნა აბულაძემ, – რა სტატუსით? იმას ხომ არ გვეტყოდა: „რუსეთის და ამერიკის ორმაგი აგენტი ვარ, თანაც ვუდპეკერი და კორპორაციის უფროსობა სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადავიკიდე და თქვენ გადამაჩინეთ“-ო?

– წერილში ვუდპეკერის „მარჯვენა ხელობა“ და „ორმაგი აგენტობა“ ხომ აღიარა?! – ნიშნის მოგებით თქვა ჯაშმა, – ესე იგი, იცოდა, რომ მოკვდებოდა!

– ჰო, მართალი ხარ, – ფარ-ხმალი დაყარა აბულაძემ, – ალბათ მოკლეს... კვინტრაძემაც ხომ იგივე თქვა.

– ჩემის აზრით, – საუბარში ჩაერია დავითინიძე, – ამ შემთხვევაში პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს, თუ ვინ მოკლა დობრონრავოვი... რაც უნდა იყოს, იგი ჩვენს პატივისცემასა და თანაგრძნობას იმსახურებს... მან გარისკა და იაშვილს დაეხმარა, დამნაშავეებთან ბრძოლას თავი შესწირა... ძალიან დასანანია, ასეთი აღსასრული რომ ერგო...

– მეც ასე ვფიქრობ, – დაეთანხმა ჯაში, – ტრაგიკული ბედის კაცი იყო.

– ბავშვობიდანვე დაიჩაგრა, მაგრამ ადამიანურობა შეინარჩუნა, – კოლეგების აზრი გაიზიარა აბულაძემ, – გადამწყვეტ მომენტშიც კაცურად მოიქცა.

სამივემ თავი დახარა და რამდენიმე წუთს მდუმარედ ისხდნენ.

– ახლა რა გავაკეთოთ, დავით? – მცირე ხნის დუმილის შემდეგ სასაუბრო თემა შეცვალა და დავითინიძეს თვალებში შეშფოთებით ჩახედა ჯაშმა.

– რთული სიტუაციაა... ჩვენ უნდა ვიმსჯელოთ იმაზე, თუ როგორ ვამხილოთ დამნაშავე „ოთხეული“. მათ ძალიან დიდი ქონება მოიგდეს ხელში და მეცნიერების უახლესი მიღწევების გამოყენებით კაცობრიობის ისტორიის ბუნებრივი განვითარების დარღვევას ცდილობენ! მათ სურთ პლანეტაზე გაბატონება და მონათმფლობელური წყობის თანამედროვე ნაირსახეობის დამკვიდრება! როდესაც მსოფლიოში ადამიანები

რეალურ საფრთხეს გააცნობიერებენ, მათში თვითგადარჩენის ინსტინქტი გაიღვიძებს, თავდაცვის მექანიზმი ამუშავდება და აქტიურ მოქმედებაზე გადავლენ. ამას რა მოყვება, არავინ იცის... ამიტომ ზოგადად „დესპანებს“ და კონკრეტულად კორპორაციის მესვეურებს, თავიანთი „შიზოიდური“ იდეების განხორციელების უფლება, ცხადია, არ უნდა მიეცეს...

ისმის კითხვა: რა შეგვიძლია ჩვენ? გვაქვს ორი არჩევანი... ჩვენ შეგვიძლია ის მტკიცებულებები, რაც უკვე ხელთ გვაქვს, ანუ იაშვილისა და კვინტრაძის ჩვენებები, იაშვილის სამედიცინო გამოკვლევების მასალები, დობრონრავოვის წერილი და ეს „პაწაწა“ გასაღები, „ციმ-ციმ“ გადავცეთ ჩვენს პატივცემულ ამერიკელ კოლეგებს და ამით გამოძიება დავასრულოთ.

– ანუ „ხელები დავიბანოთ“, არა, დავით? – სიტყვა გააწყვეტინა ჯაშმა.

– თუნდაც, – გაეღიმა დავითინიძეს, – ან ჩვენში რომ ვთქვათ, სხვა რა დაგვრჩენია? ჩვენი გასაკეთებელი გავაკეთეთ, უცხო ქვეყნის ტერიტორია კი ჩვენს იურისდიქციაში არ შემოდის და ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებებს იქ ვერ ჩავატარებთ... შეგვიძლია თავი დავიმშვიდოთ და საქმე სუფთა სინდისით დავხუროთ! მაგრამ...

– მაგრამ ვერ ისვენებ და ამერიკაში მივლინებით წასვლა გინდა, რათა საკნის შიგთავსი საკუთარი თვალით იხილო, შენებურად „შეაფასო“ და მერე როგორც საჭიროდ ჩათვლი, ისე მოიქცე, – ჩაიცინა ჯაშმა, – კარგად გიცნობ, ამერიკელებს ახლოს არ გაეკარები!

– არა, კაცო, – თვალები მოჭუტა დავითინიძემ, – მხოლოდ მაგის გულისათვის იმხელა ოკეანის თავზე ხანგრძლივ და დამღლელ გადაფრენას რა აზრი აქვს?! პატარა ბიჭი კი აღარა ვარ, თვითმფრინავით უაზროდ „ვიკატაო“? სადღა შემიძლია!

– კარგი ერთი, – გაეცინა აბულაძეს, – რა აღარ შეგიძლია? ფრთები რომ გქონდეს, აქედან ამერიკამდე თავისუფლად გადაფრინდებოდი!

– აბა, რა გაქვს ჩაფიქრებული, დროზე გვითხარი, – პასუხს მოუთმენლად ელოდა ჯაში, – რა არჩევანზე ლაპარაკობდი?

– რაზე და, უნდა ჩავატაროთ ოპერაცია კოდური სახელწოდებით „კოსმოსური ექსპერიმენტი“, – დინჯად და აუღელვებლად განაცხადა დავითინიძემ.

– რას გულისხმობ, დაგვიკონკრეტე, – მოითხოვა აბულაძემ.

– იაშვილს სატყუარად გამოვიყენებთ, – დამარცვლით თქვა დავითინიძემ და გენერლების რეაქციას დააკვირდა.

– მონახაზი! – დაინტერესდა ჯაში.

– ქალი თავის ბოლო „სახლში“ გავუშვათ და დაველოდოთ, რა მოხდება, – ჩანაფიქრის გადმოცემას შეუდგა დავითინიძე, – დარწმუნებული ვარ, ვუდპეკერის ხალხი მოაკითხავს... ბედად, ქალი აქვე, დეპარტამენტთან ახლოს იცხოვრებს, გაშვებამდე უსაფრთხოების ყველა ზომა მიღებული და მახე დაგებული გვექნება... საჭირო დროს შესაბამის მოქმედებებს ჩავატარებთ და ვიღაცეებს „ჩავავლებთ“... ამ ყველაფრის ორი უწყების ერთობლივი ძალებით ორგანიზება, მოგეხსენებათ, ძნელი არ არის. შემდეგ „ტიპებს“ დავკითხავთ და დარწმუნებული ვარ, ბევრ საინტერესო ამბავსაც შევიტყობთ, რაც გამოძიებას საგრძნობლად წინ წასწევს... ამით ჩვენს ამერიკელ კოლეგებს გვარიანად დავეხმარებით და კაცობრიობასაც კარგ სამსახურს გავუწევთ.

– რატომ გგონია, რომ ვუდპეკერი და ხროვა იაშვილის „თავისუფლად გაშვების“ ვერსიას დაიჯერებს? მაშინათვე მიხვდებიან, რომ მახეს ვუგებთ, – შეყოყმანდა ჯაში.

– დაიჯერებენ, თუ არა, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, – მხრები აიჩეჩა დავითინიძემ, – ვუდი ყველა შემთხვევაში მომენტს ხელიდან არ გაუშვებს და იაშვილისაგან ინფორმაციის „ამოქაჩვას“ და შემდეგ მის მოკვლას შეეცდება.

– მერე იაშვილი სატყუარის როლზე დაგვთანხმდება? – იკითხა აბულაძემ.

– დარწმუნებული ვარ, კი, – დაბეჯითებით თქვა დავითინიძემ, – უშიშარი ქალია.

– კვინტრაძეზე რა იტყოდი, – შესთავაზა ჯაშმა, – ოპერაციაში ისიც ხომ არ ჩაგვერთო?

– არაააა! რა საჭიროა, – აზრი არ მოეწონა დავითინიძეს, – ვუდპეკერს კვინტრაძე მკვდარი ჰგონია! დარწმუნებული ვარ, ჯინჭარაძე მან მოაკვლევინა! ეტყობა იაშვილს უთვალთვალებდნენ და მის აქედან გასვლას ელოდებოდნენ. ამ დროს ნახეს, რომ ჯინჭარაძეც დავიბარეთ... ალბათ სახლამდე მიყვნენ და მათი აზრით, „მოწმე კვინტრაძე“ თავიდან მოიშორეს.

– მით უმეტეს! ცოცხალ კვინტრაძეს რომ დაინახავენ, შოკის მომენტით ვისარგებლებთ, – თვალები გაუბრწყინდა აბულაძეს.

– კი მაგრამ, – შეეკამათა ჯაში, – ვუდპეკერი იაშვილის მოსაკლავად თვითონ ხომ არ ჩამოვა და არც აქ უკვე ნამყოფ კაცს არ გამოუშვებს, შოკი ვის დაემართება?! აზრი არა აქვს, ისედაც „ავიყვანთ“! თანაც კვინტრაძე სამოქალქო პირია, მით უმეტეს, ასაკშია, ვერ „გაქაჩავს“.

– მართალი ხარ, – აღიარა აბულაძემ, – ჩემი წინადადება უკანვე მიმაქვს.

– ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, – თქვა ჯაშმა, – რომ ვუდპეკერს კვინტრაძის ნაბოლარა შვილიც გარდაცვლილი ჰგონია. ჩვილი ბავშვი იყო და ალბათ, ირმასთან მანქანაში ეგულებოდათ.

– ასე ჩანს, – დაეთანხმა აბულაძე, – წინააღმდეგ შემთხვევაში ბავშვს მოძებნიდნენ და მოკლავდნენ... ტოპლუს ფაქტორიც თავის სასარგებლოდ გამოიყენეს, კვინტრაძეს მუქარა და შანტაჟი ასე ვთქვათ, „ტოპლუს სახელით“ მოუწყვეს და სამშობლოდან წასვლა აიძულეს... საინტერესოა, რიდლი ტოპლუს პიროვნებით თუ დაინტერესდა?

– არა მგონია, მასზე მხოლოდ ინფორმაციას „შეაგროვებდა“, თავს კი იმ შემთხვევაში შეიწუხებდა, თუკი ტოპლუ მათ „ორბიტაზე“ კიდევ გამოჩნდებოდა, – აღნიშნა ჯაშმა, – ის კი გერმანიაში წავიდა და „დაეკარგათ“, ანუ „ფეხებში არ ებლანდებოდათ“.

– ამერიკელების მიერ მოწოდებული ოფიციალური ინფორმაციით, – დეტალებს აზუსტებდა აბულაძე, – „რეინჯერი“ 10 წლის წინათაა გარდაცვლილი. გამოდის, რომ იმ ტიპს „გაქრობაში“ ვუდი დაეხმარა და ყალბი საბუთებიც მან „გაუკეთა“!

– მერე და ეს გასაკვირია? – საწერი კალამი ხელში ნერვიული მოძრაობით აათამაშა ჯაშმა, – დობრონრავოვმა იაშვილისთვისაც გააკეთებინა ყალბი საბუთები.

– ჰო, ასეა, – ჩაფიქრებით თქვა აბულაძემ, – ვუდპეკერისაგან გასაკვირი მართლაც არაფერია, დობრონრავოვიც ბევრ „საჩოთირო“ ამბებში ეყოლებოდა „გახვეული“.

– როგორც მივხვდი, – მიმართა დავითინიძეს ჯაშმა, – შენ ჯერ იაშვილს სატყუარად გამოიყენებ, ხოლო მერე ამერიკაში წახვალ და „ნივთმტკიცებასაც ამოიღებ“.

– თან გადავამოწმებ, მართლა ცხოვრობდა თუ არა მაიამის სასტუმრო „პალმა“-ში დობრონრავოვი, იგივე კოვალსკი. ვფიქრობ, ასეც იქნებოდა. მე მიმაჩნია, რომ სრულყოფილი გამოძიებისათვის ოპერაციის ჩატარება და ამერიკაში წასვლა აუცილებელია, – აზრი არ შეუცვლია დავითინიძეს.

– მერე რას ვიზამთ? – დავითინიძის მიზანს ვერ ჩასწვდა ჯაში.

– რას და მთლიან მასალას, თავისი ნივთმტკიცებებიანად თავს ერთად მოვუყრით, იურიდიულად გამართულ სახეს მივცემთ და ამერიკელ კოლეგებს გადავცემთ, – მშვიდად განაცხადა დავითინიძემ, – მერე თავიანთ საქმეს თვითონვე მიხედავენ.

– ამდენი წვალებისა და სირბილის შემდეგ ნაშრომს მაინც ისევ ამერიკელებს გადავცემთ? – გაუკვირდა ჯაშს.

– აბა, ვუდპეკერიცა და მისი ბანდაც იქაურები არიან და იქ „მოღ-

ვაწეობენ“, ჩვენ კი იქ არაფერი გვესაქმება და სხვა რა უნდა მოვიმოქმედოთ? გარდა ამისა, რა ვიცით რეალურად რა არის იმ საკანში? იქნებ დობრონრავოვმა შეცდომაში შეგვიყვანა, კოლეგებს გადაუმოწმებელ ინფორმაციას ხომ ვერ მივაწვდით? – გაჯიუტდა დავითინიძე.

– ნუ გეშინია, – „დაამშვიდა“ დავითინიძე ჯაშმა, – წერილსაც და საკნის შიგთავსსაც თვითონვე გადაამოწმებენ და ექსპერტიზასაც ჩაუტარებენ.

– გასაგებია... ისინი ჩვენს მიერ მიწოდებულ მასალებსაც და ნივთმტკიცებებსაც ყველა შემთხვევაში გადაამოწმებენ. თბილისში ჩამოსვლას და კვინტრაძე-იაშვილის „დუეტის“ ხელახლა დაკითხვასაც არ დაიზარებენ! ჩვენ რა, მათ ადგილზე სხვანაირად მოვიქცეოდით? არ მინდა უზუსტობა დავუშვათ და ოკეანისგადაღმელმა კოლეგებმა სასაცილოდ აგვიგდონ!

– მყარი არგუმენტაცია და „რკინის ლოგიკაა“, – ღრმად ჩაისუნთქა და სავარძლის საზურგეზე გადაწვა ჯაში, – შენთან კამათით დავიღალე!

– კარგი, ბატონო დავით, მეც დამარწმუნეთ, – „დანებების“ ნიშნად ხელები მაღლა ასწია აბულაძემ, – თანახმა ვარ, ჩავატაროთ ოპერაცია ეეე... ჰო, „კოსმოსური ექსპერიმენტი“!

– ალბათ, ასე აჯობებს, – ფიქრიანად თქვა ჯაშმაც, – ოპერაციის გეგმა დასამტკიცებლად მოამზადე, დავით.

– პროექტი უკვე მზად მაქვს, – შავ ტყავგამოკრულ საქაღალდეში მოთავსებული და ხელმოსაწერად გამზადებული სქელტანიანი დოკუმენტი მომღიმარი სახით მიაწოდა ჯაშს დავითინიძემ, – დობრონრავოვის წერილის გარეშეც, იაშვილის აქედან გაშვების შემთხვევაში, სპეცოპერაციის ჩატარებას ისედაც ვაპირებდი.

– რამსისქეა! – დავითინიძეს საქაღალდე ჩამოართვა ჯაშმა, – ოპერატიულად მუშაობთ, ბატონო პოლკოვნიკო!

– რა თქმა უნდა, ბატონო გენერალო, – კმაყოფილი ღიმილით განაცხადა პოლკოვნიკმა, – საქაღალდეში სხვა მასალებიცაა... თქვენს წინაშე წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს ყველაფერს, რაზეც ზემოთ გესაუბრეთ, მათ შორის საზღვრებისა და ზღვის აკვატორიის კონტროლის გამკაცრებასაც... ასე რომ, ჩვენს გარეშე ქვეყანაში ჩიტიც ვერ შემოფრინდება! სიტუაციის ზუსტი, სრულყოფილი და ღრმად გამომხატველობითი აღწერისათვის, – იხუმრა და შემდეგ პოლიციური „სლენგი“ გამოიყენა დავითინიძემ, – მოგახსენებთ, რომ „ტიპებს“ ჯერ „მივუშვებთ“ და „ვატარებთ“, ამასობაში საფუძვლიანად „გავთირავთ“ და შემდეგ უხმაუროდ „ავიყვანთ“!

– კარგი, თანახმა ვარ, – კალამი მოიმარჯვა ჯაშმა, – გეგმისა და

წერილის შესახებ პრემიერ-მინისტრსაც უნდა მოვახსენოთ.

– აუცილებლად! – ჯაშის მოსაზრებას მყისვე გამოეხმაურა აბულაძე, – გეგმა მეც მომეცით, წავიკითხავ და ხელს მოვაწერ.

– კიდევ რაღაც მინდოდა მეთქვა, „შეფ“, – უთხრა ჯაშს დავითინიძემ.

– რა არის? – ყურადღება დაძაბა ჯაშმა.

– საკნის პაროლზე მინდა მოგახსენოთ, – საუბრის თემა შეცვალა დავითინიძემ.

– კოდი მახსოვს, Only1Earth! – ჩაეცინა ჯაშს, – მერე?

– „მხოლოდ ერთი დედამიწა“! – პაროლი ქართულად წარმოსთქვა დავითინიძემ, – ანუ ერთადერთი... ეს დობრონრავოვის ცხოვრებისეული ლოზუნგია.

– და არა მხოლოდ მისი, – გულღიად თქვა ჯაშმა, – ალბათ, ჩვენიც!

***

– ბატონო დავით, როგორც დამავალეთ, ია იაშვილი მისაღებში ამოვიყვანე, – დავითინიძის კაბინეტის კარები შემოაღო ვახტანგ ჭეიშვილმა.

– სთხოვე, – წამოდგა დავითინიძე.

– მობრძანდით, ქალბატონო ია, – ჭეიშვილმა იაშვილი კაბინეტში შეიპატიჟა და მისაღებში გავიდა.

– გამარჯობა, ბატონო პოლკოვნიკო, – იაშვილი ოთახში თამამად შემოვიდა და დავითინიძეს ხელი ჩამოსართმევად გაუწოდა.

– ოცდაათი ცხენოსნით გახლავართ და გულითადად მოგესალმებით, ჩვენო ქალბატონო ია, – დავითინიძემ იაშვილს ხელი მოწიწებით ჩამოართვა და სავარძელზე მიუთითა, – გთხოვთ, აქ დაბრძანდეთ!

იაშვილს დავითინიძის მისალმებაზე გაეღიმა, უნდოდა ეკითხა: „ამერიკული წინწკლებიანი მუსტანგებით, თუ მამა-პაპური ქურანა ფაშატებით“-ო, მაგრამ საპასუხო ხუმრობისაგან თავი შეიკავა და არაფერი უთქვამს.

– თქვენთან ძალიან მნიშვნელოვანი საქმე მაქვს, – მოპირდაპირე მხარეს განთავსებული სავარძლისაკენ საქმიანი ნაბიჯებით გაემართა დავითინიძე.

– თუკი რამე შემიძლია, მზად ვარ გემსახუროთ, – სავარძელში მოხერხებულად მოკალათდა და სმენად იქცა იაშვილი.

– კვინტრაძის ოჯახთან დაკავშირებით, თქვენს მიმართ გამოძიება დასრულებულია, ალბათ ხვდებით?

– რასაკვირველია, – სახეზე ირონიული ღიმილი აღებეჭდა იაშვილს, – იმასაც ვხვდები, რომ გამართლებული ვარ და სისხლის სამართლის

საქმე დანაშაულის არარსებობის გამო, შეწყდება.

– ცხადია, – თავი უხერხულად იგრძნო დავითინიძემ.

– სახლში მიშვებთ? – ჩაეკითხა იაშვილი.

– კი, გიშვებთ... მაგრამ თქვენი დახმარება გვჭირდება, – თვალებში გამომცდელად ჩახედა იაშვილს დავითინიძემ.

იაშვილს სახის გამომეტყველება არ შეცვლია.

– აქ სხვა პრობლემაა, – დავითინიძემ არ იცოდა, როგორ შეეთავაზებინა იაშვილისათვის ოპერაციაში მონაწილეობის მიღება, – თქვენ მნიშვნელოვანი მოწმე ხართ და ვუდპეკერი თქვენს ფიზიკურ განადგურებას ყველანაირად შეეცდება, მან ქილერი უკვე მოგიგზავნათ და შემთხვევით გადარჩით.

– მახსოვს, – სევდიანად გაიღიმა იაშვილმა, – კატის ასაყვანად რომ არ დავხრილიყავი, ტყვია შუბლს გამიხვრეტდა... უფალმა გადამარჩინა!

– სწორედაც... სახლში თუ გაგიშვებთ, ქილერი კიდევ „გესტუმრებათ“.

– მერე, მე რა ვქნა? – განცვიფრდა იაშვილი, – ხომ მაინც მიშვებთ?!

– უკვე გითხარით, რომ გიშვებთ, – წარბები შეიჭმუხნა დავითინიძემ, – თუმცა, უნდა იცოდეთ, რომ გამოძიება გრძელდება და...

პოლკოვნიკი სათქმელის გაჭიანურებას აღარ აპირებდა, მაგრამ იაშვილმა სიტყვა მოულოდნელად შეაწყვეტინა და დაბალი ხმითა და იდუმალი გამომეტყველებით თქვა:

– თქვენ სპეცოპერაციის ჩატარებას გეგმავთ, ქილერის ცოცხლად „აყვანა“ და მისი მეშვეობით შემკვეთებზე „გასვლა“ გინდათ, მე კი ამ ოპერაციაში მონაწილეობა უნდა მივიღო! სწორად მივხვდი, ხომ?

– ასეა, – დაუდასტურა იაშვილის მიხვედრილობისაგან არცთუ ძალიან განცვიფრებულმა დავითინიძემ.

– ვიცოდი, რომ სპეცოპერაციაში მონაწილეობა მომიწევდა, – მშვიდად თქვა იაშვილმა.

– საიდან უნდა გცოდნოდათ? – გაეღიმა დავითინიძეს, – მეც არ ვიცოდი, ოპერაციას თუ ჩავატარებდი.

– მარტივი სქემაა, – შენიშნა ქალმა, – კრიმინალებს გამოვექეცი, მომძებნეს და ქილერი მომიგზავნეს, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწიეს და მეც თავშესაფარში დავიმალე. ახლა მელოდებიან სამალავიდან როდის „გამოვძვრები“, ქილერი კიდევ ერთხელ რომ მომიგზავნონ და ჩანაფიქრი ბოლომდე მიიყვანონ. სანამ არ მომკლავენ, არ გაჩერდებიან. ლოგიკურია, რომ ამ გარემოებას გამოიყენებდით და სპეცოპერაციას ჩაატარებდით.

– გეტყობათ პოლიციის ოფიცერი რომ ხართ, – შეაქო იაშვილი დავითინიძემ, – ყველაფერს გაგებით ეკიდებით.

– სხვა რა გზა მაქვს, – გულწრფელი უშუალობით განაცხადა იაშვილმა, – თანაც უკვე აღარაფრის მეშინია... მზად ვარ თქვენი მითითებები შევასრულო.

– თქვენ სახლში ხვალ დილის 10 საათისთვის ფეხით წახვალთ, ლაბაძე ეზომდე მიგაცილებთ და უკან ისიც ფეხით გამობრუნდება. მეზობლებმაც და ყველამ, ვისაც აინტერესებთ, უნდა „დაგაფიქსირონ“, რომ დაბრუნდით და ცხოვრებას ჩვეულებრივი რეჟიმით განაგრძობთ. ბინაში სნაიპერი და ორი სპეცრაზმელი დაგხვდებათ, ისინი თქვენთან ერთად ფარულად იქნებიან და 24 საათის განმავლობაში დაგიცავენ. საკმარისი საკვები პროდუქტი მაცივარში და საკუჭნაოში წინასწარ მოთავსდება, მაგრამ ყოველ დღე სხვადასხვა დროს ეზოში განთავსებულ სასურსათო მაღაზიაში შეიარეთ და საჭმელი მხოლოდ თქვენთვის იყიდეთ ხოლმე, ყველას უნდა ეგონოს, რომ მარტო ცხოვრობთ.

ვუდპეკერის „ხალხს“ ეცოდინება, რომ დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტს მიაკითხეთ, თავისუფლად „მოსეირნეს“ რომ გნახავენ, ამოქმედდებიან. ჩემი ვარაუდით, თქვენ მათ ცოცხალი სჭირდებით. ცხადია, სურთ გაიგონ, რა ინფორმაცია მოგვაწოდეთ, ამიტომ ან თქვენს გატაცებას, ან საჭირო ინფორმაციის ადგილზევე მოპოვებას შეეცდებიან და თუ ეს ვერ მოახერხეს, გესვრიან, მაგრამ გპირდებით, საქმე აქამდე არ მივა! ოპერაცია საგულდაგულოდ დაიგეგმა და ყველაფერი უხმაუროდ ჩაივლის... ბიჭებს დავავალებ, აქედან რომ გახვალთ, პირადი უსაფრთხოების საკითხებში ინსტრუქტაჟს ჩაგიტარებენ და მობილურ ტელეფონს, სპეცტექნიკასა და იარაღს გადმოგცემენ. იარაღის ხმარება ხომ იცით?

– ოდესღაც ვიცოდი, – შეყოყმანდა იაშვილი, – მაგრამ თქვენს საუწყებო „სასროლეთში“ პატარა წავარჯიშება მაინც დამჭირდება.

– უსათუოდ... დღის განმავლობაში ჩვენი ოპერატიული სამსახური თქვენს სამეზობლოს, ასე ვთქვათ, „შეათვალიერებს“, ამაღამ კი თქვენს ბინაში დაცვითი ღონისძიებები გატარდება და ვიდეოკამერები დაყენდება. ამდენად, ბინა, მთლიანად სახლი და ეზო სრულ კონტროლქვეშ იქნება.

– გასაგებია, – თვალ-წარბზე მარჯვენა ხელი აიფარა და შემდეგ შუბლზე აისვა იაშვილმა, – მოვლენ და დავხვდებით... მობილურში თქვენი და ლაბაძის ნომრები ჩაწერონ.

– აუცილებლად! ყველა საჭირო ნომერი გექნებათ, თქვენს პირად ნივთებსაც გაგატანენ... თქვენი მჯერა, ქალბატონო ია და თქვენც მენდეთ, ოპერაცია წარმატებით დასრულდება, – დააიმედა ქალი დავითინიძემ.

– ყველანაირად ვეცდები, – მხნედ გაიღიმა იაშვილმა.

– ოპერაციის დამთავრების შემდეგ სასტუმრო „ოჯახურ სავანეში“ გადაგიყვანენ, ჩვენს მიერ დაცული ტერიტორიაა და გამოძიების დასრულებამდე ასეთად დარჩება. იქ უსაფრთხოდ იქნებით და მერწმუნეთ, არ მოიწყენთ. მე მივლინებით მივემგზავრები და გარკვეული პერიოდი ვერ შევხვდებით. სამაგიეროდ, მერე აქ მოგიწვევთ და როგორც შეგპირდით, თქვენი თავგადასავალის უცნობ დეტალებსაც „გაგიშიფრავთ“!

– მივლინებით შტატებში მიდიხართ, არა? – თვალები გაუფართოვდა იაშვილს.

– რა? – მოულოდნელმა „ჩამჭრელმა“ შეკითხვამ დავითინიძე შეაცბუნა.

– მოვლენათა თანმიმდევრობის ლოგიკური ჯაჭვია, – დავითინიძის რეაქციაზე გაეცინა იაშვილს, – ვუდპეკერი და მისი „დამქაშები“ ამერიკაში ცხოვრობენ... თქვენ სპეცოპერაციას ტყუილად ხომ არ ჩაატარებთ... ესე იგი, სპეცოპერაციის შედეგების ამსახველი მასალები ამერიკელ კოლეგებს უნდა მიაწოდოთ...

– კვინტრაძის დაკითხვის შედეგად ახალი გარემოებების გამოვლენის გამო, – იაშვილისათვის სიმართლის თქმა გადაწყვიტა დავითინიძემ, – გამოძიება ახალ ფაზაში შევიდა. საქმე ეხება კოსმოსში ექსპედიციის მოწყობის ფაქტს, ხომალდზე ჩატარებულ ექსპერიმენტებსა და ამ ყველაფერთან დაკავშირებულ ადამიანებს. უნდა დადგინდეს, გვაქვს თუ არა საქმე დანაშაულთან და დასახელდნენ კონკრეტული დამნაშავეები, ვინც არ უნდა იყვნენ ისინი. მერწმუნეთ, გამოუძიებელი არაფერი დარჩება.

– გასაგებია, მაგრამ თქვენი იქ წასვლა სავალდებულო სულაც არ არის, – შუბლი შეიკრა იაშვილმა, – მასალები საელჩოს მეშვეობით გაგზავნეთ. ვუდპეკერი სასტიკი და უპრინციპო კაცია, თანაც ნიჭიერი, იგი ყველანაირ სიბოროტეს ნიჭიერად აკეთებს და ამდენადაა საშიში... თუ გახსოვთ, მე თვითონ გთხოვდით კოსმოსური ხომალდისა და მასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლას, მაგრამ მერე რომ დავფიქრდი, მივხვდი, რომ თქვენ ამას ვერ შესძლებთ... დიდი მასშტაბებია, თქვენი მოქმედების არეალი კი მხოლოდ ჩვენი საყვარელი, მაგრამ პატარა ქვეყნის ტერიტორიით შემოიფარგლება.

– აბა რა ვქნათ, დამნაშავეები არ ვამხილოთ?

– ძვირფასო ბატონო დავით, – დამარცვლით თქვა იაშვილმა, – მათზე ჩვენი იურისდიქცია არ ვრცელდება! ვისიც ვრცელდება, იმან ამხილოს. ჩვენ ერთი ბეწო ქვეყანა ვართ და მსოფლიოში სათანადო ზეგავლენაც არა გვაქვს, არავინ მოგვისმენს.

– თქვენ არ მეუბნებოდით, „საქართველოს საფრთხე ემუქრება და დაიცავით“-ო?!

– ჩვენთვის თავის დაცვა კოსმოსური ექსპედიციისა და მისი მიზნების შესახებ მსოფლიოში ინფორმაციის გავრცელებით, ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების მიერ სათანადო დასკვნების გამოტანითა და შექმნილი ვითარების შესაბამისი ზომების გატარებითაა შესაძლებელი. მოსახლეობამ უნდა იცოდეს, რა საფრთხეები ემუქრება.

– ანუ, თქვენის აზრით, მოკვლეული მასალა ამერიკელ კოლეგებს დიპლომატიური ფოსტით გავუგზავნოთ და ამით დავამთავროთ.

– დიახ, თავიანთ კრიმინალებს თვითონვე მოუვლიან.

იაშვილის სიტყვებმა დავითინიძე ააღელვა.

– მე ასე არ ვფიქრობ, – შეეკამათა ქალს.

– ჩემო ღრმად პატივცემულო ბატონო დავით, თუ არ მიწყენთ და ჭკუის დარიგებაში არ ჩამომართმევთ, მინდა ჩემი, ასაკით თქვენზე ბევრად უფროსი ადამიანის, პირუთვნელი აზრი მოგახსენოთ, – მშვიდად მიმართა დავითინიძეს იაშვილმა, – თუ გაინტერესებთ, რასაკვირველია.

– ბრძანეთ, – უფლება მისცა დავითინიძემ.

– არ გესწავლებათ, რომ ისტორიულად ყველა ქვეყანაში სახელმწიფო ბიუროკრატია გაბატონებული ფენის კეთილდღეობას ხალხის ხარჯზე ემსახურებოდა... ჩვენს საუკუნეში ვითარება იცვლება, სახელმწიფო ნელ-ნელა ჰკარგავს დამსჯელი მანქანის ფუნქციას და ხალხის სამსახურში დგება, თუმცა, ისევე, როგორც საუკუნეების განმავლობაში, დღესაც არსებობენ უზნეო ადამიანები, რომლებიც სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად ყველაფერს კადრულობენ, რათა დაუმსახურებლად ხელში ჩაგდებული ძალაუფლება და სამსახურებრივი უფლებამოსილება პირადი ინტერესებისათვის გამოიყენონ... მსგავს ვითარებაში რომელ პროფესიონალიზმზე და სამშობლოს ერთგულებაზეა ლაპარაკი?! ბევრი უვიცი და უღირსი მინახავს თანამდებობებზე. მათ სხვისი პროფესიონალიზმი არაფერში სჭირდებათ და საქმის მცოდნე და პრინციპულ ადამიანებს სდევნიან, მიუხედავად ამ უკანასკნელთა დამსახურებებისა და უმწიკვლო წარსულისა! ადამიანი გონიერი და მაღალორგანიზებული ქმნილება კია, მაგრამ გახსოვდეთ, რომ ჩვენში ცხოველური და კერძოდ, მხეცური ინსტინქტებიცაა მიძინებული და მათი „გამოღვიძება“ საშიშია. თქვენ არ იცით, ვისთან გაქვთ საქმე. ვუდპეკერი და მისი „ამფსონები“ უკან არაფერზე დაიხევენ! მათ სახელმწიფო სტრუქტურებშიც ეყოლებათ მხარდამჭერები, თორემ ამდენს არც გაბედავდნენ და ვერც მიაღწევდნენ...

მესმის, რომ სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პიროვნება ბრძანდე-

ბით და სამშობლოსადმი მოვალეობის შეგნება და მორალური პრინციპები თქვენთვის ყველაფერზე უფრო მაღლა დგას, მაგრამ იქნებ საკუთარი თავიც არ დაგევიწყებინათ... პატიოსან, კვალიფიციურ, ღირსების მატარებელ და ქვეყნისადმი თავდადებულ მოხელეს ზოგჯერ სახელმწიფო ისე გამოიყენებს, გასრისავს და მოისვრის, როგორც შემოდგომის ხიდან ჩამოგლეჯილ, კანდასერილ და ძალაგამოცლილ ფოთოლს ქარიშხალი.

ამიტომაც, გთხოვთ, ბატონო დავით, გაუფრთხილდით საკუთარ თავს, „ცხრათავიან გველეშაპს“ ნუ შეეჭიდებით, არ გირჩევთ! თქვენს პრინციპულობას არავინ დააფასებს, პირიქით, შესაძლოა თქვენსავე საწინააღმდეგოდ შემოგიბრუნდეთ! თქვენი მოვალეობა ხომ უკვე წარმატებით შეასრულეთ და სამშობლოს წინაშე ვალი უკვე მოიხადეთ: საქმე სრულყოფილად გამოიძიეთ და ვისაც საჭირო იქნება, წარუდგენთ. ორი უდანაშაულო ადამიანი ჩემი და კვინტრაძის სახით, ფიზიკური განადგურებისაგან იხსენით! მეტი რაღა გინდათ?! შეჩერდით! ღირსეული ვაჟკაცი ბრძანდებით და არ მინდა, „შემოდგომის ფოთლის“ ბედი გაიზიაროთ!

– ქალბატონო ია, ჩემს პროვოცირებას ნუ ახდენთ და გამოცდილი მზვერავის მეთოდებით ჩემზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას ნუ ცდილობთ, მაგ ხრიკებით ჩემს „დამუშავებას“ მაინც ვერ შესძლებთ, მე კი თქვენს ასე ვთქვათ „სისუფთავეში“ ეჭვი შემეპარება.

– რას ბრძანებთ, – შეცბა იაშვილი, – მე მხოლოდ ჩემი აზრი გამოვთქვი.

– თქვენს აზრს კატეგორიულად არ ვიზიარებ! ვინც არ უნდა იყვნენ, დამნაშავეები უნდა დაისაჯონ და პირობას გაძლევთ, აუცილებლად დაისჯებიან კიდეც!

– ბოდიში, ეტყობა აზრი მთლად სწორად ვერ ჩამოვაყალიბე, – უხერხულად შეიშმუშნა იაშვილი.

– ქალბატონო ია, – დაყვავებით უთხრა იაშვილს დავითინიძემ, – სამწუხაროდ, თქვენი ცხოვრებისეული გამოცდილება მთლიანად ამ საუკუნის დასაწყისს უკავშირდება, შემდეგ კი თქვენ მრავალი წელი კოსმოსურ ხომალდზე, სრულ იზოლაციაში გაატარეთ და წესიერ საზოგადოებასთან შეხება პრაქტიკულად არ გქონიათ. არც გადანაშაულებთ და საწყენადაც არ გეუბნებით, მაგრამ ბუნებრივია, განვლილმა წლებმა კვალი დაგამჩნიათ და აზროვნება შეგიცვალათ. მთელი ეს დრო თქვენ რეალურად საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტილი იყავით, ამასობაში კი მსოფლიოც შეიცვალა და საქართველოც... საბედნიეროდ, კანონი დღეს ყველგან კანონობს! ნუ ინერვიულებთ, ყველაფერი „დალაგდება“ და კარგად იქნება.

– მესმის, – სკეპტიკურად გაიღიმა იაშვილმა, – ჩემს აქ არყოფნაში კაცობრიობა უფრო ჰუმანური და კანონმორჩილი გამხდარა... დიდად მოხარული ვარ, ჩემო ბატონო!

– დიახ, დედამიწაზე მობინადრე გონიერ ცოცხალ არსებათა ცივილიზაცია თვისობრივად დაიხვეწა, – ხუმრობით თქვა დავითინიძემ, – ანუ, გავკეთილშობილდით!

***

– დილა მშვიდობისა, გოგოებო! – გულთბილად მიესალმა საცხოვრებელი სახლის ეზოში თავშეყრილ ახალგაზრდა ქალებს იაშვილი.

– ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, ია! ზუსტად ახლა შენზე ვლაპარაკობდით, – პასუხი შეაგება იაშვილს წითელ კაბაში კეკლუცად გამოწყობილმა სანდომიანმა ქალმა.

– რა იყო, ანი, მოგენატრეთ, – გაიცინა იაშვილმა, – თუ რამე მოხდა?

– ისეთი არაფერი მომხდარა, უბრალოდ გაგიხსენეთ, გვაინტერესებდა სად იყავი.

– სად ვიქნებოდი? კახეთში ნათესავებთან! წასვლისას ხომ გითხარი!

– ხო, მაგრამ რამდენიმე დღე აღარ გამოჩნდი და...

– ყურადღებისათვის გმადლობთ, ჩემო კარგო! კარის მეზობელიც ასეთი უნდა, არა გოგოებო? – მეზობელ ქალებს ღიმილით ათვალიერებდა იაშვილი.

– გაიცანი, ია, ამ ქალს ჯენიფერი ჰქვია, ჩვენი სტუმარია ატლანტიდან, – მაღალ ქერათმიან ქალზე მიუთითა ანიმ, – მთაწმინდაზე გიჟდება, ისე მოსწონს, ძალიან უნდოდა აქ გაჩერება, სამი დღეა მეხვეწებოდა და ჩემი ბინა ორი კვირით მივაქირავე, ხვალ დილით მე და მაკუნა დროებით დედაჩემთან გადავალთ, ჩემი ქმარი და ბიჭი კი დედამთილთან წავლენ.

– Welcome, – ჯენიფერს ხელი თავაზიანი ღიმილით გაუწოდა იაშვილმა.

– მა-ლო-ბა, – თავის მხრივ ხელი შეაგება და დამტვრეული ქართულით უპასუხა სტუმარმა.

– ია, შენი იმედი მაქვს, სტუმარს ნუ მოაწყენ, თუ ძალიან არ შეწუხდები, ზოგჯერ საღამოობით ყავაზე დაპატიჟე ხოლმე, – სთხოვა იაშვილს ანიმ.

– აბა რას ვიზამ, ანი, სტუმარს აქედან უპატივცემულოდ ხომ არ გავუშვებთ?!

– ჯიგარი ხარ, – გაუხარდა ანის, – ვეტყვი და თუ რამე დასჭირდა, მოგაკითხავს ხოლმე, კარგი?

– კი კაცო, პრობლემა არ არი, – არხეინად თქვა იაშვილმა.

– ია დეიდა, გულწრფელად გვითხარით რა, თაყვანისმცემელმა მოგაცილათ? – ცნობისმოყვარედ იკითხა თხუთმეტიოდე წლის ცისფერთვალება გოგონამ.

– გაჩუმდი, გოგო, – შეუბღვირა ანიმ.

– რა მოხდა მერე, – დედის შენიშვნას ყურადღება არ მიაქცია გოგონამ, – არ შეიძლება ახალგაზრდა, ლამაზ ქალს თაყვანისმცემელი ჰყავდეს?!

– შე ახტაჯანა, – გაბრაზდა ანი, – დაფიქრდი, რას ლაპარაკობ!

– არა უშავს, თქვას, ყველას ხომ ეს გაინტერესებთ, – სიცილით მიუბრუნდა დედა-შვილს იაშვილი, – მაკუნა, მე თაყვანისმცემელმა კი არა, ბიძია პოლიციელმა მომაცილა.

– პოლიციელმა?! – შეიცხადეს ქალებმა, – რატომ?

– იმიტომ, რომ არაფრის შემშინებოდა, – უდარდელად თქვა იაშვილმა.

– რისი უნდა გშინებოდა? – შეწუხდა ენაწყლიანი ანი.

– რა ვიცი აბა, მარტო ვცხოვრობ, ქვეყანაზე ათასი რამე ხდება...

განცვიფრებული ქალები დადუმდნენ და იაშვილს შეშფოთებული სახეებით უმზერდნენ. ჯენიფერი ვერ მიხვდა რამდენიმე წუთის წინ მხიარულად მოსაუბრე ქალების გუნება-განწყობის შეცვლის მიზეზს და წასვლა გადაწყვიტა.

– ნა-კვა-დის, – მეზობლებს გამოემშვიდობა და ფუნიკულიორისაკენ გაემართა.

– ბოდიში, მაგრამ მეც დაგტოვებთ რა, გოგოებო, ხვალ ვილაპარაკოთ, – მიმართა მეზობლებს იაშვილმა, – რამე საჭმელს ვიყიდი და დავისვენებ, გზამ ძალიან გადამღალა.

– წადი, წადი, ია, – თითქმის ერთხმად უთხრეს ქალებმა, – ჩვენც მივდივართ, საქმე ოჯახებში ყველას გვაქვს.

– ბედნიერად იყავით, წავედი, – იაშვილმა მეზობლებს ხელი მეგობრულად დაუქნია და სასურსათო მაღაზიისაკენ გაეშურა. მალე სურსათით დატვირთული უკან გამობრუნდა და ბინის გასაღებს ჩანთაში ძებნა ეზოშივე დაუწყო.

* * *

– ჩაის, ან ყავას ხომ არ მიირთმევდით, ახალგაზრდებო? ძალიან გემრიელი, ქიშმიშიანი ხაჭოს ნამცხვარი მოვიტანე! მართალია, მაღაზიაში ვიყიდე, მაგრამ მაინც კარგია, ახალი და არომატული, – სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულ „დაცვის ბიჭებს“ წახემსება მისალმების შემდეგ

ხმადაბლა შესთავაზა იაშვილმა.

– გმადლობთ, უკვე გეახელით, – თავაზიანად იუარა ასაკით ყველაზე უფროსმა სპეცრაზმელმა.

– მე ია იაშვილი ვარ, თქვენ როგორ უნდა მოგმართოთ?

– მე ფარნავაზი მქვია, იმათ კი – მიუთითა კოლეგებზე, – ვახტანგი და ბექა.

– მიხარია, რომ ძირძველი ქართული სახელები გრქმევიათ, – გაიღიმა იაშვილმა, – თუ რამე გემრიელის ჭამა მოგინდებათ, არ მოგერიდოთ, მითხარით და მოვამზადებ, – დაამატა მზრუნველად.

– ქალბატონო ია, სამხედროები განებივრებული ხალხი არა ვართ, საკუთარ თავს თვითონვე მივხედავთ, – ჩაეცინა ბექას.

– თუ ასეა, საქმეზე დავილაპარაკოთ, – საუბრის ტონი შეცვალა იაშვილმა.

– გისმენთ, – ყურადღება დაძაბა ფარნავაზმა.

– მოდით, ერთად ვიმსჯელოთ, ბიჭებო, – სამზარეულოს კარი მჭიდროდ მიხურა იაშვილმა, – თქვენი აზრი მაინტერესებს.

„დაცვის ბიჭებმა“ ერთმანეთს გადახედეს და მაგიდას შემოუსხდნენ.

– ჩვენმა კარის მეზობელმა ანი ნინიძემ ბინა ვიღაც ამერიკელ ქალზე, ვინმე ჯენიფერზე გააქირავა, ხვალ დილით შემოსახლდება. ეჭვი მაქვს, რომ ის ადამიანი მოგზავნილია და ფრთხილად უნდა ვიყოთ... შეიძლება ვითომ გაცნობის მიზეზით აქ შემოსვლა, ან ჩემი თავისთან გადაპატიჟება მოინდომოს. ქალებს დემონსტრატიულად დავანახე, რომ ბინაში მარტო ვარ. თუ ვინმე გვითვალთვალებს, ისიც დაინახავდა... მგონი თქვენი აქ ყოფნის შესახებ მეზობლებმა არაფერი იციან, ანიმ თუ არ შეგამჩნიათ.

– ვერაფერს მიხვდებოდა, ბინაში წუხელ ღამით ჭერიდან ჩამოვედით, – თქვა ფარნავაზმა, – ცოტა კი დაზიანდა, მაგრამ შეაკეთებენ.

– მოკლედ, ეს ჯენიფერია, თუ ვიღაცაა, რომ მოგვაკითხავს, უნდა დავასწროთ, განძრევის საშუალება არ უნდა მივცეთ და ეგრევე ხელბორკილები დავადოთ. ასე თუ არ მოვიქცევით, იქით დაგვასწრებს და კარგს არაფერს დაგვმართებს.

– ეს საერთაშორისო სკანდალს გამოიწვევს, ქალბატონო ია, – პროტესტი გამოთქვა ვახტანგმა, – უცხოელს რა მიზეზით დავაპატიმრებთ?!

– პირად ჩხრეკას რომ ჩავუტარებთ და ბინის ჩხრეკასაც რომ მოვახდენთ, საკმარისზე მეტ სამხილს ვიპოვით, – დარწმუნებით თქვა იაშვილმა, – ის კი არა და შეიძლება ბომბი შემოგვიგდოს და ყველა აგვაფეთქოს!

– ჯერ ერთი, ეს კანონდარღვევაა, მეორეც, „სუფთა“ რომ აღმოჩნდეს,

მაშინ სად მივდივართ? – საწინააღმდეგო მოსაზრება გამოთქვა ბექამაც, – უფროსობა „ორთქლში გაგვატარებს“!

– გარწმუნებთ, „სუფთა“ არ იქნება! – ამტკიცებდა იაშვილი, – ქილერია!

– კი მაგრამ, ამას ასე დაბეჯითებით როგორ ამბობთ? – აღშფოთდა ვახტანგი, – არანაირი საფუძველი არ გაქვთ!

– ყმაწვილო! დასაბუთებული ეჭვის საფუძველი რომ არ მქონდეს, ასეთ რამეს არც ვიტყოდი, – მკაცრად თქვა იაშვილმა, – ეს ჩემი უპირობო მოთხოვნაა, მოახსენეთ თქვენს უფროსობას!

– სწორედაც რომ მოვახსენებ, – ფარნავაზმა იაშვილს უკმაყოფილო სახით გადახედა, გვერდით ოთახში გავიდა და კარი მოიხურა.

იაშვილი და ორი სპეცრაზმელი რამდენიმე წუთს მდუმარედ ისხდნენ, ფარნავაზიც მალე დაბრუნდა და იაშვილს მიმართა:

– თქვენს მოთხოვნას დავითინიძეს მოახსენებენ, ოპერაციას ის ხელმძღვანელობს.

– ძალიან კარგი, – გულხელი დაიკრიბა იაშვილმა.

თხუთმეტ წუთში დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ იაშვილისათვის გადმოცემულმა მობილურმა დარეკა.

– დიახ, ბატონო დავით, – მკვირცხლად უპასუხა იაშვილმა და თავი საძინებელ ოთახს „შეაფარა“.

– რა მოხდა, ქალბატონო ია? თქვენი მოთხოვნა გადმომცეს, – შეშფოთებით კითხულობდა დავითინიძე.

– ბატონო პოლკოვნიკო, ეს ჯენიფერი ქალი კი არა, გადაცმული კაცია! ხელი რომ ჩამოვართვი, მაშინ დავაფიქსირე, არ შეიძლება ქალს ასეთი ფორმის ხელი და ასეთი არაბუნებრივი ხმა ჰქონდეს! გარდა მაგისა, როგორც კი დამინახა, მაშინათვე სახე შეეცვალა და არაჯანსაღი ინტერესით მაკვირდებოდა, ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ მიცნობდა. საიდან უნდა ვცნობოდი? ალბათ სურათზე, ან ვიდეოზე ვეყოლებოდი ნანახი! ან იქნებ სულაც ვუდპეკერის „სამფლობელოში“ მხედავდა ხოლმე?!

– კარგით რა, ია, სექსუალური უმცირესობების შესახებ არაფერი გსმენიათ?! იქნებ ეგეც ერთ-ერთი მათგანია?

– და იქნებ ქალად გადაცმული ჩვეულებრივი მამაკაცი და ქილერია?! რაღა ზუსტად ჩემი კარის მეზობლის ბინა იქირავა? რა ქალაქში სასტუმროები დაილია?

– დამშვიდდით, ია, – აღელვებულ ქალს აშოშმინებდა დავითინიძე, – უცხოელია, აქაურობა მაგისთვის ეგზოტიკაა, უბანი მოეწონა, მანდ კი სასტუმრო არ არის. რა მოხდა, ბინა თუ იქირავა.

– ბატონო დავით, ვუდპეკერი კიდევ ერთ კაც ქილერს არ გამოგზავნიდა, რადგან იცის, რომ „გაშიფრულია“, შესაძლოა იგი ფიქრობდეს, რომ ქალ ქილერს ჩვენ ყურადღებას არ მივაქცევთ. ამ პროფესიის ქალის პოვნა ადვილი არ არის, ამდენად, ვუდპეკერის საქციელი სავსებით ლოგიკურია, თანაც თავისი „მისიის“ აღსრულების შემდეგ „ტიპი“ ქალის „ინვენტარს“ მოიშორებდა და უპრობლემოდ გაიპარებოდა... ამაზე მე ნაფიქრი მქონდა და ხელიც იმიტომ ჩამოვართვი, შევამოწმე! ჰო, დამავიწყდა მეთქვა, რომ დამინახა თუ არა, მაშინათვე ტელელეფონს ეცა და ვიღაცას დაურეკა, შემდეგ კი შუა ლაპარაკში მიგვატოვა და ფუნიკულიორისაკენ წავიდა. ალბათ, მარტო არ არის... ვითომ ხვალ დილით უნდა მოვიდეს, მაგრამ არავინ იცის მანამდე რას მოიმოქმედებს, იქნებ თავს დღესვე დაგვესხას?!

– ვიდეოკამერა დააფიქსირებდა, თქვენ რომ მშვიდად იყოთ, გადავამოწმებთ, – დაყვავებით ეუბნებოდა იაშვილს დავითინიძე.

– გარდა ამისა, ბატონო დავით, იმ სუბიექტმა ბინა ორი კვირით იქირავა, ალბათ ჩემს დაბრუნებას ელოდა, მანამდე მეზობლების ნდობას მოიპოვებდა...

– თქვენი არგუმენტები გასაგები და მისაღებია, ქალბატონო ია, – საუბრის დამთავრება სურდა დავითინიძეს, – მარტო არა ხართ, დამშვიდდით, სიტუაცია კონტროლს ექვემდებარება. ვითარებას შევაფასებთ და საჭიროების შემთხვევაში, გაცნობებთ.

– გელოდებით, ბატონო პოლკოვნიკო, – დაწყნარდა იაშვილი.

***

– დაწვრილებით მოყევით, რაც მოხდა, – სამი დღის შემდეგ კაპიტან ფარნავაზ გაგნიძის სიტყვიერ პატაკს საკუთარ სამუშაო კაბინეტში ისმენდა დავითინიძე.

– თქვენთან სატელეფონო საუბრის შემდეგ, მეორე დღეს, საათის თერთმეტისათვის იაშვილს იმ ვიღაც ჯენიფერმა მოაკითხა და ყავა სთხოვა, ქალმა უწესრიგობა მოიმიზეზა, სტუმარს კარი არ გაუღო, სახლში არ შემოუშვა და ყავისა და ნამცხვრის მის ბინაში მირთმევა შესთავაზა. უცხოელი დაეთანხმა და გაბრუნდა. იაშვილმა ორი მოზრდილი ფინჯანი ყავა მოადუღა, ორი ნაჭერ ნამცხვართან ერთად ლანგარზე დააწყო და მეზობელთან გასასვლელად მოემზადა. გასვლამდე გაგვაფრთხილა, თუ ათ წუთში არ დაბრუნდებოდა, აუცილებლად მიგვეკითხა.

– ათ წუთში ქაფქაფა ყავას როგორ დალევდნენ?

– ჩვენც გაგვიკვირდა, მაგრამ თქვენი ბრძანების თანახმად, იაშვი-

ლის მოთხოვნებს ვემორჩილებოდით.

– შემდეგ რა მოხდა?

– ზუსტად ათ წუთში მე და ბექა კვანტალიანი სართულის ბაქანზე გამოვედით და ზარი დავრეკეთ. მოულოდნელად ბინიდან სროლა აგვიტეხეს, მე გადავრჩი, ბექა კი მხარში დაიჭრა. მერე ვახტანგ წულეისკირიც წამოგვეშველა და საპასუხოდ მეც რამდენჯერმე გავისროლე... ცეცხლი რომ შეწყდა, ოთახში შევვარდით და დაჭრილი ჯენიფერი დავინახეთ. მარჯვენა ხელ-ფეხიდან სისხლი სდიოდა და ინგლისურად უშვერი სიტყვებით იგინებოდა, მარცხენა ხელში დასისხლიანებული დაშნა ჩაებღუჯა, გვერდით კი ზორბა ავტომატი ეგდო.

– იაშვილი ამ დროს სად იყო და რას აკეთებდა?

– ტანსაცმელი სისხლით ჰქონდა მოთხვრილი, მაგრამ რაც არ უნდა გასაოცარი იყოს, ფანჯარასთან მაინც მშვიდად იდგა და ხელში პისტოლეტი ეჭირა.

– არაფერი უთქვამს?

– რომ მივცვივდით, გაღიზიანებულმა გვითხრა: „რას მომჩერებიხართ, დაჭრილი არა ვარ, ეს ამ ნაძირალას სისხლია“-ო. ისიც დაამატა: „ყველაფერს ამ გარეწარის დაყენებული ვიდეოკამერა აფიქსირებს, თავის სულით მახინჯ დამქირავებელს რომ წაუღოს! რა და როგორ მოხდა, იქ ნახავთ“-ო. მერე თავისი ბინიდან ქაღალდის პარკი გამოგვატანინა, შიგ იარაღი ჩადო და იქვე, მაგიდაზე დადო. ამასობაში თქვენი გამომძიებლებიც მოვიდნენ, იაშვილი სადღაც წაიყვანეს, ჩვენ სამივე სათითაოდ დაგვკითხეს და გამოგვიშვეს, წამოვედით და დისლოკაციის ადგილზე გამოვცხადდით... სულ ეს იყო, ბატონო პოლკოვნიკო, – მოხსენება დაასრულა გაგნიძემ.

– კარგი... თავისუფალი ხარ, ფარნავაზ, – სპეცრაზმის ოფიცრის პატაკით კმაყოფილი დარჩა დავითინიძე.

„გაგნიძის მონაყოლით კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ იაშვილი ამჯერადაც არ შემცდარა... ქალებს როგორი ძლიერი ინტუიცია აქვთ, – ფიქრობდა განცვიფრებული დავითინიძე, – ის სუბიექტი მართლა გადაცმული მამაკაცი არ აღმოჩნდა! ყოჩაღ, რა ქალს... მერე, ვიდეოში ნათლად ჩანს და ისმის, როგორ ემუქრება ის „დედააფეთქებული“ იას იარაღით და ჩვენთვის მოწოდებული ინფორმაციის შინაარსის მოყოლას აიძულებს... „საღოლ“ ძმაო, იაშვილს, მაგარი ილეთები სცოდნია, თავდასხმა ისე მოიგერია, რომ „ტიპმა“ საკუთარი ფეხი საკუთარივე დაშნით დაიზიანა! ვიდეოში ისიც ჩანს, კარების ზარის გაგონებაზე „ტიპი“ უცბად რომ მობრუნდა და ავტომატიდან სროლა ატეხა, ეტყობა მიხვდა, რომ „გაება“... კიდევ კარგი, ქალს იარაღი მივეცით და გამოყენება

მოახერხა, თორემ ის „ნაბიჭვარი“ მარჯვენა ხელში რომ არ დაეჭრა, ყველას ამოხოცავდა... მართალია, თავისი ვინაობა არ გაუმხელია (არა მგონია რაიმონდ ჰოუპი მისი ნამდვილი სახელი და გვარი იყოს), მაგრამ იაშვილისაგან ინფორმაციის „ამოქაჩვისა“ და მერე მისი ლიკვიდაციის მიზნით, რიდლის, იგივე ვუდპეკერის გამოგზავნილი რომ იყო, აღიარა. „ტიპს“ ჩხრეკისას ლამის მთელი არსენალი აღმოაჩნდა... ესეც ნივთმტკიცებები! მოკლედ, ამ კოდალა-ვუდპეკერის „გასასკვანჩად“ საკმარისზე მეტი მასალა დაგვიგროვდა: იაშვილის, კვინტრაძისა და ჰოუპის ჩვენებები, დობრონრავოვის წერილი, სპეცოპერაცია „კოსმოსური ექსპერიმენტის“ ჩატარების შედეგად ამოღებული იარაღი და იმედია, ნიუ-იორკის საკნის შიგთავსიც! დროა ამერიკაში გავფრინდე და კოლეგებს მასალები მივაწოდო. ამ ჰოუპის ვინაობას მალევე დაადგენენ, რიდლისაც დაკითხავენ და მერე „ჯაჭვური რეაქციითა“ და „დომინოს პრინციპით“, სხვა ნაძირალებსაც მიადგებიან და მიხედავენ... საინტერესოა, ჯინჭარაძის მკვლელიც ეს „ტიპი“ იყო, თუ ვუდპეკერი „მრავალფეროვნებისათვის“ ქილერებს ცვლიდა? ან ეს ჰოუპი მარტო მოქმედებდა, თუ არა? თუ მარტო არ იყო, მისი „მეწყვილე“ სად ჯანდაბაში გაქრა? ამ კითხვებზე პასუხი თავად რიდლიმ უნდა გასცეს... ასეა თუ ისე, გამოძიება დასასრულს უახლოვდება. ვნახოთ, ამერიკიდან რა „ნადავლით“ ჩამოვალ... მერე იაშვილსა და კვინტრაძეს მოვუხმობ და დანაპირებს შევუსრულებ – მთელ ამ ისტორიას დეტალებში მოვუყვები, კვინტრაძეს უფლება აქვს იცოდეს, ტყუპისცალი ძმა რომ ჰყავდა, იაშვილმაც უნდა იცოდეს პაიჭაძის, დემირის, ბრაუნის, რიდლისა და ძმათა მისთა შესახებ, განსაკუთრებით კი ის, თუ როგორ და რის ფასად გადაარჩინა დობრონრავოვმა“...

– რა გადაწყვიტე, დათო, – დავითინიძეს ფიქრი შეაწყვეტინა კაბინეტში ფართო ნაბიჯებით მოულოდნელად შემოსულმა გენერალმა ჯაშმა, – ბოლო-ბოლო მიდიხარ ამ ამერიკაში, თუ აღარ?

– ალბათ, ორ-სამ დღეში, – წამოდგა დავითინიძე, – ჯერ მოპოვებულ მასალებს საერთაშორისო კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით დავამუშავებთ, ინგლისურად ვათარგმნინებთ და მერე.

– მაგრად კი იმუშავე, – კმაყოფილების ნიშნად ხელი ჩამოართვა ხელქვეითს ჯაშმა.

– ეს მთელი საგამოძიებო ჯგუფის ბიჭების დამსახურებაა, – კეთილად გაიღიმა დავითინიძემ, – მათ გარეშე ვერაფერს გავხდებოდი.

– ახალი ამბავი თუ გაიგე, ბატონო დავით?

– რა ამბავი, „შეფ“?

– იაშვილი გმირობაზეა წარდგენილი! კვირის ბოლოს პრემიერ-მინ-

ისტრი მას პირადად დააჯილდოვებს.

– მართლა?! – გაუკვირდა დავითინიძეს, – გულწრფელად მიხარია, ამ ქალმა ეს ნამდვილად დაიმსახურა!

– კვინტრაძეს ღირსების ორდენს მიანიჭებენ... ერთი ამერიკაშიც დამთავრდეს გამოძიება და შენ და ბიჭებსაც არ დაგივიწყებთ.

– შენც იცი, ბატონო გენერალო, რომ ჯილდოებისათვის არ ვმუშაობთ, რიგითი ჯარისკაცები ვართ და სამშობლოს სამსახური ჩვენი მოვალეობაა, – თავმდაბლად შენიშნა დავითინიძემ.

– ეგ კი ეგრეა, – ღიმილით დაეთანხმა ჯაში, – მაგრამ დამსახურებული წახალისება მაინც ყოველთვის ძალზედ სასიამოვნოა, ასე არ არის?

– დამსახურებული... – მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი გაშალა და თვალებთან ერთად ხუმრობით ჭერში აღაპყრო დავითინიძემ, – კი, როგორ არა!

– შენსას არ იშლი, – ჩაიცინა ჯაშმა.

– ისეთი რა ვთქვი? – მხრები გულუბრყვილო ბიჭივით აიჩეჩა დავითინიძემ.

თავი IV. დაბრუნება საკუთარ თავთან

– პირველად ამ შენობაში ფეხი ამ ორი თვის წინ შემოვდგი, – ხმადაბლა ეუბნებოდა იაშვილი დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის დერეფნებში მასთან ერთად ტაატით მიმავალ კვინტრაძეს.

– დრო რა მალე გადის, მე კი ეს ორი თვე საუკუნედ მომეჩვენა, – სვლა შეანელა დაღლილმა კვინტრაძემ.

– სიარული თუ გიჭირთ, დამეყრდენით, – შესთავაზა იაშვილმა.

– გმადლობთ, ია, თქვენისთანა მშვენიერ მანდილოსანთან, თანაც გმირთან ხელკავით სიარული ჩემისთანა მოხუცისათვის დიდი პატივი და ფუფუნებაა, – გაიღიმა კვინტრაძემ.

– ოჰ, რას ბრძანებთ, – ღაწვები შეუფაკლდა ქათინაურებს გადაჩვეულ იაშვილს.

– პოლკოვნიკი დავით დავითინიძე ჩვენთან შეხვედრას ტყუილუბრალოდ არ მოინდომებდა, – იაშვილის შეცბუნება შენიშნა და სასაუბრო თემის მთავარ პერსონად პოლკოვნიკი აირჩია კვინტრაძემ, – ალბათ, რაიმე საინტერესოს გვეტყვის.

– ვფიქრობ, პოლკოვნიკმა იმიტომ დაგვიბარა, რომ პირობა შეასრულოს და მთელი ამ „ისტორიის“ ჩვენთვის უცნობი დეტალები გაგვიმხილოს, რადგან გამოძიების მსვლელობისას ამას ვერ გააკეთებდა, –

თავდაჯერებით თქვა იაშვილმა.

– მეც ასე მგონია, – დაეთანხმა კვინტრაძე, – დავითინიძე ჭკვიანი და გამჭრიახი კაცია, გვენდო და გამოძიება სრულყოფილად ჩაატარა... თანაც ამერიკიდან ჩვენთვის ახალ ინფორმაციასაც ჩამოიტანდა.

– პოლკოვნიკი ნამდვილი პროფესიონალია, – მადლიერებით თქვა იაშვილმა, – ვითარების შეფასებაში არ შეცდა და გამოძიება სწორი მიმართულებით წარმართა... კოსმოსური ხომალდი რომ ვუხსენე, ხომ შეიძლებოდა გიჟად ჩავეთვალე და ყურადღება საერთოდ აღარ მოექცია.

– მძიმე განსაცდელში ჩემი ოჯახის გამო აღმოჩნდით, – თბილად და თანაგრძნობით უთხრა იაშვილს კვინტრაძემ, – თქვენს სიკეთეს ვერასოდეს გადავიხდი.

– რას ბრძანებთ, ეგ რა შუაშია! მე პოლიციის ოფიცერი ვიყავი და ჩემს მოვალეობას ვასრულებდი, – უბრალოდ თქვა იაშვილმა.

– ჩემი შვილები არაფერს მოგაკლებდნენ, მაგრამ ჩემს ოჯახთან ცხოვრება რატომღაც არ ისურვეთ! ახლა სად ცხოვრობთ? – ჩაეკითხა იაშვილს კვინტრაძე, – ან მატერიალურად ხომ არ გიჭირთ? ნუ მოგერიდებათ!

– დიდი მადლობა, მაგრამ არ მინდა ვინმესათვის ზედმეტი ბარგი ვიყო! ვერც თქვენს ოჯახს და ვერც ვერავის ნამდვილად ვერ შევაწუხებდი! მთავრობამ გმირის წოდება რომ მომანიჭა, საკუთარი ბინაც მომცა და ბანკშიც ანგარიში გამიხსნა, ჩემთვის სამყოფ თანხას ყოველთვიურად ჩამირიცხავენ. მადლობის მეტი რა მეთქმის, მაგრამ არ მინდა უსაქმურად ყოფნა და მუქთაზე ცხოვრება. შრომას შეჩვეული ვარ და რაღაცით ხომ უნდა დავკავდე?! თუ სადმე მიმიღეს, მუშაობას აუცილებლად დავიწყებ.

– რას გააკეთებდით?

– რა ვიცი, ნებისმიერ საქმეს, არანაირი პატიოსანი შრომა სათაკილო არ არის და საპატივსაცემოა.

– ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, აბასთუმნის ობსერვატორია თქვენნაირ კვალიფიციურ თანამშრომელს ვერსად ნახავს. გარდა ამისა, უნივერსიტეტშიც შეგიძლიათ წაიკითხოთ ლექციები... მე უკვე არავინ აღარაფერს მეკითხება, თორემ რეკომენდაციას უსათუოდ გაგიწევდით! სთხოვეთ პოლკოვნიკ დავითინიძეს, იქნება დაგეხმაროთ.

– დიპლომიანმა იურისტმა ამ სიბერეში უდიპლომო მეცნიერ-ასტროფიზიკოსის პროფესიაზე პრეტენზია რომ განვაცხადო, უხერხული არ იქნება? – ჩაფიქრდა იაშვილი.

– რატომ იქნება უხერხული? ეროვნული გმირისათვის გამონაკლისის

დაშვება ალბათ, შესაძლებელია, მით უმეტეს, რომ საქართველოს ამ დარგში თქვენნაირი პრაქტიკოსი არა ჰყავს და როდის ეყოლება, არავინ იცის... პირიქით, სახელმწიფომ თქვენი ცოდნა და გამოცდილება სათავისოდ უნდა გამოიყენოს.

– ვნახოთ, – კვინტრაძის რჩევა მოეწონა იაშვილს, – საუბარი როგორ წარიმართება, შეიძლება ვთხოვო კიდეც...

ამგვარად, ურთიერთკეთილგანწყობისა და პატივისცემის გამომხატველი მეგობრული მუსაიფით, იაშვილმა და კვინტრაძემ პოლკოვნიკის სამუშაო კაბინეტამდე, როგორც იქნა, მიაღწიეს.

– გამარჯობა, – თავაზიანად მიესალმა მათ შესახვედრად დერეფანში გამოსული ვახტანგ ჭეიშვილი, – მიხარია თქვენი ნახვა! ხომ კარგად ბრძანდებით?

– გმადლობთ, კარგად, – ღიმილით უპასუხა იაშვილმა, – თქვენ ხომ კარგად?

– ჩვენც გვიხარია თქვენი ნახვა, ეეე... ყმაწვილო, – ჭეიშვილის სახელი ვერ გაიხსენა კვინტრაძემ.

– ღვთის წყალობით, არა გვიშავს რა, – კვინტრაძის გულმავიწყობა არ შეიმჩნია და მისაღების კარი გამოაღო ჭეიშვილმა, – მიბრძანდით, ბატონი დავითი და საგამოძიებო ჯგუფის წევრები მოუთმენლად გელიან.

– მობრძანდით, მობრძანდით! – კაბინეტიდან მისაღებში სტუმრების შესაგებებლად გამოვიდა და ორივეს ხელი გულთბილად ჩამოართვა დავითინიძემ, – იმედია, საკმარისად ისაუბრეთ და ახლა ჩვენთვისაც მოიცლით!

– ოოო, ბატონო დავით, – ფართოდ გაიღიმა კვინტრაძემ, – მოგესალმებით, ჩემო ბატონო!

– თქვენი ბრძანებისამებრ, გამოვცხადდით, ბატონო პოლკოვნიკო, – მხედრულად მიესალმა პოლკოვნიკს იაშვილი, – მართალია, ამალაში დრაგუნთა ესკადრონის ცხენოსნები არ გვახლავან, მაგრამ მოსვლა მაინც როგორღაც შევძელით, – დაამატა ხუმრობით.

– თქვენ საიდან და რითი აღარ მოხვიდოდით, ჩვენო ქალბატონო ია, თქვენთვის კოსმოსიც კი დაბრკოლებას არ წარმოადგენს! ის კი არა და, მიკვირს უცხოპლანეტელების ესკორტმა რომ არ მოგაცილათ, – საპასუხოდ იხუმრა დავითინიძემაც და სტუმრები კაბინეტში შეიწვია, – შემოსასვლელში იმიტომაც არავინ დაგხვდათ, რომ თქვენს მოხერხებულობაში დარწმუნებული ვიყავით!

– ამასთან, მე და ბატონ ალეკოს გზაში თავისუფლად საუბრის საშუალებაც მოგვეცით, – გულღიად იცინოდა იაშვილი, – ამ შენობაში

ალბათ, კედლებსაც ყურები აქვს!

– მთლად მასე არ არის, მაგრამ კაცი ვერაფერს გამოგაპარებთ, – „აღიარა“ დავითინიძემ, – მობრძანდით!

– გამარჯობა, ახალგაზრდებო, – ფეხზე წამომდგარ საგამოძიებო ჯგუფის წევრებს ხელი სათითაოდ ჩამოართვა იაშვილმა, – დიდი მადლობა დახმარებისა და თანადგომისათვის.

– ყველაფრისათვის დიდად გმადლობთ, ყმაწვილებო, – დამსწრეთ თავი თავაზიანად დაუკრა და ხელი ჩამოართვა კვინტრაძემაც.

იაშვილისა და კვინტრაძის დასხდომას საგამოძიებო ჯგუფის წევრები მოთმინებითა და ღიმილით ელოდნენ. თავპატიჟისა და ზრდილობიანი შეძახილების შემდეგ, საბოლოოდ ყველანი სათათბირო მაგიდას მიუსხდნენ და დავითინიძეს ცნობისმოყვარეობითა და მოლოდინით აღსავსე მზერით მიაჩერდნენ.

– გაინტერესებთ, რატომ შეგეხმიანეთ და აქ რატომ მოგიწვიეთ, არა? – თითები ერთმანეთს გადააჯვარედინა და შეკრებილთ თვალი მოავლო დავითინიძემ.

– ვხვდებით, მაგრამ თქვენი პასუხი მაინც ძალიან გვაინტერესებს, – ვერ მოითმინა და პირდაპირი გულახდილობით განაცხადა იაშვილმა.

– საიდან მიხვდით, რომ თქვენი ჭრელკუდიანი ფისუნია-კატა მომენატრა? – ყასიდად განცვიფრდა დავითინიძე. – მინდოდა მეკითხა, როგორ ბრძანდება, რძეს თუ მიირთმევს, კრგად თუ იქცევა და მაშინდელივით ხომ არ გაბრაზებთ.

პოლკოვნიკის ნართაულმა ყველას, მათ შორის იაშვილსაც, ღიმილი მოჰგვარა.

– არის რა, თავისთვის დაცუნცულებს, – ხუმრობაში აჰყვა დავითინიძეს იაშვილი.

– ოხუნჯობა იქით იყოს და, ჯერ ერთი, აქ მოსვლა იმიტომ გთხოვეთ, – დასერიოზულდა და მოწვევის მიზეზის განმარტებას შეუდგა დავითინიძე, – რომ მინდოდა მენახეთ და გამეგო როგორ შეეგუეთ აქაურობას, როგორ ცხოვრობთ, რას საქმიანობთ, პრობლემები ხომ არა გაქვთ, თქვენს „ისტორიას“ გაგრძელება ხომ არ მოჰყვა, ვინმე ხომ არ შეგხმიანებიათ... მეორეც, დროის უქონლობის გამო, ჩემი დანაპირები ვერ შევასრულე და თქვენს კითხვებს ვერ ვუპასუხე. ამჯერად თქვენს განკარგულებაში ვარ და შეგიძლიათ, რაც გნებავთ, მკითხოთ.

– ბატონო დავით, – პირველი შეკითხვა დასვა კვინტრაძემ, – იქნებ ეს „ამბავი“ მთლიანობაში „დაგვიხატოთ“, მე ეპიზოდური ცოდნა მაქვს და მომხდარის სრულ სურათს ჩემი წარმოსახვა ვერ სწვდება. ვერ გავიგე რა მოხდა, დამნაშავეებმა პასუხი აგეს, თუ არა, ვუდპეკერსა და

კორპორაციას რა ბედი ეწია, ექსპერიმენტმა რა შედეგი მოგვცა და ა.შ.

– კარგი, ბატონო ალეკო, რადგან თქვენ ასე გსურთ, შევეცდები მთელი ეს „ისტორია“, ანუ ხატოვნად რომ ვთქვათ, „უცნაური რეტრომანის კოსმოსური ექსპერიმენტი“, მოკლედ გადმოგცეთ, – იაშვილის უჩვეულო თავგადასავლის ზოგადი აღწერა გადაწყვიტა დავითინიძემ.

– „უცნაური რეტრომანი“ მე ვარ, – გადაუჩურჩულა კვინტრაძეს იაშვილმა.

– მართლა? – გაუკვირდა კვინტრაძეს, – ეს ზედმეტი სახელი შეგარქვეს?

– დიახ, ბატონო ალეკო, – კვინტრაძის შეკითხვა გაიგონა დავითინიძემ, – ქალბატონ იას ეს სახელი ჯგუფის ბიჭებმა ძველმოდური ტანსაცმლისა და ვარცხნილობის გამო, ჯერ კიდევ დეპარტამენტში მისი „გამოჩენის“ პირველსავე დღეს შეარქვეს.

– გასაგებია, მაგრამ ია ახლა თანამედროვედაა ჩაცმულ-დავარცხნილი და მშვენივრადაც გამოიყურება, – აღშფოთდა კვინტრაძე, – იქნებ ეს სახელი აღარ დაუძახოთ?!

– რატომ? – კამათში ჩაერია იაშვილი, – დამიძახონ! „პრინციპში“ მართლები არიან, მე წარსულიდან მოსული ადამიანი ვარ და თანამედროვეებს უცნაურად ამიტომაც ვეჩვენები.

– მსოფლმხედველობით, თვალსაწიერით, ცოდნითა და მორალური პრინციპებით თქვენ აწმყოსა და მომავლის ადამიანი ხართ და დროთა განმავლობაში, ეს თვალნათლივ გამოჩნდება, – იაშვილის ზნეობრივ-ფსიქოლოგიური თვისებები ფილოსოფიური კუთხით შეაფასა დავითინიძემ.

– თქვენს მოსაზრებას აბსოლუტურად ვიზიარებ, – დაეთანხმა დავითინიძეს კვინტრაძე, – ქალბატონი ია თავის სიტყვას მეცნიერებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში კიდევაც იტყვის!

– ჩემზე ამდენს რატომ ვლაპარაკობთ, – თავი უხერხულად იგრძნო იაშვილმა, – აქ ამისთვის ხომ არ მოვსულვართ? ვაცალოთ რა ბატონ დავითს დანაპირები შეასრულოს!

– მართალია, უკაცრავად, – მოიბოდიშა კვინტრაძემ, – გთხოვთ, ბატონო პოლკოვნიკო.

– ჩემის ხედვით, ყველაფერი ასე მოხდა, – დანაშაულის ფაბულის მოყოლა ირონიაშეპარული ღიმილით დაიწყო დავითინიძემ, – პლანეტა დედამიწის სხვადასხვა წერტილებში, საუკუნის დასაწყისში ცხოვრობდა სამი მილიარდელი, რუსი ვლადიმერ სმირნოვი, ამერიკელი რიჩარდ ტეილორი და ინდოელი რაკეშ ურსი, რომელთაც დიდძალი კაპიტალი ჰქონდათ და იმხანად მსოფლიოში არსებული ეკონომიკური კრიზისის

გამო, არ იცოდნენ მომგებიანად სად დაებანდებინათ. ბიჭები თავისუფალ დროს მდიდართათვის განკუთვნილ კლუბებში და სხვა ე.წ. „დაწესებულებებში“ ატარებდნენ და ახალი, მათთვის უცნობი, თავიანთი მსგავსი და ახლებურად მოაზროვნე ადამიანების გაცნობას ესწრაფვოდნენ, რათა საერთაშორისო ეკონომიკური ტენდენციები მიუკერძოებლად შეეფასებინათ, კრიზისიდან გამოსვლის გზებზე ემსჯელათ, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების პრაქტიკულად გამოყენების პრეცედენტებს გასცნობოდნენ და სიახლეების ეკონომიკაში დანერგვისათვის ხელი შეეწყოთ...

„სამეულმა“ ერთმანეთი მანჰეტენზე, სწორედ ასეთ კლუბში (გამოძიება ჯერ არ დასრულებულა და კლუბის სახელწოდებასა და მფლობელის ვინაობას ვერ გაგიმხელთ), საუკუნის ათიან წლებში გაიცნო, მალე დაახლოვდნენ და ერთობლივი ბიზნესის წარმოებაზეც შეთანხმდნენ.

რაც შეეხება გამოძიებას, ბარემ გეტყვით, რომ საქმეს ამერიკის შეერთებული შტატების გამოძიების ფედერალური ბიურო იძიებს, ჩვენს მიერ მოპოვებული მასალებიც მათ გადავეცით, იმედია გამოიყენებენ. ჩემის აზრით, საქმით ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოც უნდა იყოს დაინტერესებული.

კლუბის მეპატრონე აღმოჩნდა კარგად ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრი. დაჯგუფება კონსპირაციულად მოქმედებდა და მისი არსებობა გასაიდუმლოებული იყო. ეს ზემოხსენებული „მდიდრების კლუბიც“ ორგანიზაციამ მიზნობრივად დააფუძნა, რათა თანამოაზრეები, ან „გამოსადეგი“ პირები შეერჩია, შეესწავლა, მათი სისუსტეები გამოეყენებინა და სხვადასხვა კრიმინალური „მეთოდებით“ (მაგალითად, მოსყიდვითა და შანტაჟით, მუქარითა და ცრუ დაპირებებით), თავის რიგებში „შეეტყუებინა“.

ორგანიზაციის მიზანს მსოფლიოში სრულიად ახალი ეკონომიკურ-პოლიტიკური და დემოგრაფიული ვითარების ხელოვნურად შექმნა და პლანეტაზე სრული ძალაუფლების მოპოვება წარმოადგენდა. ორგანიზაციის წევრები უმდიდრესი, გავლენიანი, განათლებული, ამბიციური და ძალაუფლების მოყვარული ადამიანები იყვნენ, მათ კარგად ესმოდათ, რომ შეეძლოთ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევები საკუთარი მიზნებისათვის გამოეყენებინათ, ამიტომ ორგანიზაციაში მეცნიერების მიზიდვა გადაწყვიტეს. როგორც ჩანს, რიდლიც ამ „საძმოს“ წევრი გახდა, ან იძულებით გახადეს. სამწუხაროდ, მან თავი მოიკლა და არანაირი წერილი, ანდერძი, ან სხვა ასე ვთქვათ, „გზავნილი“, არ დაუტოვებია... უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენთვის კარგად ცნობილი ბატონი ფრედერიკ რიდლი, იგივე ვუდპეკერი, გახლდათ ამ ჩვენს მილი-

არდერთაგან ერთ-ერთის, რიჩარდ ტეილორის კუზენი, ანუ ბიძაშვილი.

თვითმკვლელობის შემდეგ „სამეული“ რიდლის გაემიჯნა, „დიდი მეცნიერი და კარგი მენეჯერი იყო, თანაც ერთ-ერთი ჩვენგანის ახლო ნათესავი, ბრმად ვენდობოდით, მისი სამეცნიერო საქმიანობის, კოსმოსურ ხომალდზე ადამიანებზე ექსპერიმენტების ჩატარებისა და მასობრივი განადგურების იარაღის წარმოების შესახებ არაფერი ვიცოდით, ჩვენ მხოლოდ ექსპედიციას მისი თხოვნით ვაფინანსებდით, რადგან გვეგონა, კაცობრიობისათვის საშურ საქმეს ვემსახურებოდით“-ო, განაცხადეს. ცხადია, ცრუობენ... ამდენად კონკრეტულად რაიმეს მტკიცება, პრაქტიკულად, შეუძლებელია, რადგან „სამეულის“ წინააღმდეგ, გამოძიების ამ ეტაპზე, პირდაპირი სამხილები არ არსებობს. დღემდე უცნობია, რიდლიმ „გადაიბირა“ „სამეული“, თუ პირიქით, „სამეულმა“ – რიდლი, იქნებ ოთხივე მათგანი კლუბის მეპატრონემ „დაამუშავა“? გამორიცხული არფერია, დაველოდოთ, გამოძიება ყველაფერს დაადგენს...

– ეს ინფორმაცია ამერიკელმა კოლეგებმა მოგაწოდეს? – დაინტერესდა კვინტრაძე.

– დიახ, – დაადასტურა დავითინიძემ.

– იმათ საიდან გაიგეს? – განცვიფრდა კვინტრაძე. – მე იქ ათწლეულები ვიმუშავე და ამ ორგანიზაციის თაობაზე არაფერი მსმენია!

კვინტრაძის შეკითხვამ საგამოძიებო ჯგუფის წევრები გაამხიარულა და სიცილს შეკავებას გულმოდგინედ ცდილობდნენ.

– ბატონო ალეკო, – რბილად უთხრა დავითინიძემ, – ინფორმაციის მოპოვებაზე პროფესიონალები მუშაობენ ხოლმე. ორგანიზაციის შესახებ ამერიკელმა კოლეგებმა იცოდნენ... თქვენი ძველი მეგობარი ვლადიმერ დობრონრავოვი ბატონ ვუდპეკერთან ურთიერთობის გამო, ამერიკის სპეცსამსახურების „დაინტერესების ობიექტი“ გახდა, მათთან აქტიური თანამშრომლობა დაიწყო და ხომალდზეც, ფაქტობრივად, ამ მიზეზით მოხვდა.

– წარმოუდგენელი სისულელეა! – აღელდა კვინტრაძე. – ვლადი მეცნიერია, ასტროფიზიკოსი, დიდი ერუდიციის პატრონი... სწორედ ამიტომ გაგზავნა კოსმოსში ვუდმა!

– მერე რა, განა ორივე ამ საქმიანობის შეთავსება შეუძლებელია? – გაეცინა იაშვილს.

– ვლადი ინფორმაციის მოპოვებას როგორ შესძლებდა? – არ ცხრებოდა კვინტრაძე.

– ვლადი კოსმოსში სპეცსამსახურების დავალებითაც, ანუ ვუდის გარეშეც შეიძლებოდა მოხვედრილიყო, – უმტკიცებდა კვინტრაძეს იაშვილი, – უბრალოდ, ვუდის განზრახვა და მზვერავის სპეცდავალება

ერთმანეთს დაემთხვა.

– მოდით ნუ ვიკამათებთ, – კვინტრაძის დაშოშმინება სცადა დავითინიძემ, – სპეცსამსახურების მუშაობის მეთოდები სახელმწიფო საიდუმლოებაა და ვერ გავშიფრავ. ისედაც ბევრს გიყვებით.

– ისე, მეც სულ მიკვირდა, ამდენ ხანს ვუდპეკერთან რომ ჩერდებოდა, – დაფიქრებით თქვა კვინტრაძემ, – ხომალდიც დედამიწაზე დააბრუნებინა... იას საქართველოში ჩამოყვანა რომ შესძლო, ხომ საერთოდ გავოგნდი!

– უნდა გითხრათ, რომ ვლადიმერი ორგანიზაციის დავალებითა და ვუდპეკერის ხელდასმით მოკლეს, – თანაგრძნობით უთხრა კვინტრაძეს დავითინიძემ, – ძალიან ვწუხვარ. წერილში თქვენ და თქვენს ოჯახს, ასევე ქალბატონ იასაც გულთბილი მოკითხვა გადმოგცათ და დიდი პატივისცემა დაგიდასტურათ, ძმად მიაჩნდით.

– არ ვიცი, რა ვთქვა, – დაიჩივლა შეწუხებულმა კვინტრაძემ, – ვლადი მეც ძალიან მიყვარდა, კარგი ადამიანი იყო.

– ისიც უნდა იცოდეთ, რომ ორგანიზაციის დავალებითვე მოკლეს თქვენი მეუღლე, ქალბატონი ირმა, მძღოლი „მისტერ იქსი“, იგივე ამირან პაიჭაძე, თურქი თარჯიმანი საიდ დემირი და ყველა, ვინც „ბევრი იცოდა”, ან მათი აზრით, გზაზე გადაეღობათ. მათ ჰგონიათ, რომ თქვენც მოგკლეს, ბატონო ალეკო.

– ეგ როგორ, – განცვიფრდა კვინტრაძე, – მე ხომ ცოცხალი ვარ!

– მათ მოკლეს თქვენი ტყუპისცალი ძმა, ანდრია ჯინჭარაძე.

– ძმაააა... მეეე... ძმა მყავდა? – სუნთქვა შეეკრა და გაჭირვებით ამოიხროტინა კვინტრაძემ, – ალბათ... უბედური დედაჩემი ხომ ჯინჭარაძე იყო...

პოლკოვნიკმა დავითინიძემ დამსწრეთ ტაქტიანად უამბო ტყუპი ძმა კვინტრაძე-ჯინჭარაძეების წარმომავლობისა და ოჯახების, ძმების ცხოვრების წესისა და საქმიანობის, მომხდარი მოვლენების თანმიმდევრობისა და ტრაგიკული ურთიერთკავშირის შესახებ...

სიჩუმე ჩამოვარდა. თვალზე ცრემლმომდგარი კვინტრაძე გაირინდა და ერთ წერტილს მიაჩერდა, იაშვილმა სახეზე ხელები აიფარა, საგამოძიებო ჯგუფის წევრებმა თავები ჩაღუნეს, პოლკოვნიკი დავითინიძე კი სახის მკაცრი გამომეტყველებით საქაღალდეში მოთავსებული ფურცლების თვალიერებას შეუდგა...

– ვუდპეკერმა თავი მოიკლა, თუ მოკლეს? – რამდენიმე წუთის შემდეგ ცრემლი განუყრელი მაქმანებიანი ცხვირსახოცით მოიწმინდა და სიჩუმე დაარღვია იაშვილმა.

– როგორც ამერიკელმა კოლეგებმა მითხრეს, ვუდპეკერი ჩვენს

სპეცოპერაციას თანამგზავრის მეშვეობით, საკუთარი კომპიუტერით აკვირდებოდა და მისი გამოგზავნილი, ქალად გადაცმული ქილერი სპეცრაზმის ბიჭებმა თქვენი სახლიდან რომ გამოიყვანეს, თავი მოიკლა, – უპასუხა დავითინიძემ, – ექსპერტიზამ დაამტკიცა, რომ რიდლიმ თავი მოიკლა, თუმცა მავანთაგან მისთვის თვითმკვლელობის ბრძანების მიცემაც არ არის გამორიცხული...

– მხოლოდ ერთ შეკითხვაზეც მიპასუხეთ და აღარაფერს გკითხავთ, – სთხოვა პოლკოვნიკს იაშვილმა, – მესმის რომ ინფორმაცია კონფიდენციალურია.

– კარგი, ერთ შეკითხვაზე გიპასუხებთ, – არ გააწბილა იაშვილი დავითინიძემ.

– სპეცსამსახურებმა ორგანიზაციას როგორ მიაკვლიეს?

– ველოდი, ამას როდის მკითხავდით, – გაეღიმა დავითინიძეს, – ორგანიზაციის ერთ-ერთი წევრი ნარკოტიკებითა და იარაღით ვაჭრობდა, ამიტომ გფბ-ს „თვალთახედვის არეში“ მოხვდა. „ტიპი“ თანამშრომლობაზე დაითანხმეს, მან სხვებთან ერთად კლუბის მეპატრონეც დაასახელა და „კვალს“ მიჰყვნენ... ჩემის აზრით, ე.წ. „სამეცნიერო კვლევების“ დაფინანსებით ფულის „გათეთრება“ ხდებოდა, კორპორაციაც მაგ მიზნით შეიქმნა, შემდეგ კი ორგანიზაციის „მამამთავრებს“ მადა გაეზარდათ და მსოფლიოზე ბატონობა მოინდომეს... მაგრამ თქვენის მეცადინეობით, „კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ“ და იმედი ვიქონიოთ, რომ ამერიკელი კოლეგების მონდომებითა და ჩვენი საგამოძიებო ჯგუფის ხელშეწყობით, მთელი ხროვა მალე საერთაშორისო სასამართლოს წინაშე წარსდგება!

– ესე იგი, მაგათი ფულების სახაპავი კოვზი ნაცარში მე მოვისროლე? – ხელები სიცილით გაშალა იაშვილმა, – ზედმეტებს ნუ მომაწერთ! უბრალოდ, გარემოებათა თანხვედრის გამო, მოვლენათა ეპიცენტრში შემთხვევით აღმოვჩნდი და უზენაესმა ძალამ გადამარჩინა. სულ ეს იყო!

– როგორ გგონიათ, ქალბატონო ია, – კოსმოსური ექსპედიციის შედეგებისადმი იაშვილის დამოკიდებულება აინტერესებდა დავითინიძეს, – ხომალდზე ჩატარებული ექსპერიმენტები მეცნიერების განვითარებას ხელს შეუწყობს, თუ ეს მხოლოდ ადამიანთა კონკრეტული ჯგუფის კერძო ინტერესებისათვის ტარდებოდა?

– მე მეცნიერი არა ვარ და ამ შეკითხვაზე ცალსახად ვერ გიპასუხებთ, – ჩაფიქრდა იაშვილი, – უშუალოდ ღია კოსმოსიდან გალაქტიკებისა და ციური სხეულების თვისებების კვლევა, ცაზე მათი განლაგების შესწავლა და შესაბამისი რუკის შედგენა კაცობრიობისათვის

სასარგებლო საქმეა და ამ თვალსაზრისით, ექსპერიმენტი მართლაც ძალიან მნიშვნელოვანია. მეორეს მხრივ, ხომალდზე ყოფნისას ყოველთვის მიმაჩნდა, რომ ექსპერიმენტი უშედეგოდ დასრულდებოდა, რადგან თავისი რელიგიურ-ფილოსოფიური და ეთიკურ-ფსიქოლოგიური არსით იგი დედამიწის პროდუქტის – ადამიანის ბუნებას ეწინააღმდეგებოდა, თუმცა მიზანი – დედამიწის მსგავს პლანეტამდე მიღწევა – მეტად კეთილშობილურად გამოიყურებოდა. არაფერს ვიტყვი ექსპედიციის კრიმინალურ შემადგენელზე, ისედაც ცხადია, რომ მსგავსი პრეცედენტის განმეორება დაუშვებელია... ჩემის აზრით, კოსმოსზე დაკვირვება ცუდი არ არის და საჭიროცაა, მაგრამ ეს არაპილოტირებული მფრინავი ობიექტების მეშვეობით უნდა ხორციელდებოდეს.

– თქვენ რას ფიქრობთ, ბატონო ალეკო, მეცნიერ-ასტროფიზიკოსის კომპეტენტური აზრი ჩვენთვის მეტად საინტერესო იქნებოდა, – მიმართა კვინტრაძეს დავითინიძემ.

– ქალბატონს ვეთანხმები, – მხრები აიჩეჩა კვინტრაძემ. – გარდა ამისა, კოსმოსური მასშტაბისა და ზოგადსაკაცობრიო ისტორიული მნიშვნელობის ექსპერიმენტის ჩატარებისას აუცილებლად უნდა მომზადდეს შესაბამისი ეკონომიკურ-ზნეობრივი წანამძღვრები და მყარი საფუძველი, კერძოდ: უნდა განისაზღვროს, ეწინააღმდეგება თუ არა ექსპერიმენტის მიზნები და ამოცანები დედამიწაზე არსებული ძირითადი რელიგიების (ქრისტიანობა, ისლამი, იუდაიზმი, ბუდიზმი) მოთხოვნებსა და ადამიანის, როგორც ფენომენის, ფსიქოლოგიასა და ცნობიერებას; უნდა მოხდეს ექსპედიციის, როგორც მოვლენის ფილოსოფიურ-ეთიკური არსის გააზრება და კაცობრიობისათვის მისი კოსმოსში გაგზავნის საჭიროების დასაბუთება; უნდა განისაზღვროს კაცობრიობის ჯამური (ანუ ყველა ქვეყნის) ეკონომიკური შესაძლებლობები, ბუნებრივი და მატერიალური რესურსების საერთო ოდენობა; უნდა დაკონკრეტდეს, რა რეალურ შედეგს მოუტანს კაცობრიობას ექსპედიციის წარმატებით დასრულება და რამდენად ღირებული იქნება იგი; ექსპედიციის პრაქტიკულ განხორციელებაში მონაწილეობა, შესაძლებლობების ფარგლებში, უნდა მიიღოს მსოფლიოს ყველა ქვეყანამ, დედამიწა არც ისე დიდია და უნდა გავერთიანდეთ. ისტორიულად მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს მხოლოდ წამყვანი ე.წ. „კოსმოსური სახელმწიფოები“ (მაგალითად აშშ და რუსეთი) არ უნდა ღებულობდნენ, თორემ მივიღებთ იმ შედეგს, რაც ვუდპეკერმა მიიღო – ექსპერიმენტი ექსპერიმენტისათვის.

– ანუ, თქვენ თვლით, რომ კრიმინალის გარეშეც „რიდლის ექსპედიცია“ მაინც წარუმატებლად დასრულდებოდა, – დააზუსტა დავითინიძემ.

– რიდლი იმდენად ჭკვიანი კაცი იყო, რომ კრიმინალური ჩანაფიქრის გარეშე, ექსპედიციას უბრალოდ არ მოაწყობდა, ტყუილად კი არ გეგმავდა ხომალდის „კოსმოსურ ნაგვად“ გადაქცევას!

– იქნებ უცხოპლანეტელების დახმარების იმედი ჰქონდა, – ირონიული ღიმილით თქვა კაიშაურმა, – ფართო გაქანების კაცი იყო.

– არც იმდენის, რომ თვით ბრძენი და განსწავლული ჰუმანოიდებიც კი მოეტყუებინა, – კაიშაურის ხუმრობას ხუმრობითვე უპასუხა კვინტრაძემ.

– აქ მთავარი დამნაშავე რიდლი და ყბადაღებული კორპორაცია CFC-ს ფორმალური დამფუძნებელი, მილიარდელთა „სამეული“ კი არა, არამედ თვით დაჯგუფებაა. საშიში ხალხია, არავინ იცის რას მოიმოქმედებენ, – შეწუხებული სახით თქვა კვინტრაძემ, – მით უმეტეს, თუ „სამეული“ საქმიდან „მშრალი“ გამოძვრა.

– არ ინერვიულოთ, ამჯერად ვერაფერს გახდებიან, – დაამშვიდა კვინტრაძე პოლკოვნიკმა, – რადგან კორპორაციის მთელი ქონება, მათ შორის კოსმოდრომი, ხომალდი, საწვრთნელი ბაზა, ყველანაირი აპარატურა-დანადგარები და სხვა მატერიალური ფასეულობები დაყადაღებულია. გამოძიების დასრულების შემდეგ ქონება სახელმწიფო საკუთრებაში გადავა და მას სავარაუდოდ, აშშ, რუსეთი და ინდოეთი გადაინაწილებენ, შესაძლოა არსებული ინფრასტრუქტურა საერთაშორისო ფრენების განსახორციელებლადაც კი გამოიყენონ.

– კარგი იქნება, თუ კოსმოსში ჩატარებული კვლევების შედეგებსაც შეისწავლიან, ზღვა მასალაა, – შენიშნა იაშვილმა.

– ცხადია, ასეც იქნება, – დარწმუნებით თქვა დავითინიძემ, – ყველაფერს მიხედავენ!

– დამნაშავეები ხომ დაისჯებიან? – იკითხა კვინტრაძემ.

– აუცილებლად, – გაიღიმა დავითინიძემ, – რა, ამერიკელი კოლეგების კომპეტენტურობაში ეჭვი გეპარებათ?

– არა, მაგრამ რა იცი, რა ხდება?

– ამაზე ნუ ფიქრობთ, ბატონო ალეკო, ცუდი აღარაფერი მოხდება, – მაჯის საათზე დაიხედა დავითინიძემ, – მოდით ეს საქმე პროფესიონალებს მივანდოთ, ჩვენ კი თქვენს მომავალზე ვისაუბროთ. თუ საიდუმლო არ არის, გვითხარით რას აპირებთ.

– მე შვილებს ჯეროვანი ყურადღება ვერ დავუთმე, პირადი ცხოვრება მეცნიერებას შევწირე, ამიტომ შვილიშვილებთან ურთიერთობით დავტკბები და მათი ცხოვრებით ვიცხოვრებ, თან სამეცნიერო ნაშრომების წერასაც გავაგრძელებ... თუ ვინმეს ჩემი ცოდნა რამეში გამოადგება, რასაკვირველია, მზად ვარ კონსულტაციები გავუწიო. სხვა რა ვიცი, ცხოვრება თვითონ გვიჩვენებს.

– თქვენ, ქალბატონო ია?

– არაფერი დამიგეგმავს, მაგრამ ვიცი, რომ უსაქმოდ დიდხანს ვერ გავჩერდები. თქვენი, პატივცემულო ბატონო დავით, დახმარებითა და ხელშეწყობით, ლიკანსა და ურეკში საკმარისზე მეტად დავისვენე და გავჯანსაღდი. ახლა, ეს ნერვებდამშვიდებული და ენერგიაზე მოსული ქალი, – თვითირონიით შენიშნა იაშვილმა, – მხოლოდ მემუარების წერით ხომ ვერ დავკავდები? ვეცდები რამე სამსახური ვიშოვო.

– კვალიფიციური კადრები სახელმწიფომ სათანადოდ უნდა შეაფასოს და საჭირო ადგილას გამოიყენოს, – იაშვილის თვითდაცინვაზე ყურადღება არ გაუმახვილებია დავითინიძეს, – ამიტომ თქვენს შესახებ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს ვესაუბრე, ისინი თეორიული ფიზიკის დარგში ბატონი ალეკოს ფუნდამენტური კვლევებითა და ქალბატონი იას „კოსმოსური გამოცდილებით“ ძალიან დაინტერესდნენ და ორივე თქვენგანთან შეხვედრა და გასაუბრება სურთ. აი, მათი სავიზიტო ბარათები, – კვინტრაძესა და იაშვილს თეთრი კონვერტები გაუწოდა პოლკოვნიკმა, – ეგება თქვენთვის მოსახერხებელ დროს შეეხმიანოთ და, ასე ვთქვათ, „მეგობრული ვიზიტით“ მოინახულოთ, იქნებ ნაყოფიერი და ერისათვის სასარგებლო თანამშრომლობა გამოგივიდეთ.

– დიდი მადლობა, ბატონო პოლკოვნიკო, – გაუხარდა იაშვილს, – უნივერსიტეტის იდეა ბატონმა ალეკომაც მომაწოდა... ერთი რამ გამაგებინეთ (მე 40 წელიწადია აქაურობას მოვწყდი და არ ვიცი), საქართველომ, როგორც სახელმწიფომ და ქართველებმა, როგორც ერმა, კონკრეტულად განსაზღვრა თუ არა თავისი ეკონომიკურ-გეოპოლიტიკური პრიორიტეტები, ანუ ვიცით მეცნიერებისა და მრეწველობის რა დარგებს ვანვითარებთ? არ შეიძლება ჩვენისთანა პატარა ქვეყანა ყველაფერს ერთდროულად უაზროდ შეეჭიდოს და ინტელექტუალურ-მატერიალური და ადამიანური რესურსები ფლანგოს, ძალები მიზანმიმართულად უნდა გადანაწილდეს. მე მაინტერესებს, სჭირდება კი ჩემი გამოცდილება საქართველოს? თუ დღესდღეობით კოსმოსზე არ ვმუშაობთ, ჩემი ამ მიმართულებით დასაქმება საჭირო არ არის, სახელმწიფო ბიუჯეტსა და ქონებას უნდა გავუფრთხილდეთ! სხვა მხრივ, თუ სამშობლოს დავჭირდები, რაღა თქმა უნდა, მზად ვარ უანგაროდ ვემსახურო!

– დღეს საქართველო პოლიტიკურად წონადი და ეკონომიკურად ძლიერი ქვეყანაა, ჩვენს პრიორიტეტებში კოსმოსური კვლევებიც შედის, ასე რომ თქვენი გამოცდილება ჩვენს მეცნიერებას სასიკეთოდ წაადგება.

– ძალიან გამახარეთ, დიდი მადლობა, – სახე გაუბრწყინდა იაშვილს.

– მეც გმადლობთ, ბატონო დავით, – სავიზიტო ბარათები კვლავ კონვერტში მოათავსა კვინტრაძემ, – პრეზიდენტსა და რექტორს აუცილებლად შევხვდები.

– ჩვენს მიმართ სამადლობელი არაფერია, პირიქით, თქვენ გმადლობთ ვაჟკაცობისა და თავდადებისათვის. ქალბატონი ია ხომ ნამდვილი გმირი გვყავს! – ვითარების შესაფერისი საზეიმო ინტონაციით განაცხადა დავითინიძემ.

– კარგით რა, – უხერხულობისაგან შუბლი შეიკრა იაშვილმა, – ნუ მაწითლებთ!

– პოლკოვნიკი მართალს ამბობს, – დავითინიძეს მხარი აუბა კაიშაურმა, – არა ლომებო?!

– ნამდვილად, – ღიმილით დაადასტურეს საგამოძიებო ჯგუფის წევრებმა.

– თქვენს გარჯას მართლა დიდად ვაფასებ, ბიჭებო, – მადლიერებით აღნიშნა იაშვილმა, – ძალიან დამეხმარეთ.

– ჩვენ შეიძლება კიდევ შევხვდეთ, – ივარაუდა ლაბაძემ, – გამოძიება გრძელდება.

– ალბათ, ასეც იქნება, – ლაბაძის აზრი გაიზიარა ყიფიანმა.

– „უცნაური რეტრომანის“ ორიგინალური მოსაზრებები და საქმიანი შენიშვნები აუცილებლად დაგვჭირდება, – იაშვილი გამოცვლილი სახელით თბილად მოიხსენია გაბუნიამ.

– ალბათ ჩვენი წასვლის დროა, – გამოცვლილი სახელით მიმართვას მშვიდად შეხვდა და კედლის საათს გახედა იაშვილმა, – უკვე ორი საათია აქ ვართ. ბატონ დავითს გადაუდებელი საქმეები ექნება და ჩვენ ვაფერხებთ.

– კი, მართალია, ბევრი დრო წავართვით, – მოიბოდიშა კვინტრაძემ.

– არაფერია, ვფიქრობ, სასიამოვნოდ ვისაუბრეთ. თუ რამე დაგჭირდებათ, მორიდების გარეშე, როგორც მეგობრებს, ისე, მოგვმართეთ, – თანაშემწეს ტელეფონით მოუხმო და ფეხზე წამოდგა დავითინიძე, – და თუ რაიმე საეჭვოს შენიშნავთ, ხომ იცით, ნებისმიერ დროს უნდა შეგვატყობინოთ.

– რასაკვირველია, – დაბეჯითებით თქვა კვინტრაძემ.

ვახტანგ ჭეიშვილი პოლკოვნიკის კაბინეტში შემოვიდა და წიგნების კარადასთან უსიტყვოდ შეჩერდა.

– ბატონებო, თქვენს სამსახურში მიგულეთ, – სახეზე კეთილი ღიმილი გადაეფინა და ირგვლივ მყოფთ თვალი მოავლო იაშვილმა, – უფალმა დაგლოცოთ!

– ბედნიერად ბრძანდებოდეთ, – სტუმრები კარებამდე თავაზიანად მიაცილა დავითინიძემ, – სასწრაფო საკითხთან დაკავშირებით, ბიჭებთან სასაუბრო მაქვს და ამიტომ ბატონი ვახტანგი, ანუ ჩვენი ვახო გაგაცილებთ.

ლიზისთან და ვახოსთან გულთბილი და მეგობრული გამომშვიდობების შემდეგ იაშვილმა და კვინტრაძემ დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის იშვიათი მცენარეებით დამშვენებული ეზო დატოვეს და მთაწმინდის პარკში გასასეირნებლად გაეშურნენ.

– ჯანმრთელობას გაუფრთხილდით, – დამშვიდობებისას უთხრა იაშვილს კვინტრაძემ, – და არ დაგვივიწყოთ, ოჯახში გამოგვიარეთ ხოლმე, ხომ იცით, თქვენი ნახვა ყოველთვის ძალიან გაგვიხარდება!

– ვიცი, ბატონო ალეკო, – ხელი ჩამოართვა და ლოყაზე აკოცა კვინტრაძეს იაშვილმა, – აუცილებლად გესტუმრებით! შესაძლოა ალმა-მატერ უნივერსიტეტშიც მოგვიწიოს ერთად მუშაობა... მანამდე ჯინჭარაძეები და სხვა ნათესავები მოძებნეთ, მერწმუნეთ, ამდენი ხნის განშორების შემდეგ, ახლობლებთან შეხვედრა დიდ სიხარულს მოგანიჭებთ.

– ესე იგი, თქვენი ნათესავები უკვე მოინახულეთ?

– აბა რა! ჩემს ძმისშვილებსა და ძველ მეგობრებს ერთი კვირის წინ შევხვდი... ცოცხალი რომ მნახეს, კინაღამ გადაირივნენ! თავზე იმდენი სითბო და სიყვარული დამაფრქვიეს, რომ იმ წუთებში ჩემზე ბედნიერი დედამიწის ზურგზე არავინ იქნებოდა!

– მეც ასე მოვიქცევი, – გაიღიმა კვინტრაძემ, – დრო მიჰქრის, წუთისოფელი წარმავალია, დღეს ხარ, ხვალ შეიძლება არც იყო... წამებს დაშურება უნდა! კეთილი საქმეებისა და ტკბილი ურთიერთობების გარდა, ამქვეყნად არაფერი შეგვრჩება!

– ასეა, ასე... წავედი, უფალს ებარებოდეთ! – სევდაშეპარული ღიმილით თქვა იაშვილმა, კვინტრაძეს ხელი დაუქნია და ცად აზიდული წმინდა მთიდან მონაბერი ნიავის კალთაზე ჩაძინებული, თეთრი ჰორტენზიების მონავარდე ჩრდილში ნელა გაუჩინარდა.

* * *

– სანამ თათბირს დავიწყებდეთ, რამდენიმე შეკითხვაზე გვიპასუხეთ, – სთხოვა პოლკოვნიკს კაიშაურმა, – ბიჭებს აინტერესებთ.

– რა, იაშვილის საქმეზე რამე გამოსაძიებელი და გაურკვეველი დარჩა? – განცვიფრებით იკითხა დავითინიძემ.

– არა, არაფერი, – გაეცინა კაიშაურს, – უბრალოდ, ვერ მივხვდით, რატომ „გადაუხვია“ ქმრის მითითებებს და რა მიზნით შევიდა მაღაზ-

იაში ირმა იანტბელიძე? იქ რომ არ შესულიყო, ბავშვები ბაღიდან გამოეყვანა და პირდაპირ სახლში წასულიყო, იქნებ ხიფათსაც ასცდენოდა?

– იანტბელიძის მოკვლას მაინც შეეცდებოდნენ, – დარწმუნებით თქვა გაბუნიამ, – თუმცა იმ მომენტში შეიძლება ვერც მოეხერხებინათ, ქალი ინსტრუქციებს რომ მიჰყოლოდა, პაიჭაძე გომბორისაკენ წაიყვანდა და ცოცხალი გადარჩებოდა... შემდგომში რა მოხდებოდა, არავინ იცის, რადგან კვინტრაძის „ყურებით დასაჭერად“ ვუდპეკერს მისთვის საკუთარი თავის გარდა, მრჩეველი და მეგობარი არ სჭირდებოდა.

– გააჩნია ირმა როგორ მოიქცეოდა, – არ დაეთანხმა ყიფიანი, – თუ ვუდპეკერს პრობლემას არ შეუქმნიდა, იქნებ აღარც მოეკლათ.

– რიდლის რა გარანტია ჰქონდა, ხომ შეიძლებოდა კვინტრაძე მეორედ დაქორწინებულიყო? – გაიკვირვა ლაბაძემ.

– მაგის საშუალებას არ მისცემდა, – დარწმუნებით თქვა გაბუნიამ, – ხელს ყველანაირად შეუშლიდა!

– მართალია, ცოლს არ მოაყვანინებდა, მაგრამ თავის არჩეულ „ნაშებს“ კი გაუგზავნიდა, – სიცილით აღნიშნა ლაბაძემ, – გაკონტროლების მიზნით.

– როგორც ამერიკელებმა მითხრეს, – გაიხსენა დავითინიძემ, – კვინტრაძე მეგობარი ქალების ნაკლებობას არ განიცდიდა. საკმაოდ სიმპათიური და დახვეწილი კაცია და ახალგაზრდობაში ქალები კისერზე ეკიდებოდნენ, მაგრამ დაქორწინება არც უფიქრია. ხომ იცით, მეცნიერები თავისებური ხალხია, კვინტრაძე ძალიან ბევრს მუშაობდა და ქალების დევნის დრო არ ჰქონდა, გარდა ამისა, გარდაცვლილი მეუღლე ძალიან უყვარდა და მის ხსოვნას პატივს სცემდა. ალბათ ანგარიშს შვილებსაც უწევდა... ასე, რომ ვუდპეკერს საქმე გაუადვილა.

– კვინტრაძის მეუღლეზე რას გვეტყვით? – შეახსენა კაიშაურმა.

– მაღაზიის პერსონალის დაკითხვის ოქმებში გარკვევით წერია, რომ იანტბელიძე იქ სუნამოს შესაძენად შესულა... აბა, მე რა ვიცი, რატომ შევიდა? ზოგჯერ ქალების საქციელის ახსნა მეტად ძნელია, ისინი ჩვენგან განსხვავებულად აზროვნებენ.

– რატომ იაშვილს არ ვკითხეთ, – დანანებით თქვა ლაბაძემ.

– ვკითხე, – მარჯვენა წარბი აზიდა დავითინიძემ, – და საოცარი პასუხი გამცა: „რა არის აქ გასაკვირი, ქალი იმ სიშორეზე მიდიოდა და ერთი წესიერი სუნამო არ უნდა ჰქონოდა? კარგი ხარისხის სუნამოები საზღვარგარეთ ძალიან ძვირია“-ო.

– სუნამოს გამო წინასწარ შეთანხმებული მარშრუტისათვის უნდა გადაეხვია?! – თავი გაიქნია კაიშაურმა, – ჭეშმარიტად ქალური ლოგიკაა.

– ლოგიკა არა, – შეუსწორა დავითინიძემ, – კაპრიზი, ერთი შეხედვით უწყინარი და უმნიშვნელო, მაგრამ მან მოვლენების განვითარების ვექტორი თვისობრივად შეცვალა. ნათელია, რომ განგების ძალით, სწორედ ეს პატარა ახირება იქცა დიდი დანაშაულის მხილების ბიძგის მიმცემ ფაქტორად... ამიტომ გმოძღვრავთ ხოლმე: „ქალებს დიდი ყურადღებით მოეკიდეთ და მათი ქმედებები ჯეროვნად შეაფასეთ“-მეთქი.

– ეეჰ, ბატონო პოლკოვნიკო, ბატონებს კაიშაურსა და ჭეიშვილს მეც ვეუბნებოდი: „ქალებს რას გაუგებ?“-მეთქი, – იხუმრა ლაბაძემ, – მაგრამ ვინ დამიჯერა?!

– ამის მერე ხომ დაგიჯერებენ, „უცნაური რეტრომანის“ ხათრით?!

– მართლა, იაშვილის ჯანმრთელობის საქმე როგორ იქნება, ბატონო დავით, – შეშფოთებით იკითხა ლაბაძემ, – ახალგაზრდობას შეინარჩუნებს და ჩვეულებრივად, ბუნებრივად დაბერდება, თუ პროცესი დაჩქარებული ტემპით წავა? არ მინდა მოკვდეს.

– ექიმები კი გვაიმედებენ: „კარგად იქნება და დიდხანს იცოცხლებს“-ო, მაგრამ ვნახოთ... თუ მედიცინა უძლურია, ვერაფერს ვიზამთ.

– ალბათ, მათი ტერმინოლოგიით, „დინამიკაში დააკვირდებიან და სიმპტომატურად უმკურნალებენ“, არა? – ირონიულად თქვა ყიფიანმა.

– მე რა ვიცი, მსგავსი პრეცედენტი მედიცინაში არ მომხდარა! თანაც ექიმი არა ვარ და რა უნდა გიპასუხოთ? – გაღიზიანდა დავითინიძე, – არც ის ვიცი, იაშვილის მიმართ ე.წ. „უკვდავების ელექსირს“ იყენებენ თუ არა.

– მე რომ მკითხონ, ეგ ნივთიერება ასაკრძალია, – გადაჭრით თქვა ლაბაძემ.

– გეთანხმები, – მოიღუშა დავითინიძე, – ადამიანის გენეტიკაში ხელოვნურმა ჩარევამ შეიძლება გაუთვალისწინებელი შედეგები გამოიწვიოს.

– ხომალდიდან ჩამოყვანილ ხალხს რა ბედი ეწია? – დაინტერესდა კაიშაური.

– სამწუხაროდ, ზოგიერთი მათგანი უკვე გარდაიცვალა, ზოგიც ჯანმრთელადაა... უახლეს პრეპარატებს ღებულობენ და უთანამედროვესი მეთოდებით მკურნალობენ, – გულწრფელად უპასუხა დავითინიძემ, – ხომ იცით, ნებისმიერი წამლობის შედეგი ინდივიდუალურია.

– მათაც „დინამიკაში აკვირდებიან“? – ჯიუტად იკითხა ყიფიანმა.

– კარგი ერთი შენც რა! სხვა რა უნდა ქნან? – გაეცინა გაბუნიას.

– თუ თქვენს ყველა შეკითხვას ვუპასუხე, დროა ბატონ ირაკლისა და ბატონ არჩილს ნაყოფიერი თანამშრომლობისა და კოლეგიალობისთვის მადლობა მოვახსენოთ, ალბათ მათაც საქმე აქვთ და ეჩქარებათ, –

საგამოძიებო ჯგუფის წევრებს გადახედა დავითინიძემ.

– თქვენთან მუშაობა ფრიად სასიამოვნო იყო, ბატონებო, – თავაზიანად თქვა გაბუნიამ.

– დიდი გამოცდილება მივიღეთ, – ირწმუნებოდა ყიფიანი.

– ჩვენც კმაყოფილები ვართ, არა „ლომებო“? – ღიმილით ჰკითხა ხელქვეითებს პოლკოვნიკმა.

– ნამდვილად, – აღნიშნა კაიშაურმა, – თანამოაზრეთა შეხმატკბილებულ გუნდად ჩამოვყალიბდით.

– ძაან ბიჭები ხართ, – კოლეგები შეაქო ლაბაძემ, – გამიხარდება, თუ ერთად მუშაობა კიდევ მოგვიწევს.

– ჩვენც, – მზადყოფნა ერთხმად გამოხატეს გაბუნიამ და ყიფიანმა.

– გემრიელი ლუკმა ბოლოსათვის შემოვინახე, – იდუმალი სახით განაცხადა პოლკოვნიკმა, – ახალი ამბავი უნდა გითხრათ!

საგამოძიებო ჯგუფის წევრებმა ერთმანეთს კითხვის გამომხატველი მზერით გადახედეს და „სიახლეს“ უსიტყვოდ დაელოდნენ.

– გილოცავთ, ორივე უწყების ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, ყველა თქვენგანს მორიგი წოდებები ვადაზე ადრე მოგენიჭათ. ბრძანებებს ხელი ამ დილას მოეწერა.

– ვემსახურებით საქართველოს, – ყველას მაგივრად უპასუხა კაიშაურმა.

– წარმატებებსა და წინსვლას გისურვებთ, ბიჭებო, – გულითადი უბრალოებით მიულოცა ხელქვეითებსა და მოწვეულ კოლეგებს დავითინიძემ, – სამშობლოს წინაშე დიდი პასუხისმგებლობა გვაკისრია და მეამაყება, რომ თქვენი სახით, ქვეყანას საიმედო ძალა იცავს.

– თქვენ რა უნდა მოგილოცოთ, ბატონო პოლკოვნიკო? იმედია, უკვე გენერალი ბრძანდებით? – კითხვა ყველას მაგივრად გააჟღერა კაიშაურმა.

– პერსპექტივაში მგონი ვბრძანდები, – ულვაშებში ჩაეცინა დავითინიძეს, – ყოველ შემთხვევაში, წარდგენილი ვარ.

მილოცვების, ქათინაურებისა და კეთილი სურვილების ურთიერთგაცვლის შემდეგ, საგამოძიებო ჯგუფის წევრებმა ერთმანეთს ხელი მაგრად ჩამოართვეს და მომავალი შეხვედრის იმედით გამოემშვიდობნენ.

– ჩვენს თემას მივუბრუნდეთ, ამ დღეებში ბევრი საქმე გვექნება, – გამომძიებლების წასვლის შემდეგ საქმიანი ტონით მიმართა კაიშაურსა და ლაბაძეს პოლკოვნიკმა და პირადი კომპიუტერის გვერდით მოთავსებულ სქელტანიან, მწიფე ალუბლისფერ საქაღალდეზე თვალებით მიანიშნა.

* * *

ოპერაცია „კოსმოსური ექსპერიმენტის“ დასრულებიდან ხუთი თვისა და თავს გადახდენილი უჩვეულო ამბების დაწყებიდან ზუსტად 40 წლის შემდეგ, 2051 წლის 25 ოქტომბერს, ოთხშაბათ დღეს, ია იაშვილი წითელი აგურით ნაშენ ეკლესიაში სალოცავად მივიდა. უფლისადმი სამადლობელი ლოცვა გულმხურვალედ აღავლინა და იქვე ეზოში მოჩუხჩუხე წყაროსთან ჩამოჯდა. კარგა ხანს გარინდული იჯდა, ირგვლივ გამეფებული მყუდროებითა და ფერადოვნებით ტკბებოდა და ქეთი იმნაძის გამოჩენას მოუთმენლად ელოდა.

„სად დაიკარგა ეს ქალი? უკვე 2 საათი გახდა! ვითომ ათი წუთი აგვიანდებოდა და ერთი საათია აქ ველოდები!“ – ფიქრობდა ანერვიულებული იაშვილი, – „ნეტავ ჯანმრთელად თუ არის, მაინც მოხუცია და...?“.

უსიამოვნო ფიქრებს ტელეფონის მელოდიურმა ზარმა მოსწყვიტა.

– რა ხდება ქეთევან, ცუდად ხომ არა ხარ?

– კარგად ვარ, ია, კარგად. მისმინე, რაღაც სასწრაფო საქმე გამომიჩნდა და ვეღარ წამოვედი. მერე აგიხსნი... შეგიძლია ვაკის პარკში „ჩვენს ადგილას“ მოხვიდე?

– კი, როგორ არა, მოვალ! მშვიდობაა?

– ხო, ხო, არ ინერვიულო! მალე წამოდი, მე უკვე აქა ვარ და გელოდები!

იაშვილმა პირჯვარი გარდაისახა, ეკლესიის კედელს ემთხვია და ქუჩაში გამოვიდა. გზად სასურსათო მაღაზიაში შეიარა, ქეთი იმნაძის საყვარელი თხილიანი შოკოლადის კანფეტები შეიძინა და ტაქსის გაჩერებისაკენ სწრაფი ნაბიჯით გაეშურა.

– ხომ მალე მოვედი? – ხავსით დაფარულ კუნძზე ჩამომჯდარ იმნაძეს გვერდით ამოუდგა იაშვილი.

– კი, მესამე კოსმოსური სიჩქარით, – წამოდგა ქეთი.

– ყველაფერს კომპიუტერივით აფიქსირებ, – გაეცინა იაშვილს, – ესე იგი, დღევანდელი დღე გახსოვს.

– რა თქმა უნდა, მაგას რა დამავიწყებს!

– ყველაფრისთვის გმადლობთ, ქეთი, – მკლავში ხელი გამოსდო მეგობარს იაშვილმა, – წამო, ბავშვობა გავიხსენოთ, თხილიანი შოკოლადი ვაცმაცუნოთ და თან მომიყვები რა მოხდა.

– ეს კანფეტები მე მომიტანე?

– აბა ვისთვის უნდა მომეტანა? – გამხიარულდა იაშვილი, – მოდი მზის გულზე, აი, იმ მწვანე სკამზე დავსხდეთ.

– მზე შენზე მაგიურად მოქმედებდა, – გაიხსენა იმნაძემ, – მზიან

ამინდში, თავს ყოველთვის მყუდროდ და მხნედ გრძნობდი.

– ჰოო, – სევდიანი ღიმილით თქვა იაშვილმა, – ასე თუ ისე, ყველანაირ განსაცდელს შევეგუე და გავუძელი, მხოლოდ დედამიწაზე დავანებულ მზის სხივებს ვერაფრით შეველიე და განგებამ ამიტომაც დამაბრუნა.

– განსაცდელი წარსულში დარჩა! შენ დრო არ უნდა დაკარგო და აწმყოსა და მომავალზე უნდა იზრუნო.

– იცი რა არის, ქეთი, – დიდი ხნის ნაფიქრალისა და შინაგანი განცდების მეგობრისათვის გაზიარება მოუნდა იაშვილს, – თურმე ადამიანისთვის განსაცდელიც საჭირო ყოფილა... უფრო აფასებ სიცოცხლეს, გულჩვილი ხდები და ყველა ცოცხალი არსება გიყვარდება, თვით უხსენებელიც კი, რომელიც ადრე ზიზღსა და შიშს გგვრიდა. აფასებ ყოველ ცისმარე დღეს, მზის სხივს, ბუნების მშვენიერებას, ბუნება ხომ უდიდესი ჰარმონიაა, ხოლო დედამიწა – ნავსაყუდელია, ყოველგვარი დამსახურების გარეშე ჩვენთვის ბოძებული! მარადიული, უფლის გარდა, არაფერია, ამიტომ ყველაფერს: კოსმოსს, დედამიწას, ბუნებას, ადამიანებს, კეთილ ურთიერთობებს მოფერება და გაფრთხილება სჭირდება... ადრე ამას ვერ ვხვდებოდი, ახალგაზრდა ვიყავი, უდარდელი და სუფთა გული მქონდა და იმიტომ. განსაცდელმა ბევრი რამ მასწავლა... როდესაც სიკვდილს თვალებში ჩავხედე, თვალნათლივ დავინახე, რომ 15 წლის ასაკიდან წლებთან ერთად ადამიანის გული თითქოს რკინის ფირფიტით „იმოსება“, ყოველი განვლილი წელი ფირფიტის ერთ თხელ ფენას „გვჩუქნის“, 55 წლის ადამიანის გულს რკინის 40 თხელი ფენა აქვს „შემოხვეული“, ამიტომ გული კალაპოტში დგება და ჯავშნით „იფარება“, შედეგად ზოგიერთის გული უფრო ამტანი, მომთმენი, დამთმობი და მოსიყვარულე ხდება, ზოგიერთის კი ბოროტდება და საშინელებების ჩადენის სურვილი უჩნდება. ზოგჯერ ადამიანი მერყეობს: ხან სათნო, კეთილი და მგრძნობიარეა, ხანაც უგრძნობი და დაუნდობელი. ბოროტი ადამიანები საცოდავები არიან, რადგან ვერ შეუგნიათ, რომ ზნეობის, სიკეთისა და სიყვარულის გარეშე ცოცხალი არსება სულიერად იხრწნება, რასაც დროთა განმავლობაში ფიზიკური განადგურებაც გარდაუვლად მოჰყვება...

იაშვილმა იმნაძის ოდესღაც მშვენიერ ღაწვზე, ეულად ჩამოგორებული და მზის სხივზე აკიაფებული კამკამა ცრემლი შენიშნა, „მონოლოგი“ მყისვე შეწყვიტა და შეწუხებულმა მზრუნველად ჰკითხა:

– რატომ სტირი, ქეთი?! რამე ხომ არ აგტკივდა?

– არაფერია... ეს ისე, მოვხუცდი და ნერვებს ვეღარ ვთოკავ, – ცრემლი მოიწმინდა იმნაძემ.

– რა გატირებს? ხომ ხედავ, რომ კარგადა ვარ! – კეთილად იღიმებოდა იაშვილი.

– ია, რაღაც უნდა გთხოვო და უარს ნუ მეტყვი, – შეევედრა იაშვილს იმნაძე.

– შენ უარს როგორ გეტყვი?! მითხარი, რა არის!

– ჭადრაკის მაგიდასთან ჩვენსკენ ზურგშექცევით რომ კაცი ზის, ხედავ?

– აბა რომელს? – ირგვლივ მიმოიხედა იაშვილმა, – იმ ლურჯპიჯაკიან ჭაღარას?

– ჰო, იმას.

– მაგას რა დანახვა უნდა? რამდენი ხანია, შევნიშნე! მარტოდმარტო ქანდაკებასავით გაუნძრევლად ზის, მაგიდაზე წითელი ვარდების დიდი თაიგული უდევს, ალბათ ვინმეს ელოდება, შეიძლება ცოლსაც. კაცები რომ ბერდებიან, ცოლების მიმართ უფრო ყურადღებიანები ხდებიან ხოლმე.

– ის ვარდები შენთვის არის, ია. – გაჭირვებით ამოთქვა იმნაძემ.

– რა�ა?! ის კაცი ირაკლი რამიშვილია?! – შუბლი შეიკრა იაშვილმა.

– ჰო, ის არის... უფლება მიეცი, რომ მოვიდეს და დაელაპარაკე, გთხოვ. უხერხულია, რამდენი ხანია გველოდება, პატარა ბიჭი ხომ არ არის, გავაწბილოთ!

– მაგისმა ძვირფასმა ცოლმა რომ იეჭვიანოს? უსიამოვნება რად მინდა! ან ლაპარაკს რა აზრი აქვს, ყველაფერი დიდი ხანია წარსულში დარჩა! მასთან შეხვედრა არ მსურს, წამოდი, სახლში წავიდეთ! – სკამიდან მკვირცხლად წამოდგა იაშვილი.

– დაიცადე, ია, – იაშვილს მკლავში ხელი ჩაავლო იმნაძემ, – ასე ნუ მოიქცევი! ხომ შეიძლება ამ ადამიანს სადმე ქუჩაში, ან დაწესებულებაში გადაეყარო, უფრო უხერხულ სიტუაციაში არ აღმოჩნდები? კაცმა უნივერსიტეტში დაგინახა და შოკში ჩავარდა... მერე მე დამირეკა და შენთან შეხვედრის „ჩაწყობა“ მთხოვა. რა მოხდება ერთხელ რომ დაელაპარაკო, უკვე მოხუცია, შესაძლოა ეს თქვენი უკანასკნელი შეხვედრაც იყოს, ნუ აწყენინებ! მას დღემდე უყვარხარ! მერწმუნე, ეს დასაფასებელია... თანაც ხომ დამპირდი, რომ თხოვნას შემისრულებდი! ჩვენი მეგობრობის ხათრით გთხოვ, ადამიანურად მოიქეცი და თაიგულიც გამოართვი. ამ შემთხვევაში ეს ვარდები არაფერს ნიშნავს, უბრალოდ ზრდილობიანი და მეგობრული ჟესტია.

– ორნი ვართ და თაიგული მარტო მე რატომ უნდა მომართვას?

– ნუ ართულებ, ჩვენ ასე ვართ შეთანხმებულები და იმიტომ, თაიგული შენთვის უნდა მოეტანა, მე რად მინდა?!

– მე რაღად მინდა? რა, თაიგულის გარეშე ლაპარაკი არ შეიძლებოდა?

– რატომ გაჯიუტდი ასე, ია, რა არის აქ ისეთი? ვერ ხვდები, რომ 40 წელია ერთმანეთს არ შეხვედრიხართ და ყველა თავაზიანი მამაკაცი ასე მოიქცეოდა?!

– კარგი, ხო, – უკმაყოფილი სახით თქვა იაშვილმა, – ისე მიხსნი, გეგონება „ქაჯი“ ვიყო... დაურეკე მოვიდეს, შენ კი აქედან ფეხი არ გაადგა.

ქეთი იმნაძემ ირაკლი რამიშვილს დაურეკა და მწვანე სკამთან მოსვლის ნებართვა გადასცა. „ქანდაკება“ შეირხა, სკამიდან გაჭირვებით წამოდგა, ვარდების თაიგული ხელში აიტაცა და ქალებისაკენ მომღიმარი სახითა და არეული ნაბიჯებით გამოემართა.

„საწყალი, როგორ შეცვლილა და დაბერებულა, – მომავალ რამიშვილს გაკვირვებით უმზერდა და თანაგრძნობით ფიქრობდა იაშვილი, – ოდესღაც ეს კაცი მართლა მიყვარდა, ახლა კი სადმე რომ შემხვედროდა, ვერც კი ვიცნობდი“.

– გამარჯობა, ქეთი, – იმნაძეს ხელზე ეამბორა რამიშვილი, – ეს ვარდები კი თქვენ მოგართვით, ქალბატონო ია, – თაიგული მოწიწებით გაუწოდა იაშვილს.

– გმადლობთ, ბატონო ირაკლი, – ყვავილები ჩამოართვა იაშვილმა, – ძალიან ლამაზი თაიგულია, რატომ შეწუხდით?

– რას ბრძანებთ, რა შეწუხებაა, მახსოვს, წითელი ვარდები გიყვარდათ და იმიტომ მოგართვით... გმადლობთ, რომ შემხვდით! შეიძლება „შენობით“ მოგმართოთ?

თანხმობის ნიშნად იაშვილმა გაიღიმა და თავაზიანი ჟესტით რამიშვილს სკამზე ჩამოჯდომა შესთავაზა. რამიშვილი იაშვილის გვერდით გაუბედავად ჩამოჯდა, საუბრის დაწყება უჭირდა. იაშვილიც ხმას ვერ იღებდა, მოულოდნელი შეხვედრის გამო, დაბნეული იყო და არ იცოდა რა ეთქვა. ქეთი იმნაძე შეგნებულად დუმდა, თავს ზედმეტად გრძნობდა და ორის საუბარში ჩარევას ერიდებოდა. ბოლოს რამიშვილმა თავს სძლია და იაშვილს შინაურულად მიმართა:

– შენს შესახებ ქეთიმ ყველაფერი მიამბო, ვიცი, რომ ჩვენს დაშორებაში ბრალი არ მიგიძღვის. რას ვიზამთ, ალბათ, ერთად ყოფნა არ გვეწერა! ისევ ისეთივე მშვენიერი და ახალგაზრდა ხარ, ია, მე კი დავბერდი... მინდოდა სიკვდილის წინ ერთხელ მაინც მენახე და დაგლაპარაკებოდი.

– რას ამბობ, ჯერ რა დროსია! შენც კარგად გამოიყურები, – გაამხნევა რამიშვილი იაშვილმა, – თანაც ისევ ისეთი კეთილი და სხივოსანი

თვალები გაქვს, რა დაგაბერებს!

– მამშვიდებ, არა? – გაეცინა რამიშვილს, – შენ რომ გნახე, იქნებ ამაზე მეტად აღარც დავბერდე!

– ქეთიმ მეც ყველაფერი მიამბო, შენი ამბები მეც ვიცი, – უბრალოდ თქვა იაშვილმა.

– ის იცი, ჩემს ერთ-ერთ შვილიშვილს ია რომ ჰქვია? – ჩაეკითხა რამიშვილი.

– მართლა? – გული შეეკუმშა იაშვილს.

– ეს გოგონა გამორჩეულად მიყვარს, 7 წლისაა, შენსავით ჭკვიანი და ლამაზია.

– ღმერთმა გაგიზარდოს!

– გმადლობთ.

– ეს მეც არ ვიცოდი, – საუბარში იძულებით ჩაერია იმნაძე, – ღმერთმა ბედნიერი გიმყოფოს!

– გმადლობთ, გმადლობთ, გოგოებო, – იღიმებოდა რამიშვილი.

– ირაკლი, შენებმა იციან, აქ რომ ხარ? ძებნა არ დაგიწყონ, – შეახსენა იმნაძემ.

– იციან სადაც ვარ... მე ჩემი ცოლი და ოჯახი არასოდეს მომიტყუებია, მათ შესანიშნავად იციან, რომ მთელი ცხოვრება მხოლოდ ია მიყვარდა და ყოველთვის მეყვარება.

– არ გინდა, ირაკლი, – უხერხულად შეიშმუშნა იაშვილი, – წარსულის ლანდებს ნუ გავეკიდებით! ალბათ მთელი ეს განშორების წლები შენც და მეც ერთმანეთი კი არა, ჩვენივე ილუზიები პლატონურად გვიყვარდა და ამას ვერც ვაცნობიერებდით.

– შენი არ ვიცი, მაგრამ მე მართლა მთელი გულით მიყვარდი და დღემდე მიყვარხარ, ია, – ხმა აუთრთოლდა რამიშვილს, – ამაში უნივერსიტეტში რომ დაგინახე, მაშინათვე ხელახლა დავრწმუნდი.

– გმადლობთ, ამ სიყვარულისათვის, ჩემო ირაკლი, – წამწამები ცრემლმა დაუნამა იაშვილს, – მაგრამ რომ დავბერებულიყავი, იქნებ აღარც მოგწონებოდი, ამაზეც იფიქრე.

– ჩემს ასაკში ადამიანები არ ტყუიან, დასამალი არაფერია, ხომ ხედავ, ქეთისიც არ მერიდება, ვამბობ იმას, რასაც ვფიქრობ. შენ სიბერეშიც მშვენიერი იქნებოდი, თანაც მე მხოლოდ შენი სილამაზე კი არ მხიბლავდა, შენი ნიჭიერება, სულიერება, კეთილშობილება და გამბედაობა ყოველთვის მაოცებდა.

– გადაჭარბებით მაქებ, ირაკლი, ასე არ შეიძლება, – წამოდგა იაშვილი, – თემა შევცვალოთ, გთხოვ, თორემ წავალ.

– კარგი... შენი სამომავლო გეგმების შესახებ მაინც გვითხარი,

რაც არ უნდა იყოს მე და ქეთი შენი უახლოესი მეგობრები და კეთილ-ისმსურველები ვართ.

– ერთხელ დიდ ექვთიმე თაყაიშვილს თავმდაბლად უთქვამს: „მე მხოლოდ ჩემს ქართულ საქმეს ვაკეთებდი“-ო... ყველანი ვალდებ-ულნი ვართ საქმე უხმაუროდ ვაკეთოთ. მე უნივერსიტეტში ასტრო-ფიზიკოსების ჯგუფთან ლექციებს ვკითხულობ და პარალელურად სა-მეცნიერო ნაშრომს ვწერ, არ ვიცი რა გამომივა, მაგრამ მაინც ვმუშაობ. სულ ეს არის.

– აცივდა, წასვლის დროა, – წამოდგა იმნაძეც, – სახლებში წავიდეთ, ირაკლი.

რამიშვილი გაჭირვებით წამოდგა, იაშვილსა და იმნაძეს ხელმკლავი ფრთხილად გაუყარა და დინჯი მუსაიფით პარკის მთავარი შესასვლელ-ისაკენ აუჩქარებლად წაიყვანა...

განმარტებანი:

1. კიდნეპინგი – (ინგლ. kidnepping) ბავშვის გატაცება გამოსასყიდის მიზნით.

2. „წითელი ცირკულარი“ – ინტერპოლის მიერ დამნაშავის მიმართ საერთაშორისო ძებნის გამოცხადების სააღრიცხვო ბარათი.

3. факт – вещь упрямая! – (რუს.) ფაქტი ჯიუტია!

4. good job – (ინგლ.) კარგი ნამუშევარი

5. ნეპოტიზმი – (ლათ. nepotis) ნათესავებისა და ახლობლების შემოსავლიან, ან მნიშვნელოვან თანამდებობებზე პროტექციით დანიშვნა.

6. აინშტაინის გამოცანა – აინშტაინის მიერ შედგენილი ცნობილი ლოგიკური გამოცანა ხუთი სახლისა და ხუთი ეროვნების მამაკაცის შესახებ. ითვლება, რომ ადამიანების მხოლოდ 2% შეუძლია ამ გამოცანის ზეპირად ამოხსნა.

7. ეკოსისტემა – ფუნქციური სისტემა, რომელიც მოიცავს ცოცხალ ორგანიზმებსა და მათ საბინადრო გარემოს.

8. გრავიტაცია (მსოფლიო მიზიდულობა) – უნივერსალური, ფუნდამენტური ურთიერთქმედება ყველა მატერიალურ სხეულს შორის.

9. პროფესორი სტივენ ჰოუკინგი – გამოჩენილი ბრიტანელი ფიზიკოს-თეორეტიკოსი, მოღვაწეობს კოსმოლოგიასა და კვანტურ გრავიტაციაში, თანამედროვეობის წამყვანი ასტროფიზიკოსი და კოსმოლოგი.

10. ნანოტექნოლოგები – მეცნიერებისა და ტექნიკის მიმართულება, რომელიც შეისწავლის მასალებისა და მოწყობილობების მოლეკულალურ და ატომურ დონეზე შექმნის მეთოდებს.

11. ღეროვანი უჯრედი – უჯრედი, რომელსაც აქვს თვითგანახლების უნარი, მისი დანიშნულებაა საჭიროებისას ქსოვილების აღდგენის გზით ორგანიზმის რეგენერაცია.

12. დიდი აფეთქება – სამყაროს წარმოქმნის და ევოლუციის დღეისათვის ყველაზე მიღებული კოსმოლოგიური მოდელი, რომლის მიხედვითაც სამყარო წარმოიქმნა აფეთქების შედეგად 14 მილიარდი წლის წინ.

13. ჰიგსის ბოზონი – ელემენტარული ნაწილაკი, რომელიც სხვა უმცირეს ნაწილაკებს სძენს მასას, მის გარეშე მატერია ვერ წარმოიქმნებოდა და სამყარო არ იარსებებდა, ამიტომ ჰიგსის ბოზონს ღმერთის ნაწილაკსაც უწოდებენ.

14. „ახალი მსოფლიო წესრიგი“ – (ლათ. „Novus Ordo Seclorum“; ინგლ. „New World Order“, შემოკლებით „NWO“) – შეთქმულების თეორიაში ტერმინი ნიშნავს ფარული ელიტის მიერ ტოტალიტარული, ერთიანი მსოფლიო მმართველობის დამყარებას.

15. ფოტოსინთეზი – რთული ბიოქიმიური პროცესი, რომლისთვისაც

აუცილებელია მზის სინათლის ენერგია. ფოტოსინთეზი განსაზღვრავს მცენარეთა არსებობას. ფოტოსინთეზის დროს მცენარეები გამოყოფენ ჟანგბადს.

16. STU (Space Travel in Universary) – (ინგლ.) – კოსმოსური მოგზაურობა სამყაროში.

17. CFC (Cosmic Flight Corporation) – (ინგლ.) – კოსმოსური ფრენების კორპორაცია (შენიშვნა: ხსენებული კორპორაცია ავტორის ფანტაზიის ნაყოფს წარმოადგენს).

18. IE (International Experimentalize) – (ინგლ.) საერთაშორისო ექსპერიმენტის ჩატარება.

19. კოსმოსური ნაგავი – კოსმოსში არსებული ხელოვნური ობიექტები, რომლებიც გამოუსადეგარობის გამო, ადამიანის მიერ აღარ გამოიყენება.

20. ბარონი მიუნჰაუზენი – ლიტერატურული გმირი, გამოუსწორებელი მეოცნების სიმბოლო.

21. ბომარშე – XVIII საუკუნის გამოჩენილი ფრანგი დრამატურგი და პუბლიცისტი.

22. ტრანსჰუმანიზმი – ფილოსოფიური მოძრაობა, რომლის საფუძველსაც წარმოადგენს ვარაუდი, რომ ადამიანი არ არის ევოლუციის უკანასკნელი რგოლი და მაშასადამე, სრულყოფა უსასრულოდ შეუძლია. ტრანსჰუმანისტების აზრით, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევების გამოყენებით შეიქმნება პოსტადამიანი, რომლის უნარიანობა პრინციპულად განსხვავებული იქნება თანამედროვე ადამიანების უნარიანობისაგან.

23. გარდაშ – (თურქ.) ძმა, ძმაკაცი

24. ფენრირ – სკანდინავიური მითოლოგიის პოპულარული პერსონაჟი, გიგანტური მგელი-დემონი.

25. Это Керим, я друг Андро – (რუს.) ქერიმი ვარ, ანდროს მეგობარი.

26. გიაური – (თურქ.) ურწმუნო.

27. გურჯი – (თურქ.) ქართველი.

28. ტერმინი სინგულარობა – (ლათ. Singularis – „ერთადერთი, განსაკუთრებული, ცალკეული, ერთეულოვანი“) არსებობს მეცნიერების პრექტიკულად ყველა ძირითად განხრაში. აღნიშნავს რაღაც განუყოფელსა და უსასრულოს (რისი გაზომვაც შეუძლებელია), რისი აღწერაც ვერ ხერხდება მათემატიკური, ან ფიზიკური კანონზომიერებებით. მაგალითად, მათემატიკური, გრავიტაციული, ტექნოლოგიური, კოსმოლოგიური სინგულარობა.

სარჩევი:

წინასიტყვაობა **3**

ავტორისაგან **6**

უცნაური რეტრომანის კოსმოსური ექსპერიმენტი

ნაწილი I. მოსიარულე გამოცანა
თავი I. „უცნაური რეტრომანი“ 11
თავი II. იდენტიფიკაცია 24
თავი III. საშიში დამნაშავე 29
თავი IV. „მეგობრული“ საუბარი 34
თავი V. გატაცება 38
თავი VI. დაკითხვა 55

ნაწილი II. გომბორიდან კოსმოსისაკენ
თავი I. გაუჩინარება 77
თავი II. ულტიმატუმი შპიონაჟის მოთხოვნით 97
თავი III. ტყვეობა გემზე 127
თავი IV. გასაიდუმლოებული ხომალდი 134
თავი V. დედამიწასთან შეხვედრის მოლოდინში 173

ნაწილი III. გამოძიება
თავი I. ახალი გარემოებანი 194
თავი II. ბათუმური ამბავი 225
თავი III. საგამოძიებო ჯგუფის საქმიანობა 259

ნაწილი IV. აღსრულებული მისია
თავი I. მთავარი მოწმის ჩვენება 310
თავი II. საიდუმლო ბარათი 335
თავი III. ოპერაცია „კოსმოსური ექსპერიმენტი“ 343
თავი IV. დაბრუნება საკუთარ თავთან 362

განმარტებანი **385**

სარჩევი **387**

მაია მახარაშვილი

უცნაური რეტრომანის კოსმოსური ექსპერიმენტი

რედაქტორი/კორექტორი
მაია მიქაია

ტექ. რედაქტორი
კახაბერ რუსიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა
დავით კუტუბიძე

თბილისი 2016

დაიბეჭდა:
გამომცემლობა „მერიდიანი“,
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ., №47.
☎ 239-15-22
E-mail: meridiani777@gmail.com

მაია ფარნაოზის ასული მახარაშვილი

დაიბადა 1961 წლის 16 მაისს ქ. თბილისში მეცნიერ-ფიზიკოსისა და ინჟინერ-ეკონომისტის ოჯახში. 1978 წ. დაამთავრა ქ.თბილისის ვ. მ. კომაროვის სახ. ფიზიკა-მათემატიკის საშუალო სკოლა. განათლებით მათემატიკოს-პროგრამისტი (1983 წ. დაამთავრა თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის კიბერნეტიკისა და გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტი), იურისტ-ეკონომისტი (2003 წ. დაამთავრა თბილისის ბიზნესისა და სოციალურ-ეკონომიკური მართვის უნივერსიტეტი).

შრომითი საქმიანობა დაიწყო 1983 წ. სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტ „რადიანში“, სხვადასხვა დროს მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურებში პასუხისმგებელ და ხელმძღვანელ თანამდებობებზე და დღემდე ერთგულად ემსახურება ქართულ სახელმწიფოს. არის ჯუმბერ ლეჟავას სახ. მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი და პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი.

მ. მახარაშვილი წერს ქართულ და რუსულ ენებზე, არის ლექსების, მოთხრობების, ნოველებისა და თარგმანების ავტორი. გამოცემული აქვს პოეტური კრებული „საქართველო მოიშუშებს იარებს“ (2011 წ.); მისი შემოქმედება წარმოდგენილია აკადემიის ანთოლოგიასა (2015 წ.) და ლიტერატურულ ჟურნალში „ათინათი“ (2015 წ.), ასევე 2015 წელს გამოცემული წიგნების სერიაში „ჩანაწერები ინგას უბნიდან“ – „გულთან ახლოს“, „რჩეული“ და „მუზა“; რუსულად თარგმნა ინგა გოგიბერიძის მინიატურებისა და ეპიტაფიების კრებული „ასე მგონია, არფაზე უკრავ“. მისი ნაწარმოებების: „უცნაური რეტროსპექტივის კოსმოსური ექსპერიმენტი“, „ნილაბჩამოხსნილი ქალები“ და „ოთოლი გოგონას მამა – კაცი, რომელიც ყველას უყვარდა“ ელექტრონული ვერსიები განთავსებულია ელექტრონული წიგნების სახლის „საბა“-ს საიტზე saba.com.ge.

რომანი „უცნაური რეტროსპექტივის კოსმოსური ექსპერიმენტი“ მწერლის პირველი პროზაული ნაწარმოებია.

9 789941 251689